

ԳԻՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

6

1988

ტესტი

371

გამოცემის ოცდამეთერთმეტი წელი

6

ი ვ ნ ი ს ი

1988

თბილისი

საბ. კვ ცე-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და გვირაღთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

კოეზი და კროზა

3. დოდო ვუმგაზრძია — ლექსები
6. ზაურ კალანდია — შანი მისამი. რომანი. გაგრძელება
41. გორენა ჯაპვლიანი — ლექსები
44. თედო ბაქიშვილი — ლექსები
48. იზა ჯაბაძე — ლექსები
49. მანანა დუმბაძე — უცნობი წინაპრები გაუვითლე-
ბული ფოტოსურათებიდან. მოთხრობა
56. ტაბუ მუხარინი — ლექსები
59. თინათინ სვანაძე — ლექსები
61. ბადრი კუთათელაძე — ლექსები
63. შანთა შორშიძე — პური. მოთხრობა
79. გიორგი ხორგუაშვილი — ლექსები
82. მურად ნეზირიძე — ლექსები
84. პაპუნა ძვინავანი — ლექსები
85. თინათინ სუგბათაშვილი — ჯდაკები და თმუ-
ლებები
95. ანთონი მუხარინი — ლექსები

ახალი თარგმანები

96. ი. თ. ა. ჰოვანი — დონ შუანი. გერმანულიდან თა-
რგმნა ლია თაყვარელიამ

ბარდაქმნა დროის მოთხოვნა

103. ჯანსუღ ლინჯილია — რუსთაველის დღე — კოე-
ზიის დღე

კ უ ზ ლ ი კ ა ც ი ა

107. არჩილ ჯორჯაძე — დიმიტრი შიშინი. გაგრძელება

უოთა ჩანტლამე — 60

119. ჯარჯი ფოქველი — უოთა ჩანტლამე
124. დალილა გეგინია — „დაბრინებული ქვაბი-
ლები“
146. ემზარ კვიციანი — მაღლობა ვუთხრათ...

წ ე რ ი ლ ე ბ ი

133. ნაირა გელაშვილი — „...უნდა ენდოთ მიმართა-
ნისა...“
148. მირაზ ბერიძე — „ასკინძას ერეკლე ვნახი...“

ხელოვნება

151. ნინო თაბუაშვილი — მასზე არავინ არაფერი
იცოდა

რეცენზია

156. ილია ფიქრიშვილი — კროფისული სრულყოფის
გვით
157. მამია კოხჩიაძე — „მიწიდან — ცისკენ“
158. ამირან ასანიძე — უშუალოდ გულის სიტყვით
159. ქ რ ი ნ ი კ ა

შთავარი რედაქტორის ჯანსუღ ლინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაჯიშვილი

თედო ბაქიშვილი

(შთავარი რედაქტორის
შეადგინა)

გივი ბაგაძე

გურამ ბეგუნიძე

გიორგი გუგულია

თინათინა

დონიაშვილი

მერაბ ელიაშვილი

მედეა კახიძე

უოთა ნიშინია

გურამ ზანჯიანი

მორის ფოქველი

ნუგზარ შატიაძე

ანთონი

ჩხიკვიშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ტინათინა

გოგი წიკაძე

გიორგი ჭანტურია

ტარიელ ჭანტურია

ბადრი ქოხრიანი

მანა ჯორჯაძე

დოდო ჭუმბურიძე

ჭილყვავები ჭამენ საყდარს,
მოგვკვდები, სულის საესავო,
გატყდა ჩემი გულიც, გატყდა,
თითქო თოფი დაეცალოთ,
სუფთა მინა ჩაემსხვრიოთ,
რკინის ბადედ გაეცვალოთ.
ან რა უნდა გითხრა, ან რა

დავუბარო ქარს და ნიავს,
ჯვარცმით მოხატული ქარვა
ზოგჯერ ჩუმად იწყებს კრიალს,
ზოგს ამ ღამით მშვიდად სძინავს,
ზოგიც დარდის ზღვაში ჰყრია,
რომ სიკვდილი, თუ არ გწირავს
უსულგულო კაცის ტყვია!..

ჩვენი ქალები

ჩვენი ქალები აბრეშუმის ლამაზ ნაკუწებს
დალაგებდნენ და კერავდნენ სამზითვე საბანს,
ღმერთო, იმათი მოთმენა და ნიჭი აკურთხე,
რა სითბო ჰქონდათ, სინდისი და სიტურფე სადა.

ამ მრულე ქედებს.
ზურმუხტისფერ მთა-გორებს ქართლის
ჰკითხეთ და გეტყვით გადაფრენილ გედების ამბავს,
წუთისოფელი რაა ჩვენთვის,
რა იყო მათთვის —
მარადიული ჭირისუფლის რომ ეცვათ კაბა!..

სალამოს პეიზაჟი ლექსში

ღობეში ყვავის იისფერი ყვავილი შქერის,
ღობესთან სევდით დაუშვია ტოტები ტირიფს,
წავიდა კაცი, დაედევნა ჭიხვინი ცხენის,
მინდორთა ჩრდილიც გაიყოლა, ჩუმი და თბილი.

გადაიარეს ცად ღრუბლებმა, რუხმა და შავმა,
ქარებს ხეებიც ცისკენ მიჰყავთ —
სად სძინავს ჩვენს მზეს,
ვის ვემალეთ და ვის ველოდით,
რა მოგვცა უამმა
და რა წაგვართვა მის სანაცვლოდ, ჰკვიანმა ჩვენზე!

ოქრო იყავ. შორიდან
შენი შუქი მაქრობდა,
ახლა გხედავ ხსოვნიდან,
ჩემი ზოდიაქოდან.

მიყვარს სტვენა მოცლის უამს
ძველ, მშობლიურ მოტივთა,

ქართლის ცქერა მოცისფრო
მარტის ჰორიზონტიდან.

რალაც იყო, არც არა...
სინატიფე ახოთა,
მხოლოდ სული ანათებს
ჩემი ზოდიაქოდან.

ჭკუას მარიგებს ბრიყვი

ჭკუას მარიგებს ბრიყვიც კი, ბრიყვიც,
და ღამეს დარდით როცა ვათენებ
მეფერებიან სიზმრები სიყრმის,
სულს მითბობენ და გზებს მინათებენ.

მყობადი უფრო ძნელია იქნებ,
რა გვემუქრება მომავლის მზერიოთ,

რაზე ჩურჩულებს ჭალები სიღრმე,
ჩაჩუმებული ივლისის ლელი.

ვინ სიყვარულზე აცხადებს უარს
და ვინ მალღდება საკუთარ ჭერით,
რატომ მარიგებს ბრიყვიც კი ჭკუას
და საით მიდის სიცოცხლე ჩემი...

წავა ზაფხული

წავა ზაფხული, ნისლებს ნოემბრის
ქარი მოგვაფენს ქედებზე ნართავს,
სად გაფრინდება ჩიტი, რომელიც
აქ გვიგალობდა წელიწადს ათასს.
ქედავს მჭედელი, ცვივდება ოქრო,
ნამცეცებს ჰკრეფ და კალთაში მიყრი,
წავა ზაფხული და ისევ მოთოვს

და შავნაბადას შავ კალთებს იქით
აისვეტება ბნელში საყდარი,
ცად გუმბათს ისერის თეთრად
შელესილს,
წავა ზაფხული, დიდი მხატვარი,
სატრფო და გიჟი უპირველესი.

უბრალო სიტყვა - როგორც ია ამოდის ხოლმე.
უბრალო კიდევ გაღიმება — ნიავში მოლი,
ჩრდილის მოხვევა, წყლისპირებით.
ტირიფის ჩრდილის —
სიყვარულს ბევრი სამკაული როდი ჭირდება.

სულ ზღაპარ-ზღაპარ ვიარე,
ამინდმა ფერი მიცვალა,
მოიცა, კაბა დედოფლის
აქ მაინც გადავიცვა, რა!

სიყვარულს გამოვედევნე,
წავიდა, არ დამიცადა,
ჩემი და შენი ზიარი
ზღაპარიც გარდაიცვალა.

რამდენ სასჯელით გული დაქრილა,
და მაინც, ყველა ტკივილის ბოლოს,
სიყვარულისთვის ველად გაქრილი
მე ტარიელი დამეძებს მხოლოდ.

ათას კაცთაგან უფრო მამაცმა
და უფრო გიჟმაც ხელი რომ მთხოვოს.
ვერ მომიძღვნიან რამეს სანაცვლოს —
მე ტარიელი მიტაცებს მხოლოდ.

ბრიყვ ცხოვრებაზე შური იძია,
სული ვარსკვლავთა სინათლით
ცხოვრობს,
თავი ამოდ არ გამირჩია,
მე ტარიელი მაგიჟებს მხოლოდ.

ნაფხრეწი ვეფხის ტორით პერანგი
და დაღწილი მხეცების ხორო,
წუთისოფელი იყოს ვერაგი
მე ტარიელი მიყვარდეს მხოლოდ!..

მდინარე ჩვენი ისევ იღინებს

მფეთქავ მაისის ნელთბილი ტალღა
გულს გვიღვლებდა, გვმატებდა
ხალისს,
ვიდექით ორნი მდინარის გაღმა,
ხან ჩვენ ვცუპრავდით, ხან ნისლი,
ხან ის, —

მდინარე ჩვენი — უძველეს დროდან
აქ მომდინარე და ცისფრად მრწყევი
და წარსულიდან თუ რამე გვქონდა,

თუ მხრებზე გვაწვა ათასი წელი
და მაინც ვგრძნობდით ველ-მინდვრებს
მბრწყინავთ,
როგორც ბავშვები თუ უნით ვბტოდიო
ეს იმიტომ, რომ დაგვბადა ვინაც,
გაძლებს ძალაც მოგვმადლა ოდით,
მიტომაც ვხარობთ სულ მცირე რამით,
თუმც ჩვენთვის ბევრჯერ იმედი ჩაქრა.
ისევაც მოვა, ნუ ნაღვლობ ამინდს,
ისევ დავიწყებთ სიყვარულს ახლად...

ფიქრს საგზალი უთავდება,
ყავლი გადის ნატვრას,
ალარ ცდილობ უდარდელად
ზღაპრის გადმოხატვას.
ვით მდინარე ზღვის ტალღისკენ —
ალარ იწევი მისკენ,
ვინც წავიდა ეშმაკისკენ,
ვით ფარვანა ცისკენ.

აძლებინო, როგორ გინდა
მაგ საბრალო მზერას,
გადაიფრენს რა გულგრილად,
რა გულგრილად, ძერა.
ფიქრს საგზალი უთავდება,
ყავლი გადის ნატვრას,
მაინც გინდა უდარდელად
ზღაპრის გადმოხატვა.

ვერ მოვახერხე ჩამალვა ვერსად,
ვერ მოვიპარე ჩიტის ხმა ტყეში,
შენი თავი ვერ წავართვი ეშმაკს
და ვერ დაგმალე გულდაგულ ჩემში.

ვერ დავამარცხე შური ლიტონი,
გაუტანლობა ქართველთა წესის,
გზა ვარსკვლავამდე ვერ დავიტოლე
და ვერ შევძელი დამალვა კენისი.

შაპო მესამე

ა რ მ ა ნ ი

უფროსი ცოლისძმა შემოვიდა.

აცრემლებული დედაბერი რომ დანახა, კბილები გაახრჭილა, მარჯვენა ხელისგული ფიცხლად დაიკრა ყამაზე. მერე ნები თვალბეში ამოისვა, თარბის ტახტს მალულად გახედა, მიცვალბეშის ნიშანი: — შავი ჩოხა-ახალუხი და თეთრი ყაბალახი რომ ეფინა: ჯოლორია, სი ჯილორია,* ჩაისისინა და თავჩაქინდრული გარეთ გავარდა.

ისევ რძალ-დედამთილი დარჩენენ ჯაგვალში.

— მაპატიე, დედა პატონი... — ახალგაზრდა ქალი ლოგინს მიუახლოვდა, ძლივს, გაჭირვებით მოუყარა მუხლი, წაუჩოქა და მოხუცის დამჭკნარ, გალულ თითებს საამბორებლად წაეტანა, — ვიცი, ბიჭი მყავს მე მუცელში... პატარა თარბია ის!.. მაგი იძიებს შურს, ბაბაიას სისხლს არავის შეარჩენს...

საწოლის ძგიდეს შუბლით ჩამოეყრდნო და მხრებათრთოლებული ქალი ატირდა.

— სუ, ნენა, ვაშინერს... — უცებ ამოიდგა ენა დედაბერმა და აცახცახებული თითები რძალს თმაში შეუტურა, მოუალერსა, მერე, ადექიო, ანიშნა და მანაც თავი რომ აიღო, ამოიოხრა, — ჩემი თარბის მკვლელს რა გაახარებს ისედაც! — თქვა თავდაჯერებით და ხელი ქვევით, შვილიშვილის მოფერება თუ უნდაო, ქალის მუცლისკენ წაიღო და მოუფათურა...

გარეთ, ყოლანდარიების ეზოში, მღუმარედ და დაღვრემილები იდგნენ თა-

* ჯოლორია, შე ძალღო!

რბის ცოლისძმები. კაცმა რომ თქვას, შატარა ამბავი კი არ სჭირდათ, საფიქრალიც ჰქონდათ და საწუხარიც.

გიორგობის თვეს, მეზობელ სოფელ თაიაში, ჯეგე-მისარონის დღესასწაულზე, სულწაწყმედილმა ჯოლორია ფაქამ მოკლა მათი ერთადერთი დის ქმარი — თარბი ყოლანდარია. ყამა ლაჩრულად ატაჯა ზურგში და გაიქცა.

ძმები იმაელამ. მიუვარდნენ სახლში ჯოლორია ფაქას, მაგრამ, სანამ ერთმანეთს მოუყარეს თავი, თვითონ მკვლელს კი არა, ოჯახსაც მოესწრო გახიზვნა.

მთელმა სოფელმა გულწრფელად დაიტირა თარბი.

მეცხრე დღეს, მზის ჩასვლამდე, მშობელი მამის გვერდით მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი.

მოხუცი დედისა და ფეხმძიმე მეუღლის გარდა, არავინ დარჩენია თარბის — სისხლი სისხლის წილ აედო... რა თქმა უნდა, მის ცოლისძმებს თუ არ ჩავთვლიდით და მათაც, მწუხარებასთან ერთად, მოვალეობის გრძნობა ერთობ დიდი ჰქონდათ.

სიმამრი, ერთ დროს ნააბრაგალი და ნაკატორღალი უჩანა ლაგვილა, იმედს საკუთარ ვაჟიშვილებზე ამყარებდა. მიცვალბეშის სული სამაგიერო სისხლს ითხოვს, მანამდე იტანჯებოდეს იქნება საწყალო, შვილების გასაგონად უფრო ამბობდა და ჩიბუხს აპლაკუნებდა — მუხლებწართმეული და ზამთარ-ზაფხულ ჯარგვალში, შუაეცეხლთან, ხბოს კვარჩაკვადაფენილ ჯოჯოზე მჯდარი ბერიკაცი.

სად წამივა?! ყოლანდარიების ჭიშკრის ბომზე გიჩვენებთ ჯოლორია მამა-



ძალოს თავს წამოცმულს. თუ ვყოფილვარ ჩონთა ლაგვილაო! — გრგვინავდა უფროსი ცოლისძმა და ცალ მხარს მალა ნერვიულად შეიგდებდა, მერე ფიცხლად დაირტყამდა ხელისგულს ყამაზე და გარეთ გავარდებოდა.

დასაფლავების დღეს, ძმებს — ლავილებს შავი სატინის ხალათები უკუღმა ჩაეცვათ. სასაფლაოდან რომ მობრუნდნენ, ჭირის სუფრაზე, სამივე ძმამ მთელი სოფლის თვალწინ დაიფიცა: ან ჩვენ, ან ჯოლორიაო! მერე, კარგა შეზარხოშებულები, ცხენებს გულფიცხად მოახტნენ და სისხლის ასაღებად ბნელში თქარათქურით გავარდნენ...

უმალ მობრუნდა ჩონთა, ბედაური ყოლანდარიების ჭიშკარს გაშმაგებით მოახტუნა, ბოძს შემოუტყლაშუნა სამჯერ მათრახი — ამაზე იქნება ჯოლორიას თავიო, ნათესავ-მეზობლებს, ალბათ, კიდევ ერთხელ შეახსენა, ყალყზე შემდგარ ცხენს — ჰაიტ, ჯიმაღურელიო!* — დასჭყვილა და მოოთხა...

ჩონთა მთიანი სამეგრელოს გზას დადგა, შუათანამ ქვევით, წაჩხურისკენ აიღო გეზი: იქნებ ცოლოტურებში იმალება ის ვერანიაო... უმცროსმა ჯერ უფროს ძმას სდია უკან, მერე მოკლზე, ჩონთას ნებართვით. წაჩხურისკენ გადაუხვია, მაგრამ ვერც შუათანა ძმა, ვერც სიძის მკვლელი იპოვა და საბოლოოდ სულ სხვა გზას დაადგა.

ერთი კვირა სამივემ ცხენზე გაატარა. მერვე დღეს, საღამო ხანისთვის, თავიდანვე ჰქონდათ დათქმული, ლებარდეს გზაზე — კალანდიას კარეში** უნდა შეხვედროდნენ.

პირველი ლოთია მოვიდა. ჩონთამ და შუათანამ ცხენები თითქმის ერთდროულად მოახტუნეს.

ის შავჯვრიანი თოფრაკები, ჯოლორიას თავისთვის რომ ჰქონდათ გამზადებული, ბედაურებს დაჩუტულები ეკიდათ და, ალბათ, ამიტომაც თრთვიანადნენ...

უხასიათოდ იყვნენ და, ხელიც არ ჩაყოფიან. მოურთმევეათ ერთმანეთისათვის. ვად შეხედნენ ერთურთს ჩისხლმაძიებელი ლაგვილები. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ისიც ვერ გაეგოთ ჯოლორიასი. დამის გადათევა კი კარეში ჰქონდათ გადაწყვეტილი.

სადგომში შევიდნენ. — წიე!* — მჭახედ გასაბა ჩონთამ-საკუტუნაოდან თავგამოყოფილ ყმაწვილკაცს და ცარიელ ტბააკს მიუჭდა. ბიჭი უმაღლ მოვარდა.

— ძეგვე, ჩემო ბატონო, — თავი მოუდრიკა და ზურგს უკან მორჩილად გაუჩერდა.

— დი! გერქვას მერე! — რაღაც არ მოეწონა ჩონთას, მხარი ნერვიულად აიქნია, — ლაგვილები ვართ ჩვენ! — ბრძანა, მოკლე თოფი ტბააკს მიაყუდა.

— გიცანით, ბატონო.

ღმილი დაეფინა ძეგვეს სახეზე.

მეტი არაა ჩემი ტერი... აბრაგები ვგონივართ, ალბათ, ამ ლაწირაკსო, ეს იამოვნა შუათანას და სამფეხა ფეხის ჭვინტით მიიჩოჩა, ჩონთას წინ დაუჭდა.

აბრაგები ხშირი იყვნენ ამ მხარეში, თითო-ოროლა ყოველთვის იმალებოდა ხოლმე მათთან ზამთრობით, მაგრამ ესენი ველარ ეცნო და ძეგვე უფრო მოწიწებით მიაჩერდა მოსულთ.

— გეშია ჩვენ!

მოკლედ მოსჭრა ჩონთამ და ბიჭიც უმალ შებრუნდა.

პირველი ჭიჭით თარბი მოიხსენიეს. თუ არა ჩვენ, სხვა ვინ დაურჩა მაგ უბედურსო, წუხდნენ უფროსები, უმცროსი რატომღაც პირუჩუმრად იჭდა.

კარგად რომ შეზარხოშდნენ, ლოთია წამოდგა და მოულოდნელად განაცხადა — თქვენი საქმისა თქვენ იცით, უმცროსი ვარ და ვერ ჩაგერევი, უფლება არცა მაქვს, მარა მე ამაღამ ჩემს სახლში მივდივარო...

შუათანამ ჯერ ჩონთას შეხედა, მერე, ხომ არ მომეყურაო, გაცეხებული მზერა ნაბოლარას მიაცივა. ლალატი გაუჭვი-

* ძმამკვლარი.

** კარავი, ლამის სადგომი.

* ბიჭო.

რდა თუ ასეთ სითამამეს მისგან არ მოელოდა, ვერ გაიგებდი.

— როგორ თუ ჩვენ ვიცით?! — ჩონთას სახეზე ჯამი ხელში გაუშეშდა, ძმას თვალები გადაუყვლიდა.

— მე შინ მივდივარ... — ჯიუტად გაიმეორა ლოთიამ.

— საად?! შენ თვითონ რა გვარისა ხარ?! ვითლენდია ხომ არა ხარ, ა?! — წამოხტა და დასჭყვივლა, ჯამი უკან ბრაზით მოისროლა, მერე, ჩვეულებისამებრ, ყამაზე ფიცხლად დაირტყა ხელი.

— ვითლენდია არა ვარ, მარა არც ყოლანდარია ვარ, — მკვანედ თქვა ლოთიამ და წასასვლელად შებრუნდა. შეყოყმანდა, განცვიფრებულ ძმებს მხარილლივ გამოხედა და: — ტყუილად გავჰაფე ცხენი... მართალი თუ გინდათ, პირუტყვი უფრო შემეცოდა... რომც შემხვედროდა ჯოღორია მამამაღლი, მაინც ვერ მოვკლავდი და იმიტომ! — ხმა უცებ გაეზარა, გაჩუმდა, — არა ვარ მე კაცის მკვლელი! — თქვა ყრუდ, თითქოს დაიჩვილაო, მერე, რას მერჩითო, ხელები საწყლად გაუშალა და თავისი ცხენისკენ წელმოწვეტილი გაიზღაზნა.

მართალი კია ეს შეჩვენებულო, მარა სოფელს რას ეტყვის, საფლავის ქვაზე რომ იფიცებდა, მჯილს მჯილზე იცემდაო, შუათანა სახტად დარჩა და ისევ ჩონთას შეხედა.

ჩონთა კბილებს ავად ახრჭიალებდა... თვალბიცი ისე ჰქონდა ამღვრეული, რამე ფარსავი არ ქნას, ცოდვა არ დაატრიალოსო, შუათანას შეეშინდა და მკვირცხლად წამოხტა.

— კაი ახლა, ჯიმა... რა ჭირიანიცაა, შენც კარგად მოგეხსენება... — მორიდებით შეაპარა, — თფუი! — ნაბოლარაზე გაწყრა და ჩონთას მკლავში ხელი მოჰკიდა.

ჩონთამ ყამის თავს ხელისგული ისევ მოუნაცვლა, მერე ნერვიულად დაჯდა და ღვინოს მიეძალა.

მას მერე სამი თვე გავიდა.

ახლა: თარბი ყოლანდარიას ეზოში იდგნენ ძმები მდუმარედ... დაქპირებუ-

ლი, დღე-დღეზე შვილის მომლოდინე და უნდა წაეყვანათ მამისეულ სხეულში უმცროსი ძმა ერთობ დარცხვენილი ჩანდა: სულ უკან-უკან იწვედა. არ ერეოდა უფროსების საუბარში.

— მოთოვს, — თქვა შუათანამ და ცას ახედა.

— რა უნდა მოთოვოს აწი ისეთი... — ჩონთამ ქლალ წვერზე თითები ფიქრიანად ჩამოისვა, ჩამოივარცხნა, — ზამთარი უკვე გამტყდარია. დაიხსომეთ, მარტო არ უნდა დავტოვოთ, ეგ უბედური. ხალხი რას იტყვის, სირცხვილია. ეს! — თავი სინანულით გადააქნია და ყოლანდარიების ეზო-კარი მიმოათვალიერა, — ზეგისთვის ამოხვალ და უღელ შეშას ამოუტან, — არც შეუხედავს, ისე გადაუგდო სიტყვა უმცროს მძას და კვლავ ღრმად ჩაფიქრდა.

— კი... რა თქმა უნდა! — უმაღ გაეპასუხა ლოთია, — სიმინდიც მაქვს გამზადებული. ასე, ნახევარი კოდი იქნება... ოთხი-ხუთი თვე ეყოფა.

— ხო, ისევ ჩვენ თუ არ მიგხედეთ... შუათანამ წამოიწყო.

— წასვლის დროა, — შეაწყვეტინა ჩონთამ და აჩქარდა, — თქვენც შემოდით. იქნებ ვანუგეშოთ საწყალი.

უფროს-უმცროსობით შელაგდნენ ჯარგვალში.

ლოთია აცრემლებულ, დედაბრის ლოგინთან უხერხულად მუწლმოყრილ დასთან მივიდა, ასე როგორ შეიძლებაო, — ხელი მკლავზე ფაქიხად მოჰკიდა, წამოაყენა და განზე გაიყვანა.

როგორც წესი, პირველად ჩონთა მივიდა მოხუცთან გამოსათხოვებლად. მაპატიე, დეა პატონიო, სახელით მიმართა ქალს, მერე დაიხარა და მხარზე მოწიწებით ეამბორა. როცა გაიმართა, ძმებს თვალით ანიშნა, თქვენი ჯერიო და თავჩალუნული უკან გადგა.

უფროს მძას არც უმცროსები ჩამორჩნენ, სათითაოდ მივიდნენ და გამოეთხოვნენ.

ჯარგვლიდან გასვლისას ჩონთა შედგა.

კართან, კუთხეში, რცხილის ვეება



კუნძი ეგდო... ჩონთამ კუნძი აიღო და თითქმის მიმქრალ-ჩაბეუტულ კერიაზე მოხერხებულად ჩააყუდა, მერე მანამ უბერა სული მუგუზალს, სანამ ენა არ ააღებინა... იმოდენა ცეცხლი არ ააგზავინა, რომ — გაქვარტლულ-ჩაყალტამებულ კედლებზე ალის დიდრონი ენები ერთბაშად აცეკვდნენ და აპარპა-ლდნენ...

ჩონთამ დედაბერს გახედა, ქალი პირადმა, უსულოსავით უძრავად იწვა; გაშეშებულ სახეზე მეწამული ჩრდილები უთრთოდნენ...

ის კარგა ხანს იდგა შუაცეცხლით გასხვივონებულის, რაღაცნაირად კმაყოფილი, ვალმოხდილივით, თითქოს ყოლანდარიების გვარს ცეცხლი ერთხელ და სამუდამოდ მოუპოვა და აწი არ განელდებოდა იგი, სითბო არ მოაკლდებოდა ოჯახს, არასოდეს ჩანახშირდებოდა ის რცხილის კუნძი.

კაცი შეტრიალდა და გახურული კარის ყრულა, ჭმახივით ხმამ დედაბერი მოახედა.

ლაგვილები წავიდნენ, წაიყვანეს უმცროსი და მშობლების სახლში მოსალოგინებლად. კი დააიძედეს მოხუცი: შინ ორი სული დაგობრუნდება მალე და კერა არ ჩაგვიქრებაო...

მერე? ასეც რომ მომხდარიყო, რა შეიცვლებოდა ამით? არა, რძალ-შვილიშვილის დანახვა როგორ არ გაუხარდებოდა, პირიქით, ტანჯვას ნაწილობრივ მაინც შეუმსუბუქებდა მათი გამოჩენა, მაგრამ ახლა, როცა ამ დღეში იყო — ისე გამოიკეტა უფროსმა ცოლისძმამ კარი, თითქოს ლაგვილებისთვის სამარადეამოდ დაიხურა, — თარბის მაგივრობას ვერც ერთი გაუწევდა, ვერც მეორე.

კერიაზე აბირბილებული ცეცხლი ვერ ათბობდა ჯარგვალს.

მტერიან ისლს სწვდებოდნენ, ჩაშავებულ კედლებზე უსიციცხლოდ ბტოდნენ, შეცივნებულებივით ცახცახებდნენ ცეცხლის ჩალისფერი ათინათები და... მარტო სიცივე კი არა — დამორგუნავი უძრობა, რაღაც აუტანელი სი-

ცარიელე ჩამოწოლილიყო ჯარგვალში, იქაურობა ერთიანად მოეცვა და თარბი, სკუთო,* — ციებიანივით აჩურჩულდა დედაბერი.

სალამოვდებოდა. წუხელ და დღეს მარტო მოხუცი იყო ჯარგვალში.

იქნებ მარტოობა არც ეთქმოდა მის დღევანდელ ყოფას? შვილი ხომ სულ გვერდით ჰყავდა! თარბიც, დედა არ დამეჩაგროსო და, თავით ეჯდა: ჭაღარაზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა, შუბლს ოშოშას ფურცლებით უგრილებდა, მალიმალ უცვლიდა... თუმცა, ხმასაც გრძნობდა დედაბერი, უჭირდა შვილს. ადრინდელზე ფერმკრთალი იყო, უფრო ნაღვლიანი ხმა და სევდიანი, ცრემლგადაყინული მზერა ჰქონდა.

მანამდეც: ერთი ციციქნა რომ იყო თარბი, მერეც, საცოლოდ შეღერილი, დეა კი — ჯარგვალში თუ ეზოში ტრიალებდა, კეცზე მჭადს აკრავდა თუ ბოსტანში ფუსფუსებდა... გვერდით ჰყავდა, თუ არ ჰყავდა შვილი, ყოველთვის მას მიმართავდა და ხმამალა ემუსაიფებოდა.

აგერ, პატარა თარბიმ ჯარგვლის კარი გიყივით შემოდლიოზა და, მდინარეზე საბანაოდ მივდივარო, უთხრა. ქალი, თითქოს ამის გაგონებაც კი არ უნდაო, შვილს შემოფოთებული გულში იკრავს, გამოკითხავს: ვინ და უფროსები რამდენი მიდიან... მერე — ავი სულებსგან დაიცვან ჩემი შვილიო — ნახშირს მალულად იღებს ხელში და შუბლზე ჯვარედინად ასვამს. ბიჭი ბრაზობს, ბორჯლიკობს, დედის კალთას ძალად უსხლტება და ახლა სიცილ-ტკარცალით გარბის ჭიშკრისკენ, თან შავად გადადადღულ შუბლს ხელისგულით ისრესს...

ამ დილით მეზობლის ქალმა მოაკითხა და ცხელი ღომი და საესე ჯამი ლობიო მოუტანა. თავით დაუდგა ჯორკოზე, ჭის წყალი მოურბენინა, შეეხვეწა, ლუქმა მაინც გადაყლაპეო. დედა-

* შვილი.

ბერს არაფერი უთქვამს, თვალები მადლობის ნიშნად კი აუწყლიანდა, მერე ორი ყლუპი წყალი მოსვა და ამით დაკმაყოფილდა.

მეზობელი ამ სოფლის რძალი იყო, ყოლანდარიების ძირძველ მიწაზე იღვა მათი ახალი ოდა, მეუღლე უმცროს ძმებს გამოეყო და ცალკე რომ დასახლდნენ, ბევრი სიკეთე ახსოვდა ქალს დეასგან, გულს უთუთქავდა დღევანდელი მისი ყოფა და ზვედრი... ჩემთან ხომ არ გადამეყვანაო, კველაზე მღუშარედ იჯდა და ორჭოფობდა. ჯერ ქმარს მოველაპარაკებო, გადაწყვიტა და თავი დაიმშვიდა.

მეზობელი გულჩვილი და სათნო ქალი იყო. ჩემს შვილებს წაადგება ამისი მადლიო, ნააზრევს ვეგც უმაგრებდა, მაგრამ იმისი შიშით — ქმარი არ დამთანხმდება თუ მსგავსი მოსაგლეელი და საპატრონო აქამდეც არ აკლდა (ოთხმოცს მიღწეული დედამთილი ჰყავდა შინ ლოგინად ჩავარდნილი), საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, ხმამაღლა ვერ გაეცხადებინა მოხუცისათვის და თავშლის წვერტით ცრემლი მალულად მოიწმინდა.

ქალმა ამოიოხრა, მერე შუაცეცხლი გაადვივა, ფიჩხი შეუყეთა და დამნაშავესავით უხმოდ, ფეხის წვერებზე გაილალა ჯარგვლიდან.

დაღამდა.

დედაბერი ლოგინზე წამოჯდა.

დიღხანს იჯდა ფიქრში წასული და გარინდული, თითქოს გარე სამყაროს ცივსა და მურუქელ, მაგრამ ჩემ და იღუმალ შარიშურს სულგანაბული უსმენდა.

ფეხები ქვევით, ხელის წაშველებით ჩამოყარა, მერე წამოიწია და ძლივს, აცაბაცა დადგა სოხანზე. ხანგრძლივად მწოლიარეს თავბრუ დაეხვა, დგომა გაუჭირდა და, თითქოს მუხლების ცახცახს იკაეებსო, ბარძაყებზე ხელბდაყრდნობილი, კახანს წელში ვედარ გაიმართა, საწოლის თავს წაებლაუჭა, ოღნავ წაღონდილდა და კედელს მიეხინა, შეიშველა, მერე თანდათან გას-

წორდა და, ცოტაც რომ შეისვენა, სიარულს ახლა თუ სწავლობსო, ნაბიჯით შიშით წადგა...

კერიასთან მივიდა, ცალი ხელით კარდალის ჯაჭვს ჩაეჭიდა, მეორეთი წკირი აიღო და ნაცარი მოჩენჩხა, ნალვერდლის გაღვივებას შეეცადა. ნალევა-ჩანახშირებულ კუნძვე აქა-იქ ციმციმა, ელამა წინწკლები არ აჰყვნენ და მანაც თავი მიანება.

კუთხეში, მისი ქალიშვილობის მზითევი, ოდინდელი, მოვერცხლოკიდურებიანი მუხის დაბალი სკივრი რომ იდგა, მივიდა და ზედ ჩამოსვენა. მალე წამოდგა, იჯახირა, როგორღაც ახადა სკივრს თავსახური, კახანს იფათურა შიგ და თეთრი, ქათქათა საცვალ-პერანგი ამოიღო, მომუჭა, მკერდზე ორივე ხელით მიიკრა და კვლავ საწოლისკენ წაუტუხტუხდა რაღაც ბუტბუტით.

ვინ იცის, რამდენი წელი ეწყო უქმად ესენი... სისოს მკვლელობის მერე მხოლოდ ერთხელ, თარბის ნიშნობის დღეს ჩაიცვა ეს თეთრი პერანგი. თვითონაც ახლდა შვილს ქალის დაბეღვაზე.

დიდი სუფრა ჰქონდა ლაგვილების ოჯახს.

უჩანა ლაგვილას მოჩუქურთმებულნი ოდა-სახლის აივანზე რომ აღიოდნენ ახალი მოყვრები, გაჩახახებულ „ზალადან“ ჩონგურის ხმა და ქალის წკრიალა სიმღერა მოისმა: „ჩქი მომრდუნა, ჩქი მომრთუნა, ანწი თქვა მუშა მოირთუმანაიაო...“*

მერე სტუმრებს მასპინძელი გოგონა გამოეგება, რომელმაც დეას მოწიწებით ჩაუღო ხელებში საკრავი.

დემ თალხი თავსაფარი მოიხსნა და თავდაღაც სიმღერით შეესიტყვა სარძლოს სახლეულს: „თქვა მოირდუნა, თქვა მოირთუნა, ჩქი ოყუნაფუშა მომთუმანაიაო...“**

* ჩვენ გაგვიზრდია, ჩვენ მოგვირთავს, თქვენ კი რაზე მოსულხართ?

** თქვენ გაგვიზრდიათ, თქვენ მოგვირთავთ, ჩვენ კი წასაყვანად მოვსულვართ!



დედაბერმა საცვლები გამოიცვალა და ისევ ძაძა გადაიცვა.

თარბის საწოლს მიუახლოვდა.

ჩაიმუხლა, უფალს შეავედრა მისი სული, მერე შავი ჩოხა-ახალუხი და თეთრი ყაბალახი, მიცვალებულის სანიშნედ რომ ეფინა — ფაქიზად აიღო და ტახტის თავზე გადაფინა. ახლა საბანს მისწვდა, ორად გაეცა, მუხლში გაიმაართა და მხრებსა და ტანზე შემოიხვია, თან, ქვემოთ არ ჩამიცურდესო — ორფა ყაბალახით წელზე მჭიდროდ შემოიკრა, ზურგს უკან ბოლოებით ჩაიკეცა და ჩოხა კვლავ საწოლზე გაფინა.

დედაბერმა ხელჯოხი აიღო, კიდევ ხომ არაფერი მჭირდებოო, კერიასთან შეყოვნდა, ფიქრმორეული მზერა ხანგრძლივად მიმოავლო იქაურობას და ჯარგვლიდან გავიდა.

წვრილად თოვდა...

თეთრად გადაპენტილიყო შემოგარენი...

ჯარგვლის კარი გადარაზა და ჭიშკრისკენ, დილიდან გაუკვალავ თოვლში, ფეხშიშველა წახანხალდა...

ჭიშკარი კოჭიკზე ჩაეკტა. საქონელი არ შევიდეს, ეზო-კარი არ გადამიოხროსო, თავზე რკინის რგოლიც გადააცვა, მერე ჯარგვალს გამოხედა, პირჯვარი სამჯერ დინჯად გადაისახა, დაილოცა და შარაზე ფრთხილად გავიდა.

წვივსაცდენილ, გაუკვალავ თოვლში, თოვაში, თოშში სიარული — ნაავადმყოფარი, მოხუცი, ფეხშიშველა ქალისთვის წარმოუდგენლად ძნელი და, ალბათ, დამღუპველიც იყო, მაგრამ, რახან უფლისთვის (ანუ შელისთვის) უკვე აღთქმა ჰქონდა მიცემული, რაც უნდა გასჭირვებოდა, ბოლომდე ასე ტანჯვა-წამებით უნდა ევლო, ფეხზე ჩაცმის უფლებაც არ ჰქონდა, არც უკან მობრუნების, რაც ბალღივით სუსტ და უსუსურ მუხლებს, სიცივით გააკვავებულ სხეულს და ზეზეულად ჩამომდნარ სულ-ხორცს — უცნაურ ძალას და მხნეობას მატებდა.

გუშინ ამ გზით წაიყვანეს ძმებმა ლავკილებმა თავიანთი და, შარშან, გაზა-

ფხულზე, ყოლანდარიების ოჯახში თოვების ბათქაბუთქით და ცეკვა-თამაშით შემოყვანილი.

აქეთ იყო თარიზონის მთაც, რომლის წვერზე მტრედისფერი წმიდა დედათა მონასტერი იდგა ცას შეხიზნული... მისი ოჯახის დამაქცევარის გზაც ხომ აქეთ იღო! ათიოდე ვერსის იქით ცხოვრობდა სულწაწყმედილი ჯოღორია ფაჟა...

მიდიოდა, ძლივს მიდინდილობდა დედაბერი ზამთრის ღამის ცივ და უფორმო, რაღაც უზარმაზარ სითეთრე-უქსასრულობაში, მაგრამ სად?... ან რა ჰქონდა გულში; რომელ ერთს მიადგებოდა — შვილის ჭრელსაბანმობურული, ხელჯოხზე მობღუნკული, ფეხშიშველა მოხუცი... ღმერთს შეუდგებოდა ლოცვად მონასტერში, ლავკილანზე ქალს დაუჯდებოდა ფერხთით შვილიშვილის მოლოდინში თუ... შვილის მკვლელს მიუტაკუნებდა ამ შუღამისას კარზე — პასუხი გამეციო! ერთადერთი თვითონ და, ალბათ, უფალმა უწყოდა.

ეცემოდა, დგებოდა გაჭირვებით, ისევ მიფორთხავდა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვედა გათოშლილი, უკვე უგრძნობელი და დაჩქლეთილი ფეხისგულებით... ზოგჯერ თავად ჩაცუცქდებოდა, შუბლს მოიჩრდილავდა — გზა ხომ არ მეშლებოო და კვლავ თვალმტკენ სითეთრეში, როგორც ბნელ ღამეში, გვირაბში ბრმად და ხელისცეცებით მიდიოდა...

შედგა.

ვიწრო, ციცაბო ბილიკი მაღლა — თარიზონის მთისკენ უხვევდა, ზედ თეთრად მოქათათე და მტრედისვით შემოსკუბებული დედათა მონასტერი რომ იდგა — ცისა და მიწის შემაკავშირებლად, სულისა და ხორცის შუამავლად... თუმცა, წინ უფრო ფართო გზა ედო და, ცხადია, გაცილებით შორსაც მიემართებოდა...

ლაკადის მთიდან ცოლ-შვილი ჩამოჰყავდა ჯოღორია ფაჟას.

სამი თვე მიიწურა, ჯალაბი მთაში

ნაცნობ მწყემსებთან გაეხიზნა და ახლა ქვევით, ბარში ჩამოდიოდნენ. საკუთარ სახლ-კარში.

ცოლი და ორივე გოგონა ცხენზე შეესვა, თვითონ აღვირი დაეჭირა ხელში და თავდახრილი, მწარე ფიქრებში ჩაძირული ჯოდორია პირუტყვს წინ მოუძღვებოდა; მუხლამდე თოვლს მოუკაფავდა, გან-გან და ხვავრიელად მოურღვევდა.

დიდი უბედურება შეემთხვა ჯოდორია ფაჟას. ეშმაკი შეუჩნდა და კაცი შემოაკვდა სიმთვრალეში, ჰო, ავსულებმა არ დაინდეს, გონება მაცდურად გაუქარჩხეს და... ყამა ატაკა ზურგში თარბი ყოლანდარისას, თითქმის არაფრის გამო ვადამდე გაუწონა. არა, აღრეც არ უყვარდა თარბი, მანამდეც ჩაწვეთებული ჰქონდა ყურში, თარბის ედგა თვალი მის ქალზე, რა თქმა უნდა, გათხოვებამდე და, არც კი იცოდა რატომ, მაგრამ თუ სადმე გადაეყრებოდა ძველ მეტოქეს, გულ-გვამს აუფორიაქებდა ხოლმე ეს ამბავი. თავად ქალს (ახლა საბანმოხურული რომ იგდა ცხენზე და ზურგს უკან უფროსი ქალიშვილი, წინ — უმცროსი ჰყავდა მკიდროდ მიხუტებული) ჰქონდა ნათქვამი: თარბის მოვწონდი, თეთრ ყაბალახსა და შავ ჩოხა-ახალუხში გამოკვანწული ჩამოსიერივებდა ხოლმე ჩვენს შარაზე დადიას მაყარვივით ცხენზე მედიდურად ამხედრებულთ... ვინ იცოდა, ასეთი უბედურება თუ მოჰყვებოდა მის ნათქვამს!

და ეს სამი თვე სამი სიტყვა არ დასცდენია ქალს ბაგიდან. დანაშაულს გრძნობდა ქმრის, მისი მსხვერპლის თუ ღვთის წინაშე და ცრემლებს ჩუმ-ჩუმად აღვარღვარებდა.

ჯოდორია ქალზე არანაკლებ დღეში იყო, თუმცა არც თავად იღებდა ხმას იმაზე, რატომ და რისთვის მოკლა თარბი, მაგრამ მეუღლის ასე განგებ მდუმარება უფრო აცოფებდა, რაიმე მაინც თქვას ამ მამამადლმაო, გულისგულში უღრენდა ხოლმე.

არადა. ბელი უნდა ყველაფერს!

მაინცდამაინც იმ დღეს, ჯეგე-მი-რონის დღესასწაულზე შეეჩეხა ჯოდორია დურს... შეეჩეხა, ისედაც უხასიათოსა და აღრენილს, კარგა შემთვრალსა და შარის მძიებელს, ეშმაკის თვალახვეულსა და გაბრიყვებულს.

ჯოდორია შედგა, კბილები გაუკრაქუნა თარბის, თან, ყამა მოსინჯა, თითქოს აქავებული ხელისგული შეაფხანა...

თარბიც ნასვამი იყო და არც მას დაუხვევია უკან. პირიქით, უფრო გამომწვევად მოიქცა; ფართო ბეჭები შეარხია, ბაგეზე ირონიული ღიმილი გაუკრათა...

ამ დროს თაიელებმა შენიშნეს მოქიშენი და იქვე, საუჯუნო მუხის ძირას, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიიწვიეს.

შელამებამდე გაგრძელდა ქეიფი.

ჯოდორია წამოდგა. ხევს ჩაჰყვა, მერე ქვევით, ეკალბარდებისკენ გადაუხვია.

უკან რომ მობრუნდა, შუა გზაზე თარბი შემოეფეთა.

შედგნენ, კიდევ ერთხელ და მოურიდებლად აწონ-დაწონეს ერთმანეთი.

ჯოდორია ფაჟა იყო და ვის რას შეარჩენდა, უხსენებელს გაუსწორებდა მზერას ისე, თვალს არ დაახამხამებდა... მაგრამ, არაა ახლა მაგისი დროო, გაუელვა, თან მეტოქის შვილიდევით მომართულმა სხეულმა და უდრეკობამ არანაკლებ შეაშოთათა, წამით უქუიქცა...

— რა გვაქვს, თარბი ჯიშია,* გასაყოფი... შეგრიგდეთ, — ხელი მოულოდნელად გაუწოდა.

— ხელი თუ გადაიბანე, ჯოდორია? — დონიჯშემოყრილმა თარბიმ წარბი აუწვია.

ჯოდორია გაშრა... თუმცა, ხელად მოეგო გონს: ჯერ არაო, უარის ნიშნად თავი გადაუქნია და მზაკერულად გაუღიმა.

— ჩავიდეთ, ერთად გადავიბანოთ... თქვა ერთბაშად გამოფხიზლებულმა ჯოდორიამ და მიეახლა, მკლავში ხელის გაყრა მოუნდომა.

* ძამია.

— მაშინ მეც მოვილევ...

ჩაიბურტყუნა თარბიმ და ეკალ-ბარ-
დისკენ გაიწია, თვალბამღვრეულ ჯო-
ლორიას ზურგი შეაქცია.

და... მანაც არ დაახანა, ყამა ატაკა
ფართო ბეჭებშუა და ნემსივით წამა-
ხულმა წვერმა მკერდამდე უწია...

იბღავლა თარბიმ და, თითქოს წელში
ერთბაშად გაწყდაო, მხრებყარილი აღ-
მა აიღრია და მშვილდვით მოირკა-
ლა... მობრუნება კი ველარ შეძლო,
ვერ გამოხედა უკან ცქაფად გამხტარ
ჯოდორიას, წინ, ეკალბარდში ჩაემხო
ყამაგაყარილი, მერე ერთიც ამოიხრო-
ტინა და გათავდა.

... თავჩაქინდრული და ფიქრიანი,
გულდამძიმებული ჯოდორია ფაჟა ლა-
კადიდან ჩამოდიოდა, ცოლ-შვილს
თოვლს გამეტებით მოურღვევდა.

ადამიანის სისხლი ეცხო ხელზე და,
რა თქმა უნდა, თავს დამნაშავედ გრძნო-
ბდა. თავიდან საკმაო შიშიც ჰქონდა.
მართალია, არავინ დარჩენოდა თარბის
ისეთი, შური რომ ეძია, მაგრამ... ცო-
ლისძმები რომ არ თმობდნენ! სამურ-
ზაყანოშიც კი გადასულან თურმე მის
საძებნელად და, რას გაუგებდი, იქნებ
თავადაც გაემზადებინათ საიძქვეყნოდ!..

დაზრდილები მაინც იყვნენო, თავის
გოგონებს გაიხსენებდა და თავს მწა-
რედ გადაიქნევდა, თითქოს ეს აწუხე-
ბდა მხოლოდ, მათი უმამოდ დარჩენა
უკლავდა გულს, და არა — სული რომ
იყო ტკბილი, ყოფიერებას გააფთრებუ-
ლი რომ ებღაუჭებოდა, ის კი: სხვას
მოუსწრაფა სიცოცხლე, მასაც რომ
დარჩა გაუბედურებული, მოხუცი დე-
და და ახლავაზრდა, ორსული მეუღლე,
ამაზე არც ფიქრობდა. კი, კაცი მოკლა
და, ერთი შეხედვით, როგორ არ იცო-
და, რა ცოდვის მტკივრთველიც იყო,
დანაშაულის შეგრძნებას აუწვრიალებია
ხოლმე, ძილგამტყდარი და შეშფოთე-
ბული წამოუგდია ლოგინიდან, მაგრამ
იმ აზრს მაინც ვერ შეჭკუებოდა,
ვთქვათ, თავადაც მსგავსი სიმკაცრით
დასჯილიყო.

ეს... ეგ მინდოდა ახლა მეო, დაიჩი-
ლებდა მარტოკა და გულგვამშედრულ
თითქოს სხვა ვინმე იყო დამნაშავე და
არა თვითონ!

ამიტომ, იმ უბედური შემთხვევიდან
ორმა თვემ რომ გაიარა, ცნობილი მე-
ჯოგეები — კვარაცხელიები მიუგზავ-
ნა თარბის უფროს ცოლისძმას, ჩონ-
თას: ვიცი, რა დანაშაულიცა მაქვს, მა-
გრამ ჩემი დასჯითაც არაფერი შეიცვ-
ლება. უმჯობესია, სისხლი გამომასყი-
დვინოთ, დაზარალებულის ოჯახს მიხე-
დვა სჭირდებაო, შეუთვალა.

კვირის თავზე თავად ჩონთა ამოვი-
და ლაკადაში, კვარაცხელიებთან და
ორმოცი ხარ-ძროხა მოითხოვა.

მეჯოგეებმა ბევრი შეძლეს, თვრამეტ
სულზე დაიყოლიეს „დაზარალებულ“.

არც თვრამეტი სული იყო ცოტა, მა-
გრამ რა ექნა, ადამიანის სისხლი ელო
ვალად. სხვა თუ არაფერი, დღე სოფე-
ლში თამამად ველარ გაივლიდა მოსის-
ხლეთა შიშით. არც სოფელი გაუხს-
ნიდა გულს ცოდვილ კაცს. მათ ჰირსა
და ლხინს გამოაკლდებოდა, საერთო
წისქვილში ფქვილს ვერ დაფქვავდა,
პირჯვარს ვერ გადაიწერდა სხვის
თვალწინ, სანამ მოსისხლეს ოჯახს არ
შემოირიგებდა, ან განგებისგან დაწე-
სებული საღვთო სასჯელის დრო არ
გაივლიდა...

ჯოდორია დათანხმდა, ოღონდაც შე-
მოდგომამდე მადროვოსო, ითხოვა.

სიმამრმა, მხარში ამოვიდგებო, შე-
მოუთვალა. ზუგდიდს, უფროს ძმას-
თან კაცი გაავაზვნა და სამი ხარი და
ერთი მეწველი ძროხა იქიდან შეიპირა.
არც თვითონ უჭირდა მაინცდამაინც,
წელგამართულ გლეხად ითვლებოდა
სოფელში.

ოღონდ ამ ამბიდან მშვიდობით გა-
მოვიდე და ცოცხალი კაცის საშველი
მუდამ არისო, იმეორებდა ხოლმე გუ-
ლში და პირჯვარს მალულად იწერდა.

სოფელში რომ შემოვიდნენ, მამლებ-
მა მეორედ იყიველს.

კარგ დროს მოვედიო, გაიფიქრა ჯო-
ლორიამ.

არ უნდოდა, ვინმე სულიერი შესწ-
რებოდა მის გამოჩენას და ცხენი მაინც
ააჩქარა.

აგერ, მოსახვევს გასცდებოდა და,
ორ ნაბიჯზე იყო მისი ოდა-სახლი, უკ-
ვე სამი თვის გამოკეტილი და უპატრო-
ნოდ მიტოვებული.

გაპარტახდა, ალბათ, ყველაფერიო,
სახე მოელრუბლა ჯოლორიას, მაგრამ
იმდენად დაღლილი და გულდამძიმე-
ბული იყო, მეწყერსაც წაულიაო, ხე-
ლი უგუნებოდ ჩაიქნია.

ცხენი ჭიშკართან შეაყენა.

ჯერ უფროსი გოგო ჩამოსვა, მერე
უმცროსი და ხელი რომ გაუშვა, ნახე-
ვრად მძინარი ბავშვი თოვლში ჩაჯდა.
შეეცოდა და ისევ ხელში აიყვანა, თან
ცოლს შემოუბღვირა: შენც რა, მოხმა-
რება ხომ არ გინდაო?!

ქალი ცხენიდან გადმობობდლა და
— საბანი ჩამოუცურდა და მას მიჰყვა
თუ დაბუთებული ფეხის უზანგიდან გა-
მოღება დროულად ვერ მოასწრო —
თოვლზე რბილად, საბნიანად დაეცა.

— ვაი შენს პატრონს!

ისევ შემოუბღვირა ჯოლორიამ.

ქალი დარცხვენილი წამოდგა.

ქმართან მივიდა, ბავშვი გამოართვა,
მკერდზე მიიკრა და ეზოში შევიდა.

უფროსი გოგონა უკან ბანცალით მი-
ჰყვა დედას.

თავდახრილი ჯოლორია ცხენს თავ-
ლისკენ წაუძღვა.

უცებ მეუღლის შემზარავი კივილის
ხმა მოესმა და კაცი ადგილზე გაქვა-
ვდა.

რა უნდა მომხდარიყოო, შეშფოთდა,
თან მზერა თოვლით გადათეთრებული
ყანისკენ გაქეცა...

ეტყობა, რალაც მომიწყვეს ლაგვი-
ლებმა და ხომ არ გავიქეცეო, გაუელ-
ვა კიდეც, მაგრამ თავისი პაწია გოგო-
ნები გაასხენდა და უმალ უქუადლო,
მათი სხარსხალიც ჩაესმა ყურებში და
ხელი ყამაზე იტაცა, ოდისკენ თავგა-
მეტებით გაიქეცა...

ბავშვობატიებული ქალი და უფროსი
გოგონა მისკენ წვილ-კივილით გაემ-
რბოდნენ.

სამივე ცოცხალი და უვნებელი რომ
ნახა, შედგა, უღრიალა:

— რა ამბავია, ქალო?!

ქალმა ბავშვი თოვლზე დააგდო, ლო-
ყებზე ხელები ჩამოისვა, ჩამოიხოკა...

— დიდუ, ჩქინიშენი, ჯოლორია, დი-
დუ!!*

ჯოლორიამ წინ წაიწია... წაიწია და
თვალეებზე ხელები აიფარა, რეტლასხ-
მული და ხმა, სუნთქვა ყელში ჩაფხრე-
წილი შექანდა, შებარბაცდა...

ფაქავების ოდა-სახლის ღირებზე თე-
თრი ყაბალახით ჩამოკონწილებული
დედაბრის ჩხერკო, გაფიჩხული, შიშ-
ველტერფება ძალად ჩამოქაჩულივით
სხეული ეკიდა და ოდნავ, სულ ოდნავ
ირხეოდა...

5.

გუძა ბაზრის კარამდე მიჰყვა მაშუ-
რიას და დედამისს, ახლოს მისვლა კი
ვერ გაბედა.

არც უნდა მისულიყო! მაშურიამაც
ხომ შენიშნა; მისი ნახვით თვალეგა-
ბრწყინებული, მერე და მერე უკან
უილაჯოდ ადევნებული ბიჭი. კი, ქა-
ლმაც რამდენჯერმე მალულად გამოხე-
და, გაუღიმა თავისებურად, გაფანტუ-
ლად და, გუძაც რომ გათამამდა, მაშინ,
არ მოვიდესო და, ფეხს აუჩქარა, უმალ
დედას მიეწია, ერთი ნაბიჯითაც გადა-
სწრო და, ვითომც არაფერი, წინ წაუ-
ტუსტუსდა, — მრგვალი, ჩიკორა, ჩა-
პუტკუნებული... ახლაც ის უსახელო
და მოკლე კაბა ეცვა.

გუძას გული ეტკინა და გაჩერდა.

არადა, მას შერე ორჯერ მიაკითხა სა-
ხლში მაშურიას. უფრო სწორად, პირ-
ველად მეორე დღეს, რომ შედამდა,
ეზოში ქურდულად შეიპარა (არც იხე-
დებოდა შორღიების სახლისკენ. იმი-
ტომ კი არა, მათზე ნაწყენი იყო. არ
მიცნონო, ამისი ეშინოდა, თითქოს ვი-

* ვაი, ჩვენს თავს, ჯოლორია, ვაი!



ნმე ჩოხის კალთას ჩამოახვედა) და კარზე დაუკაკუნა. მოხუცმა ქალმა გამოიხედა. რა გნებავთო, მკაცრად ჰკითხა. მიხვდა, მაშურისა და დედა იყო, თავად კი არ ჩანდა და, შორდიების ნათესავი ვარო, ესლა მოაფიქრდა. შორდიების სახლი ის არისო, თქვა მოჭრილად, თან მათი სახლისკენ ისე ცივად მიანიშნა, ეტყობა, გულმა აშკარად უგრძნო დედაბერს, ბიჭი ვისაც ეძებდა და — შინ არც იქ არიანო, დაამატა.

მადლობაო, ჩაბუბრტყუნა გუძამ და ჰიშკრისკენ წელმოწყვეტილი გალასლასდა.

დღეს შემთხვევით შემოხვდა დედაშვილს ქუჩაში და აედევნა.

კაცმა რომ თქვას, ვინ იყო ან რაში გამოადგებოდა გუძა მაშურისა, მასზე რომ გადარეულიყო და მოსიყვარულე ცოლივით ჰიშკართან თვალბგაცისკროვნებული დალოდებოდა; ასე ბედშავსა და არაფრისმქონეს, მკვლელიც რომ იყო და სოფლისგან მოკვეთილი, დევნილი... აქ, ამხელა ქალაქში ვინ უნდა მიცნოსო, თავი სამშვიდობოს რომ ეგონა, მაგრამ თუ გაუგებდნენ, ვინც მოკლა და სული რა ცოდვითაც დაიმძიმა, ციხეში ამოალბობდნენ უბედურს.

იმ ღამესაც ხომ წაიკნკლავდნენ გუძა და მაშურია!

დამცხრალი, გულმოჭარებული ქალი დროდადრო თბილად, კერის ნაცარში ჩათფუნებულ კატასავით ტახტზე კრუტუნებდა...

ბიჭიც სულგაკმენდილი და კმაყოფილი იყო.

გამთენიისას, როცა ფანჯრების მუქმა, გასანთლულმა ქალაღდებმა ველარ შეიკავეს ნათელი და ოთახში საგნებს ფერი და სიმკვეთრე დაუბრუნდათ, გუძა ახლა თუ შენიშნაო, მაშურია მოულოდნელად წამოიწია — როგორ ყარხარო, აიმრიზა, თან ცხვირზე ორი თითი წაიჭირა და, გაგუღულივით, ყელიდან რაღაც სასაცილო ყიპყიპი ამოუშვა...

გუძა გაცეცხლდა და, თავისდა უნებურად. ისე მწარედ სტიცა თითებ-

მომუჭულ ცხვირ-პირზე გაშლილი ხელისგული, ქალი კედელს კეფით მიაწყდა, შისიკვდილდა...

ბაზრის შესასვლელი ხმაურიანი იყო. ქალაქის მოსახლეობის სიჭრელეს ყველაზე მეტად აქ იგრძნობდი. სხვადასხვა რჯულის, ეროვნების, ენის თურქმენის ადამიანების ხმა-ყავანი ერთმანეთში იყო ათქვეფილი და არც არავის უევირდა. ან კი სად ეცალათ! ყველანი ჩქარობდნენ, გარბი-გამორბოდნენ — ფართო შესასვლელში აწყდებოდნენ უსიტყვოდ, ბუზღუნ-ბუზღუნით, თამამად... ვინ ტომრებით, სათრიელით, ურმით ჩაქედავდა ხოლმე ბაზრის კარს და ასე, დილიდან დაღამემამდე ხმაურობდა, დულდა, ზიმზიმებდა იქაურობა...

გუძასთვის უკვე ნაცნობი იყო ბაზარი, მისი ახლომახლო შემოგარენი.

გუშინწინ, დღისით-მზისით ქურდობაც კი გაბედა... თითქოს სხვა გზა არცკი იყო! ხომ უნდა ერჩინა თავი, მაგრამ რით და როგორ? იქნებ ღამის მგზავრი გაეძარცვა ქუჩაში, თავში ჯოლოკეტი ან ქვა ჩაერთყა, გაებრუნებინა... არა მართო დღეს, მერეც, ასე წაგლეჯ-ტაციობით, ტურასავით ფრთხილი და გარე-გარე სუნსულოთ, ავკაცობით უნდა ეცხოვრა. ასეც მოიქცა. ერთ დედაბერს დაადგა თვალი, აქეთ-იქით უწრიალა და საღამო ხანს, ბაზარი საგარანობლად რომ შეთხელდა — ზედ ჰიშკართან აწაპნა ორი თუ სამი წველა ყველის ფული...

დედაბერმა იკვილა...

ვიღაცის ბოხხმიანმა შეძახილმა — არიქა, დაიჭითო, ფეხდაფეხ გამოსდია, ორ ნაბიჯზე შემოფეთებული ბიჭბუჭების სტვენა-სიცილმაც...

გუძა კი გარბოდა: შეუინებული, ფეთიანი, დამდღურული ძალღივით განგან, მაგრამ (რახან შედეგისი გამოდგა მისი ასეთი სითამამე) თავგანწირვით, ერთობ ყოჩაღადაც, მუხლებიდან ქარამოღებული და, უკვე სამშვიდობოს — ტობაწყურზე გასული, — შეშფოთებით უჭერდა ხელს ცხვირსახოცზე

გამოკრულ ხურდა ფულს, ხოლო დედაბრის მწარე შეკვივლება თუ ქუჩის ყაყანი, კვლავაც ყურებში უქაღვლიდა..

გუშინ ბაზრის მხარეს არ გამოჩენილა. არც დღეს აპირებდა, მაშურია და დედამისი რომ არ დაენახა. არა იმიტომ, რომ ეშინოდა, პირიქით, კმაყოფილიც იყო გუშინწინდელი მოხერხებითა და სითამამით. პატარა ამბავი კი არ იყო! ახლაც უჩხრიალებდა ჯიბეში ნაქურდალიდან შემორჩენილი კაპიკები...

ბაზრის შესასვლელთან, რკინის ცხაურებიანი ღობის გაყოლებით: მაწანწალები, მათხოვრები, ხეიბრები ისხდნენ მზეზე, ქვაფენილზე ჩამწკრივებულები. მაწანწალების თავში, თითქმის ბაზრის კართან, მოხუცი ხეიბარი იჯდა ყოველთვის. მოხუცს მარცხენა ფეხი მუხლზემთ ჰქონდა წაჭრილი და ხელის თითები (ისიც მარცხენა) ბოლოებში წასხებილი, ხელი ჩოგანივით მომრგვალებოდა და ზედ მარტო ცერილა შერჩენოდა. ეტყობა, ყველაზე მეტად მას სწყალობდნენ ამველ-ჩამველნი. გაზინთულ, უკვე ჩვრადქცეულ ქედში ბლომად ეყარა წვრილი ფული...

მოხუცი ხეიბარი ერთობ უცნაური ვინმე იყო. თავად გუძამ აღმოაჩინა ეს და ახლაც უკვირდა. იმ დღეს, სანამ დედაბერს ნავაჰრს წაპვლეჯდა, მათხოვართან მაღალი, მხარბეჭიანი, შავთმაწვერულვაშიანი ახალგაზრდა მამაკაცი მივიდა. ახლობელივით გამოელაპარაკა ხეიბარს, მერე ჯიბეზე გაიკრა ხელი და ხურდით სავსე მუჭი ააჩხრიალა. ხეიბარმა თითქოს იუკადრისა, უარის ნიშნად თავი სამჯერ გადაუქნია, მაგრამ შავთმაწვერულვაშიანი რომ არ მოეშვა, წასხეპილითებიანი ხელისგული ქუდს გადააფარა. კაცმა იწყინა, მერე იმოღენაზე გაიცინა, თუ ვინმე იყო ახლომახლო, ყველამ მათ გამოხედა. ხეიბარიც კი იცინოდა, თუმცა ქუდს ხელს მაინც არ აშორებდა.

ახლოს ხომ არ მივსულიყავიო, გაიფიქრა, თან თავის „საკვილოსაც“ გახედა. დედაბერს ყველი გაეყიდა, ფულს გულდაგულ ჰკრავდა ცხვირსახოცში და

ისიც გან-გან, მათხოვარ-წვეროსნისკენ კისერმოღრეცილი, დედაბრისკენ მივიდა.

ხეიბართან ხმელი, ძაძითმოსილი შუახნის ქალი შედგა. დაიხარა, საღი ფეხის ბარძაყზე ქალაღდის ნაგლეჯში შეხვეული რაღაცა დაუღო მათხოვარს, პირჯვარი მეყვსეულად გადაიწერა, მერე თავსაფარი პირზე აიციდინა, აიკრა და შესასვლელში გაუჩინარდა.

მოხუცმა ცქვიტად გახსნა მოსაკითხი, თვალები მადლიერებით აღაპყრო და სიცხეში დამჩნარ, ტვერადლებილ ჰაერს უაზროდ შეჰლიმა. მერე გამხმარი პურის ყუას და ყველს ისე ხარბად ეძგერა, გუძას ნერწყვი მოადგა და თავი განზე იბრუნა.

არა, დედა ახლდა და მოერიდა, თორემ სალამს როგორ დამამადლიდაო. ფიქრი მაშურიიზე გადაიტანა.

მართლაც, რატომ არ უნდა მისალმებოდა მაშურია? განა თავად არ მიიპატიუა შინ, დანაყრა, მერე ტახტზე ძალად შემოუბობლდა და კინაღამ ხვევინა-კოცნით გაგუდა... კი, დილით გაუბრაზდა გუძა და ისე მწარედ ლეწა ცხვირ-პირში, სისხლი თქრიალით წასკდა საწყალ ქალს, მაგრამ ეგ თითქოს არაფერი, ყველაზე მეტად იმან განაცვიფრა, გასაქვევად აშურაშურებულს მაშურიამ მაჯა რომ დაუქირა და არ გაუშვა... ქალი რაღაცას თხოვდა, პატიების მაგვარს და გუძაც კვლავ ტახტზე ჩამოუჯდა, არ გაუძალიანდა. ის კი არ ეშვებოდა, შემებრალო, უკვე ტანზე ეკვროდა, ცრემლით ყელს უღობოდა, კოცინდა ვაოგნებულს და მანაც ძლიერად, მონატრებულებით მოხვია მკლავები...

და, ის ცხელი, გახელებული ამბორი თითქოს ამ წუთას ეგემა, ბიჭს გააფრეოლა და წელში ნეტარებით გაიდრიკა...

დღეს ხეირიანად არც შემოუხედავს მაშურიას და გაუკვირდა, თუმცა რას გაუგებდა გუძა ქალს, ისიც ქალაქელს...

მისმა მსხვერპლმა — ბაგიმ თქვა ერთხელ: ბაბუაჩემი, მიქე გვაგვალია

იტყოდა: ქალი ყველა ერთია, ბაბაია, მხოლოდ სახელი და გვარი აქვთ სხვადასხვაო... და ახლა ამის უფრო სწორად — გვაგვალის გახსენებამ მოჰგვარა ბრაზი.

ვიღაცამ მხარი უხეზად გაჰკრა... გუდა განზე მკვირცხლად გახტა, ცხაუკს აფერა.

რას დარტობილხარ სარივითო, შემოუბღვირა უღვაშებგადაწყვილიმა, ხაკისბლუზიანმა შუახნის მამაკაცმა. დამფრთხალი, მაგრამ ზღარბივით აძაგრული, თვალემაღღრეული ბიჭის მზერას რომ შეეფეთა, ხაკისბლუზიანი შეერთა: ვინ ოხერია, კაცო? — გაიკვირვა, ტუჩები ზიზლით მოპრუწა და აჩქარდა.

გუძამ ადგილი მოინაცვლა. ხეიბარს სადილი მოემთავრებინა.

ამჯერად ვიღაც კაცი ედგა წინ; სუსტი და კაფანდარა იყო, წვრილი და ხელიკის კანივით დანაოჭებული (ხელიკისფერიც!) კისერი ჰქონდა და გუძაც, დანატერესებულივით, მის უკან აისვტა. კაფანდარას სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ თუ ჩაცმულობით ვიმსჯელებდით, ხეიბარზე არანაკლებ ჩამოფლეთილი ჩამოძონძილიყო. ცალი შარვლის ტოტი კოკს რომ უფარავდა, ცალი — მუხლს ვერ უწვდენდა. გაუბედურებული ვინმე იდგა და, თუ მათხოვარი ხეიბარის ტოლ-სწორი არა, ყველაზე დიდი — გამოუსწორებელი ლოთი მაინც უნდა ყოფილიყო ან ერთიც და მეორეც.

ხეიბარს თავი ქედში ჩაერგო და შიგ გულმოდგინედ იქექებოდა. გვიან ამოხედა კაფანდარას, თან სალი ხელისგული ამოუბრუნა და ხურდა ზედ გაუშალა, მერე კიდევ ერთხელ, ტუჩების ცმაცუნით გადათვალა ფული და გაუწოდა.

უცნობმა ფულს მუჭი ცქაფად შეაგება, თითები მოკუმბა და, არ გადაიფიქროსო, სწრაფად იღურთა ჯიბეში, მერე რაღაც წაილულლულა, ორივე ქუსლზე ერთბაშად შეტრიალდა და მოკურცხლა.

— ეი!

ისე ხმამაღლა გამოუვიდა ხეიბარს, გუდა შეერთა.

კაფანდარა შედგა, თუმცა გვიან, ერთობ დაეჭვებული, შეფუცხუნებული სახით მოტრიალდა, თან უფრო ღრმად ჩაიყო ხურდაჩაბლუჭული ხელი ჯიბეში და ასე, ცალ მხარჩამოვარდნილი გაიყინა.

— არაფერი... — ხეიბარს ხმაში სინაზე გაერია. გაიღიმა, მერე თითებწასხებილი ხელის ცერით შიშველი თავი მოიფხანა და კატის ბალანივით თხელი, უფერული თმა შუბლისკენ ზედიზედ წაიტკეპნა, — ხვალ ამ დროს, არა?

— კი-ი...

პატარა კაცმა საცოდავად დაიწრიპინა და ხეიბარის წინ უშნოდ აწოწილი უცნობი ყმაწვილი რომ დაინახა, მთლად ჩამოუვარდა მხარი, ჯიბეც უსაშველოდ გამოებერა, მერე მარცხენა ფეხი შიშველ კოჭზე აიციცა, წვივი ჩაიფხანა და ასე, ცალ ფეხზე დატრიალებულმა, უმალ, მკვირცხლად მოცოცხა.

ხეიბარმა თავი ისევ მოიქეპა... ახლა შენიშნა გუდა — პირზე მოჩერებული და თვალემაღღრეული, და აცმუქდა, მერე, ცოტა არ იყოს, ზედმეტად კმაყოფილი გაიბადრა.

— ძველი მეგობარია, კაცო-ო! — სიტყვა გაწელა, ენა გააწკლაპუნა, — სამი შაური ვასესხე. ხვალ მომიტანს, — ფართოდ გაუღიმა და უკბილო, ქვედა ტუჩგაცრეცილი პირი დაუბჩინა.

გუძამ უცებ ვერც გაიგო, რაც უთხრა და კისერი კითხვით წაიგრძელა, მერე კი დასცხა, კეფაც აეწვა, ჰაერი ძლივს, დარტყანიებული ქათამივით ხინ-ხინინით გადაიციინა ყელში... მართლაც, პირკატა თუ ეცაო, გაოგნებაზე, სიცბეზე მეტი იყო ეს გრძნობა, ანუ რაღაც ამაღელვებელი და დამორგუნველიც და, ვერც ვერაფერი რომ თქვა, ვერც მოაფიქრდა, თვალეში უტიფრად მოჩერებულ ხეიბარს მზერა

ზაურ კალანდია
ბანი მისამი

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. ბიბლიოტეკა

აარიდა, შეტრიალდა და ბაზრისკენ გაჩქარდა.

— არ გაინძრე, თორე გავათავე, გუძაია ძაღლის გაგდებულო!

საიდანღაც ჩაესმა... ჩაესმა კი არა, ყურს უკან აფეთქდა ეს ავის მომასწავებელი სიტყვები, უმალ რომ დასკდნენ, დაიშალნენ და ცხვირ-პირი მოუტრუსეს თავიანთი ცივი, ლორწოვანი საცეცებით... ტანში ქრუანტელმა დაუარა.

გონს მოსვლა ვინ აცალა! მწარე მუჭლუგუნი მოხვდა ფერდში და, თითქოს ფეხებშუა ხელიკების ჯოგი გაუსხლტაო, შეხტა, მერე ერთ ადგილზე გაქვავდა და გადაფითრდა.

არადა, რა ნაცნობი ხმა იყო, ათასგზის რომ სმენოდა და, მისდა უნებურად, სულ-ხორცი მანამდეც დაუზაფრავს. იქნებ ხმა მომეყუროო, გაუელვა და ამ აზრს გულუბრყვილოდ ჩაეჭიდა.

— მარცხნივ წადი!

ამჯერად უფრო მჭახე, დამცინავი ხმა მოხვდა ყურს და თავგზა მთლად აებნა... ისედაც რა იცოდა, საით იყო მარცხნივ თუ მარჯვნივ... რომც ცოდნოდა, როგორ უნდა წასულიყო, როცა ფეხები აღარ ემორჩილებოდნენ.

— წადი-მეთქი!

ისევ ჩაესმა და საბოლოოდ მიხვდა, ვინც ედგა უკან. მერე კვლავ მოხვდა მათუზერის ლულა, კინაღამ ზურგის ძვალი არ შეუღლეწა და, გონსაც მოეგოო, მარცხნივ თუ მარჯვნივ, გაუზარებლად წაფრატუნდა.

ბავი გვაგავალია რომ დაასაფლავეს, მეორე დღეს ყალმათი ყურუა ტობა ქალაქში იყო ამოსული. საიდუმლო ცნობა მიეღოთ სოფელში, მკვლელი ქალაქში იმალებათ და, რაც არ უნდა დაჯდომოდან, მისი პოვნა ჰქონდა გერა შავდაიგან დავალებული.

მიწაში რომ ჩაძვრეს, ვნახავ და ორ დღეში აქ მოვაპროწილებ მაგ გველის წიწილასო, ჩვეულებისამებრ, „ყალმათისეული“ სიტყვა დაიბარა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცოტა იჩქარა.

რა და როგორადაც არ უნდა ყოფი-

ლიყო, ცხადია, თავად გუძას ჰქონდა საკუთარი დანაშაულის სიმძიმე რებული. ბოლოს და ბოლოს, კაცზე (ისიც მთავრობის) აღმართა ცული და მოკლა... დასჯა არ ასცდებოდა, არც მდევრები აკლდნენ, ალბათ, და ის — თუ არ იქურდებდა, ძაღლივით შიმშილით ამოხდებოდა სული, ეს არ იყო ერთადერთი და მთავარი. მართალია, უფრო ფრთხილი, ურიდალი, მარჯვე, მზაკვარიც (მარტო ის კმაროდა, დედაბერს რომ წაართვა ფული გუშინწინ და იმისი ნარჩენები ახლაც უჩხრიალებდა ჯიბეში) გამხდარიყო, მაგრამ დღეიდან მაინც მგლის კანონებით უნდა ეცხოვრა, კბილები უნდა აელესა, არ შეშინებოდა არაფრის... თითქოს ასეც იყო! აყაყანებულ ბრბოში თუ ბაზარ-ბაზარ, ღამით ამოვსებულ ქუჩებში, ტობაწყურის სანაპიროზე თუ ქალაქის დანგრეულ ციხე-კოშკებში უკვე საკმაოდ ფრთხილი, ფხიზელი, თამამი და თავისნება დაძვრებოდა...

მალე ყალმათი ყურუაც მიხვდა, „მაგ გველის წიწილის“ პოვნა არც ისე იოლი იყო, მოხვედრით ხომ არ მყავდა ქალაში პალოზე დაბმული, ორ დღეში რომ ვთქვიო, პირიქით, თავის სულმოკლეობაზე იყო დაბოღმილი.

და, ყალმათის ქუჩა-ქუჩა უსაქმოდ ყალიმა (გულზელდაკრეფილი ვერ დაჯდებოდა, არც გუძა მოაკითხავდა აქეთ, ცხადია!- თავი არანაკლებ მოაძულა. დღეს კი, იმედგადაწურული, პირშერცხვენილი ყაზახი სოფელში რომ აპირებდა მიბრუნებას, ბიჭი სწორედ მაშინ, იღბლად, ბაზრის კართან შეეჩეხა...

ყალმათი ყურუამ სიტყვის გატეხა არ იცოდა. რა დავალებაც არ უნდა მიეღო უფროსებისგან, მუხად იყო, საკუთარი სიცოცხლეც დაუფიქრებლად შეეწირა. მაგრამ გუძას პოვნა ისე გაჭირდა, საშინლად გაღიზიანდა. კაცმა რომ თქვას. როდემდე? თევობით ხომ არ ჩაწყვებოდა ამ ქალაქში თითქმის უსახსროდ დარჩენილი, ნახევრად მშვიერ-მწყურვავი კაცი?! ყველაზე აუტანელი მაინც



უსაქმობა იყო! განა „იმ ლაწირაკის“ დევნის მეტი არ ჰქონდა ამ ქვეყნად! ეხ, ჰქონდა და მეტი არა! მტერი, აქაოდა, დაემარცხდით, არაფერს თმობდა და ორივე მხარე, ჩინჩხვარშეკვეთილივით, ისევ წვიპზე იდგა. თუმცა დღეს სხვა დღეც იყო და მათთვის არც სცხელოდა ყალმათის. ამ დღით ისეთი ამბავი გავგო, კაცი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

გუშინდამ ვაფიშვილი შესძენოდა ყურუს. ბავშვი, მართალია, დღენაკლული დაბადებულიყო, მაგრამ ნუ იღარდებს, ჯანმრთელიაო, შემოუთვალეს და მის უდღეობას რას დეძებდა.

მაინც რა ყოფილა შვილი, ისიც პირველიო, სახეგაბადრული მილაყუნებდა ყალმათი ქუჩაში და ის უფრო უკვირდა — რატომ უვლიდნენ გვერდს დუმილით ადამიანები; მხარზე ხელს არ უტყაპუნებდნენ, ყურს არ უწევდნენ სიხარულისგან დამდნარ მამას. ბაზარშიც იმიტომ შემოიარა, იმ ორიოდ შემორჩენილი კაპიკით მეუღლისთვის რაიმე საჩუქარი ეყიდა და გაეხარებინა.

ხეიბარი მათხოვრის წინ ატუზული გუძა შორდია რომ დაინახა, მოულოდნელობისგან გაოგნდა, თვალებს არ დაუჭერა, იმავწამს მემკვიდრეც დაავიწყდა და ცოლისთვის განზრახული საჩუქარიც. აბა რა! ამ ლაწირაკის გამო ეყუდა აქ, ეს ათი დღე ფეხზე ჩექმაც რომ არ გაეხადა და: სად ვათრევ, როცა ვნახავ, იქვე გავდღლებ შუაზეო, გუშინ-გუშინწინ ცოფებს რომ ჰყრიდა, აგერ ისიც...

„ნუთუ მომკლავს?“ ფიქრმა ელვის სისწრაფით გაუელვცა ბიჭს გონებაში და ციებიანივით გააძაგაძაგა. არადა, ჯერ უკან არც მოეხედა, მაგრამ ხომ იცოდა, ვინ ჩადგომოდა კვალში... ყურუსას გამყინავ ხმას, წვიპზე შეყენებული მაუზერის გამო, ვისთვის არ შეუქრავს კრიჭა. სოფელში გამორჩეული ბევრი ყაზახიც კი აქეთ-იქით თხებივით გაუფანტავს...

მის მეუღლეს, გუშინდამ შვილი რომ აჩუქა ყალმათის და გააბედნიერა. მე-

ზობლის ქალები პირს არიდებდნენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა თალიკო ჭინჭალზე სარეცხს ჩაიტანდა. ჰმ, რატომღაც ყველას ერთბაშად მოაგონებოდა ისეთი რაღაცა, რომ სახლებში დაფეთებულები და თავსაფრით პირაკრულები გაიჩქაროდნენ. თავად დასცდენია ერთხელ ქალს და, ალბათ, ამიტომ: ჩემი კაცის ხალათს სიკვდილის სუნს გამოხარშვითაც ველარ ვაცილებ, ჭინჭალვით კი არაო...

გუძა წამით შეყოვნდა, ხომ არ ვიქცეო, გულის ხმას მიაყურადა. თუმცა, იცოდა, ამაზე ფიქრი უაზრობა იყო. რას დაგიდევდა ყალმათი, ტყვიას დაიშურებდა მისთვის თუ რა! აგერ ა, ისე ახლოს იყო... მისი ქმენა, გაფიცხებული თონის ჰაერით, კინწზე იმდენად მოსწოლოდა, თითქოს გავარვარებული ნაცარი კეფაზე ეყრებო და კისერზე ხელი ფეთიანივით მოისვა.

— ხელი ჩამოუშვი და ისე წადი! შემოუღრინა ყალმათიმ. ბაზრის უბანი ისევ ისე ჰრელი, აყაყანებული, ბინძური და, ჩვეულებრივ, უსულგულო იყო. ვიღაცა ყვიროდა, ვიღაცა როხროხებდა, ვიღაცა ვიღაცას ეძებდა კუთხიდან კუთხეში და ამ ძახილში თავად საღდაც გარბოდა... ცალცალკე იდგნენ და ჯგუფ-ჯგუფად; უსაქმურნი, გულგრილი თუ შეწუხებული, მოფუსფუსე, საქმიანი სახის ადამიანები. ჰაერიც კი — საქონლის ბლავილით, თხა-ცხვრების კიკინით, ცხენის ჩონჩორიკის სუნით, მტერის ბულით, სიციხით იყო აქოთებული და დამძიმებული... დროდადრო ცხენიანი კაცის ჩრდილი ჩასხლტებოდა, ხელნა, ორთვალა ურემი ჩაიჭრიალებდა ქუჩაში, ბიჭის ბედი კი, ცხადია, ამქვეყნად სულიერს არ აწუხებდა და ეს ყველაფერი მასში თანდათან (დღეც ისეთი იყო — თაქარა, გავარვარებული... მზეც თითქოს განგებ, პირდაპირ შუბლზე ადგა და ტვინს უბურღავდა...), როგორც წესადნელი შიში — ელდად, ისე სულ-შემხუთველ უაზრობად, რაღაც ერთ

დიდ და გულისმარევე მასად ათქვეფი-
ლიყო...

ბაზარს კარგა ხანია გამოსცდნენ და
ახლა ქალაქის გარეუბანში — ერთმა-
ნეთს მიჯრილ და სახურავებჩაჭყლე-
ტილ, ბინძურ ქოხმახებს მიუყვებოდ-
ნენ.

წინ მაღალი და თხელბეჭება ბიჭი
— შუქი მეორე მხარეს თუ გასდევსო
— მილასლასებდა, მის უკან — აქო-
შინებული ზონზროხა ყალმათი მილა-
ყუნობდა ოკრობოკრო შარახე.

თფუ!.. მაინც როგორა დულს ყველა-
ფერიო, ყალმათიმ მათუხერი ბუდემი
ჩააბრუნა, დონდლო, გაოფლილი ხე-
ლისგულით კეფა გადაისრისა და წინმა-
ვალი კიდევ ერთხელ შეათვალიერა. იქ
მკედრებს აკლია ეგ საცოდავი, აქ —
ცოცხლებსო, სადღაც ყურმოკრული
გაახსენდა და — აქეთ საით მივიღვიარო,
თავად ჩაფიქრდა.

მართლაცდა, ამ ჩხინკი, შიშით სულ-
გაპარული ღლაპის ყურება საცოდაობა
იყო თუ, კაცმა რომ თქვას, დღეს ამის-
თვის სად ცხელოდა და, მისდა უნებუ-
რად, მკერდში რაღაც უცნაურად აუწ-
რიოდა ყალმათის, თუმცა: ეგ რა ქნა,
კაციო? — უმალ, ჩვეულებისამებრ,
აღშფოთდა, მაგრამ უკვე გულისგულში
გაძნობდა, ადრინდელი მრისხანება
და სიბრაზე რომ გასვლოდა. „ორ დღე-
ში ამოვაპროწიალებო“ რომ დაიბარა
და აქამდე ვერ იპოვა, ამაზე უფრო იყო
განაწყენებული. კი, ავერ ჰყავდა, მის
წინ წელმოწყვეტილი მიღვრანკალობ-
და ბავი უფროსის მკვლელი, თუმცა
გვაგვალიც ხომ... სხვათა შორის, თვით
გერა შავდია, მოკლულის თანამებრ-
ძოლი და ძმადნაფიცი იყო მეგობრის
საქციელზე საკმაოდ აღშფოთებული.
არ უნდა ეკისრა, ასეთი შეცდომები
ჩვენ არ გვარგებს, ამხანაგებო, იმავე
დილით კრება სახელდახელოდ მოიწვია
და საჯაროდ დაგმო გვაგვალის საქცი-
ელი. მაშინ ყალმათიც ამ აზრისა იყო.

მაინც ღირსეულად და პატივით დაა-
საფლავებს მიცვალებული.

სასაფლაოდან რომ ბრუნდებოდნენ,

გერამ ყალმათი დაიმარტოხელა და...
ჩვენ ძმა იყო, საქმის დიდი ერეხეულა,
ამხანაგი და უნდა მომიძებნო ის ლაწი-
რაკიო, საიდუმლოდ თხოვა. ხოლო
ყალმათი, რა ყალმათი იყო, შავდიას
თხოვნას ყურად არ იღებდა ან, საერ-
თოდ, თავს რომ შეირცხვენდა ამხელა
ნდობისა, უფროსობის თუ მოვალეო-
ბის წინაშე.

თფუი ეშმაკს! სად ეგ ლაწირაკი და
სად მეხისმცემელი ბავიო!

უაზრო ფიქრები, თავისდა უნებუ-
რად რომ მოჯარვოდნენ, უკვე მერამ-
დნედ მოიშორა და, ბიჭს საბოლოო
განაჩენი თუ გამოუტანაო, თავი ავად
გადაიქნია.

... იმ პირველმა ელდამ გუძას, რო-
გორც იქნა, გაუარა, თუმცა მუხლე-
ბის ცახცახს ვერა და ვერ იკავებდა. ეს
ნახევარი საათიც ხომ უსაშველოდ
გაწელილი, მიხვეულ-მოხვეული შარა-
გზა — დაუსრულებელი აღმოჩნდა. ყო-
ველგვარ ტანჯვაზე უარესი და მეტიც
იყო, ალბათ — ყალმათის კინწზე მო-
ბჯენილი მზერის ქვეშ სიარული და
თვალებზე ცრემლი მოადგა...

მაინც სად მივყავარ?.. რაღას დამი-
ნდობს, ჩამაძაღლებს სადმე... აქ ხალ-
ხის ერიდებო, გაუელვა და, მუხლი თუ
გამოეშალაო, წაბარბაცდა, თავი ძლივს
შეიკავა.

მიდიოდნენ...
წინ გუძა, უკან — ყალმათი.

მზე ისევ ისე აჭერდა...

გზა ქვიანი და ოღროჩოლო იყო, სიარული ჭირდა, მიწის ღრმულში ფე-
ხი წარამარა უვარდებოდა ყალმათის
და, მათუხერის ბუდეც მუხლს რომ მია-
სკდებოდა, თითქოს ფხიზლდებო, თავს
უცნაურად გააქიციინებდა ხოლმე.

უკვე დასახლება აღარ იყო და მგზა-
ვრებიც იშვიათად ხედებოდნენ.

ტობაწყურზე გავიდნენ.

ახლა საით უნდა წავიდეთ, გუძა შე-
ყოვნდა.

— მდინარეზე ჩადი!

უმალ მიუხვდა ყალმათი.

წინ გაიხედა.



მდინარე ტობაწყური უზარმაზარ კალპატში იყო ორ ტოტად გაშლილი და ამ პაანაქებაში — უფორმო სივრცე, თვალუწყდენი დაბლობი — წყალიც თითქოს გათანგულია და თვლემსო — ერთბაშად გაბრმავებდა და თვალებს გტყენდა.

მაინც რას უბირებდა ბიჭს ყალმათი? იქნებ სჯობდა, მოსახდენი აქვე მომხდარიყო, ჩახმახზე თითი გამოეკრა და... მართლაც, ამ წამიწუთში ეს უფრო ერჩინა, თითქოს ლულას გამომსხლტარი ტყვია სიკვდილს კი არ უქაღდა, პირიქით, მის არც მკვდარ, არც ცოცხალ სხეულს (სანამ სული ზეზეულად არ გაეპარებოდა და თავად გვამად არ მიიქცეოდა) უშველიდა... არა, თუ არ უშველიდა, ერთხელ და სამუდამოდ ხომ მაინც დამთავრდებოდა ბიჭის სულაკანკალებული ყოფა და, შიშს თუ სძლიაო, ფიცხლად მოუბრუნდა.

— სად მივყავარ?
იმდენად მტიციედ ჰკითხა, ყალმათი გაკვირვებული დარჩა.

— ჩალი-მეთქი!
მაინც შემოუბღვირა ყალმათიმ და მზერა შუბლზე მიაბურღა.

— ჩალი, ჩალი!..
ბოლმა ყელში მოაწვა ბიჭს და იფეთქა, უმაღლ, მშრალი ბუშტივით შიგნით რომ გაუსკდა. წამიერად რომ გაათავისუფლა და მოულოდნელმა შვებამ თუ ამგვარმა სითამამემ თავადაც შეაკრთო. თითქოს ვერ გაიგო, ასე უცებ რა მოუვიდა და იმის გამო, შიში გულგრილობით რომ შეეცვალა, სულ ერთი გაუხდა ყველაფერი, ამჯერად აუხსნელი მღელვარება და ფორიაქი დაეუფლა. ყალმათის ორმტკაველიანი მაუხერი კი (მუხლს რომ სწვდებოდა და ეხეთქებოდა სიარულისას) ფეტვით თუ არისო დატენილი, უკვე დავიწყებოდა, წელანდელი შიში ბეჭებზე ოფლივით შესრობოდა... ახლა შუადღის მცხუნვარება უფრო იყო მისთვის აუტანელი. მზე — ბარჩხალა — თვალეში რომ სცემდა და ის რალაცნაირი გრძნობა, ყელს წამისწამ რომ უშრობდა...

მდინარისკენ ჩაუხვია.
მიდიოდა თავისუფლად, ერთობ ჩაღადაც, მერე უფრო გათამამდა და გავარვარებულ რიყის ქვებზე, სხეულის გასავრისებლად წყალზე თუ ჩამოიბრინაო, მარდად გაიქცა.

ყალმათიმ ხალათის საყელო შეიხსნა და ზანტი, დამძიმებული ნაბიჯებით მიჰყვა უკან.

გუდა შედგა.
ყალმათის ფეხის ხმა რომ მოესმა, თითქოს ეხამუშა, მხრები განაწყენებულივით შეჰყარა და ქვაზე მოწყვეტით დაჭდა, თავი მუხლებში ჩარგო კაცი თავზე დაადგა.

ბიჭი ყურებზე მკლავებზემოწყობილი, მოკუნტული და გასუსული იჯდა.

რა ჭირი მეტაკა, მაინცდამაინც ახლა რატომ ამტიციდა მუცელიო, უფრო მოიბღუნა. უცნაური გრძნობა იყო, საშინლად მწვავე და ცეცხლის ენასავით შიგ დატრიალებული... თითქოს ყველა ის განცდა თუ შიში, ბაზრის კარიდან აქამდე რომ განეცადა, ერთბაშად მუცელში მოქცეოდა და ჭიბქვეშ ტყვიასავით მოწოლილი ტკივილი შიგნეულის გამონგრევას ლამობდა...

ყალმათიმ ქამარი მოიბოშა და ბიჭის გვერდით ჩაჭდა ხრეშში, მერე რევოლვერი ამოიღო და გაჩაჩხულ ფეხებზეა ჩაიდო.

საშინლად გაიწელა დრო...
ისევ შეახსენა შიშმა თავი, შებოჭა, ქვაზე მოზღარბა და... ველარ მოითმინა.

— რატომ არ მესვრი?! — სასოწარკვეთილი ხმით იღრიალა, — მიდი, გაათავე! — უყვირა, თუმცა, თავადაც მიხვდა, ხმამ რაჩივად უმტყუნა.

ყალმათიმ გულგრილად გამოხედა.
— რატომ უნდა გესროლო, გუძია მამაძაღლო? — თქვა მოგვიანებით, არანაკლებ გაცოცხლებლად და ფიქრიანმა.
— ისედაც აყროლებულია დღე, თუ ხედავ... — ხალათი ბოლომდე ჩაიხსნა და გავარვარებულ სივრცეს თვალმოწყურული მიაჩერდა.

— რა-ა?! — ყურებს არ დაუჯერა

და თავი აიღო; თვალები კითხვებდა
ქცეოდნენ.

— რას მარგებს დღეს შენი სიკვდი-
ლი, თვარა გესროდი, ტყვია კი არ მე-
ნანება, — უნდოდად გაიღომა, ცალი
ჩექმა გაიხადა და ახლა მეორე ფეხი
ხვნიშა-ხვნიშით მობღუჯა.

სუნთქვა შეეკრა... პირიც ისე დარჩა
ლია ნათქვამით გაოცებულს, თითქოს
ჰაერი არ უნდა შეესუნთქა, ჯერაც ჰაე-
რში მოზუზუნე უცნაურ ბგერებს მწე-
ვარივით გაუყრებოდა. თორემ, თუ გა-
ინძრეოდა, ცაც, ჩვეულებრივ, ამ მაუ-
ზერიანი კაცის აღრინდელი რისხვისა-
ვით, თავზე ჩამოქცეოდა.

— რა? — გაიმეორა და კვლავ გა-
ჩუმდა, — მაშინ... მაშინ აქ რატომ მო-
მიყვანე? — გაბედა როგორცაღ.

— ჰმ! — გამოუხედა და წარბი აუ-
წყობა, — მოგიყვანე და გიშვებ, მეტი
რალა გინდა? — გაიკვირვა ყალბათიმ
და რევოლვერი განზე მისწია, მერე წინ,
ქეშა-ხრეშში ზანტად გაიჩოჩიალა,
ქვა-ქეიშა ბლომად ჩაიხვეტა, ვეება
ღრმული გაავლო სახნისივით და ფეხე-
ბი წყალში ჩაყო.

ყალბათის ზურგს უკან მზეზე დარ-
ჩენილი მაუზერი შავვერცხლისფრად
აბრკილდა.

რატომ?.. რატომ მომიყვანა აქ, თუ
მიშვებდაო, ტანი კვლავ აეჭინჭრა გუ-
ძას.

მინც არ სჯეროდა ყალბათისა.
ვიცი, მსინჯავს... როგორც კი გავინ-
ძრევი, მესვრის... გარბოდა და რა მე-
ქნაო, სოფელში რომ თქვას, ამისთვის
სჭირდებოა, დასაკენა და, იქნებ აღება
მოვასწროო, რევოლვერს თვალი ვერ
მოაშორა.

— რა კაია ახლა ჩვენი სოფლის ჩე-
როში...

ყინულივით ცივი წყლით ნასიამოვნ-
ები ყალბათი ბიჭს მოუტრიალდა და
ცხენივით ახვივინდა. გუძამ კი, ნა-
ფიქრს არ მიმიხედესო თუ თავად სუ-
რდა ამ შემადრწუნებელი აზრის თავი-
დან მოცილება, განზე გულგრილად გა-
იხედა.

— ა, რას იტყვი?

ჩაეძია ყალბათი.

— კი მაგრამ... — საშინლად დასცხა,
შუბლზე ოფლი ხელახლა გადაასკდა,
მერე სიძაბუნე — თითქოს ნერწყვიანო
— წვალეებით გადაყლაბა, ენა მოიბრუ-
ნა და, — კი მაგრამ, მაშინვე რატომ არ
გამიშვი?..

— მაგისი გაგება ჯერ ძნელი იქნება
შენთვის, — გაჩუმდა, წყალი პეშვით
დაისხა თავზე და: იფ-იფო, თმა ჩამოი-
წუწა, — ისე, აწი ქე უნდა ხვდებო-
დე, გუძაია მამაძალო!.. კი, რახან
კაცი უკვე მოკალი...

— ვერაფერსაც ვერ ვხვდები!

ყალბათის უნდოდად გაეღიმა.

— ხომ შეშინდი?

— შევშინდი...

— კი, შეშინდებოდი, აბა!

და, ეგ მე არ გამომეპარებოაო, ცალი
თვალი ეშმაკურად მოუწყურა.

— მაშინ შევშინდი და... — მის დამ-
ცინავ მზერას რომ შეეფეთა, გაცხარდა
და სწრაფად დაამატა, — ახლა არა. მა-
რთალი თუ გინდა, მე თვითონ ვეძებ
სიკვდილს და... — თუ არ მომკლავ,
ერთი შენი დედაცო, უნდოდა ყალბა-
თისთვის შეეკურთხებინა, მაგრამ ენას
კბილი დროულად დააჭირა.

— შეშინდებოდი, აბა! — ჩექმებში
ჩახარშულ ფეხებს გულმოდგინედ იბა-
ნდა და განაგრძობდა ყალბათი, — ახ-
ლა რომ გიშვებ, უფრო დამაფასებ,
რასაკვირველია. აბა, ის რა სიკეთე იქ-
ნებოდა, თუ არ იგრძნობდი, მაგალი-
თად, შენი სული ჩემს ხელში რომ იყო?
დანაშაული ხო გაქვს? გაქვს. ხო დაგი-
ჭირე? დაგიჭირე. ხო იცი, კისრით მი-
ჭირავხარ ჩემს ბოსტანში შემოფრე-
ნილი მეზობლის ყვინჩილასავით და
მინდა, თავს წაგაცი, მინდა — ღობის
იქით გადაგაფრენ... არ უნდა დამირჩე
მადლიერი? ამას ის სულელი ქათამიც
მიხვდებოდა, აბა! — გაჩუმდა, ერთობ
კმაყოფილმა გამოხედა, — მეორეც: კაი
გუნებაზე ვარ დღეს და კილო ამიტომ.
გუშინ ვაფიშვილი შემეძინა და შენი
თავი მიპატიებია მისთვის. მართალია,





ორი კვირაა დაგეძებ და ადრე რომ მენახე, წაგაბროწიალებდი, სადაც საჭიროა ან მე, ყალმათი ყურუას ტყვის ვინ იხერი დამითვლის!

უნდა ვიბანაო, ყალმათი წამოდგახალათი გაიხადა და უკან მოისროლა. ხალათი მაუზერს დაეცა, მერე შარვალც გაიძრო და უნიფხვოდ, სარცხვინელზე მუჭაფარებული, უხერხულად დადგა.

— ხომ ხედავ, ჯერ არ დაბადებულა და რამხელა სიკეთე გააკეთა? — ახალშობილი ბავშვი, მისი ძე წარმოიდგინა, უცნაურად გაიბადრა, აიწურა, კვლავ გამოხედა გუძას, უყურა, უყურა და! დედამისის ან ტვინშერყეული ჯეგეს ამბავი თუ იცის, ამ მამაძაღლმაო, ის უბედური დღეები გაიხსენა, მაგრამ კითხვა დაეზარა თუ, სანამ უნდა ვიდგე ასე დედაშობილაო, ერთიც შეუბღვირა, თავი ანება და წყლისკენ დონდლოდ გაიქცა. წყალმა მუხლამდე რომ უწვდინა, შედგა. აქ უკვე გოროზად გამოხედა და ხმაც „ყალმათისეულად“ გაიმკაცრა.

— წადი ახლა და უფროთხილდი თავს, გუძაია დუბდინაფილი!* შენი უბედურებაც გეყოფა შენი.. არც ჩვენ ვიქნებით, მაგალითად, ყოველთვის ასეთ გუნებაზე!..

წაიკუზა, ჩაწვა წყალში, მერე ფრუტუნ-ფრუტუნით* ამოდგაფუნდა და შეხეფები ამოისროლა...

გუძა ყალმათის შარვალ-ხალათს უყურებდა, უფრო სწორად, მათ ქვეშ შემალულ რევილვერს... უკვე ეშმაკი ჰყავდა შემქდარი, გვერდებში ჩქმეტდა, გულგვამს უფორიაქებდა, აქეზებდა, გაინძერიო... თითქოს ისიც მზად იყო, ეს საბედისწერო ნაბიჯი რომ გადაედგა... თუმცა რა საბედისწერო? ყალმათისთანას ასს გააფროთხოზინებდა სულს ისე, ნერვი, როგორც ცოდვის მქნელს, არ შეუტოკდებოდა, მაგრამ შეძლებდა კი... იქნებ ტყვია არც დე-

ბულიყო შიგ ან ხელი აკანკალებოდა და ჩანჩახზე თითი ველარ გამოეკრა ყალმათი კი წყალში ნებვირობდა; თავს ჩაყოფდა, უკანაღს ზევით, ისევით ერთბაშად ამოადგებდა, ადგაფუნდებოდა და ისევ ჩაყურუყუმეღავდებოდა...

ქვიდან, თითქოს თავისდა უნებურად, ჩაცურდა, ჩაჯდა ხრეშში და ყალმათის ბარგისკენ მტკაველნახვერითაც მიიწია.

— ვინ არის ის კაცი? — ზურგს უკან მოესმა და გაოგნდა. მოხედა.

თავზე მალალი, მხარბეჭიანი, შავთმაწვერულვაშაიანი ახალგაზრდა კაცი წამოდგომოდა და უღიმოდა.

ეცნო. იმ დღეს, მოხუცი მათხოვარი ქულზე თითებწასხებილ ხელისგულს რომ უფარებდა — შენი ფული არ მინდაო, ის კაცი იყო.

გუძამ უყურა, უყურა და... უცებ მიენდო ამ ხმას, შავთმაწვერიანის უცნაურ და საოცრად კეთილ, სახიერ (თითქოს ასხივებდა და შუქი ბიჭს ეფრქვეოდა) ღიმილს... იგრძნო, ფილტვებში ჰაერი რომ გაუთბა, გულიც ხელად უბოვნა, საგულეში ჩაუბრუნა, გადაარჩინა და...

— ის კაცი? — თქვა ჩუმად და სულგანაბული მიაჩერდა.

— ჰო, ის კაცი...

— იმ კაცს მე უნდა მოვეკალი.

— მერე? — მოგვიანებით იკითხა, თუმცა ერთი ნერვიც არ ატოკებია სახეზე და ბიჭს ეწყინა.

— რა მერე?

ხომ არ დამცინისო, ბრაზით ახედა. უცნობი მიუხვდა და უფრო ფართოდ, ალაღად გაუღიმა.

— მე ის მინდოდა მეთქვა, იმ კაცს, ეტყობა, არ უნდა მოეკალი, თორემ...

— ხმაც მზერასავით თბილი, მშვენიერი და რაღაც ნაღვლიანი ჰქონდა, — არ შეიძლება, ალბათ, ჯერ შენი მოკვდინება და ტყუილად შეშინებულხარ, ჩემო მეგობარო! — გაჩუმდა, თვალი

* კვალდაკარგული

მდინარისკენ გაქცეა, — თან, რომ იცო-
დე, არც იმაზეა შენი ყოფნა-არყოფნა
დამოკიდებული და იმიტომ. რა გქვია?

— გუდა. თქვენ... თქვენ ვინა ხართ?

სხვა ვერაფერი მოაფიქრდა და, რო-
გორც ერთადერთ ახლობელ ადამიანს,
მხსნელს მისას, გულათრთოლებული
მიაცვდა.

— ვინა ვარ? — უცნობი ჯერ ჩაფი-
ქრდა, მერე მის გვერდით, ხრეშში თა-
ვისუფლად ჩაჯდა, კვლავ თავისებუ-
რად გაუღიმა, — რა გაეწყობა. გინდა,
ერთ ზღაპარს მოგიყვები, ჩვენებურს,
ქართულს...

— რა ზღაპარს?

— ჩვეულებრივს. არცთუ ურიგო
ზღაპარია.

და დინჯად, აუჩქარებლად დაიწყო...

— იყო ერთი მღვდელი, დღემუდამ
ზურგზე საყდარი ეკიდა, დადიოდა და,
სადაც სულიერს ნახავდა, დადგამდა და
ულოცავდა... მაღე მოხუცდა, დაუმი-
მდა საყდარი. ერთხელ უიმედო ავად-
ყოფი კაცი გზაზე დაეარდნილი ნახა და
აზიარა, თან სთხოვა, — მაინც საიქიოს
მიდიხარ და იქნებ ხმა უფალს მიმიწვ-
დინო, რა უყოს იმ კაცმა საყდარს, ისე-
დაც ძალიან დაბერებულაო... მომაკვ-
დავმა კი უბასუხა: ის საყდარი შუა
სოფელში დადგი, ზარი ჩამოჰკიდე, და-
რქეპე, ვისაც ლოცვა უნდა, მოვა და
ილოცებს, ვისაც არ უნდა — არ მოვა,
შენი ბრალი აღარ იქნებაო...

ყალმათი პირალმა ამოდგაფუნდა,
წყალში გადაკოტრილდა და ისევ ფრუ-
ტუნ-ყიპყიპით ჩაყვინთა...

— მაინც არ გითქვამთ, ვინა ხართ?
— რაღაც შიშით იკითხა გუდამ და ყა-
ლმათს მოჩერებული მეზღაპრე გამოა-
ფხიზლა.

— ვინა ვარ?... — სხარტად წამოდგა,
მერე, ბატონი ბრძანდებო, თავი მხი-
არულად მოუდრიკა, — ბონდო ჭყონია!
ძველი მეზღაპრე... ადრე სხვა ვიყავი.
ვარსკვლავებჭკვრეტია მოგზაური.. შე-
იძლება ის მღვდელიც, ზურგზე საყ-
დარი რომ ეკიდა, — გაჩუმიდა და ინ-
ტერესით მიაჩერდა. — მოგწონს?

გუდამ პასუხად გაუღიმა.

— გინდა, ჩემთან წამოდი?

თქვა მოულოდნელად ბონდომ.

— სა-აღ?

ბიჭს ენა დაება, თან, არ გადაიფიქ-
როსო, თვალბში უმწეოდ შეხედა. მა-
რთლაც, უსაზღვრო სითბოს, სიკეთეს
გრძნობდა ამ უცნაურად დიდი, ვეება
კაცისაგან.

— საღ? — ეს რა კითხვააო, გაიკვი-
რვა ბონდომ. — როგორ თუ საღ? ჩვე-
ნი ერთიანი და წმინდა სოფლის საპო-
ვნელად...

ბონდო ჭყონია და გუდა შორდია მდი-
ნარე ტობაწყურს აღმა აუყვინენ.

6.

ზიდი იყო ძველისძველისძველი;
მტკიცე, მრგვალოლოვანი, დულაბი
ქვა-კირისა...

ზიდზე არაერთი ლეგენდა არსებობ-
და, მასავით უხსოვარდროინდელი,
უცნაურად დიდებული და სევდისმომგ-
ვრელიც.

გალმა-გამოღმა ორი კოშკი ჰქონდა
ზიდს: მაღალი, მკვრივი, რიყის ქვით
ნაგები, სათოფურები და სამზერებდა-
ტანებული, ქვედა სართულები — ბნე-
ლი და დახურული.

კოშკებზე ლეგენდა ჰყვებოდა:

სვანეთში მიმავალ თამარ მეფეს ამ
ზიდზე თავისი მრავალრიცხოვანი ლაშ-
ქრით გადმოუვლია. მოსწონებია ეს აღ-
გილები და ღამე აქ დაუციათ კარვები.
დილით მეფემ ორ ცნობილ ხუროთ-
მოძღვარს, უხუცეს ოსტატს და მის
შეგირდს — მხედრობას რომ ახლდნენ
თან მოუხმო და თითო-თითო კოშ-
კის, გაღმა აღმოსავლეთისა, გამოღმა
— დასავლეთისა, აშენება უბრძანა.

გაჩაღდა მუშაობა.

შეგირდმა გაღმა კოშკს რომ გახედა,
მოძღვარი გოდოლის თავს ამთავრებ-
და და შეკრთა, დამჯაბნაო, გუნება გა-
უფუჭდა. თავად კი მზის ერთი ჩასვლა-
ამოსვლა სჭირდებოდა და, ირგვლივ
რომ არავინ იგულავა, ოსტატს მიეპარა,
ხარაჩო გამოაცალა...



ხერხემალდაღეწილმა მოძღვარმა მხრის წამოწევა სცადა...

სალამოს მზე დახრილად ადგა შეგირდის კოშკს და მეწამულ ფერში ცურავდა...

შენს კოშკს უფრო სწორი და მალალი ყელი აქვსო, თქვა, ცოდვა მიუტევა ეშმაკის ცთომილს ბერიკაცმა და ბაგეზე სევდიან ღიმილდაფენილი საშუალოდ დაღუშდა.

იმ დღიდან არც ის შეგირდი უნახავთ ქალაქში, სადაც უგზო-უკვლოდ გადაიკარგა თურმე და ორივე კოშკი დაუმთავრებელი დარჩა, ახლაც უშნოდ თავმორღვეულები რომ ეყუდნენ.

ხიდი იყო ქალაქის შუაგულში.

აქ გადიოდა სავაჭრო გზა — აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნებისაკენ. ამიტომ მის დაპატრონებას ცდილობდა ხან ჩალმიანი, ხან მუზარადიანი თუ ცხვრისქურქიანი მეზობელი მთიელი და, როგორც ციხეს, ციტადელს ქალაქისას, ისე იღებდნენ ხიდს ხშირად მომხდურნი და კოშკებშიც კაიხნობით მკვიდრდებოდნენ.

და იღვრებოდა სისხლი განურჩევლად...

ტობაწყურს ლიებად ერთვოდა, ქვაკირი ისრუტავდა წმინდანისა და უწმინდურის, მოლაღატისა და გმირის სისხლს... მომხდურის შავი, ჩირქნარევი სისხლიც საკმაოდ ეცხო ხიდს, თუმცა, არანაკლებ — მართალი, უშიშარი, ამაღლებული ადამიანისაც, ვინიდან ერთი რამ ყოველთვის ახსოვდათ — რას და რატომ იცავდნენ! აქაური კაცი არაფრით არ თმობდა ამ ადგილს და, თუ საჭირო იქნებოდა, კვდებოდა კიდევ მისთვის, როგორც ამ ცისა და მიწის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, მისი ძირძველი მკვიდარი.

მაგრამ... ეშმაკს ნეკნს რომ გაუწვდი, მთელ ტანს წაიღებსო, ხალხს უთქვამს. ეგ უბედურებაც სჭირდათ და, მაშინ თავად დრო-ჟამი ცდიდა ხოლმე აქაურთა მერყევ, იჭვინულ ბუნებას თუ მათ სულსა და გონებას ის ეშმაკი ჰყავდა დაპატრონებული. ხშირად ერთმა-

ნეთზე საავდროდ შეიმართებოდნენ და ხიდზე რა ცოდვის კალო არ დატრულებულა. ასეც მომხდარა — გვარი გვარს, სამშო სამშოს დარეგია... აქ ხოცავდნენ და ისევ აქ, გარკვეული ხნის მერე, მის შუაგულში რიგდებოდნენ, ამრიგად, ეს უძველესი, ლეგენდებიდან გადმოსული ხიდი იყო როგორც ორად გაყოფილი ქალაქის ურთიერთდაშაკავშირებელი, ისე ძმათა, მოყვასთა ერთ მუშტად შემგვარელ-შემდღულაბებელი.

საუკუნის დამლევს ქალაქ ტობას დიდი მთავარმართებელი ეწვია და სამი დღე დაჰყო.

რა თქმა უნდა, ღირსეულად შეხვდნენ მის უდიდებულესობას და ნასიამოვნებმა სტუმარმაც გამგზავრების წინ იკითხა — რატომ არაფერს მთხოვთო!

ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა ქალაქის დეპუტაციამ და წინა წელს წყაღდილობით დაზიანებული ხიდის შეკეთება ითხოვა.

გასაგებიაო, ჩაფქრდა, ეტყობოდა, ასეთი ისტორიული ხიდის ბედით აშკარად დანტერესდა და აივანზე გაბრძანდა. უკან ფეხაკრფით მიჰყვენენ მასპინძლები. მართლაც, დიდებული სანახავი იყო მდინარის გაღმა-გამოღმა გაშლილი ქალაქი... მდააო, დაასკვნა, მერე ცოტა მოგვიანებით დაამატა, — ეგ ალვადგინოთ და მეორე ხიდიც გავდოთო!

მეორე ხიდი რა სახსენებელია, ოღონდაც ეგაო... ერთ-ერთმა უხუცესთაგანმა თავი მდაბლა მოუდრიკა.

რას ამბობთ? — იწყინა სტუმარმა. — გალმა რომ გახვალთ, გამოღმა ხომ უნდა გამოხვიდეთო?! — უფრო გაიკვირვა, შეტრიალდა და აჩქარდა, არც არავის დაემშვიდობა, სამეფო ეტლში ისე ჩაჯდა.

ჩვენი უქკუობით შევცდით, მაგრამ იქნებ მთლად არ გავგწიროსო, იმედს არ ჰკარგავდნენ ტობელები, დიდხანს ელოდნენ მთავარმართებლის ყურადღებას და წყალობას. რომ შეავკვიანდა, ისევ ქალაქის ხელისუფლება მოვიდა

გონს, ხილზე დალა დააწესა და მალეც აღადგინა.

საუკუნის დამდევს კვლავ არაერთი სისხლის ღვრა და უბედურება მოხდა ხილზე. თითქოს კეთილისა და ბოროტის საჯილდაო ქვა იყო იგი; ზანზარებდა, ბზარი ბზარს მისდევდა, საყრდენ-საძირკველი დღითი-დღე ერყეოდა...

უცებ, ზვაგივით მოირღვეოდა თოფების ბათბაბუთქი და იყო ყვირილი, ჩექმების ბრახბარუხი... აქეთ-იქით სიბილი, გამაყრუებელი სტვენა და გადაძახილები...

ხილზე ბრძოლა იყო ხიდისათვის. ერთნი რომ იმარჯვებდნენ, ქუდს და თოფს ერთდროულად ისროდნენ ხოლმე ცაში აღტკინებულები და თავიანთ ძლევამოსილებას ზეიმობდნენ დროებით, მალე მეორენი სძლევდნენ მათ და, გუშინ აღზევებულნი და ფრთებშესხმულნი, დღეს — ვინ წინა და ვინ უკან — გარბოდნენ.

ხილზე ყოველთვის ფხიზლობდნენ. გაქცეული არ თვლიდა თავს დამარცხებულად.

ძმათა სისხლის ღვრა იყო, მაგრამ როგორც ერთს, ისე მეორეს გულმაგრად სჯეროდა, მხოლოდ მას ეკუთვნოდა ეს ხილი, მდინარე, ეს ცაც და ხმელიც მხოლოდ მისი იყო, სხვა — არავისი!

და ძალადობა ძალადობას ჰბადებდა...

საკუთარ თავს თავად მტრობდნენ და თელავდნენ, გამკითხავი კი თითქოს დაყრუებულყოფი.

ძმას ძმის სისხლი ეცხო ხელზე და არც მალავდა მეგობარს მეგობრის გვამზე ედგა ფეხი და მუხლი არ უცახცახებდა...

და... ხილზე გუბე-გუბედ დატბორდა „ცოდვილ-უცოდველთა“ სისხლი...

ზამთარ-ზაფხულ ცა, ჰაერი ტყვიაწამლით იყო შეტრუსული...

მკვლელს მკვლელი მისდევდა და წედან ქვაზე შემხმარი, უკვე გადაშავებული სისხლის ლეშხზე კვლავ ახალი

და თბილი სისხლის წვეთი მიგორავდა, ხიდის გუმბათიდან კივილით სხლდა და, ხეობის პირქუში სივრცე რომ ჩამოეწუწუა...

... იმ ღამეს, როცა გამარჯვების მეშვიდე წლისთავს ზეიმობდნენ ტობელები, მთიდან საშინელი ღვარცოფი მოვარდა და მოდღესასწაულე ხალხი წამში დაშალა. ნაშუაღამევს კი, თითქოს ჭექა-ქუხილს გამოსხლტომიანო, ხილზე „თეთრნაბდიანთა“ მცირე მხედრონი შემოიჭრა. მცველები, ვისაც კოშკებში ვერ შეესწრო, ამოხოცეს, ჩვენ კიდევ მოვბრუნდებითო, დაიქადნეს, თავთავიანთ ბედღურებს დასწყვილეს და ამჯერად ზღვის მხარეს გაუჩინარდნენ.

ვინ იყვნენ და რამდენი, არავინ იცოდა.

მარტო ერთ-ერთი „თეთრნაბდიანის“ ცხენი ეგდო ხილზე (ვილაცის ბრმა ტყვიას გამოეკლა მხედრისთვის, თავად კი გაქცევა მოესწრო), მეორე დღეს მოაჯირიდან რიყეზე რომ გადაუძახეს ჯარისკაცებმა ყვავ-ყორნების საჯიგნად და გარშემო ახლაც იდგა აყროღებული ლეშის მძიმე სუნი.

... ხილქვეშ ტობაწყური დიოდა, თუმცა უკვე არც ისეთი წყალუხვი და საშინი, ზოგჯერ მუხლს არც კი დაგისველებდა. მიდღუღუნებდა ზღვისკენ — ჩამკვდარი, დაწრეტილი, მიჩუმათებული... მაგრამ მაინც მთის მდინარე იყო, შორ და მიუვალ ჭიუხებში დაბადებული და გაზაფხულზე, როცა თოვლი იწყებდა დნობას, უცაბეოდ ამღვრება და საკმაო აღიდებაც იცოდა. აღიდებოდა და მდინარის უშიშარი ხმა, მისი ყურთწამღები შხუილი აბობოქრებით თუ არ ემუქრებოდა იქაურობას, ხიდის სასწაულად მაღალ თაღს ზოგჯერ ქოჩორსაც მიუწვდენდა და დაუტბორავ ადგილს არ დატოვებდა ახლომახლო.

ხილქვეშ, ცხენიანი კაცის სიმაღლეზე, უზარმაზარი სამალავი იყო გამოჭრილი, რომელსაც აქაურები რა-

ტომდაც „დევის გამოქვაბულს“ ეძახდნენ. ქვაბი მათი შორეული წინაპრის ძალას და ნებისყოფას გამოეკვეთა, მტრის შემოსევის ჟამს მცირეწლოვან ბავშვებსა და დედებს თავი რომ შეეფარებინათ.

გამოქვაბულს ვეშაპის ხახასავით ჰქონდა პირი დაბჩენილი, რიყიდან კლდეს ფართოდ შეტეხილი შვიდი საფეხურიც ასდევდა, მაგრამ, თუ მის პირდაპირ — ხილქვეშ არ დადგებოდი, ან არ იცოდი მისი არსებობა, სულიერი ვერც შეგნიშნავდა. ისე, ვინც იცოდა, იმასაც კარგა ხანია დავიწყონდა, რისთვის იყო და რა დანიშნულება ჰქონდა ადრე.

რა ცოდვას არ იტევდა დღეს გამოქვაბული!

ხან ლამურები და მაწანწალები, ხან მკვლელები იყვნენ შიგ დაბუდებულები.

ქუჭყის, ზინზლის, გახრწნილი მძორის საძაგელი სუნი იდგა ყოველთვის.

დღესაც არანაკლებ ცოდვილთა, სულწაწყმედილთა მცირე ჯგუფი შეყრილიყო გამოქვაბულში, რომლებიც შიშით და სულისთლად მოელოდნენ რაღაცას.

ზემოთ კი, ზემოთ — ფხიზლად ვართო და, ხან გაღმა, ხან გამოღმა კოშკის თავმორღვეულ ყელს აუფარდებოდა ხოლმე „ბერდენკისა“ თუ ფილთა თოფის შავი და მწარე ბოლი... მხედრული ნაბიჯების ხმა და „ბარაბანის“ — დუმ-დამ-დამ-დუმ! — იქაურობას აყრუებდა...

მართალია, ერთ ქვაბში იყვნენ, მაგრამ არც ისინი უბერავდნენ სულს ერთმანეთს, რა თქმა უნდა! თავთავიანთ ტკივილს, გასაჭირს, ბრალს თუ ბნელს შეეყარა მათთვის თავი ერთად, ეგ იყო და ეგ! ამრიგად, გამოქვაბულის სუსხუკუნეთს შეეხიზნა თავგზაბნეულთა გვამები და, ცხადია, დიდი გასაჭირიც ადგაო!

7.

ახალი შებინდებული იყო.

ბონდო ჭყონია და გუძა შორდია ხაბოს თავზე ისხდნენ და ისვენებდნენ.

მთვარე არ ჩანდა, არც მდინარე, არადა, წყალი ახლოს იყო, არც ისე ღრმა ხევში, მისი მკვეთრი შხულიჩქაფანი ესმოდათ სიჩუმეში. თანდათან იზრდებოდა ხმა, სმენას უნებურად გტაცებდა, თითქოს მზერასაც გიმახვილებდა სიბნელეში და გუძა წამოდგა, ერთი ნაბიჯით ხევისკენ წაიწია.

მაინც შორს იყო ტობაწყური, უფრო სწორად — ქვევით, ხევში და არ ჩანდა. მოგვიანებით რაღაცა დაინახა; მღვრიე და გაკლანკილი, მომრუხული სხეული, ზურგზე ვერცხლის ფართოფართო დანები რომ ულაპლაპებდნენ და, ალბათ, მდინარეაო, მოისახრა.

გუძას ფეხი ეტკინა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

ქალამანი გაიხადა და ნატკენი ფეხი დაიზილა.

ბონდო წამოდგა, გუძას წინ ჩაიმუხლა და, ხომ არ დასივებიაო, თითები კოჭზე ფრთხილად შემოუტარა. ბიჭს მაინც ემწარა და კბილი კბილს დააჭირა, აყენესდა.

— არაფერია, — თქვა ბონდომ. — სამ დღეში გაგივლის. ისე, შევედით, სხვა გზით უნდა წამოვსულიყავით. ხომ ვიცოდი, რა დაწყევლილი ადგილრცაა, ტყუილად კი არ ეძახიან „ყვავის ხეცს“.

— რომელს? — დაინტერესდა გუძა.

— სადაც ფეხი დაგისხლტა და კინალამ...

არ დაამთავრა, მუხლზე მსუბუქად დაჰკრა ბიჭს ხელი, მერე წელში გასწორდა, მომცრო ქვას ფეხსაცმლის ჰვინტით უბიძგა და ხევში ხმაურით ჩააგორა.

წელან ბეწვზე გადარჩა გუძა და ტანში გასცრა.

ქვა აყანყალდა და, ზედ თამამად შემხტარმა, თავი ვერ შეიკავა, ხრამისკენ გადაქანდა და, ბონდოს სიფხიზლე და რკინის ხელი რომ არა, თავდაც წვეა-

— ამში, ქვასავით მოადენდა ზღართანს...

— ყვავებსაც საყრანტალოს მიეცემ-
ლით...

— რატო? — გუძამ გაიკვირვა.

— არ იცი, რატომ ეძახიან „ყვავის
ხეჭს“?

— არა...

— ო, ეგ უკვე საინტერესოა! — ბონდო გახალისდა, ხელები ჩვეულები-
სამებრ გადაიფშენიჭა. — ერთმა გლე-
ხმა, იმ ხვეის სიახლოვეს თივას რომ
თიბავდა, შემთხვევით ყვავის ბახალა
დაიჭირა. გაგონილი ჰქონდა, დიდხანს
ცხოვრობენ ეს მძორიჭამიებიო და დაი-
ნტერესდა, მართალი იყო თუ არა. თუ-
რმე იმდენ ხანს ჰყოლია დამწყვედეუ-
ლი, ყვავეს კაცის ენაც უსწავლია და მა-
სზე განაწყენებულს უთქვამს: შენ მა-
ინც ვერ მოესწრები ჩემს სიკვდილს,
ბეჩავო, სული ძლივს გიხანხალებს, მე
კი, თუ გამიშვებ, გეტყვი, რამდენიც
უნდა ვიცხოვრო. გლეხს ისედაც ხე-
ლი ჰქონია ჩაქნეული და, კარგიო, და-
თანხმებულა. სანამ იმ ხევს, რომლის
პირას ბალახს თიბავდი, მე და ჩემი
ბახალები სკინტლით პირთამდე არ ამ-
ოვავსებთ, მანამ სიცოცხლემისჯილები
ვართო, არც ყვავეს დაუშლავს.

— იმხელა ხვეისა? — არ დაიჯერა
გუძამ.

— რახან ყვავემა ენა ამოიდგა და
თქვა, ალბათ, ასეა, — დაბეჯითებით
თქვა ბონდომ.

ორივეს გულიანად გაეცინა.

გუძამ უბეში ხელი ჩაიყო და ვაშლი
ამოიღო, მერე პერანგზე შეიწმინდა და
ბონდოს გაუწოდა.

— ოჰო! — ბონდომ აღტაცება ვერ
დამალა, — შენ?

— კილო მაქვს, — გუძაც გამხიარუ-
ლდა, — ხომ კარგი ვქენი, რამდენიმე
ცალი რომ წამოვიმძღვარიე? — კვლავ
აიფათურა უბეში ხელი და მალე ორი-
ვენი გემრიელად ათქაშუნდნენ.

— აბა, რა! — კვერი დაუქრა ბონდომ.

მთვარე ამოცურდა, მქრქალი, უღიმ-
ლამო და ხაბო მქრთალად გადაანათა...

გუძა მთვარეს მონუსხულებით მია-

ჩერდა და რაღაც ბუნდოვნად ან-
უფრო სწორად, მამურია გაახსენდა
სხეულში: თუ დათბო, გააუჩქოლა.

ტობა ქალაქში იყვნენ, სადგურიც ორ-
იოდ ვერსზე იყო, ალბათ, და იქნებ...
რა სითბო და მიმზიდველობა აქვს მა-
შურისას ხმასო, სიტყვები ენის წვერზე
მოადგა და ბონდოს შეხედა, მაგრამ გა-
დაიფიჭრა, შეიშუმუნა და:

— აქ გადავიტენოთ, ხომ? — მოვ-
ვიანებით იკითხა.

ბონდო ერთხანს ჩუმად იყო.

— რატომ აქ? აგერ, ყურის ძირში
ღამის სათვეი მეგულება, — ხმა ამოი-
ლო ბონდომ, — ხილია, ათასწლეულზე
მეტი ხნის, თამარ მეფის აღდგენილი,
იმდროინდელი წარწერებით დამშვე-
ნებული, ხილქვეშ გამოქვაბულია. ახ-
ლა ეძახიან ასე, თორემ ჩვენი დიდი წი-
ნაპრის ნახელავი ციხე-დარბაზია,
მტრის შემოსევის ჟამს ჩვილბავშვიანი
დედები რომ გაეხიზნათ. მას მერე უთ-
ვალავი საუკუნეა გასული. დღეს ხან
დამურები ბუდობენ შიგ, ხან — მაწან-
წალები თუ თოკს გამოქცეული წურბე-
ლები და მკვლელები... — გაჩუმდა,
მისმენს თუ არაო, გამოხედა, — მაგ-
რამ ჩვენ მათი არ გვეშინია, ხომ ასეა?

— რა ვიცი...

ენა დაება გუძას.

კი, როგორ არ სჯეროდა ბონდოს!
მის გვერდით არაფერი გამოიჭირდებო,
იმ დღეს, ტობაწყურის პირას რომ ირ-
წმუნა, ახლაც ამ აზრისა იყო, უხმოდ
თანხმდებოდა ყველაფერზე. მაგრამ ამ
მოკლე დროში, რაც მათ ვადახდათ და
განიცადეს, კვლავ გამოქვაბულში მოხ-
ვედრას, უფრო სწორად, თავად რომ
აღნიშნავდა ბონდო — ნაძირალებთან
და მკვლელებთან — ისევ აქ, ღია ცის
ქვეშ ღამის გადათევა ერჩივნა. ეგეც
რომ არა, რაღაც შინაგანი ხმა თუ წი-
ნათგრძნობა უბიძგებდა ამ შეუცნობე-
ლი ორჭოფობისკენ... ისიც ხომ ნახა,
არც ბონდოს უმართლებდა მაინცდა-
მაინც! აბა, სხვა რა უნდა ეფიჭრა, რო-
ცა ძლივს, ერთი ტანჯვა-წვალებით ჩაა-
ღწიეს იმ ადგილს, სადაც მთელი ზაფ-



ხული უნდა გაეტარებინათ და იქ კიდევ რა ამბავი დაუხვდათ.

ძმადნაფიცო მელოდებოდა იქო, დაუფარავი სიამაყით ამბობდა ბონდო.

ის კაცი ხელოვანი იყო თურმე, აწმყოს განრიდებული, ღვთისმოსავი, მრავალ სამარტვილეში ნაყოფი და ნამარხულევი... ამ არეულ დრო-ეპოსს კი ტყე-უდაბნოში მიტოვებული ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობა გაეხადა თავის ღვიძლ საქმედ.

ისეთ ქვას თუ ვნახავდით, ადგილიდან რომ ვერ დავძრავდით, გულგრილად ვერ ჩაუვლიდა, ზედ რაიმე არ ამოევკეთათო, გატაცებით ჰყვებოდა ბონდო. შეახებეს თუ არა ხელს ქვას, ფორმა და ფერი რაა, მერწმუნე, თბება, გგონია, კერიის ქვასავით თითებს დაითუთქავო, ირწმუნებოდა და კეთილი სახე სიმოვნებისგან გაებადრებოდა.

ოთხი წელიწადი ერთად უცხოვრიათ მთიანი სამეგრელოს ერთ მიყრტუებულ სოფელში. მომცრო ნასაყდრალი, წელან რომ მიეჩქარებოდათ, მთის ტყიან კალთაზე მდგარა, წიფნარით შემოჭარული და გარე თვალისგან დაფარული.

ეზიდებოდნენ ლოდივით ქვებს ზევით, მძიმედ, ცოტცოტობით აგორებდნენ, ორ-სამ დღეში ერთი ქვა აჰქონდათ და საყდრის ეზოში წრეში დებდნენ, მერე ხელოვანი საჭრეთლითა და ჩაქუჩით ხელში უვლიდა გარს, ბონდო კი იჯდა და მის საქმიანობას თვალგაფაციცებული უყურებდა ან კვლავ ახალ ქვას დაეძებდა ტყე-ღრეში მეგობრისთვის.

დათვებიც გვენობდნენ და არ გვეჩოქდნენო, იცინოდა ბონდო.

თხა და ძალიც ჰყოლიათ.

მერე ბონდო ქალაქში წამოსულა, აინტერესებდა თურმე, ამ ოთხი წლის მანძილზე რა ამბები მომხდარიყო ქვეყანაზე. მეგობარს დაუშლია, მაგრამ გაჩუტებულია ჰყონია.

კარგად შემავიანდა და იქნებ არც მეღისო, წუხდა, თან მკლავს ძმაბიჭურად გადახვევდა გუძას. მისი ბრალი

არც ყოფილა, ვილაცას გამოსარჩლებია ქალაქში და ციხეში ამოუყვია თავი კაიხნით. უფროსი ძმის გავლენიანმა სახელმა მიხსნათ, ჩაიცინებდა, თავს საეკვოდ გადაიქნევდა ხოლმე.

უკვე ჩვენს სამფლობელოში ვართო, თქვა ბონდომ და მომცრო ბექობი აიადმართეს, მერე თვალგაუმტარ წიფლის ტყეს ყოჩაღად შეუყვნენ.

უცებ, ეს რა ამბავიათ, მიაყვირა ბონდომ და გახვედა.

გუძას სული შეუგუბდა და მის მზერას თვალი მიადევნა.

ორ უზარმაზარ ხეს შორის უშველებელი თეთრი ლოდი იყო გაჩხირული ეტყობოდა, ქვა ზემოდან იყო დაგორებული, მისი კვალი ხე-ბალახს სახნისივით აჩნდა.

ბონდო ადგილს მოსწყდა და, სანამ გუძამ მოისაზრა, მეც სირბილით ხომ არ მივყვეო, ტყემ შთანთქა იგი.

ჩქარა აუყვია აღმართს...

გზადაგზა კვლავ რამდენიმე სხვადასხვა ზომის ლოდი დაინახა, ლბილ მიწაში ჩაქვდილი თუ ხე-ბუჩქებით შეკავებული. მართლაც, ყველა ლამაზად თლილი ქვა იყო; ადამიანის, ცხოველის სახე თუ რალაც უცნაურ ნიშნებგამოსახულები...

საყდარი პატარა იყო, კარის ეკლესიასავით.

მომცრო ეზოს წიფლის ხეები მჭიდროდ, გალავანივით შემოჭარვოდა. ერთგან მოლი მოტიტვლებულიყო; ქვის ნამსხვრევებითა და კირივით თეთრი მტვრით გადაპენტილი.

უხეში ფიცრებით ჭვარედინად აქვდილ საყდრის კართან სახეგაფითრებული ბონდო იდგა. გუძა რომ მიუახლოვდა, გამოფხიზლდა, სად უნდა წასულიყო, ჩაიდუღღუნა და კარს გაშმაგებით ეკვეთა, ფიცრები უშალ აჰყარა.

უცნობი ბერის გვამი იპოვეს შიგ და გაოგნდნენ.

ამბიონზე მისვენებულ ცხედარს თავი ორგან კვერცხივით ჰქონდა ჩაჩეჩქვილი და თმა-წვერზე მიმხმარი სისხლით ერთიანად მოთხვრილი...



წვეტიანი ქვაც იქვე ეგდო...

კვეთივით შედგებულ სისხლი ერთგან გუბედ იღგა ფილაქანზე და მტკრიან სარკესავით შავად ბრკიალებდა...

გუძას საკუთარ ოჯახში, მისივე ხელით დატრიალებული უბედურება გაახსენდა და იმან შეაშინა თუ ამ საშინელებამ შეზარა, ცუდად გახდა და გარეთ გულისრევით გავარდა.

სახეგახევებულმა ბონდომ იქაურობა გულდაგულ დაიარა. დანა პირს არ უხსნიდა.

მეგობრის კვალი არ ჩანდა.

არც თხა და ძაღლი იყო სადმე.

ბონდომ ბარი მოძებნა და საყდრის უკან გავიდა.

დიდხანს ისმოდა ბარის ყრუ ხმა სიჩუმეში...

მერე ბონდომ ზურგზე მოკიდებული ბერის გვაში რომ გამოიტანა, გუძა მაშინდა მოვიდა გონს და თავისი უსუსურობისა შერცხვა.

თხის სადგომში შევიდა. ფიცრის მოზრდილი ნახლეჩი იპოვა, მერე მიწა მოჩიჩქნა და საყდარში შეიტანა — სისხლის კვალი რომ გაექრო. რატომ და რისთვის აკეთებდა ამას, თავადაც არ იცოდა.

ბონდოს მიცვალებული დაემარხა და საყდარში შემოიხედა.

ფილაქანზე ჩაცუცქეული გუძა რომ დაინახა, მუკში მიწას რომ იფშენებდა და გუბედ დატბორილ სისხლს გულმოდგინედ აყრიდა ზედ, წამით გაოგნდა, იქვე, კედლის წიბოს მიესვენა: ეს არანაკლები ცოდვისმქნელიაო, გაუელვა მოგვიანებით და, ნაფიქრი ხმაძლდა რომ არ დასცდენოდა, იქაურობას ჩქარა გაეცალა.

გუძა საქმით იყო გართული...

მიწა სამი გზობა შემოიტანა და, მკვლევობის მონაწილესავით — უწყა-უწყა აქრობდა ამბიონის ირგვლივ ნასისხლარებს... თან იმისი ფიქრი არ ასვენებდა, ნეტავ რა დანაშაული ჰქონდა ბერს? ან ბონდოს მეგობარი მხატვარი რა იქნა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი?..

იქნებ საფრთხე რომ იგრძნო, მანაც (გუძასავით!) ბერი განსაცდელის მიტოვა და გაიქცა.

გარეთ გამოვიდა.

ჩამავალ მზეს ტყის კორომი ისე გაენათებინა, თითქოს ცეცხლი ავარდნოდა და მთელი დასავლეთი იწვოდა...

ხელი მოიჩრდილა და, ბონდო სად არისო, მიმოიხედა.

მდელოზე ბატკანი დაინახა და, აქ საიდან გაჩნდაო, გაოცდა.

თეთრი, ქათქათა, ღრუბლის ბაწია ფთილასავით იღგა ბატკანი მორიგ ზვარაკად უზარმაზარ სიმწვანეში და ბალახს წიწკნიდა; ყელზე შავი ბაბთა ჰქონდა გამოსკვნილი...

ბონდო საყდარს უკან, მაღალ ბალახში ჩამოხობილიყო და ლამის გული გარღვეოდა. მაინც სად უნდა წასულიყო მეგობარი, მისი არყოფნის უამს რა მოხდა, ან ბერი ვის უნდა მოეკლა საყდარში?

კვლავ ტობა-ქალაქისკენ მოდიოდნენ...

შემხვედრ სოფლებს გვერდს შეგნებულად უვლიდნენ, მთა-მთა, ტყე-ტყე მიიკვლევდნენ გზას — მშვიდობი, კრიჭაშეკრულები, ქანცგაცილები... სად იყო ის უღარდელი და მზიარული განწყობა, აქეთობისას რომ ჰქონდათ.

გზა მთებში ქვიანი და მოსხლეტილი იყო.

სიარული უჭირდათ და მალიმალ ისვენებდნენ.

ციოდა.

ჰაერის სიმსუბუქე ძვალ-რბილში ატანდა.

ტყის წვეროზე დაწოლილი ოქროვანი ბურუსი ხეებში ჩაწეწილიყო და მის შუაწეწლზე უძრავად იღგა.

ხეთა კენწეროები მიცურავდნენ ღრუბელთა შესახვედრად...

ისხდნენ და პირს არიდებდნენ ერთმანეთს, თითქოს ცაზე ხე-ღრუბლების ზოზონსა და გადამწვანებულ საწიერს, ხევ-ხევ ჩაწეწილ ნისლსა თუ მთის კალთებს ვერცხლის წყალივით



დამსხლტარ ნაკადულს მისჩერებოდ-
ნენ.

შაშვების ჭახჭახს, წიწკანების უღუ-
რტულს რომელიდაც ფრინველის ხმა
ხამუშ-ხამუშ, მაგრამ მკაფიოდ ჰკვე-
თდა...

საიდანაც ეფენების წკარუნი და
ძალღების წკავწკავი ჩაესმა გუძას
და მოულოდნელობისგან გული მოე-
წურა.

მიხვდა, სადღაც აქვე იყო სოფელი
და უცებ წამოვარდა, თავქვე გაიქცა,
ვიწრო, ნაურმალ შარამდე ჩაირბინა:
ცოტაც და, წნულლობით შემოკავებუ-
ლი ეზო-კარი დაინახა. შუახნის გლეხი
ეზოში საქმიანობდა, აკაცის სარებს
წაღლით ცალ მუხლჩაჩოქილი უთლი-
და.

ეზოში ძაღლმა მიაყეფა...

გლეხმა თავი აიღო და შარას გამო-
ხედა.

უმაღ ღობეს ამოეფარა, სულშეგუ-
ბებული ჩაცუცქდა, ნაცემი ძაღლივით
მოიბღუნდა...

ისევ ჩაესმა წაღდის ხმა... სადღაც
ქათმები აკრიახდნენ, ძაღლმაც უნდი-
ლად მიაყეფა და გუძა მიხვდა, ეს იგივე
სოფელი იყო, მისი ნახარებაო ან ზემო
სოფელი — დედუღეთი — თაია... თავ-
ვად ისევ ის იყო, გუშინდელი გუძა —
ალალ-მართალი, მეოცნებე... თავისი
ცის, მიწის, სოფლის, ეზო-კარის ბინა-
დარი...

საღამოვდებოდა. ასეთი თბილი, მყუ-
დრო, იღუმალი საღამო დგებოდა ნახა-
რებაოშიც... სამყაროც იმდენად მთლი-
ანი და ჰარმონიული იყო, დასაბამიდან
რომ შეუტრავს განგების ღვთიურ
ხელს...

გუძას გული კვლავ ტკბილად მოე-
წურა...

ისინი ტობასკენ მოდიოდნენ.

ბონდო თავს დამნაშავედ გრძნობდა
მეგობარი მხატვრის წინაშე. როგორ
დაცტოვეო, წუხდა. მხოლოდ მეორე
დღეს, საკმაო მანძილი რომ ჰქონდათ
გამოვლილი. მაშინ ამოიღო ხმა: ტყუი-

ლია! ჩემი მეგობარი არ იზამდა მაგას
და უნდა ვეძებოთ! თან ბიჭს ისე შე-
ხედა, გუძა მიხვდა, ბონდო მისგან თა-
ნაგრძნობას რომ ითხოვდა.

... სამი ძმა იყვნენ ჭყონიები.

მშობლები ადრე გარდაცვლილად და
საშინელ სიღატაკეში გამოზრდილი-
ყვნენ. როცა დააკდნენ, გამოიხედეს
სოფელ-ქვეყანაზე, სამივემ თავისთვის
და გან-გან დაიწყო სიარული, თითქოს
ერთად ცხოვრება ახლა უფრო გასჭი-
რებოდათ.

არ უჩხუბიათ, ერთი აწეული სიტყ-
ვა არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, უბ-
რალოდ, აშკარად გრძნობდნენ, სხვა-
დასხვა ბუნებისანი იყვნენ და: ჩვენ-
ჩვენ გზას იქნებ ცალ-ცალკე ვეწიოთო,
უფროსმა ძმებმა გაყრა გადაწყვიტეს.

უმცროს ძმას მოუხმეს.

ძმებოო, ყელი ვაოცებისგან გაუშრა
ბონდოს.

კი, ძმებად დავრჩებით, მაგრამ ასე-
საჭირო, ჩვენ მეტი ვიცით, უფროსებ-
მაო, თქვა ორივემ ერთად და ამით და-
მთავრდა მათი საუბარი.

ის დღე და, რაც ჰქონდათ, ისიც გა-
ყიდეს, ცოტაოდენი ფული და სამი-
ოთხი დღის საგზალი აბგებში ძმურად
გაინაწილეს და ბედის საძიებლად სახ-
ლიდან ერთად გასწიეს.

სოფელს რომ გასცდნენ, ბონდო შე-
დგა, უკან სინანულით მოიხედა და, —
ძმებოო, ისევ წამოიწყო, რაღაც ძლივს,
გაგუდუღივით ამოიხავლა. ეტყობა,
მეწინავენი უკვე თავთავიანთ საფიქ-
რალს ჰყავდა შეპყრობილი და არც მო-
უხედავთ, მიაბიჯებდნენ მძიმედ და
ყურდაყურებულბევით. ბონდო აწრია-
ლდა და ხან ერთს, ხან — მეორეს აე-
დევნა... უფროსი ძმა თითქოს მიხვდა
ნაბოლარას გასაჭირს, ყოჩაღად იყავი,
ქვეყანა დიდიაო, მხარზე მოუთათუნა
ხელი, დაამშვიდა და ერთი ნაბიჯით
თავად უკან ჩამორჩა.

დღე-ღამის სავალზე გზა სამად გაი-
ყო და, უკვე არც დაფიქრებულან, ერ-
თმანეთს გულმხურვალედ გადაეხვიე-

ნენ, მერე ერთი მარჯვნივ, ერთი — მარცხნივ, ერთიც — პირდაპირ შერჩა გზას.

მარჯვნივ რომ გადაუხვია, ძმებში უფროსი იყო.

უფროს ძმას მიწა უყვარდა, მის სუნსა და გლეხკაცის ყისმათს გრძნობდა თავის თავში... სამს გვიჭირდა, თორემ ერთს როგორ ვერ მარჩენსო, ძმების გვერდით, დღე-ღამის სავალ გზაზეც ამაზე ფიქრობდა და სადაც ნასვენ, სახნავ-სათესად გამოსადეგ, აოშვილ მიწას დაინახავდა, თავს განგებ ჩამორჩენდა, მერე ფეხსაცმლის ჰერმეტიკით წაჩიჩქნიდა მიწას, ფერს გაუსინჯავდა, მუჭში მალულად მოიფშვნიდა და დაყნოსავდა... დაშორდა თუ არა ძმებს, პირველსავე შემხვედრ სოფელში შედგა, ტრიალი მინდორი შემოიზომა, ორ დღეში წნელის ღობე შემოავლო, ქოხი მოგვიანებით ჩადგა შიგ და სამუდამოდ იქ დასახლდა.

მარცხნივ შუათანა წავიდა.

სანამ საგზალი მეყოფა, უნდა ვიაროო, თავიდანვე ჰქონდა აკვიატებული. მალე რკინიგზის ლიანდაგზე გავიდა. ჩანს, ეს გზა უფრო ჩქარა მიმიყვანს, სადაც მიმელიანო, დასკვნა და აქაც მარცხნივ გაპყვა ლიანდაგს...

მეორე დღეს ქალაქ ტობაში ამოპყო თავი, უკვე აბგაც გამოცარიელებოდა და; აბა, მე და ჩემი ყისმათიო, დატრიოდა.

ვაგონების გადამბმელად მოეწყო რკინიგზის სადგურში, ქვეყანა გაიციო, მეგობრებიც გაიჩინა... ყველაზე უფრო ერთ-ერთ მუშას, ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწეს დაუახლოვდა. ის კაცი პროფესიონალი რევოლუციონერი აღმოჩნდა თურმე, მეფე უნდა დაეამხოთო, დღე-ღამე უჩიჩინებდა და, მართლაც, რა პატივითაც შუათანა ჰყონია სარგებლობდა დღეს ტობაში, აშკარად ჩანდა, რომ მასაც საკმაო წვლილი შეეტანა მეფის ხელისუფლების დამხობაში.

პირდაპირ რომ წავიდა, ბონდო იყო, უმცროსი.

კი, პირდაპირ მიდიოდა, უფროსი ძმისგან განსხვავებული და შორი მაგრამ რატომ და სად, არ იცოდა. არც არასოდეს ეფიქრა ამაზე, უბრალოდ, დახეტიალობდა მშობლიურ ტყე-მინდვრებში, სოფელ-სოფელ, ქალაქიდან ქალაქში... სიმწარეც ბევრი ეგემნა და სიტკბოც. მის გზას არც ერქვა გზა თითქოს, საითაც გული გაუწევდა, თავიც იქით ჰქონდა დაღერილი. მეგობრები ყველგან გაეჩინა, მაგრამ დიდხანს არსად ჩერდებოდა, გული კვლავ სახეტიალოდ, ახალ-ახალი ქვეყნების მოსახულებლად მიუწევდა. რამე თუ ებადა, ბედნიერი იყო, ნეტავი ვინმე შეხვდებოდეს, მასაც რომ ვუწილაოო, თვალები კვარით უელავდნენ. არ ჰქონდა, არც იმაზე წუხდა. პურს თუ იშვიდა, წყალი ყველგან უფასო იყო და იოლას ვადიოდა. ის თავდაპირველი წყენა, მშობლიურ ეზოდან რომ გამოპყვა, დავიწყნოდა, თუმცა ძმებს მაინც იშვიათად ნახულობდა, უკვე თავადაც გრძნობდა, ცოტა რამ ჰქონდათ საერთო და — ჩემი სტუმრობით იქნებ შეწუხდნენო, ფიქრობდა.

ბოლო ოთხ წელიწადს, მეგობარ მხატვართან ერთად რომ გაეტარებინა ერთი მთიანი სოფლის მიყრუებულ საყდარში, ყველაზე ბედნიერად თვლიდა. მხატვარს, მისი უცნაურობისდა მიუხედავად, ბევრ რამეზე აეხილა თვალი ბონდოსთვის.

მეგობარი, როგორც მარტვილი და ლეთისმოსავი, ისე დიდად ნიჭიერი და განათლებული კაცი იყო. იმ დღეს, გაცნობისთანავე — ყოველგვარი რევოლუციისა და სისხლის ღვრის წინააღმდეგი ვარო, ბონდოს განუტყბავა. ყველაფრისგან, რაც დღეს ხდებოდა ქვეყანაზე, თავი შორს ეჭირა. თუმცა, მთლად ასეც არ იყო. იშვიათად, მაგრამ, როცა ალაპარაკდებოდა, უცაბედდ რომ აეშლებოდა საუბრის სადერდელი, მტრისას!.. არავის ინდობდა, თან ყველაფერს მისებურად სჯიდა და ახსნასაც იმდაგვარს (საკმაოდ მყარსო, ფიქრობდა ბონდო) უძებნიდა. ის კი ამბობდა:

რომ, ოდესღაც თავად ერს, ქვეყანას შეშლოდა დიდი შემოქმედის წინაშე და იმას არ გვპატიობდა, ანუ დამსახურებულ სასჯელს ვიხდიდით ჩვენ — გზასაცდენილები!.. არც დღევანდელი დღის ბრალია ეს და არც გუშინწინდელისო, ასკვნიდა იგი. მისი აზრით, უფრო შორს ჰქონდა ამ ჭირს ფესვები გადგმული და საქმეც ამიტომ იყო ასე ცუდად. ადამიანი ერთი საწყალი, უსუსური არსებაა და ის საქმე, დღეს სამართლიანად რომ ეჩვენება, ხვალ შეიძლება ტრაგიკული აღმოჩნდეს, მისი წინამასწარობა ქვეყანას ღუპავსო, იმოძღვრებოდა ხელოვანი. ძალადობის გზა უძრავია, ხოლო ვისაც ჰგონია, ის მიდის, უმალ მისი მზერის მიღმა იკარგება, ან იმ „ჩვევის“ სიცარიელეა, ყვავმა სკინტლით ამოვსება რომ დაიქანაო. ვერავინ შეცვლის იმას, რაც დასაბამიდან არის, რაც იქნება და, ცხადია, რაც იყო!

არც ასე განდგომა და გულხელდაკრეფილი ცხოვრება თვითდამშვიდების წყაროა, — ჩაერეოდა ხოლმე ბონდო, — აი, თუ გინდა, ჩვენი ცხოვრება წმინდანებივით ამ საყდარში, საკუთარი თავის გადარჩენის ცდა უფროა და არც ისე დიდხანს (მარადისობას თუ გულისხმობდა!) გაგვაძლებინებსო!

სწორი ხარო! — არ უარყოფდა თვალბანთებულები ხელოვანი, — ვიცო, დღეს ყველაზე სამართლიანი გზა გულხელდაკრეფა კი არაა, მოთმინების გზაა და ასედაც უნდა ვიცხოვროთო! მაცხოვრებელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენც მისთვის მეტი უნდა მოვითმინოთ, ჩვენი დროც მოვა და ყველას თავთავისი მიეზღვებაო, — ეშუში შედიოდა და ნერვიულად გაივლ-გამოივლიდა საყდარში, — ისე, არც ეგაა დიდი ცოდვა, რომ ჩვენც, როგორც ბევრზე ბევრი, უხმაუროდ გავქრეთ წინაპრის სისხლ-ხორცით გააოხილ ნოყიერ მიწაში... — აქ ისევ აენთებოდა ხელოვანი და თვალებს საყდრის გუმბათისკენ ალაპყრობდა, — სამაგიეროდ, მარადისობისკენ ჩვენს ლეგენდებს

აქვს მზერა მიპყრობილი... ერს ჩვენი დიდებული წარსული და ლეგენდები გადაარჩენს, ის იხსნის სულიერი სიკვდილისგან, ვინაიდან, რაც არ უნდა შეგვეცოდა, იმდენად ძველი და ბებერი ერი ვართ, იმდენი სისხლი გვაქვს ქრისტესთვის დაღვრილიო... უფრო მეტიც! ხვალ-ზეგ აქ უნდა დაიბადოს კაცობრიობის მომავალი, ის ახალი მესია — სამყაროს სიძულელიისგან რომ იხსნისო! — ხელებს ყვირილით იქნევდა უკვე აბობოქრებული მხატვარი, — დღეს ვინა ვართ?! ერთნი — ვითომ გამარჯვებულები — დამტკბარი სახით რომ მოვდივართ, მეორენი — ვითომ დამარცხებულები — ცხვირსახოცში გამოხვეული მუჭა მიწით სამშობლოს იქით რომ გავრბივართ! ის კი არ უწყიან, რომ სადაც დაიბადე, მხოლოდ იქ არის შენი გოლგოთა, აღდგომა და ამალღებაცო!

ფერდაკარგული მხატვარი ერთიანად ცახცახებდა და, რამე არ მოუვიდესო, მივარდებოდა ბონდო, ჯორკოზე ძალით დასვამდა, მერე სველ ტილოს მოურბენინებდა შუბლზე ცივ ოფლგადამსკდარს...

მომცილიდო, ხელს უხეშად აუქნევდა, — შენც იმათ ქურაში ხარ გამოძწვარი, შე ლაწირაკოო! — თვალებს დააკვესებდა დუქმორეული მეგობარი.

ის ლამე ცუდად ეძინა ბონდოსაც. გამთენიისას, მნათი აქა-იქ, რალა ცნაფლეთ-ნაფლეთ შუქად რომ ჩამოსხლტებოდა სახურავიდან საყდარში, მხატვარი აღგებოდა და გარეთ უხმაუროდ გაილალებოდა.

მოგვიანებით ბონდოც აითრევედა დაბეჟილივით წელს, კარში ჩადგებოდა და რალაცაში დაეჭვებულებით მიაჩერდებოდა თეთრი ქვების წრეში ჩაქუჩითა და საჭრეთლით ხელში ჩამდგარ ხელოვანს. ისიც, კეფა თუ აუწვაო დაეჩინებულმა მზერამ, უმალ მოუტრიალდებოდა, მკლავს მოიჩრდილავდა და

ზაურ კალანდია
შაში მისამი

მორცხვად გაუღიშებდა, თითქოს წუხანდელ გაფიცებაზე ბოდის უხდისო და ბონდოსაც გადაურბენდა სახეზე ღიმილი...

მერე ის იყო, ბონდომ მეგობარი დატოვა და ქალაქ ტობაში ჩამოვიდა.

ერთ დღეს ტობაწყურის ხიდთან უსიამოვნება შეხვდა.

სალამო ხანი იყო, მის წინ ვილაც მოხუცი მღვდელი მიდიოდა.

ხიდის თავთან ახალგაზრდები შემოხვდნენ. მათ ჯგუფს ერთ-ერთი გამოეყო და — როგორ დაბერებულხარო, მღვდელს გაეჟილია. შენ არ დაბერდე, შვილოო, ჩაიდუღუნა ღვთის მსახურმა. ყმაწვილი უმაღ მოტრიალდა და მოხუცს წვერში ხელი სტაცა, დააქანჩალა, ცალ მუხლზე ჩაეცა გადაფთრებული ბერიკაცი.

მაშ, ახალგაზრდა უნდა მოკვდე, შე ეშმაკის კერძო, აღარ დაბერდეო? — ხელს აღარ უშვებდა, მერე — აბელი მომეცი, ამისი სვირი უნდა გაჩვენოო, — მეგობარს გასძახა.

რას ჩადიხარ, უგუნუროო? — მიეჭრა ბონდო.

ეს გიჟი ვინლა არისო, დაფეთებულ ყმაწვილი უკან გახტა.

ბონდომ მოხუცი წამოაყენა, ანათორა ჩაუფერთხა, ბიჭებს მწყრალად გადახედა. ისინიც მალე მოვიდნენ გონს, წრე შეკრეს, თითო ნაბიჯითაც შეავიწროვეს ალყაში მოქცეული ჭყონია და მოძღვარი. იქნებ რაიმე შევაგნებინოო და, ბიჭებოო, ბონდომ წამოიწყო. ამისი ბიჭი ნეტა ვინ არისო, ჩაიჭირქილა ერთმა და მეგობრებს გადახედა. ეხ, ამათ საუბრით რას შეასმენო, დაასკვნა და, რახან სხვა საშველი აღარ იყო, მყარად დადგა, საბრძოლველად მოემზადა.

უცებ: რა ამბავიაო, ბიჭების წრე იარაღსხმულმა წითელარმიელმა გაარღვია...

მერე ის იყო, მღვდელმა და ბონდომ თავი ციხეში ამოყვეს.

ერთი კვირა ეყარნენ ბნელსა და ნესტიან სარდაფში, არავინ კითხულობდა მათ ამბავს. ერთ დღეს მღვდელი სად-

ღაც წაიყვანეს, მოგვიანებით ბონდო თანაც მოვიდნენ. კიდევ კარგი, უცხოელს კაცი შენი რა არისო, დაინტერესდნენ. არ დაუმაღავს; მალე ათი წლის უნახავი შუათანა ძმა შემოვიდა საკანში.

მღვდელს რა უყვესო, მისალმების თანავე ჰკითხა,

ძმა დაიბნა.

არა, ამისი გამოსწორება არ იქნებაო, სახე შეეკუმუნა, თავი სინანულით გააქანია, მერე — თავისი სურვილით გაიკრიჭებოდა, ალბათო, უნდილად გაიციუნა და უკან მომყვიო, ანიშნა.

ვერა და ვერ აეწყო ძმების საუბარი. შუათანა ძმა ბევრს ეცადა, ურჩევდა, თვალში გამოეხედა, ერწმუნა დღევანდელი დღის, მაგრამ სასიკეთო სიტყვა ვერ დააცდენინა. მონაზონივით თავდახრილი, პირუჩუმრად იჯდა ბონდო. მაგიდა-სკამებსა და კედლებზე მაუღგადაკრულ ფართო კაბინეტში ისხდნენ ძმები მდუმარედ და ერთმანეთს უცხოებით შეჰყურებდნენ.

აბა, რა გიყოო, შუათანა ძმამ ხელები უმწეოდ გაშალა.

ბონდო წამოდგა.

კართან რომ მივიდა, ძმამ მაინც ვერ მოითმინა და განაწყენებულმა მიადახა: ისე... მართალი ხარ. ამ ცხოვრებას ზურგზე გუღურასავით ველარ მოიკიდებ, მარა ვერც „იმაზე“ დაიკიდებ, შენ რომ გგონია, ბაბაია, უმჯობესია, დინებას მიჰყვეო...

ასე დაშორდნენ ძმები ერთმანეთს.

ბონდო კიდევ რამდენიმე დღეს დარჩა ქალაქში.

იმ დღეს, მეგობარ მხატვართან მიბრუნება ჰქონდა განზრახული. ბედად გუძის რომ გადაეყარა. უფრო სწორად, ის დაინახა, ვილაც მაუზერიანმა აყლყულამ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ბიჭი ბაზრის კართან რომ დაიჭირა და გულმა ვერ მოუთმინა, მათ ნაკვალევს მალულად გაჰყვა.

ამჯერად ავერ, მკრთალად განათებული ხაბოს თავზე ისხდნენ ორივენი ქანცგაცილოლები და ისვენებდნენ.

— მართალი ხარ, — მოულოდნელად თქვა ბონდომ და მხარზე მსუბუქად დაკრა ხელი გუძას, მერე იმოღვანაზე გაიცინა, კბილების სითეთრემ სახე გადაუნათა.

გუძა წელში უმაღლესად გასწორდა, თუმცა, რაში იყო მართალი, ვერ მიხვდა და ისევ ბონდოს დაელოდა.

არ მიუწევს გული გამოქვამბულისკენ და სწორიცააო, უკვე თავისთვის სჯიდა ბონდო. ციხიდან გათავისუფლების მერე და მანამდეც არა ერთი ქარ-წვიმიანი ღამე გადაეთენებინა გამოქვამბულში და იცოდა, რა ხალხიც იყრიდა თავს იქ. იმათი ჯამიდან პური არ იჭმევა, წყალი არ დაიღვევაო, უთქვამს. არც არაფერი უშველითო, განაჩენიც იქვე გამოუტანია, შეწუხებულა კიდეც, მაგრამ იმასაც გრძნობდა (მეგობარ მხატვრისგან განსხვავებით!), სიძულვილით მინც არ სძულდა ისინი. უფრო მეტიც! მისი მიმტევებელი ბუნების წყალობით, ხშირად გამართლებაც უძებნია მათი საქციელის, ყოფის თუ ცხოვრების წესისთვის. თავს ძალად ირწმუნებდა, ალბათ, რომ სხვა რამის ბრალი იყო ხიდ-ქვეშელთა გარყვნისა და წაწყმედის მიზეზები, თითქოს ეს არეული დრო თუ გარემო უფრო სცოდავდა მათ წინაშე, ვიდრე ერთი ან მეორე...

გუძას შეხვდა.

ბიჭი გასუსული მისჩერებოდა და: შენც არანაკლებ ცოდვილი ხარ, ჩემო პატარა მეგობაროო, ფიქრმა ელვის სისწრაფით გაურბინა გონებაში და ფიცხლად წამოდგა.

გუძა თითქოს მიხვდა, რაც გაიფიქრა ბონდომ დ ქვაზე ერთიორად მოიკაკვა.

— წავიდეთ! — თქვა მოჭრილად ბონდომ.

— ბონდო...

— რა იყო?

— ბერი... ბერი ვის უნდა მოეკლა?..

— შეყოვნდა, ერთ სუნთქვად იქცა, — იმ მხატვარმა ხომ არ... — ისევ ბონდოსი თუ შერცხვავო, ველარ დაასრულა და თავი დახარა.

— ვინ?.. მხატვარმა? — იკითხა და

ფიცხლად მოუჭრიალდა. თითქოს ეწყინა რაღაც, თუმცა თავად ესამუშაო საკუთარი ხმა: ძველებური სილბო, სიმტკიცე და ქღერადობა აშკარად აკლდა. — რა შუაშია აქ მხატვარი? — უფრო აღელდა და ბიჭისგან მოშორებით, თითქმის კლდის ქიმზე ნერვულად გაიარ-გამოიარა. გუძას შეეშინდა, ხრამში ფეხი არ დაუსხლტესო. — მხატვრები არასოდეს კლავენ კაცს, პირიქით, მათ ემუქრებიან სიკვდილით!.. და როცა ბერს, პოეტს, მხატვარს უკლავენ ქვეყანას, ამით ერს ეუბნებიან, ნახეთ, ხალხნო, მათი საქმე მათი ხორცივით მოკვდავია და ხრწნადიაო! — არ ცხრებოდა ბონდო, — თუმცა, დღეს... დღეს რა? ყველაფერი უკუღმა და უკუღმართად დანახული! არც არაფერი გვიშველის, სანამ თითოეული ჩვენთაგანი არ მოვა გონს, დიდიან-პატარიანად არ განიწმინდება, წმინდა მდინარეში არ შევა და ხელახლა არ მოინათლებათ! — ღელავდა, თან თავდაც უკვირდა თავისი ნაუბარი და, მხატვარი ცოცხალიაო, გაუელვა, მერე უფრო გათამამდა, გააგრძელა, — თუ ეს ასე არ მოხდა, ის წყეული ეშმაკის ნასკვი არასოდეს გაიხსნება... ვერც ვერავინ გაიგებს, რა მოხდა? ვინ ვინ არის... ვის ებრძვის... რატომ კლავს! მეტსაც გეტყვი! მართალი თუ გინდა, მე, შენ, ალბათ, იმ მხატვარმაც... მთელმა ქვეყანამ ერთად მოვკალით იგი! აბა, რა! პირველად ვინც სცოდა და ერთხელ და სამუდამოდ ასცდა სათნოების გზას, ჩვენც — მე, შენ, ის მხატვარიც კვალში მწვევარვით ჩაგვიყენა და მას მერე სისხლი არ გვეუტხოვბა... ვკლავთ და ვკლავთ ან ანთებული სანთლით თავაზიანად მივაცილებთ უფსკრულისაკენ ერთმანეთს... ის ბერიც ხომ ჩვენი ცოდვილი სულის მორიგი ზვარაკია და მეტი არაფერი! — მღელვარებისგან ხმაც აუკანკალდა, — ჩვენ ხომ დამნაშავეზე უფრო დამნაშავენი, ყოველნაირ მკვლელზე უფრო მკვლელები და თვალთმაქცეები ვართ!.. ისე, ვილაცის თვალწინ ვილაცის მიერ ჩადენილი ცოდვა, სხვის ხალათზე სის-

ზლი გვეუცხოება, საკუთარზე — კრი-
ნტს არ ვძრავთ, მაგრამ, თუ გავვიგეს,
ალიბიცი მზად გვაქვს და, ის გრძნობა
— სხვის თვალში ბეწვი, შენში — დი-
რე ვერ შენიშნო. დღიდან გაჩენისა ქვა-
საყით არის ჩვენს სულში ჩაკირული,
— მოულოდნელად ზურგი შეაქცია და
გაჩუმდა, კაიხანს იყუჩა, — გუძა, და-
ნაშაულზე ფიქრი დანაშაულზე საში-
ნელია და შემზარავი, იცოდე ეს!

ნიავეა დაუბერა, სიგრილე და წვიმის
სუნი მოიყოლა დ ბონდო აჩქარდა.

— ბონდო... მე ვინა ვარ?

შიშით იკითხა გუძამ.

— შენ? — ამ კითხვამ თითქოს დაა-
ბნია და კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო,
მერე მის გვერდით ჩამოვდა, — შენ
რა... შენც არანაკლები ცოდვილი ხარ...

— მხარზე ხელი დაადო. გუძა ერთი-
ნად ცახცახებდა და შეცბა, რა მომივი-
და ან ასე ენად გაკრეფა რა იყოო,
საკუთარ თავზე გაბრაზდა, მოეფერა.
კი, ასეც იყო დარწმუნებული, მაგრამ
მანც არ უნდა მეთქვაო, მერამდენედ
გაიფიქრა. ეგეტ რომ არა, იმასაც ხომ
გრძნობდა, რა დანაშაულიც არ უნდა
ჰქონოდა ჩადენილი, ღვთის თვალი
ჯერ კიდევ იყო ამ ბიჭში, სულში ჯე-
რაც უტრიალებდა და... — მაგრამ უმე-
ცარი ცოდვილი და, თუ რამე გიხსნის,
ისევ და ისევ შენი უმეცრება.

— მეც ხომ...!

ხმააქანკალეებულმა გუძამ წამოიწყო
და ამითაც დაამთავრა, უფრო სწორად,
იმისი თქმა ვერ გაბედა, მეც კაცი მო-
ვკალიო. არადა, ერთი სული ჰქონდა,
რას იტყოდა ბონდო, შეუძნობდა თუ,
როგორც ცოდვის მქნელს, მასაც გას-
წირავდა.

— ვიცი, — მღელვარება რომ დაეც-
ხრო, ხელი მიწაზე მოაფათურა. ქვა
რომ იპოვა, გაუხარდა, ღონივრად ის-
როლა ხევში, — ვიცი და... შენ, რო-
გორც უმეცარ ცოდვილს, ერთადერთი
გზა გაქვს დარჩენილი, მონანიების გზა!
ქეშმარიტად მომნანიებელი შეწყნარე-
ბული იქნებაო. ბრძენთ უთქვამთ. ოღ-

ონდ გახსოვდეს, ეს გზა ტანჯვისა და
ამისთვის მთელი შენი არსებით უნდა
განემზადო!..

წამოიჩნელა.

ბონდო წამოდგა.

გუძა ისევ ისე მობუზულიყო. გრძნო-
ბდა, რაღაც გაუცნობიერებელი შიში
გასჯდომოდა ტანში, ქვაზე ზღარბი-
ვით შეეკუმშა და აეწრიალებინა. მერე
და მერე უფრო მოტყდა და ახლა აშ-
კარად უკვირდა ამ უცნაური, ახირე-
ბული კაცის, თითქოს ეჭვიც კი შეჰ-
პარვოდა მის გულწრფელობაში, სი-
კეთეში... მართლაცდა, ვინ იყო, რა უნ-
დოდა? რატომ და რისთვის იცავდა და
მფარველობდა, აღმა-დაღმა დაჰყავდა...

— მანც რომ არ ვიცი, ვინა ხართ?

თითქოს სხვამ თქვა ეს, თავიდანვე
გულ-გვამში შემძვრალმა და აქამდე მი-
ჩუმბათებულმა მიწრიელმა უბიძგა თა-
ვისდა უნებურად და ხმან ამოაღებინა.

— ვინ? — გვიან თქვა, თან ნერვიუ-
ლად გაიციხა ბონდომ, — ვინ ვარ და...
მღევარი და ღვენილიც, ცის ნამიცა და
მიწის მატლიც, მარხული წმინდანიცა
და უდაბნოში მოხეტიალე ყარბიცი. ეხ,
რაღას გაიგებ... იქნებ არც არავინა ვარ.

— სულ ასე ცხოვრობ?

— სულ ასე! — ალაღად გაელიმ-
ბონდოს. — ჩემი ცხოვრება ჩემს აზრს
ჰგავს და პირიქით!

— მე რომ სულ ცოტა მესმის შენი?
თითქმის არაფერი, — ბიჭი გულწრფე-
ლად შეწუხდა.

— მერე რა?! — ხმა აღრინდელივით
თბილი, ერთბაშად მიმნდობი, რაღაც
ნაღვლიანიც გაუხდა, — მთავარია, ჩვენ
ერთმანეთი ვიპოვეთ... სხვა კიდევ სხვა
ვილაცას იპოვის, მერე ჩვენ ერთმანეთს
ვიპოვით და ასე აღარ გავვიჭირდება.

— ?

— ხვალ-ზეგ რაღაც-რაღაცებს მოვა-
გროვებთ, თბილ ტანსაცმელსა და ცო-
ტა სურსათს ვიპოვით და აქედან მივ-
დივართ. ჩვენ ჩვენი გზა და სოფელ
გვიცდის.

— რა სოფელი?

— სოფელი. სადაც პირველყოფილ

სამშვიდე სუფევს და ერთიმეორის სუ-
ლის გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლე-
ბელია, — გაჩუმდა, — ხომ მოდიხარ?

— მოვდივარ.

უმალ მიუგო გუძამ.

ბონდო ჭყონია და გუძა შორდია ხი-
ლის მიმართულებით წავიდნენ.

8.

მართალია, გამოქვაბულში საშინ-
ლად ციოდა, მაგრამ შიგ ჩამოწოლილ
ქუშსა და ნესტზე მეტად უკუნს თუ
აუღისო გაბრწინილი ვირთხების საძა-
გელი სუნი, სუნთქვა ჭირდა. როგორც
საუკუნეების წინ, დღესაც უსიამოდ
ხვდებოდა ყურს ღამურების ფრთების
მქისე ტყლაშუნი ღვიმის ფართო ყელ-
ში თუ მდინარის აბეზარი ხმაური, რა-
ღაც ღამეული ხმები ხამუშ-ხამუშ რომ
ერთვოდა და შიშს ერთიორად ამძაფ-
რებდა.

მაინც ცხოვრობდნენ აქ ადამის ცო-
დგილთა შვილები... დიდი ხანია. ნა-
თელს გაერიყნენ ისინი და დღეს გამო-
ქვაბულის ბნელი ხახა გამხდარიყო მა-
თი ის ერთადერთი, „კეთილი სახლი“,
გული ალაღად რომ გადაეხსნა და შეე-
ფარებინა.

და, ცოდვა-ბრალით სავსე, ღვთის
მგმობლად, ღალატისა და წარწყმედის
ბუდედ ფეთქავდა, ტორტმანებდა —
დევების სახლივით მყარი გამოქვაბუ-
ლი.

გამოქვაბულში ცხრანი იყვნენ.

გამხმარ თივა-ჩალაზე, ნახერხში,
ქვის სკამ-ლოგინსა თუ პირდაპირ მი-
წაზე ეყარნენ ძონძებში გახვეული —
გზსააცდენილი და წელგაწყვეტილი,
მშიშარა, მკვლელი, მტაცებელი ადა-
მიანები და ცოდვილ სულსა და სხე-
ულს სახვალიოდ, ალბათ, ხელახალი
სიავკაცისა და უკეთურობისთვის ას-
ვენებდნენ.

გასასვლელის მარცხენა კუთხეში
ორნი რაღაცაზე ცხარედ და ფარულად
ბჭობდნენ. მერე ერთმა მეორეს მაჯა

დაუჭირა, ჩემი წასვლის დროაო, უჩუ-
რულა და ბნელში დაოთხილი გახიზნა.
ის ვიღაც მძინარ კაცს მიაღება, ნაბადი
თუ ახურავსო, იყოყმანა, ხელი მოუსვა,
ბუწუწიც ჩაუწიწკნა, დასუნა... რომ
მიხვდა, არ შემცდარა, თამამად შეან-
ჯღრია და, როცა ბნელში ბნელი აფუთ-
ფუთ-აკრუსუნდა, წყვილმა, პაწაწინ-
ტელა წერტილმაც რომ გაიკვესა, მო-
სული უმალ საიდუმლოდ აჩუჩუნდა:

„სუუ... იმელიონი ვარ მე, დაღუა...
მოსეს კაცი ვარ მე და საქმე მაქვს
შენთან...“

„რა საქმე, პატივცემულო?“

შიშით იკითხა ზედმეტად მინახებუ-
ლმა ხმამ და ის ნაპერწკლებივით წერ-
ტილები უკუნში ელაშად გაცურდნენ.

„გითხარი, მოსეს კაცი ვარ-მეთქი!
ხვალ, შუალამისას, ტივი ჩამოივლის
აქა, ტობაწყურზე... ორნი იქნებიან
ზედ, ჩვენი ხალხი... უთენია გაშლილ
ზღვაში ვიქნებით! იქ მოსე დაგვხვდე-
ბა, რასაკვირველია, და, ჰაიდა, მოვუს-
ვამთ თურქეთში...“

„ვინა თქვა?“

დაეჭვდა ახალგამოდვიებული.

„მე გეუბნები აგერ!“

„შენ?.. რომ არ დაგვიხვდეს?“

მთლად წართმეოდა ხმა მღელვარე-
ბისგან.

„რას ჰქვია, არ დამხვდეს? — იწყი-
ნა სტუმარმა, — შენი არ მიკვირს?
ორი დღეა, გემი ადგილზეა და იტვირ-
თება... ნავსადგურიდან გავლენ ვი-
თომ და ზღვაში დაგველოდებიან. უკვე
პაროლიც მაქვს.“

„მერე?“

„ჩვენც მეტი რაღა გვინდა! — აშკა-
რად გაიოცა „მოსეს კაცმა“, — ძმო
გლებო, ყური დამიგდე კარგად. ჩემი
და მოსეს ღრმა რწმენით, ხვალ ღამით
ან ზეგ ტივი უმჯველად ჩამოივლის...
დილიდან კაცს დავსვამ ნაპირზე, მარა
იცოდე, ტივს არ დავგვიბამენ ხიდქვეშ.
რასაკვირველია! სეკუნდში უნდა მო-
ხდეს ყველფერი. შენი დიდი იმედი
მაქვს და კიდო საშასი“.

„საშასი?“

არ ექაზნიკა გლებოს.

„სუ, მაგი არ თქვა! — შეაწყვეტინა, მერე თავად აიფარა პირზე ხელი, — ასჯერ მყავს შემოწმებული. ახლა ეკლესიას და მის მსახურთ დევნიან სწორედ! ვატყობ, ჯოღორიაც გამოსადეგი კაცია. ჩამუვიას შენ თვითონ იცნობ, არ უნდა ლაპარაკი. ჭოლაც...“

„ხილიდან რომ შენიშნონ ტივი?“

არ ტყდებოდა გლებო.

„მოსყიდულები იქნებიან. ხომ იცი, — მოაკვარახჭინა მოსემ მისებურად. მისი გამოჩენა აქ არ არის საჭირო, — ასე გადავწყვიტეთ ჩვენ იქ, რასაკვირველია“.

„კი მარა, აკი საფრანგეთშიო?“

„შენ თუ გინდა, იერუსალიმში წაიღი, მაგალითად, რომელი ერთი დაგიშლის! — გაფიცხდა „მოსეს კაცი“, — მთავარია, აქედან გავალწიოთ. ხომ ხედავ, რა დღეში ვართ! — გლებოს მხარს მიეწმამნა, თან ხმა უფრო გაისაიდუმლოვა, — ხო, ხო, რავე მომძლავრდნენ ეს ძაღლთაპირები! ვინ გაპატიებს მისხალს! უკვე გვეძებნენ, წელან საშამ მოიტანა ამბავი, რა მაგათ ჩავარდნიხარ და რა გაფიცხებულ თონეში გიდურთავს თავი...“

„კი-ი... მე და ჩამუვიამ ერთად ვნახეთ გლებო და... — კვლავ საეჭვოდ ყოყმანობდა, ბოლომდე არ ენდობოდა მოსულს, — მაშინ საფრანგეთი რომ შეგვპირდა?“

„სიტუაცია შეიცვალა თურმე, რავე ვერ გაიგე ამდენ ხანს!“

იმოდენაზე წამოიყვირა, გვერდით ვილაცა შეიშმუშნა, კენესა-კენესით გვერდი იცვალა და მერე უფრო ენერგიულად ახვრინდა.

„გაგებით გავიგე, მარა...“

„კაცო, გემი ჭერი თურქეთში მიდის, მერე საფრანგეთში და ბოლოს, მგონი, საბერძნეთშიც...“

„საბერძნეთში?“

„კი, ასე თქვა მოსემ, მამის სულს გეფიცები“.

ხმა წაუტოკმანდა და, რას იტყვისო, დაელოდა.

გლებო დუმდა, საფიქრალი „მოსეს კაცის“ სტუმრობას, ცხადია, მსმენელად გაეჩინა და რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა. იმელიონმა ფიქრიც არ აცალა, ხელი ნაბადზე მოუსვა, მერე უბეში ჩაუყო, ჩაუსრიალა და მკაცრად დაუჭირა.

„ვიცი მე, რასაც ვამბობ და გქონდეს ჩემი იმედი... ისე, შენც სწორი ხარ, მარა ყველაფერს ერთ სეკუნდში ხომ ვერ გეტყვის კაცი! ჰო, კინალამ დამავიწყდა! იმ მაწანწალას და ჭიჭალას ნუ გაიკარებ! განსაკუთრებით კინჭული არ მომწონს და თვალიდან არ გაუშვა. თუმცა, ნურაფრის შიში ნუ გექნება. საშა აგერ, მაგი მოუვლის, ეგეთები არ ეშლება, — შეისვენა, — კიდო საეჭვოა რამე?“

„არა...“

„აბა, წავედი. თუ რამე დაგჭირდა, მარცხნივ ვწევარ მე, შემოსასვლელში“.

მკვირცხლად შებრუნდა.

— არის აქ ვინმე?!

კაცის ბოხმა ხმამ იმელიონი ადგილზე გაყინა, მერე კვლავ გლებოს მიუჩოჩდა.

„სუთუ... ის უნდა იყოს...“

„ვინ?“

ხმა აუკანკალდა გლებოს.

„ისა... ჭყონიას ძმა. სიტყვა არ დაგცდეს, იცოდე! თფუი, მაგი გვინდოდა ახლა ჩვენ?“

●
თენდებოდა.

მოდოდა დღე, მძიმედ, მტკივნეულად ახვლდა თვალს ღამით მხრებდამძიმებული, ნათელი ჭეშმარიტი...

ნისლი ამღვრეულიყო ხევში, მდინარეც ნისლივით ბოლავდა, ჰაერი — ნოტიო და გაუმტარი გამხდარიყო.

მოდოდა დღე...

თუმცა, მაინც მკვდარი სიჩუმე იწვებოდა, ანუ ხილზე, გაღმა-გამოღმა კოშკებშიც.

ხილქვეშ, გამოქვაბულშიც ჩამიჩუმდებოდა ისმოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, მა-

თი ყურწყარუებული ყოფა თუ სიჩუმე თითქოს სხვა რამ იყო. ერთს, ნაბაღში გახვეულს მკვდარივით რომ ეძინა, შეორეს — დილის სუსხი თუ გამოქვაბულის ყინულოვანი სიცივე ციებიაწივით აბგაბებდა... მაინც ყოჩაღად იტანდა ეს უკანასკნელი, კაიძალ დარდ-ვარამს ჰყავდა თავიდან ჩაყურსული და იმიტომ, სხვას ვიღვე სხვა რამ აწუხებდა, ანუ — ძილი თითქოს საუკუნოდ ჰქონდა დამფრთხალი და დღეს ვერც წყლისპირა ჰავას, ვერც კედლებჩამოგვიფული ნესტის და შმორის, აყროლებული ჰაერის სუნს თუ გამთენიისას ტობაწყურის მოხშირებულ სუნთქვაჩქაფანს — ბუნებასთან ერთად წყალმაც თუ გამოიღვიძაო — ვერ გადააბრალებდა.

გამოქვაბულის მრგვალ, დევის ხახასავით დაბჩენილ შემოსასვლელს მრეში ფერი მოაწვა, რომელიც უფრო და უფრო გალიავდა და თანდათან ერთ მკვრივ და წყრთანახებვარი სიგრძის ნათელ ზოლად გაწვა სიგრძე-სიგანეში...

— მგონი ისევ ისვრიან ეს ოხრები!..

ჩამუგამ ყურები ცქვიტა და ჩამოჯდა, შეციებული მკლავები ფრუტუნფრუტუნით დაიხილა და თვალები აქეთ-იქით მიმოაყეცა.

— ნეტამც დაუხოციათ ერთმანეთი! აბუზლუნდა ძილგატეხილი გლებო, ბევრისთვის გაურკვეველი ეროვნებისა და ასაკის ხმამინაზებული მამაკაცი და გვერდი ჯუჭლუნით შეიცვალა.

— შენ რა გენაღვლებდა! — შეუღრინა ახალგაღვიძებულმა ჭოლამ, — ჩვენები მოვიდნენ, ალბათ... — გულაფანცქალებულმა დაიხურჩულა და სმენად იქცა.

— ვინ ჩვენები?

მოჰკრა თუ არა ყური ჭოლას ხმას მოხუცმა მათხოვარმა, უმალ აწიკვინდა, წამოჯდომას შეეცადა. ძლივს მოახერხა, შიშველი თავი ცერით მოიფხანა (მათხოვარი ხეიბარი იყო; მარცხენა ფეხი მუხლზემთ ჰქონდა წაჭრილი და ხელის თითები — ისიც მარცხენა —

ბოლოებში წასხებილი; ხელი ჩოვანვით მომრგვალეზოდა და მარტო რილა შერჩენოდა). თავზე შესცივდა და საჯდომქვემოდან ჩვრადქცეული ქული გამოიღო, დაფერთხა და დაიხურა. არავინ იცოდა, ვინ იყო, რა ერქვა, როდის და საიდან მოვიდა გამოქვაბულში... თუმცა, ეს საერთოდ არ აწუხებდა ხეიბარს, პირიქით, ესენი ვინღა არიანო, უგვირდა. არც მოსწონდა, რადაც ეჭვითაც უყურებდა მათ მდგომარეობას და საქციელს.

— ვაი შენს პატრონს!

ჭოლა ხეიბარს გაუბრაზდა.

ხეიბარიც მიხვდა თავის შეცდომას და, თითქოს ვინმე ქულის წართმევას უპირებსო, ორივე ხელი წაივლო, დაიმგრა და კედელს მორჩილად და სულგაკმენდილი მიეჭუნჭყა.

მდინარემ უმატა ხმაურს, გამოქვაბულში დღის შუქივით ტანჯვა-წამებით შემოაღწია, მერე იმდენად გამკვრივდა, რომ წყლის შხუილი თითოეულს ყურში დაუგებდა.

— ა, ეცი ახლა ამას პატივი! — იმელიონ დადუამ ჭოლას მხარი დაუჭირა და მისკენ შემთხვევით გამოჩოჩებულ ხეიბარს კინწზე უხეშად წაჰკრა, თან ცოცხლად წამოღგა, მერე მძიმედ, ჯაჭულად გაიარ-გამოიარა შუა გამოქვაბულში. დაბალი, მკვრივი და ჯირკუტანა იყო. ძველი, დაბამბული ჯუბა, შიგ მეზღვაურის ზოლებიანი მაისური, გალიფე შარვალი და კამეჩის ტყავის ყელგადაჭრილი ჩექმები ეცვა. იმელიონი ჩამუგასთან მივიდა, გვერდით ჩაუცუტქდა და ყურში უჩურჩულა — მზის ერთი ჩასვლა-ამოსვლა დაგვრჩაო.

მზის რა ერთი ჩასვლა-ამოსვლა, ხომ არ გაგიუდაო, ჩამუგია გამტერდა.

ხმას მაინც არავინ იღებდა, მარტო ხეიბარი ქსუტუნებდა კუთხეში განაწყენებულ.

იმელიონი ნაბაღში მჭიდროდ გახვეულ გლებოს მიადგა, როგორა ხართ, შეანჯღრია.



ოა მოხდა?

მოთმინება დაკარგა გლებომ; გაურკვეველი ეროვნებისა და ასაკის ჩაპუტკუნებული მამაკაცმა. თვალები მუჭით ამოიფლიძმა, აბუზღუნდა, არადა, წელიდან იმელიონი რომ მიუჩოჩდა და გაემხილა, მას მერე მოსვენება დაეკარგა. რაც მეტს ფიქრობდა იმ ამბავზე, მით უფრო ეპარებოდა ეჭვი დღეუაზე. ჩემს და ჩამუგისას საუბარს ხომ არ მოჰკრა გუშინ ყური და რამე არ გვიხიბანკლოსო, ეს აზრი უბურღავდა ტვინს; თავის ქალა ახლოდა.

— ვინ მოათრია ეს აქ?! — იმელიონმა დასკუქა და მზერა ხეიბარს მიაცივა.

ხეიბარი აწრიალდა, გაფითრდა... მერე, ყოველ შემთხვევისათვის, ყავარჯენი კარგად მოიხელთა, საღი ხელით ჩაბლუჯა...

ველარ მიმხვდარიყო, ვინ იყო „მოთრეული“ — თვითონ თუ ესენი? ბოლოს და ბოლოს, არც ერთი არ იყო აქ ორი-სამიოდე კვირის წინ, მას კი წლებანდელი სუსხიანი ზამთარი, თავის ძველ მეგობრებთან ერთად (მეგობრებიდან ერთი ბრმა იყო, მეორე — აშკარა აფერისტი თავს განგებ იბრმავებდა; ხელიხელჩაკიდებულები დადიოდნენ და თავიანთი სიბრმავით ჭამდნენ პურს... შეიძლება, არც ის ბრმა იყო წმინდა წყლის, ვინაიდან ერთ წვიმიან ღამეს ხეიბარი გაქურდეს და ორივენი სადღაც მიიმაღნენ), მღვიმეში გამოეზამთრებინა. ეგ ზოლებიანმა ისტორიანი კადევი...

ეხო, ხეიბარმა უფრო მტკიცედ ღუჯა ყავარჯენი.

— ეხ... მოგცლია ერთო, ღრმად ამოიხბრა გლებომაც, ხელი უკმაყოფილოდ ჩაიჭნია, მერე ნაბადი უფრო მჭიდროდ შემოიკეცა და, ვითომ ძილს მისცა თავი, თვალები დახუჭა.

ეცი ასეთ ხალხს პატივიო, იმელიონმა მხრები განაწყენებით აპყარა და ამჯერად საშას მიადგა.

საშა შემოსასვლელის მარჯვენა კუთხეში, შედარებით გამორჩეულ, მშრალ, შუქიან ადგილას, კარგა გაჩორკნილ და ნიჩაბივით შუაამოდარულ ფართო ფიცარზე იწვა. ამ რამდენიმე დღის წინათ ფეხი რომ შემოდგა გამოქვაბულში, მოქვის მოძღვარი, ჩხორთოლელი კუპრა ვარო, ხიდქვეშელებს ასე გაეცნო. — თუმცა, დღეს არც ღმერთის მწამს და არც კაცის, ამათ გადამკიდესო (ხელი ზევით, ხიდისკენ აიშვირა) და „მამა ონოფრეს“ საერო სახელი — საშა რომ დამიძახოთ, ის მიჩვენებიაო, დასძინა.

აღდგომა დილას ხელში ოყე* აულია, სოფლისთვის რომ ეხარებინა, ჩაუბერავს და მაშინ მიპარვიან ყმაწვილები, სამრეკლოს კიბიდან კისრით დაუგორებიათ და... ფეხმოტეხილმა ძლივს გავივასწარი იმ შეჩვენებულებსო, ხშირ-ხშირად იმეორებდა, თან წვივზე მუშტისტოლა ძვალგამოჩრილ მარცხენა ფეხს რიგრიგობით უჩვენებდა ყველას.

* საყვირი.



ის ლოცვა დააკლდათ...

როდესაც მაწამებდნენ —
მე ხომ ვიცოდი,
რომ შენთან მოვდიოდი.

მზე მაინც ჩავიდა, ჩავიდა.
ჩემსკენ მზირალი
ბოლო თვალებიც ჩაქრნენ.
და როცა ელვამ ცა გადასერა
მაშინ აღმომხდა ის სიტყვები,
დღემდე რომ ცოდვის მარცვლებივით
ზედ დავაბიჯებ.
მცირე სიტყვები,
მხოლოდ საკუთარ თავზე მოფიქრალი
კაცისგან თქმული...

სწორედ ის ლოცვა დააკლდათ,
ის წუთი.
როცა ჩემი თავი შევიბრაღე.
მე კი მათზე უნდა მეფიქრა.

მათი ცოდვებისთვის ხელი შემეხო,
რათა სიხარულად მობრუნებოდათ...

როდესაც მაწამებდნენ —
მე ხომ ვიცოდი,
რომ შენთან მოვდიოდი.

მათ ჩემი ლოცვა დააკლდათ!
და ველარასდროს გამოვისყიდი
ამ დანაშაულს,
ველარც ხსოვნით
და ველარც ცრემლებით...
როცა ჭვარზე გაკრულმა
შენ გაგიხსენე
ჩემივ თავისთვის...

მაგრამ,
როდესაც მაწამებდნენ
მე ხომ ვიცოდი,
რომ შენთან მოვდიოდი?!

რად გაგიხსენე?!

შენ ხომ წახვედი.
და განა ფიქრით ისევ უკან
მოგაბრუნებდი?

რა ამაოა სურვილი ჩემი,
ვით მომაკვდავის გაღივება
ბაგის კუთხემდე კერმილწეული.

დაგენანება ცრემლის წვეთი
მიწას რომ ერთვის,
ღიმილი, ბაგეს მოწყვეტილი —
ნოემბრის ქარით.
ვინ გაიმეტებს გაზაფხულის
ყვავილებს შენთვის,
ვინ გაგიხსენებს მონატრების
ბოლო სიზმარით.

სად დაბრუნდები, ღამის გზაზე
ვარსკვლავი ჩაქრა.
სევდიანია განთიადიც,
ღლის დასასრულიც.
ცივი ხელებით ამოითხრი
საკუთარ საფლავს
და გადმოგაყრის ხელუკუღმა
მიწას წარსული.

რისთვის გეთმობი.
მარტოობისთვის?
როცა ცრემლების მდინარეზე
გადავდიოდი,
ხელი გამეშვა
და გაღმა დავრჩი.

ახლა ლამეა.

სევდისფერი ჩემი დობილი
ისევ დაბრუნდა.
და შენ გიხსენებთ.
ლოცვასავით მსუბუქია
ამ დროს ფიქრები...
შემოგვიარე,
სანთლის შუქზე
ერთად ჩამოვსხედეთ.

განხიორება

ჩემში ცხოვრობს
მოხუცი ქალბატონი,
ჩამქრალი თვალებით და
სევდიანი პროფილით.

ყოველი მისი დღე,
უღაბნოსავით ჩრდილდაკარგული,
მე უნდა გავლიო...

როდესაც ქუჩაში გამომყავს
ძალდატანებით და უსურვილოდ —

ის თვალდახუჭული მომყვება,
თითქოს მიცვალებული წამომდგარა
ცოცხლების გასაფრთხილებლად:
„უფალო, უფალო. გევედრები,
ნუ დამიკარგავ სიხარულს!“

ახლა ჩემში ცხოვრობს
სიხარულდაკარგული
მოხუცი ქალბატონი.

სიხართლე

თქვენ ყველანი დამივიწყებთ
და ამისთვის დიდი გარჯა არ
დაგჭირდებათ;
ბოლოს, საფლავს ამოფარებულს,
როგორც უცნობს, მიმატოვებთ
და უკან გამობრუნდებით.

... მხოლოდ სიყვარულს ვემახსოვრები,
რამდენჭერაც გაიღვიძებს უცხო
ასულში.

აკობი

მე ველოდები სიტყვების თამაშს,
როცა გადმოვლენ გონების წიაღიდან
და თეთრ ფურცლებზე დალაგდებიან,
როგორც ყვავილები მწვანე მინდორზე.
მე ვარ მოლოდინისგან დაღლილი
უსაქმური

და თვალებიც დახრილი მაქვს,
ვით მორწმუნეს ლოცვის წუთებში...
ღიახ, მე ვარ უსაქმური,
ჩემი ერთადერთი ხელობა
სიტყვებთან თამაშია:
წინადადებების ძერწვა.

მეტაფორებთან კეკლუცი,
აზრის მორჩილება იმგვარი ძალით,
ქალწული რომ ნებდება სიყვარულს.
ხშირად მენატრება გაზაფხული,
როცა ჭერ ისევ ზამთარია
და ყინვის ფოთლები ელავს ტოტებზე.
შემოდგომაა ჩემთვის ოქროსფერი
სიზმარი,
სადაც ქარი ჯადოქარი მუსიკოსია.
მე შემიძლია გარდაცვლილი
სიყვარულის გაცოცხლება.

მე შემიძლია ძვირფას საფლავთან
ბროწეულის ხედ ვიდგე
და გვიან ზაფხულამდე
ცეცხლისფერი ყვავილებით ვიფიქრო.
მე არასოდეს გარდავიცვლები.
მე გავცოცხლდები იმათში,
ვინც ჩემს შემდეგ ლექსებს დაწერს.
ჩემს საფლავის ქვას ექნება
ერთადერთი წარწერა:
პოეტი!

დავიწყება წარსულში

ვერ გავიხსენებ,
როცა ისევ თქვენთან დავბრუნდები,
ვერ გავიხსენებ,
ვერც ახლანდელ ქუჩებს და სახლებს,
ვერც სოფლებს და ვერც ქალაქებს,
ველარც სიმღერებს, ველარც ომებს

ვერ გავიხსენებ...
მაგრამ მის სახელს თუ გავიგონებ
სხვა საუკუნის სხვა ქუჩაში,
მაშინ ყველანი,
ყველანი ერთად გამახსენდებით.

●
დამალე სული,
ცის ბილიკებს მარად გამყურე...
დატყნა გვირილა, ნაზი ვარდიც,
მღერის სამყურა.
მოჰგვარე მზერას
ეკლის ტოტი. სული დამალე.
ჩაჰყევ კიბეებს...
დაბლა. სულ დაბლა,
ჰყვავის სამარე.





წლების მერა

ბევრი რამე მოიყოლა დრომ,
ბევრი რამე გაიყოლა თან,
რაც წაიღო, იმას უფრო ვგრძნობ,
დაკარგული უფრო კარგად ჩანს.

გული უფრო მეკუმშება დღეს,
ოდეს ხსოვნა ლავასავით დღეს,
მწვანე ფერი გაუხუნდა ტყეს,
ჩამოყრილი ფოთლებისთვის წუხს.

ის ხედები შეერია ნისლს.
ვინც მწყუროდა, აღარავინ ჩანს.

ისე არვინ ამიჩქროლებს სისხლს,
ისე არვინ აღარ მეტყვის ბანს.

ზეცაც თითქოს დაწეულა ძირს.
ვეგუები უშენობას კრულს,
შენთან მინდა. უშენობა მჭირს.
ერთადერთი შენ აკლიხარ გულს!

ალბათ, ეს დღეც გათენდება ხვალ.
ალბათ, მალე გავინათებ ბნელს...
თან წავიღებ წუთისოფლის ვალს,
და სიმღერით გადადადრულ ყელს...

სარფიანი საქმე

საქართველოს სიყვარული
სარფიანი საქმე გახლავთ,
ვიციტ ბევრი, ვინც ამ ხერხით
გვარიანად შეიმაღლა.

დაიშინეს მუშტი გულზე
მოიღერეს ყელი კოხტად,
ერთხელ, ორხელ, დაჟინებით,
აჰა, ხმაც კი დაუბოხდათ...
ახლა უკვე ადვილია
ნაღების და ლალის მოხდა.

ხალხმა გული თუ გაგიღო,
მისი გული თუკი გალხვა.
გიხაროდეთ, დაფასება,
იცის ჩვენმა ტკბილმა ხალხმა!

ჰოდა, თვალის ასახვევად
უხმეთ მხოლოდ ფანტაზიას.
რას დაეძებთ, თქვენი მრევლი
მსხლის ნაცვლად თუ პანტაზია!

მთავარია ცაში ცქერა,
არა ხალხის გულთან დახრა,
მთავარია, რომ ხალხს სჯერა,
თითქოს გესმით მისი ზრახვა,
თითქოს იმის დროშას ჰკერავთ,
თითქოს მტრისთვის ჰკვერავთ
ლახვარს...

ნუ გადასდებთ სახვალიოდ,
შეუდექით საქმეს ახლავ —
საქართველოს სიყვარული
სარფიანი საქმე გახლავთ!

გაუგზავნილი ბარათებიდან

დამყურებს თავზე შემოდგომა
გადაქუფრული.
ცას შესდგომია ჩანლიანი, შავი
ღრუბლები.
ისევ აკვდება ჩემს ბაგეებს შენზე
ჩურჩული,
ისევ წვიმს წვრილად, დაჟინებით,
გადაუღებლივ.
აღარაფერი — თვალისათვის
გასახარელი.

თრთიან უმწეო, გაკრეფილი სველი
ტოტები.
წასულა ეამი ქრუანტელის —
ცა — საყვარელი,
მოფენილია ველ-მინდვრები ხმელი
ფოთლებით.
აღარსად მთები,
სურვილივით ცად აზიდული,
მზერას ისრუტავს
მოკარული ირგვლივ ნისლები.

როგორც ცნობილი
ლამის ცაზე ჩამოკიდული,
ისეა გული, გულს საკუთარს ვერ
ვეთვისებდი.

ალარ მოგელი,
ალარ მოხვალ, ვიცი, არსაით.

ალარვინ მოდის ჩემს მოყამულ
კარმიდამოში.
გადაიფრინეს ფრინველებმა ფრთების
სავსავით.
მიაფრიალებს ქარი ხიდან
ბუდეს ჩამოშლილს...

პარადოქსები

(ბრეიგელიდან)

მძინავს და ძილი ძილი არ არის,
მღვიძავს და ხშირად მძინავს
მღვიძარსაც.

ვინ მემუქრება, როგორც ალალი?
ეს ძილ-ღვიძილი ვინ გამიიარცვა?

ვფიქრობ და ფიქრი მოდის უსახო,
ვმღერი და ბგერა იქცა ხავილად.
ვის შევესიტყვო, ვის დაეუძახო?
ყველა თავისი გზებით ჩავლილა.

ვხედავ და ხედვა დანისლულია,
ვუსმენ და სმენა გამინახევრდა.
მინდვრად ბალახი არ ჩანს სრულიად —
ვხედავ, მარტოდენ შამბი აყევრდა.

კატა ყეფს, ნაზად კნავის ნაგაზი,
ბლავის ცხენი და ძროხა ხვიხვინებს,

ქათმები მშვიდად თვლემენ ბაგაზე
და საქათმეში ცხვარი იძინებს.

უკუღმა ბრუნავს — წალმა მბრუნავი,
პირი იბრუნა მზემაც, მთვარემაც,
არც საყვედური, არც სამღურავი,
არავის უკვირს ქვეყნის არევა.

არავინ ნაღვლობს სხვათა სანაღვლეულს,
რიყეზე ქვასაც არვინ არ ხედავს...
მუნჯი გაჰყვირის ისე ხმამალა,
რომ ეხერხება მხოლოდ სახედარს.

ღმერთო, შენ მიეც წესრიგი ძველი
ან ამ ქვეყანას, ან ჩემს გონებას.
რომ კვლავ ვიხილო სამყარო მთელი,
დალაგდეს ფიქრი და შთავგონება!

კანის ცოდვა

წუთისოფელი — ნათელის, ბნელის
მონაცვლეობა სამარადქამო...
მუდამ ებრძოდა ბოროტი კეთილს
ახლაც ფარ-ხმალი არ სურს დაყაროს,
სურს, შეარყიოს საყრდენი სვეტი,
სურს, დაგვაქციოს თავზე სამყარო.

ისევ იუდას ვერცხლის ჩხრიალი,
მგელი ცხვრის ტყავში ისევ მელაობს.
კვლავ წუთისოფლის ბრუნვა-ტრიალში
თავადერილი მიყელყელაობს.

მზეზე ხილულად გამოსულია —
ქრელი ასპიტი გესლავს საკბილღს.
აწ აღარაფრად უჩანს სრულიად
საქმე სასირცხვო და სათავიღო.

იგი უმწეო თავის ნაშიერს
ზედ გადაუვლის, რომ გზა განაგრძოს...
ყვირის, წრიალებს, ერთ ამბავშია,
იმასაც ითხოვს, რომ უთანაგრძნო.

ავად ელავენ შავი ეშვები,
მოუღიავედა საასპარეზო.
წმინდა ტაძარში ითხოვს შეშვებას,
რომ იქ იმძლავროს და იგარეწროს.

მისი ბუნავი ისე ბნელია,
შენს მტერს!
იქ სხივმა ვერ შეაშუქოს!
ვერ მოარჯულებ, სისულელეა,
მთელი ქვეყანა მას რომ აჩუქო.



სხვა ჰყავს მოწყალე და დამფარავი.
სხვაგან ვგულის ოქროს აკიდო —
ალა-მაჰმადის ყვითელ კარავში
მიძვრება. რათა ქართლი გაყიდოს.

ტივილი იველი, მოუშუშები,
შენ დღესაც გტეხავს, ჩემო მამულო.

ახლაც თბილისის ღამის ქუჩებში
ვიღაცის ლანდი დადის მალულ

ახლაც ძნელია გზა წინამურის...
გვითხარ. ილიას შუბლო ნათელი,
კაენის ცოდვა ვით გადავწმინდოთ
ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს
საქართველოს?!

ბიცინან ტაბიძის მონოლოგი

ფარისეველნი! ფარისეველნი!
ყალბადმეტყველნი.

ყალბადმოცველნი!

ლაქარდიანი მათი ენები
ტყეში გაქცეულ ირემს მოწველის.

ჩაჭიდებულნი ჩინს. ვით თვალსჩინს,
შურის სიბრმავეთ დაგესლილები...
საგზლად იუდას ვერცხლი ხვალისთვის!
გქონდეთ, არავინ არ გეცილებით!

ქვეყანა როგორ დაამუნათეს —
რა საციქველით, რა საბოძველით,

სულს და გონებას როგორ უნათებთ
ბიწიერება ყოვლისმომცველი!

არ გვინდა თქვენი ბროლის კოშკები,
ჩვენ დაგვიტოვეთ ოღონდ მცირედი —
სამშობლოს წმინდას —

დროგამოშვებით —

თქვენს სანაცვლოდაც შევეწირებით!

დაე, დალაღდით სისხლისმწოველნი,
ხეთქეთ სიმართლეს თქვენგან

ნათითხნი...

მაგრამ დრო მოდის, ძრწოდეთ
ყოველნი,

გიახლოვდებით უამი განკითხვის!

დაღმართებისკენ

გადაკარგულან სადღაც მუშები,
დაფეთებულან ქუჩის ხმაურით
მოლანდებები თუა უცები —
ისიც საშიში და უცნაური.

დამცხრალა დენა შმაგი ნაკადის,
მიჩუმებულა ჩემი წყალ-ჭალა.
თავზე ფიფქების ფერფლი გადამდის,
გულში თუხთუხებს მწარე სამსალა.

მზე სამხრობისკენ გადაწეული
უკვე დაღმართში მიეჭანება.
მიჰყვება ჩემი სველი რვეული —
გაუმხელელი სიყრმის ზმანება.

ვერ გადავცურე ზღვები მხარულით.
მწვერვალზეც გული აღარ მეწევა.
გამოგონილი ეს სიყვარულიც,
ვკრძნობ, თავზე მალე ჩამომექცევა.

სხვა რა სურვილი ვაყრიამულო,
ეს მთები მარად ასე ჰყუდია.
სად წმინდა ხატი მენტო კრძალულად,
იქ გულგრილობის ბნელი ბუდეა!

საით მივმართო შემცბარი მხერა,
მზე რომელ მხრიდან აიწვერება?
ვწერ დაყინებით, მაგრამ სიმღერა
ცოდვილი ხელით არ იწერება!

გზები და მხერა ელტვის სიმაღლეს,
მაგრამ ორივე ბნელში ეფლობა,
მინდა ვიყვირო, მინდა ვიბღავლო,
ვინ მიმცა ამდენ გაუგებრობას?

აწ რალას ვაქნევ, ჩემო მუშებო,
თქვენს ნაგვიანევ გამოცხადებას?...
თვალი ცრემლებმა გადამიწება,
გულში უმთვარო ღამე ღამდება!



ტაში, ტაში! კიდევ ცოტაც
და ჭერს დასცემს ტაშის ცემა.
ტაშს ვახურებთ, მაშინ, როცა
სჯობდა, ალბათ, თავში ცემა!

ტაში — მტყუანს, ტაში — მართალს,
მლიქვნელსა და გაიძვერას.
ტაში — კლოუნს, ტაში — ჯამბაზს
ტაში — პოეტს, ტაში — მწერალს...

ტაში — ზევით, ტაში — ქვევით,
ტაში — აქაც, ტაში — იქაც.
ტაში — ჭკვიანს, ტაში — დებილს
ტაში — ნამდვილს, ტაში — ნიღაბს.

ტაში ამ ლექსს! ეს სიტყვებიც
ტაშისათვის დაიწერა!

ციკლიდან — „სიზღერები უამარზე“

ყამარ, ჩემს ლამეს
კვლავ სხივები გადმოაყარე,
ვაი, რომ მთვარე
თავს დაგვნათის მხოლოდ ლამეში!
დღისით ეგ შუქი
მომპარეს თუ ძალით წამგვარეს,
დღე ავსილია
უშენობის შავი კაეშნით!

ყამარ, მიწიერ ვნებათაგან
ფრთაშეკვეცილინი,
აღარ გელტვიან,
შენსკენ ხელებს აღარ იშვერენ...
ჩამოაშუქე
ამ ლამეებს შუქი, კეთილო,
ცად წამიყვანე, მწყალობელო,
ყამარ, მიშველე!

ყამარ, ღრუბლების თეთრო ქალო,
ალესილ მახვილს
ქარქაშში სძინავს,
ქარებს მახვილს ვინ მოუღერებს?
ლამის მეუფევე,
მოქუფრულა ცა — შენი სახლი,
მალაღს და ციურს,
ვაგლახ, უკვე აღარ უმღერენ!

ეგებ დავწყვიტო
ამ ცხოვრების მიმე ჯაჭვები,
თანხმობის ნიშნად
ისევ შენი შუქი მაქეზებს...
ყამარ, გიყურებ,
გევედრები და გეაჯები
და ჩემი ჯავრი
მწვერვალებზე ელვად აკვესებს!

მადლობელი ვარ ყველაფრის გამო,
რომ ჩემთან რჩები, რომ წასვლას
ლაშობ...
რომ გულში ფეთქავს ტკივილი ამო —
მადლობელი ვარ ტკივილის გამო!

რომ ყველგან დამდევს ძვირფასი
ლანდი,
რომ გამუდმებით მეძახი — წამო!
რომ ველარ ვარჩევ სიზმარს და
ნამდვილს —
მადლობელი ვარ სიზმრების გამო!

მადლობელი ვარ ლხენის და დარდის,
რომ გულში უხმო ცრემლები დამდის,
რომ ამამაღლე მიწიდან ცამდის —
მადლობელი ვარ სიმაღლის გამო!

რომ არასოდეს გახდები ცხადი,
უღაბნოს მტვერში გამკრთალო ნამო...
რომ იმედს მუდამ ნამივით სვამდი,
მადლობელი ვარ ყველაფრის გამო!

გვედრება!

ჩემი ოცნება ახლაც
წრფელი არის და წმინდა,
მზემ აიწია მალლა,
შენთან შეხვედრა მინდა.
როგორ ანთებულხარ თეთრად
ჩემო სალოცავო ხატო.
ბრიალებ ნათლის სვეტად,

გვედრებ. ნუ დამტოვებ მარტო.
ნისლში ჩაიძირა შხარაც
წუთით, მზესავით რომ ენთო...
სხივი შეაშველე, ჩქარა...
სიტბო მიაგებე, ღმერთო!
... მალლა აიწია მზემ.

თავშესაფარი

მე მხოლოდ ტანჯვის თავშესაფარი
ვარ...
ჩემთან მოდიან მაშინ, როცა სურთ
ტანჯვა მოიშორონ თავიდან და
განთავისუფლდნენ...
მხოლოდ მაშინ მოდიან, როცა სურთ
სევდა განიქარვონ და სიხარული
დაიბრუნონ...
სევდას სტოვებენ და ჩემგან მიდიან.
ჩემთან მოდიან მაშინ, როცა მარტო
რჩებიან და არვინ ჰყავთ
გვერდით...
ტანჯვის თავშესაფარში მოდიან
მაშინ, როცა სიცოცხლე არად უღირთ...

მოკლე დღე აქვთ...
მე სავეს ვარ ტანჯვის ოთახებით...
ოთახებს უგასამრჩელოდ, ტანჯვისთვის
ვაქირავენ მხოლოდ,
ყველა ტანჯვა ჩემთან ეტევა...
ტანჯვას განალაგებენ ყველა
სართულზე. ყველა კუთხეში.
ჩემთან მხოლოდ ტანჯვის ოთახებია...
სიხარულის ოთახები მე არა მაქვს...
მოდით ტანჯულნო და ისევ ტანჯვა
შემოასახლეთ ჩემთან, შემოასახლეთ
ტანჯვა.
ოღონდ მოდით — მარტო არ
დამტოვოთ!..

მთაზე შემოდგმულ ტალის ციხის თაღს
დაეფინება იისფრად-ნისლი,
ახლომდებარე შემოჭარულ თაღს
მიეახლება ნათელი მისი.

სიცოცხლის უინით ავსებს უბეს
ვერ დაიოკა წყურვილი ჯერაც,
მერე თვალებში ჩახედავს იგი
და სხივნათელი ექნება მზერა.

შენიშნები წინაპრები გაკვირვებულნი ფობოს შკათობიდან

პეროვსკაიას ქუჩის ჩიხში, აგურის ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე, თემოს ბებია ვალია ცხოვრობს — „ქალბატონი ვალენტინა“. მისი ფანჯრის წინ ვდგავარ და არ ვაკუუნებ. ჭერ ადრეა, ვალია ბებიას, ალბათ, სძინავს. მოხუცია უკვე, მაგრამ მაინც გვიან იღვიძებს, თან ვერ იტანს, როცა სიმშვიდეს ურღვევენ. მარტო ცხოვრობს. იშვიათად თუ შემოისახლებს ზაფხულობით რაიონიდან ჩამოსულ რომელიმე აბიტურიენტ ნათესავს, ისიც ახლობლების დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, რადგან ვალია ბებიას არ უყვარს ფაციფუცი და აურზაური სახლში, ციხე-კოშკებით შემოურაზავს თავისი „იდეშალ მოსილი“ წარსული და მის დარღვევას არავის აბედინებს. თემო უყვარს ნათესავებიდან ყველაზე უფრო, ვერც მალავს, უთუოდ თავისი წარსულის რომელიღაც გმირს აგონებს და ეფერება, სულს უბერავს, დაფოფინებს, რომ არ შეაკრთოს, არ დაკარგოს.

— ეგლა დამრჩა ქვეყნად, без него я бы не смогла, — ხშირად უთქვამს ჩემთვის.

— რას ამბობთ, ვალია ბები, თქვენ ისეთი შვილი გყავთ!..

— Я не от этого, сандრო ჩემი სისხლი და ხორცია, თემო — ჩემი სულის ნაწილი, ყველაზე სუფთა და წმინდა ნაწილი.

— თემოსაც ძალიან უყვარხართ. „ქალბატონო ვალენტინას“, რომ იტყვის, ასე მგონია, ბავშვს გულისხმობს, ისეთი სიტყბო და იუმორი გაერევა ხმაში. თქვენზე ამბობს, ულამაზესა

ქალი იყო. ახლაც ძალიან ლამაზი ხართ, ვალია ბები, როგორ ახერხებთ?

— ლამაზი ვარ, აბა, ჩვენი გვარის ქალი სად გაგონილა ულამაზო? პირველად რომ მითხრეს, თემოს ჭაიანის ქალი მოჰყავსო, ღვთისმშობელი იქნება-მეთქი, ვთქვი და არც შევემცდარვარ, ახალგაზრდობაში მეც შესავით მომხიბლავი ვიყავი, да все прошло...

— რას ამბობთ, ვალია ბები, ჩემი სილამაზე ვინა თქვა. თემო მეუბნება, ბედი შენი, ჭაიანი რომ ხარ, ხანდახან მთლად ბებიაჩემი ტერესია მგონიხარ და იმიტომ მიყვარხარო.

— უყურე მაგ სულელს! ისე, ბები, ტერესია რომ ლამაზი იყო, ისეთი უნდა სწორედ. თემოს ტერესი დედას ერჩივნა და, იმას თუ შეგადარა, მაინც დამინც ნუ გეწყინება, — გამამართლა თემო ქალბატონმა ვალენტინამ.

მე გამეცინა. იქ, სადაც ლაპარაკი თემოს ეხება, ვალია ბებიას იუმორისა-კენ ყველა გზა ეკეტება, ყველა სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით იგებს და პასუხსაც მთელი სერიოზულობით თემოს სასარგებლოდ აყალიბებს.

— მართალია, რა არის გასაკვირი იმაში, თუ ქმარს ხანდახან ბებიაშისი გონიხარ, ვინა ყავს ქვეყნად იმაზე ტკბილი. — ვპასუხობ მე და ვალია ბებიის ეშმაკურ თვალეგში ვუყურებ. იგი ცდილობს, არ შეიმჩნიოს ჩემი ხუმრობა, მაგრამ ტუჩის კუთხესთან გამოძკრულ ღმილს მაინც ვერ მპარებს.

— За то, как он тебя любит! დიდი ბედნიერებაა, კაცმა სიყვარული რომ იცის. ეგრე ადრე, ძალიან ადრე უყვარდათ კაცებს. ეგ, ბებია, ჩვენ

დროში არ უნდა გაჩენილიყო, Он не от мира сего, მაგის სიყვარულს გაუფრთხილდი, სული უბერე, გული არ ატკინო, თორემ, ვერ გაუძლებს და ისე გაუხეშდება, დაილუპებოთ.

— რა ვუყო, ვალია ბები, გაუთავებლად ვჩხუბობთ, ხანდახან უმიზეზოდაც, — დავიწყე წუწუნნი.

— უმიზეზოდ თუ ჩხუბობთ, ეგ არაფერია...

— სვამს, ბევრს სვამს, დილას მოჩვენებები აქვს, ფანჯარას ვერ ეკარება, ფეხზე ძლივს დგას ხოლმე, იღრინება, ქალივით ტირის, ნერვები დაწყვეტაზე აქვს. გუშინ დედამისს ეჩხუბა, მთელი სახლი კინალამ დალეწა, მერე ორი სედუქსენი დალია და ისე დაიძინა. ეხლა ლოგინში დავტოვე, ვეღარ ვუყურებ. ბავშვი მეცოდება, ჭერ არაფერი ესმია, რომ წამოიზრდება, რა ეშველება!

— რას ლაპარაკობ, შენი შვილი უბედნიერესი კაცია, თემოსნაირი მამა რომ არ გუნა ღმერთმა. აცალე ცოტა, ეგ თავის თავს იბოვის, ასე წვალებით, წამებით, თქვენი და თავისი ნერვების წყვეტით, აცალეთ და ხელს ნუ შეუშლით.

— მოკვდება, ვალია ბები!

— ხელს თუ შეუშლით, უფრო მალე მოკვდება.

— მაშინ მე მოკვდები! — გაღიზიანებულმა წამოვიძახე.

— შენ არ მოკვდები, შენ მაშინ მოკვდები, როცა ეგეთ სიყვარულს დაეკარგავ! — ასევე გაღიზიანებულმა მომახალა.

— როგორ გიყვართ თემო, რაც უნდა ჩაიდინოს, მაინც ამართლებთ, — გამეღიმა.

— თემომ რაც უნდა ჩაიდინოს, როგორც უნდა მოიქცეს, ყოველთვის მართალია, იმიტომ, რომ ყველაზე სუფთაა და პატიოსანი. ჩვენ თვითონ ვერ ვარჩევთ ხოლმე ხშირად ერთმანეთისგან მართალსა და მტყუანს, რადგან დიდი ხანია დაგვაფიწყდა სიტყვა „მართალის“ პირველადი მნიშვნელობა.

— თქვენი ფანჯრების წინ რომ დეკი, ვფიქრობდი, გათავდაფერი, ჩიხში მოვემწევიდეთ, გამოსავალი აღარ არის-მეთქი, ნუთუ მართლა ყველაფერი მორჩა, ვალია ბები?

— Это есть твоя жизнь, არაფერიც არ მორჩა, ასე იცხოვრებთ სულ. მე ვერ განუგეშებ და ვერ დაგპირდება, ცხოვრება დაგიმშვიდდება-მეთქი. ასეთი ცხოვრებისათვის, დრო იყო, ეშმაკს მივეყიდი სულს.

ქალბატონ ვალენტინას ყველა შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი აქვს მზად: თემო უნდა გიყვარდეს ისეთი, როგორც არის! ეს ხომ მეც ვიცო მაგრამ იმის ნათქვამს მაინც სხვა ფასი აქვს, სხვა ძალა, იმის ნათქვამში ექვს ვერ შეიტან.

ორი წელია უკვე, მის დარაბებით ჩამოზნელებულ, გრძელ ოთახში რომ შევედივარ, თავი სხვა სამყაროში მგონია. კედლებიდან გამოჩენილი და უცნობი მხატვრების ნამუშევრები მიმზერენ. განუჩრევლად ყველა ხელმოწერილია: „ძვირფას ვალენტინას...“ „ჩემს ვალიას და კოტეს, ქართული ხელოვნების დიდ ქომაგებს...“ „განუმეორებელ ვალენტინას უცნობი თავანისმცემლისაგან...“ კარის მოპირდაპირე კედელზე ორი პორტრეტი ჰქონდა: ცნობილი მხატვრის მიერ ზეთში შესრულებული უღამაზესი ქალის პორტრეტი — ეს თვითონ ვალენტინა ჯაიანია, ხოლო მეორე — მისი მეუღლის, იმ დროს პოპულარული კინომსახიობისა და რეჟისორის, ბატონ კონსტანტინე ვედიბერიძის ავტოპორტრეტი. სხვა კედლებზე თავისუფალი მტკაველიც არაა დარჩენილი; ხის ჩარჩოებში ჩასმული, ახლობლების გაცვითლებული ფოტოსურათებით. მინიატურებით, ბატონ კონსტანტინეს გრაფიკული ჩანახატებით, კინოაფიშებით, სიგელებითა და დიპლომებითაა მოფენილი. ეს არის ვალია ბებიის წარსულიც, აწმყოც და მომავალიც და ძალიან იშვიათად თუ გაუწევა ეს მომხიბლავი მოხუცი ქალი ვინმეს მეგ-

ზურობას თავის პატარა, საოცარ მუ-
ზეუმში. ორი წელია დავდივარ ამ
სახლში და ჯერ ერთი ნაბიჯითაც ვერ
შემიბეღია ქალბატონ ვალენტიანს
სამყაროში, არა და, ვკვდები, ისე მაინ-
ტერესებს, ვინ არიან ის უცნობები,
გამოჩენილი მამულიშვილების პორტ-
რეტების გვერდზე რომ მოუთავსებია
ვალა ბების და თვალისჩინივით უფრ-
თხილდება. განსაკუთრებით ერთი ფო-
ტოსურათი მიზიდავს ყოველთვის, კი
არ მიზიდავს, მეძახის. ახლაც მის წინ
ვდგავარ და თვალს ვერ ვაშორებ.
ახალგაზრდების ერთი ჯგუფი — ლამა-
ზი გოგო-ბიჭები აბიზინებულ პატარა
ბორცვს შეფენია, ფოტო სიძველი-
საგან ჩაყვითლებულა, მაგრამ საკმაოდ
მოზრდილია და ზედ სახეები მკაფიოდ
იკვეთება. ვალა ბების მეტს ამ ფო-
ტოზე ვერავის ვცნობ. ყველაზე ლა-
მაზია. დიდრონ ნუშისებრ, საფეთქლებ-
თან ოდნავ დაწეულ თვალებს უდარ-
დელი სიხალისე უდგათ და სადღაც
მიღმა, მომავალში იკვირებიან. ქვემოთ,
მიწაზე ცალ მუხლზე ჩაჩოქილი ვილაც
ლამაზი ბიჭი მოჩანს, გაშლილი ბეჭები
აქვს, გვერდით მჯდომის მხარზე აქვს
ხელი ჩამოდებული — თხელი მტევანი,
ტეხილი, გრძელი თითები. როგორ მო-
მწონს ეს ბიჭი. თვალი თითებზე მიშ-
ტერდება.

— მოგწონს?

— ძალიან, ვინ არის? — გაუბედავად
წავიხურჩულე და იმედის ნაპერწკალმა
გამკრა გულში, ეგებ ახლა მაინც მო-
მიყვეს-მეთქი რამეს.

— ბაბუაშენია.

— ბაბუაჩემი?

— ჰო, ბაბუაშენი, ვლადიმერ ჯაიანი,
ბლდადის რაიკომის მდივანი, ასე არ
იყო?

ყველაფერს ველოდი ამის გარდა.
პირი გამიშრა, ძლივს დავალაგე გონე-
ბაში და შემდეგ რამდენჯერმე ასო-ასო
გავიმეორე ჩუმად: „ბაბუაშენი“, ვიმე-
ორე მანამ, სანამ ეს სიტყვა ისეთივე
ახლობელი არ გახდა ჩემთვის, როგორც
საერთოდ ცნება — ბაბუაჩემი.

— საიდან, ვალა ბები, ეგ სურათი.
რატომ ჩვენ არა გვაქვს? არც ბებია-
ჩემს, არც მამაჩემს და. საერთოდ...

— ბაბუაშენია, ეს კი, — და ბაბუა-
ჩემს რომ ხელი ჰქონდა მხარზე ჩა-
მოდებული, იმ ბიჭზე მიმითითა, — ჩე-
მი პირველი ქმარი — აკაკი, დიდი კაცი
იყო მაშინ, ძალიან დიდი.

— ვალა ბები, თქვენ ბაბუას იცნობ-
დით და არასოდეს არაფერი გითქვამთ,
რატომ?

— არ ვიცნობდი, ჩემი ქმარი იცნობ-
და. სტუმრად ვიყავით მასთან ბლდად-
ში ჩასულები. ამ ბორცვზე გაშალეს
სუფრა, ძალიან კარგად ვიქეიფეთ, სუ-
რათივც მაშინ გადაგვიღეს, მახსოვს.
ბაბუაშენი მღეროდა.

— ბაბუა მღეროდა? დემერო, არა-
სოდეს გამიგია. თუმცა ბებიაჩემი ხომ
ბაბუაზე არაფერს ყვება. ეტყობა,
თავის დროზე ისე დააშინეს, ახლა,
მგონი, ჩვენიც ეშინია, — მივხვდი,
უაზრობა წამოვაცარანტალე, რადგან
ვალა ბებიმ ჩემს ბოლო ფრაზაზე თავა
მიაბრუნა და არც შემოუხედავს, ისე
მიპასუხა:

— ნუ მკრებელობ! არ შეუძლია და
იმიტომაც არაფერს ამბობს. ანდა, ჯერ
ვერ დაგიმსახურებიათ.

— მათხოვეთ ეგ სურათი, ვალა
ბები, ერთი დღით, გადავამრავლებინებ
და დაგიბრუნებთ, — ვალა ბებია დუმ-
და, მე არ მოვეშვი, — სახლში ბაბუას
ერთადერთი სურათი გვაქვს, ისიც ბე-
ბიაჩემს მისი პირადობის მოწმობიდან
ამოუგლეჯია და გაუდიდება. იმ სუ-
რათზე ხანშიშესულსა ჰგავს, აქ კი რა
ახალგაზრდაა და ლამაზი.

— რომელ პირადობის მოწმობაში
გინახავს ნორმალური სურათი. ბებია-
შენი, ჩემი არ იყოს, სასწაულით თუ
გადაარჩენდა იმ ერთ ფოტოს. მეც
ამის მეტი არა მაქვს. აკაკის დანარჩე-
ნი სურათები ოცდაჩვიდმეტში დავმარ-
ხეთ მე და სანდრომ. რამდენი წლის
იყო მაშინ მამაშენი?

— რვის.

— О, Господи, სანდროც რვა წლისა

იყო მაშინ. ბებიაშენი შუა აზიაში გადასახლეს?

— დიას, გგონი. თქვენ?

— მე? — არ მოელოდა რატომღაც ვალია ბებია ამ შეკითხვას. — მე გადავრჩი, — მიიხრა ჯდა გამომცდელად შემომხედა. მეც თვალეში შევხედე ქალბატონ ვალენტინას და მივხვდი, რომ ჩემდა უნებურად მის ერთ-ერთ მთავარ საიდუმლოს მივუახლოვდი. ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ მინებთან კარადას მიუახლოვდა და საჩვენებელი თითით მიმიხმო: კარადის შუა თაროზე პატარა, ძველებური ხის სკივრი იდო. ეს სკივრი ადრეც მქონდა შემჩნეული, ძალზე ნატიფი და დახვეწილი ნამუშევარი იყო. ვალია ბებია მსკივრი აიღო და თავი ახადა. დიდხანს იყურებოდა მოხუცი შიგ, მერე თავი ასწია და ღრმად, ძალიან ღრმად ჩაფიქრდა, თითქოს ჩემი არსებობა აღარც ახსოვსო. მერე სკივრიდან რაღაც ამოიღო და ხელისგულზე დაიდო. ეს იყო შავი, პატარა, უღამაზესი რევოლვერი. რევოლვერი გამოვართვი და ფრთხილად შევათვალიერე. ტარზე ოქროსფერი ასოებით ეწერა: ჩემს სათაყვანებელ ვალენტინას. ვარლამ გიგიბერიძე, 25. 12. 1936.

— ვალია ბები! იმისია?

— ჰო, გენაცვალე, ამან გადამარჩინა. ჩემი პირველი ქმარი დიდი კაცი იყო მაშინ, გიგიბერიას მეგობარი. ერთად სწავლობდნენ ბაქოში, თბილისშიც მეზობლები ვიყავით. ერთ დღეს გამოიძახეს კომიტეტში და აღარ დაბრუნებულა მას მერე. რამდენიმე წერილი მივწერე გიგიბერიას, ასე და ასე. აკაკი დამეკარგა, უშველე-მეთქი, პასუხი არ მიმიღია. ბოლო წერილი ჩემი ხელით დავაზღვიე ცენტრალურ ფოსტაში და მოსკოვს ვავგზავნე, კრემლში. ფოსტიდან გამოვედი თუ არა, ორი გრძელპალტოიანი და შლაპიანი ახალგაზრდა ამომიღდა მხარში, გამოგვეყვით, ქალბატონოო, მიიხრეს და წინ გამიძღვენენ.

ვალია ბებია ჩიბიდან სიგარეტის კო-

ლოფი ამოიღო, დიდხანს ამოკრდა და სიგარეტს, თითქმის საუკუნეა ორც იქნა, ამოიღო და ასანთი გაჰკრა, ჩაუქრა, თავიდან გაჰკრა, ახლა ასანთის დერი გაუვარდა, მოუთმენლობისაგან კოლოფი ხელიდან გამოვგლიჯე და თვითონ მოუყიდე. ვალია ბებია ხმას არ იღებდა. მეც ვერ ვიღებდი ხმას, ოღონდ მუდარით შევციცინებდი თვალეში, მეშინოდა, არ გადაეფიქრებინა და დაწყებული თხრობა არ გაეწყვიტა. ვალია ბებია ღრმა ნათვაზი მოქაჩა და განაგრძო:

— უხმოდ მივყვებოდი, რამ არ გამიელვა თავში, რა არ გავიაზრე, ოღონდ, წარმოიდგინე, სანდრო არ გამხსენებია მაშინ, ერთს ვნატრობდი მხოლოდ, ფეხი არ მომკვეთოდა და კვილი არ დამეწყო. ხელი რომ ამიკანკალდა, იმ ახალგაზრდებს ვთხოვე, პაპიროსი მომაწვეინეთ-მეთქი. ერთ-ერთმა ჩიბიდან, მაშინ „კუროტინის“ ეწეოდნენ, ამოიღო და ძალიან თავაზიანად მომიკიდა, თან მიიხრა, ნუ ღელავთ, ქალბატონო, ორიოდე შეკითხვას დაგისვამენ და თავისუფალი იქნებითო. რუსთაველზე, ახლა რომ ქვეყნის ხალხი ირევა, ისე კი არ იყო, ქალაქის ნაღები დადიოდა, მათ შორის ბევრი ჩემი ნაცნობი და მეგობარი; ჰოდა, ბებია, ასე „კანკავით“ რომ დამინახეს, ზოგი ახლობელი სადარბაზოში შევარდა, ზოგამაც თავი ისე გაატრიალა, თითქოს პირველად მხედავსო, დრო იყო ასეთი... ხალხს თავის ლანდის ეშინოდა. რუსთაველის თეატრთან პაპიროსი ბოლომდე დავიყვანე და მიწაზე დავაგდე. ფეხით მინდოდა გამეხრისა, შევჩერდი, მაგრამ მეორე ახალგაზრდამ მუჭლუგუნი მკრა და, ნუ ჩერდებიო, შემომბღვირა. მოვბრუნდი, მინდოდა მეპასუხა, რომ უცბად უჩინიდან ქალის კაპასი ქოთქოთი შემომესმა:

— პირუტყვებო, უსინდისოებო, სად მივყავთ? სულ გაირეცხეთ ნამუსიდან, დედისერთა ბავშვი საბოლოოდ გინდათ დააობლოთ, ცხოველებო! სად მივყავთ?.. — მოვიხედე, ჩემი მეგობარი



ქალი, მაშინ სულ ახალგაზრდა მსახიობი, აგვედვენებოდა და იმ ყმაწვილებს შორიდან ლანძღავდა, ახლო მოკარებას იმასაც ეშინოდა.

— წადი, სესილი, წადი, გაასწარო ამოთ, სანამ დროა, თორემ არც შენ ხარ გმირი დედა... წადი, შენ შემოგველე, სანდროს მიმიხედე, თუ შევიძლია.

ახალგაზრდებმა, რატომღაც, ჩემი მეგობრის ლანძღვას ყურადღება არ მი-აქციეს, ოღონდ მე ჩამკიდეს მაგრა იქით-აქეთ მკლავში ხელი და იქვე ჩავუხვიეთ.

გრძელი, მწვანე მაუდგადაფარებული მაგიდის თავში ანდრო ანთელავა იჯდა — ჩემი პირველი სიყვარული. მის დანახვაზე იმედი და სიცოცხლის წყურვილი ერთად ჩამესახა სხეულში, მაგრამ ერთმა შემოხედვამ, ერთმა ცინიკურმა გაღივებამ ყოველივე უმალ დაუნდობლად ჩაკლა.

— დიახ, — მითხრა მან, — ორიოდ შეიკითხვა გვაქვს თქვენთან. ღრმად პატივცემულო ქალბატონო ვალენტინა ჭაიანი-ასათიანისა, არა, თუ არ ვცდები? — სიტყვა „ასათიანისა“ ანდრომ განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა.

— დიახ, ვალენტინა ჭაიანი-ასათიანისა, — ამოვიქნავე და მივხვდი, რომ სანდრო დედიტაც დაობლდა.

ანდრო გველის თვალებით მიყურებდა. თითქოს ტვინს მიხვრეტსო. მე ვერ გავუძელი მის მზერას და თავი დავხარე. უცებ ტელეფონი აწკრიალდა. ანდრომ ყურმილი აიღო, ფეხზე წამოხტა — დიახ, გისმენთ, ვარლამ პავლოვიჩ!

— თვალები აუპრიალდა, შუბლზე წამომსკდარი ოფლის წვეთები წურწურით გადმოეშვა მაგიდაზე. ანდრომ ხელი ცხვირსახოცის ამოსაღებად ჭიბეში ჩაიყო, ყურმილი მხრით მიიმაგრა ყურზე. წვალობდა, მღელვარებისაგან ვერც ცხვირსახოცს იღებდა ჭიბიდან და ვერც ყურმილს იმაგრებდა, ოფლი კი სდიოდა და სდიოდა. მთელი სახე დაუსველდა, ყურმილი რამდენჯერმე აუსხლტა კანზე. ასე სხარტად ჩემს სიცოცხლეში არ მიაზროვნია და

არც მიმოქმედია: დაგეშილი ნაგაზივით მივევარდი და ის მოყანყალბული ელქმეველი მენი გამოვტაცე. ორივე ხელი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ყურმილს მოვუჭირე, ცოტაც და, ხელეებში ჩამეფშვინებოდა, მოვუჭირე და არაადამიანური ხმით შიგ ჩავძახე: — მე ვარ, ვალენტინა ჭაიანი, დაკითხვაზე ვარ, მე ვარ ვალენტინა ჭაიანი, ჭაიანი... — უცებ მუხლებში ძალა წამერთვა, ყურმილი უხსენებელივით მოვიწყვიტე ხელიდან და ანდროს მაგიდაზე მივუგდე, იმან ლამის ჰერში დაიჭირა, ორივე ხელით ყურთან მიიწება და მოლოდინში გაირინდა.

— დიახ, ვარლამ პავლოვიჩ, დიახ, არის... — მოჰყვა ყოველივეს ანდროს უმწეო ჩურჩული.

ასე გადავჩი, ჩემო კარგო, იმ დღეს, მაგრამ ერთი დამე აღარ გაგვიტენებია მას შემდეგ მე და სანდროს თბილისში. სამი წელი მატარებელში, სადგურსადგურ ვიმალებოდით, თუმცა, ალბათ, არც გვეძებდნენ, თორემ...

ავტობუსით ქვევავადის პროსპექტზე მივედივარ. უნივერსიტეტის პირდაპირ. ორ ნომერში, მეოთხე სართულზე, კომუნალური ბინის ერთ ოთახში ჩემი ბებია თამარი ცხოვრობს. ადრე თურმე მთელი ბინა მაგათი ყოფილა, ახლა ერთი ოთახი და პატარა შუშაბანდი აქვს. აქ, ამ სახლში დაიბადა მამაჩემი, მამიდაჩემი, მეც. ახლა ბებია მარტო ცხოვრობს. სუფთა, თეთრად შეღებილ კედელზე ბაბუაჩემის გადიდებული სურათი ჰკიდია, მეორე კედელზე წითელი, სპარსული ხალიჩაა გაკრული, იგი მაღალ ტახტს ეფინება და იატაკამდე ჩამოდის, ტახტის წინ მრგვალი, ლამაზ-ფეხებიანი, ხის ძველებური პატარა ყურნალის მაგიდა და ორი, მოყანყალბებული შავი ტყავის სავარძელია. ოთახის კუთხეში ბებიას საწოლია თავთან ხის ჩარჩოში ჩასმული მამაჩემის და მამიდაჩემის სურათით. გვერდზე, წითელი ხის გადახეხილ ტუმბოზე დამის ნათურა დგას. საწოლის პირდაპირ ძველებური საათი ჰკიდია. რომელიც

ყოველ ნახევარ საათში ეკლესიის ზარებივით დაგუდულად რეკს.

ჩემი ბებია მხიარულია. ენაწყლიანი. ეშმაკი და ცოცხალი თვალები ლაპარაკის დროს უბრწყინავს, გეგონება, ამბავს თვალებით ყვებო. ბებია იშვიათად უნახავთ სევდიანი, არასოდეს დაუწუწუნია და შეუწუხებია სხვა თავისი გასაჭირით. გაუთავებლად ყვება გადასახლების ამბებს, ყვება გრძლად და ისეთი მომწუხნავი აღტაცებით, ხშირად შემშურებია კიდევ, ცხოვრებაც ასეთი უნდა-მეთქი. კაცმა, ალბათ, ეგეთი გაჭირვება უნდა გამოიარო, რომ მერე წვრილმანებზე არ დახურდავდე. პატარა უხერხულობის გამო მსოფლიო სევდამ არ შეგვიყროს და შენს გარშემო სხვებიც არ დააავადო. ალბათ, ამიტომ ეცინება ბებიას ჩემსა და თემოს გაუთავებელ უთანხმოებებზე.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ღვთისნიერი ახალგაზრდაა და მოუარე, იცოდე, — მკაცრად მეუბნება ის.

— თავს იკლავს, ბებია, და მეცა მკლავს.

— მიხმარება თუ არ შეგიძლია, თავი მაინც დაანებე, თვითონ მონახავს თავის გზას, თვითონ დაწყნარდება. შენი მოვალეობაა, როგორც მას უყვარხარ, ისე გიყვარდეს.

— რა მოხერხებულად იცით თქვენი თაობის ქალებმა რაღაც მოვალეობებზე მითითება, სიყვარული რა მოვალეობაა. გიყვარს — მორჩა, არ გიყვარს და, აქაც მორჩა. ხანდახან ისე აიბნევი ამდენ დავიდარაბაში, ვეღარც მიხვდები. გიყვარს თუ არ გიყვარს, უყვარხარ თუ აღიზიანებ, რომელ მოვალეობაზე მელაპარაკებ?

— სიყვარული, არს თავად ღმერთი და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი, — ამბობს თითქმის ჩურჩულთ ბებიას ჩემი, — ამან გაგვაძლებინა იქ და ამან დაგვიბრუნა სინათლე თვალებში. ყურთაამენა, მაჯისცემა და განსჯის უნარი, უამისოდ მკვდარია ადამიანი, ცოცხალი ლეში. ის გაძლებინებს და გაძლევს დიდი

მოთმინების და ლოდინის უნარს.

— ეგ ციტატა, ბიბლიიდან რომ წაიკითხე, სხვა სიყვარულს გულისხმობს, თვითონაც კარგად იცი... — დავიწყე მე.

— სიყვარული ერთია, არ არსებობს ასეთი და ისეთი, ამის და იმის, თუ გიყვარს — გიყვარს, თუ არ გიყვარს, ხარ უნიჭო და უბედური, ხოლო შენს გვერდზე მდგომი კი შენს გამო გაუბედურებული, მაშინ გაეცალე მას და თავისუფლება მიეცი.

— ო, რა გესლიანი ხარ, რა მქახედ იცი ლაპარაკი. ვერ ვისწავლე ჭკუა, შეიძლება განა შენთან წაუწუწუნება, შენ ხომ არასოდეს არავის თანაუგრძნობ.

— როგორ არ თანავგრძნობ. უბრალოდ, მე არ შემიძლია ამის ატანა, რომ შენ, ჩემი შვილიშვილი, ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი ძალა და ენერგია ასე მოეშვი, პირველივე დაბრკოლების წინაშე მუხლი მოიკვეთე, ჩაჯექი წუშპეში და მოთქმა დაიწყე, მიშველეთ, ხალხო, დავიღუპეთ, ჩიხში მოვემწყვდიეთ, გამოსაუვლი აღარ არისო.

— მე რომ შენი სკოლა გამეველო, ალბათ, მეც...

— შენ იმას მოუხმე, რაც გაქვს. ამქვეყნად ყველა თავის სკოლას გადის, ყველას თავისი წილი ერგება. შენი ქმარი ამაზე მოთხოვრებებს წერს, კარგ მოთხოვრებებს, დამეებს ათენებს ამაზე ფიქრით, თავს ებრძვის, გარე სამყაროს, რაღაცას ეძიებს და, თუ ხელი არ შეუწყვე, სულ დაკარგავს გზა-კვალს, აი, მერე ნახე შენ, როგორია ჩიხში მომწყვდევა.

ბებიას ჩემს სახე არ ეცვლება, ისე ლაპარაკობს. სადღაც იქით იყურება ფანჯარაში, თვალებში კი ეშმაკი უზის, ის ნაცნობი ეშმაკი, თითქოს სულ რომ დამცინის.

— ვინა თქვა, ტკბილი, ნამდვილი, სათნო ბებია მყავსო, მივალ მასთან და ჩურჩხელებით გამომიპასინდლებო. ჩურჩხელას ვინ ჩივის, ნათი გადამასხი და ახლა ისღა დაგრჩენია. ცეცხლი წამიკიდო. ისე ლაპარაკობ, თითქოს ერთი მეშჩანი. ხეპრე ქალი



ვიყო, არაფერი მესმოდეს და გარშემო ვერაფერს ვხედავდე თავის გარდა. იმ კარგი მოთხრობების წერისას, იცო, რომ მეც თემოსთან ერთად ვათენებ ღამეებს. რომ სიტყვა არ დაუწერია ისე, მე რომ არ წამეკითხოს. ოთახში თუ არ ვუზივარ. საძინებელში შემოდის, ფეხებთან მიჯდება და ისე მიკითხავს თავის ნაწერებს. მე მისი ყველა მოთხრობა შვილივით მიყვარს, ცუდი მოთხრობებიც მიყვარს, რომელთაც არ ბეჭდავს. მე მის ხელნაწერებს, დაკუჭულს და გადაადებულის, ურნიდან ვიღებ. ვაუთოებ, ვეფერები და ისევ ვინახავ. სამი თვეა, დღე არ ჩაუგდია, ისე სვამს. არ ვიცი, რას ეძიებს და რასა პოუვებს ასეთ მდგომარეობაში, ფაქტია, თუ არ შეწყვიტა, ან ეგ მოკვდება, ან მე აღარცერთს ნერვები აღარ გვივარგა. ბავშვი მყავს თუ არა, აღარ მახსოვს, დედაჩემს მიუფგდე ცოდვის ფირფიტასავით. სხვათა შორის, თემო მეუბნება, ბებიაშენა ჰგავხარო, არც დედას, არც მამას, ბებიაშენის ასლი ხარ, სულ იმისი ხასიათი გაქვსო.

— მეც მაგას ვტირი, მე რომ მგავხარ და ჩემი ღვიძლი ხარ, შენ მაინც იყავი ბედნიერი, თუ შეგიძლია. ჩემი ბედი ღმერთმა გაშოროს. — ბებია დადუმდა და, კიდევ რამე რომ არ ეთქვა, ფეხზე წამოდგა, შუშაბანდისკენ წავიდა.

— შენ ბაბუაზე არაფერს ყვები. ამ სურათის მეტი არც არაფერი მინახავს, არც არაფერი ვიცი. დღეა ვალენტინასთან ვნახე ბაბუაჩემის ახალგაზრდობის სურათი. ბალდადშია გადაღებული, ერთი ქეიფის დროს. რა ლამაზი ყოფილა. რა ახალგაზრდა! ამ სურათში არ მომწონს. ვალია ბებიასთან რომ ვნახე, იქ სულ სხვაა.

— რას ამბობ! — უცბად მოწყდა ბებია ადგილიდან. — ვალენტინას ლადოს სურათი აქვს? საიდან, რატომ არაფერს ამბობდა, ღმერთო მალალო, მომცეს, მაგას რად უნდა, შეევედრე, მუხლებში ჩაუვარდი, ბებიაჩემმა შემოგვედრა. თქო უთხარი, მაგას რად უნდა!..

— იმ სურათზე მაგისი პირველი ქმარიცაა გადაღებული და ამის მეტი არა

მაქვსო, ასე თქვა. ცოტას თუ მაცლო, ეგებ დავითანზმო და გადასამრავლებლად გამოვართმევ

რა ემართება ბებიაჩემს, ეს ამაყი, ერთი წუთის წინ უხეში და დაუნდობელი ქალი, რომელიც ყველაფერს მოურიდებლად თავის სახელს არქმევდა, დაპატარავდა, მოიბუზა, თვალები დაუწვრილდა, ნიკაპი აუქანკალდა, დაბერდა და გასაცოდავდა. ეშმაკი, ცინიკური ღიმილი ბავშვური გულუბრყვილობითა და უსუსურობით შეეცვალა.

— ბები, ჩემი ბებია თუ ხარ, გამოართვი, თუ არ მოგცა, უთხარი, თვითონ წამომყევი და შენს თვალწინ გადავადებინებ-თქო. არადა, როგორ არ მოგცემს. მოგცემს, მაგრამ შენ მაინც ჩემი საწელით შეევედრე, უთხარი, თამარა შენთვის ლოცვაში დალევს სულს-თქო. შენი ოჯახის და შთამომავლებისთვის ლოცვაში-თქო. გაიგე, ბებია.. გამოართვი, ერთხელ მაინც შემავლებინოს თვალი.

ბებია, ჩემო საცოდავო ბებია, როგორი ქალური, სუსტი და უსუსური ყოფილხარ თურმე, როგორ მოგნატრებია შენი ძველი, ნამღვილი სახე. ახლა ვერც გრძნობ, რა კარგად ვხედავ შენს ახალგაზრდობას, რა კარგად მესმის შენი წკრიალა, ნაზი ხმა, როგორ მიცემს გული შენს ყმაწვილ მკერდში, როგორ მიყვარს შენი სისუსტე და დაბნეულობა. ალბათ, ბაბუასაც ასეთი უყვარდი. რომ იცოდეს, როგორ გამოიცვალე, რა ძლიერი და ამაყი გახდი, რა გონიერი, რამხელა სიბრძნე გიდავს თვალებში, როგორი პირდაპირი და ჭირთამთმენი, მკაცრი და დარბაისელი ხარ. და ეს ყოველივე თურმე მხოლოდ სიყვარულთან დაშორების ხარჯზე, დაუსრულებელი შიშისა და სულით დაცემის მილოდინის ხარჯზე, განა ღირდა ამ ფასად ასე დაბრძენება. ამ მეტად საპატიო თვისებათა შეძენა? განა ღირდა ამ ფასად ამდენი ბედნიერი სიკოცხლის მოწამვლა?

— ჰა, თემო, ღირდა?
— ?..

მინც მიუვარს

დამიანე გოგოზიას,
დამიანე ჭეჭელავას,
დამიანე ალანიას.

ვინც მატკინა გული გუშინ,
მანვე რომც არ დამიამოს,
მინც მიყვარს, რადგან სული
ვერ ძლებს უადამიანოდ.

თვალო, ჩემო, თვისტომთაგან
ხშირად ცრემლის ნამიანო,
ნუმც გაგვეძლოს ქვეყანაზე
წამიც უადამიანოდ.

ძმამ რომ გამცეს და ლალატის
ელდამ ტანში დამიაროს,
ვაპატიებ მინც, რადგან
ვერ ვძლებ უადამიანოდ.

სამ ახლობელს დავიმოწმებ
და სამივე დამიანეს,
ხამს: ერთუერთის უთმობლობა
გვჭირდეს სულ ადამიანებს.

სწორედ

ეს ცხოვრება არი სწორედ
სიახლოვე და სიშორე...

მოყვრები და მტრები მთხოვენ
სიშორეს თუ სიახლოვეს.

შორებლობამ, ახლობლობამ
მალვრევიანა ცრემლი ბლომად.

დრო ფიჭრისთვის ბევრიც ხარჯო,
ვერ გაიგებ, როდის რა სჯობს.

ხან ერთი სჯობს, ხან მეორე.
სწორედ, თავო ჩემო, სწორედ!

როგორ მიტკბება, როგორ ცდილობს ეს დღე მზიანი
გუშინდელი დღე დამავიწყოს, ლიგვი და შავი...
მცირე რამ მივის, რომ არ იყოს სხვისი ზიარი,
სიტყვა ძაღლია მტრების სისხლით დასაგეშავი.

მიყვავებს, თითქოს ჭერ არ ჰქონდეს ზამთარს კამარა
შეკრული.
თითქოს საცა არი არ მომეჭრება.

ერთბაშად ჩემი არ ისმინონ: გეყოფა, კმარა
წყალდიდობებმა ან ზეავებმა ანდა მეწყურებმა.

აღერსი ისე მშლის და მტანტანეს კიდიო-კიდე,
რომ საკუთარ თავს ძლიეს ვაგროვებ ნაწილ-ნაწილად...
მ-ჯობს, ხელს "მკლავში" ბედისწერა მკაცრად რომ მკიდებს,
უფრო ადვილად ვსწავლობ სიკვდილს და თავგანწირვას.

რის წილ გადმეჭკა ეს დღე შევებად, რის გადატანით
თუ გადასატან ავ დღეთა წილ, იცის განგებამ...
გადამიბირა ამ დღემ და თვით ყვავის ყრანტალობა
მშობლიურ ქალის მესმის ახლა გრძნეულ ჰანგებად.

ახლოს არ მივალ

ნეტავი ეს არ გამეგო
და გულზე ტყვია დამხლოდა:
რა კარგი იყო შორიდან,
და რა ართვალი — ახლოდან?!

ლოცვალა მაკლდა...
მიმაჩნდა
ხატად და
მერე რა ხატად:
ენატრობდი: იგი რომ არი,
ნეტავ, ისეთი გამხადა.
და უცებ... იქცა სატანად, —
ხომ არ დამსაჯა განგებამ —

ზედმეტი დაახლოება
მოძმესთან არ ნავარგება.
წყეულიც იყავ, ნილაბო,
წყეულიც იყავ, ვუალო.
დღეიდან ძვირფას თვისტომებს
შორ-გარე უნდა ვუარო.
ახლა სხვაგვარად ვიქცევი,
ცხრაჯერ ვზომავ და ვწონი და...
ახლოს არ მივალ.
ლამაზი
იყოს მოყვასი შორიდან.

ოქროს ნაპირთან

მეც მომიყვანა ამ ნაპირამდე
ვნების ძალუმი ქარის ქროლებამ,
აქ დაბნევიათ ოქრო პირატებს,
რომ მე მეპოვნა ამ სტრიქონებად.

აქ დაბნევიათ ოქრო პირატებს,
მე კი დავეძებ სიტყვის მაგიას...
ის ბრწყინავს. როგორც მზის სიდიადე,
იგი ღვთის ცრემლის სისპეტაკეა.

სიტყვას ვუმაღლი, თვით უსაშველო
მარტოობაშიც რომ არ ვარ მარტო...
მისი არილი დგას ჩემს გარშემო,
მაშინაც,
ცრემლით ქვასაც რომ ვალტობ

შენ უნდა სწიო, გიშველის არც ვინ,
დასტურ ცალუღელსაც ჰქვია უოელი.
მოდის სიბერე საშინელ ხარცვით,
გწამლავს მტრის ჯინი ამოუყრელი.

წამლავდა მამას, პაპას, თვით პაპის
პაპასაც... ახლა შენ შემოგყურებს
თვალეებში შენი ბადიში-ლლაპი —
იმედის სიმხნე და სილომგულე.

ხავს ვეჭიდები?! საქმეა ესეც,
უკეთესდება წამხდარი ნირი...
თუმც დღეებს მიაქვთ ბუზღუნნი სვეზე
და გაწბილება ნაირნაირი.

მოსვლა რა იყო,

რას ემგვანება

წასვლა.

რა ვუთხრა ამნაირ წასვლას...

არ ვინაღვლებდი ცხადს, რომ ზმანება
გამომეცხადოს ოცნების ასლად.

მაგრამ, ვაი, რომ სიზმარიც თავად

ჰგავს ამ საწუთროს, როგორც წვეთს —
წვეთი.

გულში გუგუენებს ვნებების ლავა
და მომწონს თავი პოეტის სვეთი.

წუთისოფელი —
ვითხრა მართალი —
დღითი დღე ხდება
უფრო ართვალი.
დარი დარს არ ჰგავს,
ავდარს — ავდარი,
ტყუილს — ტყუილი,
მართალს — მართალი,
ზაფხული — ზაფხულს.

ზამთარს — ზამთარი
ხორცის ფასს უსწრებს
ფასი არტალის,
რაც გალობა ღირს,
ის ღირს ყრანტალიც...
წუთისოფელი —
ვითხრა მართალი —
დღითი დღე ხდება
უფრო ართვალი.

დედის სურათთან

ფიქრში ამოდის
მთვარე — სულმნათი,
ნაღველს მიქსოვენ სიზმრის ქარები...
კედლიდან მიცქერს დედის სურათი
მარადისობის ლურჯი თვალებით...
და მე მუდამდღე

ცოცხლობ და ვკვდები,
გული წაიდეს ცრემლის ავდრებმა...
კედლიდან მიცქერს სურათი დედის
და ეს სიკვდილი
ალარ თავდება!..

3 ა ლ ი

ღებულობ ვალებს და მერე იხდი,
იხდი და ისევ ღებულობ ვალებს...
ისმენ მავანთა უზრუნველ ხითხითს
და არაფერი არ უყვირთ თვალებს...
და შენ კაცობის გადავს უღელი,
კაცობის, არა — ოქროს მონეტის
და მაინც, მხოლოდ გადაუხდელი,
შენ უფლის ვალი გრჩება ყოველთვის...
ღებულობ ვალებს და იხდი მერე,
ისევ და ისევ ღებულობ ვალებს
და დღეებს შენსას ზაფრანის ფერი
ადევს და...
ძველს ცვლის ახალი მთვარე...
გიხმობს თანდგომა კეთილი ზარის. —

შეეწირები აღთქმულს ბოლომდი!..
და ფუფუნების კიდობანს ბზარი
უჩნდება, როგორც შიში—მოლოდინს...
არა გპირდება გარდაქმნა, არა. —
პატიოსნების გენია შენში!!!
შენ კარგად იცი,
რა ჰქვია რას, რა,
რად უწოდებენ ზოგიერთს შეშლილს!..
და ხარ მდიდარი მზით და მოკეთით,
ხან — მოლიმარი,
ხან — ფერმიხდილი...
შენ უფლის ვალი გრჩება ყოველთვის,
კვდები და
მასაც იხდი სიკვდილით!..

მარილი მუდამ აკლდა სიცოცხლეს,
ცა მაინც ენთო იაგუნდებად...
ფასი იმისი უნდა იცოდე,
რაც წავიდა და
არ დაბრუნდება...

მზე წითლად ჩადის,
მზე წითლად ჩადის,
ამოაკვილებს ქარი ამაღამ...
იქნებ სექტემბრის ქარში აყვავდეს,
რაც ზაფხულების ხვატში გადახმა...

ორი კოლუსი

ხომ შეიძლება, ნისლი ფოფინა
ჯერ ღრუბლად იქცეს.
მერე გაწვიმდეს...
არ შეიძლება, მთა-მთა იფრინო
და არ ეტრფოდე მზიან ამინდებს...

ხომ შეიძლება, განათდეს წამი
და დასაწყისი აღმოჩნდეს ბნელის...
არ შეიძლება, შენ იყო მამა,
იყო ჯალათი
და სისხლის მსმელი!..

ხომ შეიძლება. მოკვდები ოდეს,
ცამ შენი სული არ მიიბაროს...
არ შეიძლება, ო, არასოდეს,
სიკვდილზე მეტად სხვამ შეგიყვაროს!..
ხომ შეიძლება, ლოცვად მოედო
მთა-ბარს და
ქროდეს ქარი არჯალი...

არ შეიძლება. იყო პოეტი
და ტრფობას გულში ჩასცე ხახჯალი!..
ხომ შეიძლება, გავარდეს მეხი
და გაეყინოს
მზეს სისხლი იმ წამს...
არ შეიძლება, დაგიცდეს ფეხი. —
არ შეგეშველოს მშობელი მიწა!..

აპრილი იყო

მეზობლის გოგომ
შეიყვარა მეზობლის ბიჭი...
დაატარებდა პირველ გრძნობას
მალვით და შიშით...
მეზობლის ბიჭმა იქორწინა
უეცრად სხვაზე...
პატარა გოგომ არ იცოდა
სხვა ცა და სხვა მზე...
თითქოსდა ბედი დაემგვანა
ნამსხვრევებს შუშის...

აპრილი იყო.
შაგრამ არსად ჰყვოდა ნუში...

შენი სიმაღლე

ბევრჯერ დაეცა ბრძოლის ველზე
შენი მგოსანი.
მაინც გადარჩა სული მისი —
სული შროშანის...
ჩემი სიმდიდრე მობიბინე
ტყე და ლელეა...

უსიყვარულოდ აქ აროდეს
არ იმღერიან!..
დაპირებები ო, მამულო,
არ მყვარებია...
ჩემი სიმაღლე ისევ შენი
ლურჯი მთებია...



სისხლისფერი შროშანები

მტერი როგორ გავაცინო...
 და რომ არ ვთქვა, რარიგ მიჭირს!
 მიმაჩნია სამარცხვინოდ
 ერთმანეთის მტრობის ნიჭი...
 თბილისიდან წყენით მოდის
 საგურამოს დღევანდლამდე...
 (ჰე! წმინდანო, შენი მტრობით
 თურმე საქართველოს მტრობდნენ!...)

გაზაფხულდა ახლა კახეთს
 სისხლისფერი შროშანებით...
 ერი ფიქრობს ერის კაცზე
 უდიდესი მოკრძალებით!...
 ელოდება მთები ყვარლის,
 ტკივილია ეს ლოდინი...
 არ გვასვენებს ჩვენ ის წამი,
 ჩვენ ის ტყვია გასროლილი!
 მტერი როგორ გავაცინო
 და რომ არ ვთქვა, რარიგ მიჭირს:
 მიმაჩნია სამარცხვინოდ
 ერთმანეთის მტრობის ნიჭი!..

ჩემი ოთახის მყუდრო კედლებში
 მატარებლების ატანს ხმაური,
 ღამეა თბილი და ვერ ვიტყვი,
 მე მოწყენილი და უცნაური...
 მატარებელი მიათრევს სხეულს,
 თან ტოვებს სითბოს, მწუხრსა და
 ნაღველს...

მომჩერებია ფიქრებთან ერთად
 ჩემი ოთახის პატარა ღამე...
 და მახსენდება გაწვდილი გული,
 სიყვარულით რომ ნაცნობებს ვატან...
 ჩემი ოთახის პატარა ღამე
 განშორებების სილუეტს ხატავს!..

არ შემიძლია,
 ვიყო შენი
 კურდღლის მდევარი...
 მე ჩემი მტრედის
 სიმსუბუქე
 ცაში მიმაფრენს...

ჯერ კიდევ მელის
 დასაპყრობად
 ჩემი მწვერვალი.
 ჩემი კაცობის
 ტკივილი და
 ჩემი სიმათლე!..

●

ავკრიფავ ნომერს
და ვილაც უცხოს
ავუხსნი სიყვარულს
ისე დამაჯერებლად
და ისე წრფელად,
რომ მეც დავრწმუნდები
ამ სიყვარულში...
და ჩვენ ერთმანეთი
გვეყვარება მზის ამოსვლამდე...
ელოდე ჩემს ზარს
ამალამ შენთან
უნდა დავრეკო!..

●

შემინახეთ ის დღეები,
სიყმაწვილეს გაყოლილი...
თავს მიხრიან ჰერბერები
დავიწყებულ ნაცნობივით...
შემინახეთ სიჭაბუკე,
პეპლის ფარფატს აყოლილი...
მეგებება შემოდგომა,
გოგო — ახლად გაცნობილი!..



პ უ რ ი

უსიამო ძილ-ბურანიდან ფეხის ტყვიელმა გამომათრია. ძირს დაეიხედე, თითქოს შემოკეული ქიანჭველების ჯარს ამით დაეფრთხოვდი; ოთარი მთელი ტანით მუხლებზე მანჯა და პირლიას მშვიდად ეძინა. ფეხის განათავისუფლება არ მიცდია, ვიცოდი, გაეღვივებოდა და შემეცოდა, იქნება კარგ სიზმარს ხელდავდა...

წინათ არავის მიმართ არ განმიცდია ერთგულებისა და სიყვარულის ისეთიანირი გოდნობა, როგორც ამჟამად ოთარისადმი გქონდა. მთლად კარგად ვერ გამერკვია, რად მიმჩნა იგი: უმცროს ლეიქლ მძალ თუ შეიქოდა. სიცოცხლე არ შემშურდებოდა მისთვის, რადგან ვიცოდი, ყველაზე საიმიედო და სანდო კაცად ვგვულებოდი, ეს თურმე იმიტომ, რომ მასზე უფროსი ვიყავი, ცოლ-შვილი მყავდა და ომში წამოსვლამდე მუშაობის გარკვეული სტაჟი მქონდა. ცხადია, მან არ იცოდა, რომ განსაცდელს, ფიზიკურით თუ სულიერი წამების გადატანაში მასაგით მოუზნადებელი და უმწეო ვიყავი; ყოველ ღონეს ეხმარობდი და, ვგონებ, ვახერხებდი კიდევ, რომ ეს არ გამოემყვალა ენებინა. — ოთარს ჩემდამი რწმენა არ უნდა დაკარგვოდა. იქ, რუმინეთში, ტყვეთა ბანაკში მეც მყავდა ერთი-ორი გაღმერთებული კაცი, მჯეროდა მათი და ვცდილობდი მათთვის მიმებაძა. ერთმანეთისადმი რწმენა არსობის პურზე უფრო ძვირფასი იყო და ქვეშევსენულად ვგრძნობდი, რომ ამ რწმენის დაკარგვა ბეწვის ხილიდან ჩავარდნასა და უფსკრულში ჩაჩეხვას ნიშნავდა...

ზურგიით შალიყო კობიაშვილის სხეულს ვგრძნობდი. თვალები ღია მქონდა, არ მეძინა, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი. — ეს ისევე ძილ-ბურანი იყო, საიდანაც ასე ავფოლა სიზმრის მსუბუქ ფრთებზე გადასვლა და ფეხებზე ქვემოძრული სიარულიც, მაგრამ მე არც ერთი არ დამეცალდა...

— გძინავს? — თავის მოუბრუნებლად მეითხა შალიყომ.

ნაწარმოები დაწერილია ავტორის მამის — ცნობილი იურისტის დავით ქორიძის არქივში დაცული მასალების მიხედვით.

— არაა...

— დათიყო, ვაკეკურად მითხარი, შიმშილი თუ განგიცდია ოდესმე?

— გგონი, არა. ახლა რომ კუფიქრდები, ვხედები, რომ ის შიმშილი არ იყო. კომშიგებია, მაგრამ, რატომღაც, ყოველთვის მქონია იმედი, რომ საკმელი გამოჩნდებოდა. არ შემეშინებია.

— პური თუ გეკვარებია განსაკუთრებით, ისე, აქ რომ გვიყვარს?

პასუხი დავაყოენე, დაფიქრება იყო საჭირო. გრძნობა, რომელსაც შალიყო გულისხმობდა, სიყვარული არ იყო, იგი სხვა რაღაცას ნიშნავდა. აღდრე ჩვენ ვთვლიდით, რომ სიყვარული შეიძლებოდა მიწის, სახლის, მსობლების, შვილის, ძმის და ასე შემდეგ... პურის მიმართ კი ეს უცნაური გრძნობა პირველად ორმოცდაორის მისში, აჯიმუშკანის ქვის სამტელს გვირბებში დაგვებადა, ხილო უფრო მკვეთრად აქ. ტყვეობაში გამოიკვეთა. ეს იყო რწმენა მისი ძალისადმი, როგორც არსებობისათვის ყველაზე საიმიედო საშუალებისა. პურის მაღლი მთელი სიცხადით მხოლოდ მაშინ შევიცანით. ოცა დაე-ჩქმუნდით, რომ მას თვითონ ვერ მოვიპოვებდით, ვერც მივიღებდით როგორც კუთვნილს, ჩვენ პურს გვირიგებდნენ როგორც მათხოვრებს... ფიქრებს ისე გავყვევი, დამავიწყდა, შალიყო ჩემს პასუხს რომ ელოდა, მისკენ მივიხედე: ღიმილი გადაჰკვროდა ტუჩებზე, მეც გავუღიმე. ჩალამებული თვალები წამით გაუფშტერეთ ერთმანეთს, შემდეგ კი, თითქოს ვიდაც უჩინარის ბრძანებით, ერთდროულად პურებს დავაკერდით...

— ხედავ, ბიჭო, როგორ გვეპრანჭებია ეს პურები? — თქვა შალიყომ.

— ვხედავ, როგორ არა. ეპ, ოაც გეკრძალება, ეტყობა, ის გელამაზება. შექმისა რა მოგახსენო, მაგრამ ხელის ხლება რომ შეიძლებოდეს, ალბათ, კარგი გოგოსავით ჩავიხუტებდი გულში.

— რამდენს შეუძალი, უფლება რომ გქონდეს? — მეითხა შალიყომ.

— ალბათ, ყველას. — რვავეს...

— რას ამბობ? გაგიედი, ხომ მამინევე მოგკლა? აი, ერთი რომ იყოს ჩენი, ერთი ცა-

ლი. თუმცა მაინც ვერ შევქვამთ, ვილაყას ხომ უნდა გავუნაწილოთ, თუნდაც იმას, ვინც მშვიერი თვალებით შემოგხედავს, ან იმას, შიშნისაგან სიკვდილის პირას რომაა მსუსული...

ისეთი ნაღვლიანი ხმით ლაპარაკობდა შალკო, გვეგონებოდა, პურს კი არა, მიცვალვბულს უყურებსო. ცოტა ხანს გასუბდა, თოქოს ის ნაღველი უნდა ჩააჩუმოს და ჩახხარჩოსო, მაგრამ, ჩანს, არაფერი გამოუვიდა, რაი უფრო მძიმე საამბოში თუ სათქმელი ჯერ ისევ წინ ჰქონდა.

—კაცო, გოგი სურმავე არის, ძალიან მძიმედ... წელან, მიწურის ბოლოში რომ გავედღი, ექიმი სინჯავდა, აი, ის, ჩვენებური რომ არის — ქუთაისელი, ყურს ადებდა გვერდებზე და თისს უკავებდა, ორმოცდარ გრადუსამდე სიციხე ექნება, ფილტვების ორმხრივი ანთება აქვსო, ამბობდა. გასინჯვას რომ მორჩა და აქეთ გამოვიდა, ქალღივით ხმამაღლა დაიწყო ტირილი. თვითონ გოგის არაფერი გავგებოდა, უფროდ იყო, ბოდავდა, შინაურებს ახსენებდა. წამოსვლა მინდოდა, მაგრამ ფეხს ვითრევდი; ასე თქვეს, კრიზისი თუ გადაიტანა, გამობრუნება მაღუეე შეეძლებოდა, ცოტა ხნით დაწყნარდა, თვალები გაახილა და გარკვევით თქვა: „დათიყო მოვიდეს, მხოლოდ ის თუ მიშეუღოს რამესო“. მე შენყენ გამოქცევას ვაპირებდი, მაგრამ ბიჭებმა დამშალეს, რაი გოგომ ისევ დაკარგა გონება და ბოღვა განაგრძო... დავრწმუნდი, საამქვეყნო რომ აღარ იყო, წამოვიღი, რა ექნა, ვეღარ გავუტყელი. შენ არაფერი გითხარი, გეძინა. შენ მუხლებზე საცოდავად მოკუნტულ ოთარსაც ეძინა. გვერდზე გადაქცეულს მოგიქეი, გაგსწორე და შენი თავი მხარზე ჩამოვიდე. მგონი, სწორად არ მოვიქეცი. ეგებ სჯობდა, მიხვიდე...

...მეც დავემალე შალკოს, ეს ამბავი რომ ვცოდო. გოგი სურმავე უყვე აღარ იყო ცოცხალი. შალკოს ეძინა, როცა გოგის ცხედარი გაატარეს კარბასყენ, ზემოდან ვილაყას მახარა ეფარა, თავი უკან ჰქონდა გადადებულ და ქორბოი უჩანდა. ყველანი ტიროდნენ. ირაკლი ხანდრავა ცდილობდა, თავი შეეკავებინა, მაგრამ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და ტუჩები უთროდა... მაგამედ კესავეი ხმამაღლა ზღუტუნებდა, ტომოფი შამოვი ფარაგის სახელოთი იწმენდა ცრემლებს...

...გოგი სურმავეს ახლოს არც კი ვიცნობდი, ოთარი მეგობრობდა მასთან ისიც იხიერი ყოფილა. თბლისში, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში უმუშავია სამქროს, უფროსის მოადგილედ. სულ

ახლაგზორდა იყო, სახლომონი, მუდამ მარი სახით. წვერ-ულვაში ახალი ჰქონდა, ვგრძნობდი, ახლობლად მივაჩნიდი — ეტყობოდა, ისიც ოზირებდა ოთარის აზრს ჩემს ყოვლისშემძლეობაზე.

ერთხელ ბანაკში მქელის ტიფი გაჩნდა. ოთარსაც შეეყარა. იზოლირებულთა ბარაკს ახლოსაც არ გვაკარებდნენ. მე რუმიწელ ექიმთან მოვახებრე მისვლა, დავარწმუნე, რომ ოთარის ძმა ვიყავი და თავზე დაღვამის უფლება ვთხოვე. გამოუტეული ორგანიზმი ვერ უძლავებებოდა საშინელ სნეულებას და ავადმყოფები ზედზედ იხიციბოდნენ. თავი გადავდე: ოთარის ულუფა საკრელს ჩემსასაც ვუმატებდი, საცუალს ვურეცხავდი და ყოველდღე ქვეშ ასადავ თივის ვუცვლიდი. სხვა არაფერი შემძებლო. შესაძლოა, ჩემ თავგანწირვას არავითარი შედეგი არ გამოვლო, რუმიწელ ექიმს რომ ეს შეუუბავარი თავდადება არ მოსწონებოდა; თვითონაც იყოჩაო, ქსლადან მოტანილი რაღაც უებარი წამალი რამოდენიმეჯერ დააღვიევა ოთარს...

ოთარი გადაარჩა. გამოკეთდა კიდევ, სწორედ ამ დროს მეც შემეყარა ტიფი. იმ სულნათელმა რუმიწელმა ექიმმა, ჩანს, მეც დამაღვიევა ის წამალი, გერმანელი ზელამხედველებისა და ოფიცრებისაგან მალულად, თორემ, ვინ იცის, რა სასჯელით გაუმსაპინძლდებოდნენ, როგორი სიკვდილით დასჯიდნენ. ბანაკში ყველამ მე მომაწერა ოთარის გადაარჩენა, ჩემი გამოკეთება კი სიკეთის ზეიმად ჩათვალეს. კი, უნდა სცოდნოდეთ, რომ სიკეთეს კვლავ შევძლო ზეიმი — ეს დიდი იმედი იყო. გოგი სურმავემაც ამიტომ მოითხოვა ჩემი ნახვა იმ უბედურ დროს, ეგონა, სასწაულმოქმედი ვიყავი, ნეტავ მცოდნოდა და მიგსულიყავი...

ოთარს ისევ ეძინა. ფეხის ტკივილი აღარ მაწუხებდა.

შალკოსყენ მივიხედე, მინდოდა საუბარი გამეგრძელებინა, რაღა დროს: გვერდზე გადახეწეულიყო და, ვილაყაზე გადაწოლილი, ზვრინავდა. ეტყობა, ძილი ჩვენი ერთადერთი წამალი იყო მწარე ფიქრებისგან გასარიდებლად — ჩვენი ინსტიტუტით თავდაკვის ერთადერთი საშუალება. ცოტა ხანს ვუყურე შალკოს გატანჯულ სახეს, მერე თვალი ისევ პურებმა მომტაცა.

ბნელოდა, მაგრამ პურები გარკვევით ჩანდა, თითქოს ანათებდნენ და სხივებს ისროდნენ. მგონი მეთევჯერ გადავთვალე: ისევ რვა ცალი იყო. ოთხ-ოთხი ერთმანეთზე შეწყობილი. ზუსტად ერთი ზომის. ახლად შევნიშნე, ერთ წყობაში სიმეტრია იყო და რღვეული — ზემოთა პური ისე იყო გარმო-

ფერდებული, თითქოს გადმოვარდნას და არ-
ხში თავის დაბრუნებას ლამობსო. ეს, ალბათ,
სხვებმაც შენიშნეს, მაგრამ გასწორება აზ-
რად არავის მოსვლია, მათი შეხება ისევე
არ შეიძლებოდა, როგორც ნაკვერჩხლის
ხელში დაჭერა. არა, ჩვენებური, ნამდვილი
კოდის პურის სუნიც რომ მომდიოდა, ეს
გასაოცარი იყო. ადრე ბანაყის პურს სა-
ერთოდ არ ჰქონია სუნი — მე პურის სურ-
ნელებას ვგულისხმობ, თორემ მომავო სი-
ნესტეს მივეჩვიეთ კიდეც. ეგპ, დავიძალე
პურების ქექვით, მათი სუნით, მათზე ფიქრით
და ოცნებით, დავიძალე და ზურგი შევაქციე,
ფიქრი მაინც დარჩა. ფიქრს სადღა წაუხვალ,
სად დაემალები, მე შენ გეტყვი, ტყვიას ესერი
და თავიდან მოიშორებ...

...ყველა იმ პროდუქტიდან, რასაც ბანაყში
საკვებად გვამოწებდნენ, მები იმედი პურზე
იყო დამყარებული. ოთხ კაცზე ერთი პური
რიგდებოდა იმ ანგარიშით, რომ თითოეულს
სამასი-ოთხასი გრამი შეხვდებოდა. ულუფა
მოცულობით პატარა იყო, მაგრამ ტყვიასა-
ვით მიმიმე. ბოლომდე კარგად ვერ გავიგეთ,
რისგან აცხობდნენ. ცხადად ჩანდა მატლი,
ლურსმანი, თოკის ნაგლეჯი, მიწა, ქერის ჩენ-
ჩი, შეიძლება ყველა ერთად არ შეგხვედ-
როდა, მაგრამ რამდენიმე ან ერთი მათგანი
მაინც რომ არ ყოფილიყო ამ ეგრეთ წოდებ-
ულ „პურის“ ულუფაში, არ შეიძლებოდა.
ამას მივეჩვიეთ და აღარ გვიკვირდა.

პურის გაყოფა დარიგებისთანავე ხდებო-
და. ბარაკის უფროსი წინასწარ დადგენილ
ოთხეულზე გასცემდა ხოლმე თითო პურს.
ანის შემდეგ ოთხ ნაწილად გაყოფა იყო სა-
ჭირო: პურს ოთხ თანაბარ ნაჭრად ვჭრიდით,
თვალზომა იმდენად უტყუარი იყო, სხვაობა
წინილება მხოლოდ ერთეული გრამი ყოფი-
ლიყო. აწონა იშვიათად თუ გახდებოდა სა-
ჭირო. პურის ნაჭრებს შორის მაინც იყო
განსხვავება: ზოგს დამწვრობა ეტყობოდა,
ზოგსაც ტალახი მოსცებოდა, ზოგი ნაჭ-
რიდან უშნოდ იწყიტებოდა ცხობისას კომ-
ში მოხვედრილი უცხო საგანი... ჰოდა, ვინმე
გულნატენი რომ არ დარჩენილიყო, ოთხი-
ვე ნაჭერს ნარზე ერთმანეთს გვერდით და-
ვწყობდით, ოთხეულიდან ერთ-ერთი ზურ-
გით დადგებოდა, მეორე თითს დაადებდა
რომელიმე ნაჭერს და იკითხავდა: „ვისი?...“
ზურგით მდგომი დაასახელებდა გვარს და
ეს უკანასკნელი შეხვედრილ ნაჭერს უხმოდ
აიღებდა. მეოთხე ნაჭერი დამძახებელს რჩე-
ბოდა.

მეზობელ მიწურში ვილაცამ რუსული
სევედიანი სიმღერა „კალინუშკა“ წამოიწყო.
ჩემთვის ეს სიმღერა მეგრულ „ასე ჩინგუ-
რის“ და „ისისატურას“ ჰგავს. განსაკუთრე-
ბით დიდებულია, როცა შორიდან ისმენ.

ზღაპრული რამ არის — არ არსებობს უკე-
თეის საშუალება მოზღვავებული სევედის
საოკებლად.

ახლა მინდა ცოტა უკან დავიხიო და ერ-
თი ამბავიც მოგიყვებ:

... ერთ დღით ბანაყის ეზოში ოფიცია-
ლურ განცხადებაათვის განუთუხნილ ბოძ-
ზე წერლი გაჩნდა. ის ანონიმური იყო, ესე
იგი, მთელი ტყვეთა ბანაყის აზრს გამოხა-
ტავდა. განცხადება მოითხოვდა, ჩვენი რი-
გებიდან დაუყოვნებლივ გაეყვანათ ჩვენივე
თანამემამულეები, რომლებმაც სამშობლოს
უღალატეს და მტრის მხარეზე გადავიდნენ.
თუ კომენდანტი ამ შოთხოვნას არ შეასრუ-
ლებდა, საბჭოთა პატრიოტები მოღალატეებს
თვითონ გაუსწორდებოდნენ, — სიკვდილით
დასჯიდნენ.

განცხადება ჩამოსწეს და წაიღეს. მას
შემდეგ სამი დღე კავიდა. პასუხი კი არ ის-
მოდა, უკან დახვევა არ იქნებოდა და ტყვე-
ებმა ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას მიე-
მართეთ — შიმშილი გამოაცხადეთ.

ორ დღეში ორმოცდაათი კაცი დაიხოცა.
ბევრი კი ისე იყო შიმშილისგან მიღსალა-
სებელი, დიდხანს არ დააგვიანებდა სიკ-
ვდილთან შეხვედრას. მოღალატეების ნაცე-
ლად ისევე ჩვენ ვიხოცებოდით, მაგრამ მათი
ჩამოშორების სხვა გზას ვერ ვხედავდით.
შიმშილი მესამე დღესაც გაგრძელდა. დღის
დათვლის შემდეგ ათი კაცი გაიყვანეს პირ-
ველივე მწყობრიდან. მაგადსთან დასვეს,
წინ პურები დაუწყეს და ცემით დაემუქრნენ,
თუ არ შეჰამდნენ. ათი კაციდან ერთმაც არ
წაიწია პურისაკენ, გაგულისებულმა კომენ-
დანტმა ჯობით ცემა დაუწყო ტყვეებს. ერთეუ-
ლები კი გაიყვანეს ცალე და, ალბათ, სიკვდი-
ლითაც დასაჯეს.

მეოთხე დღით ისევე დასათვლელად გაგ-
ვიწვიეს. ბევრი ისე დასუსტდა, რომ მოძრა-
ობა და ფეხზე დგომა უჭირდა. მაგრამ ფაში-
სტებისსათვის უნდა დაგვენახებინა, რომ
ისევე მედგრად ვიყავით, ისევე ვაგრძელებდით
შიმშილს: ღონემიხილები ხელით გაიყვა-
ნეთ, მწყობარში რომ არ წაქცეულიყვენ,
მხარში ვედექით აქეთ-იქიდან.

კომენდანტთან ერთად მოედანზე ჩვენთ-
ვის უცნობი რამდენიმე გერმანელი ოფიცე-
რი და „სიგურანცის“ ინსპექტორი დაგვხვ-
დნენ. უკან შეიარაღებული მეთაურობატეები

1 რუმინ. — გესტაპო

მანანტა ქორიძე
პ უ რ ი

დღეგნ: მათთან ერთად იყო ბანაკში ყვე-
ლასათვის ცნობილი ფაშისტი, ყოფილი საბ-
ჭოთა ოფიცერი სტრელცოვი. მან ბანაკში
მოყვანის პირველ დღეებშივე სრულიად მო-
ურიღებლად, უსირცხვილოდ გვიამბო, რო-
გორ მონაწილეობდა ოდესელი ებრაელების
დარბევაში; ყველა ებრაელი, ოჯახის წევ-
რებიანად ერთ შენობაში შეერკეთ, გარშე-
მო საწვავი მოვასხით და ავტომატებით ჩა-
საფრებულბმა, ვინც კი ცეცხლმოკიდებულ
სახლიდან გაქცევით თავის გადარჩენას შეე-
ცადა, სულ ამოწყვეტეთო. ზიზღით ამოე-
სებულ სიჩუმეში ყველამ თავისთვის გაი-
ფიქრა, რომ სტრელცოვი სწორედ ამ დამსა-
ხურებისათვის ჩარიცხეს ბანაკის კომენდან-
ტის სამსახურში. ექვად გვეონდა, რომ
სტრელცოვს თავისი კაცები ჰყავდა ბანაკში,
სწორედ მათი მოშორება გვინდოდა თა-
ვიდან.

კომენდანტი პოპოვიჩი ორი ნაბიჯით წინ
წამოადა და რუსულად დაიწყო თავისი სი-
ცუვა:

— დიახ, ჩვენთვის ცნობილი არიან ბატონი
საბჭოთა ოფიცრები, რომლებმაც თავისი
სურვილით დროულად აიღეს ხელი კომუ-
ნისტური იდეებისაგან და ჩვენ მოგვემხრ-
ნენ, — რამოდენიმეჯერ ნაძალადევად ჩაახ-
ველა და ცას მიაშტერდა, ეტყობოდა, სიტყ-
ვის მასალა შემოაკლდა, მერე ისევე განაგრ-
ძო: — ჩვენ თვითონ ვაპირებდით ამ შეგნე-
ბული ხალხის იზოლირებას, დიდი მადლობა,
რომ დაგვეხმარეთ!.. დღეიდან ისინი ცალკე
იკბორებენ, როგორც თავისუფალი მოქა-
ლენი, ხოლო მოკლე ხანში, ვავიმარჯვებთ
თუ არა, ისინი ოჯახებს დაუბრუნდებიან...
ფიურერმა ბრძანა, რომ მათ მიწები დაუ-
რიგდეთ და განცხრომით ცხოვრების ყო-
ველფაგარი პირობა შეექმნათ!..

აშკარა გახდა, მოლატებები მწყობრიდან
უნდა გაეყვანათ. ჯარმაგებული შეიარა-
ღებული რაზმიც სპეციალურად მათ დასაკა-
ვად იდგა, რომ თავს აქ დავსნმოდით და არ
მიგვებრჩო ეს დამპლები, ეს მათხოვრები...

სიით გამომჩხებულს სასწრაფოდ უნდა და-
ეტოვებინა მწყობრი და ცენტრში შეავტო-
მატებების ზურგს უკან გასულიყო. კომენდან-
ტმა მკაცრად გავაფრთხილა, არაფერი
დაგვეშევიძინა მათთვის, შეიარაღებულ რაზმს
უფლებდა ჰქონდა, იარაღი ეხმარა უბრალო
უწყსრიგობის შემთხვევაშიც კი. კომენდან-
ტმა ოფიცრებს რაღაც გადაულაპარაკა გერ-
მანულად და სწორედ ამ დროს ჩვენს
მწყობრში ტალღისებურად გადმოიკა გან-
კარგულება: ხელი არ ეხლით მწყობრიდან
გამსვლელათვის — გზა მიეცათ!

განდგომილებს მამინვე შეეტყობო შემფო-
თება: სახე აეღოწყო, აცქემტდნენ, მოუთმენ-

ლად ელოდნენ ამოახებას და საკუთარ
გვარის გაგონებისთანავე დამფრთხალად
ლებივით ეუღამოქებულები გამოდნენ
მწყობრიდან. ვგრძნობდი, ჩემსავით სხვებიც
ცილობდნენ თვალბში ჩაეხედათ მოლატ-
ტებისათვის; იქ რა უნდა ამოგვეყოფა, ვე-
რასდიდებით ვერ ავიხსნით, მაგრამ ამის სურ-
ვილი დიდი იყო.

...კითხვა თავისთავად დაიბადა: ვინ იყვნენ
ისინი? როდის, სად და რატომ დაადგნენ
სიცრუისა და მოლატებობის გზას? ჰო, რა
თქმა უნდა, გარკვეული პოლიტიკური მიმარ-
თულება არც არასდროს ჰქონიათ, ამ მხრივ
ცვლილება არ მომხდარა მათ შეგნებაში. ისი-
ნი სულმოკლე, უნებისყოფო კაცუნები იყე-
ნენ, ლპარები, პირველი გაჭირვებისთანავე
შეშინდნენ, აღამიანდა და მოქალაქეობა და-
კარგეს! თავი დაიზღვიეს — ჩუმად შეუ-
კავშირდნენ მტერს, ჩვენთან კი მოჩვენებით
მეგობრობას აგრძელებდნენ, თუმცა მტერთან
გვაებზღებდნენ და სამარეს გეითხობდნენ.
ზოგიერთები, შესაძლებელია, ახლა ნანო-
ბენ კიდევ, მაგრამ უკან დაბრუნების ეში-
ნიათ. ალბათ, ამიტომ ჩაუღუნიათ თავები,
მიწას ჩასჩერებინ, ჩვენცენ გამოხედვის ერი-
ღებათ. ისეთებიც არიან, რომელთაც თავისი
ხალხის ჭინაშე სისხლის სამართლის დანაშა-
ული აქვთ ჩადენილი, მაგრამ ვერ გრძნობენ
მის სიმძიმეს ან, ვინ იცის, არც თვლიან
თავს დამნაშავედ; ჰო, რა თქმა უნდა, ასეა,
ისინი უსირცხვილოდ თავაწეულნი დვანან,
გამომწვევი, ბოროტი თვალით გვიყურებენ
და ნაძალადევად იღიმებიან, — ცდილობენ
გვაგრძნობინონ, რომ ნამდვილი მტრები არი-
ან; თითქოს რამდენიმე მეტრი გვაშორებს
მათგან და... რა თვალჩაუწვდომი უფსკრუ-
ლია შუაში!..

კიდევ ერთი ბრძანება გაისმა: მოლატე-
ები სირბილით შეცვიდნენ ბარაკებში და
თავიანთი ბარგით ისევ უკან დაბრუნდნენ.
კომენდანტმა ბოლო მოწოდებით მოგვემართა:

— კარგად ვიცით, თქვენს შორის ბევრია
ისეთი, ჩვენს იდეებს რომ იზიარებს, სურს
ზურგი შეაქციოს ბოლშევიკებს, მაგრამ
ეშინია და ვერ აცხადებს ამას, ტყუილად
დებთ თავს პატრიოტობაზე, სტალინი აღარ
გცნობთ საბჭოთა აღამიანებად, მტრებად
მიაჩინებთ. მან პირდაპირ, საქვეყნოდ გა-
ნაცხდა: მე ტყვეებიც კი არა, მოლატებები
მყავსო, — უარი გამოაცხადა თქვენზე, თუ
შეძლო თქვენი ხელში ჩაგდება, მაშინვე სი-
ციოცხლს გამოგასალმებთ ან სამუდამოდ
ციმბირის კატორღებში ამოგაყოფინებთ
თავს, ამიტომ წინადადებას გაძლევთ, ახლა-
ვე ამ წუთში, გამოხადდეთ მწყობრიდან და
შემოგვიერთდეთ, ვერავინ თითსაც ვერ და-
გაკარებთ, გადმოდით ჩვენცენ, სანამ დროა.



მერე გვიან იქნება და ინანებთ. წითლების წინსვლა დროებითია, ჩვენი უძლეველი არმია უკვე შეიარაღებულია ახალი ფანტასტიკური ტექნიკით და საბოლოო, გამარჯვების დამაგვირგვინებელი შეტევისათვის ემზადება. გადმოდით ჩვენს მხარეზე, კივილიზებული ევროპა გელით თქვენ! დამერწმუნეთ, ამ წუთიდანვე გარანტირებული გექნებათ სიცოცხლეს და მომავალი ბედნიერი ცხოვრებაც...

სამარისებური სიჩუმე იდგა. კომენდანტი, მისი თანხლები პირები და ისინიც, რომლებმაც სულ ახლა, ერთი წუთის წინ მიატოვეს ჩვენი რიგები, გაფაციცებით იყურებოდნენ ჩვენს, — იმედი ჰქონდათ, გაჭირდა კომენდანტის სიტყვები. გამჭოლი მზერით ჩვენც ვათვალიერებდით ერთმანეთს. მწყობრის მართლაც მოხდა ვადაადგილება. წასულების ადგილი სხვებმა დაიკავეს და მწყობრები შეივსო, შემქიდროვდა... მწყობრი, თითქოს ერთი კაციაო, იდგა გაუნძრევლად, მრისხანედ, ქედშეუხერხლად.

სტრუქცივის ბრძანებით მოლატებები მარჯვნივ შეტრიალდნენ და ჰიშკრისკენ გაემართნენ! მიუხედავად მონდომებისა, ფეხს ვერ უწყობდნენ ერთმანეთს, არეულად, ლასლასით მიაბიჯებდნენ... ეზოდან გავიდნენ და დიდი ჰიშკარი მიხიურა, მაგრამ განა ყველა მოლატე წავიდა ჩვენთან? — უშველებელი კითხვის ნიშანი დაესვა თითოეული ჩვენთაგანის გონებაში წამოტივტივებულ დეტრს...



დიდი კითხვის ნიშანი ზუსტად სამი თვის შემდეგ მოიხსნა: დილაღრიან, შეიარაღებული ოფიცრები და ჯარისკაცები შემოგვივიცდნენ ბარაკებში, დაგეზხრიეს და ზანაქის გარეთ, მეთვლყარათებით შემოღობილ მიწურებში ჩაგვყარეს, როგორც შევიტყვევებ, ადრე აქ ტანკსაწინააღმდეგო თხრილები და სანგრები ყოფილა, სახურავები შემდეგ სახელდახელოდ გაუკეთებიათ, ჩვენს გადაყვანასთან დაკავშირებით. მიწური ღრმა იყო; მთელ სიგრძეზე თხრილი გასდგა და შიგნულამდე წვიმის წყალი იდგა. ორივე მხარეზე ჩამოსაჯდომები მოეწყობა, რომლებიც ისე ვიწრო იყო, წამოწოლის საშუალებას არ იძლეოდა. ტანკსაწინააღმდეგო თხრილები უჭირდათ, ლამის წელში მოხრილები ისხდნენ ამ თითქოსდა საგანგებო კამერაში. წარმოიდგინეთ, ჯდომით გაბეზრებულები წყალში ედგებოდით, რომ მუხლი გაგვემართა.

მიწურში ჩასასვლელთან, რამდენიმე საფეხურიანი კიბის ძირში, დაახლოებით ნახევ-

არ მეტრის სიგანეზე, თავისუფალი, მცირე ზომის მოედანი იყო. იქიდან გავწილდებოდით მიწურის ორივე მხარეზე. ბარაკიდან გამოსვლისთანავე მწყობრში ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ, ვისაც ამ გაურკვეველი უბედურების დროს ერთად სურდა ყოფნა. მე, ოთარ ასათიანი და შალიკო კობიაშვილი ერთ მხარეზე ვისხედით, ხოლო ირაკლი ხაინდრავა, კოლია პაპიშვილი და ანატოლი ოსიპოვი — ზუსტად ჩვენს პირდაპირ აღმოჩნდნენ. ცოტა გვერდზე ყაბარდოელი ისმაილ ალიევი და ოსი მაგამედ კესაევი ისხდნენ. ისმაილი კადრის ოფიცერი გახლდათ, არტილერიისტი, ჩვენი ბარაკის უფროსად გვაავდა არჩეული, კესაევი კი ჩვენთან შეუსრულდა ოცი წელი, უმცროსი ლეიტენანტი იყო, მაღალი ტანისა, დიდი შავი თვალები და სქელი წარბები ჰქონდა.

არც ერთმა დანამდვილებით არ ვიცოდით, რატომ გადმოგვიყვანეს მიწურში ან რა ხდებოდა იქ, ზანაკში. თერთმეტი საათი სრულდებოდა და წყალიც კი არ მოეწოდებინათ... ვართ გუშავი იდგა. დროგამოშვებით, კარებში თავს შემოჰყოფდა და გვათვალიერებდა ხოლმე. მიწურის გარშემო პატრულები დადიოდნენ. ამას ჭეჭრუტანებიდან ვხედავდით.

რა მოხდა? ნუთუ გვირახების ამბავი გავიგეს? ნამდვილად გავკვირდა ვიღაცამ... რას გვიპირებენ — რა ახალ სატანჯველს მოგვიგონებენ?!.. ყველა ამაზე ფიქრობდა, თავისთვის, მწარედ და უიმედოდ, მაგრამ გვერდზე მჯდომსაც კი არაფერს ეუბნებოდა, — არ უნდოდა ამ საშინელი ექვის გამქლავება, თითქოს ხმამალა თქმული ჩვენი ფიქრი ზორს შეისხამდა და უფრო საშიში გახდებოდა. სხვა თემაზე მუსაიდის ხასიათიც არავის ჰქონდა და მიწურში იძულებით, შემაწუხებელ სიჩუმეს დაესაღვრებინა. დრო ძალიან ნელა მიდიოდა. თითქოს გარკვევით მესმოდა არარსებული სჯათის ქანქარის ზანტი ხმა... მე და ოთარი გაბუტულებით ვისხედით, მხრებით ერთმანეთზე მიყრდნობილი. შალიკო კელისკენ ზურგშექცევით იჯდა, თამბაქოს ეწეოდა, ჭეჭრუტანისკენ გასრიალებულ კეასელს ვაყურებდა... მსიძე იყო ჩვენი მოლოდინი. რამდენი რამ გადაგვხდა თავს, ვინ მოთვლის ჩვენ ტკივილებს და ჩვენ ვანცდებ, ვინ დაგვიფარავს?.. მოგვებურდა სულ ერთსა და იმავეზე ფიქრი: რატომ მოხდა ასე, რა იქნება? რას გვიხამენ?..

კარის ჭრილობა თითქმის ყველამ ერთად მივიხედეთ. კიბეზე ჩვენმა ორმა ტყვე ჯარისკაცმა დიდი ქვაბი ჩამოიტანა, რომელსაც ორთქლი ასდიოდა. ეტყობოდა, დაზოცვას არ გვიპირებდნენ, რაკი საქმელი მოგვაწოდეს,

მაგრამ მათ უკან ორი რუმინელი ავტომობი-
ანი ჯარისკაცის გამოჩენა არ მოგვეწონა. ერ-
თი კართან შეჩერდა, მეორე კი ბოლომდე
ჩამოვიდა ძირს, წყლით მთავე კედრო დადგა
და უკან გაბრუნდა, ცოტა ხანში ტომრით
პურები ჩამოიტანა და ქვების გვერდით და-
წყო, მარჯვენა ჩამოსაჯდომის დასაწყისში.
სანამ ის პურს მოიტანდა, ტყვე ჯარისკაცმა
ლაპარაკი დაუწყო იქვე მდებარე ნიულოზ
პაპიშვილს. ყველას ყურადღება მათკენ იყო
მიპყრობილი. აშკარად ჩანდა, რომ ჯარისკა-
ცი რაღაც მნიშვნელოვანს ამბობდა, რუმინე-
ლი კი მათ თავს ადგა, მაგრამ არ უშლიდა
ლაპარაკს, ჭერს ათვალეირებდა და თითქოს
გვრადგვრს ამჩნევდა. ცოტა ხანში ყველანი
წავიდნენ.

კოლა პაპიშვილი თხრილში ჩავიდა და მი-
წურის სიღრმისაკენ გაჰყვა წყალს, გაფაცი-
ცებული ვადენებდით თვალს. იგა ნლა მი-
იწევაა წინ, თითქოს ფიქრობდა, რაღაცას
სწონიდა. კაპიტან ტიმოფეე შამოეთან შე-
ჩერდა... შამოვი ორმოცდახუთ წელს მიღწე-
ული კაცი იყო, ოდესელი, სანდომიანი სა-
ხის, კეთილი ბუნების, განათლებული და
ცხოვრების დიდი გამოცდილების მქონე. პა-
ტივს ცვემდით, გვიყვარდა და გვერდიდებო-
და კიდევ მისი. ბანაკში ყველა იცნობდა
როგორც კაპიტანს, მაგრამ გვწამდა, რომ
დიდი ჩინის საბჭოთა ოფიცერი უნდა ყო-
ფიყო.

— ამხანაგებო! გვირახების ამბავი გაყი-
დულია, ჩვენ რიგებში დარჩენილმა მოლა-
ტებმა უკანასკნელი იმედი, — ბანაკიდან
გაქცევის ერთადერთი საშუალება მოგვისპეს.
სანამ თვეების მანძილზე ნაწვლებს, ჩვენს
მიერ გათხრილ გვირახებს ამოავებენ და
უვენებელყოფენ, აქ, ამ თხრილებში მოგვი-
წეებს ყოფნა. ჩვენებს გადაუწყვეტიათ, ბა-
ნაკში შიმშილი გამოაცხადონ — ისევ შიმ-
შილი, პროტესტის ნიშნად. სხვა რაიმეს გა-
კეთება ჩვენ არ ძალგვიძს, მივიღებთ მხო-
ლოდ წყალს. უნდა გავფიქრობოთ ავად-
მყოფებს, ფიზიკურად ძალზე დასუსტებუ-
ლებს, თუ ვინმეს შემთხვევით რაიმე საკვები
შემოგვჩნდა, მათ მოვახმართ. თუმცა, ამხა-
ნაგებო, — შამოვი ცოტა ხნით შეჩერდა,
მეწურის თვალი მოავლო და განაგრძო: — ეს
მხოლოდ წინადადებაა, აქ, ჩვენს შორის,
ბრძანების უფლება არავის აქვს. ვინც არ
გვეთანხმება, შეუძლია პურიცა და კერძიც
მიიღოს — აი, აქვე აწყვია.

არავის არაფერი უთქვამს, შამოვმა შეძლო
ყოველი ჩვენთაგანის სულში ჩაეხედა და
ყველა სათქმელი ეთქვა. კოლა, რომელიც
ისევ შამოეთან იდგა, თითქოს ამ ნიშნის
ელოდაო, შლიგინით გამოვარდა წყალში,
ქარს მივარდა, ბრაზუნი ატეხა და გუშავს.

დამტკვეული რუმინელი ესით გაბრუნდა:
და: — საკმლის მიღებაზე უარს ვაცხადებდი,
გადიეცი, უკან წაიღონ..

მიწურში ფუსფუსი და ხმაური ატყდა. მე
კარებისაკენ ვიყურებოდი... ოთარის იდაყვის
წაბიჭება ვიგრძენი, მაშინვე ხმაურიც შე-
წყდა... მივიხედე, შამოვი კვლავ სალაპარა-
კოდ იყო მომზადებული, ნაძალადები ღიმი-
ლი ემჩნეოდა სახეზე.

— მეგობრებო! მე არ დამითავრებია, მო-
მისმინეთ... ახლა ჩვენი გვირახები ამოთხრი-
ლია, კინოოპერატორები და ფოტოგრაფები
მოუყვანიათ, მთავრობის და გენერალური
შტაბის წარმომადგენლებიც ჩამოსულან.
ყოველი ბარაკი დეტალურად გაუჩხრეკიათ.
ხომ ვიცით, რა გვექნა იქ. გავცა ვილაყამ,
შეიძლება მოლაღატე ახლა ამ მიწურშია,
ჩვენს შორის ზის და გვისმენს...

— მაინც რით უნდა დამთავრდეს ეს ამბა-
ვი, ნეტავ რას გვიმზადებენ? — წამოიძახა
ვილაყამ მიწურის ბოლოდან.

— ამაზე მეტარი ღონისძიების გატარებას
ვერ გაბედავენ. ახლა სხვა დროა, ჩვენი ჯა-
რი ცხვირწინ ჰყავთ, ისიც იციან, რომ რუ-
მინეთის არმიის ნახევარი ჩვენებთან არის
ტყვედ, ჩვენ კი რუმინეთში ვიმყოფებით და
არა გერმანიაში. რუმინეთის მთავრობა, ალ-
ბათ, გამოჩენს წინდახედულებას, სხვა რომ
არა იყოს და, მარტო რუმინელი ხალხის ში-
შით ვერ გაბედავენ ამაზე მკაცრ სასჯელს
მიმართონ..

ივანე სკლიაროვი გვერდით ეჯდა შამოვს,
მთელმა ბანაკმა იცოდა მისი წარსული —
ბელორუსი იყო; ომის დაწყებისთანავე, მი-
უხედავად ხანდაზმულობისა, ჯერ პარტიზა-
ნებთან წავიდა, შემდეგ კი მემქნელ არმიაში
მოხვდა. გერმანელებმა გაიგეს ეს და ერთ-
ერთი ოპერაციის დროს ცოლი და ღრმად
მოხუცებული დედა დაუხვრიტეს, თოთხმე-
ტი წლის ბიჭი კი გერმანიაში საკონცენტრა-
ციო ბანაკში გაგზავნეს... სკლიაროვი წამო-
წია და რაღაცის სათქმელად მოემზადა, შე-
მოგვა მაშინვე შეწყვიტა ლაპარაკი...

— სულ იმაზე ვფიქრობ, ხომ არ გადავა-
ჭარბეთ? გასაქცევი გვირახების გაყვანა კი
იყო აუცილებლობით ნაჯარნახევი, მაგრამ,
ჩემი აზრით, ზედმეტი გავაკეთეთ, როცა
ერთი გვირახი შეიარაღებული დაცვის ბანა-
კისკენ გაიყვანეთ. ეს ხომ მათზე აშკარა
თავდასხმას ნიშნავს. ახლა ზომ ვერ დარ-
წმუნებ მათ, რომ რუმინელი ჯარისკაცების
ანოწყვეტას არც ვაპირებდით?.. ჩემი თავი
ყანდაბას, მაინც არაფერი შემარჩენია ამ ქვე-
ყანაზე, მაგრამ აქ ხომ უმრავლესობა ახლა
გაზრდობაა, მათ სიცოცხლე სწყურიათ,
ცხოვრება წინ აქვთ... — სკლიაროვს ლაპა-

რაკი გაუძნელდა, კედელს მიეყრდნო და გრძელი უღლაშების გრეხვას მოჰყვა...

... იმ წუთში ყველა ჩვენგანი მგლოვიარე ჭირისკვლივით თანაგრძნობდა. ალბათ, ივანე სელიაროვს უთანაგრძნობდა. ალბათ, ყველას ჩემსავით გაურბინა თვალწინ ფაშისტების მიერ მისი ოჯახის განადგურების შემზარავმა სურათებმა.

ახლა ფაშისტებს ჯერი ჩვენზე დაუდგათ, სელიაროვის დედას, ცოლს და პატარა ბიჭს მათ წინაშე არაფერი დაუშავებიათ, ჩვენ კი, ტყვე შეპყრობილები, იქით ვცდილობდით ენების მიყენებას: გასაქცევად მომზადებულ გერაბებზე, კომპასებზე, რუკებზე და რადიომიმღებზე ნაკლები არ იყო ჩვენი კედლის გაზეთები, სადაც მოთხრობილი იყო სამზობოთა ჯარების წინსვლისა და გერმანელთა ჯარების სამარცხვინო დამარცხებათა შესახებ, ხოლო ჰიტლერისა და რუმინეთის პრეზიდენტის ანტონესკუს დამახინჯებული პორტრეტების ყირამალა დაკიდება აშკარა დაიცინვა და მათი ძალის ვაბიაბრუება იყო: გაზეთები ბანაკის კომენდანტის მიერ ბარაკებში გამოკრულ საავტიაციო პლაკატის ქვეშ იყო მიმაგრებული.

— აკეთ, იმ კედლის გაზეთებსაც იპოვინიან, ალბათ? — თითქოს ჩემთან ერთად ფიქრობდათ, იკითხა შალოკომ.

— ჩემი აზრით გაზეთების და, საერთოდ, ყველაფრის შესახებ მაგათ წინასწარ იცოდნენ, სანამ აქ ვადმოგვიყვანდნენ. სუფთა საქმე გააკეთა გესტაპომ თავისი აგენტების დახმარებით, ჩვენს შორის რომ არიან და ძმაკაცებად ვთვლით.

— ამ ამბავს, როგორც ჩანს, ბერლინშიც გაიგებენ, — ჩაერია ლაპარაკში დათიკო ჭიკოშვილი. — დაე, გაიგონ, რომ ჩვენ აქ შესაწირად ვამზადებული ცხვრებივით უქმად არ ვსხედვართ, სა უნდა გვიყონ ამაზე მეტი? ამ მიწურში ჯდომას ხომ ბევრ ხანს ვერ ავიტანთ, ამას შიშობილიც მიემატება და მალე მასობრივი სიკვდილიანობა დაიწყება, როგორც მაშინ, პირველად. კომენდანტი პოპოვიჩი და მისი თანაშემწე სტრელცოვი, ჩვენს თანამემამულედ რომ ითვლება, გახარებულები, ალბათ, ჯილდოებს ეწოდებიან... ნიკო ივანიშვილმა, რომელიც აქამდე სხვებს უსმენდა, ვეღარ მოითმინა, შეეუშულო მუშტი ჰაერში შეათამაშა და წელში გასწორდა, სხეული ადამბა.

— რუმინელი რუმინელია, — თქვა მან, — მაგრამ ერთი ის გველის წიწილი სტრელცოვია თუ ვილცა, ჩამავდებიან ხელში და ნახოს, როგორ ჯილდოს მივართმევ, მის საგაერეთლოს მუდამ ემასხოვრება... ნიკომ ივანო, რომ მკვეთრად შეტრიალებიას მეზობელი შეავიწროვა და უმაღ

ისევ მოიხარა, მუხლებზე ხელები შემოიხალტა და გაჩუმდა. ეკლავ სიჩუმე ჩამოვარდნილა მაგრამ ახლა დღემილი მის გვერდით მჭიდროვლა დამიგრე ბეგალოვმა დაარღვია...

— მე ყველაზე მეტად კედლის გაზეთი მაფიქრებს, თორემ სხვა, აბა, ვასაოცარი რა მოხდა? — განაცხადა მან. — ყოველი დაქვარული და დამწყვედული გაქცევის ცდილობს: ჩიტი გალიდან მიფრინავს, თავიე ხაფანგიდან გარბის, წყალს გაქცევა რომ უნდა, კლდეებს ანგრეხს, ასეა ადამიანიც. ფაშისტებმა თავიდანვე იცოდნენ, გაქცევა რომ გვინდოდა და იმიტომ მოგვაქციეს ამ მავთულეში. დღედაღამ გვეყარულობენ, არც ის გაუვირდებათ, ყოველ მეოთხე-მეხუთე კაცს ჯიბის დანის წვერისგან დამზადებულ კომპასებს და რუმინეთის რუკებს რომ უპოვინიან. გასაქცევად და გზის გასაკვლევად კომპასიც გვირდება და რუკაც. აბა, ბანაკიდანვე ექსპრესით ხომ არ წაგვადრძებდნენ მოსკოვისაკენ?!

საუბარი თანდათან შენედა. ჩვენი მსჯელობა საქმეს ვერ შევლოდა. მთავარი ახლაც ის იყო, უქანასენელი მოლაღატები გაეყვანათ ჩვენი რიგებიდან; ყოველთვის რაღაც იყო მთავარი, ახლა კი, როგორც არასდროს, ერთსულოვნება თუ გვიშველიდა, თუ გაგვადლებინებდა, ყველამ ვიცოდით, ზოგიერთები დამფიქრებოდნენ ამ საერთო ნების აღსრულებას, მაგრამ მთავარი გაიმარჯვებდა და იხვიებდა. ამ ფიქრით ჩავყუჩდით.

პულის და საქმელის წასადებად არავინ მოდიოდა, ვამჩნევდი, ჩემსავით ყველას იქით ევირა თვალი და ყური. გუშავიც ხშირ-ხშირად იხედებოდა მიწურში და პირველ რიგში პურებს დაამტერებოდა ხოლმე. გარედან პატრულის ფეხის ხმა და გადაახილო გვესმოდა. გარეთ ჩვენი ბარაკები იყო, ახლა უკვე მშობლიური სახლივით სანატრელი...

გოგი ლეყავა მომაგონდა, გამოჩენილი ქართული არტიტქტორი, მრავალი შესანიშნავი პროექტის ავტორი, უწყინარი, კეთილი, მუდამ მოღიმიარი პიროვნება... დილით, როცა ბარაკებიდან გამოგვრეკეს, გოგი ლეყავა და რამდენიმე კაცი მწყობრიდან გაიყვანეს. ფაშისტებს მათი იმპრეტევა და იმის გაგება უნდოდათ, ვინ იყვნენ ჩვენი ხელმძღვანელები. გოგი გაფითრებული იყო, ღელავდა... როგორც იქნა, თვალი გაუფსწორო. მიმოხვდა, რომ ვამხნევებას ვუპიკებდნენ: გამიღიმა და თვალებით მინიშნა, დარდი ნუ გექნებოდა. გესტაპოელმა მუჭლუფუნე წაჰკრა, მირე ჩემქვენ წამოვიდა...

— დათიკო! რატომ ვაგარტყა იმ ოხერმა, რამე ხომ არ უთხარი? — შემეკითხა ოთარი, — გტკივა კიდევ?

— არა, ოთარ, მხარი აღარ მტკივა, ხელა



კი მაგონად ჩამლოუჯებია, ეს გოგის ხსოვნის იარად დამჩნებდა, თუ ცოცხალი გადავიჩნი.

— ხელზე როდის დაგარტყა, მე რომ არ დამინახავს? — ოთარს თვალები გაუდიდდა ჩემი დასიყვებული და ჩაისხსლიანებული ხელის დანახავაზე.

... რუმინელი სერჯანტ-მაიორი გუჭუ საზიზლარი ვინმე იყო. რამდენიმე ბარაკი ებარა და ჩვენს ბატონად თვლიდა თავს, ეს ყუყუნი და ბრიყვი ისე იყო აღშფოთებული იმით, რომ ჩვენ მის სამფლობელოში წესრიგად დავარდვიეთ, მზად იყო, ერთიანად გავეფლიტეთ. კონკრეტულად არც კი იცოდა, რა დავაშავეთ. როგორც ჩანს, უფროსებისგან ყურმოკრულად გავგო, რომ მიწის ქვეშ ორი გვირილი გავთხარეთ.

— სამალავებს იწყობდით?! — გესლიანად ჩაუხიხითა გოგი ლეჟევას. მე გავიციე და, საფლავებს გიწყობდით-მეთქი, — ირონიული ღიმილით მივახალე. ამ დროს ბრძანება გაისმა და ჩვენ დავიძარით. გუჭუ წამომეწვია და წინიდან ხელი ისე მოუღოდნელად მთხლნა სახეში, რომ თავის გაწვევაც ვერ მოვასწარი. ერთი წამით წონასწორობა დავკარგე, შევჩერდი და მერე მისკენ ჯიქურ წავიწიე, მაგრამ უკნიდან ჩვენინახებმა ხელი მტრეს და წინ წამავდეს. გუჭუმ მთელი ღონით დამიშვა ჯოხი გაქვალტყავებულ ხელზე, ისევე შეშარათა, მაგრამ სანამ მთელი დარტყმას მოასწრებდა, ჩემდა უნებურად მწყობრის მარჯვენა მხარეს აღმოვჩნდი — ამხანაგებმა გადაამადგილეს. რომ გამომდევნებოდა, მწყობრი უნდა არეულიყო, იქვე ახლოს კი კომენდანტი და სხვა ოფიცრები იდგნენ, იფიქრა, არ გამიბრუნდნენ, ახლა მწყობრი რომ ავიროო და თავი გამანება.

ოცდათორმეტი ვიყავით მიწურში და ზუსტად რვა პური იდო შემოსასვლელთან, მწყობრივად ერთმანეთზე შეწყობილი. არაჩვეულებრივად მომხიზლავები ჩანდნენ დღეს, თვალს ვერ მოაშორებდა კაცი: მთლად თეთრი არა, მაგრამ შაქრისფერი, ფუფულა და პრიალა კანი ჰქონდათ, აღრინდლზე უფრო დიდებიც გამოეცხოთ, ნუთუ მართლა ჩვენ გასაიღიანებლად და გასაგიგებლად დააცხვებს დღეს ასეთები თუ გვეჩვენებოდა?.. ხელშეუხებლად კი იყვნენ გამოცხადებულნი, მათკენ გახედვაც გვეკრძალებოდა. კატა გამახსენდა, სკამზე შემოსკუპებული, მაგიდაზე დადებულ ყველს რომ უყურებს; იცის, ახლოს მისვლა ძვირად დაუჯდება, ამიტომ ვერ ეკარება, თან ვერც შორდება — ყველი ანდამატებით იზიდავს და თვალებს ხუჭავს კატა, რომ დაიფიწყოს როგორმე, ყველი ასე ახლოს რომ დევს, უცებ შეშინებული, ისევ ახელს თვალებს. — ვინმემ ხომ არ წაიღო.

მერე ისევ ხუჭავს, ისევ ახელს... კატა...

მოხერხებულად ჯდომის ვარიანტი თავისთავად მოიძებნა: ზურგიით კედელს მივეყრდენი და მუხლებში მოხრილი ფეხები ჯვარედინად გადავკედე — ისე, შაპაბასი რომ იქდა ხოლმე ტახტზე. ოთარმა თავი კალთაში ჩამოღო, ფეხებმოყუდებული მარცხენა გვერდზე იწვა, სახით თხრილისკენ. შალიყო მობიაშვილი, ნახევრად წაქცეული, ერთი მხარით ჩემზე იყო მოყრდნობილი, შეორეთი კი მიწურის კედელზე. თვალები ღია ჰქონდა, ვერ გავარკვეე, შემოსასვლელს მიშტერებოდა თუ იმ ადგილს, სადაც პურები და ქვები ეწყო. სხვებიც, დაახლოებით ამგვარ პოზიციებში მოკალათებულნიყვნენ: თავიცი, ფეხები და ხელები ისე იყო ერთმანეთში არეული, ვერც გაარჩევიდი, რომელი ვის ეკუთვნოდა. დამდებოდა.

ბანაკიდან ძაღლების ყეფა და პატრულის გადაძახილ-გადმძახილი ისმოდა, კომუნდატურიდან სინათლე გამოდიოდა, ეტყობა, ჩვენს შესახებ თათბირობდნენ. რას იზამენ? რა სასჯელს მოიფიქრებენ? ან როდის გამოგვიცხადებენ, დილით თუ საღამოს? ახლა ლოდინი სიკვდილის განაჩენზეც უფრო მიიმე იყო.

მაგრამ ჯერჯერობით ცოცხლები ვიყავით, ოცნების ნებას ვერავინ წაგვართმევდა. ეს იყო ჩვენი ერთადერთი, უხილავი და ძლიერი იარაღი — იმედი არსებობისა. ის გვაუსულდგმულებდა, დიდი მოთმინებისათვის განგვაწყობდა; ოღონდ ამ მეთუხუცხლბარათებიდან გავსულიყავით, გავქცეულიყავით, ისევ ჩვენ ჯარს შევერთებოდით, რომ გვებრძოლა, რომ გავგეშვარჯევა, რომ ისევ ადამიანები ვყოფილიყავით — საბჭოთა ჯარის საბჭოთა ოფიცრები.



ოთარმა გაიღვიძა, წამოჯდა. ზმორება არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ხელებგამულილი მიაჩერდა პურებს.

— ხომ არ მიირთმევდით, ბატონო, ერთ ცალს მოგართმევთ, — სიცილით ვუთხარი.

— ჭამაზე არ მიფიქრია, ისე შევხედე: არც მშია, ასე მგონია, ახალი ნავახშმევი ვარ, ისეთი სიზმარი ვნახე... გამტერებული ვარ, არ ვიცი, როგორ ავხსნა...

— რა სიზმარი, ოთარ?

— სტალინი მესიზმრა, მთელი სიცხადით წარმომიდგა თვალწინ. კრემლში ვიყავი, მის კაბინეტში...

— მერე?...

— ძალიან გულთბილად შემხვდა, გამიღიმა მამაშვილურად, გამეხარა. ხელი გავუ-



წოდებ... — სტალინის და კრემლის ხსენებაზე ყველა ახლოს მჯდომმა ყური სცქვიტ...

ოთარმა ლაპარაკი შეწყვიტა და თავი დახარა, თითქოს რაღაცას იგონებდა...

— მერე? თქვი ბარემ, რა მოხდა, შე კაცო, რას გაჩუმიდი?

შალიკო კობიაშვილი თვალებგაფართოებულნი წამოწეულიყო ოთარისკენ. ყველამ მისკენ მივიხედეთ და გავიცინეთ. მერე ისევ ოთარს მივაჩერდით მოუთმენლად.

— ეჰ, მაგის იღბალი ვინ მომცა. ყველაფერი უკლებლივ შეტრიალდა: მოფარებას რომ ველოდი, უცებ სახე შეიცვალა, წარბები შექუნუნა, ჩიბუხი გააბოლა და წყნარად თქვა: მოლაღატესთან საუბარს ჩვეული არ ვარო. მიმატოვა და საწერ მაგიდას მიუჯდა. სახტად დადარჩი, გავწვდილი ხელი გამეშებული დაძრია, საშინლად შეტყინა გული. ვიღებრე, ვერცხვი-მეთქი ყველაფერს: რომ გულწრფელად მივედი, როგორც მამასთან მიხვალ რჩევის საკითხავად, რომ მისი ერთგული ვიყავი, რომ ამდენი ტანჯვა გადავიტანე... მერე დაყვირება მომიჩინა: ჩვენ მოლაღატეები არა ვართ, გაზისგან მოწვანულულები დაგვატყვევეს გერმანელებმა აჯიმუშკაის გვირაბებში-მეთქი, მაგრამ ყელში რაღაც მიჭერდა და ლაპარაკის საშუალებას არ მაძლევდა. თითქოს მიმიხვდა სათქმელსო, ისევ გამოხედა, ამჯერად არ ჰქონდა მკაცრი სახე, მაგრამ მაინც არ დამელაპარაკა. კარისკენ მივტრიალდი, შემოსასვლელთან რამდენიმე ფორბიანი კაცი იდგა, ჩემკენ იყურებოდნენ, მერე ერთმანეთს რაღაც ანიშვნებს და ერთიმეორის მიყოლებით გავიდნენ: იმათთვისაც მიწოდდა მეთქვა, რას მერჩით, რატომ არ მელაპარაკებო-მეთქი, მაგრამ ტუჩები თითქოს ერთმანეთზე მიძეუნინა, ვერც ენა დავძარი, ასე გაუბედურებულს გამომეღვიძა.

მივხვდით ყველანი, ოთარის სიზმარი ბანაკის კომენდანტის სტალინზე ამასწინანდელი ლაპარაკის ანარეალი იყო. ყველას, ყოველ ჩვენთავანს დიდ ბოღმად აწვა კომენდანტის სიტყვები: თითქოს დავიჭერეთ, თითქოს ვერ დავიჭერეთ. ისე სარწმუნოდ და მტკიცედ ამბობდა, ნამდვილს ჰვავდა, მაგრამ ამ ნამდვილის არსი, შინაარსი იყო გაუგებარი ჩვენთვის. დაგუბულ აზრებს გზა უნდა მისცემოდა და, აი, ამის დროც დადგა:

— ომი უტყვევოდ არასდროს ყოფილა. ტყვეები განა ჩვენებს არა ჰყავთ, რა არის გასაკვირი?

— კი, იტყოდა სტალინი, კომენდანტმაკ ამიტომ თქვა, — ასეთი ტყუილის მოგონება არ შეიძლება.

— უცნაური კაცია სტალინი...
— როგორი?

— რა ვიცი, იოტიროდენა შეცდომას არა ვის ახატებებს...

— მოიცა, ძმაო, ეგ რთული საკითხია, ეგრემ არ ყოფილიყო, ომს, ალბათ, ორმოცდერთშივე წავაგებდით. ჰიტლერი ბევრი რამის შეფასებაში შეცდა, უპირველეს ყოვლისა კი, იმაში, მეხუთე კოლონის იმედი რომ ჰქონდა. სწორი იყო თუ არა მაშინ სტალინი, ეს, პირველ რიგში, ომის დამთავრების შემდეგ გამოჩნდება, საბოლოოდ კი ამას მშინაველი თაობა, ისტორია იტყვის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა გვაქვს ამ ევებერთელა ისტორიული მოვლენის შეფასების უფლება.

— უფლება ყველა ადამიანს აქვს.
— ჩვენ აღარ ვართ ადამიანები, ჩვენ მოლაღატეები ვქვითა...

— რატომ? რატომ გავწვირა ასე, რატომ მოგვანთლა მტრებად და ამოგვიღო გულიდან? ჩვენ ხომ არა ვართ მოლაღატეები, ვინც იყვნენ, მათ ხომ იმ დღეს თვითონვე დავატოვებინეთ ჩვენი რიგები? რა იცის სტალინმა ჩვენი რწმენის შესახებ, აი, აქ, გულში ხომ არ გვიზის?

— სტალინმა იცის, რომ მის ხელში აღვიზარდეთ და კომუნისტები უნდა ვიყოთ. ისიც იცის, მთელი საბჭოთა ხალხი, — დიდი და ჰატარა, ფრონტზე და ზურგშიც, სიცოცხლეს სწირავს გამარჯვების საქმეს. ისინი მოქმედებენ, ჩვენ კი მტრის ზურგში წამოწოლილები ვართ და „მზის აბაზანებს ვღებულობთ“. არავითარი სარგებლობა არ მოგვაქვს სამშობლოსთვის. ახა, გამართლებას დეტებს ხომ არ დაგვიწყებს, ომი ჯერ არ დამთავრებულა, მილიონობით ადამიანები იბრძვიან წინა ხაზზე...

— თავი უნდა მოგვეკლა ტყვედ ჩაგარდნამდე. განა სიკვდილი არ სჯობს ასეთ სიცოცხლეს, კარგად უთქვამს სუვოროვის: ტყვეობა სიკვდილზე უარესიაო.

— სტალინი იმას გულისხმობს, რომ საბჭოთა ადამიანი მტერს შეგნებულად არ უნდა დანებდეს...

— ისიც ხომ იცის, რომ საგრძნობი ნაწილი ტყვეებისა ჩვენი ზოგიერთი მეთაურის მოუქნელი ხელმძღვანელობის შედეგად მოხვდა აქ. ბევრი ჩვენთავანი დაჭრილი, უგონო მდგომარეობაში მყოფი იგდეს ხელთ გერმანელებმა. ისევ ხომ იყო, კაცს იარაღიც არ ჰქონდა თავის მოსაყვალად...

— მე და ბევრი ჩემისთანა, ფაშისტებმა აჯიმუშკაის გვირაბებში დაგვატყვევეს, ათეულობით დღის შიმშილის, უწყლობის და, ბოლოს, მომხმამაფი გაზის მოქმედების შედეგად მოძრაობის უნარიც რომ აღარ გვქონდა...

— იარაღიც მქონდა და ჯანიც, მაგრამ თავი მაინც არ მოვიკალი. თვითკვლელობა სი-



სულელა, ახლაც იმაზე ვოცნებობ, როგორ-
მე ცოცხალმა გავაღწიო აქედან, ერთ ფა-
შისტს მაინც მივახრჩობ სადმე, ამის დამ-
თავრების შემდეგ კი სამშობლოსაც გამო-
ვადგები და ოჯახსაც.

— ამ შემთხვევაში ჩვენთვის ერთი რამ
არის მთავარი: სტალინი რასაც ამბობს, ას-
რულებს კიდევ. მოლაღატებელ გამოგვა-
ხად, მოლაღატეს კი, ვიცი, რაც ელის, —
სასჯელი არ აგვადებს...

— ჰოდა, რას გვემართლება? აქაც, ფაში-
სტების ხელში, ხმაშალა ვაცხადებთ, რომ
კომუნისტები ვართ — სტალინელები, ესეც
ხომ თავის განწირვა? დღედაღამ ჩავჩიჩი-
ნებენ: დროზე მოლით გონს, გადმოლით
ჩვენს მხარეზე, მერე გვიან იქნებაო. ვინც
ამთავრების აწყვა, ხომ ხედავთ, გამო-
აყალიბებენ — ქალაქში აცხოვრებენ, აქმე-
ვენ, აცმევენ. ყოველ შემთხვევაში, სიცოცხ-
ლე გარანტირებული აქვთ. მართლა ხომ
არ უნდა დაფიქრდეს კაცი, რომელი სჯობია,
სიცოცხლე თუ უაზრო სიკვდილი?

...ცდუნება დიდი იყო. ფაშისტები ათას-
წარს მახეს გვიგებდნენ, გვაიძულებდნენ,
მათ მხარეზე გადაესულიყავით. თუ ამ წინა-
დადებას მიიღებდი, მტერს გვერდში უნდა
ამოსდგომოდი და შენი მისათვის ტყვია გეს-
როლა. შემდეგ, სამშობლოდან გარიყულა, —
გამუდგელის სახელით გეცხოვრა. ჩვენ ასეთ
სიცოცხლეზე უარი ვთქვით, კაცებად დაერ-
ჩით და მაინც მოლაღატეები გვერქვა.

...წუთით ყველა ჩაჩუმდა. ტიმოფეი შამო-
ვისკინ გავიხედა, მისი ფიქრიანი სახიდან
ღირსი გამოჰკრთოდა, ჩანს, მისი აზრი ეთ-
ანხმებოდა ჩვენი საუბრის მიმართულებას.
ახალ მოსაუბრესაც ყურადღებინა მზერა
მიაპყრო.

— ბანაკში უმრავლესობა ქერჩის ფრონ-
ტინად ვართ. სიკვდილიც და ტყვედ ჩავარ-
დნის საშიშროებაც მგელივით იყო ჩასაფრე-
ბული ყოველ ნაბიჯზე. ხომ არის ადამიანის
ცხოვრებაში მძიმე წუთები, მომენტები, რომ-
ლებიც განსაზღვრავენ მის ბედს, მის არსე-
ობას. ქერჩი სწორედ ასეთი მომენტი
იყო — სიმინელი ტყვიის წვიმით, ყუმბარე-
ბის გაუთავებელი წივილითა და სასიკვდილო
აფეთქებებით. ბევრ ჩვენთაგანს შეეძლო ეშ-
ველა თავისთვის, — მიეტოვებინა ამხანაგები,
ყოვლად უმწიკრ და უსასოო მოსახლეობა და
ქერჩის სრულტე გადაეღახა — ნახევარუნ-
ძელზე ხომ გერმანელები შემოვიდოდნენ.
მერწმუნეთ, იმ არეულ-დარეულობაში ად-
ვილი იყო ეგოისტურად მოქცეულიყავი,
არც არავინ დამსჯიდა ან მისაყვედურებდა,
რომ არმიის შტაბთან ერთად ქერჩი დამე-
ტოვებინა და გადაესულიყავი იქ, დიდ მიწა-
ზე და წინა ხაზზე მებრძოლა...

— წინა ხაზზე მყოფი მეთაური, თუმცა
ბელისწერისაგან სასიკვდილოდ განწირული
გაცილებით ბედნიერია მავთულს-ლარებში
გამომწყვდეულ და დამცილებულ ტყვეს-
თან შედარებით. იქ კაცს თავის მიწაზე უდ-
გას ფეხი, იცის, რომ სამშობლოსათვის იბრ-
ძვის, ისიც სწამს, განსაცდელის დროს უპა-
ტრონებენ, ოჯახსაც კი ახლოს გრძნობს და
ნაკლებად ეშინია სიკვდილის. მაგრამ თუ ეს
მაინც მოხდება და მხოლოდ ტყვია წაეწე-
ვა სადმე, წავა იმ რწმენით, რომ თავის მი-
წაში დაიმარხება, წავა პატიოსანი კაცის სა-
ხელით, წავა, ბოლოს და ბოლოს, უსახელო
გმირად. როგორ, აქ კი, ტყვეობაში, გა-
მუდმებით არ დაგვტრიალებს თავს ეს შპვი
სიკვდილი, ეს უაზრო და დამცინავი ჯაღო,
რომელიც ყოველ ღამე ჩაგჩიჩინებს და ტვინს
გობურდავს: ხეალ დილით ვეღარ გაიღვი-
ძებო! სიკვდილსაც გააჩნია, ძმებო, ეს სიკ-
ვდილი არავაეკუტრი, უსახო, დაუფასებე-
ლია. ვერაინ გაიგებს, რა გადაიტანე, რატომ
მოკვდი, რისთვის, როგორ, სად ჩავმარხეს
ან სად დაწვეს და დაგვლეს.

— მარტო იმისთვის, რომ ტყვედ მოვხ-
დით, სტალინი არ გავწირავდა, აი, იმ ზო-
გიერთმა მართლა მოლაღატემ დაგვლუა,
ტკბილი ცხოვრების მოყვარულმა, მტრის
ფორმა რომ ჩაიყვა და მათ სამსახურში ჩად-
გა. ღრმად დაერწმუნდი, რომ სამშობლოს
სიყვარულში გამოცდის ყველაზე დიდი ასა-
რეზი ტყვეობა ყოფილა. აქ, ამ აუწერელ გა-
ქვრებაში, მაშინვე გამოჩნდება ადამიანის
ბუნების ყოველი მხარე: სიყვითე და ბორო-
ტება, სიმამაცე და სიმხალავე, გამბედაობა
და შიში. გახსოვთ, როგორ ასალებდნენ პატ-
რიოტებად თავს ზოგიერთები ტყვედ ჩავარ-
დნამდე? ახლა მხოლოდ გადარჩენაზე ოცენ-
ბობენ, რატომ მხოდა ასე: ისინიც ხომ ჩვენს
გვერდით აღიზარდნენ, ერთ საზოგადოებაში
ეცხოვრობდით, ერთნაირ პირობებში, ჩვენი
ტოლები არ იყვნენ? რა მოუვიდათ?..

— ყველა ადამიანს ინდივიდუალური ბუ-
ნება აქვს, რომელსაც ნორმალურ პირობებში
ვერ ამოიცნობ. ვაეკუცხა და სიმხალე გან-
საყვედურის დროს გამოემდევნებოდა თურმე.
აღრე ეს არ ვიცოდით: პატრიოტად და მე-
გობრად იმას ვთვლიდით, ვინც ტრიბუნდან
ლამაზ სიტყვებს იტყვოდა ან სუფრასთან
ყანწით ხელში ერთგულებას შემოგვფიცავდა.
არ ვიცოდით, რომ გაჭირვების დროს შიკ-
ვლებობდა და მტრობას გავიწყვდებოდა... ასას-
დროს დამივიწყებდა ყირიმის პატარა ქალა-
ქი ჯანკო. ერთმა პოლიტმუშაკების და ებ-
რაელების დაბეზღება დაიწყეს — რამდენიმე
კაცი მის თაბლწინ დაბტრიტეს. გერმანელმა
დამსმენს ხილუფაფასმული პუტის კიდევი
მისცა და იმან იქვე, უსიცივლილოდ კიდევ



რამდენიმე კაცი დასახელა. გერმანელმა ზი-
ზლით შეხება, დაუღრილა, მუცელში წიხლი
ჩასცხო და მიწაზე გაავროა. გამცემი ცუდად
შეიქანა. ყველანი გაქვავებულები შეეცქერო-
ნით ამ საზარელ სურათს. მოსაბრუნებლად
არავინ მიჰკარებია. კარგა ხნის შემდეგ, გონს
მოვიდა თუ არა, მტვერში მოსვრილი პურის
ნაჭერი მოძებნა და აიღო. გერმანელებმა ხარ-
ხარი დააწყვეს. რა საცოდო იყო მაშინ ის
უნებელი, იმ ძალღერც საცოდოვი, ლუმას
რომ აძლევენ და თან სცემენ. ყველა იქ მყო-
ფი იმას ნატრობდა: მოვმეკდარიყავი და ისე-
თი თანამემამულე არ შემხვედროდა, მტერსაც
რომ შეზიზდაო.

— ის მაინც ვიცოდე, ვაიგებს თუ არა
ამას ოდესმე სტალინი? დარჩება თუ არა
ჩვენგან ვინმე ამ ამბის მოხრობელი, სწორად
აღწერს თუ არა ყოველივეს, რაც მოხდა?

— სტალინმაც, ხალხმაც, ყველაფერი იციან
და კიდევ მეტს ვაიგებენ, ჩვენ აუცილებლად
გადავწყვეთ აქედან!

— მაშ, სტალინი კურსს შეიცვლის ჩვენს
მიმართ? უკან დაიხევს?..

— კურსს არ შეიცვლის, მაგრამ, რატომ
გგონია, რომ ცუდი კურსი აქვს აღებული?
მოლაღატე მან იმას უწოდა, ვინც სამშობლო
თავის დამპყლ სიცოცხლეში გასცვალა. ჩვენ
ხომ არ ვიცით, რასთან დავკავშირებით, რო-
გორ ვითარებებში თქვა ის ფრაზა — საბჭო-
თა ქვეყანას ტყვეები არა ჰყავს, ისინი მოლა-
ღატეები არიანო?

— ამბობენ, ცოტა ღმერთსაც უნდა შეხე-
ლო, — თქვა ბოლოს შამოგამი. — განა
შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ იმ
ფაქტს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, ფრონ-
ტზე და ზურგში, მოქმედებს, იბრძვის, მუშა-
ობს, წელგზე ფეხს იდგამს, აღამიანები სი-
ცოცხლეს სწორავენ გამარჯვების საქმეს,
ჩვენ კი უქმად ვსხედვართ აქ. ასეთ პირო-
ბებში შეიძლება განა, სტალინისგან შექება
და მოფერება მოვითხოვოთ?.. ფაქტია ისიც,
რომ საბჭოთა ჯარი, რომელიც ყოველდღე
წინ მიიწევს, საკონცენტრაციო ბანაკებიდან
ათავისუფლებს მილიონობით საბჭოთა ტყვეს
და საშუალებას აძლევს, მაშინვე ჩაებას
მტერთან ბრძოლაში. დაჭრილებს და ავად-
მყოფებს კი პატრონობენ, მკურნალობენ,
ოჯახებში აბრუნებენ... მგონი ყველამ გავი-
გეთ ის ამბავი, რომ ამხანაგმა მოლოტოვმა
ჩვენი ბანაკის შესახებ ნოტა წარუდგინა რუ-
მინეთის მთავრობას, სადაც მოითხოვდა, რომ
ჩვენ, საბჭოთა პატრიოტებს, უფრო რბილად
და აღამიანურად მოგვეპყარს. განა ყოველი-
ვე ეს საქმარისი არ არის იმაზე დასარწმუ-
ნებლად, რომ სტალინს გულდანი ამოდებუ-
ლი არ ვყავართ და ზრუნავს ჩვენზე? რაც
შეიხება მის განცხადებას ჩვენს შესახებ,

აის მიზეზს, ალბათ, იქ აგვიხსნის, მის
რომ ჩავალთ გამარჯვებულნი, სტალინი, მწერ-
ბო, ძალიან წინ იხედება, წლებს იტოვ, გა-
მარჯვების იქითაც.

თითქმის ყველამ გამოთქვა თავისი აზრი
გულწრფელად, ბოლო სიტყვა კი ყოველთ-
ვის ტიზოფი შამოგისა იყო. ალბათ, ამიტომ
მოხდა, რომ მის შემდეგ არავინ არაფერი
უთქვამს. ფიზიკურ გადაქანცვას გონებრივც
დაემბა, — უეცრად მოწყდა ყველა. ვიგ-
რბენი, ჩემსავით ბევრი დარჩა კმაყოფილი
შამოგის სიტყვით, ზოგი რამ თურმე სწო-
რად არ მქონდა გაგებული, ახლა კი თით-
ქოს მძიმე ტვირთი მომეხსნა...

...შუალამე იქნებოდა. ზოგიერთს უკვე გვი-
ნა, მე კი თვლი ვერა და ვერ მოვხუქე: ხმა-
მაღლა გაცხადებულმა ჩვენმა ფიქრებმა კი-
დევიც დამამშვიდა, კიდევაც ამაფორიაქა.
ან უსასრულო დღეებში მოხვედრის შემდეგ
პირველად ანთო იმედის პატარა ნაპერწკა-
ლი — ჩვენ დაფიქრებულები არა ვართ, შე-
საძლოა, ჩვენი ტყვეობის ფაქტი მთლად
სწორად არაა გაგებული, მაგრამ მთავარია,
რომ ჩვენზე ფიქრობენ. ეპ, ჯერ ამ შიმშილს
თუ გადავურჩით!.. ეპ, აქედან თუ გავაღწი-
ეთ?! პაერი თითქოს შედედა, სუნთქვა თან-
დათანობით ძნელდებოდა. მერე და მერე
ძილა წამიღო...

შემადარწუნებელმა ყვირილმა გამომადვიდა,
შემზარავი ხმა ბევრნაირი მსმენია: დაჭრილის
თუ კონტუზირებულის, ეთქვათ, ბრძოლის
ორომტრიალიში შემინებულის ანდა, მთლად
უარესი — სისხლის დანახვაზე გამხეცებული
კაცისა, მაგრამ ეს ხმა არაფერს ამგვარს არ
ჰგავდა... ჯერ შეუცნობმა გრძნობამ, რო-
მელმაც ძილიდან გამომგლიჯა და არ დამა-
ცადა იმის გახსენება, თუ სად ვიყავი ან
რად ვიყავი, ისტინტუბლად ფეხზე წამო-
მაგდო, თვადცვისათვის მომამზადა: თავის
მიწურის დირეს მივარტყი და დარეტიანე-
ბული მუხლებზე დავეშვი. ცნობიერებაში გა-
ვღვებულ პირველი აზრი ის იყო, რომ ფა-
შისტები შემოგავიცივდნენ დასარბევად. ასე
არაერთხელ გაუცეთებიათ გართობის მოხნით,
მაგრამ, არა...

— პური! პური! პური! — განწირული
ხმით ყვიროდა ვიღაც. კართან აღამიანის
სილუეტი გამოვარჩიე და რალაცნობრად უფ-
რო მივხვდი, ვიდრე დავინახე, რომ ეს როს-
ტოველი ოსებე კული იყო? მას შეეკუმშუ-
ლი მუშტი მაღლა შეემართა და კიოდა: —
პური! პური!..

პურებისკენ გავიხედე: ერთ წყობაში მხო-
ლოდ ორი ცალი იღო. ყველას გაღვიბოდა,
მუსლებზე წამოდგნენ და ერთმანეთზე
გადაპოწილალებულები პურებს მიშტერე-
ბოდნენ. ჰო, ნამდვილად, თვალს არ მატყუ-



უნდა, ორი პური ვილაცას აელო... მაგრამ ვის? პურებთან ახლოს რამდენიმე კაცს ეძინა, არხის გადაღმიდანაც შეეძლოთ მისწვდომოდნენ... გამახსენდა ჩვენ მხარეს, წყობიდან გაღმოფრადებული პური, მაგრამ ის ადგილზე იყო, იმავგვარადვე, ადრინდებულად: შემოსასველლის მხარის წყობას აკლდა პური... მოიპარეს? შექამეს?.. კი, პური არ იყო!.. პურის ქურდი ქურდი არ იყო, ის მოღალატე იყო და, თანაც, ისეთი მოღალატე, რომელიც სიკვდილს იმსახურებდა — მან სიტყვა გატეხა, გაგვიყიდა, გვიმუხთლა... ის უნდა მომკედარიყო, მომკედარიყო თუნდაც იმათი სახელით, ვინც უკანასკნელი კვირების განმავლობაში შიმშილით დაღია სული: ვინ? ვინ მოიპარა? ვინ გვიღალატა?.. ქურდი აუცილებლად უნდა აღმოგვეჩინა, მაგრამ დანაშაუვით თვითონ ხომ არ გამოგვეცხადებოდა?! მგლებივით ერთმანეთს დავუწყეთ ყურება: ვაკვირდებოდით სახეებს, ხელებს, ტანსაცმელს, თითქოს პური სისხლი იყო და მისი კელი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო სადმე. ის მოთხრობა გამახსენდა, მგელი ტოტია რომ შექამეს... ღმერთო ჩემო, ვის ვაკვირდებოდით? — ჩემს მეგობრებს, ათას პირნი ჩემთან ერთად გამოვლილ უახლოეს ადამიანებს და უცებ შემზარა ფიქრმა, რომ ეს დანაშაული ღალატზე მეტი იყო, მორჩა, ჩვენ ერთმანეთს ვეღარ ვენდობოდით...

კულიკი ჯერ ისევ ისტერიულად ყვიროდა, როცა პურების უკან ვილაც წაფორთხდა, ოთხზე დადგა, ცოტა ხანს აგრე გაყუჩდა და მერე მუხლებზე დამდგარი ჩვენკენ შემობრუნდა: კაპიტან დანიელ სკრიპნიკის გადაფიორებულ სახეზე ორი ლურჯი თვალი პროექტორივით ტრიალებდა და შიშს აფრქვევდა. კულიკი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მის გვერდით რაღაც მოძრაობდა და ის იყო შეტრიალდა, რომ მიწურის კარი გაიღო და შიგნით ნამძინარეებმა რუმინელმა ჯარისკაცებმა შემოპყო თავი... ჯერ კარს მიხედა, მერე ისევ სკრიპნიკს. იოსებ კულიკმა წამში გაიპარა და გაიანგარიშა ყველაფერი და მანამ, სანამ რუმინელი ჯარისკაცი რამეს მიხვდებოდა და ხელს შეშინასკენ წაიღებდა, მხრებით დაითრია სკრიპნიკი, თავისკენ გაათრია, თითქოს არ უნდა პურებს გაეკაროს ეს ტომარასავით მომჩვარული ბინძური სხეული, და არხში ისროლა: სკრიპნიკმა ფეხი წამოსდო პურებს: სამი პური შებზარიალა, შეძიძვილდა და როგორღაც ზანტად თუ ღირსეული შეყოვნებით დაიძრა ადგილიდან. აა! — დაიგმინა მიწურმა და ელვის უსწრაფესად პურების გადასარჩენად გამოწვილმა რამდენიმე წყვილმა ხელმა, თითქოს საღაც ბინძური წყალი კი არა, უუბინძურესი არსება რღვა სკრიპნიკის სახით, იქ ჩასაყარდნად არ

გაიმეტაო, პერმივე დაიჭირა, ადგილზე დადო, გაასწორა ეს სათაყვანო პურები მთელ მიწურს კიდევ ერთი შევების სუნთქვა მისცა. მიწური გაირინდა, სამარედ იქცა. დანიელ სკრიპნიკი თავდაღმა ეგდო ბინძურ წყალში და არ ინძრეოდა. ამასობაში რუმინელმა ჯარისკაცმა რაღაც ჩაბურტყუნა და დანმარებისთვის, ამბის შესატყობინებლად თუ, საერთოდ, მომხდარის გაუგებრად და დაუნახავად, კარი ღრქიალ-ღრქიალით გაიხუთა. თითქოს ამას ელოდაო, კულიკი კარებს მივარდა და თავისი ბრეც სხეულით ზედ აეფარა:

— აქ ვერავინ შემოვა, სანამ ეს ძაღლი არ ჩავედება!

...მაგრამ ვერა, ვერ გაუძლო დანიელ სკრიპნიკმა, თავის დაბრძოლა მას ნდნად არ შეეძლო, უცებ წამოპყო თავი, ჯერ ხელებს დაებჯინა, მერე მუხლებიც მოზიდა და ისევ ოთხზე დადგა აქოშინებული და სახიზრად ახლიჩინებული... ყველაფერი გულისამრევი და ამპარუნე იყო მისი: გამოხედვაც, ხელებაც, სუნთქვაც, დგომაც, ლაპარაკიც, ის ამას გრძნობდა, მან ეს იცოდა და მაინც, როგორც კი ხელებამ გადაუარა, წვალებით წამოიჩოქა, ორივე ხელი ზე ასწია და სხაასხუპით მიიყარა:

— ძმებო! ერთი წუთი მაცალეთ, ერთი წუთი მაჩუქეთ! ვიცი, უნდა მოვეკვი, ღირსი ვარ, პურები მე შევქამე, სიკვდილი შეკუთვნის, მაგრამ...

— უჰ, შენი!
 — ვინ არის შენი ძმა?..
 — რა მაგრამ! რა მაგრამ, შენი!..
 თითქოს ნიშნს ელოდნენ და სკრიპნიკმა თვითონ მისცა ეს ნიშანი, ყველანი ადგილებიდან წამოცივდნენ: ახლომდგომებმა მუშტები დაუშინეს; ისინი, ვინც შორს იყვნენ მისგან, არხში ჩახტნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ეცემოდნენ, დგებოდნენ და ისევ მისკენ ცდილობდნენ წაწეას, რომ ერთი მუშტი ან წიხლი ჩაეზილათ, მონაწილეობა მიეღოთ საყოველთაო განაჩენის აღსრულებაში.

— ვინ არის შენი ძმა, შე არაკაციო!
 — არამზადა! აი, რისი ღირსი ხარ!
 — რად გინდა წუთი, ახლავე უნდა ჩაძაღლდე!..

— მირტყით! მირტყით, მომკალით, რაც გინდათ, ის მიქენით, მაგრამ მათქმევინეთ...

— რა უნდა გვითხრა, შე მათხოვარო, მოგ შეივდა და ვასკდი, არა! ჩვენ რა ვუთხრათ ფაშისტებს ან სხვა მიწურებში შიმშილით რომ ხალხი იხოცება, იმათ რა ვუთხრათ?!

— სიკვდილის არ მეშინია, რა ხანია სიკვდილს ვნატრობ, მაგრამ სანამ მომკლავდეთ, ერთი სიტყვა მათქმევინეთ...



ზოგიერთების ხელში თვითნაკეთი დანა აელვარდა, მსხვილი მავთულისა და თუნუქის ნატეხებისგან დამზადებული: ღდენიადგ ჭკაზე ლესვით სამართებელივით ჭრიდა და, ალბათ, სხეულში ისე გაგივლიდა, ტკივილისკენ ვერ იგრძნობდი... ყველას უნდოდა პირადად გასწორებოდა მოლაღატეს: მიეხრჩო როგორც გველის წიწილი, გაესრისა როგორც სახიზლარი მატლი, მაგრამ დანის ღარტყმას არავინ ცდილობდა, თითქოს ვერ ბედავდა თუ ეშინოდა, რომ სხვას არ მოხედროდა, ან თვლიდა, რომ სკრიპნიკი ცემით უნდა მომკვდარიყო... ვაკვირდებოდი ამ გამწარებულ, შეშლილ სახეებს და ვფიქრობდი, რომ სკრიპნიკის დანაშაულს სხვადა, კიდევ სხვათა ჩადენილი ბოროტება და ვერაგობა ემატებოდა: ეს იმ გამყიდველუნისადმი დარჩენილი გააგება იყო, რომლებმაც გვირაბების ამბავი გათქვეს და ტყვეობის ჯოჯოხეთიდან გაქცევის საშუალება მოგვისსახეს, თანაც მოლაღატებმა თავიდანვე არ გაგვეცეს, როცა გვირაბების გათხრა დაიწყო, როცა რადიომიმღები ავეაწყვეთ და ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ ნაღდი ამბები შევიტყვეთ; მათ გაგვეიდეს ლამის გაქცევის წინ, ახლა, როცა მოახლოებულ საბჭოთა ჯარს მხოლოდ სამასი კილომეტრი გვაშორებს და ბანაკიდან გაქცევის ჭეშმარიტი აზრი აქვს, ეს გვირაბები ჩვენთვის გაქცევის საშუალებაზე მეტი რამ იყო: ამ გვირაბებში ჩვენი გამჭირახობა, გამბედაობა, ღონე, ენერჯია იყო უანგარიშოდ ჩაყრილი; იმ დავასთვლავთ შიშის შეგრძნებაც, რადგან ყოველდღე თითოეულ ჩვენთაგანს სამი კარღლა მიწა უნდა გაგვეტანა და ისე დაგვემარხა კუნაბეტი შავი მიწა ბანაკის გადარბოკებულ ეზოში, რომ პატრულებს არაფერი შეეშინათ... თურმე სულ ტყუელად ყველაფერი: ჭიანჭველასავით ჭიანჭველები, თხუნელასავით თხრა და თხრა, მოთხენა, მორიდება, შიშის დაძლევა... დიახ, ეს ბოღმა, ეს გააგება ყოველისმომცველი იყო და ამიტომ სკრიპნიკი რამდენიმე წუთის შემდგომ მოკვდებოდა...

— შეჩერდით! დაიცადეთ! — გააკასებულ და უკვე აპოგეამოახლოებულ გნისაში მკვეთრად გამოიჩინა ტიმოფეი შამოვის ხმა — ხელშემართულს ჩამოსაქდომზე ცალი მუხლით ჩაეჩოქა. — შეჩერდით! — კიდევ ერთხელ დაიქუხა და გავოცდი, ვერ წარმომედგინა, თუ ამდენი ძალა ეტეოდა მის ხავერდოვან, დაბალი ტემბრის ხმაში, მის, ერთი შეხედვით, ჭკვიან და თვინიერ ხასიათში.

წაშით ყველამ უკან დაიხია. — მოუესმინოთ, ძმებო! სიკვდილმისჯილ კაცს აქვს ამ თხოვნის უფლება. საინტერესოა, რას იტყვის. მაგის მოკვლა ყოველთვის

მოესწრება, — თქვი, სკრიპნიკი, რატომ ჩაგვაგდე ამ ღდენში, ეგებ ისიც გვასწავლებდით გავიშარბოლოთ თავი მთელი ბანაკს წინაშე; ხომ იცი, რამდენი გვეყავს სასიკვდილოდ გადაღებული, აი, ისეთი, რომლის მოხრუნება ასილო გრამ პურს შეუძლია...

რკალში მოქცეული სკრიპნიკი აქამდე ციბრტვით ტრიალებდა: ხან აქვთ გადავარდებოდა მთელი ტანით, ხან იქით, რომ დარტყმები აეცილებინა, მაგრამ, როგორც კი მუშტებისა და წიხლების კორიანტელი შეწყდა, ისიც გაჩერდა, მოეშვა, გახეთქილ წარბზე ხელი მოისევა და სისხლი რომ დინახა, თითქოს დაწყნარდა კიდევ... დამსკდარ ტუჩებს კარგა ხანს ნერწყვით ისველებდა, შამოვისკენ იყო მობრუნებული, მერე ხელიც გაიწვირა მისკენ, თავი დახარა და გაშეშდა, გეგონებოდა, რალაცას იგონებსო: თუმცა კი, რა უნდა ეთქვა ისეთი, ამდენი გაგვიტყული ადამიანისათვის რომ ეპასუხა, მათი აზრი და განაჩენი რომ შეეცკავა — ეს წარმოუდგენელი რამ უნდა ყფოლიყო...

— პა, მორჩი... აქ ცირკი არ არის, ვერც ვერაფერს მოგვაჩვენებ, თქვი ბარემ!

— მოლაღატე არა ვარ, — ბორძიკით დაიწყო სკრიპნიკმა. — მარტო ამაში მინდა დავარწმუნოთ. თავის გადარჩენაზე არც ვფიქრობ, არც მიფიქრია — ჩემ სიოცხლეს არავითარი აზრი არა აქვს. ყველამ იცით, მთელი ოჯახი რომ ამოიმიწყვიტეს ამ ოხრებმა — ირი შვილი, ცოლი, ღედა... ერთი რამ დამარჩა — პატოსანი კაცი ვიყავი, თქვენც ასე მიცნობდით, ეს არ მინდა დავკარგო!...

— საქმეზე ილაპარაკე, პატოსანებზე სათქმელი სიტყვა შენ აღარ გააჩნია.

— არა, ასე ნუ... ახლავე ყველაფერს გეტყვი... — მიუბრუნდა სკრიპნიკი ისმაილ ალიოვის. — პურის ხელის ხლება არც მიფიქრია. ბავშვი ხომ არა ვარ, ყველაფერი კარგად მესმის. გუშინ მთელი დღე პურების გვერდით ვიჯექი, მათკენ გახედვასაც კი ვერიდებოდი. პირველი შემთხვევა ხომ არ არის, ამას წინათ ხომ თქვენთან ერთად გადავიტანე სამდლიანი შიმშილობა?!

— პურზე ილაპარაკე, პურზე! — კვლავ შეახსენა ვილაკამ.

— ჰო, პურზე მოვახსენებ... როცა დაღამდა, დიდხანს ვერ დავიძინე, ჯერ ბიჭების საუბარს ვუღებდდი ყურს, მერე ჩემთვის ვფიქრობდი ამ ცხოვრების უსამართლობაზე. რალაცანიირი მწარე სევდა შემომავსე, როგორც გათხრათ, ერთი ანდაზა ასეთი: გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებო, ჰოდა...

— დამიწყო ახლა ანდაზების გახსენება!.. სიოცხლეს იხანგრძლივებ, არა?!

— დააცადეთ, რა დაგემართათ!

— პურზე მოყვი, გეყოს მიმიუნობა!..



— ჩვესხვეს ქალიახ სიმჭიდროვე იყო, ხალხი ერთმანეთს აწვა, მეც სამი კაცი გადა-
 მომეხლო აქეთ-იქიდან, კინაღამ დავიხრჩვი, ფრთხილად გამოვძვერი ზედახორიდან, ისე რომ ბიჭები არ გამეღვიძებინა და, ბელისწე-
 რა იყო, რა იყო, პურების უკან აღმოვაჩინე ცარიელი ადგილი. კი, ვიცოდი, როგორ არა, თუ იმ მხარეს გადავიდოდი, პურების სუნი შემაწუხებდა, ამიტომ ზურგი მივუშვირე პურებს, მეშინოდა მათი — წინასწარ ვგრძნობდი მოახლოებულ უბედურებას. მერე თითქოს ჩამეძინა, მაგრამ პანიკურმა შიშმა გამო-
 მალვიდა, ძილში პურებს ზურგით მივაწვიბი და პურები არხში გადავივლებდა-მეთქი...

— მერე? — ჰკითხა ვილამი.
 — გადმოვბრუნდი და თითქოს მშვენიერად მოვთავსდი...

— მერე, მერე რა მოხდა?
 — ბარემ შევკამე, ადამიანო, აღარ შემიძლია, გული გამიწვირილა, — წამოიძახა კოლია პანიკურად და ისეთი ნერწყვი გადაეცალა, ზოგიერთს ლმილმა წამოუარა სახეზე.

— ...არა, ჭერ კიდევ ქუაზე ვიყავი და პური რომ შემოხიზნებოდა, დავიწყე ყველა იმ ახლობლების მოგონება, ვინც ფაშისტებმა მომიკლეს: ჭერ ოჯახის წევრები გაეხსენე და ხნამალა შევეკურებო ფაშისტებს, მერე ვახსებდებო მეგობრებს, მეზობლებს, თანაგებძროლებს და ყველას მაგივრად ფაშისტებს ვაგინებდი. ისე ვავებოროტი, ყველაფრის შიშმა გადამიარა, პურის შიშმა... ჰოდა, ავიღე და ერთი თავქვეშ დავიდე, კისერი გადაწყვეტაზე პურინა...

— პური ხელში გეჭირა? — ჰკითხა მაგამელ კესაევმა.

— ჰო, ხელში ავიღე, ღამით ისე აღარ ანათებდა, თანაც, ხომ გითხარით, მათი აღარ მეშინოდა-მეთქი.

— მაშინ შევკამე?

— არა, მაშინ დამეძინა.

— აბა, როდისღა შევკამე?

— მერე, მერე... დამეძინა და მესიზმრა, რომ მარცხნივ, ტუჩის კუთხეში პურის ნამცეცი მომეწებდა და არ მცილდებოდა...

— ნამცეცი?

— ჰო, პურის ნამცეცი, ბევრი ვეცადე და ვერ მოვიშორე, გავიღვიძე და ვგრძნობ, რომ მართლა მაქვს ტუჩზე რაღაც მოწებებული, ენა მოვისვი და ნამცეცი პირში ჩავივადე, არც ისე პატარა იყო; გავიკვირე და გადავყლაპე...

— რა იფიქრე მაშინ?

— ჩვენ არ ვაგახსენებიათ, არა?

— არა, არავინ გამხსენებია... რაღაცნაირად ცუდად შევიქენი, გულ-მუცელზე ცეცხლი მომედო... პურს მარჯვენა ხელისგულს ვუსვამდი, ვეფერებოდი. ერთ ადგილას თითი მო-

ედო ნაწიბურს და შეჩერდა... თითი თითობდა, მოქმედებდა, მოდილო ლუკმა მოტეხა პირში აღმოჩნდა...

— თავი რატომ არ დაანებე პურს, რომ გრძნობდი, რასაც აკეთებდი?!

— მე დაწყებაც არ მინდოდა... ნამცეცი რომ გადავყლაპე, იმის შემდეგ არც ხელე-
 ბი, არც პირი აღარ მემორჩილებოდა, ვვლექ-
 დი პურს და ვცლაპავდი, კარგად არც ვლექ-
 ვავდი, საყლაპავი ახლაც მტკიცია, მე მაინც ვვლექდი და ვცლაპავდი. კუჭში სიმძიმე ვიგრძენი, არც ვიცი, რამდენი შევკამე... შემდეგ ჩამეძინა: სიზმარში ჩემიანები ვნახე, ცოცხლები იყვნენ... შინ ვიყავი, კალთაში უმცროსი გოგო მეჭადა და რაღაცას მეტიტინებოდა. ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მაგიდაზე ბლომად საჭმელი იწყო, მაგრამ ხელი არ მიხლია, არ მშობოდა. უცებ, გერმანელები შემოიკვი-
 დნენ, ხელები გადავიკრიბეს და ყველანი ცალ-ცალკე გავვაკიეს — ცოლიც, ბავშვებიც, დედაც და მეც. ბავშვმა იყვირა პური, პურიო! მეორეც აყუვა. მათმა წივილმა შემაშფოთა და სიზმრიდან გამოვერკვიე. მიწურში ვიყავი, ისევ მიწაზე ვეგდე, ძველებურად იყო თითქოს ყველაფერი, მაგრამ „პურიო! პურიო!“ — ის ხმა ისევ ჩამწიოდა... აა, ეს ხომ იოსებ კულიცია, — გავიფიქრე და დამის საშინელი კოშმარი გამახსენდა. თავს წლდად მოვიკვადი, რაიმე რომ მქონოდა, ან წყალში კი... გემუღარებოთ, მერწმუნეთ, რომ შეგნებულად არ გამოიკეთებია, — ეს მე არ ვიყავი, ღამით ჩემს სხეულში სხვისი, ალბათ, ეშმაკის სული იყო ჩასახლებული, რომელიც ვერ დავიშორე... სათქმელი სხვა არაფერი მაქვს. ნუ იფიქრებთ, რომ მოლაღატე ვარ, არა ვარ, ძმებო, დამიჯერეთ, ისევ ის პატრონანი დანიელ სკრიპნიცი ვარ! ასეთი უნდა მომქალათ! ახლავე! ამ წუთში! არც თავს დავიცავ, არც შემეშინდება, — ქვითინი აუვარდა და მღუღარე წასცა თვალებიდან, ერთიანად მოთხზნა სისხლშერეული ცრემლით: — მომკალით რა, გეხვეწებით, ჩემთვის ყველაზე დიდი შედევარი ახლა სიკვდილია...

შალიყო კობაშვილმა ზურგი შეაქცია სკრიპნიცის და თავჩაღუნული თავის ადგილას ჩამოჭდა, როგორღაც უმწეოდ ჩამოეყარა მხრე-
 ბი, დახეულ და ერთი ათჯინს მაინც საკულ-
 დაგულოდ დაკერებულ ჩექმებს წყალში აშ-
 ლაპუნებდა... სკრიპნიცი ისევ ქვითინებდა...

კარებს ვილამი მოაწვა, მაგრამ რაკი მონათბრობით, უფროც ამაღის ფინალით შეძრ-
 ცუნებული და მთლათ ვაოგნებული იოსებ კულიცა ზურგით იყო ზედ მიწოდოლი, ძვრა ვერ უქნა და ღონივრად დაეჯაჭურა. კული-
 ცი წინ გადმოქანდა და ამით გაღიზიანებული, ყველაფრისაგან ისედაც უკიდურესად ნერ-
 ვებდაქაჩული და წიკპზე მისული, ელვასავით

მებრუნდა კაროსენ, ფეხი ჩაუდგა და მოძალადეს ბრაზიანად შეუყურთხა.

— ახლავე გააღეთ. — გაისმა ჩვენი მცველის დამტრეველი რუსული.

— წადი, დაიხვეწე! — ისევე ბრაზიანად უბასუხა კულოკმა და ჩანიან კოლა პაპიშვილს თვალით ანიშნა, მოემხმარეო.

კოლა იქვე იდგა, სკრიპნიკთან. ერთხანს წეყოვნდა, თითქოს ამ კრიტიკულ მომენტში დამნაშავეს, თუ პურის მსხვერპლის მიტოვების ეწინააღმდეგებოდა, მერე საერთო სიჩუმემ თავის ფიქრებთან თანხმობა და ნდობა რომ უკარნახა, ზანტად ააბიჯა მიწის კიბეზე და მთელი ტანით კარს მიასკდა.

ჩვენი მცველი, ეტყობა, მარტო არ იყო, ხმადაბალი მოლაპარაკების შემდეგ კარზე ისევე ბრაზიანად ატყდა და რუმინელმა ჯარსკაცმა დამტრეველი რუსული მოგვმართა.

— კომენდანტმა შემოგითვალათ, რომ მოლატე გადმოგვეცეთ, თქვენ კი მშვიდად შევიძლიათ თქვენს ბარაკებში დაბრუნება.

— საქმე ნახე!

— მოლატეს ჩვენც კარგად მოუვლელი!

— მოლატეები მინდა გყავთ! — ერთმანეთს არ აცლიდნენ ტყვეები. მოულოდნელად წამოყენებულმა წინადადება დაგვანია და რაკი ის, თითქოსდა სრულიად გულბრყვილოდ ჩვენ ინტერესებს იცავდა, რასაც მიჩვეულები არ ვიყავით, დაგვაეჭვა. ჩვენ გვეგონა, შემოსურებულმა რუმინელმა ჯარსკაცმა ვერც ვერაფერი დანიხა, ვერც ვერაფერი გაიგო; ჩანს, არც ასეა საქმე... ბრაზუნა იმატა.

— გააღეთ, დამნაშავე გადმოგვეცით და თქვენ თავისუფლები ხართ, სხვა მიწურებიდანაც ასე შემოგითვალეს.

— ძებო! რაღაც ხდება! — მიწურის ბოლოდან ლონდონ ივანოვი წამოვიდა შამოვისაკენ. — ტიმოფეი სემიონოვიჩ! ახლა საჭირო თქვენი გამპრიახობა და სიბრძნე. არც იციან, დამნაშავე ვინ არის და მტკიცედ კი თხოულობენ, გადაეცეთ!

— ჰო, მართალი ბრძანდებით. ჰირდებათ კაცი, რომელსაც თავისიანების წინაშე დანაშაული არქვ ჩადენილი! — აქ შამოვი ჩაფიქრდა და ივანოვს დააშტერდა, თითქოს ჭეშმარიტი აზრი იქ, მის სახეზე უნდა ამოიკითხოლოსო. — ერთადერთი, რაც მათ ამჯერად აინტერესებთ, ეს ჩვენი მეთაურების გვარებია. სანამ საბჭოთა ჯარი აქ მოაღწევს, ფაშისტებს მათთან საბოლოო ანგარიშის გასწორება სურთ, მათი დახვერტა უნდათ. გოგი ლუჯავასთან ვერაფერს ვახდენ, როგორც ჩანს, არც სხვები ვატყდნენ. ახლა იფიქრეს, რომ კაცი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ჩვენს წინაშე და

ამით ჩვენთან სამეგობრო გზები გადაიჭრა, მათი უნდა გახდეს. ათქმევიანებენ გვარებია და მერე მიახვერტენ სამდე...

...შამოვმა რამდენიმეჯერ იგულსხმა სკრიპნიკი, მაგრამ გვარი არც ერთხელ არ დაასახელა. ეს უბრალოდ არ მომხდარა, შამოვს ან მისი იმედი არ ჰქონდა, ან მოლატედ არ თვლიდა მას. ჰო, რა თქმა უნდა, მოლატედ არ თვლიდა, რადგან ეს სიტყვაც არ უბნენებია, ასე თქვა: კაცი, რომელსაც ჩვენს წინაშე დანაშაული მიუძღვისო...

— ლუჯავა და სხვები რატომ არ დახვერტეს?

— სურათი ნათელია, განმარტებასაც არ საჭიროებს: ისინი რომ დახვერტონ, ჩვენ ახალ შეთქმულებას მოვეწყობთ, შავათ კი ეს ხელს არ აძლევთ. სკრიპნიკს... ფიქრობენ, რომ ამას გავიმეტებთ, რაკი თვითონ გავიმეტა, ამიტომ სიხარულითაც კი გადაეცემთ მას, როგორც მოლატეს, საწყულებისო. — შამოვმა ისეთი ირონიით წარმოსთქვა ეს სიტყვა, კიდევ ერთხელ გავოცდი, აღრე არც ეს შტრიხი შემომჩნევია მის ხასიათში. — რა ვქნათ, ამხანაგებო! სიტყვა თქვენზეა, ერთად უნდა გადავწყვიტოთ, რა მოვიმოქმედოთ.

აქ სკრიპნიკის სახე რაღაც სასწაულებრივი აღტაცებით აენთო და ზე წამოიჭრა: — მე, მე... — ყვიროდა და შამოვს მიარღვევდა არხში გადმოყრილი თუ გამომოცილებული ფეხების ღობეს, — ტიმოფეი სემიონოვიჩ! — უნდოდა ეყვირა, მაგრამ პირველივე ბგერაზე გაწყვიტა სიტყვა, რადგან მიხვდა, რომ მიწურის კართან მოძღვრებული მტრების წინაშე ამ სახელის ხმაოდ წყარმოთქმა მის გაყიდვას ნიშნავდა: — მე, შე უნდა გადაემცეთ! ნახეთ, ყველაფერი რა კარგად ეწყობა... — შალიკო კობიაშვილმა არხში ჩაყრილი ფეხები ასწია და შლაგბაუმივით წინ აუფარა შამოვისაკენ მიმსწრაფ სკრიპნიკს.

სკრიპნიკი იდაყვებით უღონოდ ჩამოეყრდნო: ცხვირწინ აფარებულ ტურტლიან ჩექმებს და შუბლი დაადო: — ეჭ, აღარ მენდობით, ბიჭებო, არა?

— გენდობით, როგორ არ გენდობით!

— რას ქვია არ გენდობით!

— რა ლაპარაკია, დანიელ ივანიჩ! გენდობით, რა თქმა უნდა!

— აბა, თუ მენდობით, უნდა გადამცეთ ფაშისტებს. ეს ყველასთვის უეპარი გამოსაძალია: თქვენთვისაც, ახლავე ბარაკებში დაგაბრუნებენ, ჩემთვის ხომ მათი ხელით სიკვდილი ცხონება იქნება პირდაპირ... მე არ გავცემ მეთაურებს — სამივე ვიცი, ვინც არის, მაგრამ ამ წამიდან სამუდამოდ დავივი-



წყებ იმ გვარებს და, როგორც არ უნდა მაწანონ, არ ვიტყვი. ფაშისტები გაბრაზდებიან, გაცეხლდებიან და, რომ მაინც ვერაფერს ვახდებიან, მიმახვრეტენ სადმე, ბანაის გარეთ... ეს ხომ ჩემთვის ხსნა იქნება, ბიჭებო! თქვენი ხელით კი არ მოვევლები — როგორც მოლაღატე, მოვევლები როგორც პატროსანი ეაცი, დანიელ სკრიპნიკი! გეშუღარებით, ტი-მოფეი სემიონოვიჩ, — ქვითინი აუვარდა სკრიპნიკს, — თქვენი სიტყვა ბიჭებისათვის კანონია, მომეცით ნება, ჩემი დანაშაული გამოვიწყლო!...

— დანიელ ივანიჩ! — შამოვის ხმა აღრინდებურად თბილი და ხავერდოვანი იყო, — მე თქვენ გენდობით, აბსოლუტურად, მთელი სულითა და გულით, ბიჭებმაც გამოთქვეს თქვენდამი რწმენა. ერთად ვადატანილმა ამ ჭოროხეთურმა წელწინდამ, ჩანს, ჩვენი აზრები და გრძნობები, ჩვენი ღირებულებანი და შეფასებანი იმდენად დაახლოვა და განამტკიცა, რომ შეცდომა აღარ მოგვივა. თქვენ მოლაღატე არა ხართ, ამიტომაც ფაშისტებს ვერ მიგეცით საჭიჯგანად. ეყოთ, გოგი ლუვაყა და იმისი ბიჭები დასისხიანებულები და ცემით დასრუებულები რომ ყოიან ბარაკში. დროზე უნდა გავიდეთ აქედან, ბიჭებს მოუღაროთ, რაღაც უნდა მოვიფიქროთ, ისეთი...

...და მიწურის კარი უტეხ ხმაურით გაიღო: — თქვენ გინდათ იცოდეთ, პური ვინ შექამა, არა? — კარის ნათელ ჭრილში იოსებ კულეი აღიმართა.

— ჩვენ გვინდა მოლაღატე მოგაცილოთ, — სტერელცოვის გველივით სისინა ხმა გაისმა... აქ ყოფილა ეს მათხოვარიც, ყოველთვის კრიტიკულ მომენტში გამოჩნდება ხოლმე, რომ უბედურება გვიმრავლოს... სხვა დროს ბოღმითა და ნიშნისგებით საესეს, ჩვენდამი ზიზღი ღამის ყურებიდანაც რომ გამოსდიოდა, ამჯერად შემრიგებლური კილო ჰქონდა, მაგრამ კულივი მაინც არ შედო:

— შენზე ბინძური მოლაღატე არ შემხვედრია, ბორის სტერელცოვ! ეგ დაიმახსოვრე!.. პური კი მე შევექამე!

— ჰოდა, ჩემთან ერთად წამობრძანდებიანო!.. მაგ სიტყვებისათვის პასუხს... — და სტერელცოვს სიტყვა პირში შეაცივდა, რადგან იოსებ კულიკის ხელში დანამ იელვა. მის მზგზე გაბრწყინებას პირველმა კოლია პაპიშვილმა ჰკიდა თვალი და იმ წამს, როცა კულიკმა ფეხი წინ წადგა და დანა ხელში შეისწორა, კოლიამ მძლავრად გაჰკრა მხარი და კულიკი გვერდზე გადაეგდო.

— პური მე შევექამე! — ისეთი მშვიდი და დამაჯერებელი იყო კოლიას ნათქვამი, რომ მიწურში ვიღაცამ ხმამაღლა გაიკინა. თუმცა, არ ვიცი, შესაძლოა, ეს შეგების სიცილი იყო, კულიკის დაუფიქრებელი საქციელის უენე-

ბელყოფით გამოწვეული, ანდა ნიშანი, რომ რეზასავით გადაძვლები რაღაც, რომელიც თითქოს სულმოუთქმელად ელოდა ლეონიდ ივანოვი... მას ჯერ გოცემის ფხუტუნი დასცდა ბაგიდან, რომელმაც ძლიერი ნების გამომახტველი. დიდი, თოხეუხის ნიკაი დაუძვრგვალა და ბავშვის მიამიტი გამომეტყველებით დაულამაზა მკაცრი სახე: მერე აუტყდა, აუტყდა ჩანსადი და გადაძვლები ხარხარი და, ჯერ ისევ სკრიპნიკის შორაბლოს მდგარი, ამ სიცილით დაიძრა კარისაკენ. ახლა ის მიწურის კართან იდგა. გამოცდა, გამბედაობა, ვადარჩენა, გამორბა ან სიყვდილი! ამ წუთში, ამას, ყველაფერს ერთი სახელი ერქვა, რადგან არ იცოდა, რა დევალებით ან რა უფლებებით მოგზავნილი თოჯინები რას მოილოქმედებდნენ: აი, ასე სიცილ-სიცილით ულონდ ივანოვმა თვალი ჩაუტრა კოლია პაპიშვილს, მხარი გაჰკრა და მისი ადგილი დაიკავა:

— პური, რა თქმა უნდა, მე შევექამე. სხვას ვის შეეძლო ასეთი სისულელის ჩადენა, მხოლოდ მე... — და ახლა სახეში შექაჩარხარა გოცემებულ რუმინელ ჯარისკაცებსა და სტერელცოვს, მათყენ მომავალ კომენდანტს და რუმინელ ლეიტენანტებს — ჩვენ უგერგილო მცველებსა და მწვალებლებს. ივანოვის გასროლილი სასიგნალო მაშხალა ნაირფერად აუნთო ჩვენს მწირ მიწურში და უთვალავი სიმდიდრე გამოაჩინა. ოთარი დიდილით შემომატქერდა და, როცა ჩემ მზერაში თანხობა ამოიკითხა, ცქაფად ისეუბა არხში, რამდენიმე წამში ივანოვის ადგილას ოთარ ასათიანი იდგა, მერე იგი მე შეეცვალა, ამასობაში შამოვიც წამოდგა და გაფაციცებულ, მზერადიქველ სკრიპნიკს ანიშნა, წინ წადიო. სკრიპნიკი ფეხებგალაქული, მყარად დადგა კარში და როგორღაც გაუბედავად, თითქოს აღარც იცოდა, პური მართლა შემოვექამა თუ არა, სერიოზულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ბორძიკით წარმოთქვა:

— პური მე შევექამე!.. მე შევექამე პური! კომენდანტს სახე შეუტოვდა, იგრძნო დამანაშავე, მეძებრის უტყუარი ალლოთი იცნოსა იგი, მაგრამ სანამ ხმას ამოიღებდა, ან თვის მიამიწერდა, აი, ეს კომენდატურაში წაიყვანეთო! — სკრიპნიკი გაქრა. ახლა მის წინაშე შამოვი იდგა, რომლის ბრგე აღნაგობა და ზეალებში აელვებული მტკიცე გადაწყვეტილების ცეცხლი ისეთი მტრველი იყო, რომ კომენდანტს სკრიპნიკი გადააიწყდა. „ეს, უბეჭველად ეს იქნება“ — ძლიერ მოასწრო გაფიქრება, რომ წინ ისმაილ ალიევი აესვტა და ცხენით აჭიხინებულმა მოახსენა, რომ პურის ქურდი ის იყო...

კომენდანტი შებრუნდა და მოკლე ბრძანება გასცა: — ყველანი ბარაკებში დააბრუნეთ!

კომბლე

მეკითხებიან ექვით:

რას აკეთებო, ნეტავ?!

— კომბლე ვარ, გლეხის ბიჭი,
მთასა ვგლეჯ, რკინას ვკვნეტავ.

უდრეკი, ვითარც რვალი,
კამკამა ქართულ სისხლის.

არა ყოფილა მხდალი
ჩემი მისხი და მისხი.

გაფურბი დარდის მახრასა
ვეძებ ღიმილის მუშტრებს...

დავდივარ, როგორც მეხრე,
კომბალს ვიქნევ და ვუსტვენ.

კომბლე ვარ, გამჩენს ვლოცავ,
ერთი უბრყვილო ბიჭი.

მაღალმა ღმერთმა მომცა
კომბლების გათლის ნიჭი.

კომბლებს ვთლი ღიმილჩენით,
კომბლებს უდრეკი შგინდის.

მთელი სიცოცხლე ჩემი
კომბლების თლაში მიმდის.

ვთლი. რას ვაკეთებ საწყენს.

ვთლი. მაგრამ ჭერში ვაწყობ.

„თალე და ჭერში აწყე!“ —
მომძახის ჩემი აწყობ.

ვთლი და ვთლი ღიღინ-ღიღინ.
(ხომ არა ვქექავ ნაცარს).

ერთ დიდ სიცოცხლედ მიღირს,
ვაკეთებ, მინდა რასაც.

თან ვზრდი ძმასავით ხბოსა —
წიქარას უმცროს ძმასა.

ციცკრის სხივებით ვმოსავ
იმის ბურცულა რქასა.

ჩვენ არვის ვუშლით არას,
არავისი გვაქვს ვალი.

სამშო ვენახსა ვვალავთ,
სიხარულით ვართ მთვრალი.

და ვუხდით გულის სარქველს,
ვისაც კი კაცი ჰქვიან.

ყველას ჩვენთანს ვარქმევთ
ბედღუგზოსა თუ გზიანს.

და ვუხდით ძმობის ღალას,
სიყვარულით ვართ მთვრალი.

ვისაც შევამჩნევთ ღალატს,
ვაი იმისი ბრალი!

და გამკოჭა ვით არსენა

მე საწუთროს მიტომ ვებრძვი,
არ მაღირსა სულის ღებენა.

რომ წამგვარა ოქროს ვერძი
და გამკოჭა ვით არსენა.

დამატარებს ქუჩა-ქუჩა,
გასაქცევი არსად არი.

ღალატს ბოლო აღარ უჩანს,
დამდეგს ასი ფარსადან.

მენატრება ისევ ტყე და
კაცი სანდო, პურსაქმელი.
მაგრამ დავალ ისევ ტყვედ და
დამდეგს ასი კუჭატნელი.

ჩემთან ოქრო ვინ ახსენა,
ხურდაც არ მაქვს ერთი პეშვი
მხოლოდ ვალი ინახება
(ჩემი) კასპის ერთ დიდ კლდეში.

მე საწუთროს მიტომ ვებრძვი,
არ მაღირსა სულის ღებნა,
რომ გამტაცა ოჭროს ვერძი
და გამკოჭა. ვით არსენა.

არ მაღირსა სულის ღებნა,
არვინ მიღებს გულის კარებს.
ცხენზე შემსვია, ვით არსენა,
ბორკილგაყრილს დამატარებს.



საწუთროვ, ჩემთან მყოფელო

საწუთროვ, ჩემთან მყოფელო
სიკვდილო, გაუხიზნავო.
შე მართლა წუთისოფელო,
შე მართლა ერთო სიზმარო.

დაუნდობელო ავაზავ,
ვეფხვო. კლდის წვერზე მხტომელო.
ქალო, მაცდურო, ლამაზო,
რაინდის სულის მხდომელო.

უცნაურ-მიუწვდომელო.
სიამ-სიავის მშობელო.

ღმერთების გამგეებელო,
ოცნების დამამზობელო.

ვერ გბანე გულის ემბაზში,
ჩემს თავზე მევე ვიციანი.
ვერ გბედნე მე ჩემს ნებაზე,
გამისხლტი ურა-კვიცივით...

სულ ვნატრობ მოხელთებასა
და გაჭენებას ახლიდან,
ჰაი, დედასა, დედასა,
რომ დამხარხარებ მაღლიდან.

ვ ა ლ ი

ბედისმწერელმა, ჩემმა მწყრომელმა
შუბლს დამაწერა „ვალი“.
ვალში ვაჯობე მამას, რომელმაც
ვალით დახუჭა თვალი.

ვალი ზამთარში, ვალი ზაფხულში,
ვალი შინა და გარეთ.
უვალოდ ვიყო თუნდ ერთი წუთი,
ვერა, ვერ მოვაგვარე.

ვალი ყელს მიჭერს თავის მარწუხებს,
ვალი სიცოცხლეს მწველის...
ვალის აჩრდილი ისე მაწუხებს,
როგორც სიკვდილის ცელი...

ვალის სიმწარით სულიც კი მეწვის,
ვალით დავწერე ფიცი...
და საიჭიოს გრძელ ხიდზე ბეწვის
ვალით შევდგები. ვიცი.

და მაინც ფულის ვალი ვერ მომდრეკს,
მაინც არა ვარ მწყრალი...

რადგან კისერზე სხვა ვალი მაწევს,
ვალი, კაცობის ვალი.

ვალი ცოცხალი დედის ცრემლისა,
მამის საფლავის ვალი...
ვალი შვილების, ვალი ცოლისა,
ყველა მოკეთის ვალი.

ვალი მამულის, ვალი დედულის,
ვალი ქართული სიტყვის,
სიტყვის, რომელიც ქვეყანელს
მეგულების
და. მჭერა. მაინც ვიტყვი.

სიყვარულის და სიკეთის ვალი,
ვალი მზისა და მიწის.
ვალი, რომელიც მინათებს თვალებს,
რომლის ცეცხლითაც ვიწვი.

ვიცი, სიკვდილი მეღის წამისად.
ჩემთანაც საცოდაობს...
ღმერთო, მაცოცხლე მხოლოდ ამისად,
რომ ვალი ვაცოტაო!

(ხალხურ კილოზე)

ნუ მომკლავთ, ადრე ნუ მომკლავთ,
ჯავრი მაჭამეთ მტრისაო!
თუ მომკლავთ, კუბო შეკარით
მაგარი. მუხის ხისაო.
ცხრა საუენ მიწა გათხარეთ,
დამმარხეთ იმის ძირსაო.
ზემოდან ლოდი დამადეთ.

ძვრითაც რომ ვერ იძვრისაო,
ზედ დამაწოლეთ დარდები
გასხლტომილ ოცნებისაო,
მიჯაჭვეულ ამირანისა,
ცხრა მთისა და ცხრა ძმისაო, —
თორე კი წამომაყენებს
წყურვილი მამულისაო.

შენ ბევრჯერ გულზე დაგადეს დაშნა

შენ ბევრჯერ გულზე დაგადეს დაშნა,
ბევრჯერ გლოკავდა ცეცხლის ენები.
ბევრჯერ თვალები ცრემლისგან დაშრა,
მაგრამ არასდროს ჩაესვენები.

შენ ვერ დაგწვავენ, თუნდაც იწვოდე,
ვერ აგიკლებენ ასჯზის აკლებით.
დღე დაგაკლდება, მაგრამ იცოდე,
დღეს გაიგრძელებ დღეთა დაკლებით.

დღეს გაიგრძელებ დღეთა მოკლებით,
შენ სისხლისაგან არ დაიცლები...

შენ ვერ მოგკლავენ, შენ ვერ მოკვდები,
მხოლოდ და მხოლოდ გარდაიცვლები.

მერე რაა, თუ გარდაიცვლები,
სხვას რას დაკარგავ, გარდა წვალების.
ზეცის ბინადრად გარდაიქმნები,
გაუკვდავდები გარდაცვალებით.

შენ ბევრჯერ გულზე დაგადეს დაშნა,
ბევრჯერ გლოკავდა ცეცხლის ენები.
ბევრჯერ თვალები ცრემლისგან დაშრა,
მაგრამ ვერასდროს ჩაესვენები.

ჩემს სიმძაფრეში
არის რალაც სასოწარმკვეთი:
თავდაჭერება,
სიამაყე,
ამპარტავნება...

ჩემს სიმშვიდეში
არის რალაც სიკვდილზე მეტი:
უქმარისობა,
ვერდათმენა
და სიყვარული...

ვერ გწვდება თვალი
თვალეები ბრმა,
სხივთა ციაგში როგორ გიხილო...

შენ შეულწევი
მაწამებ ფიქრი...
მე ვერ შევძელი შეცნობა შენი,
რატომ მდინარებ
უჩინარქმნილი...

გრძნობის კარნახით ვაზანზარებ
სამყაროს ბჭეებს —
გეპოტინები,
რომ დავძლიო შენი სიცივე...

და დამორგუნველი შენი სიცხადე —
ვერ უარყვავი ცხოვრება
ჩემი...

უვიცად შობილს ველური ნერვი
მითრთის და მამსხერევს
ბიძგების რიტმით,
ანგრევს

თუ შემოგბედე საყვედური —
რად მომეც ნიჭი,
იქნებ დიდებას ჩემი გულიც
მინებებოდა.

ლოგიკა უსაზღვრო ოვალს —
მზის ჩრდილს —
კოსმოსის მისტიურ ყვავილს...
მე საკუთარი მცნებების მსხვერპლი,

მეცხოვრა მშვიდად
ბოძებულთ,
თვალის ახელით,
მერწმუნა ხსოვნა სინამდვილედ
და რეალობად...

ღრუბლებში მთვარის ცივი ბურუსი,
სარკმელთან ნუშის ყვავილთა
თოვა —
თვალღია სძინავს
გაზაფხულის უთქმელ ტკივილებს —
კვირტებს,
ფეთქებად და სამყაროს
ხილულ სინათლეს
მე ვეწაფები,
მისი სინაზე
მათრობელაა
გაფიქქული ნუშის კისკისი...

ნისლში ტორტმანებს დახუნძლული
ლამპიონებით,
გზაბანეული გემი — ქალაქი,
და გამთენია — სულწასული
ჩვილის ტირილი —
ჰყივის მამალი...

ბასრი კლანჭები — ვარსკვლავები,
ლამეს შეაცვდა,
ჯადოსნურია განახლების ჩემი
სიმღერა —
გული საესეა სიყვარულით
და მოწიწებით...

ვის ახსენდება მიკარგული
ცაზე ფრინველი —

მზე —
უღარდელი მიჯნურის ლანდი,
თან სდევს ჩემ ლტოლვას
არამქვეყნიურს...

ვინ მოიტყუა სიცოცხლით თავი...

უეცრად ქრება კომეტის ბრწყინვა
და ერთგულების ხუნდება დროშა —
გამჭვირვალეა
კრემლების ბროლი...

ეფემერული — სატევრის ელვა,
თვალეებს მიბინდავს ცეცხლის ჩქერები.
ვინ,

ვინ შეიძლო,
მომნუსხველი თვალების წყევლას
გაუძლოს.

გული არ გაუცხოვდეს...

მიმოიქცევა — ცა.
ფიქრობს ჩემზე —

ცა უძრავობით დაფეთებული...
რით მოგაწონო, მითხარი, თავი...

ლ-ს

აღმატები: სევდას,
ბორიას,
მონატრებას და მელანქოლიას —
თავს ველარაფერს ვშველი...

დამუფლებია! განცდა ნეტარი,
ჭიხვინებს სული —
ლურჯი კენტავრი,
სატკივარი მჭირს ძველი...

ელდა დაფერფლავს ათასთა გულებს
შენი თვალებით
და შენ უგნურებს გააცოფებ
და შეშლი...

მე კი ვუმღერებ: შენ ლამაზ სხეულს,
სიცოცხლით თრობას —
სიყვარულს წყეულს,
რომ ვერ ვეხსნები დღემდი...

მზე ილულება...

ბინდის ყვრიმალებს — მწვერვალებს,
ქონავს
- სისხლის ყვავილი...

თავდალწეული ცნებებს საგნები
ნაზ და აბსურდულ
სამოსს იცვამენ...

დამქრალი ვნება — ჰყრია ჩრდილები,
ეხლა
საკუთარ ჩონჩხს გავს
სამყარო...

ცნობიერების ეკრანს გადახევს:
შენი მზერა — ტბაზე თოლია,
გაკრთება,
ლაყვარდს ფრთებს შეატოვებს...

მზე ილულება...

ბინდის ყვრიმალებს — მწვერვალებს,
ქონავს

სისხლის ყვავილი
და ჩემი სული — შუქი გრძნეული,
იწვის შორეულ ღრუბლის
აბრაზე...

მოარულს გული გეთანაღრება,
შიშმორეული იწყებ შენიღბვას.
რად ერიდები მსხვერპლის გაღებას,
უპირისპირე ტკივილს შენი ხმა.

თითქოს შავდება თეთრი ფარდები,
როცა გვეწვევა დელგმა და წვიმა.

ისევ აცივდა... ისევ ავდრები...
განათოშარი ჭალარა გცვივა.

ფერი უცვლია მაცდურს მაცდურად,
ამაოდ ეძებ ნიღაბს შესაფერს...
და დასასრულის არდასასრულად
ტკივილს ტკივილად გარდაეცხე.

გაუცინა ცისარტყელამ
აედრის სიფერმკრთალეს,
უდაბნოში ყვავილს ვხედავ,
არ ვუჯერებ თვალებს.
წვიმს... და უცხო თვალხატულას
ფურისულას ვარქმევ.
ქარით გზათა გადასილვა
შეეწონა ნალველს.

გულში ისე ჩასარკულა,
ვერ ვივიწყებ შვიდფერს...
მაინც ვაცნობ ჭირის უსტარს
ამ ჭირვეულ ფიქრებს.
ახლა მივხვდი, რა ყოფილა
მონატრება წვიმის...
და რად შევხვდი კმაყოფილი
ფურისულას ღიმილს.

როცა სურვილი დაუცხრომელი
სრულყოფისაკენ ილტვის წვალებით,
გეწვევა შიში გაუცხოების, —
თავს გაურბიხარ და იმალები...

მიპყრობს სიჩუმე მიუქარები
და თვალს მარიდებს სახე პარპაშა.
ვპოვე, შევალე ღრიჭო კარები,
მასპინძელს ვუცდი, მაგრამ არა ჩანს.

გავაჩხაკუნე აბედზე კვესი,
ცივი, ბებერი ნაცარი ხვნეშის,
დამფრთხალი ბინდის ცახცახი მესმის...
ჩაკონებია საძირკველს ფესვი.



ზღაპრები და თქმულებები

(ქართული ხალხური ზღაპრებისა და თქმულებების მიხედვით)

„ზღაპარი მინდორთ ქალისა“

უცნაური რამ დაავალა ერთმა, სიმ-
დიდრით განთქმულმა კაცმა თავის
ვაჟს სიკვდილის წინ — ღვთით და
ბედით, ამოდენა სარჩო შემძინია,
შენა, შენი დებიც ფუფუნებაში და
უზრუნველობაში გამიზრდინხართ, ეხლა
ამქვეყნად ჩემი ყოფნის ვადა გავიდა,
ვკვდები, შვილო, და ერთი სურვილი
ამისრულე, მეტს არას გთხოვო: ეს
სამი ცოდვის შვილი, შენი დები, გაათ-
ხოვე, ვინც პირველი მოვიდეს, იმას
მიეცი, — კარგად დაიმახსოვრე, რასაც
გეუბნები — პირველ მთხოვნელს გაა-
ტანე შენი სამივე დაო...

მოკვდა ეს კაცი, დამარხა შვილმა,
როგორც წესი და რიგი იყო, ერთ
მშვენიერ დღეს, გამოეცხადა ვიღაც
უცხო მხედარი, ადრე ის იმ მხარეში
არავის ენახა, და არც აცია, არც აცხე-
ლა, პირდაპირ უთხრა ვაჟს: შენი უფ-
როსი და მე უნდა მომეცე ცოლადო.
ვაჟმა უთხრა, კარგი, გაგატან ჩემს უფ-
როს დას, მაგრამ ვინა ხარ, სადაური
ხარ, ხომ უნდა ვიცოდე. — მე შენთან
არც გვარისა და სახელის სათქმელად
მოვსულვარ და არც სალაპარაკოდ,
თუ მატან ქალს, გამატანე, თუ არა და,
შენც მშვიდობით და მეცაო...

კაცმა იფიქრა, მამაჩემის ანდერძის
დარღვევა გამოვა, რომ არ გავატანოო,
გამოიყვანა თავისი უფროსი და და
ჩააბარა მხედარს, იმან შემოისვა ქალი
ცხენზე და გაქრა...

გავიდა ხანი, მოვიდა სხვა უცნობი
და შუათანა და სთხოვა — არც იმან
გამხილა თავისი ვინაობა — წაიყვანა

ქალი და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ,
მესამე მთხოვნელი მოადგა ვაჟს და
ნაბოლარა დაც წაჰგვარა, ისიც უფრო-
სი სიძეებივით უქმეხი აღმოჩნდა —
არც სახელი უთქვამს თავისი და არც
გვარი.

დარჩა ვაჟი მარტო — შემოეყარა
გულს, იფიქრა: მამა მომიკვდა, დები
ისე გადაეკარგე, რომ მათი ასავალ-და-
სავალიც არ ვიცი, რაღა კაცი ვარ ეხლა
მე, რისი მაქნისი ვარ, რაღაა ჩემი სი-
ცოცხლეო!

ადგა, მიატოვა სახლ-კარი, ერთი
ღრმა და ბნელი ხარო იპოვა და ჩაჯდა
შიგ — არც ჭამს, არც სვამს და არის
თავისთვის — სიკვდილს ელოდებო.
ხალხში ხმა გავარდა, ერთი ახალგაზრ-
და ვაჟი ხაროში ჩამჯდარა და უსმელ-
უქმელობით თავს იკლავსო, გაიგო ეს
ამბავი იმ ქვეყნის ხელმწიფემ, გაჯავრ-
და, როგორ თუ ჩემი ქვეშევრდომმა
თავს ძალით იკლავსო, მე ჯან-ღონით
სავსე ვაჟები მჭირდება ჩემი ჯარისათ-
ვის და არა ხაროში ჩამპლებიო, წად-
ით, ამოიყვანეთ ეგ ვაჟი ხაროდან და
აქ მომგვარეთო...

მოუყვანეს ვაჟი, ხელმწიფეს მოეწ-
ონა მისი სანდომიანი და ნაღვლიანი
სახე, მოუღბა გული და ჰკითხა: რა
იყო მიზეზი, ბნელ ხაროში რატომ
ჩაქექიო? — მამა მყავდა და დავმარხეო,
— უპასუხა ვაჟმა. — სამი და მყავდა
და ისე გადაეკარგე სამივე, ისეთ კაცებს
გავატანე, რომ მათი კვალიც კი არ
ვიცი, საით წავიდნენო. — რა ჰქვით გაა-
ტანე დები გადამთიელ კაცებსაო? —



ჰკითხა ხელმწიფემ. — ჩემი ჰკუთით არ მომიბედენია ეს საქმე, მამაჩემის ანდერძი იყო, ვინც პირველი მოვიდოდა, ულაპარაკოდ იმისთვის უნდა გამეტანებინათ. — თავი იმამდღა ვაქმა — მამ თუ მამაშენის ანდერძი იყო, ტყუილად დარდობ, მამაშენს რომ ჰკუთ არ ჰქონოდა, იმოდენა ქონებას და სარჩოსაბადებელს ვერ შეიძენდაო. ალბათ, იცოდა, რასაც გიბარებდა, თავის დროზე დებსაც ნახვ და სიძეებსაც, გული გაიკეთე, ნუ სწუხარო...

დანიშნა ხელმწიფემ ვაჟი ჯარების უფროსად და დაიყენა გვერდით. ერთხელ ჯარი სანადიროდ იყო გასული, ვაჟიც იქ იყო. შუა მინდორზე უცებ ერთი ქალი დაინახეს — უყურებდნენ და თვალებს არ უჯერებდნენ: ქალი პეპელისავით დაჭყარფატებს ყვავილებს, ხან ერთ ყვავილზე ჩამოჯდება, ხან მეორეზე, ისეთი მსუბუქია, რომ ყვავილები მის ქვეშ არც კი იზნიქებიან, და თან ისეთი ლამაზია, რომ უფრო მშვენიერს ვერც ნახავს კაცის თვალი და ვერც ინატრებს. გაედევნენ ამ ქალს მხედრები დასაჭერად — აფრინდა ქალი, გადაეგლო მხედრებს თავზე და სხვა მინდორზე დაფრინდა, მისდიეს მხედრებმა, გადაიარეს მრავალი მინდორი და ქალს კი ახლოსაც ვერ შეიქარნენ. ამ ქალის დევნაში მხედრებს ცხენები დაუფარდათ, რაღას იზამდნენ, ჩამოეცალნენ მინდორთ ქალს მდევრები, მხოლოდ მხედართუფროსი მისდევს ქალს და ბოლოს იმასაც დაუფარდა ცხენი. გაედევნა ფეხით, მაგრამ რამდენ ხანს ირბენდა? — ძალა გამოეცალა — ჩაიჩოქა მინდორზე და სიმწრისაგან ტირილი დაიწყო... გული რომ მოიოხა, ადგა, გაიხედ-გამოიხედა, შორიანხლო ერთი თეთრი სახლი დაინახა და გაეშურა იმ სახლისაკენ.

— მასპინძელო! — დაიძახა ქიშკართან მისულმა ვაჟმა, გადმოდგა აივანზე დიასახლისი და იცნო ვაჟმა თავისი უფროსი და. დამ ჩაიკრა გულში ღონემიხილი ძმა, ასეა-აქამა, მოასულიერა და ჰკითხა: აქამდე როგორ მოხ-

ვედი, როგორ მომბაგენიო?... ვაჟმა მხო მინდორთ ქალის ამბავი ვეღვი ამ მინდვრამდე და მეტი ვეღარ შეეძელ, ღონე გამომეცალაო... ამასობაში მოვიდა სიძე, ისიც მიესიყვარულა ცოლისძმას. როცა ვაიგო, რომ ვაჟი მინდორთ ქალს იყო ადევნებულო, უთხრა: დაანებე თავიო! დარჩი ჩემთან, ცოლსაც გიშოვი და დაგასაბლებ კადეცაო, მაგ ქალის დაჭერა შეუძლებელია, მეც ბევრი ვდიე, მაგრამ ვერაფერი გავაწყო, ბოლოს შენი და შევირთე და არც ვნანობო, ვცხოვრობ ბედნიერად, ეგ მინდორთ ქალი ერთხელაც არ გამხსენებია, აი, ეხლა, შენ მომავლენე მისი არსებობაო, — არაო, უთხრა ვაჟმა, მე მინდორთ ქალს ვერ დავივიწყებ, ან დავიკვირ, ან მის დევნაში ამომხდება სულიო...

— კარგო, — უპასუხა სიძემ, — რაკი არ იშლი, ერთ წამალს მოგცემ და იქნება რაიმე გეშველოსო, ჩავიდა ბაღში, პატარა ბუჩქთან მივიდა — ბუჩქზე ცხრა წითელი ყვავილი გაშლილიყო, აი, ამ ერთი ყვავილის ნახარში უორმაგებს კაცს ძალასაო, — უთხრა ვაჟს სიძემ. ამ ბუჩქს წელიწადში მხოლოდ ერთი ყვავილი გამოაქვსო, მე ვიდრე დავდევდი მინდორთ ქალს, ყოველ გაზაფხულზე ვსვამდი ამ ყვავილის ნახარშს, ეხლა ხომ ხედავ, ბუჩქზე უკვე ცხრა ყვავილიაო, ცხრა წელი გასულა, რაც შენი და შევირთე და ეს ყვავილი აღარ დამჭირებია, წაიღე, ცხრავე შენი იყოსო...

დალია ვაჟმა ამ ცხრა ყვავილის ნახარში — მირბის და მისდევს მინდორთ ქალს, ძალა არ ელევა, მუხლი არ ელღება, მაგრამ მინდორთ ქალს უფრო მეტი სისწრაფე აქვს და ვერა და ვერ დაიჭირა...

მინდორთ ქალის დევნაში შუათანადის სახლსაც მიადგა ვაჟი, ძალიან ეამათ დასა და სიძეს მისი ნახვა. — დარჩი, აქ იცხოვრე, საქმელი არ მოგაკლდება და საამელი, ცოლსაც შეგერთავ და სახლსაც გაგიმართავო — უთხრა სიძემ, მაგრამ არა ქნა ვაჟმა —



მინდორთ ქალი უნდა დავიჭირო, მე ამქვეყნად სხვა სიამეს არ ვეძებო...
 — რაკი ეგრეა, ერთ წამალს მოგცე-
 მო, — უთხრა სიძემ, ჩაიყვანა ბალში.
 აჩვენა ბუჩქი — ცხრა ცისფერი ყვავი-
 ლი იყო ამ ბუჩქზე — ერთი ასეთი
 ყვავილის ნახარში უორკეცებს კაცს
 სისწრაფეს, წაიღე, ცხრავე შენი
 იყოსო...

დალია ვაჟმა ცისფერი ყვავილების
 ნახარში — მირბის, მისდევს მინდორთ
 ქალს და რო მიეწევა და ხელი უნდა
 სტაცოს, აფრინდება მინდორთ ქალი
 და ჩამოჯდება ხეზე, შეპყურებს ვაჟი
 ქვემოდან, მინდორთ ქალი კი ხიდან
 ჩამოსცქერის ნიშნის მოგებით... მინ-
 დორთ ქალის კვალზე სირბილმა მესა-
 მე დის სახლთან მიიყვანა ვაჟი, ნაბო-
 ლარა დის ქმარმა ცხრა თეთრი ყვავი-
 ლი აჩუქა ვაჟს — ერთი თეთრი ყვავი-
 ლის ნახარში წონას უნახევრებდა კაცს
 — ცხრა ყვავილის ნახარში ისეთი მსუ-
 ბუქი გახადა, რომ, ჰა და ჰა, მინდორთ
 ქალივით შეეძლო ფრენა. გაედევნა
 მინდორთ ქალს, აფრინდა მინდორთ
 ქალი ერთ უშველებელ კაკლის ხეზე
 და აპყვა ვაჟიც...

ქალმა დაინახა, რომ ვაჟს ფრენა
 უსწავლია, მიხვდა, რომ ვეღარ და-
 უსხლტებოდა ხელიდან და არც განძ-
 რეულა — ზის გატრუნული კაკლის
 ტოტზე და ელოდება, როდის ჩაავლებს
 ხელს ვაჟი, ვაჟი ჩამოჯდა მოშორებით
 და უფრო ახლოს მისვლას არ ცდილ-
 თობს — ზის და შეპყურებს ქალს თვა-
 ლებგაბრწყინებული...

ბოლოს ვაჟმა ხმა ამოიღო და ნალვ
 ლიანად უთხრა ქალს: ხომ ხედავ, რა
 შენი დაქვერა შემიძლია, მაგრამ მიყვარ-
 ხარ, შენი დამარცხება და დამორჩილ-
 ება შევებას ვერ მომიტანს, — თუ გული
 საჩემოდ არ გიძგერა, თუ ნებით არ
 წამომყვები, — წადი მშვიდობით შენს
 გზაზე, მე წინ არ გადაგიდგებიო...
 თქვა ეს ვაჟმა და დაუბრუნდა თავისი
 წონა-სიძძიმე, თავი ვეღარ შეიკავა
 ტოტზე და ძირს გადმოეშვა — ხედავს
 ვაჟი, რომ მინდორთ ქალიც ჩამოვარდა
 ტოტიდან და ქვასავით ეშვება მიწისა-
 კენ, ვაჟმა იმარჯვა, წელზე შემოხვია
 ხელები ქალს — მინდორთ ქალიც დამ-
 ძიმებულყო! — ჩვეულებრივ ქალად
 ქცეულიყო! — ვკვდები, მაგრამ ჩემს
 სატრფოსთან ერთად ვკვდებიო, — წა-
 მოიყვარა ვაჟმა, მაღალი იყო კაკლის
 ხე — მის კენწეროდან მიწაზე დანარც-
 ხებას კი, მაინც, სულ რამდენიმე წამი
 სჭირდებოდა. — ის იყო დედამიწას
 უნდა დასცემოდნენ ქალი და ვაჟი, რომ
 ორივენი ღონიერ მკლავებში მოემწყ-
 ვდნენ, გაახილა ვაჟმა თვალი და ხედ-
 ავს, ჭარმაგი მოხუცის მკერდს არის მი-
 ხუტებული ქალთან ერთად: როგორ
 სიძესაც ვთხოვდი, დმერთმა სწორედ
 ისეთი მომცაო, — თქვა ამ მოხუცმა,
 მინდორთ ქალის მამამ, წაიყვანა ქალი
 და ვაჟი თავის სასახლეში, გადასწერა
 ჯვარი, გადაუხადა ქორწილი, გამოემ-
 შვიდობა შვილს, სიძეს, შინაურს, გა-
 რეულს, მოყვარეს, მტერს და თავისი
 ფეხით დაადგა სულეთის გზას...

„ ა მ ი რ ა ნ ი“

ამირანს არც დედა ახსოვდა, არც
 მამა. ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვი
 ყოფილა, დედამისი რომ დევებს გაუ-
 ტაცნიათ, მამა ეომა თურმე მომხდუ-
 რებს, მაგრამ რას გააწყობდა — დე-
 ვებს დაუძლევიათ და მოუკლავთ...

უდედმამოდ დარჩენილი ჩვილი
 ღმერთს შესცოდებია. გამოსცხადებია

მოხუცი კაცის სახით, მოუნათლავს და
 გაუზრდია, ხალხს ამ მოხუცისათვის
 სულკალმაზი შეუტრქმევია და ამირანის
 მამად მიუჩნევია. იმასაც ამბობენ,
 რომ ამირანი დედის გაზრდილია —
 მის დედას დარეჯანი ერქვაო! — ეს
 ტყუილია. როგორც მოგახსენეთ, ამი-

რანის დედა დევებმა გაიტაცეს და რა ბედი ეწია. არავინ იცის...

იმასაც ამბობენ, რომ ამირანს ორი ძმა ჰყავდაო, — არც ეს არის მართალი, უკვე ყმაწვილი იყო ამირანი, როცა მზისა და მთვარის ნათლულები გაიქნო და დაიმეგობრა — ამ კაბუტებს მერე ყველა ამირანია ძმებს ეძახდნენ, მაგრამ სინამდვილეში ესენი ძმობილები იყვნენ ამირანისა და არა ღვიძლი ძმები...

არც ძალ-ღონით და არც გამბედაობით ძმები ამირანს არ ჩამორჩებოდნენ — კარგა ხანს სამივენი ერთად დადიოდნენ და კაბუტობდნენ — აწიოკებდნენ და არბევდნენ დევებს, მაგრამ ამირანი ბოლოს ჩამოსცილდა ძმობილებს და მარტოობა ირჩია ამის მიზეზი, მე მგონი, ის უნდა ყოფილიყო, რომ ამირანის ძმობილები, თუმცა გულადი და შეუპოვარი, მაგრამ ფრთხილი და წინდახედული მეომრები იყვნენ, ამირანი კი ფათერაკიანი კაცი იყო, ძმობილები დღენიდაგ საყვედურობდნენ: ძალით იგდებ თავს ხიფათში, ისეთი რამისთვის გიყვარს თავის გამოდება, რაც შენ არ გეკითხებაო! ამირანი მიხვდა, რომ ვერ იცხოვრებდა ძმობილების კარნახით, იმათი თათბირი ქუეში არ უჭდებოდა და განმარტოვდა...

ძმობილების სიტყვას როგორ გაუწევდა ანგარიშს, როცა ნათლია-ღმერთიც კი არ უძრახავდა ამირანს საქციელს და, რომც დაეძრახა, არც იმას შეეჭუებოდა და მაინც თავისას იზამდა...

თექვსმეტი წლისა იყო ამირანი, როცა ერთი სახელგანთქმული გმირი მოკლეს დევებმა — ხალხი ამ გმირს ბუმბერაზს ეძახდა. ბუმბერაზს არა ერთი და ორი დევთა სოფელი ჰყავდა დამორჩილებული და დამონებული, დიდ ხარკსაც ჰკრეფდა დევთა სოფლებში, გამწარებულმა დევებმა თურმე ბანგინი ღვინო ასვეს ბუმბერაზს და, ბანგინორეულს, რკინის კეტებით გაუქმქვეს თავი... მერე საკუთარი ნამოქმედარისა

შეშინებოდათ დევებს, დაედოთ მკვლარი ბუმბერაზი უზარმაზარ ურემში. ურემი მზის ამოსვლამდე ჩამოეტანათ ბუმბერაზის კოშკის შორიხლო და იქ დაეტოვებინათ, ცალი ფეხი ბუმბერაზს ურბიდან გადმოვარდნილი დარჩენოდა, მთელი გზა, დევთა სოფლიდან კოშკამდე ბუმბერაზის ფეხით იყო მოხუთი, ამ ნაკვალევმა გათქვა დევები, მაგრამ შურისმაძიებელი და სისხლის ამღები არავინ იყო ბუმბერაზის სამკვიდროში. განგებამ ისე ატარა ამირანი, რომ ბუმბერაზის დამარხვის მოწმე გახდა. ბუმბერაზის დედამ სთხოვა ამირანს, ფეხი გაუსწორე მიცვალებულს, ურემზე შედეო. ამირანმა ძვრაც კი ვერ უყო ბუმბერაზის ფეხს — გაცეცხლდა, მივიდა ნათლიასთან და მოსთხოვა, ძალა მომიმატეო! — ღმერთმა მისცა სამი აღიდებელი მდინარისა და სამი ზღვის ძალა და სიმარდე, იარა, ამირანმა ბუმბერაზის ნაფეხურზე, მიუვარდა დევებს, დაარბია მათი სოფლები, დევები ამოხოცა და მათ ნასახლარებზე აღამიანები დაასახლა...

ამირანის ახალშენებს ჩქარა შავი გველეშაპი შემოეჩვია, ამ გველეშაპს ქარცეცხლი ერქვა — მოვარდებოდა, ააწიოკებდა სოფლებს, თავგაჩენილი და ნეკნებჩამტვრეული კაცების გორას დააყენებდა, წაასხამდა ქალებს, წაიღებდა დოვლათს და წავიდოდა...

სხვა გზა არ იყო, უნდა გადაერჩინა ამირანს ეს სოფლები გველეშაპის ხარკისაგან, გველეშაპი ზღვაში ცხოვრობდა, ამოვიდოდა ხოლმე ზღვიდან, დაჭედებოდა ერთ დიდ კლდეზე და მატყლიაგან ძაფს ართავდა — თითისტარად ნაძვის ხე ჰქონდა, ჯარად წისქვილის ქვა. ეს იყო მისი გასართობი, როცა ესეც მოსწყინდებოდა, დააღებდა პირს და მზეს ჩაყლაპავდა, მზე იმას სათამაშო ბურთად ჰქონდა გახდილი, ქვეყანა კი ბნელდებოდა, როცა გაითბობდა მზით მუცელს, დაირტყამდა ფაშვზე ხელს — ამოვარდებოდა მზე და თავის ადგილას დაეკიდებოდა ნირწამხდარი და შეშინებულნი...

შემოუარა ამირანმა გველეშაპის კლდეს, იპოვა ბილიკი და მიჰყვა ამ ბილიკს, დაინახა ამირანი გველეშაპმა, დასტაცა ხელი და ჩაყლაპა. ჩაყლაპა, მაგრამ ვერ მოინელა — ასტივებდა მუცელი და ჩაწვა ზღვაში, თუმცა ზღვარას უშველიდა, ამირანი შიგნიდან უფატრავდა მუცელს აღმასის დანთ, გამომძვრა ამირანი ვაჭრილი მუცლიდან და ნაპირისაკენ გამოსცურა, გაშავდა ზღვა გველეშაპის სისხლისაგან — მას აქეთ შავ ზღვას უწოდებს ამ ზღვას ხალხი! — მოიქნია მომავლადემა გველეშაპმა კული, ამირანის ჩათრევა უნდოდა ზღვაში, მაგრამ ძალა გამოცლილი ჰქონდა, ფეხიც კი ვერ მოაცვლევინა ამირანს ნაპირიდან. ამირანმა გადმოსძახა: ჯერ ძვალი გაგეზომე და ხორცი მერე ჩაგეყლაპო!

გველეშაპის სიკვდილის მერე ამოისუნთქა ხალხმა — დევები ადრეც ვედარას ერჩოდნენ ადამიანებს ამირანის შიშით და გველეშაპის დამარცხების შემდეგ კი სულ აიკრიბეს გუნდა-ნაბადი და მთების იქით გადაიკარგნენ. ამირანმა გაზარდა ერთი ორბის ნაშობი ლეკვი, ფინია დაარქვე და ნადირობას მიჰყო ხელი. ფინიას ორბის ფრთები ჰქონდა გამოყოლილი და ძალიან ეხმარებოდა პატრონს ნადირის ტყიდან გამოტრეკვაში. ერთ ზამთარს ფინიამ შეველი გამოდევნა ფიქვენარიდან, ამირანმა ესროლა ისარი და სასიკვდილოდ დასჭრა შეველი, ახლოს რო მივიდა, დიდხანს უყურა სულთმობრძავ შეველს და ისე შეეცოდა ეს ლამაზი ცხოველი, რომ ნადირობა შეიძულა... ის ზამთარი მოწყენილობაში გაატარა, გაზაფხულზე კი ნათლიას გამოუცხადა, ცოლი უნდა შევირთო! — ღმერთმა დიდად გაიზარა, მაგრამ როცა გაიგო, რომ ამირანს ღრუბელთ ბატონის ქალის, ყამარის შერთვა უნდოდა, წარბი შეჰკრა: დღესვე მოგგვრიდი მაგ ქალს, მაგრამ ყამარი ცოლობას ვერ გაგიწევია, საშენო ქალი არ არისო...

— ყამარი უნდა შევირთო, მე სხვა

ცოლი არ მინდაო, — გაჟიუტდა ამირანი...

— ეგ ქალი ისეთი კერპი და თავნებაა, რომ დედ-მამამ და ძმებმაც ვერ იგუეს — კოშკში ჰყავთ დამწყვდეულიო! — უთხრა ღმერთმა ამირანს...

— გველეშაპს მოვერიე, დევები დავიმორჩილე და ერთ ქალს ველარ მოვათვინიერებო? — გაიკვირვა ამირანმა.

— თავნება ქალის მომრევი კაცი მე ჯერ არ გამიჩენიაო, — უბასუხა ღმერთმა...

არ გაიგონა ამირანმა ღმერთის სიტყვა და მოიტაცა ყამარი. ყამარი ბროლის კოშკში იჯდა — ეს კოშკი ცაზე იყო ჩამოკიდებული ჭაჭვებით. დაჰკრა ამირანმა ხმალი ჭაჭვებს — დაწყვიტა, კოშკი ჩამოვარდა მიწაზე და დაიმსხვრა. წამოიყვანა ქალი, აწკრილდნენ კოშკის ნამსხვერვები, ღრუბელთ ბატონს აუწყეს: შენი ქალი ამირანმა მოიტაცაო. დაედევნა ღრუბელთ ბატონი თავის ლაშქრით ამირანს, დაუწია, მაგრამ თავი წააგო. ყამარმა ბროლის კოშკში ყოფნას ამირანის ცოლობა არჩია — მისცა ქმარს მამის სამკედლოში ნაწრთობი ხმალი. ამ ხმლით გაუბო ამირანმა მუზარადიანი თავი ღრუბელთ ბატონს და მისი ლაშქარიც უკუაქცია...

შეირთო ამირანმა ღრუბელთ ბატონის ქალი. მაგრამ აღსრულდა ღმერთის სიტყვა — ვერ მორიგდნენ ამირანი და ყამარი, რა ექნა ამირანს, საკუთარ ცოლს ხომ არ მოკლავდა? წავიდა სახლიდან და ჩაჯდა საბნელოში — მღვიმეში დაიწყო ცხოვრება.

ყამარს ცაში არ აესვლებოდა, ძმები აუცილებლად მოჰკლავდნენ, დარჩა დედამიწაზე და ხელი მიჰყო სამკედლოების მოწყობასა და საომარი საქურგლის წრთობას. ამირანისა და ყამარის განხეთქილების მიზეზი სწორედ სამკედლო იყო — ყამარმა თავდაპირველად ერთი პატარა სამკედლო მოაწყო ამირანის სახლში და მსახურებმკედლობა ასწავლა, იმ დროს ამ საქმეს მხოლოდ დევები მისდევდნენ, ადა

მიანებმა ამ ხელობის საიდუმლოება
არ იცოდნენ ამირანი და ადრე, სხვა
გამორბეც, ძალით ართმევდნენ დევებს
საბრძოლო იარაღს და სხვა საჭირო
რკინის ნივთებსაც. ამირანს სახლი სავ-
სე ჰქონდა საჭურვლით, მაგრამ იარაღს
ის მხოლოდ ღირსეულ ვაჟაკებს აძ-
ლევდა. თუ ურიგო კაცი ხმაღს ან
შუბს ხელში ჩაივლებდა, ამირანი მიუ-
ხტებოდა და წაართმევდა. ყამარის პა-
ტარა სამჭედლოში კი იმდენი იარაღი
დაგროვდა, რომ მჭედლებმა ჩუმად
ვაჭრობაც კი დაიწყეს და ხმლისა
და სატევრის ყიდვა უკვე ყველას
შეეძლო ერთ ბატკნად ან ორ ინ-
დაურად... ვერა და ვერ მოაშლევინა
ამირანმა ყამარს ეს სამჭედლო,
ბოლოს დაუხოცა მჭედლები, მაგ-
რამ ყამარმა სხვებს ასწავლა ხელობა.
ეხლა იჯდა მღვიმეში გამწყრალი ამირა-
ნი, ყამარმა კი ახალი სამჭედლოები გა-
მართა და მისი გაწვრთნილი მჭედლები
მთელ დედამიწაა მოეფინნენ — იჯდა
და ითმენდა ამ ამბავს ამირანი, მაგრამ
წელიწადში ერთხელ, სწორედ იმ დღეს,
როცა მჭედლები ყამარის სადიდებლად
ცის დღეს ზეიმობდნენ, გამოვიდოდა
ხოლმე მღვიმიდან, დაეროდა მჭედ-
ლებს და გაუუჟავდა... მაგრამ ყველას
ხომ ვერ მოკლავდა — მჭედლობა სარ-
ფიანი საქმე იყო — გადარჩენილ მჭედ-
ლებს შეგირდები ეტანებოდნენ, სწავ-
ლობდნენ ხელობას და სულ ჩქარა
მჭედლები ისევ მრავლდებოდნენ...
ამირანი მიხვდა, რომ მჭედლები მოს-
პობას ერთი სიცოცხლე არ ეყოფოდა,
მივიდა ღმერთთან და უკვდავება მოს-
თხოვა...

— შენ უკვდავი ხარო. — უთხრა
ღმერთმა. — მე დიდი ხანია მოგანიჭე
უკვდავებაო. მაგრამ მჭედლებს მაინც
ვერ გაწვევტო... ან, კაცმა რო თქვას,
რას ერჩი მაგ მჭედლებსო?

— როგორ თუ რას ვერჩიო! ვერა
ხედავ, ყველამ იარაღი აისხა — კეთილ-
მაც და ბოროტმაც, — იმოდენა ხალხი
იხოცება, რომ ლამის არის, აყროლდეს
დედამიწაო!..

— განა ქვითა და კეტით ცოტა ხალ-
ხი იხოცებოდაო?

— ეხლა უფრო მეტი იხოცებაო! —
გაჩქიდა ამირანი.

— ეჰ, ამირან, — უთხრა ღმერთმა,
— განათლავ, განათლავ და ვერ გაგანათ-
ლეო; ვერა და ვერ მოვფინე შენს გო-
ნებას ნათელიო, — ადამიანი მზიან-
ჩრდილიანია! — შეიგნე, ბოლოს და ბო-
ლოს, რომ სიკეთე და ბოროტება ცალ-
ცალკე კი არა, ერთად დადიან. — ერთ
კაცში არიან ჩაბუდებულნიო — ადამია-
ნი ჩემი შექმნილია, მე კი ერთი ახირე-
ბული მოხუცი ვარ, რაც თავი მახსოვს,
საკუთარ თავს ვებრძვი, რადგან მეტოქე
არა მყავსო...

— შენ რაც გინდა, ის აუტეხე სა-
კუთარ თავს, ადამიანი კი, თუ შეგიძ-
ლია, გადააკეთეო. — უთხრა ამირანმა. —
არ მომწონს მე მზიან-ჩრდილიანი ადა-
მიანი, ჩრდილი მოაშორე — მზიანი
გახადეო...

— ეგ რომ გავაკეთო, ადამიანი თაფ-
ლისკვერად იქცევა და საკუთარი სიტყ-
ბო გაბრწინს და დააღობსო, — უბა-
სუხა ღმერთმა, — მაგრამ მთავარი ის
არის, რომ მე არაფრის შეცვლა აღარ
შემიძლია, — აღარც კი მახსოვს, ეს
სამყარო, დედამიწა და ადამიანი რო-
გორ შევქმენიო...

— მაშ, შენ ღმერთი არა ყოფილხა-
რო! — შეპყვირა ამირანმა, — მაშ, შენ-
სა და ჩემს შორის რაღა განსხვავებააო?
აღე, დამეკიდე და ნახე, თუ ლავაშივით
მიწას არ გაგაკრიაო...

ამის თქმა იყო და, გონება წაერთვა
ამირანს, — როცა გონს მოვიდა, დაინა-
ხა, რომ კავკასიონის ქედზეა — ვერ კი
მიხვდა, სად, რომელ ადგილას — რთხ-
სავე მხარეს თოვლიანი მთები იყო და
ვერც ერთ ნაცნობ მწვერვალს ვერ მოჰ-
კრა თვალი. ხელ-ფეხი რკინის სალტე-
ებით ჰქონდა შეკრული, წელზე რკინის
ქაშირი ერტყა, ქაშარს გამობმული
ჰქონდა ჯაჭვი, ამ ჯაჭვის ბოლო ვეებერ-
თელა მყინვარში იყო ჩაყინული და ჩა-
კარგული, ტანმა უგრძნო ამირანს, რომ
ჯაჭვის გაწვევტა შეუძლებელი იყო.



გაეღობა, როცა დაინახა, რომ ჯაჭვის ერთ რგოლს გამალეებით ლოკავდა ფინია... მას მერე ფინია არა სცილდება ჯაჭვს, დღე და ღამე ლოკავს — წლიდან წლამდე ისე აწვრილებს, რომ საცაა უნდა გაწყდეს კიდევ ჯაჭვი, მაგრამ სწორედ იმ დღეს, ყველა მკედელი, ერთსა და იმავე დროს, სამ-სამჯერ

დაპკრავს გრდემლს კვერს და ჯაჭვი ისევ მსხვილდება...

ეხლაც იქ არის ამირანი — ისევ მიჯაჭვულია — უკვდავია ღმერთივით, დრო და უამი ვერ ერევა, მაგრამ ეგ არის რომ, ჯაჭვი ვერ გაუწყვეტია. რას ფიქრობს? — შერჩა კიდევ ფიქრის უნარი? — ეს არავინ იცის...

„ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა“

ნაცარქექია თვითონ ვერ გეტყვოდათ თავის ნამდვილ სახელს — რაც თავი ახსოვდა, ყველა ნაცარქექიას ეძახდა...

ნაცარქექია დიდედის გაზრდილი იყო — იმისი ხმა ეხლაც ყურში ედგა, მაგრამ დიდედა სულ ეალერსებოდა: ჩემო ოქროს ბიჭოო! ჩემო ახლო მთვარეო! ჩემო ობოლო მარგალიტოო! — ნამდვილ სახელს არასოდეს ეტყოდა...

ნაცარქექიას ორი ძმა ჰყავდა — თვითონ ნაბოლარა იყო, უფროსმა ძმამ ადრე მოიყვანა ცოლი, უკვე წვრილშვილიანი იყო, შუათანა ძმა ცოლის შესართავად ემზადებოდა, წელეებზე ფეხს იდგამდა, მუშაობდა — კაბიკს კაბიკზე აწებებდა, ქონებას აგროვებდა, რომ ძმებს გაპყროდა და მათზე უკეთესად ეცხოვრა...

რძალი, უფროსი ძმის ცოლი, კაპასა არ იყო, მაგრამ ნაცარქექია აითვალწუნა, ყველაზე მეტი სარგებლობა კი ნაცარქექიასაგან სწორედ ამ უგუნურ ქალსა ჰქონდა — მთელი დღე ძმისწულეებს ართობდა და ამზიარულებდა ნაცარქექია — ცხოველებსა და ყვავილებს უხატავდა ჩხირით ნაცარში, ზღაპრებს უყვებოდა, მეტი რა უნდოდა, ნეტავ, ბავშვების დედას, შვილები უმცროსი მახლის ანაბარა ჰყავდა დატოვებული, თვითონ ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა — მაინც ვერ იგუა ნაცარქექია, აუტყდა, აუხიბდა და, იმდენი ქნა, რო იმებსაც შეაძულა...

— ადექი, მიდექ-მოდექი, ოჯახში რამე შემოიტანეო. — დაუწყეს ძმებმა

ჩხუბი ნაცარქექიას. — საქმეს მოჰკიდე ხელი, თორემ გააგადებო, ყოველდღე ჩასჩიჩინებდა უფროსი ძმა — ცოლის სიტყვებს იმეორებდა ეს ბედოვლათი. — თვალეები სადა ჰქონდა, ვითომ ბავშვების მწყემსვა, აღზრდა-განათლება საქმე არ იყო?! — მაგრამ ერთხელ რომ ამ კუთაზე დადგა, დაუბნელდა გონება და შეაქცია სამართალს ზურგი!

ერთ მშვენიერ დღეს უფროსმა ძმამ ნაცარქექიას მისცა ნაცრით სავესე გულა, სადგისი, ერთი წველა ჰყინტი ყველი და სახლიდან გააგდო — წადი, დაიკარგე, ეს არის შენი წილი დედამის ოჯახიდან, სხვა არაფერი გერგებო, შუათანა ძმა გაიტრუნა, თვალნათლივ დაინახა, რომ უფროსი ძმა ატყუებდა ნაცარქექიას, მაგრამ არ გამოესარჩლა — იფიქრა, სახლში მეტი ქონება დარჩება და, როცა მე ოჯახს გამოვეყოფი, ნაცარქექიას წილსაც ორად გავიყოფთ, მე ჩემი უფროსი ძმა ვერ მომატყუებსო...

ნაცარქექია ბრიყვი კი არ იყო, ხედავდა ძმების უსამართლობასა და უგუნურობას, მაგრამ ხმა არ ამოიღო, თვითონ არ იცინა, რასაც სჩადიანო! — დაამშვიდა ატირებული ძმისწულეები, ტკბილად გამოემშვიდობა მათ და წავიდა...

იარა, იარა სახლიდან გაგდებულმა ნაცარქექიამ და მიადგა ერთ მდინარეს. წყალგაღმა იჯდა უზარმაზარი დევი და გრილდებოდა.

— ჰეი! მანდ რომელი ხარ? აქ მოდი.



მხალზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, ფეხის დასველება მეზარებაო! — დიდ-გულად გასძახა დევს ნაცარქექიამ.

დეგმა გამოხედა და გაკვირვებით ჰკითხა:

— ვინა ხარ, რა სულიერი, რომ მაგას მიბედავო!

— მე შენ გიჩვენებ, ვინცა ვარ, რომ არ მეგბრალეობდე, შე ბრიყვო, შენა! გინდა გაჩვენო ჩემი ძალა?

— მინდაო! — უხალისოდ გაღმოსძახა დევმა, — ის უბედური უკვე დამფრთხალი და დაბნეული იყო...

— აბა, შენ მანდ აიღე ერთი ქვა, მეც აქ დავწვდები მეორეს, მოვუჭიროთ ხელი და, ვინც წვეს გამოადენს, კაციც ის იქნება და წვერ-ულვაშიც იმას ესხმისო!

აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფშვნა. დაიხარა ძირს ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო კალათიდან ყველი, მოუჭირა ხელი და სულ წურწურით გააღინა წვენი...

გაუკვირდა დევს, ეს ვინ ყოფილაო, ეახლა მორჩილად ნაცარქექიას და შეისვა მხარზე.. შუამღე რომ შევიდნენ წყალში, დევმა ჰკითხა:

— ასეთი დიდი ძალის პატრონი ასე მჩატე რატომა ხარო?

ნაცარქექიამ უპასუხა: შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგას აღარ წამოროშავდიო, უჩინარის ბაწრით ცაზე რომ არ ვიყო მიბმული და იქ არ მიჭერდენ, ქვესკნელში ჩავიტანდიო, ეხლა ვიტყვი, ცოტათი შემიშვან ხელი და ნახვ. რა მოგივიაო! — ამოიღო ნა-

ცარქექიამ უბიდან სადგისი, დაქვე დევს კისერზე..

— ვაიმე! ვაიმე! ნუ! ნუ, შენი ჰირი-მე! უბრძანე, რომ ისევ ავწიონო, — შეეხვეწა დევი და ნაცარქექიამაც ამოაძრო სადგისი.

დარწმუნდა დევი, რომ ნაცარქექია მართლა საშინელი სულიერი იყო და მიიწვია თავის სახლში. დიდი პატივი სცა, ვახშობის დროს დევმა ცხვირი დააცემინა, დევს ცხვირიდან წამოსულმა ჰაერმა ნაცარქექია აიტაცა და სხვენზე შეაგდო. ნაცარქექიამ კოკს დაუწყაო ბლაუჭი.

— მანდ რას შერებო? — ჰკითხა დევმა...

— ვისთან გაბედე შენ ცხვირის დაცემინებაო! ამ ჩხირს ავიღებ, დაგკრავ და სულს გაგაფრთხობინებო!

დეგმა იფიქრა: ეს ვინ ყოფილა, მე ძლივს გავუდევნი ეს უშველებელი კოჭი და ეს კი, ჩხირს ეძახისო, — დაჰკრა ფეხი, გავარდა კარში და ცხრა მთას იქით გადაიკარგა...

დევის ავლადიდება ნაცარქექიას დარჩა, წაუღო ძმებს და უთხრა:

— აბა, ბატონო, მივდექ-მოვდექი და სახლში ქონება შემოვიტანეო, — მერე დაჯდა ისევ კერიასთან, შემოსხა ძმისწულები და დაიწყაო ნაცრის ქება — იმას არც ქონება უნდოდა, არც სიმდიდრე, — ოცნება და საოცნებო სურათების ნაცარში ხატვა ყველაფერს ერჩივნა...

უფროსმა ძმამ და შუათანამ კინა-ღამ დაკლეს ერთმანეთი, როცა ნაცარქექიას ნაშოვნ დოვლათს იყოფდნენ..

„თ ე თ რ ი ბ ი ო რ ბ ი“

ერთხელ მზე, მთვარე და ღრუბელთ ბატონი დედამიწაზე ჩამოვიდნენ — ცაზე სრიალს დაჩვეულები ჩქარა მოიღალნენ ხმელ მიწაზე სიარულისაგან, ჩამოსხდნენ დასასვენებლად და პურის საკმეალად.

იქვე, ახლოს, მეცხვარე ცხვრის ფა-

რას აძოვებდა, მიუგზავნეს ღრუბელთ ბატონი მეცხვარეს, სადილად ერთი ბატკანი მოგვეციო. მივიდა ღრუბელთ ბატონი მეცხვარესთან და უთხრა:

— კეთილო კაციო, ერთი ბატკანი მაჩუქეო.

— თუნდ ნახევარი ფარა მიირთვი,



ოღონდ მითხარი, ვინა ხარო, — უპასუხა მეცხვარემ.

— მე ღრუბელთ ბატონი ვარ, პურის მოსავალს მე გაძლევთ, თქვენა ყანებს წვიმას ვუზღავნი. გლეხკაცის ჭირნახულს მფარველობას ვუწევო...

— ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით თავს გაგიტეხავდიო! — უთხრა მეცხვარემ.

— რადა ხარ ჩემზე გულმოსულიო? — ჰკითხა ღრუბელთ ბატონმა.

— იმად რო, დასთესავს პურს საწყალი გლეხი, გაახარება ვაზს, შვილივით გაზრდის და შენ კი მისდგები, ყანასაც და ვენახსაც სულ სეტყვით ჩაულეწავო...

დაბრუნდა გაწვილებული ღრუბელთ ბატონი — უამბო მზეს და მთვარეს. რაც მეცხვარემ უთხრა...

ადგა მზე, მივიდა მეცხვარესთან და ათხოვა ბატკანი.

— თუნდ ნახევარი ფარა ინებე, ოღონდ კი მითხარი, ვინა ხარო, — უთხრა მეცხვარემ.

— მე მზე ვარ! მე ვარ, რომ სინათლესა ვვენ დედამიწას, ვათბობ და ძალას ვაძლევ სულდგმულსაო, ტყესა და ხეხილსაო...

— ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი, ამ კომბლით თავს გაგიტეხავდიო! — თქვა მეცხვარემ.

— რას მერჩი, რა დაგიშავო? — ჰკითხა გაკვირვებულმა მზემ...

— იმას გერჩი, რომ მოიყვანს საწყალი გლეხი პურია ყანაა, შენ კი გაუხმობ, მოედები ცეცხლივით და დაუწევავო. სხვა ცოდვებიცა გაქვს. მაგრამ ესეც კმარა შენი ცვირ-პირის ჩასაღწევადაო...

გამოტრიალდა მზე ცარიელ-ტარიელი, მიდი. იქნებ შენმა იღბალმა გაჭრასო, — უთხრა მთვარეს.

მივიდა მთვარე მეცხვარესთან. მეცხვარე რომ შეეკითხა, ვინა ხარო, მთვარემ უპასუხა:

— მე ისა ვარ, ბნელ ღამეს რომ გინათებთო...

— მაშ, შენ თეთრი გიორგი ყოფილხარ! შენა ხარ ჩემი ღმერთი — მთელს ფარა მომირთმევიაო! — შესძახა მეცხვარემ და მთვარის წინაშე მუხლი მოიყარა.

— მე თეთრი გიორგი კი არა, მთვარე ვარო! — უთხრა მთვარემ.

— მთვარე ხარ! სწორედ რომ მთვარე ხარ — ჩემი ღმერთი, ხატი და აალოცავი, ამ მხარეში სიყვარულით თეთრ გიორგის გეძახიანო...

წაიყვანა ერთი ბატკანი მთვარემ, გაუმასპინძლდა მზეს და ღრუბელთ ბატონს, თვითონაც ისადილა და როცა დანაყრბულმა მზემ და ღრუბელთ ბატონმა ძილს მისცეს თავი, მიუბრუნდა მეცხვარეს და ჰკითხა:

— მაინც რის გამო მიცანი ღმერთად, მე მზეს ან ღრუბელთ ბატონს რითი ვჯობივარო?

— მარტო მე კი არა, მთელი ჩემი ხალხი გცნობს ღმერთად, ქრისტემდეც და ქრისტეს აქეთაც შენა ხარ ჩვენი მთავარი ხატი და სალოცავიო...

— თეთრი გიორგი როდისღა შემარქვითო? — ჰკითხა მთვარემ.

— ეგ შენი ბოლო სახელია, ადრე სხვა სახელებიც გქონია, მაგრამ დავივიწყეთო, თეთრი გიორგი როდის შეგარქვით, არ ვიცი, ტყუილს ვერ გეტყვიო...

— ეხლა ეს მითხარი, რითი ვჯობივარ მზესა და ღრუბელთ ბატონსაო, — გაუმორა შეკითხვა მთვარემ.

— მზეს აბა როგორ შეგადაროო, — უთხრა მეცხვარემ. — მზე მხოლოდ კეკლუცი და ლამაზი ქალია, არც მეტი და არც ნაკლები, — ერთი ხელით მოგიალურსებს და მეორეთი სილაა გააწნავსო... ღრუბელთ ბატონი, ხომ სახსენებელიც არ არის შენთანაო, — ეგ რა კაცია, ხან წვიმად მოდის, ხან თოვლად, ხან სეტყვად — ერთ კვირაში ცხრა პარასკევი აქვსო...

— ღრუბელთ ბატონს რომ ვჯობივარ, ამას კიდევ დაგიჭერებ, მაგრამ მზეზე მეტად სათაყვანო რადა ვარ, მაინც ვერ გავიგეო, — თქვა მთვარემ...



მაშ. კარგი. უფრო დალაგებით
 გეტყვიო, — უთხრა მეცხვარემ. — მზე
 რომ ლამაზი ქალივით მუხთალია. ეს
 ხომ უკვე გითხარიო. — გაგათბობა,
 წელში გაგშლის. გაგალაღებს და მერე
 კი სიცხით სულს ამოგბდის. ჩამოგად-
 ნობს. დაგწევას. დაგზრუკავსო. მზის
 სინათლეზე ადამიანი ფარისეველი ხდე-
 ბა. უფრო კარგი და ლამაზი უნდა რომ
 მოჩანდეს სხვის თვალში. ვიდრე არი-
 სო, საკუთარ ბუნებას დალატობს, სხვის
 აზრსა და გემოვნებას ემორჩილება,
 ემონება. ეს კი აჩიავებს და აუბედუ-
 რებსო, — მზე ამოდის, თვალს გვტა-
 ცებს, გულს გვიკეთებს და ბოლოს კი
 იმედგაცრუებულს გვტოვებსო, —
 ზამთარში სიცივისაგან ვერ გვიფარავს
 და ზაფხულში კი სიმხურვალით გვა-
 წამებსო, — შენ, შენ კიდევ სულ სხვა
 ხარო, მხოლოდ სიამე მოგაქვს ადამი-
 ანისათვის და ჭერ არავინ შეგიწუხებია,
 არავინ გაგიწბილებიაო, — შენი სინათ-
 ლე სულს ატკობბა და გულს ამშვი-
 დებსო, — შენი შემწეობით აზროვნებს
 კაცი, შენი კარნახით თხზავს ლექსებს

და სიმღერებსო, შენს ქვეშ კაცობის
 ვისი თავისა არა სცხვენიაო, თავის ბუ-
 ნებას არის მინდობილი და ამიტომ
 ბედნიერიაო, ადამიანი შენ არ გერიდე-
 ბა, გრძნობს, რომ გიყვარს და გეცოდე-
 ბა და შენი ამოსვლის შემდეგ თავი-
 სუფლად ამოისუნთქებს ხოლმეო, შენ-
 ით უდვას კაცობრიობას სულიო, შენ
 აძლევ შეილოსნობის ნიქს ჩვენს ქა-
 ლებსაო, ჩვენთვის შენს დღეობაზე
 უფრო ბედნიერი დღე არ არსებობსო.
 თოთხმეტ აგვისტოს, მწუხრის დროს,
 ვიწყებთ ლოცვას და მზის ამოსვლამ-
 დე თაყვანს გცემთ — მზის ამოსვლის
 მერე კი ვუბრუნდებით წერილმან საქ-
 მებსა და უდღეურ ფიქრებს, ჩვენც
 ვიტანჯებით, სხვასაც ვტანჯავთ და შენ
 რომ არ მოდიოდე თავის დროზე და არ
 გვამშვიდებდე, ტანჯვაში ამოგვხვდე-
 ბოდა სულიო...

მეცხვარის ხმამ გამოაღვიძა მზე და
 ღრუბელთ ბატონი. თეთრი გიორგი
 დაემშვიდობა მეცხვარეს და თავის
 მგზავრებთან ერთად თვალს მიეთვარა...





მწერალ ავთანდილ მიგრელიშვილს დაბადების 50 წელი შე-
ესრულდა. „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ
თარიღს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

გაზაფხული ჩემს სოფელში

მთა, კორტოხი, ბარი, ახო...
ერთმანეთთან არის ახლოს.
აქეთ ტყეა აქოჩრილი,
ისმის ფოთლის შარიშური.
დგას ტყემალი ქალწულივით,
გეგონებათ დანიშნული.
მინდორ-სათიბს ვარცხნის ქარი,
არცთუ ისე ბობოქარი.
მწვანე ფერი მეფობს ირგვლივ,
ჭიკჭიკს ვისმენთ წარამარა.

ვარდ-ყვავილის სურნელებით,
გაქლენთილა არემარე.
გზა საურმე, საცალფეხო,
მისდევს ვაკეს, მთას თუ ბექობს.
დაბლა ღელე მორაკრაკებს,
აქა-იქა წინწკლავს წყაროც.
დედასავით მიმზერს სახლი,
მშობლიური, სანეტარო.
გაბადრულა მრავალ ფერში
გაზაფხული ჩემს სოფელში.

მიუვარს დედის გახარება

განა როგორც ზურიკელა,
საწოლის ქვეშ დავიმალე?
ონკანს თვითონ მივაღეჭი,
პირი საპნით დავიბანე,
კბილებიც მე გავიხეხე.
არ მჭირდება დახმარება.

ტანსაცმელსაც თვითონ ვიცვამ,
მიუვარს დედის გახარება!
ყველა დილას ასე ვხვდები,
ვდგები მკვირცხლად, ადრიანად.
შემდეგ სუფრას მივუჯდები.
ვილუკმები მადიანად!

ზაზა სოფელში ისვენებს

ზაზა სოფელში ისვენებს,
კახეთი შავ ზღვას არჩია.
ზვრიანს და ალაზნიანსა
ცივგომბორი აქვს არშიად.
ხან მინდვრად გაინავარდებს,
ხან ზვარში მისდევს პაპასა.
მთაშიაც ჰყავდათ მწყემსებთან,
იქ ერთი ცხვარი გაპარსა.
იმ ცხვრის მატყლი რომ აჩუქეს,
წინდებს მოუქსოვს ბებია:

რაც თავი ახსოვს, ასეთი
სიხარული არ რგებია.
ტოლებთან ფეხბურთს თამაშობს,
ალაზანშიაც ბანაობს.
ეზოში საქანელა აქვს
და აღმა-დღმა ქანაობს...
მალე თბილისში ჩამოვა,
სადაც სამი თვე არ ჩანდა.
ბროლივით თეთრი იყო და,
ვერ იცნობთ, ისე გაშავდა.

ბოჩოლა და ბუჯები

ლამაზი და ქოჩორა
ეზოში წევს ბოჩოლა.
დაიბრიყვეს ბუჯებმა,
დაწოლილს ეხვევიან.
საწყალს კუდის მოქნევაც

ვერ მოუხერხებია.
მიეშველენ ბავშვები...
თან ჩასძახეს სიცილით;
— უთხარი, რომ გასწავლას
ღელამ კუდის ქიციანი!



დონ უჟანი

საბარაკო ამბავი, რაც თავს გადახდა ირთ მოხიბვლილ ინთუზიანტს

ტპილი ძილი ზარის უსაშველო რეკვამ და-
მიფრთხო, რასაც ხამადალი ძახილიც მო-
ჰყვა: „წარმოდგენა იწყება!“ ამას კონტრაბასე-
ბის ამაზრუნე ღრიალი, დაფაფების ჭეკა და
ბუკის ხმებიც დაემატა. პობოს მკვეთრად გა-
ბმულმა ლამა და ორკესტრში ახლახან ჩართუ-
ლმა ვიოლინოთა ხმაურმა ხომ ლამის ყურთა-
სმენა წაიღო. ერთბაშად გონს ვერ მოვეგე. თვა-
ლები მოვიფშვინე. გავიფიქრე, წუხელ ეშმაკი
ხომ არ შემიჩნდა მთვარის და აქ მომათრია-მე-
თქი. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ნამდვილად
სასტუმროს ოთახში ვიყავ, სადაც გუშინ სალა-
შო ხანს დავინახე მგზავრობისაგან ქანცაწ-
ყვტილი. ხელი წავავლე ზარის საბეღს, რო-
მლის ზორბა ფოჩი ცხვირის მკეიდა, მაგრად
მოვქაჩე და მსახურიც უმალ ჩემთან გაჩნდა.

„მითხარით, ღვთის გულისათვის, რას ნიშნავს
ეს აუტანელი მუსიკა? კონცერტია თუ რა და-
რღუბადაა!“ — შევიჩვიე მსახურს.

„თქვენო აღმატებულება! ეტუობა, არც იც-
ით, რომ ეს სასტუმრო თეატრს უკავშირდება.
საიდუმლო კარი აქარა დერეფანში გავიყვანო,
იქიდან კი პირდაპირ ოცდამანომერ ლოჯიაში
მოხვდებით. ეს ლოჯია უცხო პირთათვისაა გან-
კუთვნილი“, — მომიგო მან.

ახლავა გამახსენდა, შუადღისას, საერთო მა-
გდასთან შამანური რომ მივირთვი, ამ ცნობას
მასინ უყრი მოვკარი, მაგრამ იმ დროს ამას
გულისყური ვერ მივატანე. ახლა კი გავკვირვე-
ბულმა მსახურს კითხე:

„როგორ თუ თეატრი და ლოჯია უცხო პირ-
თათვის?“

„დახე, ორი თუ სამადგილიანი ლოჯია, უცხო,
თანაც წარჩინებულ ბატონთათვის, მწვანე შვა-
ლერი მორთული ეს ლოჯია სენასთან ახლო-
სა და მას გისოსიანი ფანჯრები აქვს. იცით,
დღეს სახელგანთქმული ვენელი კომპოზიტო-
რის — მოცარტის „დონ უჟანი“ გადის. თუ
გნებავთ, დაეწარით. ადგილის საფასური ტა-
ლერი და ათი გროსი — თქვენზე იქნება.“

„დონ უჟანის“ ხსენებისთანავე საიდუმლო
გასასვლელი დერეფანში შურდულივით გავ-
ვარდი და ლოჯიაში აღმოვჩნდი. საშუალო ქა-
ლაქის კვალობაზე თეატრი ტევალიც იყო, გო-
მოვნიებით მორთულიც და ბრწყინვალედ განა-
თებულციც. პარტერი და ლოჯები ხალხით გაჭე-
დილა. უვერტიჟურის პირველივე აკორდებმა და-
მარწმუნეს, რომ ორკესტრი ჩინებულია და თუ
მომდერტებიც, ასე თუ ისე, ასატანი იქნები-
ან, ამ გენიალური ნაწარმოების მოსმენა ერ-
თობ დიდ სიამოვნებას მომგვრის.

ანდანტში ჯოჯობეთურად შემზარავი „regno
all piante“-ს ელდამ შემოიპურო. საშინელე-
ბის მკაცრმა წინათგმობამ სული აღ-
მივსო. აღეგროს მეშვიდე ტაქტში მოლოზინა-
რი ბუკი მოზეიმე მკრებლობასავით შემებში-
ანა. თითქოს აშკარად დავინახე, როგორ დაე-
ქიმათ ცეცხლოვან დემონებს თავიანთი გავარ-
ვარებული ბრჭყალები და ხელი ჩაევილოთ უფ-
სკრულის თეთრ საფარზე თავდავიწყებით მრო-
კავი აღტუნიებული ადამიანებისათვის. ჩემი სუ-
ლის მჭერამ ცხადად იხილა ადამიანის კონფ-
ლიქტი გარსშემოხვეულ იდუმალ, ვერავ ძაღვ
ბთან, რომლებიც მის დაღუპვას ამზადებენ. ბო-
ლოს ქარიშხალი ჩადა. ფარდა გაიხსნა, წამო-
სასხამში გახვეული პირქუში და ბრაზიანი ლე-
პორტლო უკუნ დაშეში პავლიონის წინ მოაბი-
ჯეს...“ *Notte e giorno faticar.*“² მას იტალი-
ური! თანაც აქ, გერმანულ ქალაქში! *A che pi-
cere?* რეჩიტატივს და. საერთოდ, მთელ ოპე-
რას მოისმენს, იმ სახით, როგორც ეს დიდმა
ხელოვანმა აღიქვა და გაიაზრა!

ფანჯატურიდან დონ უჟანი გამოიქრება; უკან
დონა ანა მოსდევს, და ამ თავაწყვეტილის მო-
სასხამზე ხელი ჩაუვლია. გარეგნობით დონა ანა
სწორედ რომ დიდებული ვინება. ისე, უკეთე-

1 მოთქმათა სამეფო (იტალ.).
2 დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს (იტალ.).
3 რა სასიხარულოა (იტალ.).



სი კია, უფრო მაღალი, კენარი და წარმოსადე-
გი იყოს. სამაგიეროდ, ახა ნახეთ, რა უწაღო
პირისახე აქვს მის თვალთაგან, ვითარცა სხივ-
თა პირამიდის ფოკუსიდან. ელვარე ნაპერწყ-
ლებს ისვრის სიყვარული, რისხვა, სიძულვი-
ლი, სასოწარკვეთა და სულს ცეცხლივით უშ-
რეტად ალაგუნებენ. კუპრივით შავი თმა კე-
ფაზე კულულებდა ჩამოშლია და უღვივლებს.
ღამის ქათამთა სამოსი ცხიერად ამხელს ქალის
არცთუ უსაფრთხო სიტურებს. მას გული მავ-
რად ასმგერებია, რადგან ავი საქმის ჩადენა
განუწრახავს. ახლა მისი მშვენიერი ხმა იკით-
ხეთ! «Non Sperar Senon muceddi»¹
ინსტრუმენტთა გრიგალი მოიჭვივებ ელვარე-
ბით განაზრწუნებს ეთერის ლითონისაგან ჩა-
მოსხმულ ბგერებს... დონ ეუანი თავის დაღწე-
ვას ამოად ცდილობს. ან კი სურს, რომ თავი
დააღწიოს? თუ ასეა, მაშინ რატომ ენერგიუ-
ლად არ მოიშორებს ქალს და არ გარბის? ბო-
როტი საქმე ამაბუნებს თუ სიძულვილ-სიყვარ-
ულის შინაგანი ომი უკარავს ძალასა და
ნხნებას. მოხუც მამას თავისივე უგუნურობის
გამო — სიცოცხლედ დაუჭდა ბნელში ძლიერ
მეტოქესთან შეტაკება. ერთმანეთთან რეჩიტა-
ტივებით მოხაასე დონ ეუანი და ლეპორელო
ავანსცენაზე გამოდიან. დონ ეუანი ღაბადას მო-
ისვრის და ვერცხლით ნაქარგი ჩაქიანი ხავერ-
დის ბრწყინვალე სამოსით გვეცხადება. ძლიე-
რი, ჩინებული გარეგნობა: მამაკაცური სილამა-
ზის პირისახე, შესანიშნავი ცხვირი, სულთამწე-
დომელი თვალები, ფაქიზად მოხაზული ტუჩე-
ბი: წარბებს ზემოთ შეზღის კუნთთა უცნაუ-
რი ათამაშება წუთით მის გამომეტყველებას მე-
ფისტოლეულურ აერს აძლევს. რაც სახეს, თუმც
სილამაზეს უნარჩუნებს, მაგრამ უნებლიე ძრწო-
ლას აღძრავს, თითქოსდა იგი ჩხრაილა გველის
მაგიურ ხელოვნებას ფლობდეს. თითქოსდა ქა-
ლები, ვისაც კი იგი მწერას შეავლებს, თავს
ვედარ იმორჩილებენ და ამ კაცის ავბედითი
ძლიერებით შებოჭილნი, ნებაყოფლობით იღუ-
პავენ საკუთარ თავს. აწოწილი და ჩამომხმარი
ლეპორელო დონ ეუანის გარშემო დაფუსფუ-
ნებს. მას წითელი, თეთრზოლიანი უილეტი აც-
ვია, პატარა, ბროწეულისფერი წამოსასხამით და
თავზე მწვანეფისფერად შემებღალი თეთრი
ქუდე ახურავს. ლეპორელის პირისახის ნაკე-
თები რაღაც უჩვეულოდ გამოხატავენ გულკე-
თილობას, ცხიერებას, ავზოცობას და მჭირ-
დავ უტიფრობას. კალარა თავსა და ასეთსავე
წვერს უცნაურად არ შეეფერება შავი წარ-
ბები. ჩანს, ეს ჩვეული გაიძვერა დონ ეუანის
ღირსეული ლაქიაა. ბატონი და მსახური მშვი-
დობიანად გადაახტებიან კედელს. ინთება ჩირა-
დლები და მოჩანს დონა ანა და დონ ოტავიო-

კობა, დაცლილი, ხალუკი კაცუნა. ასე ოცდუ-
რთი წლისა. ეტუობა, იგი აქვე ახლოს ცხვი-
რობს, რაკი მისი ასე ჩქარა გამოძახება მოახს-
ხეს. იგი პირველ ხმაურზევე აქეთკენ უწყუშა-
ნოდ გამოეჩქარებოდა და საცოლის მამას მოე-
შველებოდა, მაგრამ ჭერ ხომ უნდა მორთულ-
ნოკაწმულყო, თან, ესეც არ იყოს, ღამით ქუ-
ჩაში გამოსვლა იქნებ არც ისე ეპიტანავებოდა
Ma qual mai S'çoffre o dei, Spettacolo funes-
to agli occhi miei!¹

ამ რეჩიტატივისა და ღუეტის შემადრწუნე-
ბელ, გულგამგმირავ ბგერებში უფრო მეტი რამ
იგრძნობა, ვიდრე ბოროტების მტვირთველი ცო-
ღვილი პიროვნების წინაშე წარმოშობილი სა-
სოწარკვეთაა. დონ ეუანის იძულებითი ბელუ-
ფა, რაც მას დაღუპავს უქადა და რამაც ქა-
ლის მამას სიკვდილი მიავსო, მისი აზორგებული
მეტრდიდან ბგერებდა აღმოსვლდარი უბრალო
კვენსა როდი იყო. ამ კვენის გაჩენა მხოლოდ
და მხოლოდ გამანადგურებელ, მომავლებიბელ
შინაგან ჭიდილს შეეძლო.

როცა მაღალი, გამხდარი, აშკარა, მაგრამ უკ-
ვე შემჭკნარი სილამაზის მქონე დონა ელვირა
მოღალატე დონ ეუანის ღაძნდვას მოჰყვა: «Tu
nido d' ingani»² რაზეც თანამგრძნობელ-
მა ლეპორელომ სავსებით ჭკვიანურად შენი-
შნა: Parla come un libro Stampato».

სწორედ ამ დროს ჩემს სიახლოვეს ვიდაცის
არსებობა ვიგრძენ, გულზე მიჩხვილითა იმის
გაფიქრებამ, რომ კარის გაღება და ლოუაში მო-
ხვედრა სულ ადვილად შეიძლებოდა. მე კი აქ
მარტო ისე ვნეტარებდი, რაკი ეგვრო სრულქმ-
ნილად შესრულებული შედეგრი მთელი არსე-
ბით გავითავისე და მას სრულიად მშვიდად მივ-
ნებდი, ერთადერთ სიტუვასაც, მით უფრო სუ-
ლეულურს, ადვილად შეეძლო პოეტურ-მუსიკა-
ლური აღმავრენის მშვენიერი წუთთან ჩემი მო-
წყვეტა. განვიზრახე, ვეკრდიით დაგულებულ
არსება სულაც არ შეემნიშნა და თეატრის წა-
რმოადგენაში ისე ღრმად ჩავფლულიყავ, ყო-
ველი სიტუვა, ყოველი ბგერაც კი განმერიდ-
ბინა. ხელებზე თავდაყრდნობილს მეზობლის.
თვის ზურგი მიმექცია და სცენას ისე გავუ-
რებდი. წარმოადგენის დასაწყისი სწორედ რომ
შეებმატკბილებოდა მის მომდევნო მსვლელო-
ბას. პატარა, ავზოცვი, შევყარებული ცერლი-
ნა საამური მანგებით ამშვიდებს გულკეთილ.
დონდლო მაწეტოს.

დონ ეუანი ველურ არაში «Fin ch'han dal

¹ მაგრამ იქ რა არის? ო, ეს რა საშინელებს
ვიხილვ, თვალებს არ ვუჭერებ (იტალ.).

² ურცხო, თაღლითი (იტალ.).

³ დაბეჭდილი წიგნივით ლაპარაკობ (იტალ.).

მ. თ. ა. კოჭმანი
დონ ეუანი

¹ ნო გკონია, რომ არ მოკვლავ (იტალ.).

VINO სოფლიად აშკარად გამოხატავს თავის შინაგანად დაწეწილ არსებას, აგრეთვე ქარღვასაც იმ კაცუნებისა, რომლებიც ამკვეყნად მარტოოდენ თავიანთი ქიის გახარებისა და ხაკუთარ უღიმვამო უოფაში დონ უჟანისებრი კაცის საბედისწერო შემოჭრისათვის თუ გაჩენილან. ამათი ტერცეტი ლოცვაა, რომელიც სეტყად მანათობელი სხივებით უცეში ინთება. ფარად ნავარდთ მადლა აფრინდა, სცენაზე მხიარულდება. სასმისები აწკარუნდნენ. გლეხები და ნაირ-ნაირი ნიღბები საზეიმო გნიასში ტრიალებენ. ესენი აქ დონ უჟანის დღესასწაულს მოუზიდავს. აი, სამი შურისმაძიებელი. ცეკვის დაწყება უველაფერს მხიარულ ელ-ეისს აძლევს. ცერლინა გადაარჩა. დონ უჟანი კი ძლიერად მტრგვინავ ფინალში მტერს შიშველი ხმლით შედგრაღ ეკვეთა. იგი სასიძოს ფოლაღის კოხტა დაუნას ხელიდან აგდებინებს და გზას იკაფავს საზარელ ბრბოში, რომელსაც აქეთ-იქით მიმოფანტავს, ვითარცა მამაცი როლანდი ტირან ციმორკის არმიას, ჭარისკაცები კი უოვლად სასაცილოდ თავდაყირა ეცემიან.

ნაზი, თბილი სუნთქვა კვლავაც ვიგრძენი. აბრეშუმის კაბის შრიალიც გავიგონე, რაც ლოქაში მანდილოსნის უოფანს მაუწყებდა, მაგრამ ოპერის მიერ გადაშლილ პოეტურ სამყაროში სულერთიანად ჩაფლულმა ამას უფრადღება არ მივაქციე. ახლა კი, როცა ფარდა დაეშვა, ჩემს მეზობელ ქალს შევხედე. არა, სიტყვები ამ საკვირველებას ვერ გამოთქვამენ. ჩემს ზურგს უკან დონა ანა იდგა, სწორედ იმ სა-მოსით, რითაც სულ ახლახან სცენაზე ვიხილედონა ანას გულთამხილველი მზერა ჩემვე მოეპურო. სულგანაბული შევმზერდი ქალს. თითქოს მის ბაგეზე გამოკრთა წუნარი, ირონიული ღიმილი და ამ ღიმილში ჩემი იდიოტური გარეგნობის ანარეკლი. გამოლაპარაკება მინდოდა, მაგრამ გოცების, იქნებ შიშის გამოც დარეტიანებულს ხმა ვეღარ ამომედო. ბოლოს კი თითქმის უნებლიედ აღმომხდა: „რა სასწაულმა მომივლინა აქ თქვენი თავი“, რაზეც მან წმინდა ტოსკანურით მიპასუხა. იტალიური როზ არ მცოდნოდა, მასთან საუბრის ბედნიერებას ვინ შელოცებდა. სენიორა მხოლოდ ამ ენაზე ღლაპარაკობდა. გალობასავით ეღერდა მისი ტკბილი სიტყვა. საუბრისას მუქულურჯი თვალები უფრო მეტყველი ხდებოდნენ. ამ თვალთავან მოვლვარე სხივი კი სულს მინთებდა და მთელი სხეულით ვერთოდი. დიახ, იგი ნამდვილად დონა ანა იყო.

ვითარცა ბედნიერ სიზმარში ერთმანეთს ერწყმიან უოვლად უცნაური მოვლენები, ხოლო აღამიანი თავისი ღვთისსიერი რწმენით სწვდება ზეგრძნობიერ არსს და მას უღრტკინველად უჟავშირებს ცხოვრების ბუნებრივ

გამოვლენებას. ასევე მეც ამ გასაოცარი კლასიკოსიხაბლოვეს ერთბაშო სომნამბულისტურ მგებრეობაში აღმოვჩნდი და ერთბაშად შევწყვიტე ის ღრმა, იღუმალი ურთიერთობები, რომლებიც დონა ანას ნებას არ რთავდნენ სცენაზე უოფანის დროსაც კი ჩემგან თავი შორს დაეიკრა.

როგორ მინდა, თეოდორ, ჩემსა და სენიორას შორის გამართული უცნაური საუბრის უველა ნიუანსი გადამოგცე, მაგრამ მისი ნათქვამის გადმოთარგმნისას სიტყვები და ფრაზები უაღბლი, უფერული და მოუქნელი მეჩვენებია საიმისოდ, რათა საკადრისად გამოვხატო დონა ანას ესოდენ გულისწყაბანი და სადა ნაუბარი.

როცა დონ ანა დონ უჟანის ანდა თავისი როლის შესახებ საუბრობს, თითქოს ხელახლა ზედაც და განიცდი ამ გენიალური ქმნილების სიღრმეებს, მის ნათელ და ფანტასტიკურ ფერებს. იგი ამბობს, რომ მთელი მისი ცხოვრება მუსიკა და ხშირად ჰგონია. ზოგი იღუმალი გულჩათხრობა, რაიც სიტყვებით ვერ გამოთქმის, სიმღერით ვაიგება.

„დიახ, მე უველაფერს სიმღერით ვიმიყენებ. — მალაღი ხმით წარმოთქვა მან და თვალელები აენთო. — მაგრამ უოველივე ჩემს ირგვლივ მაინც ცვივა და უსულუო; და როცა უძნელესიარტულადისა და ოსტატური უმსრუტელებისათვის ტაშს მიკრავენ, ჩემს მგზნებარე გულს გაუჩნული ხელები ებლაუტებიან! მაგრამ შენ ხომ იცან ჩემი გულისთქმა. ვიცო, რომ შენც ჩემებრ შექმენ საოცარი, რომანტიკული სამყარო. სადაც ციური ბაგერები მეუფებენ“.

„როგორ, შენ მიცნობ, ღვთაებრივო, იღუმალი ქალო?“

„განა შენი ერთი ახალი ოპერის რომელიდაც როლში ნიადაგ დაუმტხრალი ტრფობის გრძნეული სიგიჟე შენივე სულის დივოლ თვისებად არ გადმოღვრილა? მე ხომ მიგიხვდი. ან სიმღერაში შენი სული ვიხილე (აქ მან სახელით მომმარტა)! შენებური მელოდიები ვიმღერე შენთვის!“

თეატრის ზარი დაირტა. ანაზედუღმა ფერმიხიბლობამ დონა ანას უგარბო სახე აფაერთა. მან ხელი გულზე მიიღო, თითქოს უეცარი ტკივილი იგრძობ და ჩუმად თქვა: „ბედკრულო ანა, ახლა კი შენი განსაცდელის ეამი დადგა!“ და ლოჟიდან გაქრა.

პირველმა აქტმა აღმთაცა, მაგრამ ამ უცნაური შემთხვევის გამო მუსიკამ რაღაც სხვაგვარი, უჩვეულო ზემოქმედება მოახდინა. შეჩვენა, თითქოს ჩემს ცხოვრებაში ცხადად შემოიქრა უტურფეს ოცნებათა კარგა ხნის წინ ნანატრი აღსრულება, აღტაცებული სულის უიდუმალესი წინათგრძნობები ბაგერებში გაცხადუნდა და ისინი საოცარზე საოცარ არსს უნდა წვედომოდნენ.

დონა ანას სცენაში ნაშმა, თბილმა სუნთქვამ თავზე გადამიქროლა და მათობებლა ნეტარე-

1 ლინო ძარღვებში სისხლს ამღვრევს (იტალ.)



ბით ამართოლა. უნებურად თვალები დავხუ-
ქე და მეზმანა, თითქოს ჩემს ხავეზე მჯწნებარე
კოცნა აიჭოწოდა; მაგრამ ეს კოცნა მარად
ნწყურთული ნატვრის დიდხანს თმენილი ბგერა-
და თუ იყო.

ფინალი უტიფარი მხიარულებით დაიწყო:
«*Gia la mensa e preparata!*»¹ დონ ეუანი
ორ გოგოს შორის ზის და ლაზღანდარობს,
თანც ბოთლებს ზედოზედ საცობებს ხსნის,
თითქოს იქ დამგანულ ხობოქარ სულელი
თავისუფალი მიუფების ნებას რათავს. სცენა
წარმოადგენს პატარა ოთახს, რომლის უანა
კლანჭე მოჩანს დიდი, გოთიკური ფანჯარა, სა-
რდანაც დამე იშორებდა. ვიდრე გოგონები მო-
ღალატეს თავის ფიცს ახსენებენ, ფანჯრიდან
ჩანს, როგორ იღვლებს, მერე კი ისმის მოახ-
ლოებული ავდრის ურუ გრიადი, და ბოლოს
უძლიერები ჭექა-ქუბილიც. ეღვირა და ხვვა
გოგონები გარბიან და ქვესკნელური სულების
საზარელ აკორდთა ხმაურში შემოდის უზარმა-
ზარი მარმარილოს გიგანტი, რომლის წინაშე
დონ ეუანი პიგემისავით მოჩანს. იატაკი ბუმ-
ბუხარის ძლიერ ნახტავს ქვეშ ზანზარებს. ქა-
რიხალში, ჭექა-ქუბილში, დემონთა ღმთილში
დონ ეუანი თავის საშინელ «*No!*»²ს გაიძახის.
დაღუპვის უამი დგას. ქანდაკება უჩინარდება.
დონ ეუანი, რომელიც დროდადრო დემონთა
შორის გამოჩნდება ზოლმე, ჭოჯობითური ტან-
ჭეთი ივლავნება. შემდეგ აფეთქების ხმა გაის-
მის, თითქოს ათასმა ჭექა-ქუბილმა იგრიალაო.
დონ ეუანი და დემონები რაღაც მანქანებით
სრულიად მოულოდნელად უჩინარდებიან. სცე-
ნის ერთ კუთხეში ლეპორელა გულშეღონე-
ბული გდია. დანარჩენების გამოჩნება, ეტყობა,
სასიყვრო პირი უჩანს. ესენი ამაოდ ეძებენ
დონ ეუანს, ქვესკნელური ძაღების მიერ მიწი-
ერი შურისძიებისაგან დახსნილს. სწორედ ახ-
ლა თითქოს თავს აღწევს ჭოჯობითის სულთა
შემზარავ წრებებს.

დონ ანას ვერც იცნობ, ისე შეცვლილა: სა-
ხეზე მკვდრისფერი დასდებია, თვალები ჩაფერ-
ფვლია, ხმა უთრთის და წონასწორობა დაუკარ-
გავს, მაგრამ მაინც გამოაგნებლად ზემოქმედებს
პატარა დუეტში ტპილ საქმროსთან, რომელიც
ქორწილის დაჩქარებას ლამობს, რაკი ზეციუ-
რმა ძაღლებმა შურისმაძიებლის საშვი როლს
გადაარჩინეს.

ფუგებით შედგენილმა ქორმ ნაწარმოები
ბრწყინვალედ შეკრა მთლიანობაში. აღფრთო-
ვანებული ჩემი ოთახისკენ გავემართე. მსახურ-
მა სასაღილო მაგიდასთან მიმიხმო და მეც ჩემ-
და უნებურად მას მივუყვი. იმ დღეს ბაზრობა
იყო და ამიტომაც შენანიშნავ საზოგადოებას
მოეყარა თავი. სწორედ დღევანდელი დაღმის

შესახებ მასლაათობდნენ, ზოტბას ასხამდენ
იტალიელებს და მათ სულსშემძვრელ თამაშს
მაგრამ შენიშვნები, რასაც აქა-იქ ოინბაზურად
ისროდნენ ზოლმე, ცხადყოფდნენ, რომ არც
ერთს მცირეოდენი წარმოდგენაც არ ჰქონდა
ამ ოპერათა ოპერის უღრმეს მნიშვნელობაზე.
დონ იტავიო მეტად მოსწონებიათ. დონა ანა ვი-
ლაკას ზედმეტად ვნებიანი ჩვენებია, სცენაზე
კი, იმ ვილაკის ფიქრით, საჭიროა დიდებული
ზომიერების დაცვა და დამქანცველი უკიდურ-
ესობებისათვის თავის შორიდება. ეს ვილაკ
კიდევ თავდასხმის სცენას გაუოცებია, საყუთა-
რი აზრის გამოთქმისას ამ ვილაკამ ერთი მწი-
კვი თუთუნი აიღო და რაღაც გამოუთქმელად
ჩერჩეტული ღრმაზოცენებით მიაჩრედა თავის
მეინახეს, რომელიც ამტკიცებდა, რომ იტალიე-
ლი მსახიობი ლამაზი ქალი კია, ოღონდ ტანსა-
ცემელსა და შორთულობაზე ძალიან ცოტას
ზრუნავს; ერთ სცენაში მას თმის კულულოც ჩა-
მოუვარდა, თანაც სახის პროფილზე ჩრდილი
დაეცა. ეხლა მეორედ ნელი ზმით დაიწყო დონ
ეუანის არია: «*Fin ch'han dal vino,*
რაზეც ვილაკ ქალბატონს გახსენდა, რომ დონ
ეუანი ნაკლებ მოეწონა; იტალიელი მეტისმეტად
მრუმე და სერიოზულია და, საერთოდ, ფრიგო-
ლურ, მხიარულ ხასიათს ძნელად ეგუება. სამა-
გიეროდ, აფეთქების ფინალურმა სცენამ უკვალა
აღაფრთოვანა. ერთხანს ვუსმინე ამათ მიეთ-
მოებს, რამაც ვეღლი გადამილია; მერე კი ჩემი
ოთახისაკენ გავწვი.

უცხო პირთა № 28 ლოტაში

დაბურულ ოთახში სუნთქვა შემეკრა და ყვე-
ლაფრის ხალისი დავკარგე. შუაღამისას თით-
ქოს შენი ხმა მომესმა, თიოდორ! შენ ჩემი სა-
ხელი მკაფიოდ წარმოთქვი და მეჩვენა, თითქოს
ლოცვაში შესასვლელ საიდუმლო კართან რაღა-
ცამ გაიშრიალა. რა დამაკავებდა, რომ ჩემი უც-
ნაური ავანტიურის ადგილი კვლავ არ მომეზი-
ლა. თითქოს შენც გხედავ და იმასაც, ვინც
მთელი ჩემი არსება ადვსო. რა ადვილია, პა-
ტარა მაგიდა ლოცვაში შეიტანო, მასთან ერთად
ორი საწიელი და საწერი მოწყობილობაც, და
იქ განმარტოვდე. ამასობაში კი მსახური ჩემს
მიერ შეეცოთილი პუნშით დამქმნდა. ლოცვის სა-
იდუმლო კარს იგი გაღებულს ხედავს, შემო-
დის ლოცვაში და ეკვიანი მჭერით მიცქერას.
ჩემს ნიშანზე მსახური სასმისს მაგიდაზე დგამს,
გაკვირვებული მათვლიერებს, შეეითხვა ენის
წვერზე ადგას, მაგრამ სიტყვის დაძვრას ვერ
ბედავს. ბოლოს კი გამოეკლება. მსახურს ზურ-
ვი შევაქციე, მერე ლოცვის ბარიერს დავყერ-
დენ და ცარიელ დარბაზს გავხედე, ჩემი ორთავ
სანთლით მაგიურად გაბრწყინებული ამ დარბა-
ზის არქიტექტურა საოცარ ათინათში უცხოოდ
და გრძნეულად ანათებს. დარბაზში ქარი შე-

1 აი. ვახშამიცი შუადაა (იტალ.).
2 არა (იტალ.).



მოიკრება და კრებასამდელს შეარბევს, ნეტა, რა მოხდება? საშინელი ნიღბებით შემინებული დონა ანაც თუ გამოჩნდება? „დონა ანა“, ანაზღად ვიუჯირქ, ხმა ცარიელ სივრცეში მიჩუმდა. სამაგიეროდ ორკესტრის ინსტრუმენტთა სულელება გაიღვიძეს. იქიდან ერთი საოცარი ბგერა ცახცახით ამოძვრა, ამან თითქოს საუკრული სახელი მიჩურჩულა. იღუპული შიში ვერ დაძვლივ, მხოლოდ ეს კია, რომ ამ შიშმა სული კეთილისმყოფლად ამითრთოლა.

ცუდი განწყობა განვიშორე და იმ გუნებაზე დავდექე, შენთვის, ჩემო თეოდორ, მცირედი მაინც მომენიშნებინა როგორ სწორად აღვიქვი იმ წუთში ღვთაებრივი ხელოვანის ეს დიდებულ დონა ქმნილება თავის უნატიფეს ნიუანსებში. მართოდენ პოეტო თუ გაუფებს პოეტს, რომანტიკულ სამყაროში შეჭრა მარტოოდენ რომანტიკულ სულს თუ ძალუფს; მხოლოდ პოეტური აღმაფრენის კაცი თუ შეიცნობს ტაძრის შუაგულში კურთხევის ეამს შემოქმედების უნეტარეს წუთებში გამოთქმულ სულის საგალობელს. თუ პოემას („დონ ეუანს“) ზერეულედ, მხოლოდ ისტორიული გაგებით, ყოველნაირი ღრმა მნიშვნელობის გარეშე განიხილავ, ძნელად მიხედები, როგორ მოიფიქრა და შექმნა მოცარტმა მისი მუსიკა. ქიფის ტრფიალი, ვისაც ღვინო და გოგონები უფროოდ უუჯრას, ღხინის სუფრასთან განზრახ მოიწვევს საკუთარი სიცოცხლის დასაცავად მახვილით განგმირული მოხუცი მამის მაგიერ ქვის კაცს, კაცმა რომ თქვას, ამაში დიდად პოეტური არაფერია და, პატიონად რომ ვღაიროთ, ასეთი ვინმე არც კია ღირსი ქვესუნდის ძაღლებმა იგი თუნდაც ჭოჭხითის კოლექციისათვის სრულიად განსაკუთრებულ შედეგად გამოარჩინოს; იგი არც იმის ღირსია, რომ ნათელსებებული სულებსაგან შთაგონებულმა ქვის კაცმა ცხნიდან ჩამოხტომა ინდოლოზი და ცოდვილს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში სათქმელი აღსარება მოაგონოს; დაბოლოს, არც ის ეგების, რომ ეშმაკმა რჩეული ხელქვეითები თავის სამფლობელოში დაგზავნოს და საძაგლად მოწყობილი ტრანსპორტის საქმეთა მოსაწესრიგებლად შეაგულიანოს.

მერწმუნე, თეოდორ, დონ ეუანი ასეთად ბუნებაშე შექმნა და მანვე თავის ღვიძლ შვილს ყველაფერი მიჰმადლა, რაც კი ადამიანს ღმერთთან აახლოებს და ადამაღლებს უამურ ყოველდღიურობასა და იმ საფაბრიკო ნაკეთობებზე, რომლებსაც მრავლად უშვებენ სახელოსნოები და ეთნიცი აღარ არიან ნულდომი, როგორც კი მათ წინ ციფრად დასვამენ, რომ განსაზღვრა დონ ეუანის გამარჯვება, მისი მეუფება? ძლიერმა, მშვენიერმა სხეულმა, ღრმა სულმა, სწრაფად მწვედომმა გონებამ. მაგრამ მისი შეცოდების შემშარავი შედეგის ის არის, რომ მტერი ძალს იკრებს, რათა ადამიანს თვალყური ადევნოს და ვერაგულად დაუგონს მახე სწო-

რედ სრულყოფისაკენ სწრაფვის ეამს, როცა თავის ღვთაებრივ ბუნებას მიაგნებს. ელფთაქუნი ებრცი და დემონურ ძალებს შორის კვილი მიწიური ცხოვრების არსს ქმნის. ამ ქიდილიში გამარჯვება კი — ზეციური ცხოვრების ანბანს. დონ ეუანი ცხოვრებას ვნებით გამოთხოვს იმას, რის უფლებასაც მისი ფიზიკური თუ სულიერი კონსტრუქცია აძლევს და ძარღვებში სისხლის მდლუარე მქავერება აძიულეებს მას, საუკუნოდ ანთებული სურვილით და უღლელად და ხარბად აჰყვეს ყოველნაირ მიწიერ ცთუნებას. ადამიანი თავისი შინაგანი ბუნებით, მგონი, ამქვეყნად არაფერს ისე მაღლა არ აჰყავს, როგორც სიყვარულს. დიას, სიყვარულია ასე ძლიერ და იღვამდ რომ იღვწის, იგი ფერს უცვლის და აღიღვამდ არსებობის გულიანსულის. ისე, ბედის დაცინვა კია, დონ ეუანს რომ ჰგონია, გაუუჭარ ტკივილს სიყვარული ადამიანებსო და დემონიც სწორედ ამის გაფიქრების უმად კისერში მარყუფს წაუჭერს. დონ ეუანის სულში დაუძინებელი მტრის მსაკვრობისათვის გაჩენილა ფიქრი იმაზე, რომ იგი ამქვეყნად სიყვარულისა და ხორციელი ტკობის წვალობით ღამობს აღსრულებას ნატვრისა, რაიც ჩვენს გულში მარტოდენ ზეციურ აღთქმად ბინადრობს. სწორედ ეს დაუსაბამო ნატვრა ზემოწიურთან ჩვენს უშუალო ურთიერთობის მიზეზში. დაუცხრომლად იღვამდ რა ერთი ღამაზმანიდან მეორისაკენ, ტკბება რა მხურვალე ვნებით მოყირკებაში, მათის სიტურფით გამანადგურებელ თრობაში, თავს რაცხს რა არჩევანში ნიადაგ შემცდარად, თანაც იმედოვნებს, იდეალი საბოლოო კმაყოფილებას მოაგონებებსო და მაინც დონ ეუანს ყოველნაირი მიწიური ყოფა ღუნედ და უფერულად უჩანს. როცა იგი საერთოდ ადამიანებს ითვალისწინებს, ამით უმხედრდება იმ ხილვას, რომელსაც ცხოვრების უმადღეს რეგისტრად მიჩნევს და რამაც იგი ასე მწარედ აცდუნა. ქალით ყოველნაირი ტკობა მარტოდენ გრძნობათა დაკმაყოფილება კი არ იყო, არამედ ბუნებისა და შემოქმედის წინააღმდეგ მიმართული უტიფარი ირონიაც. მას სულიის სიღრმეში სძაგს საყოველთაოდ მიღებული ცხოვრებისეული თვალსაზრისები, თავს გრძნობს რა მათზე ამაღლებულად. იგი მწარე ქირდვით გესლავს იმ ადამიანებს, რომელთაც თავიანთ წარმატებულ სიყვარულში ბიურგერული მთლიანობისათვის მიუღწევიათ და იმ მაღალ სურვილითა ღლიდინი ძალუძთ, ბუნებას რომ ჩვენში უხამსად შემოუნახავს ამიტომაც იჩქარის იგი ჩქიურ შეიქრას კაცული ბიურგერთა ცხოვრებაში, დამცინავი ახირებით დუელი გაუმართოს უცნობ ბედისმამიებელს, რომელშიც სასტიკ თამაშს აუოლილ, ღვარძლიან, საწყალობელ ურჩხულს ქვრეტს. ვიდაცის საცოლის ცთუნებასა და სხვათა ბედნიერების საცხამებაში ხედავს იგი მტრულ და-

ლაზე გამარჯვებას, რაიც ცხოვრების შევლედულ საზღვრებს აფართოებს, გამარჯვებას ბუნებაზე, გამარჯვებას ღმერთზე, მას ერთთვად ცხოვრებისაგან თავის დახსნა სწადია და ორუხსი კი ვერღვება, ანას ქუმშარიტი გზიდან გადაგდება და მასთან დაკავშირებული გარემოებები უმადლებს მწვერვალთა, რომელსაც იგი აღწევს.

ბუნების უბადლო ნიჭმა დონა ანა დონ ეუანს დაუპირისპირა. თუ დონ ეუანი ოდითგანვე საოცრად ძლიერი და ჩინებული მამაკაცია, დონა ანაც ღვთაებრივი ქალია, რომლის უზავო სულს ეშმაკი ვერას აკლებს. ჯოჯობეთის უოველნაირ მცდელობას მისი გახრწნა მარტო მიწიურად თუ შეეძლო, როგორც კი სატანამ დონა ანას დალუპა მოასწრო, აღარც ჯოჯობეთის მქონდა უფლება შეურისგავდა დიდი ხნით გადადონ. დონ ეუანის დამცინავად მოუხმობს ხმლით განგმირული მოხუცის ქანდაკებას. ამ დაცემული ადამიანის მაცქერალი და მისთვის მემუნვარე ეს ნათელგზებული სული როდი თავილობს შემართუნებული სახით ეჩვენოს დონ ეუანს და მონანიებისკენ მოუწოდოს, მაგრამ დონ ეუანის სული იმგვარადაა დაწეწილი და გახრწნილი, რომ ციური განცხრომაც კი მასში იმედის სხივს ვერ აღანთებს და მას ვერც უკეთესი უფისათვის აღაგზნებს.

შენ, ალბათ, მოგაგონდა, თოდორ, ის, რაც ანას ცთუნებზეა გითხარ და არ ვიცო, რანაირად შემძლია ახლა, როცა სულის წიად მოველენილი ფიქრები და აზრები გამოთქმას წინ უსწრებენ, მოკლედ გაიბზო, როგორ მოჩანს ამ ორი დაპირისპირებული ბუნების (დონ ეუანისა და დონა ანას) ურთიერთდაპოკიდებულება მუსიკანო, ტექსტის უოველგვარი უგულვებლყოფით. უკვე ხომ გითხარი, ანა ეუანს უპირისპირდება, მაგრამ თუკი უფალმა ანა მინცადამაიც დონ ეუანის შეუვარებისთვის გამოარჩია ამ სიუვარულმა ხომ სატანისეული ფანდღბით დალუპა წუთიერი ტკობის რაინდი; ამ სიუვარულმავე შეაცნობინა ანას დონ ეუანის ღვთაებრივი ბუნება, მანვე იხსნა ეუანი ტუილუბრადო ღტოლვის განწირულებისაგან. ეუანმა ანა ძალიან გვიან, მთლად გაუწმინდურებულმა იხილა და მხოლოდ ამ ხილვის ეამს გაიღვიძა მასში ეშმაკულმა სურვილმა ანას ცთუნებისა. ანა განგებამ ვერ იხსნა როცა დონ ეუანმა გაკცევით თავს უშველა, ბორკიტი საქმე უკვე მოხდა. დონ ეუანის სული ზეადამიანური გრძნობის ცეცხლმა, ჯოჯობეთურმა გზნებამ დაიპურო და უველნაირი წინააღმდეგობა ამაო იყო. მხოლოდ ეუანს ძალუძდა ანას არსებაში ავბორცუებული, მაგიური ცეცხლის დანთება. სიგიფემ ანა ეუანის მკლავებში მოაქცია და მან ჯოჯობეთური ძალების ძღვეამოსილი, დამღუპველი მძვინვარებით შინაგანადაც შესცოდა. როცა დონ ეუ-

ნმა ჩადენილი ბორკიტი საქმისა გამო გაქცეინდომა, დონა ანა სიკვდილის შთესა, გახეხილ ბულ ურჩხულს დაემსგავსა. იგი დონ ეუანის სასიკვდილო წამებით განადგურების ფიქრმა მოიცვა. ანას გული დაუყოლა დონ ეუანის მიწეზით მოხუცი მამის წუთისოფელთან გამოხალმებამ, აგრეთვე, ცოლ-ქორულმა კავშირმა ცივ, უსიცოცხლო, უმნიშვნელო ოტავიოსთან, რომელიც ერთ დროს ეგონა რომ უყვარდა, გულის სიღრმეში დანთებულმა ცეცხლვანამ ტრფობამ, რამაც ჭერ წუთიერ ნეტარებას აწიარა, მერე კი მძვინვარე სიძულვილის მხურვალეობით დასწვა, ანა გრძნობს, რომ სულიერ სიმშვიდეს მას მხოლოდ დონ ეუანის დალუპვა მოუტანს. მაგრამ ეს სიმშვიდე დონა ანას მიწიური მზის ჩასვლაცაა. ამიტომაც იგი შურისძიებისათვის აქვებს თავის ეინულივით ცივ საქმროს. ანა მოდალატეს თვით დევის და თითქოს მაშინ მშვიდდება, როცა ქვესენელის ძალები დონ ეუანს ორჯუსი ჩააქანებენ, მაგრამ არკი ძალუქს „მო“ უთხრას ქორწილის მისურნე საქმროს: „Lascia o caro un anno ancora, allo sfogo del mio cor“¹.

იგი ამ ერთ წელსაც ვერ გაძლებს, დონ ოტავო ვერც როდის ეღიარება ზვეუნას იმ ქალისა, ვინაც თავისი სათნო სული იხსნა, რათა სატანას კურთხეული სარძლო არ უოფილიყო.

რა ცოცხლად, რა ღრმად მაკრძნობნებს ეუელაფერ ამას პირველი რეჩიტატივის მღელვარე აკორდები და სიმღერა ღამეული თვდასხმის შესახებ. თვით დონა ანას სცენა მეორე აქტი „Crudele“², რომელიც, ერთის შეხედვით, თითქოს მხოლოდ დონ ოტავოს შეეხება, იღვწალი ეღრით კი უუცნაურეს ურთიერთობებში სულის შინაგან, მიწიური ბედნიერების შთანთქმელ განწყობას გამოსცემს: მინც რას უნდა იწინავდეს პოეტის მიერ იქნებ გაუცნობიერებლად წამოსროლილი უცნაური სიტყვები: „forse un Giorno il cielo ancora sentira pieta di me“³.

ორი საათი რეკის თავზე თითქოს თბილი, ელექტრონისებური სუნთქვა მიბერავს! მე ვგრძნობ ფაქიზი, იტალიური ნელსაცხებლის ამო სურნელს, რამაც გუშინ ჩემს გვერდით მანდილოსნის უოფნას მიმავედრა. დამეუფლა ნეტარი განცდა, რომლის ბგერებად გარდათქმის შესაძლებლობისა მჭერა. დარბაზში ჰაერი ძლიერად ამოძრავდა. ორკესტრში ფორტუპიანოს ხმები

¹ ძვირფასო, გავიდეს კიდევ ერთი წელი და ამით დაე, ჩვენი წმინდა კავშირი კურთხეულ იქნეს (იტალ.).

² სასტიკი (იტალ.).

³ ახლა გამიშვი მხოლოდ, ვიდრე ჩემს სულში ღამის შემდგომ დილა ინათებს. (იტალ.).

გაიხმა. ზეცაო! თითქოს შორეული მხარის პა-
ეროვანი ორკესტრის ფრთებზე განაბული ბგე-
რები უძღვნიათ ჩემთვის და მგონია, დონა ანას
ხმას ვისმენ: «Non mi dir bell idol mio».¹

განიხსენ, შენ, შორეულო, უცხო სულთა სა-
მყაროვ, შენ, სრულქმნილი მშვენიერების ჭი-
ნისტანო, სადაც უველათერს ამქვეყნად, აღთქ-
მულს, დაუსაბამოდ აღასრულებს ზეციური
ტკივილი, ვიპარცა აღტაცებული სულის ამო-
უხსნელი სიხარული, ნება მომეც, შენს წარმ-
ტაც ზილვათა სამყაროში შემოვიდე! დაე, ოც-
ნებაშ, რომელსაც შენ ხან სასტიკად აღეღვებ,
ხანაც მიწის შვილთა საუყარელ მსტოვრად რჩე-
ულობ, წარიღოს ჩემი სული ეთეროვან მდელო-
ში როცა ძილი სხეულს ტყვიის საბელით შე-
ბოქავს.

საუბარი შუადღისას სპარტო სასადილო
მაგიდასთან, ვითარცა გოლო სიტყვა
კვიანი, კაცი საბურნუთეთი. მაგრად ურ-

¹ უველაზე ძვირფასი ხარ (იტალ.).

ტყამს რა წყიპურტს საბურნუთის საბურკე-
რა სამწუხაროა, რომ წესიერ ოქერას დიდ
ვერ მოვისმენთ. ასე იცის, როცა კაცი ზომიე-
რების გრძნობას დაკარგავს.

შავგვრემანი სახის კაცი: ღიახ, ღიახ! რამდე-
ნი ვიძახე, დონა ანას როლი მას ჩვეულებრივ
უოველთვის ღღის-შეთქი. მაინც გუშინ მთლად
შეშლილივით იყო. მთელი ანტრაქტი, ამბობენ,
გულშეღონებული ეგდოო, ხოლო მეორე აქ-
ტის ერთ სცენაში ნერვიული შეტევა მოუვი-
და.

უმნიშვნელო ვინმე: ჰო, ჰო ნერვიული შე-
ტევა და ვერა და ვერ მოახერხებს მისი თეატ-
რიდან გაყვანა.

მე. ღვთის გულიხათვის, ეს შეტევა სერიო-
ზული ხომ არ არის! კვლავ ხომ იმღერებს სე-
ნიორა?

ჰაჰიანი კაცო საბურნუთეთი (მან საბუ-
რნუთედან ერთი მწიკვი თუთუნი ამოიღო): სა-
მწუხაროდ, არა რადგან დღეს დილით ზუსტად
ორ საათზე სენიორა გარდაიცვალა.

გერმანულიდან თარგმნა ლია თაბაკაძე

ჯანსუღ ღვინჯილია

ჩვენი ლიტერატურული ატმოსფერო

რუსთაველის დღე — პოეზიის დღე

(საუბრის ბარძილუბა)

რა გვიშლის ხელს სასურველ დონეზე ჩავატაროთ რუსთაველის დღე — პოეზიის დღე? რუსთაველის დღე — პოეზიის დღე ქართული ხალხის მიერ გააზრებულია, როგორც ეროვნული ქართული პოეზიის დღესასწაული. ამ მიზნით დაარსდა იგი, ასე იყო ახსნილი თავის დროზე ამ დღის დანიშნულება და სწორადაც იყო ახსნილი. სხვაგვარად წარმოუდგენელიც არის. რუსთაველის სახელთან დაკავშირებულია ქართული ეროვნული პოეტური კულტურა. ამიტომ გვესახება იგი ჩვენ საერთოდ ქართული პოეზიის დღესასწაულად. ეს დღე ჩვენთვის მოიცავს საერთოდ მთელს ქართულ პოეზიას. თუმცა ცალკეც რომ გამოვყოთ რუსთაველის დღე, ამის ახსნა არავის ესაჭიროება, მაინც განუსაზღვრელი იქნება მისი მნიშვნელობა. რუსთაველის დღე — პოეზიის დღე არის უველაზე დიდი დღესასწაული საქართველოსათვის. დღესასწაულს მე ფართო გაგებით ვხმარობ. არ გულისხმობს იგი მხოლოდ საზეიმო განწყობილებას, ერთად თავის შეყრას, სახელდახელოდ წარმოთქმულ სიტყვებს, პოემიდან ამოკრებილი ნაწყვეტების კითხვას, მუსიკას, სიმღერას, ცეკვას. რუსთაველის დღე ეროვნული გონის ძალთა მოკრებაა, ჩვენი ფიქრისაგან საუკუნეების განმავლობაში დაპურობილი სიმაღლეების ჯაცნობიერებაა, ერის სულიერი ბიოგრაფიის აღდგენა იმ მიზნით, იგრძნო შენი შინაგანი ძალა და დარწმუნდეს შენს სამომავლო შესაძლებლობებში. სხვაგვარად „ვალის მოხდა“, კამპანიურობაა, კალენდრის რიგითი ფურცლის ჩამოხვევა და სხვა არაფერი ის რუსთაველის დღე — პოეზიის დღე, რომელსაც ჩვენ შემოდგომაზე აღვნიშნავთ ხოლმე.

რატომ უნდა ზეიმობდეს რუსთაველის დღეს მხოლოდ ასპინძის რაიონი? ცხადია, პირველ ყოვლისა, ასპინძის რაიონი უნდა ზეიმობდეს.

სოფელი რუსთავი, რომელიც გენიალური პოეტის სამშობლოდ გვევლინება, მაგრამ რატომ არ უნდა ზეიმობდეს მთლად საქართველო, უველა ქალაქი, უველა რაიონი და უველა სოფელი? ვის სჭირდება დღეს იმის შტაციცება, რომ რუსთაველი უდიდესი პოეტია მთელს მსოფლიოში, რომ მისი პოეზიის გაუხუნარი მაღლი, სიმშვენიერე და სიბრძნე ცოცხლობს დღესაც, რომ საოცრად აქტუალურია კაცთმომყვარეობის, უბიწო სიყვარულის, რანდული სულის მამოძრავებელი კანონები, რითაც გვხიბლავს „ვეფხისტყაოსანი“, რომ უველაზე მეტად დღეს გვეკრძება რუსთაველის მაცოცხლებელი იდეალები და ზნეობრივი ძალმოსილება. შეურაცხყოფელიც კია ნორმალური ადამიანისთვის ამის შტაციცება. მსგავსი რამ არც მიფიქრია, მაგრამ სად არის ამ შეგნების შესატყვისი დამოკიდებულება იმ საგანძურის მიმართ, რომელიც დიდმა წინაპარმა დაგვიტოვა? დაგვიტოვა დაუშრეტელი ანჟარა წუარო, რომელმაც მიიჩქავა ჩვენი ფესვები, გამოკვება იგი უკვდავების წვენი და გვატარა აქამდე, მზად არის გვატაროს მარადიულად... ეტყობა, დიდი მაღლი, ერთ დროს ჩვენთვის ბოძებული, თავისთავად არსებულ სიყვარულს ვირწმუნეთ და არკი შევიწუხეთ თავი იმაზე ფიქრით, მაღლსაც პატრონობა რომ უნდა და ჩვენს დამოკიდებულებასაც რომ ესაჭიროება მეცნიერული მართვა.

მოახლოვდება რუსთაველის დღე. შეიკონიწმუნება ძლივსძლივობით რამდენიმე კაციანი ჩგუფი, გაეშურება სამხრეთ საქართველოსაკენ, ჩავა ასპინძის რაიონში, მიიღებს მონაწილეობას ზეიმში. ზოგი რიგიან სიტუვას იტყვის. ზოგად ურჩივს, ასპინძის რაიონი ვაიღებს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს, რათა გარკვეული დონე ჰქონდეს ზეიმს, ღირსეულად დახვედეს სტუმარს. გრძნობ რუსთაველის მშობელ მიწას.



თან შესხებით გამოწვეული ურუანარეოს. ცხადია, ბედნიერი ხარ... ცოცხლდება გარემო, ცოცხლდება გული სცენასთან შემოკრებილი შესხეთის მკვიდრი ქართველების ანთებული თვალების ცქერით... კარგია ეს უველაფერი, ძალიან კარგი, მაგრამ წვეთია ეს უველაფერი, ერთადერთი წვეთი იმისა, რაც რუსთაველის დღეებში უნდა კეთდებოდეს.

არა იმიტომ, რომ მე ასე წარმომიდგენია, ერთ კაცს, მწიგნობრის ერთ წევრს. არამედ იმიტომ, რომ წეშით მითითებული სიღრმით და სიერცით რუსთაველის დღის აღნიშვნა ჩვენი ეროვნული მოვალეობაა, ეს გარდუვალია, ეს აუცილებლობაა. ჩვენ რუსთაველის ხსოვნის დღეს კი არ აღნიშნავთ, ჩვენ ამ დღეებში ანგარიშს ვაბარებთ წარსულის საქართველოს, თუ რამდენად ვზარდეთ ცნობიერება ჩვენი და გემას წაწეულდენთ მომავლის საქართველოს, თუ საით არის მიპურობილი ჩვენი ეროვნული გონი.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არ არის თამაშ-თამაშა სტრიქონების ჯამი. ვიცი, უველას კარგად მოგვეხსენება, რომ პოემამ „მოკრიბა“ აღიზნდელი საქართველოს არსებობის ფლოსოფია და შექმნა ახალი პოეტური სინამდვილე, რომელიც ქართველი კაცის არსებობის უველა საიდუმლოს და სიმშვენიერეს იმარხავს თავის თავში. უველას კარგად მოგვხსენება ისიც, რომ რუსთაველის პოეზიისადმი დამოკიდებულება ფრიალ სერიოზული მოვლენაა, იქნებ საარსებო კანონიცაა, მაგრამ აქამდე დაუთრგუნველი, ზოგი ჩვენი თვისებების მიზეზით, ამ შეგნებას საკადრისად ვერ ვახსუბობთ. ვერ ვახსუბობთ ფაქტობრივად. არის მოსაზრება, რომელსაც არ შეიძლება ოპონენტი გაუჩნდეს. არ შეიძლება, იმიტომ, რომ მარტოდენ შენი შეხედულებებიდან კი არ დაიწურება ის მოსაზრება, ზაღბის საერთო განწყობილებასა და ფიქრში ამოიკითხავ მას. ასეთად მიმაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსთაველის დღემ — პოეზიის დღემ მოიცვას მთლად საქართველოს სულიერი ცხოვრება. და მე ვერ ვხედავ ამ სიტყვების დაწერიას ოპონენტს, არ მეგულება კაცი, რომელმაც ამ აზრის წინააღმდეგ აიმაღლოს ხმა. იქნებ ვინმეს მოჩვენებს, სათქმელი ამოწურულია, რუსთაველოლოგიამ იმდენი იღვაწა, ახალი რა უნდა ითქვასო...

არც სათქმელია ამოწურული და არც რუსთაველოლოგია უშლის ხელს საქმის რიგინად წარმართვას. რუსთაველი არათუ ამოწურულია, რიგინადაც არა ვაკეხს ბევრს წაკითხული, რიგინად ვერ ვასწავლით. რაც მთავარია, ახალგაზრდას! ვერ შევიყვანეთ მის სამყაროში ქართველი ბავშვი! ქართველი კაცი კი სულ იქ, რუსთაველის პოეტური სიტყვის სამყაროში უნდა იდგეს თავისი სულით. ან თუნდაც იმავე რუსთაველოლოგიის მიერ დახარჯული კოლოსალური შრომა პოემის შესაცნობად არის კი სათანადოდ დანახული და გამოყენებული? იღწვის ის ღი-

რებული, ფუნდამენტური კონცეფციები და მის საზრებანი ჩვენი ცნობიერების გასანათლებლად მოზარდთა ცოდნის გასაღრმავებლად? სუსტი ნაშრომების გვერდით ხომ მოგვეპოვება უალრესად საყურადღებო გამოკვლევებიც, საინტერესო აზრობრივი მიგნებები? ჩვენ ოკეანესთან ვდგევართ, სიღრმეში შესვლა ვერ გავთვნივთა და ზარმაცად მოკუტული თვალებით გავცქერით მის უკიდვანო სივრცეს, შორიდან ვტკბებით. არადა, შესვლაა საჭირო. ჩვენმა გულმა იმ ოკეანეში უნდა იცხოვროს, ჩვენ მისით უნდა ვიყოთ გარემოცული, ის ჩვენში უნდა იდგეს, ჩვენ არ დავდგეთა რუსთაველზე ფიქრი, არც რუსთაველის შეცნობის წურვილი.. მე ვგულისხმობ ჩვენს დღევანდლობას, საუკუნეთა შინაარსის განსჯას ვერ ვახედავ. მე ვხედავ რუსთაველის შეცნობისა და მისით საზრდოობის დღესა და ფორმებს. ეს არ მაქმავთფილებს, არც არვის აკმაყოფილებს იგი. ვიცი თითქოს, რა სიმაღლის პატრონები ვართ, განა არ ვიცი, მაგრამ დაპარაჯია ჩვენ უკველდლიურ ცხოვრების წესზე და განსაკუთრებით უდრელწლიურად რუსთაველის დღის — პოეზიის დღის ჩატარების შინაარსზე.

არ შეიძლება ეს დღე მთელს საქართველოში არ აღინიშნებოდეს. არ შეიძლება ფართო აღნიშვნად ჩაითვალოს ასპინძის ზეიმის ვიდეოჩანაწერის გადაცემა ტელევიზიით. თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი, თელავი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, მახარაძე... სად არიან ისინი? რა კეთდება ამ ქალაქებში, სად არიან რაიონები? დიახ, რატომ არ უნდა შეიმზოდეს უველა სოფელი, უველა უკლებლივ! არაფერს მისცემს სოფლის ახალგაზრდობას ამ დღეების საკუთარი ძალებით ორგანიზება? იმიტომაც დაიშრიტა კულტურული ცხოვრების არხები სოფლად, რუსთაველის დღის ბადალ მოვლენებს რომ ვუვლით დუმილით გვერდს. იმიტომაც მეფრბს დუმილი სოფლის სკოლებსა და კულტურის სახლებში, იმიტომაც გაუფერულდა შინაარსი სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობისა. უველა დღესასწაული საუკველთაო-სახალხო ვერ იქნება, მაგრამ რუსთაველის დღე — პოეზიის დღე საუკველთაო-სახალხო და იგი დიდაც თავისი ნერვით უნდა იგრძნოს ჩვენი ქვეყნის უკველმა კუთხემ. დღეს ჩვენ სოფლად მანც ვკვავს თითო-ოროლა პედაგოგი, ინტერესით აღსავსე ახალგაზრდობა, ვისაც შეუძლია გააზრებულად იზიგმოს რუსთაველის დღე. იმსჯელის რუსთაველის პოემისა და მის შესახებ შექმნილი ფასეული რუსთაველოლოგიური ნაშრომების მთელ რიგ პრობლემებზე. ეს გააცოხლებს სოფელს, არ იქნება მისთვის ფაქტობრივი პოეზიის დღე, უფრო ღრმად დაფიქრება გეინაილურ პოეზიაზე და უფრო მეტად განათება მისი სული. მე საგანგებოდ ვთაპარაკობ მხოლოდ რუსთაველის პოეზიაზე, თორემ რუსთაველის დღე — პოეზიის დღე ხომ საერთოდ ქა-

რთული პოეტური სიტყვის ზეიმს გულისხმობს, გულისხმობს ყველა დიდ პოეტს, ყველა ნაღდ პოეტს და ნაღდ სტრიქონს საერთოდ.

მე ასევე საგანგებოდ შევჩერდი სოფლად რუსთაველის დღის აღნიშვნის თაობაზე. სასიცოცხლო პრობლემა იგი ჩვენთვის. შესაძლოა, ვინმეს არარეალური მოეჩვენოს ასეთი მოთხოვნა: ყველა სოფელში რუსთაველის დღის აღნიშვნა დიდ სირთულედ წარმოიდგინოს. შევხედოთ მარტივად საქმეს. განა ძნელია ნებისმიერი სოფლის, ნებისმიერი სკოლისათვის ამ დღის მომზადება საკუთარი ძალებით? არ არის ძნელი. მთავარია, ჩვენს სულიერ მოთხოვნილებად ვაქციოთ რუსთაველის პოეტურ სამყაროსთან შეხვედრა.

და ყველაფერი სწორედ სოფლიდან უნდა დაიწყო, იგი, როგორც ქვეყნის მაცოცხლებელი ფაქტორი, ამ საქმეშიც მაცოცხლებელ ფაქტორად უნდა მოგვეცნოს. რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში, მით უმეტეს დედაქალაქში რუსთაველის დღის მადალ პროფესიულ დონეზე აღნიშვნა რომ პრობლემად გადაგვექცია, ეს სრულდებითაც არ ამართლებს სოფლისადმი ყურადღების მიკლებას. დღესდღეობით ისეთი მდგომარეობაა, სოფელს ვინაა დადებებს, მხოლოდ ასპინძის რაიონში. ან დედაქალაქში თუ აღნიშნება რუსთაველის დღე. მაგრამ ჩვენი ვალია ძირფესვიანად შევცვალოთ დღესასწაულის შინაარსი და გათვალისწინებულ იქნას მთელი საქართველოს მასშტაბი. მითუმეტეს რომ შეიქმნა რუსთაველის საზოგადოება და გაცილებით მეტი საშუალება გვეძლევა მთელი ქვეყნის ორგანიზმი ჩავრთოთ იმ სულიერ პროცესში, რომელსაც რუსთაველმა დაუღო სათავე, მეტი საშუალება გვეძლევა ვავარდოთ რუსთაველის ხალხი — ქართველი ხალხი, ავართლოთ მის სულს დროის ძლიერი დინებისაგან მოტანილი მრავალი ჭირი და სნეხა, გავაჩანსალოთ ადამიანთა ფიქრი, უბრალოდ კი არ შევასხენოთ, გონებაში ჩავუქედოთ, ვისი გორისანი ვართ და ეროვნული მეობის შესატყვისად ვაცხოვროთ დღეს.

არაერთი რუსი მწერლისაგან მომისმენია პუშკინის დღეების ორგანიზების კრიტიკა. არ არიან კმაყოფილი. ზედამართლობასა და მოჩვენებითობას, ტონის სიყალბეს, ზერელეობას უკითხნებენ დღესასწაულის ფორმებს. პუშკინის დღეების ორგანიზაცია კი საოცნებო ჩანს ჩვენთვის, ქართველთათვის, ალბათ, უნაკლოდაც გვეჩვენება, რადგან რა შედარებაა: პუშკინის დღეებს აქვს მასშტაბი, თითქმის ყველა უმთავრეს ქალაქში იმართება დღესასწაული, იმართება იქაც, სადაც დროებით, თუნდაც რამდენიმე დღით უცხოვრია პოეტს. დღესასწაულში აქტიურად მონაწილეობს ინტელიგენცია, მშრომელი ხალხი. ამის შემდეგ რუსთაველის დღეს რომ დააკვირდები, — ასპინძის რაიონში აღნიშნულ ზეიმს რომ მიადევნებ თვალს, ცხადია, დამაფი-

ქრებელ განსხვავებას იგრძნობ. მაგრამ მოკვებით განსხვავებას რუსთაველისა და პუშკინის დღეების შინაარსს შორის. არც ის არის ძალზე მნიშვნელოვანი, როგორ განავითარებს რუსი ხალხი თავისი უდიდესი პოეტის საზეიმო დღეების ფორმებს. ჩვენ ჩვენი დამოუკიდებელი ამოცანა გვაქვს გადასაქრელი. ჩვენი ხალხის საჭიროებისა და მოთხოვნილების მიხედვით უნდა ვმართოთ ეროვნული თვითშეგნების ისეთი პროცესი, როგორცაა რუსთაველის შეცნობისა და გააზრების საქმე, ქართული პოეტური კულტურის ათვისების საქმე.

არ არის შეუძლებელი სასურველი მასშტაბი მიენიჭოს საქმეს, დაიძნობს ყველაზე ელასტიური და ეფექტური ფორმები მიზნის მისაღწევად.

რა გვიშლის ხელს სასურველ დონეზე ჩავატაროთ რუსთაველის დღე — პოეზიის დღე? უპირველეს ყოვლისა, სახალხო საქმიანობის საჭირო სულის აქტივობის განვლბობა მერე და. რამ განაღმა იგი? გაანღმა გონიერულ მართაზე უარის თქმა ჩვენის მხრივ, სტიქიურობამ წავგლეკა თავის ნებაზე მიუშვით მოვლენები! ყოველივე ეს გამოიწვია ერთი ჩვენი დამღუპველი თვისების აწავთებამ. ამბიციურობა მაქვს მხედველობაში. ქართველ კაცს ბევრი შესაშური თვისება აქვს და ამ თვისებების წყალობით არაერთი სიმაღლე დაიპყრო ჩვენს თვალწინ (წარსულს რომ არ გამოვედევნოთ). სახელდასტუოთქამს და ეროვნული ენერჯიაც დაუღასტურობა.

მაგრამ ამბიციუბსაც წაუხდენია საქმე... ყოველი ადამიანის შრომა უნდა დაფასდეს: გლეხის, მუშის, ინტელიგენტის... დიდი და პატარა მეცნიერის, დიდი და პატარა ხელოვანის ამავე უნდა დაფასდეს, მაგრამ როგორ? შედეგმა გვიჩვენა, თითქმის მთლიანად გამოვრიცხეთ ამ საქმეში მეცნიერული მართვის ფაქტორი, გამოვრიცხეთ ზომა, წონა, დონა. ადამიანებისათვის გულის გათბობა არ უნდა მოხდეს კრიტიკიუმების უგულვებელყოფის ფასად. ფაქტობრივად ჩვენ არა გვაქვს შემოუშავებელი იუბილეების აღნიშვნის მუარტი წესი და კანონი, თუ გვაქვს და ასე მასობრივად არის დარღვეული, ეს იგივე არქონა.

საქართველო ვერც ვერაასოდეს ვერ გადაიხდის ყოველწლიურად რუსთაველის დღეს სასურველი შინაარსით, სანამ რეინისებურ კანონებს არ დაამკვიდრებს იუბილომანიის ყოვლისმომცველ პროცესში.

დავაკვირდეთ: ღვთის მადლით რამდენი მწერალი, მეცნიერი, მხატვარი, მოქანდაკე, რეჟისორი, მსახიობი, კომპოზიტორი, მუსიკოსი-შემსრულებელი, მომღერალი, მოცეკვავე... რამდენი ანსამბლი, რამდენი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე გვაქვს!!! რამდენი კიდევ წარსულში გვყავდა. ჩვენ კი ვიხდით ყველა მრგვალ თაროს. ცოცხლებისა კიდევ გასაგებია ასევე



ვიხლით გარდაცვილითა 50, 60, 70; 75, 80, 90, 100, 110, 120, 125, 130, 140, 145, 150, 160, 170, 175, 180, 190, 200... წლისთავს და ასე შემდგომ. საუბარი არ ეხება თითზე ჩამოსათვლილ გიგანტებს. საუბარი ეხება დანარჩენებს, ვისაც დღიას უნდა მივაგოთ პატივი, მაგრამ ნუთუ ანგარიში არ უნდა გავუწიოთ დროს? რა გადაფასა დრომ, ვისი როლი დააქნინა, ვისი უკეთ წარმოაჩინა რაც მთავარია, როცა უკვლა მრგვალი თარიღის აღნიშვნას ეყსრავით, ხომ ვრწმუნდებით, რომ თავს იურის ურცივები იუბილეთ. თითქოს დადგენილია, რომ გარდაცვლილი ხელოვანის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის იუბილე უნდა აღინიშნოს მაშინ, როდესაც შესრულდება დაბადებიდან 100, 125, 150, 175, 200 წლისთავი... ჩვენ კი ვიხლით 100, 110, 120, 125, 130, 140, 150, 160, 170, 175, 180, 190, 200 წლისთავს... კარგია აღნიშვნა, თუკი გავწვდებით, თუკი უკვლავრისათვის გვეუფოდა ღონე, დრო, თუკი მოვახერხებთ ამდენი იუბილე სასურველ დონეზე ჩავატაროთ და ამასთან შემოვიანახოთ დიდი ენერჯია ისეთი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულებისათვის, როგორც გახლავთ რუსთაველის დღე!!! მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია მსგავსი რამ. მკითხველს ვთხოვ თავის წარმოდგენაში ერთხელ კიდევ აღადგინოს რამდენიმე მსახიობი, რეჟისორი, მწერალი, მეცნიერი, მხატვარი, მოქანდაკე, კომპოზიტორი, მომღერალი, მუსიკოს-შემსრულებელი, რამდენი ანსამბლი, რამდენი საზოგადო მოღვაწე გვეულოა და გვეპავს. მკითხველს ვთხოვ, თორემ, ვინც საიუბილეო კომისიების სამსრულოშია ჩახედული, მას არ სვირდება ახსნა-განმარტება. მე პირადად ხომ ვიცი, რა დღეშია მწერალთა კავშირი, რამდენი საიუბილეო საღამოს ორგანიზება უწევს უკველწიურად, ათეულობით თარიღი იურის თავს მარტო მწერალთა კავშირის სფეროში. თავი დავანებოთ მემკვიდრეთა პრეტენზიებს, საუკველურებს, ბრძოლებს და წინააღმდეგობებს. დავუშვათ არავითარი წინააღმდეგობა არ გვხვდება წინ, არ წამოიჭრება კონკრეტული პრობლემები. იმ რამდენიმე ათეულ იუბილეს სრულიად მშვიდ პირობებშიც ხომ უნდა მომზადება. ახლა უკვლა დანარჩენი სფეროს საიუბილეო თარიღები შევკრიბოთ და ნათელი გახდება, რა გვიშლის ხელს, სასურველ დონეზე ჩავატაროთ რუსთაველის დღე! ჩვენ არაქათამოცილინი ვართ დიდი და პატარ-პატარა იუბილემების ორგანიზებისაგან. არაქათამოცილინი ვუახლოვდებით უკველი წლის ოქტომბრის დამღვეს ან ნოემბრის დამღვეს, როდესაც ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავეს პოეზიის დღესასწაული აღინიშნება და ძლივსძლივობით შეკონწიბული რამდენიმე კაციანი დღეუგაციით ვესტუმრებით მოწიემებს.

თუ დაქანონებული არ არის, ხომ დაგვანახა

სინამდვილემ აუცილებლობა და ხომ შეიძლება

ახლა დავაქანონოთ, რათა აღინიშნოს 100, 125, 150, 175, და 200 წლისთავი ამა თუ იმ გამოჩენილ მოღვაწისა და მოვეშვათ უკველი მრგვალი თარიღის აღნიშვნას. მოვეშვათ, რადგან ვერ გავწვდით იუბილეთა რიგს და ძალღებისაგან დაცილინი, ფანტაზიისაგან დაშრეტილინი ვერ ვმართავთ ქართული პოეზიის დღესასწაულს მთელი საქართველოს მასშტაბით.

თუ წესს დავაქანონებთ, ვერ მოგვერება ამბიცია, თუ სტიქიურ დინებაზე მივაგდებთ საქმეს, მცირე გამოჩენილის გარდა, უკვლა მოითხოვს იუბილეს გადახდას. მემკვიდრეები გვიძულდებენ უკველი მრგვალი თარიღის აღნიშვნას.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უკველი ქართველი კაცი საიუბილეო კომისიის წევრია.

ხშირად ჩვენ ამბიციას ვუხდით იუბილეს და არა ჭეშმარიტ დამსახურებას. ამბიციაზე დაბრკა ჩვენ კულტურული ცხოვრების ფორმა და შინაარსი.

მივაგოთ პატივი უკვლას, მაგრამ აღვადგინოთ კრიტიციუმი, წონა, დონა...

დავადგინოთ საიუბილეო თარიღის აღნიშვნის წესი და კანონი. ამ გზით ჩვენ შევამიერებთ საიუბილეო თარიღთა რაოდენობას, ე. ი. საგრძნობლად გავზრდით იმ დროსა და ენერჯიას, რაც რუსთაველის დღის მომზადებას და, საერთოდ, ქართული ეროვნული კულტურის ათვისებას უნდა მოხმარდეს პოეზიის დღეებში.

ჩვენ გვეკრდება ის დრო და ძალა, რაც ასე დაქუცმაცდავს გახშირებულ იუბილეებში. დიდი დრო და ძალა იკარგება უკვლოდ, უნაყოფოდ, ერთ უბრალოდ ვერ ასწრებს გონების მოყრებას, დაიბნა. არ იცის, რას ზეიმობს, რატომ ზეიმობს. ჩვენ გადავტირითეთ იგი, დავფანტოთ მისი უურაღდება. დაპატარავდა ჩვენს თვალწინ რუსთაველის დღე, იგი გავუთანაბრეთ რიგითი მწერლის მასშტაბს. ხშირად რიგითი მწერლების საიუბილეო საღამოები უფრო შინაარსიანად არის ორგანიზებული, ვიდრე ბუმბერაზის რუსთაველის „სახალხო დღესასწაული“.

დღესასწაულზე შემთხვევითი მოხვედრილი უცხოელი გრწმობს და აღნიშნავს, რომ ჩვენს ხალხში დიდია პოეზიისადმი სიყვარული და პატივისცემა. ჩვენ გვიხარია უცხოელის აზრის მოსმენა თუ წაითხვა. არ ვუფიქრდებით, რომ ამ სიყვარულს უცხოელი ამჩნევს იქ, ასპინძის რაიონში... მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ „დანარჩენი“ საქართველო დღემს, ოცნებით იქნებ ბევრი მონაწილეობს ზეიმში, მაგრამ საქმით? საღა გვაქვს იმის თავი, საყოველთაო ქართულ მოვლენად ვაქციოთ ეს დღე. უკვლავ უღერდეს ქართული პოეტური სიტყვა, უკვლა ოჯახში აღწევდეს მისი ნათელი სხივები?

აწილ ჯორჯაძე

ლიბირი ყიფიანი

ჩვენში რევოლუცია არ მომხდარა. მიწებიც არავის დაუსაკუთრებია. ჩვენში ბატონ-ყმობის საქმე მთავრობის ხელში იყო. თავდა-აზნაურობა კი მთავრობის ერთგულია. მთავრობის წინაშე გმირ-წინაპართა ენით უნდა ელაპარაკნა, რათა განსაცდელს ღირსეულად დახვედროდა მთავრობის თვალში, მაგრამ მარტო ამ ჭრელ ენით არას ვახდებოდა. საჭირო იყო მედგარი დაცვა წოდებრივი ინტერესებისა და გამოვიდა რაღაც შეუსაბამო და თითქმის რომ გულწრფელობას მოკლებული. მართლაც, ეს პათეტიური აღფრთოვანება ანგარიშთან ზრახვებით შეწავებული, აშკარად გამოსჭვავოდა თავდა-აზნაურობის მოთხოვნილებებში, მაგრამ ეს სიყალბე იმ დროინდელ თავდა-აზნაურობისთვის შეუმჩნეველი, უკეთ ვსთქვათ, დაჩრდილული უნდა ყოფილიყო ძლიერის წოდებრივის ინსტინქტით, რომლითაც იყო იგი შეპყრობილი. გლუხთა და მებატონეთა შორის დამოკიდებულება თურმე მამაშვილური იყო. ხოლო როდესაც საჭირო იყო მთავრობის საურაღლებოდ გამოკვეცვა იმ საკითხისა, თუ რავგარ შემოსავალს აძლევდნენ გლეხები მებატონეთ, აქ ვახტანგ მეფის კანონების დამწეობით ისახებოდა სურათი სრულის დამონებისა ერთის წოდებისა მეორეს მიერ და როდესაც საჭირო იყო ფულით გამოანგარიშება იმ ჯამისა, რომელიც შემოსდიოდა მებატონეს უმისაგან, როგორც უმის პირადი ვალდებულებისაგან, ისე მიწის სარგებლობიდან, ბეჭითად იყო აღნიშნული, რომ პირველი კატეგორიის შემოსავალი საშუალოდ 148 მ. 38 კ. უდრიდა კომლზე, ხოლო დალის, კულუხის, ბეჭარის შესახებ ნაჩვენები იყო ვახტანგის კანონი, სადაც სწერია: „სახნავი მიწა სამნაირია: სამოსახლო, მიწა პატივით მოვლილი, სარწყავი და გაუტეხავი მიწა. ხვინს დროს დალის შესახებ, თითოეული მიწის შესახებ

ცალ-ცალკე უნდა მოურიგდეს მებატონეს. ამ შემოსავლით სცხოვრობდა თავდა-აზნაურობა და ეს რომ წაერთვას, რა გზას დაადგეს? ვაჭრობა, მრეწველობა განუვითარებელია. და ამ საქმეში თავისი ხასიათითაც ვერ იჩენს უნარს თავდა-აზნაურობა. ლიტერატურა, ხელოვნება, სამსახური, მეურნეობა — ყველა ამითი როგორ ირჩინოს თავი. სამსახურით კიდე რამდენიმედ შეიძლება, მაგრამ მარტო სამსახური რას უშველის? ერთის სიტყვით, — ვკითხულობთ მოხსენებაში, — სადაც უნდა გაიხედოთ, არც ჩვენ, არც ჩვენს შვილებს არავითარი საშუალება მოეპოვება თავის რჩენის, გარდა იმ ორგვარ შემოსავლისა, რომელიც უშველს დროიდან გვექონდა გლეხებიდან და ჩვენი მიწიდან“.

ყველა კარგი, იტყვის მკითხველი, გვესმის თავდა-აზნაურობის მდგომარეობა, მისი ქონებრივი კეთილდღეობა გლუხთა ჭაფით და შრომით გაიწომებოდა. გვესმის, რა მიზეზმა ააშფოთა იგი, მაგრამ არ გვესმის, მსხვერპლს რომ იძახდნენ; რა მსხვერპლს სწირავდნენ, თუკი ყოველსავე დანაკლისს ინაწლავებდნენ და თუკი ფულად ითხოვდნენ, რაც წინათ შრომის სახით შემოსდიოდათ? ამის შესახებ მოხსენებაში ვკითხულობთ: „უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მდგომარეობა მართლაც გაჭირვებული მდგომარეობაა. დღეს, როდესაც ჭერ კიდეც სავსებით გვიჭირავს ხელში ჩვენი ჩვეულებრივი წყარო ცხოვრებისა, როდესაც ჩვენი კაპიტალი, ე. ი. გლეხებიდან შემოსული შემოსავალი ხელუხებელია — ჩვენი კაპიტალი უდრის 42,568.807 მანეთს. რადგან ზემოთ მოყვანილი ცნობებით თითოეული კომლი გვაძლევს ორთაშუა რიცხვით 148 მ. 38 კ. შემოსავალს პირველ კატეგორიისა და თანად რომ ვაქციოთ ეს შემოსავალი 16 გზის გამრავლებით კომლზე 247 მ. ვამოვ. ხოლო — 17208 კომლზე თავნი გამოისახება 42 1/2 მილ. მანეთში. ახლა რა მდგომარეობა იქნება ჩვენი მდგომარეობა, რო-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4, 5



დესაც ეს თანხა თავისი სარგებლით მოგვაკლდება, რადგან გლეხების განთავისუფლებით ვათავისუფლებთ მათ ამ შემოსავლის გადახდის ვალდებულებიდან და მათსადაშე მათის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ვწირავთ ჩვენს მემკვიდრეობით მამა-პაპულ სიმდიდრეს, რომელიც გამოისახება 42 მილ. მანეთში“.

ამის სანაცვლოდ თავად-აზნაურობა სთხოვდა მთავრობას შემწეობას კომლზე 400 მ. ეს შემწეობა, მოხსენების აზრით, უდრის სამი წლის შემოსავალს, რომელსაც გლეხებიდან იღებენ, ე. ი. 2-8% იმ კაპიტალისას, რომელსაც სწორავდა თავად-აზნაურობა გლეხთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

ესლა კი ნათელია, რას უწოდებდნენ „მსხვერპლს“: მართლაც, თუკი დარწმუნებული ხარ, რომ სამართლიანად გაკუთვნის ორმოცი მილიონი, რომელშიაც გათქვევულია ჭანი და შრომა დამონებულ ხალხისა, ეკვივი არის, დაჩაგრული გეჩვენება შენი თავი, როდესაც იძულებული იქნები ამ დამონებულ ჭაფის და შრომის სარგებლობაზე ხელი აიღო.

ამ წოდების თვალსაზრისით გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება, რასაკვირველია, მსხვერპლი იყო თავად-აზნაურებისათვის, რომლის შემეცნება ამართლებდა ამ უკუღმართ წესს, როდესაც ერთი წოდება სრული ბატონი და მფლობელია მეორე წოდებისა. ამ ბატონობის მცირე შეზღუდვაც კი მსხვერპლად უნდა სჩვენებოდეთ. დიად, ეს ასეა, მაგრამ, როგორცა ვსთქვით, საბოლოოდ არც ისე დაზარალდნენ მემამულენი. იმ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ ხომ 1.840.000 მან. მიიღო ყუმბში, ხოლო 160.000 მან. ხანის დაარსებისათვის. მას შემდეგ ორმოციდაათი წლის განმავლობაში „ნადლეგში“ ზედარ ღაღას იღებდნენ. ასე რომ, სამართალი რომ იყოს, დროებით ვალდებულ გლეხებს, ე. ი. ვისაც ჰქონდა ნადლეგები, მიწის ფასი სავსებით აქვთ გადახდილი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამერ-იმერეთის თავად-აზნაურობას კიდევ ეძღევა 8 მილ. ფული. ასე რომ, საბოლოოდ ზარალზე ღაპარაკი შეუწყნარებელი ხდება.

თავისი ეკონომიური უპირატესობა, როგორც ვსთქვით, არც ერთ წოდებას და კლასს არასოდეს ნებაყოფლობით არავისთვის დაუთმია. საკვირველი იქნებოდა, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა გამოჩაღობის ყოფილიყო ამ სასოგადოკანონიდან. და რადგან დიმიტრი ყიფიანი ნამდვილი შვილი იყო წოდებისა, ამიტომ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ დ. ყიფიანი აქაც, როგორც ბევრ სხვა საკითხში, თავის სინდისთან და გონების მოთხოვნილებასთან სავსებით იყო შეთანხმებული და მოქმედებდა არა როგორც რეფლექსებით ნება-შეზუთული ინტელიგენ-

ტი, არამედ როგორც თავად-აზნაურულ პრინციპებით აღჭურვილი, მაგრამ მტკიცე და ადამიანი ანა ადამიანი...

მეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ მთავრობა არ იწყნარებდა ქართველ თავად-აზნაურობის პოზიციას. მისი პროექტი ლიბერალური იყო შედარებით, რადგან „ნადლეგებს“ მაინც იხსენიებდა. რაც შეეხება ფულით ანაზღაურებას, მთავრობა მზად იყო ამაზე, ხოლო ეწინააღმდეგებოდა, ბევრი არა მხოლოდ. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მას ამოძრავებდა ფისკალური ინტერესი და არა ლიბერალური. რომ მართლა ჰქონდა ამგვარი შიში მთავრობას, სხანს ნათლად ერთი საუბრიდამ, რომელიც ჰქონდა დიმიტრი ყიფიანს დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან:

1863 წ. მივიდა დიდ მთავართან დ. ყიფიანი იმ განზრახვით, რომ ეგებ მოვახერხო და თავად-აზნაურთა შუამდგომლობა მომავალში, როდესაც მოვა დრო, ჩვეულებრივის წესით კი არ წარუდგინო მთავრობას, (გუბერნატორის საშუალებით), არამედ პირდაპირ გადაეცემა დიდ მთავარს. ამ გზით თავად-აზნაურობა მეტ გამოჩენას მოელოდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. დიმიტრი ყიფიანს წარმშვრული დაუხვდა დიდი მთავარი. დიმიტრის მეტუარებში ვკითხულობთ:

— „ვიცი, რისთვისაც მოხვედით. როგორ მბედავთ თავად-აზნაურობას რომ ურჩევთ უაზრო მოთხოვნათა წარდგენას? გლეხებში თურმე 17 მილიონს ითხოვთ.“

ამჟამად იყო ვიღაცას მოეტყუებია დიდი მთავარი.

მე უპასუხე — ითხოვს რასმე თავად-აზნაურობა, ევედრება თუ თავის ბედს მეფის წყალობაზე ამყარებს, ამას ვაივებთ, როდესაც წაიკითხავთ მოხსენებას, მხოლოდ ესლა ეს არის საკითხავი, როგორ წარუდგინოთ ეს მოხსენება.

— უთხარით თქვენს თავად-აზნაურობას, რომ წესიერების დარღვევის ნებას არ მივცემ. მოხსენება წინამძღოლმა გუბერნატორის საშუალებით უნდა წარმომიდგინოს.

— ძალიან კარგი.

საჩქაროდ გამოვედი კაბინეტიდან და აღარაფერზე ხმა აღარ ამოვიღია“.

სამოცი წლის განმავლობაში ჩვენს ცხოვრებაში ისეთი ღრმა ცვლილება მოხდა, რომ ესლა აღარ შეწყნარებთ ამგვარ მსოფლმხედველობას. გვეყენს, რომ დ. ყიფიანი რადიკალი არ იყო, ასეთი კი ეგულებოდა იგი უმრავლესობას — და თითქმის არ გვინდა დავიჭიროთ, რომ ადამიანი, რომელმაც თავი დასდო სამშობლოსათვის, ასეთი ვიწრო წოდებრიობის მაზიარებელი იყო. მაგრამ წყრომით არა გაკეთდება-რა.

ფაქტებს ნუ დავამახინებთ. გავყვით დ. ყიფიანს მის რთულ ცხოვრებაში, ვადევნოთ

თვლი მის მოქმედებას, აწრთა გაფართოვებას, გართულებას და მერე, როდესაც ყოველივეს გაერთიანების წინებთ და ერთად მოუყრით თავს, იქნებ გამოირკვეს ბევრი რამ და, აღარ იყოს გაუგებარი ის, რაც ეხლა გაუგებარია.

პარტი VIII.

სანამ გავაგრძელებდე დ. უიფიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობის და აწრთვების დახასიათებას, საჭიროა ჩახედვა მის შინაურ ცხოვრებაში და ინდივიდუალურად განცდილ სულის წრახვანში. დიდ-ბუნებოვანი ადამიანი სინატირესოა არა მარტო თავისი მოღვაწეობის საზოგადოებრივი ხასიათით, არამედ იმითაც, თუ რას განიცდის იგი ინტიმურ წრეში, რა აწრები და გრძნობები ებადება კერძო პირებთან მიწერ-მოწერაში და სხვა ამისთანა. მიწერ-მოწერა ძვირფასი დღეულებია ადამიანის სულისკვეთების გასაშუქებლად. აქ, მახლობლეთან და მეგობრებთან მიწერ-მოწერაში ადამიანი თავისუფლად ჰგრძნობს თავის თავს, იგი მსახავს სწორედ იმას, რაც უდევს გულში, აუდიტორია არ აწუხებს, არ ჰხუთავს მის პირად გრძნობას. აქ ადამიანს პირადად თავისი ნამდვილის ბუნებით ისახება, სწორედ ამ მხრით არის საგულისხმო დიმიტრი უიფიანის მიწერ-მოწერა თავის ერთგულ და საყვარელ მეუღლესთან.

დ. უიფიანის მეუღლე, ნინო იაგორის ასული კილაშვილის ქალი, დაიბადა 12 მაისს 1827 წ. მისი საბუთი მოიპოვება დიმიტრის წერილში, რომელიც 12 მაისს, 1886 წელს ულოცავდა აწ წლის დაბადების დღეს და სადაც ნათქვამია: „შენი დაბადების დღე 1827 წ. და არა 1826 წ.“. მასხალადმე, იგი იყო 13 წლით უნცროსი თავის ქმარზედ. ნინოს მამა, ჩიორგი კილაშვილი, აწ იაგორ გავრილის ძე ჩილიავეი, როგორცაღა დააკეთეს რუსულად, საქართველოში ცნობილი კაცი იყო. 1839 წლამდე, სანამ არსებობდა ეგრედ წოდებული საქართველოს უმაღლესი მმართველობა (Верховное Грузинское правление), ამ მმართველობის გავლენიანი წევრი იყო, შემდეგ კი ცხოვრობდა დუშეთში, სადაც დიდი მამულები ჰქონდა და ძველებური ციხე-დარბაზი, რომელიც ეხლაც იპყრობს უურადლებას კავკასის გზით მოსიარულეთა. ნინოს გარდა კილაშვილის კიდევ ქალ-ვაჟი ჰყავდა, ორივე ქალი, ნინო და ლიზა გაგზავნილი ჰყავდა სწავლა-განათლების მისაღებად პეტერბურგში, სადაც მიაბარა წმინდა ეკატერინეს სასწავლებელში, შემდეგში ინსტიტუტად გადაკეთდა. ნინომ და ლიზამ აქ დაასრულეს სწავლა 1844 წელს, როგორც შემოწმებულია ნინოს შესახებ მის მიერ მიღებულ ატესტატში. ლიზას შესახებ ცნობა არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ 1845 წელს ორივე ქალიშვილი უკვე დუშეთის

ციხე-დარბაზში თავის მამის მამულში სცხოვრობდა.

იაგორ კილაშვილს დიმიტრი ვაიენო ტულისში, მისი ძმის ბაბანა კილაშვილის აწ ბორის ჩილიავეის სახლში, რომელიც იმ ხანად ტფილისის პოლიციებისტერად იყო და ვის ოჯახშიაც ხშირად დაიარებოდა ახალგაზრდა მოხელე, დიმიტრი უიფიანი. აქვე დადიოდა ვინმე ნაწარმოი, ისიც მოხელე (შემდეგში ერევნის გუბერნატორი). ნაწარვეი და დიმიტრი უიფიანი მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ და ერთ მშვენიერ დღეს, იაგორ კილაშვილის მიატიუებით, დუშეთის ციხე-დარბაზს მიადგნენ. გაიცნეს ახალგაზრდა ქალები ნინო და ლიზა და მას შემდეგ როგორღაც მოუშვირეს კავკასის გზით სიარულს. კომუნა მომწვედული ორი ახალგაზრდა შნოიანი და იმ დროისათვის შესაფერისად განათლებული ქალი, მუსიკა, ბაასი, სიცილ-ხარხარი, სეირნობა, სოფლის მუედროება და ბუნების სიმშვენიერე... ერთის სიტყვით, 1845 წელს 22 იანვარს ორი გვარის წერა მოხდა დუშეთში. დ. უიფიანმა შეერთო ნინო, ნაწარმვა ლიზა. ამ უკანასკნელთ თავი დავანებოთ, დიმიტრის და ნინოს ახალ ცხოვრებას კი ვადევნოთ თვალ-ყური. ჩვენთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენს მათი გარეგნული ცხოვრება, უფრო საგულისხმოა მათი სულიერი კავშირი, რასაც დიდ სინათლეს ჰფენს დიმიტრის კერძო წერილები, სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა პირობებში მოწერილი თავის მეუღლესთან.

ამ მიწერ-მოწერაში ისახება ერთი თვისება, ერთი, ასე ვთქვათ, ისევექტი დიმიტრის ხასიათისა, რომელსაც იმ თითვე ძლიერ ებრძოდა დიმიტრი. ეს იყო გულის სიფიცხე, რომელიც ქარიშხალივით შეიპყრობდა ხოლმე მას. ეს იყო ერთგვარი ბრძანებლობითი ინსტიქტი, რომელიც მის ბუნების სიღრმეში ჰბუდობდა. ამ თვისებების წყალობით დიმიტრის ისწავლა თავის შეკავება. დიდის ნების პატრონი იყო და იმდენი მოახერხა, რომ გაწრთინის წყალობით, დაუპარვა ნების-ყოფას მისი სტიქიური ხასიათი. მაგრამ ეს თვისება დიმიტრის ბუნებისა საბოლოოდ მიიწე არა ჰქონდა დამორჩილებული. შინაურ, ოჯახურ ცხოვრებაში, ცოლთან განწყობილებაში, დიმიტრის ხასიათის ამ მხარეს და თვისებას ხანდისხან უსიამოვნებაც შეჰქონდა, ცოლთან მშვიდობიანი დამოკიდებულება თითქოს ირღევოდა. იგი შემცენებულ ნებითვე იმორჩილება თავის სტიქიურ ნებას. რაციონალური მსჯელობის იარაღი კარგად ჰქონდა განვითარებული და ამ იარაღს საუცხოვოდ იყენებდა ოჯახურ მუედროების და მშვიდობიანობის დასაცავად.

დიმიტრი ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი იყო. ცოლ-ქმრობასაც ისე უყურებდა, როგორც კავშირს ღვთით დაკანონებულს. ცოლ-



ქმრობა განუყრელი შეკავშირებაა და ამ შეკავშირების განმტკიცებისთვის ურთიერთს ურთავს ეხმარებოდნენ ცოლიც, ქმარიც. თუ მათ შორის უსიამოვნება ჩამოვარდება, ამ უსიამოვნებას ერთმანეთისადმი სიყვარული და პატივისცემა მოსპობს. ამ პრინციპს აღიარებდა დიმიტრი, ხოლო თუ მისი განხორციელება უკველთვის ადვილი არ იყო მისთვის, ამასი ცოლადღეინ ბრალი ცოლსაც უდევს, რომელიც, საუბედუროდ, ვერა სწვდებოდა დიმიტრის მადლ-სულოვნებას ზომამდე. ჭვარის წერის შემდეგ პირველ წლებში, როდესაც ცოლ-ქმარნი ერთ კიდევ მჭიდროდ არ შეეთვისნენ ერთმანეთს, მათ ხასიათებს შორის წევრე შეტაკება იყო ხოლმე, როგორც სჩანს მწერლისადაც. აი, რასა სწერს დიმიტრი ერთ თავის წერილში: „ექვსი დღეა, რაც ვავშორდით ერთმანეთს და ამ წერილს მხოლოდ ეხლა გწერ. გწერ, მასხასადამე, დამშვიდებული და დაწუნარებული... უნდა ეცადო ჩემი უბედობა აღერსით მთარბილო. მომავალში ამ თვისებას შენ დასძლევ ჩემში, რადგან შენ თავს შეიკავებ და არ გაადუბ ხოლმე ჩემს სიფიცხეს, ჩემს უმთავრესს ნაყლს, არ გამაწვავებ ჩემში ბოროტ გრძნობას, მოსპობ ჩემი ხასიათის სიმძიმე... შენ და მხოლოდ შენ შეგიძლიან განამტკიცო ჩემი დიარსება, ამაღლო ისინი და ჩემი და შენი ბედნიერება შექმნა, შეგიძლიან შენის სინაზით, შენის სრულის მინდობით ჩემს კეთილშობილებსადაც. მაშინ, თავის თვად, ამგვარი ჩემი ღრსება შენი ბედნიერების ხელის შემწვეობი იქნება... თუ შენგან დამშვიდებული პასუხი მივიღე, გულის სიწრფელით გაპატიებ იმ წუენას, რომელიც მოგაყენე; რადგან შენ უკველთვის ივიწყებდი ჩემს უმთავრესს ნაყლს, რომ შესახებ ჭვარის წერის იმ გაფრთხილებდი. დავიწყებ იმ მწარე შხამიან გრძნობას, რომელიც თითქოს სისხლით რწყავდა ჩემს გულს, როდესაც სიფიცხე შემთავრობდა ხოლმე. მას უკველივეს დავივიწყებ და დავიბრუნებ ჩემს სრულს სიყვარულს და პატივისცემას“. საყვარადღეო სიტყვებია: ბაპაბტიმე იმ წმინანს, რომელიც მამ მობაპანამ. თუ წუნა მიაყენა, ხომ ცოლმა უნდა აპატიოს? იფიქრებს მეთხველი. დიმიტრი სხვა აზრისა იყო. ამ აზრის გასამარტავად იმავე წერილში ვაოვებთ: „ადამიანი უფრო ადვილად სხვას აპატიებს შეურაცყოფას, რომელსაც მას მიაყენებდნენ, ვიდრე იმ შეურაცყოფას, რომელიც მან მიაყენა სხვას, რადგან ძნელად ივიწყებს იმ მიზეზს, რომელმაც გამოიწვია მასში ამგვარი სურვილი სხვისი შეურაცყოფისა“. მეორე წერილში ამავე საგნის შესახებ ვკითხულობთ: „როდესაც გაანჩხლებულსა მხედარ — მას ხომ ადვილად შეტაკობ-ხოლმე — ამ შემთხვევაში ჩემგან ნურათყობს ითხოვ, ერთ ნახევარ საათს ნუ მელაპარაკებ, ხოლო თუ დამელა-

პარაკე, აღერსით და ღიმილით მელაპარაკე, თუ გთხოვც გაჩუმება, იმწამსვე გაჩუმდები კოლას (შვილს) და სხვა რამეს მიხედუნი. შეურადღეო თვისებაა — ბრანის და სიფიცხის განულების წინააღმდეგ აქ აღერსი და სიყვარულია ერთად ერთი წამალი. ეს უტყუარი შემართება საზოგადოთ. და დიმიტრის ხასიათისთვის ეს სიყვარული და აღერსი იმდენად აუცილებელი და უებარი იყო, რომ, გამწვავების თავიდან ასაცილებლად, იძულებული იყო აეხსნა და განემარტა ხოლმე ეს აზრი თავის ცოტარ იუოს მარტივ და ჭერ კიდევ გამოუცდელ მეუღლისთვის. დიმიტრის ხასიათის ამ თვისებას ვაქცევ უყრადღებას, რადგან უფრო გასაგები ხდება ამ შემთხვევაში ათასგვარი შეტაკება, რომელიც მოსდიოდა საზოგადოებრივ ასპარეზედ. დიმიტრი იმგვარი ნების პატრონი იყო, რომ რაც მეტს წინააღმდეგობას ჰგრძნობდა თავის ენერგიის გამომუდავების დროს, იმდენად მეტ სრუელს ჰგრძნობდა შეტაკებისა და ბრძოლისას.

ოჯახის სიუპარული დიდი პაწინდა დიმიტრის, მხოლოდ ეს სიუპარული მზარბაღუდ ბრძანებლობითი ხასიათისა იყო. ამგვარი გრძნობა ეცულებდა მის შემედღებულას ცოლ-ქმრობის ურთიერთობაზე. ერთ წერილში იგი ამბობს: „მამაკაცი უბეშია, დედაკაცი — ნაზი, კაცი ღიმიერია, ქალი სუსტი, იგი მკაცრია, ის მოქნილი, კაცი მძიმე და მგაგარა, ქალი სუბუქი და უძალური. ამ წინააღმდეგობათა შეერთებლადამ გამომდინარეობს ბუნებრივი აუცილებელი პარპონია. რომელშიაც მდგომარეობს ნამდვილი ბედნიერება... მამაკაცი მოუღინებელია მყარველად თავის მეგობარქალისა. ქალის მოვალეობა კი დატკობაა კაცის ცხოვრების შრომის გასაადვილებლად, მოვალეობაა სიყვარულით გამხმევება და ერთგულებით წახალისება მძიმე შრომაში, რომლის ტვირთი კაცს ხვდა წილად“. თავის ცოლისაგან სწორედ ამას მოითხოვდა დიმიტრი. მათი კავშირის პარპონიაც ამგვარად ეხსოვა მას: „რა თქმა უნდა, — ამბობდა იგი, — არც ჩემთვის უშენოდ, არც შენთვის უჩემოდ სიყვდილამდე და სიყვდილის შემდეგაც შეუძლებელია ბედნიერება. თუ ცოლ-ქმარნი პირველ ცოლქმრობაში არ იყვნენ ბედნიერნი, აშკარაა, ისინი არასოდეს არ იქნებიან ბედნიერნი“. აი, აზრები, რომელნიც თანამედროვე მისტურ თეორიებს აგონებენ ადამიანს. ხოლო თანამედროვე თეორიებში მეტა თანაბარუკლებიანობაა. „ქალური დასაწყისი“ ამ თეორიებში არ არის დასაწყისი ქალის დაქვემდებარებისა. დიმიტრის კონცეპციაში კი, მიუხედავად დიდის პატივისცემისა ქალის მნიშვნელობისადაც, მამაკაცობის უპირატესობის ტენდენციაა შეპარული. და ეს გარემოება ასაზღვრებებს მამაკაცის გულში ბრძანებლობითი ინსტრუქციის განვითარებას.



დომიტრის ბრძანებლობითი ხასიათი ოქახში ამ კონკეტუალად იყო დაფუძნებული. ასე რომ, საკვირველი არ არის, რომ დომიტრის ოქახში ერთგვარი პატრიარქალური წესი არსებობდა. ცოლი და შვილები, დილით მისალმების დროს, ხელზედ ჰკოცნიდნენ ზოლზე. რამდენადაც ვი-
ციანი, ქართულს ოქახებში ამგვარი ჩვეულება არ უყოფია, დომიტრის ოქახში კი იყო. დომიტრი მბატონობდა თავის ოქახში. ცოლი თაყ-
ვანებოდა და ღვთაებრივს უწოდებდა. ამ არა-
თანაბარუფლებიან ხასიათის თაყვანისმცემლო-
ბას იწყნარებდა დომიტრი, ხარა სამაგი-
ეროდ თავის მეუღლისადმი განუხაზღვრედ
პატივისცემას მოითხოვდა ოქახის უველა წიფ-
რებისაგან. დომიტრის რძალი ქ-ნი ნინო, კოტეს
მეუღლე, „თემში“ დასტამბულ თავის მოგონე-
ბაში საყურადღებო ცნობას გვაწვდის ამ სგა-
ნის შესახებ. ერთხელ როგორღაც ამადლებ-
ულის და ცოტათი გაჯავრებულის კილოთი
ელაპარაკებოდა რძალი თავის დედამთილს. ამ
ლაპარაკს უფრო მოჰქრა დომიტრამ, არ მოეწონა
და თავის შვილს კოტეს უთხრა:

„... კოტე, გააორხილე ნინო, რომ დედას-
თან კამათი არ შეიძლება!

შვილიც არ იყო დამშვიდებული, იმასაც
გულს აკლდა, რომ ცოლი აუტირებს.

— შენ თვითონ კარგად იცი, რომ დედა ჩე-
მის ხასიათი ზოგჯერ აუტანელია.

— უც თქვენი საქმე არ არის! — გაწვეტი-
რულა უცე სიტყვა, — თქვენ არა ზარო იმისი
მსაქულნი.

— მაშ მონები უნდა ვიყვეთ. არაფრის პახ-
უსი არ შეიძლება, რაც უნდა უცნაური იყოს
იმისი სურვილი! მაგისთანა ცხოვრება აუტანე-
ლია! ბავშვები ხომ აღარა ვართ.

— ეს მოვითხოვ მორჩილებს. სხვაფრივ
ერთად ცხოვრება შეუძლებელი არის, — გაა-
თავა სიტყვა და გატრიალდა“.

როგორც ზედავთ, ბრძანებლობითი ბუნება
დომიტრისა ამ ეპიზოდში ნათლად მოსჩანს. პა-
ტივის თითონაც სცემდა თავის მეუღლეს, მაგ-
რამ ეს პატივი უფრო ძლიერა-მოსილი ვაჟაცის
პატივი იყო სუსტ დედაქაცისადმი. რაკი იმ აზ-
რისა იყო, რომ ქმარი მფარველია ცოლისა,
ბრძანებლობითი პოზიციაც უნდა დაეჭირა. მა-
რთალია, ეს ბრძანებლობითი პოზიცია თავდა-
კერილი და მორიდებული ხასიათისა იყო, მა-
გრამ მასში მაინც გამოსჭვრტა უპირატესო-
ბა მამაკაცისა სუსტ დედაქაცის წინაშე, რომე-
ლსაც ხელმძღვანელობა სჭირია. ცოლს მუდ-
ამ არიგებს, ასე მოიქეცი, ისე მოიქეციო. ერთ
წერილში სწერს პეტერბურგიდამ: „აჲ (სახან-
ღებში) ღრმა თალხებში არიან. შენც ღრმა
თალხებში უნდა იყო, რადგან მეოთხე კლასის
მოხელის მეუღლე ხარ. კუჩრისაც შავი ხალა-
თი ჩააცვი“. მეორე წერილში სწერს:

„შენ წერილში, ნიურკა, სიტყვას parlyu-ს

ხმარობ. ეს მანდილოსნების სიტყვა არ არის,
უმწიფელი კაცები ხმარობენ, ისიც
მარტონი არიან“.

მაგრამ დომიტრის ცოლმა ოქახში თავისებ-
ური ნაკადიც შემოიტანა. რუსეთში აღზრდილ-
მა, ნაწევრად გარუსებულმა ცოლმაც დაასვა
თავისი დაღი ოქახურ ვითარებას. რუსული
სჯა-ბაასი და ერთმანეთთან რუსულად მიწერ-
მოწერა გამეფებული იყო ოქახში. დომიტრის
და მის ცოლს ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი
ჰყავდათ: ნიკოლაო, კოტე და ელენე. სახლში
ეძახდნენ კოლოას, კოსტას და ლეკას. დომიტ-
რი თავის შვილებს, რასაკვირველია, ქართულ-
საც ასწავლიდა. და განსაზღვრულ ხანაში
უველამ საითათოდ დაიწყო ქართული წერა-
კითხვის სწავლა. ქალაქებში დასულია რამ-
დენიმე ნიმუში ბავშვების ქართულის წერილ-
ბისა, დედ-მამასთან მიწერთლი. მაგრამ ეს ქა-
რთული არ იყო ნორმა და მუდმივი ჩვეულება,
არამედ როგორც გამოჩაქლისი, როგორც რა-
აც არა ჩვეულებრივი. ერთვუნულად განვითარე-
ბული საზოგადოებაში ამგვარი რამ შეუძლე-
ბელი იქნებოდა. და ცოლს ამ რუსიფიკაციის
საქმეში უყანასკნელი ადგილი არ ეჭირა. მაგ-
რამ ისიც არის სათქმელი, რომ იმდროინდელ
ქართველ თავად-აზნაურულ საზოგადოებაში
ქართულის არცოდნა დანაშაულობად არავის
მიჩნდა. დომიტრი ყუფიანის ოქახის ოსპობა-
ტებისა და ჰქონდა სხვა იმდროინდელ ოქახებზე,
რომ შვილებს სხვა ენებთან ერთად უსაყოფოდ
უნდა სცოდნოდეთ ქართულიც. მაშინ როდე-
საც სხვა ოქახებში ამ გარემოებას ნაკლებ
უფრადღებებს აქცევდნენ. სასწავლებელში, რო-
გორც უვეც ვიციო, ქართული ენა დღევანდ-
ებურად დევნილი არ იყო. მაგრამ თავად-აზნა-
ურულ ოქახისთვის რუსული იყო საარსებო
ენა და არა ქართული. რუსულით ენიჭებოდა
საზოგადოებაში პატივი, სამსახური, უოველგ-
ვარი უპირატესობა, ასე რომ, თავად-აზნაურ-
ულ ოქახებში გაცილებით მეტი მოთხოვნილე-
ბა იყო რუსული ენისა, ვიდრე ქართულისა და
ვინც, მიუხედავად ამისა, პრინციპიალურის
მოსაზრებით, ასწავლიდა შვილებს ქართულსა,
ის თითონ უნდა უოფილიყო განსაკუთრებულ
პრინციპების მტარებელი. სწორედ ასეთი იყო
დომიტრიც.

ფრიად საყურადღებოა სერია იმ წერილები-
სა, რომელთაც უგზავნის თავის ცოლს 1880
წელს პეტერბურგში ყოფიან დროს. ეს ის
დრო იყო, როდესაც თ. ბარიატინსკისთან „ოპ-
იკის“ თაობაზე უსიამოვნება მოუვიდა და რო-
დესაც „სამართლის“ საქმეზედ პეტერბურგ-
ისაკენ გასწვია და სადაც ერთი წლის განმავლ-
ობაში იმყოფებოდა. „დრო თავის თავად აჩქა-
რებით გარბის, — ვვითხოვლობო ერთ წერილში,
— მაგრამ არას დროს არ არის იგი ისეთი ზარ-
მაცი, ისეთი უსიციცხლო, როდესაც კაცს საქ-



მე არა აქვს, როდესაც მთელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ელი რაღაც შორეულს და არ იცი, რათი შეჯავსო ღოდინის სიკვარითღე. რა თქმა უნდა, წასაკითხი და დახაწერი ბევრი რამ საინტერესო არის, ადგილიც ბევრია, საცა მისვლა შეიძლება. მაგრამ, როდესაც იცი, რომ კითხვის და წერის სურვილით კი არ კითხულობ და სწერ, და იმიტომ კი არ მიდიხარ, ხაცა მიდიხარ, რომ გინდა წახვლა, როდესაც უოველსავე ამას თავის გასართობად სჩადიხარ, ერთ-ი, მეორე, მესამეც საშინლად გებწოდება“.

როდესაც წერილებს შეუგვიანებლად, ერთობ ძლიერ შეწუხებული იყო. ზოგიერთ წერილში თითქოს სასოწარკვეთილება ისახება: „ჯანით კარგად ვარ, სულით ავად ვარ, — სწერის თავის ცოლს. — 30 ივნისის შემდეგ აღარ ვიცი, ცოცხალია თუ არა ჩემი ცოლ-შვილი. ხუთჯერ მოვიდა ფოსტა და არაფერი მომივიდა. რომ მოკლნოდა, ასე სასტიკად რაღა მსჯის ღმერთი, ცოდვას მოვიწინებდი და მაპატიებდა, მაგრამ არ ვიცი. იქნებ იმისთვის, რომ გადაამეტებულად მწუხრია ცოცხლად რამე და გადამეტებულად ძვირფასნი არიან ისინი, ვისგანაც მოველი ამბავს. მაშ, ვისთვის და რისთვის ვითმენ ამდენ ზნეობრივ მწუხარებას?“ ასე ღრმად გრძნობდა დიმიტრი მწუხარებას და საკვირველიც არ არის, რადგან თავის მისთვის სამღვთო ეკრა იყო, მისი ოჯახისცემა და სიუცარული ოჯახისა სრულიად იშვიათი მოვლენა არის დღევანდელ დროში. „თუ შევიწროებას, უსიამოვნებას და გაკვირებას ვითმენ, ეს ხომ იმიტომ. რომ სასარგებლო ვიყო ოჯახისათვის და თვით ოჯახშიც ვიმყოფებოდე. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მე ხომ ადამიანი ვარ, შეც მწუხრია სიხარული. გერ არავის უთქვამს ჩემთვის, რომ ჩემი ოჯახი სიხარულშია, როდესაც მისგან განშორებული ვარ. და თუ ასეა, მინდა ჩემს ცოლთან და შვილებთან ვიყო. სადაც ისინი არიან, იქ არის ჩემი სამშობლო. ჩემი საზოგადოება, ჩემი სახელმწიფო. უმაგათოდ არ შემძლიან და მინდა ვიყო ვისთვისმე სასარგებლო და საკირო“.

ამ სიტყვებიდან იქნებ ვინმემ ის დასკვნა გამოიტანოს, რომ დიმიტრი ყოფიანი ოჯახურის ეგოიზმით იყო გამსჭვალული. მაგრამ მისი სიცოცხლე წინააღმდეგს გვეუბნება. ოჯახურ მოსაზრებას არასოდეს შეუწყენებია დიმიტრი თავის მოვალეობის ასრულებაში, სახელმწიფო, საზოგადო თუ საერო სამსახურის დროს.

დაბ. ცოცხალი ნაკადული სახარულითა, უანგარო სიამოვნებისა, რომელიც ახვრ ახლოა ესთეტიურ უანგარობასთან, საჭირო იყო ადამიანისათვის, რომელსაც ბევრი ზნეობრივი ძალა ესაჭიროებოდა ცხოვრების ქარტესილთან ბრძოლაში.

რაკი ქალ-ვაჟთა დამოკიდებულებაზე და ქალებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მეტი არ იქნება

გადაუშინებოთ დიმიტრის წერილები, სადაც ის საგანს ეხება. როდესაც კაცი ქალს ისე უყურებს. როგორც სუსტს ქმნილებას, რომელსაც მცველი და მფარველი სჭირია, მისი დამოკიდებულება ქალისადმი შეიძლება ჩამოყალიბდეს ორგვარ ფორმაში: ან დებსოტიურში, ან გენტლმენურში. ეს დამოკიდებულება ამგვარ კაცის კულტურულ თვისებებზე. დიმიტრი უიფიანი, რასაკვირველია, გენტლმენ მამაკაცთა წრის ეკუთვნოდა. და მის გენტლმენობას ახარდოვებდა მისი ღრმა რწმენა, რომ მიუხედავად ქალის სისუსტისა, იგი ზემოების და სიკეთის წყაროა. იგი მშვენიერების გამომახველია. ამ მხრით დიმიტრის აზროვნებას რომანტიულ ეპოქის აზროვნების ეკალი აჩნდა. საშუალო საუკუნის „მშვენიერ მანდილოსნის“ კონცეპტია აღარ მოვლდება ამ კონცეპტის. რამდენად შეესაბამება ამგვარი აზროვნება სინამდვილეს, სხვა საკითხია, ამის გამოძიებაში ეხლა არ შევლივართ. ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ გამოვანახოთ და გამოვშქებნოთ ფსიხოლოგოურა მართებები, რომელნიც საზღვრავდნენ დიმიტრის მსოფლ-მხედველობას.

პეტერბურგში უოფნის დროს 1860 წ. საშუალება მიეცა იქაურ დიდ საზოგადოების გაცნობისა. მის თვალწინ იშლებოდა გაღვრეცა ქალთა ტიპებისა, და თავის წერილებშიც ცოლს იგი ხშირად უზიარებდა შთაბეჭდილებებს. დროგამოშვებით ტფილისელ ქალებსაც გაიხსენებდა ხოლმე. ცოლი სწერდა, ქალები დიდის აღტაცებით მიეგებნენ შენს არჩევას გიმნაზიის შორეულადო. დიმიტრი უპასუხებს: „მანდილოსნის უყოცნი ხელებს, რომლებითაც ტაშის ცემით ეგუებოდნენ ჩემს ამორჩევას. თითქოს გრძნობენ, რომ მე მხურვალე მოსარჩლე ვარ ზნეობრივ და ფიზიკურ ღირსებებისა, ე. ი. მოსარჩლე ვარ მათის ღვთისნიერებისა, კეთილის ზნეობისა, ბუნებრივ ქკუნისა, საგანგებო ტაქტისა და სილამაზისა. ამას უოველთვის ვიცავდი ზუმრობაშიაც, სერიოზულ საუბრებშიაც, და ალბათ ტაშს ამიტომ მიკრავდნენ. მადლობელი ვარ, ვუყოცნი ხელებს და გამოუკლებლად უყელას ერთობლივ ვეარშიეცნი, თუ რომ ეს უჯანსაღული გარემოება არ დამაღუავს მათს თვალში, რადგან ქალებს საშინლად ეჯავრებთ ისინი, ვინც უყელას განურჩევლად ვერშიეუებაო“. სხვა წერილში ვკითხულობთ: „იმ ქალის საზოგადოება, რომელსაც შეგნებულა იქნეს თავისი ღირსება, თვით ურცო აღმამიანად ჰქმნის რიგაანად. ჩვენ, მამაკაცნი, გამხედავნი და თავებენი მაშინ ვართ ქალებთან, როდესაც თითონ გვაქეზებენ ამ მხრით“.

ერთ წერილში გვიამბობს ერთ ამბავს, მასკარადში რომ შეემთხვა. „ხელი ჩამვიდა მასკამ და სისულელეს მეღაპარაკებოდა. წამიყვანა ბუფეტში და მოხვავ, ხილით გამიმასპინძლ-



დღი. მე, როგორც ჩენტლმენი, ვუბრძანებ მოსამსახურეს ხილი მოეტანა. ერთი თვეში ხილი მ მან. დააფასა. მასკამ მოთხრა, არა ღირსო, და ჩვენ ვავედიო ბუფეტდიან. აქ მომობრუნდა და მოთხრა: ხილში ექვსი მანეთის მიცემა—გინდოდეთ, ეგ ფული მე მომეცითო, მე თითონ ვიყიდიო. სისულელე მომივია, მივეცი ფული, მერ კი ვავიფიქრე, რომ ასეთ თავხედობას ზომ მარტო ვინმე სალახანა იკადრებდა. მაგრამ რადგან უზრდელობა ქალებთან, განსაკუთრებით მასკასთან, შეუწყნარებელია, ვისარგებლე შემთხვევით და კონსტანტინეს (ნაცნობს) ვსთხოვე ქართულად, თუ ღებრიო გწამს, როგორმე განათავისუფლე ამ უცნაურ ქალისხაგან... ის რომ არ ყოფილიყო, მართალი ვითხრა, არ ვიცოდი, როგორ მეშველა ჩემი თავისთვისო". ჩენტლმენობაც ასეთი უნდა. ურიგო ქალს გადაეხლარა, მაგრამ ქალის პატივისცემა ისეთი დიდი ჰქონდა, რომ ამ იცოდა, როგორ დაეხსნა თავი. კიდევ კარგი, ნაცნობმა გამოიხსნა ტყვეობისაგან. დიმიტრის ხასიათის ამგვარ თვისებებს უწინშენელო ადგილი არ უჭირავთ მის პიროვნების დახასიათების საქმეში.

პარი IX.

დავებრუნდეთ ისევ დიმიტრის საზოგადო მოღვაწეობას. უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა სახელმწიფო სამსახურისათვის თავის მიწებება სამიზმო და საწყენიც იყო დიმიტრისათვის, ქვეყნისათვის კი ეს გარემოება ფრიად სასარგებელი გამოდგა. იმ ძალ-ღონეს, რომელიც სამსახურში ეხარჯებოდა, ახლა საზოგადოებრივ მოღვაწეობას ანდომებდა. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ ამოძრავა დიმიტრიმ თავისი ენერჯია ბატონ-უშობის გაუქმების საქმეში, რა ინიციატივა, შრომა და შედეგადღობა გასწვია ამ საქმის გაძლიერების დროს. მართალია, მისი აზროვნება წოდებრივი ელფერისაა, იგი უტუპური და ერთგული მცველია თავად-აზნაურული ინტერესებისა. მის მხნეობას, ქუას და გამებრიაობას უნდა ემადლიერებოდეს მამინდელი თავად-აზნაურობა, რომელსაც, გასაქირ დღეს, ხელმძღვანელად გაუხდა და შესამჩნევად გაუადვილა პროცესის სოციალური ცხოვრების გარდაქმნისა. ვიმეორებ, დიმიტრი გამსჭვალულია წოდებრივის ინტერესებით, ხოლო მიუხედავად ამისა, მის მოღვაწეობას, თან და თან, საზოგადოებრივი და ფართო საყოველთაო ხასიათი ეძლევა. ეს პროცესი, დროთა მსვლელობაში აშკარად ირკვევა, ხოლო მისი დასაწყისი უცილებლად მოსჩანს ტფილისის სათაზნაურო ბანკის დაარსების განზრახვის დროიდან. ბანკი თითქოს შერჩენილ წოდებრივ პოზიციების გასამაგრებლად უნდოდათ. მაგრამ ბანკმა, საკრედიტო დაწესებულებამ, ფული დაატრიალა ნატურალურ მეურნეობის დონეზე მდგარ ქვეყანაში. ფულმა დააჩქარა საწარმოო ძალთა განვითარება და საბოლოოდ

ეკონომიურ პროგრესის ფაქტორად გახდა ჩვენს საზოგადოებაში მიუხედავად თავად-აზნაურულ მიწის მფლობელობის დაკეპნისა და წოდების აჩქარებულ გაღარიბებისა. საგულისხმო ის არის, რომ იმ დროიდან, როდესაც ჩვენმა თავად-აზნაურობამ კულტურულის საშუალებით იწყო ზრუნვა თავისი წოდებრივი ინტერესების დასაცავად. მისი მოღვაწეობა ქვეყნის ინტერესებთან სასტიკ წინააღმდეგობაში აღარ იყო. პირიქით, ქვეყანას სარგებლობასაც ხელავდა ამგვარ მოღვაწეობაში, ბანკს წოდება უნდა გადაერჩინა განსაცდელისაგან. ნამდვილად კი მან ააჩქარა მისი დაღუპვა, ხოლო ამასთან ზელი შეუწყო ახალ ეკონომიურ ძალთა წარმოშობას. სწავლა-განათლება წოდებას უნდა რგებოდა, ნამდვილად კი სწავლა-განათლებამ შექმნა ჩვენში წოდებრივ ელფერ და კარგული ეროვნული თვითშეგნება. ერთის სიტყვით, ჩვენი თავ-აზნაურობის კულტურულ გზავთ დადგომა დასაწყისი იყო წოდებრივობის დაშლისა და თანდათან გამორკვევა და გამოსახვა საერო და სახალხო ინტერესებისა. და ამ მიმართულების დამწყები და ინიციატორი იყო დ. უიფიანი.

ამ თვალთაში ამ შევხედოთ დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას ცხოვრების მეორე პერიოდში, სამოც წლებიდან მოყოლებული სიკვდილამდე, უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის ზემო-აღნიშნული პროცესი ჩვენი საზოგადოების განვითარებისა. დიმიტრიმ კარგად დააფასა მისიშენებლობა ღრმა სოციალურის ცვლილებისა, რომელიც მოხდა მის თვალწინ და იქნებ მის პირად სურვილის წინააღმდეგ. და როდესაც შეიგნო და დარწმუნდა, რომ უკან დახევა შეუძლებელია, მისი ფიქრი, ზრუნვა და აზრი ცხოვრების ახალ პირობების მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული და მისი სურვილი და ზრახვა ამ ახალ ცხოვრებასთან შეგუება იყო. და შეუდგა რა ამ შეგუების საქმეს, იგი შეუმჩნევლად წოდებრივ ფარგალს სცილდებოდა და უახლოვდებოდა ფართო საერო სარბიელს, სადაც ის იყო ფეხს იდგამდა ნორჩი ჩვენი საზოგადოებრივობა და სადაც ის იყო თვალეხ იფუნქტდა ხანგრძლივი ძილისგან გამორღვიძებული ჩვენი ეროვნული თვითშეგნება. ჩვენ კვალ და კვალ გავევებით ამ საუურადღებო პროცესის მხედლობას და ამასთან ერთად კვალ და კვალ განვიხილავთ დიმიტრის საზოგადოებრივ მოღვაწეობის ეტაპებს, რათა გასაგები გახდეს ჩვენთვის ის დრამატული სიტუაცია, რომელიც მოუშალა მას, ერთის მხრით, ჩვენმა ახალმა ცხოვრებამ თავისი ფართო მოთხოვნილებებით, მეორეს მხრივ, მისმა სურვილმა ამ ახალ ცხოვრებაში თავისი პოლიტიკური მრწამსის პოლიტიკურად განხორ-

პარილ ჯომჯომა
დიმიტრი ყიფიანი



ციულები. ამ საგნის გაშუქებამდე მივაღწეოთ თავის დროზე. ეხლა კი მივაპყროთ ჩვენი ყურადღება ბანკის დაარსების საქმეს ჩვენში. ამ საქმესთან ბევრი სხვა რამეა დაკავშირებული და თუ ისტორია ბანკის დაარსებისა ნათელი გახდება ჩვენთვის, ეს სინათლე ჩვენი ცხოვრების სხვა მხარეებსაც გააშუქებს.

ოთხმოციან წლებში ილია ჭავჭავაძეს ცხარე კამათი ჰქონდა დიმიტრი უიფიანთან ბანკის თაობაზე. ამ კამათს თავის დროზე გავცნობთ. ეხლა კი გვაგონდება ერთი წერილი 1888 წ. „ივერიაში“ დაბეჭდილი დიმიტრი უიფიანის მიერ, წერილი, სადაც რამდენიმე სტრიქონში შევკრებთ ყველაფერს არის აღნიშნული ის უსიხოლოგური მოტივები, რომელნიც, უშუალოდ გაუქმების შემდეგ, ამოძრავებდნენ თავდა-აზნაურობას თავის წოდების დაცვის საქმეში. აღნიშნულ წერილში იგი ამბობს: „ახალი განსაცდელი გვედგა მაშინ კრიკაში, შესაძლებელი იყო ჩვენი ცხოვრების ღონისძიება მიგვედოთ, გამჭარალიყო და ყველამ ერთად საბიროდ დავინახეთ, რომ ერთმანეთისათვის ხელი მიგვეცა და ერთმანეთისათვის მეზობლურად გაგვეძლიებინა. ჭიბიდან ამოვიდეთ ყველამ, უკიდურესად გაქსეატებულ ჭიბიდან, რაღაც საცოდავი ხუთ-ხუთი მანეთი და ასე ფულს საკმაოდ ბევრს მოუყარეთ თავი. ასე დავიდგინეთ, ასე ავიშენეთ ბანკი, რომელიც ორმოციის თუ სამოცი ათასის თუმნის ტრიალით ყველას მოგვიხერხებდა გაჭირვებაში ხელის გამართვას. ასე ვიმედოვნებდით იმ საშინელი განსაცდელის აცილებას, რასაც მაშინ უწოდებდნენ ჩვენ სწორედ შევუშინდითო!“. მაგრამ საგულსხმობა ის გარემოება, რომ ბანკის დაარსების საჭიროების გამოჩვენებამდე სწავლა-განათლებისათვის საზოგადო თანხის მოგროვებასა სტირდობდნენ. და დიმიტრი უიფიანიც თავდაპირველად იმის ცდაშიც იყო, რომ სწავლა-განათლების საქმისათვის ცალკე თანხა ყოფილიყო, მაგრამ მალე ეს ორი საქმე ერთმანეთს გადაბა და მით საფუძველი ჩაუყარა დიდ საქმეს. გუბერნიის წინამძღვრად რომ აირჩიეს 1884 წელს საყურადღებო ქალღმერთ უფავნის მხარის მარშლებს: აი, რას ვკითხულობთ ამ მოწოდებაში: „კაცობრიობისათვის და ხელმწიფის ერთგულებისათვის დიდი მსხვერპლი გვეთხოვება: ჩვენი ბატონ-ყმობის საქმე, ანგარიშით, ამ მომავალ ნომებერში უნდა დაბოლოვდეს. კეთილგონიერება გვაწევს, რომ ახლა განსაკუთრებით ყურადღება ჩვენის შვილების აღზრდაზე მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარმატებებს ისე ვერა აღადგენს რა და ვერა შეაფასებს რა, როგორც სწავლა და განათლება ჩვენი შთამომავლობისა. აქ გვეჭირდება სხვა მსხვერპლი საკუთრად ჩვენი სარგებლობისა და არსებობისათვის... სხვა მრავალს მსხვერპლთან გავებდეთ ერთი ისეთი მსხვერპლიცა,

რომ ჩვენს ძველის დროიდან განთქმულ ქვეყნის მოქმედობასა და კეთილშობილებას განაგრძობდნენ და ერთი ერთმანეთს ხელი გაუმართოთ ჩვენი შვილებისა და შთამომავლობის სწავლასა და განათლებას. დროებითი სარგებლობა ქვეშეურდოთ სამუდამო სარგებლობას. საჭირო არის ფული და საჭირო არის ზრუნვა... ფული ჩვენ გვეძლევა უმცირეს სამსახურის სამაგიეროდ. ბევრი მოგვეცემა თუ ცოცხალი, ხელმწიფე იმპერატორის წყალობის ზომანად არის დამოკიდებული რაც მოგვეცემა აქედან გადავსდეთ წილი რომელიმე, რომ ამ წილმა იტრიალოს ჩვენს საზოგადოებაში... მანათილამ რომ ერთი აბაზი დავსთხოვო, მაშინ შევიძლებთ ვალების გასტუმრებასაცა, რომელიც არის ათას ხაზას თუმნისად და ამოცმოდებათამდის ქალების და ვაჟების აღზრდაც. ჩვენი საქმე ამითი ერთს კარგს ნაბიჯს გადასვამს დაწინაურების გზაზე. და საქმე ხომ პირველი ნაბიჯია...“ ხილო როგორც ვსთქვი, სწავლა-განათლებისთვის ცალკე თანხის შეგროვება გადაიდგურებს, რაკი ბანკის საქმეს დაუკავშირებს ეს საქმეც. უკველ შემთხვევაში კართულ გიმნაზიის საძირკვლის ჩაურა სწორედ ამ მოწოდებიდან იწყება. ეს იყო ამ საძირკვლის პირველი ქვა და სამართლიანად ამბობდა დიმიტრი, რომ „საქმე ხომ პირველი ნაბიჯიაო“.

ბანკის დაარსების საჭიროება სავსებით გამოიჩინა უკვე 1884 წელს.

დიმიტრი უიფიანი თავის მოწოდებაში თავდა-აზნაურობის წევრთა მიმართ მ ნოემბ. 1884 წ. ხაუს უხვამს სხვათა შორის შემდეგ გარმოებდა: „სხვათა თხოვნას და ფულის გამსხვებლების მიმართვას ის არ ემგობინება, უფრო სასარგებლო არ იქნება, რომ საჭირო ფული ჩვენის საყურადღებო ბანკიდან გავქვინდეს, მეტადრე მაშინ, როდენაც დაწინება სარგებლის ჩალოდნისადაც და ვალის გადახდის რიგისა ჩვენზედვე არის დამოკიდებული, რომ როგორც საერთო თანხმობით ვამგობინებთ ისე დავაწესოთ... რა დავიშლის, რომ ჩვენს ბანკს ისეთი სარგებელი დაუწესოთ, რომ ჩვენთვის სასარგებლო იყოს? რა დავიშლის, ისეთი კანონები დავდგინოთ, რომ ჩვენს ბანკში შეტანილი მამული კი არ გვეუბნებოდეს, დროებითად შევიდეს ხოლმე ბანკის გამგებლობაში, მანამდის ვალი გაიწმინდებოდეს... და თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩვენი შვილების და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ, კუთხოვთ კარგად დაუფრქვით ამათ, რამოდენად შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივ ვალდებულებას და რაოდენად მოუმართავთ მთელს საზოგადოების განათლებას! ხომ კარგად იცით, რომ დღეიდან განათლება-ა არის ჩვენი ფეხზე დამყენებელი იმედი“.

როგორც ხედავთ, დიმიტრი უიფიანის ოპტიმიზმი უსაზღვრო იყო. განათლების და სწავლის იმე-



ლი რომ ჰქონდა, ამაში მართალი იყო. ხოლო იმგვარი ბანკის დაარსება, როგორც ისახებდა ზემოთ-მოყვანილ სიტყვებში, არც ისეთი ადვილი საქმე იყო. ამაში თვით დიმიტრისც რწმუნდებოდა, ბანკის წესდების შედგენას რომ შეუღდა.

რაკი აღიბრა ბანკის საქმე და წესდებათა შემუშავებაზე მიდგა ჯერი, მთავრობამ დააარსა სპეციალური კომისია, რომელსაც თავადსურით უნდა სჭეროდა ამ საქმის მიმდინარეობაზე და თუ საჭირო იყო, ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის. კომისიის მოვალეობა იყო იმ წესდების განხილვა, რომელსაც მას წარუდგინდა თავად-აწნაურობა, ხოლო თავად-აწნაურობამ წესდების შემუშავება დაავალა მის წრიდან არჩეულ კომიტეტს, სადაც პირველი ადგილი ეკებოდა დიმიტრი უიფიანს. წესდების შემუშავებაშივე დ. უიფიანმა საზოგადო კრებას წარუდგინა მოხსენება, სადაც აღნიშნა თავისი პრიციპები მის მიერ განზრახულ ბანკისა. დიმიტრის აზრით, ბანკი უნდა ყოფილიყო საადგილმამულო. „წოდებრივ ჩარჩოებში არ უნდა ჩაიყვანოს, რადგან ეს მავნებელი იქნება თვით ბანკისათვის. თავად-აწნაურობა მთავრობას დახმარებას სთხოვს ბანკის დაარსების საქმეში იმ განზრახვით, რომ ბანკს ამ დახმარების წყალობით შეეძლოს გლეხებსაც გაუხსნას კრედიტი. ამიტომ განზრახული ბანკი უნდა იყოს საზოგადოებრივი. მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია, ნამდვილად კი ბანკი თავად-აწნაურულია“, რადგან ბანკი ფუძნდება, ამბობს დ. უიფიანი, თავად-აწნაურობის ფულით, თავად-აწნაურობასვე უნდა ეკუთვნოდეს როგორც მისი გამგებლობა, ისე სარგებლობა ბანკის მოგებით. მომხსენებელი წინააღმდეგია, რომ ბანკს აქციონერული ხასიათი მიეცეს. აქციონერული ბანკის დაარსება სასურველი არ არის, რადგან დროის მსვლელობაში „ჩვენ, ბანკის დამფუძნებელნი, დავკარგავთ ჩვენს უფლებებს. აქციონერები შეიქმნებიან ბატონებათ თანხის იმ ნაწილისა, რომელიც აქციების ტრიალიდამ შესდგება“ (ДЪЛО, 20). მომხსენებელი დიდ ყურადღებას აქცევს დაგირავებულ მამულებში გაუსწავდელობის საკითხს. „დაგირავებულ მამული არასოდეს არ უნდა გაიყიდოს, თუ დამგირავებულმა ამისი სურვილი არ გამოაცხადა. ბანკს ეძლევა უფლება მამულის შემოსავალზე იმ დრომდე, სანამ ვალი არ გაიწმინდება“.

ამ მოხსენებაში გამოთქმული დებულებანი მოწონებული იყო კრების მიერ, რომელმაც დაავალა მის წრიდან არჩეულ კომიტეტს დ. უიფიანის თავმჯდომარეობით ბანკის წესდების შემუშავება. მაგრამ ირკვეოდა, რომ ამგვარ ბანკის დაარსება შეუძლებელია. ძირითადი თანხა მეტად მცირე ჰქონდა ამგვარ ბანკს, ნაბოძებ ფულიდამ ჯერ ხნობით შემოსული იყო მათი მანეთი. მთავრობაც პაირდებოდა 160

ათას მანეთს დახმარებას, და ამ ფულით ვისაქმის დაწყება ძნელი იყო. ამიტომ დიმიტრის უიფიანმა თავისი პირველი პროექტი, რომელიც უკვე გადაცემული იყო მთავრობის კომისიაში განსახილველად, უკანვე წაიღო და შეუღდა ახალ წესდების შემუშავებას. საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად დ. უიფიანმა დაიჭირა კავშირი პეტერბურგელ იმ დროში ცნობილ ფინანსისტებთან, ვოლოვთან და ნ. უუკოვსკისთან (შემდგომში სახელმწიფო ბანკის გამგე).

დიმიტრის უიფიანმა ვოლოვის დახმარებით დააბოლოვა ამ მცირე პროექტის შემუშავება და წარუდგინა განსახილველად მთავრობის კომისიას. აი, ზოგადრითი საჭირო ცნობები, რომელსაც გვაძლევს ამის გამო თავის მოხსენებაში მთავარ მმართველობის დეპარტამენტის დირექტორი ნ. ბარანოვსკი: „ახალი პროექტი, — ამბობს ბარანოვსკი, — სათავდაწნაურო კომიტეტის მიერ კომისიაში წარუდგინილი, შემუშავებულია იმგვარ დებულებაზე, რომელიც არ შეიძლება არ აღვიაროთ დასხვაფერებად (нельзя не признать уклономъ) იმ აზრისა, რომელიც თავად-აწნაურთა კრებაზე იყო მოწონებული. საზოგადოებრივ-აწნაურულ ბანკის ნაცვლად, რომელიც წოდებას ეკუთვნის, ამ პროექტით ბანკი ისახება კერძო დაწესებულებად, რომელიც ეკუთვნის აქციონერთა საზოგადოებას“. მართლაც, ამ ახალ პროექტში შეტანილი იყო ისეთი ცვლილება, რომელიც ბანკის ხასიათს სცვლიდა. ასე, მაგალითად, ძირითადი თანხა ბანკისა 500 ათ. მ. უნდა ყოფილიყო, რომელიც უნდა შემდგარიყო 10 ათ. მანეთის „კაიბილამ“ დებულებითითო 50 მან. 8000 პაი თავად-აწნაურობისა, 4000 პაი კი ეკუთვნის უკვლას, ვინც კი იყიდის მას განურჩევლად წოდებისა. ამ მუხლის შეტანამ წესდებაში ბანკის დამტკიცების საქმე დაავიწყა. აქციებმა სხვა ელფერი მისცეს ბანკს და ერთს ბანკში თითქოს ორი საქრედიტო დაწესებულება უნდა დაარსებულიყო — სასოფლო-სამეურნეო და საქალაქო, სავაჭრო-საქრედიტო დაწესებულება, რაკი ასეთი ორმაგი ხასიათისა აღმოჩნდა, რომ ორად გაიყოს ბანკი და ორი დაწესებულება დაარსდეს. საადგილ-მამულო კრედიტო და საქალაქო სავაჭრო. „მაგრამ, — ამბობს ბარანოვსკი ამ აზრის განსამარტავად, — ეს წინააღმდეგა რომ მიეღოს, ამ შემთხვევაში სრულიად შეიცვლება წოდებრივი ხასიათი ტფილისის ბანკისა, შეიცვლება აგრეთვე იმ ბანკის აზრი — მიწის მფლობელთათვის კრედიტის შოვნა, რაკი აზრად ჰქონდა თავდაპირველად ტფილისის გუბერნიის თავად-აწნაურობას და ცეს აზრი გამოთქმულია სათავად-აწნაურო კრების პროტოკოლებში, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელო ამორჩეულ კომიტეტს) ამიტომ დეპარტამენტის აზრით, ეს საკითხი, ე. ი. ორი სხვა და სხვა ბა-

ნკის დაარსების მოხარება თავდაპირველად უნდა იყოს წარდგენილი განსახილველად თავდა-აზნაურთა საზოგადო კრებაზე. ამგვარადვე ირკვევა საქირობა, რომ ახალი პროექტი, კომისიაში წარდგენილი (დომ. უიფიანისა), რომელიც არსებითად განსხვავდება საზოგადო კრებაზე გამოცხადებულ თავდა-აზნაურობის სურვილისაგან და სცლით პირველ პროექტის შინაარსს, რომლის ძალით ტფილისის ბანკი წოდებრივი საადგილმამულო ბანკი უნდა უიფილიყო, რომ ეს ახალი პროექტიც იყოს განხილული თავდა-აზნაურთა საზოგადო კრების მიერ.

დამიბრთ უიფიანმა, ფინანსისტ ვოდოვის ზეგელენით, აუხეთა იმ გზას, რომელზედაც თვითონვე იდგა. ხომ ვიცით, 1885 წელს აქციონებზე დაფუძნებული კრების დაფუძნებას დიმიტრი არ ურჩევდა თავდა-აზნაურობას. აქ წინააღმდეგობა აშკარაა. და შემდეგში, მესამე წლების შემუშავების დროს, აქციების დიმიტრი უიფიანი აღარ იხსენიებს. აშკარა იყო, რომ „პაიებზე“ დამყარებული ბანკი თავდა-აზნაურობას ხელს ვერ გაუმართავდა. მაგრამ ამ მეორე პროექტში შამულების გაუსყიდველობის საკითხიც შესამჩნევად არის გადასხვაფერებული. წესდების 200 მუხლის ძალით დამპირავებელს შეღავათს აცლიან მ თვის განმავლობაში. თუ ამ ხნის განმავლობაში ვალს ვერ გადაიხდიდა, მამული ერთის წლის ვადით შედის ბანკის გაბეგობაში. ხოლო თუ არც ერთის წლის შემდეგ გამოისყიდა დამპირავებელმა. მამული იყიდება (Дшзш, II, 201-208). როგორც ხელდავთ, თავდაპირველი სურვილი, რომ მამული არასდროს არ გვეუიღებოდესო, ამ მეორე წესდებაში განუხორციელებელ სურვილად არის აღიარებული.

„პაიებზე“ დამყარება ბანკის საფუძველისა მართლაც სცვლიდა გარემოებას. მემამულეთა და „პაიშიკეთა“ შორის ქიშპობა აუცილებელი იქნებოდა. „პაიშიკები“ იმის ცდაში იქნებოდნენ, რომ ბანკს რაც შეიძლება მეტი სარგებელი შეეცა, ხოლო რადგან სარგებელს მეტს იძლევა კომერციული ამერაციები, ამიტომ ისინი ეცდებოდნენ ამ ელემენტების გაძლიერებას ბანკში. მემამულენი კი, რომელთათვის ბანკის მოგების ზრდას ისეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა, კომერციული ამერაციების გაძლიერების წინააღმდეგე იქნებოდნენ.

დამამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ხასიათის ბანკის წესდება, თუმცა დომ. უიფიანის მიერ იყო შეტანილი კომისიაში, ფინანსისტ ვოდოვის ნააზრევი უნდა ყოფილიყო. მართალია, სააქციონერო ბანკი თითქმის წყვეტდა ძირითადი თანხის გაძლიერების საკითხს, სამაგიეროდ იგი არ ევაუებოდა სასოფლო სამეურნეო ინტერესებს. რომ ჩვენ ამაში არა ვცდებით, ე. ი. რომ დიმიტრი უიფიანის აზრით სულ

სხვა ხასიათის ბანკი უსაპირობოდა თავდა-აზნაურობას, ამას საფუძვლით ამოწმებს უიფიანის შემდეგი ისტორია. როგორც მოგებულს საბოლოოდ ბანკის საქმე გადაწყდა 1885 წ., როდესაც დამტყიცებული იყო ახლად შემუშავებული ბანკის წესდება. ამ საქმეში დ. უიფიანს მონაწილეობა არ მიუღია. ხოლო აღნიშნულ წესდებაში არ იყო შეტანილი სურვილები, რომელიც მ დღე 8 მაისს 1867 წლ. თავდა-აზნაურთა კრებაზე იყო გამოთქმული და ბანკის ისტორიის საყურადღებო მომენტად უნდა ჩითვალის ის მომენტი, როდესაც დომ. უიფიანი ილაშქრება ბანკის მოქმედების წინააღმდეგ და ილია ჭავჭავაძისთან პოლემიკაში აშკარად ჰყვით იმ აზრს, რომ დიმიტრის უიფიანის, წინააღაც და ეხლაც, ის აზრი ამოქმედებდა, რომ მისი შეგნებით, ბანკს უნდა დაეცვა თავდა-აზნაურობა, გაემგარებინა მიწის-მფლობელობა და უმაღლესი წოდების აღორძინების წყაროდ გახმდარიყო. პოლემიკა, რომელიც 1886 წელს ატუდა დომ. უიფიანსა და ილი. ჭავჭავაძეს შორის, საფუძვლით ადასტურებს ამ ჩვენს მოსაზრებას და ამასთან ერთად უფრო მეტ სინათლეს მფენს თვით ბანკის საკითხს და იმ ილუზიებს, რომელიცა უღვივებდა თავდა-აზნაურობას ბანკის დაარსება.

1888 წელს ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წრიდამ არჩეული იყო სამ წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაავლებული ჰქონდა ბანკის საქმეების გადასინჯვა და გამოახევა უკეთესის პირობების მამულების აღფასებისა და დავირაგებისა. სამთა კომისიამ მიმართა დამპირებისათვის დ. უიფიანს, ძალიან დაკვაკვლებით, თუ ხელმძღვანელობას გაგვიწევთ ამ საქმეში. დავით უიფიანმა წერილობით მიმართა ამ გვარის თხოვნით. დიმიტრი უიფიანმა, სხვადა შორის, უპასუხა შემდეგი: „ტფილისის თავდა-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს ეხლანდელის მისის მიმართულებით არ თანაუგრძნობ. მე სურვილი მქონდა მიწის-მფლობელთათვის და მიწის-მოქმედეთათვის ბანკის დაარსება, არსებული ბანკი უმთავრესად ქალაქის სახლის პატრონთათვის ყოფილა დაწესებული. დამფუძნებელთათვის, ე. ი. თავდა-აზნაურებისათვის, კრებით სარგებლობა უკიდურესად გაძნელებულია, ხოლო მიწის-მოქმედეთათვის სრულიად მიუწვდომელი. ამ საქმის ნიციატორად არახოდეს არ ვუიფილვარო“. ასე ითქვარა გული ბანკზე, მაგრამ განა ის სააქციონერო ბანკი, რომლის წესდებასაც ამუშავებდა დიმიტრი უიფიანი, უფრო მეტად არ ემსგავსებოდა ამ ხასიათის ბანკს? სააქციონერო ბანკი ქალაქის საკრედიტო დაწესებულებას უფრო მიაგავდა, ვიდრე დღევანდელი ბანკი. იქ ხომ ბანკის თანხა და სარგებელი „პაიშიკების“ კუთვნილებად ითვლებოდა. ასე რომ, ამაზე რომ შევდგეთ, ეს საყვედური დომ. უიფიანის



უსაფრთხო საყვედურად აღმოჩნდება, მაგრამ იქნება დიმიტრის პრაქტიკებში სხვა რამეც იყო, რაც აქლდა ეხლანდელ ბანკს? აზრით მართლაც სხვა რამ უნდა და დიმიტრი უფიანს, ხოლო პრაქტიკის განხორციელებით მისი წესდება არამც თუ არ მსახავდა მის აზრს, ზოგიერთ შემთხვევაში ჰფარავდა კიდევაც ამ აზრს. თავი და თავი ზრუნვა დიმიტრი უფიანისა დაგირავებულ მამულის გაუყიდველობის საკითხი იყო. მაგრამ თვით დიმიტრი უფიანისთვის აშკარა იყო შეუძლებლობა ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებისა. 1887 წელს საგუბერნიო კრებას, როგორც ვიცით, წარედგინა შემდეგი წინადადება: „დაგირავებული მამული, დამგირავებლის სურვილის წინააღმდეგ არასოდეს არ უნდა გაიყიდოს. ბანკს უნდა მიენიჭოს ამ შემთხვევაში უფლება ამ მამულის შემოსავლით სარგებლობა იმ დრომდე, სანამ ვალი არ გაიწმინდება“. მაგრამ როდესაც შეუდგნენ ამ საგნის ზედმიწევნით განხილვას, აღმოჩნდა, რომ „თავად-აზნაურობამ ექვი გამოსთქვა ამ სურვილის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რადგან მოსალოდნელი იყო სხვა საფრთხის გამოწვევა — ძირითადი თანხის მოსპობა. ახე რომ, ამ დიდ მსხვერპლს შორი-ახლო მომავალში თავისი მნიშვნელობა დაეკარგებოდა“. როგორც ვიცით, მეორე წესდებებში იმაზე დადგნენ, რომ დაგირავებული მამული არ გაიყიდულიყო მხოლოდ ექვისთვის განმავლობაში. ხოლო ბანკის შესამე წესდებებში ეს მუხლი არ შესულა. არც ეხლანდელ წესდებებში ამგვარი მუხლი, ხოლო პრაქტიკულად მამული მაინც არ იყიდება ექვისთვის განმავლობაში. მაგრამ დიმიტრის არც ის აკმაყოფილება, რაც მის წესდებებში იყო შეტანილი, არც მით უმეტესად ახალი წესდების აზრი. სურვილი მამულების გაუსყიდველობის ისეთი დიდი ჰქონდა დიმიტრი უფიანს, ბანკის საშუალებით თავად-აზნაურობის შველის და განკურნების იმედი ისეთი ძლიერი ჰქონდა, რომ იგი ვერ ჰხედავდა ობიექტურ ეკონომიურ პირობებს, ეკონომიურ ცხოვრების უმოლოდკანონს, რომელიც შეუძლებლად ჰქონდა უკველგვარ ქველობას, ფინანსრობის სოციალურ ცხოვრების ფარგალში. რომანტიკოსი პოლიტიკურის რწმენით, იგი რომანტიკოსად აღმოჩნდა ეკონომიურ ნიადაგზედაც. მას სჯეროდა, რომ საქმის გაძლიერება შესაძლებელი იყო ისე, რომ რაც შეიძლება მეტი შეღავათი და სარგებლობა ჰქონოდა იმ წესდებს, რომელიც ეკონომიურად უმოქმედო და თითქმის უკვე მკვდარი იყო. ამ რწმენით აიხსნება ის გულმხურვალე პოლემიკა, რომელიც ჰქონდა დიმიტრი უფიანს ილია ჭავჭავაძესთან ბანკის საქმის თაობაზე.

დიმიტრი უფიანი 1886 წ. „ივერიაში“ დაბეჭდილ ვრცელ წერილში ამგვარად აყენებდა

სადაო საკითხს: „ჩემი აზრით, დახვეწა არავისთვის არ არის დასაშავად: 1. სესხის სარგებელი ჩვენს, ცუდის პატრონებს, მოგვეთხოვებოდნენ იმ ზომით, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი სთხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზედაც. 2. ჩვენ, ფულის პატრონებს, ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი შეღავათი გვეძლეოდნენ, როგორსაც ის ბანკი აძლევს თავის მოვალეებს. ფულის არა-პატრონებს და 3. ჩვენი ვადა-გადაცემული მამულები ჩერ თქვენს გამგებლობაში მიიღეთ... და თუ ვალის გაწმინდა უიმედოდ აღმოჩნდა — ამას ხომ დროით დაინახავთ. მაშინ აიღეთ და გაყიდეთ. ამ სამს მუხლზედ არის ჩვენი გაცხარებული კამათობა. და როგორც უნდა იყოს გაცხარებულთ, მე ამ სამის მუხლიდან ვერა გამომიყვანს“. ილია ჭავჭავაძეს სამსავე მუხლს დაწერილობით არჩევს და სამსავეს უაზრყოფს. პირველის შესახებ იგი ამბობს: „ჩერ სახელმწიფო ბანკის შეძლებად, ღრე, ნდობა და სახელი მიანიჭეთ ჩვენს ბანკებსა და მეგრ იმოდნობა მოთხოვეთ... ჩერ ბ. უფიანმა მოგვიხერხოს, რომ ჩვენის გარდა, ნიშნის ფურცლების ფასს სახელმწიფო კრედიტის შეერთებული ბოძი ჰქონდეს შედგმული და მაშინ მოსთხოვოს კერძო ბანკს საერთოდ და ჩვენს ბანკს საერთოდ სახელმწიფო ბანკის უნარი“. მეორე საკითხის შესახებ ილიას შეუძლებლად მიანიხნა სახელმწიფო ბანკისათვის მიხატვა. სახელმწიფო ბანკს შეუძლია სთქვას: „მე შემოიღიან ისე სასიკვად არ მოვეციც ვალის ამღება, როგორც კერძო ბანკი, იმიტომ რომ მე სახელმწიფო ბანკი მქვიანო და სახელმწიფოსთვის შესაძლებელიაო მეტი შეღავათი მისცეს ვალის ამღებასა... ბანი უფიანი თხოვს. 1. ორისთვის მაგიერ პირველ შემოტანის ვაიდან ექვისი თვე დაგვაცადოს ჩვენმა ბანკმა და 1% ჩარიბის მაგიერ 1/2% გავადვივინოს პირველს ორ თვესაო და დანარჩენში კი 1%-იო. 2. თუ რომ განსაკუთრებული უბედურება გვეწვევა, ან ერთი წლით დაგვაცადოს ერთის უბედურის წლის შემოსატანისა. ამ სამის წლითაო, რომ ნაწილ-ნაწილ შემოვიტანოთ და ამისათვის 5% გავადვივინოსო. პირველზედ იმას ვიტყვი, რომ თუმცა ჩვენს ბანკს ორი თვე აქვს დადებული წესად... მაგრამ საქმე იხე მიღის, რომ მამული ექვს თვეზედ აღრე არ ჩავარდება ხოლმე გასაყოფად და რადგან გაუიყიდის დღემდე უყველს ნება აქვს შემოსატანი შემოიტანოს და დაიხსნას მამული გაუიყვივისაგან — გამოდის, რომ ისეც ის ექვისთვის დაცლია და ისეც ის ექვისთვის შეღავათია. ბევრის-ბევრი ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბანკისა და სათავად-აზნაურის ბანკის ვადაზედ მუა მამულების გასყიდვის შესახებ ორმა თვეს ითამაშოს. ეს სათქმელიც არ არის. ორ თვეს 1/2% ჩარიბიც ბევრს შეღავათს არ წარმოადგენს...“ გარდა ამისა „ტფილისის ბანკის წესდების 88 მუხლში სწერია, რომ ბანკმა უს

ველ წლივ მოგებიდან უნდა გადასდოს 5% და აქედან შეადგინოს ფული შესაწევარად თავდა-აზნაურთა, რომელთაც ან ცეცხლი, ან მოუსავლიანობით და სხვა ამის მსგავს უბედურებით ზიანი არ მოუვათო“. რაც შეეხება მამულის გაუსუიდელოების საკითხს, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამის შეუძლებლობა დასაწყისშივე გამო-ირკვა. მაგრამ აქ აბსოლუტურ გამოუსუიდე-ლობაზე აღარ არის ლაპარაკი. აქ მხოლოდ ის მოთხოვნაა, რომ ექვს თვეზედ გამოჩნდება, მა-მული ვალს გადაიხდის თუ არა, და თუ არ გა-დინდის, გაიყიდოსო, ილია უპასუხებდა, „ბანკ-მა რომ არ მიიღოს მამული თავის გამგებლობა-ში საცდელად, განა გამოუცდელად კი არ უნდა იცოდეს, რომ 1 იანვრიდან 1 მკათათვემდე სო-ფლის მამულს არავითარი შემოსავალი არ ექ-ნება... მიიღებს ბანკი მამულს თავის გამგებ-ლობაში, თუ არ მიიღებს, მამული ვალს ვერ გასწმენდს, და მაინც და მაინც გაიყიდება ექვს თვეს უკან. დღესაც ასე არ არის ხოლმე?.. მამულის გაუსუიდელობა, დასქენს ილია, სა-ნატრელია მაგრამ ზღაპარია! თუ ზღაპარი არ არის, რატომ ერთი გარკვეული, დაბეჭითებით, ყოველმხრივ განმარტებული პროექტი არ წა-რმოადგინეს ამის მომგონებელთა“.

ებლა ჩვენთვის სრულიად გაშუქებულია ის საკითხი, თუ როგორის თვალით უყურებდა დიმიტრი უიფიანი ბანკის დაარსების საკითხო-ბას და რა იმედებს ამყარებდა მასზედ. რაკი ბატონ-ყმობის გადაგდება დიდი მსხვერპლი იყო დიმიტრის თვალში თავდა-აზნაურობისათვის, ბანკი მაინც უნდა მიშველდებოდა და გადაერ-ჩინა დღეულისაგან. ხოლო ბანკმა ეს არ აას-რულა და დიმიტრი უიფიანმაც ზურგი შეაქცია მას. და უნდა ვსთქვათ, რომ დიმიტრი უიფიანი მართო არ იყო უკმაყოფილოთა ბანკში. ბან-კისაგან ამგვარსავე სასწაულს მოელოდნენ მხო-ლოდ სხვა და სხვა მოსაზრებით ნ. ნიკოლაძე, აკაკი და ბევრი სხვა. და უკვეა ესენი ილიას წინააღმდეგ იყვნენ გალაშქრებულნი სხვა და სხვა დროს (აკაკიც კი იმ დროს, როდესაც დი-მიტრის წერილები იბეჭდებოდა „ივერიაში“

1886 წელს). წესდებას და მმართველობა რა-ლებდნენ, არ ვარგინართ, ამიტომ შეეძლონ ხათ ბანკის საქმეო — ნამდვილად კი წესდება და გამგებლობა აქ არაფერ შუაში იყო და მ-რთალი რომ ვსთქვათ, არც ბანკის საქმე შე-დებოდა ურიგოდ, ხოლო თავდა-აზნაურობას, როგორც წოდებრივ ერთეულს, რომ ვერ გა-დაარჩენდა ბანკი, ეს უტყუარი ქეშმარიტება იყო. ილია ამას კარგად ხედავდა და არ ნად-ლობდა ამის გამო, რადგან ბანკს ქვეყნისათვის დიდად სასარგებლო დაწესებულებად სთვლი-და. დიმიტრი კი, რომლისთვისაც ნათელი არ იყო ეს სარგებლობა ბანკს რომ მოჰქონდა ქვე-ყნისათვის, დიდად სწუხდა და მღელვარებდა. ამიტომ იყო, რომ ილია ჰავაჰავაძე, რომელიც არ ეთანხმებოდა დიმიტრი უიფიანს და იმ აზ-რისა იყო, რომ ბანკს არ შეეძლო გადაერჩინა თავდა-აზნაურობა, როგორც წოდებრივი ერ-თეული, ამავე დროს დიდი მომხრე იყო ბანკის არსებობისა საზოგადოდ და დიმ. უიფიანის დეაწლსაც ბანკის დაარსების გამო დიდად აფასებდა. „იარველ მას მოუვიდა ფიქრად, — ამბობს ილია დიმიტრის შესახებ, — ბანკი დაე-არსებინა და დიდი დეაწლი, დიდი მხნეობა, დი-დი შევადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის. მან დაიყო-ლია ტფილისისა და ქუთაისის თავდა-აზნაუ-რობა, რომ ფული შეეწიროთ ბანკის დასაარსე-ბლად. მან მარტომ იდვა ეს კისრად და მარ-ტომ შეასრულა თვისის სახელის სასიკადუ-ლოდ. იგი მაშინ იყო გუბერნიის მარშალად და უნდა ვალიაროთ, რომ, ჩვენის ფიქრით, არც ერთ მარშალს არც მანამდე, არც მერმედ ასე-თი დიდი დეაწლი, ასეთი დიდი სამსახური არ გაუწევია ჩვენის ქვეყნისათვის. რაც უნდა სთქვან იმათ, ვინც ბანკის დაარსებაში ბორო-ტსა ჰხედავენ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ბან-კი დიდი საქმეა ჩვენი ქვეყნისთვის და ამ დიდს საქმის დამწყობი, მეთაური და შესაძ-ლოთ მქნელი ბ-ნი დიმიტრი უიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელი იქნება მის სახელთან“.

ვაგრძელება იქნება



ჯარჯი ფხოველი

შოთა ჩანტლაძე

შოთა ჩანტლაძე სიცოცხლეში ბევრს „სიმატროვის რაინდი“, განზე გამდგარი და ამოუხსნელი უარი იგონა, ამის საბაზს იძლეოდა კიდევ იგი თავისი ცხოვრებით: პოეტი ირონიული ნიღბით თითქოს უკუაგდებდა მისი სიმარტოვის საუფლოში „შეგრილ“ ყოველ უცხოს-ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში თითქოს თავადაც ამტიციებს ზემოთქმულს: „არსად დობილი, არსად ძმობილი, მე მარტოხელა ვიყავი კაცი“... უამთავლამ სწორედ მისი ცხოვრების ეს მხარე გაანათა. მისმა პოეზიამ სრულიად სხვა წარმოდგენები ამოატიცივა თვით იმ ადამიანებშიც, ვისთანაც შოთა ჩანტლაძეს დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონდა.

მისმა პოეტურმა ქვეყანამ დაგვანახვა ცალკეობისა და სიმარტოვის მეორე მხარე და დავარწმუნა, რომ იგი, გარკვეულობისა და მარტოსულობის შემცნობელი, თითქოს გაუბრბოდა ობლობას, გადაჭრით ცდილობდა მარტოობის დემონის ავი მჭერით დაკარული სულის გახეთქლებას... შოთა ჩანტლაძის ლექსებმა მოგვითქანს ამბავი გარდასახვათა იმ ნათელ წუთებზე, იმ დრამატულ და იშვიათ წუთებზე, რომელთა ანარეკლს იგი საგულდაგულოდ მალავდა ირონიული ნიღბით შებურვილი „ცერად გაქრილი“ და „ოკეანის წვალებით“ დაღდასმული თვალების მიღმა.

სიცოცხლისა და ადამიანთა მოდგმის მოუვარული გულის ანარეკლია ის უკიდვანო სევდაც, უამთავრ რომ გამსჭვალავს მის ტექსტებს: ამ ლექსთა სტრიქონებს შორის, სიტყვათა დვითებრივ ნათელში განუწყვეტლად მოუთანავს ხმა მლაღადებელი: „ურთიერთისათვის ილოცავდით, რამათა განიკურნეთ!“...

„იი, კვლავ მოვიდა გაზაფხული“ და „გუმუ-ლი ხმას აქედებს ჰაერში, როგორც ლურსმანს“, „სადაც ძროხის უელიდან ამოიზარდა ბღავილი, როგორც ნაწვიმარი ზღაპრი“... გაზაფხულმა შემოაბოჩა დიდ ქალაქშიც, რომლის პოეტიც იგი იყო — მისი იდუმალი ხმების მოყუ-

რიადე, მისი ტკივილების მოზიარე, ქურების ანბანის წამოიხველი: „ქალაქი ჩემთვის წიგნია... ადამიანები სტრიქონებია ამ წიგნის“... მისთვის ქალაქიც ბუნების სასწაული იყო, ბუნების ხალხმრავალი ნაპირი, რომლის ხმებთან და ფერებთან ზიარებით იგი თრგუნავდა ურბანისტული სამუაროს მკვიდრის უმძიმეს ზეედრს; უცხოობის ტკივილებს ხომ ბუნების სუნთქვა ამსუბუქებს. „ნაწვიმარია... ვარ მსუბუქი და სხვანაირი, სედიან მჭერას დავატარებ მიზნის გარეშე... ო, ახლა, ალბათ, ამ ჰაერით სუნთქავს ჰაერიც, მსუბუქი სედა გადამიტანს უცხო მხარეში“...

ის თითქოს ბრმად მიიწევდა, თვალდაბუქული მიდიოდა ინტუიციის ღვთიური ცეცხლით განათებულ ბილიკზე, იმ გზაზე იდგა, რომელსაც ზღაპრული გზაშარის მსგავსად, სათავეშივე აქვს ბედისწერული და სადა წარწერა: ამ გზით თუ წახვალ, დაიღუბები! და ისიც ამ გზას დაადგა. ვინც კი ეს წარწერა და ეს გზა აღმოაჩინა, არავინ სხვა გზით არ წასულა, რადგან ეს წარწერა გულისხმობს მგზავრობის მომხიბვლელობას... და დრომაც მხოლოდ იმათი სახედები შემოინახა, ვინც, გულისა და სისხლის დაუშურველად, ამ გზას დაადგა.

ამ გზაზე ულამაზესი სიმღერა გამოადნო ქართული სიტყვის — თიხისა და ლითონის ამ პრესტორიული ნარევიდან. მან გაოცებისა და მოულოდენლობების კვარცხლიტები როდი ააგო, ვამძლე ფეხისმოსაკიდე როდი შექმნა, რათა იქიდან დარტყმა მიეყენებინა კაცთა გრძნობების უველაზე სუსტი კედლისათვის, რომ შემდეგ ცრემლი და ეგზალტირებული გულლების მიმჭრალი ძაგძაგი მოემკო. იაფვასიან ტაშისებრასა და ერთდღიან პოპულარობას არ დახარბებია. მისი ენერჯია ეფექტების ძიებანს როდი შეეწირა: ის მოხმარდა უფრო მტაჩველსა და უტუარ საქმეს: ახალი, მხოლოდ მისიული მიკროკოსმოსის აღმოჩენას, გაუგონარი მატრიკის ძიებას.

„ახსოვლეთურად თავისუფალი სიტუაციის მოპოვებას ეძღვნება შოთა ჩანტლაძის „მანიფესტი“. რა იგულისხმებოდა აქ? რას მოიცავს ეს წყურვილი? რა ჩანს ამ ლტოლვის წიაღში? სიტუაციის ახარტული ჩაძიება, მისტიური ხლართები, გამაოგნებელი და განუშეორებელი ვანათებანი, სიტუაციის ფეთქებადი ენერჯია, კავშირები, წარუვალ ხატებს რომ ქმნიან. თავისთავადობა პირველქმნილი. არსად ლიტერატურული ძალადობის კვალი.

აქ არაფერი არა მთლიანდება, არაფერი არ მიეღტვის სრულყოფას, რადგან ეს არის დაპობილი, დანაწევრებული ხმა, განწირულების, შიშის, უსასობის კვითინი, რასაც თანასდღეს „სულის დანგრევის მოლოდინი და სიახლოვე“. სიკვდილის, გარდუფალი ტრაგედიის მსწარბელი წამი მხოლოდ თავისი გამაოგნებლობითა მშვენიერი, სულისშემძვრელი, გადამღებტივილიანი.

მისი პოეზია თითქოს განწირული იყაროსის კივილია: არ აღმოჩნდა მამინ ისეთი თანაჭდგომი ვინმე, ვინც მის სახედისწერო ვარდნას შეაჩერებდა...

შოთა ჩანტლაძის „მანიფესტი“ 1952 წელს დაიწერა. ეს გახლავთ ჰიმნი — სულის, პოეზიის, სიტუაციის თავისუფლებაზე ნათქვამი. იმ დროს ამგვარი რამის გაფქურებაც კი შეუძლებელი იყო. ამ ლექსში პოეზიის საკუთარი ახსნა აქვს მოცემული: „პოეზია არის ასული, ერთი იღლია მწიფე თავთავებით ანდა პოეზია საერთოდ არ არის“. აქ სურათს ან ქანდაკებას კი არ აღიქვამთ, არამედ ვხედავთ ცოცხალ ხატს, სულჩადგმულ გრძნობას თავისუფლებიხას.

ბლოკისეულ ფრაზას: „მძულს მე მონობა“, — ეხშიანება სარტრისეული სიტყვა უტყუარი: „ადამიანი — ეს თავისუფლებაა“. ეს არის მეოცე საუკუნისეული რეალობა, ურყევი და უმკვეთი რაჲ... საუკუნეთა აღმართებზე წყალმავალი სული თავის ყოველ ნაბიჯს რაიმე ნიშნით, ორიენტირით აღნიშნავს და ყოველ იმ ნიშანზე რაიმე წარწერა, მისი აქ ყოფნის დასტური. ჩვენნი საუკუნის ამ ფეხმოსაკილ სარტრისეული სიტყვა ესადაგება: „ადამიანი — ეს თავისუფლებაა“... ერთგვარი ანდერძი, ერთგვარი გადაძახილი: მე თითქმის მწვერვალზე ვარ, მე თავისუფალი ვარ, მე ვაბზობ „ახსოვლეთურად თავისუფალ სიტუცას“...

ერთ დღეს ის აღმოაჩენს საშინელ ჭეშმარიტებას და იტყვის: „რა ტყუილად დაქარგულა დროს! დროის დაქარგვა მხოლოდ ადამიანს შეუძლია“, მხოლოდ ადამიანში შეიძლება, რომ დაიკარგოს დრო სამუდამოდ. უკანდაუბრუნებლად.

დრო ან „იკარგება“. ან ვარდოქმენა და მხოლოდ ამ მეორე შემთხვევაში არა, არამედ ადამიანს დრო დაქარგულად. დროის გზებში მძინებას ესაფუძლებს სარგებლიანობის ძიება... ის ამ ლტოლვის მიღმა იდგა; მისთვის დაქარგული იყო უპოეზიოდ. უმოქმედოდ. უსიყვარულოდ. მგრძნობებლობის გარე ჩავლილი დრო — უშვოთველობის, სულიერი სიცარიელის უამრ, როცა „არ შეგაფოთებს სიყვარული მცირეოდენი და სიძულვილიც არ გეყვარება“.

არ უყვარდა ესტრადის პოეზია. მისი ლექსის ფორმა უბრალოა, უფასადო, თვითნაბადი, წამიერი გასხვონების პირშო, რომლის შემწმნაშიც გაუღას აქვს დღი წილი. აქ უპირველეს გულის ჰეგემონია იგრძნობა.

ქართულ პოეზიაში გული წეკოსმიურ სიდიდედ აღიქმება; ის თითქოს მიწიერ ქაობზე მალდეა დგას, მის გზას ვერ ამრუდებს მწიკელი ამქვეყნიერი. რუსთაველი ამბობს: „გული — ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით — ვერას ვერ გამოშომელი, ვერცა პატარონის სიკვდილი, ვერცა პატარონი რომელი!“... ქართული პოეზია ყოველთვის გულიდან იღებდა სათავეს. თავის გრძელ გზაზე მას ბევრი რამ შეერია: გონისეული ქატო, სხვა მღვრიე ნაკადები და კიდევ. ვინ იცის, რაღა არა... აქ თავს იურიდა ლიტერატურის უველაზე მკვიდრი ადგილიდან დაძრული გულისცემაც და მისი საპირისპირო მუდიტაცია... მრავალი რამ ამ გზაქარდა, მოაყვლა ამ გზაზე, მრავალი რამ კი გამოიკვერა და სამუდამოდ დაემყნო წარუვალს, მარადიულს.

ამ მარადიულ დინებას ერთვის შოთა ჩანტლაძის ბედისწერული და მწუხარების ეკლბით დადღსმული ხმა, ბუნების ღვთიურ მიზნებთან თანხმიერი და მორჩილი: „ვერ, იფარება ქაღალდი შავად, სხეულში ვეძებ საკუთარ გრძნობას... ეს შემოდგომაც ქარით თ გავა და არვინ ქვეყნად არ მეტუვის ძმობას. მოვა სხვაგვარი გამოთენება, მოვენდ სხვაგვარი შეღამებანი, ბელს ასე სურდა, ასე ენება, აღსრულდებიან მისი ნებანი“.

მან ჭერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში დაიწყო და „დაამკვიდრა“ ის, რაც სამოცდაათიან წლებში ჩვენი პოეზიის განუყოფელ ნაწილად იქცა: ვერლიბრი და ირონიულ-პაროდული ნაკადი...

უიტიმანისებური ამოძახილი მთელი ქვეყნიერების გასაგონად: „მე ვარ სამყარო, მე ვარ ღმერთი. მე ვარ გენია“.

„თენდება, ღამდება. თენდება, ღამდება, მიეღინება ცხოვრება ამრიგად. დღებმა რამდენმა და ღამემ რამდენმა გადამიარა, გამრიყა“, გა-



რიყული სული. გარიყული პოეტი. გარიყული შოთა ჩანტლაძე... უოვედღელიური ბოქმეა შან-... ავს მის სულს, უბინდავს ცნობიერებას, ან-გრავზე უხილავ ჭებირებს და კედლებს, რათა სამოქმედო სივრცე გაუნთავისუფლდეს რაღაც მიღმურს, რაღაც უხილავს და უცხოს.

მარადისობის სახელით ნათქვამი სიმღერები, გამაგნებლად ზუსტიც და პარადოქსულიც. თითქოს წინასწარ იცოდნა, რომ ეს ლექსები მისი სიკვდილის შემდეგ მოვიდოდა ჩვენამდე, როგორც სულითის მკვიდრის აღსარებები. და ის შორიდან გვეუბნება: „მე სიკვდილი მიშენის“... სიკვდილის დამეგობრების ცდა. მისი სიკვდილი ზამ სრულიად სხვაა, არა ჭავს ქართული პოეზიის სხვა „სიკვდილებს“. შოთა ჩანტლაძე გვიდღევებს სიკვდილის ნდობას. ის თითქოს გაიფიქვებულა მიწის მადლიან, მიწის ნეტარ მღუმარებასთან, რაღაც შორეულ სიღბოსთან. „ო, როგორ მინდა დამეყაროს უდანაშაულო მიწა და დავიფარო მიწით. მე ვიცი, მიწა შეიშუმუნება უხერხულად და გაიფიქრებს — ჩემი ბრალი არ არის, მაპატიე, ძმობილო. ო, მე გავუგებ საბრალო მიწას, ო, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს და სამუდამოდ დავმეგობრდებით; გაწაფხულზე მოვლენ უვაილები ჩემს სამარეზე და გამვლელ-გამოწველს ახარებენ, რომ მე ყარგად მკვდარი ვარ და სევდიანად გაიღიმებს გამვლელი და შეჩერდება და გაიარს“.

ამბობდა: ოთხასი ლექსი მაქვს დაწერილი, ეს ერთი პოეტისათვის სრულიად საკმარისიაო... ბოლო დროს ძალზე ცოტას წერდა. თარგმანს მიჰყო ხელი: „კალევალა“, „იორლანდიური საგებო“, ტიტუტჩევი — ეს მისი შემოქმედების ბოლო წლებია. ამ თარგმანების გამოცემასაც ვერ მოესწრო. ძალზე დაქანცა „იორლანდიურმა საგებმა“. ამბობდა: წერილ-წერილი ლექსების მეტს აღარაფერს არა ვთარგმნიო. პასტერნაკის თარგმნა ეწადა. შეპირად იმეორებდა „მარბურგს“: ეს ლექსი მიაჩნდა პასტერნაკის შემოქმედების გასაღებად. მისთვის აქ იყო უცხო პოეზიის საიდუმლო. პასტერნაკის ადრეული ლექსების ფორმამ ისე გაიტაცა, რომ მისი გავლენით რუსულადაც კი დაწერა სახუმარო ლექსები.

ძალზე იტაცებდა ექსპრომტი: ფშაველი მოკაფიკების პაქრობამ მოხიბლა, მაგრამ მათთან შეჭებრი ვერ შეძლო, რადგან ადლო ვერ აუღო ფშაურ სიმღერას, რომლის თანხლებითაც ფშაველები კაფიობენ.

„დედამიწაზე იმისათვის არსებობს პოეტი, რათა ხე მრუდად არ ამოიწარდოს არიდეს“. ეს განხლავთ მისი შემოქმედებითი მრწამსი, მისი პოეზიის უმთავრესი მარცვალი.

გოდების დალიანი ხმა, რომელიც ხატავს შემოსწერს სულადგმულსა და ადამიანს უბედობათა გამოარებულ ხატებს ქუჩის, სახლის, ტრამვაის, ბაღის... და ამ ცოცხლადქმნილ გარემოში ვხედავთ ქალაქის ბინადარს და ბატონ-პატრონს; ეულს, საბრალოსა და თანაგრძნობის მომლოდინე ადამიანს... ის ამბობს თავის სიმართლეს, საუოველთაო სიტუქვას. „ქალაქი ჩემთვის წიგნია სქელტანიანი, მკოქალური და მოსაწუენი... ეს წიგნი ჩემი მაგების წიგნია“... შოთა ჩანტლაძე იყო დიდი ქალაქის პოეტი და მან სრულად გაიწიარა ტექნოლოგიური დროის შვილთა უოველი შექიერება.

სულით ობლობის, გარიყულობის, გაუცხოების გალთაბაზე ჭებირი. ბარიერი, რომლის იქით ბედისწერა არ უშვებს. ვერც უოვედღელიურობის ჭაობს ეგუება; დევნილი ნადიროვით აწუდება გარემომს და კი არ უარყოფს, არამედ ცდილობს, რომ დაიმეგობროს თუნდაც ქუჩის ხე, თუნდაც კედელი ქალაქის. თუნდაც ტრამვაი, მაგრამ უოველი მისი მცდელობა მარცხითა მთავრდება... და ამ გაუსაძლისი მართლობით ჩახუთულ გარემოში მობორიადე პოეტის სული ვინმე ბოხოლა ბიუროკრატსა და მბრძანებელს „თვალში ეჩხირება“, რადგან მხოლოდ ეს სული არდევებს ჭაობის „მეუღრობებს“... იხარებენ, გასახლებას მპირდებიან: „გენერალი ქალაქიდან დამპირდა გასახლებას, გენერალი მილიციის, ვინ იცის, ცხოვრებაში ვის რა გადახდება, ვის გაასახლებენ, ვინ იცის“... საუცხოო, ბევრის მთქმელი მრავლწერტილი.

მისი პირველი წიგნი 1971 წელს გამოსცა მუხრან მაჭავარიანმა. წიგნს ჰქვია „წვილი თოვლი“. მეორე, შედარებით სრულყოფილი წიგნი 1984 წელს გამოსცა ეშვარ კვტაიშვილმა. წიგნს ჰქვია „თენდება, დამდება“... უვერლანზე უფრო აღქმადი და ხელშესახები, რითაც ეს წიგნები გვატყუებებს, განხლავთ ქართული პოეზიის მარადიული დინების შეგრძნება, ხმაური ზემძმავრი ტალღებისა, რომელთა მიმართულულებას ვერ ამრულებს უკულმართო დროის ზიჯაგები და კონველსიები. გუჯს ვერ უცვლის „მეუღქენის ქიის გაბატონება“ და ვერ ახშობს იმ მანკიერებათა ფაქალურობა, ხშირად მცირე ერის შვილთა ხასიათს რომ თანაქვება ხოლმე, ლოკალურობისა და არასრულფასოვნების შეგრძნებების გამო.

დინება ქართული პოეზიის მისი ორიგენტირა მისი მიწანია. მისი დაუწერელი ანდერძი რა ჰქვებავს, რა ამავრებს ამ ერთიან, განუწყუტელ აზრს, ამ ლტოლვას, რეალობის ხილვის ამ წუთუფილს? უხსოვარი დროიდან მოემართების: გამოივლის უძვედეს ხანას, გამოივლის

ქანცაწვეტილი შუასაუკუნეებს, გამოვივლილია ჩვენი პედაგოგის მეცხრამეტე საუკუნეს და ჩვენს ტექნიკურ-ფიზიკურ დროში ხშირად, გაისმის ისევე, ზოგჯერ თითქოს მიჩურმათებული ლანდურის ქვეტექსტების ბინადარი, ზოგჯერ კი დროშია აწეული და ხმაშალა მობაპარაკეის თითქოს უჩინარ საურდენად არის ქვეული ის უსკვებავს, ამაგრებს ჩვენს სულს უველაზე უსასოო წუთში, მაშინ, როცა იმედი მიიწერიტება, როცა ჩაქრება უველა სანთელი და ბნელში ვრჩებით... მაშინ გაერთება ის, შორეთს მოციმციმე წვეთად იალებს. დამის გულში სინათლედ გაინასკვება და მოჩანს ხოლმე, როგორც დაბნეული სანაპიროს შუქურა, რომელიც გზაბნეულმა ზღვასანმა ბნელში დაღანდა. და მიიწევს მისი მიმართულებით, ძალამოცემული, იმედიანი... და მიიწევს შეუსვენებლივ და თვალს არ აშორებს...

თითქოს უხილავი გოლიათი დგას მის სიზმარში და გზას არ აძლევს ცხადში დასაბრუნებელს. წინ ეღობება პირქუში რამ ძალა, რომლის მოთვინიერებასაც ღამობდა ის მთელი სიცოცხლედ და ებრძოდა ამ უშუქლებელს სიტუციით, ხმით, თვლით... მას ჰქონდა ამოჩემებული ფრაზები, სტრიქონები (ჭერ: ნიციუს წიგნის „ასე ამობოდა ზარატუსტრას“ ნაწვეუტები; მერმე: „ირლანდიური საგების“ პირქუში წინადადებები...) და ბუბუტებდა ამ ფრაზებს, თითქოს უოვედლიურ ლოცვას იმეორებდა, თითქოს ამ დაუთინებული და მანვეთარი ხმით ვიდაც უხილავის დამორჩილება უნდოდა, მის მოდრეკას მიეღობდა, რომ გადასულიყო უცხო და ახალ მიწაზე, ფეხი დაეგა აქრძალულ ალაგას.

ის იყო მსხვერპლი, ვინც ბოლოს ხელი ჩაიქნია ფასეულობებზე: ლიტერატურაზე, სიუვარულზე, ზოგიერთ მეგობარზე და ამის გამო წლობით განსჯიდა თავისთავს... სულში ჩაბუდებულ ტრაგიკული მუხტის პატრონი. შეწირული.

მის ლექსს ემჩნევა, რომ წერის დროს მაგრად მოუშეული ბაგე ჰქონდა, დაძაბული იყო: კალამს დიდ ფიციკურ ძალას გადასცემდა თითქოს. უაღუწე შემდგარი და გაწევილი სიტყვა. ფრუტუნი და განწირული ტიხვინი, თითქოს მათრახი გადაუჭიარა...

მრავალთაგან ზურგმუცეული. კარიერას დახარბებული ზოგი ვინმე აღმაცირად უყურებდა მის ცხოვრებას, მის პოეტურ ტექსტებს. მისი ნუგეში მხოლოდ პოეზია გახლდათ: „თავისთვის ნაწერი“, უჭრის პატიმარი ლექსები. არ უნახავს თავისი დაბეჭდილი ლექსი, არც მაინცდამაინც შეპირად წაკითხვა უყვარდა. ხანდახან ამოიხანებდა რომელიმე სტრიქონს რო-

გორდაც მკვეთრად, ძილირი ტემპით, თითქოს სიტყვის წმინდანებს სინჯავდა, ამოწმებდა და მხოლოდ მისთვის ცნობილი გუჟამაღმართული კუთარ უურს ჩასახოდა.

„მე რომ მიუტრებ, მეც ღმერთი ვარ“ — ჩვარზე ვნებული, მაგრამ პირიქით, დამიმხვრეის სული ალალი. თურმე არ ძალუქს, რომ გაერთინდეს ცაზე სხეული, დამსხვრეულ სულის ვერ ვიპოვე ქვეუნად მალამო. მე რომ მიუტრებ, მეც ღმერთი ვარ — ჩვარზე ვნებული, ო, მეც ღმერთი ვარ, — მიწიერთა და მიწიერი ჩემი ფიქრები — მეცხრე წეცას დადევნებულ ვერ აღწევენ და მიწაზე დიფივლენენ... უსასობის ეს დაწივლება უცხო არ იყო მისთვის. და არსაიდან ნუგეში: ვერავინ გაუწოდა ხელი, ვერავინ გადლახა ის მოჭადოებულ წრე: სუყველა თავის სკამსა და პორთფელს უფრთხილდებოდა მაშინ. მხოლოდ საბოლოოდ, სიყვედილის წინ იხილა აწრიალებული და თავამოდებული მეგობრები და ნაცნობები, მაგრამ უველაფერი გვიან იყო: მას უკვე ვერავინ დაეხმარებოდა თავის ამ უმძიმეს გარდასახვაში...

არც წმინდა მედიტაცია, არც აღწერილი დამძიმებული წინადადებები, არც პროზაული ერთმნიშვნელობა. თითქოს ხილულის მიღმური სანთლის კანკალი, ანარკელი შუქისა, რომლის წყაროც საგნების მიღმა, მოფარებულში... ეს გახლავთ ლექსი პროზად, როგორც ჩანს, ამ ევანის ადგილი ჩვენს ლიტერატურაში დადგენილია. ალბათ, ამის გამოა, რომ გიორგი ლეონიძის „თამარ“ ესეუების წიგნში დაიბეჭდა, ბოლო შოთა ჩანტლიძის ლექსები პროზად („სქოლიო“, „ქალი“, „სათი“, „მით უფრო“, „მზე ამოსვენა“; „გაწეხლის მზე“, „ასხვები“) მინიატურების სათაურით იბეჭებდა...

უფრო შორს რომ გავიხედოთ, ამ ევანის შედევრებს ვიხილავთ: ვაჟა-ფშაველას „მთანი მალანი“, „მედილი წიფელი“, „უჩი“, „ფესვები“ და სხვა. ეს ნაწარმოებები ისტამბეზა როგორც მოთხრობები, მწერლის პროზაულ ლებებთან ერთად. ფიქრობ, რომ ეს ნაწარმოებები ღრმად პოეტურია და მათი ადგილი ლექსთა შორისა... სამართლიანად მოიქცა ლერა აღიმონია, როცა ტერენტი გრანელის პროზად შექმნილი ლექსები სხვა პოეტურ ტექსტებთან ერთად დაბეჭდა. ასევე სამართლიანი იქნება, თუ ვაჟა-ფშაველას შემოხსენებულ შედევრებს პოეტის ლექსთა შორის ვიხილავთ, ასევე გიორგი ლეონიძის ლექსმა „თამარ“ თავის ადგილ უნდა დაიჭიროს პოეტურ კრებულში, როგორც ერთ-ერთმა საუთესეს ლექსმა, ბიბლიური ტექსტების რიტმით ამოხეთქილმა ამ სტიქიონურმა დაღდმა... ლექსი პროზად უნდა განვსხვავოთ გალექსილი პროზისაგან: გართმული ამბები დღეს მრავლად იწერება, მაგრამ მათ არაფერი ხაერთო არა აქვს ამ თან-



რთან. ლექსი პროზად არც ვერლიბრია და არც თიერი ლექსი და, მით უმეტეს, არც ეს-სის სახეობაა ის. სამომავლოდ შოთა ჩანტ-ლაძის კრებულების შემდგენლებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

შოთა ჩანტლაძემ ეს ძველი სალექსო ფორ-მა თოქოს გარდასახა, ახალი სისხლი გადაუ-სხა და ძალზე ახლოს მოგვიტანა: დაგვანახვა მისი შესაძლებლობები, ტევადობა, ემოციის გადაცემის უნარი. „სქოლიოში“ ჩანს ექსპრესიის მწვერვალი. ხაზი ზედამავალი. სიტყვის ფიქრვერტი. „აბ, რა კარგია სქოლიო! მაგრამ ვინ მაღირსებს მე მას. მე მიქნება სახელი და დიდება! მე მომძღვნიან დაფნის გვირგვინებს. დაიწერება ტომები იმის შესახებ, თუ რო-გორ ვწერდი ტომებს. დაიწერება ჩემი ვრცელი ბიოგრაფია. აბ, რა კარგია სქოლიო! მაგ-რამ ვინ მაღირსებს მე მას... თქვენ უველას და კიდევ მრავალს, რომელსაც მე ვიცნობ კეთილი საქმით და საღმით ღმერთიანით, თქვენ უვე-ლას, რომელსაც ვსურთ სახელი წიგნისმიერი და არ ძალგით შეიძინო იგი თქვენში შრომითა და ავანტიურით, თქვენ უველას გიცხადებთ მე: — გათავებთ სქოლიოში... აბ, რა კარგია სქო-ლიო!“...

კლინიკური სიკვდილის შემდეგ: ბიჭებო, სასწაული ვნახე, გამოკვთებები და მოგიუვე-ბითო... მაგრამ ვერ შესძლო მოყოლა, ვერ აღ-წერა მარადისობის შორეულ ნაპირთა სურა-თი. ტაბუ საიდუმლოსი: ის, რაც ცოცხლებმა არ უნდა გაიგონ...

სიზმარ-ცხადის მისტიკა კვებავს მის ლექსს. მისი პირქუში გავლენა ემჩნეოდა პოეტის ხა-სიათსაც, ცხოვრებასაც... მან დაკარგა ერთი ახალგაზრდა მეგობარი ნოდარ ზვადაგიანი: უკურ-ნებელმა სენმა იმსხვერპლა ის. მისი სიკვდილი ძალზე განიცადა შოთამ. ამბობდა: ხშირად მე-სიზმრებო. სიკვდილის წინა ხანებში კი ამაზრ-ზენი სიზმარი მოუვა: ზვადაგიანი სიზმარში და-მეტიდა — მე შემეცოდა ის და არ წავაქცობ; თვითონ წვათქეცი და ის მაღლედან რაღაც უჩვეულო უჩინით დამახტაო... რაღაც სიმუ-ხთლე შელოდებო, ამბობდა. განსჯიდა სიზ-მრად ნანახს, უკვირდა. ამ სიზმრის საბოლოო აზრის განსჯა კი მას უკვე აღარ ეწერა.

„სწორი მაქვს აღლო და სიკვდილის წამი მენიშნა, — ამ თაობიდან მე პირველი მივალ ფინიშთან“. ლექსი — „ღმრთი იყო ჩემი ეს და ჩემი წარსული“ დაწერილია 1961 წელს. ხს უმეკველი წინასწარმეტყველება შვიდი წლის შემდეგ აუხდა: 1968 წლის შემოდგომაზე: „გი-ხაროდეთი მე მოვალ, გიხაროდეთი მე მოვალ და

მოვიტან... მე მოვიტან დიდს, უმშვენიერეს, უფაქიზეს, უნაზეს, უსათნოეს, უხმაურო, იდე-მალ სიკვდილს. ეს იქნება დიდი და იდუმალი შემოდგომა. ჰაერი გაიჟღინთება სიკვდილის უფაქიზესი სუნთქვით. ნელა და მწუხარედ დაე-შვებიან ფორიველები დაღვრილი ზეციდან“...

წინასწარ ნანახი სურათი იმ ნაკვლიანი შე-მოდგომის, როცა სიკვდილს ებრძოდა უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე: მესამე საავადმყოფოში... და მან, შეუძლებლისათვის ბრძოლით უნუგეზოდ დაღლილმა, მაშინ საბოლოოდა სცადა მიუღწე-ვლისათვის ხელის მიწვდენა, მაგრამ ამოდ... მისი პროცესია ხალხმრავალი არ იყო: მეგო-ბარმა მწერლებმა და უახლოესმა ნათესავებმა მიაცილეს ვაკის სასაფლაოზე.

თვითონ ასე წარმოედგინა თავისი აღსას-რული: „ო, რა სიამოვნებით შევირბევი სამა-რეში, როდესაც პატარა და ზარმაცი ბავშვი ჭკვიანი თვალებით გადაიკითხავს დიდი ადამიანის ბიოგრაფიას, სადაც შეიძლება ასე ეწეროს: — დიდი მწერალი გ. თუხარელი 19... წელს შე-ხვდა ერთ მწერალს. ისაუბრა მასთან და მასზე გავლენა მოახდინა — მერე იგივე ბავშვი თვა-ლებს ჩააპარებს სქოლიოსაკენ და ამოიკითხავს: „აქ ლაპარაკია ნაკლებად ცნობილ ქართველ მწერალ შ. ჩანტლაძეზე. ცხოვრობდა და მოღ-ვაწეობდა მე-20-ს-ში. 1982 წელს მოკლეს პარი-ზში. იგი მოკლა ქალმა, რომელთანაც მას რა-ღაც საიდუმლო ურთიერთობა ჰქონდა. ეს მკვლელობა საერთოდ სინბელითაა მოცული“.

სიკვცხლებში მას მხოლოდ ლიტერატორთა ვიწრო წრე იცნობდა: ახალგაზრდა მწერლები, სტუდენტები... სახელმა და საერთო აღიარებამ ვერც სიკვდილის შემდეგ მოიცალა მისთვის. აგერ, უკვე ოცი წელი გავდა მისი გარდაცვა-ლებიდან, ხოლო მისი შემოქმედებითი მიმკვი-დრეობის ერთი ნაწილი ჭერაც დაუბეჭდავია. მაგრამ ცხადელივ იგრძნობა იმ დროის მოახლო-ება, როცა უვილაფერს თავისი სახელი დაერ-ქმევა, როცა საბოლოოდ გადაიწმინდება სუა-ლების მორევი, ჩვენს ცხოვრებას რომ დასწო-ლია, და მაშინ შოთა ჩანტლაძის სახელიც თა-ვის ერთადერთ, გამორჩეულ ადგილს დაიჭერს.

„აი, კვლავ მოვიდა გაზაფხული“... ბრუ-ნავს ეამი და, ეამთასვლის კვალობაზე, უფრო ფერწმინდა კიაფობს, უფრო საჩინო ხდება მისი პოეზიის სიგრძე-განი და მაღლი სიტყვი-სა, რადგანაც „ხმალი არა ჰკვეთს, ცეცხლი არა სწვავს, წყალი არ ალბობს. ქარი არ აშრობს მას — საუკუნოს“.



„ღაგვიანებულნი ყვავილები“

რევან მიშველადის ნოველაში „ფეხბურთი“ მოთხრობილია ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელის შესახებ, რომელსაც ყველა აქებს, მაგრამ „გარკვეული მოსაზრებით“ გამულმებით ამყოფებენ სათადარიგო სკამზე, როგორც კი მან ხმა ამოიღო და სავსებით სამართლიანად მოიხოვრა მოედანზე გამოყვანა, საერთოდ გააძევეს ფეხბურთიდან. გავიდა წლები. მაცურებლის მოზიდვის და აეთოტაის შექმნის მიზნით მშობლიურ ქალაქში მივლინებით მყოფი უკვე დისკვალიფიცირებული ყოფილი „ვარსკვლავი“ დიდი ხეწნა-მუდარის შემდეგ დაითანხმეს, ვეტერანთა გუნდის შემადგენლობაში სათანამოდ გამოსულიყო. თამაშისას ყველა ცდილობდა, რომ ამ ოდესღაც უნიჭიერეს ფეხბურთელს გოლი გაეტანა, ის გოლი, რომელიც თავის დროზე არ გაატანინეს, მაგრამ — ამაოდ — მან გოლი არ გაიტანა. ვერა კი არა, არა, მას პატიება არ შეუძლია.

რატომღაც ეს ნოველა გამახსენდა, როდესაც შოთა ჩანტლადის წიგნი „თენდება, ღამდება...“ გადავწაღე. იგი პატიოსნად მოკვდა თავის სათადარიგო სკამზე, მოედანზე გამოსვლა არ ღირსებდა. ამბობენ, რომ გაცილებით უკეთესი გემოვნება ჰქონდა, ვიდრე — წერა შეეძლო და ამიტომ იკავებდა თავს პუბლიკაციისაგან. ფუძეა, ის ფაქტი, რომ სიცოცხლის ბოლო რვა წლის განმავლობაში არაფერი დაუწერია, მხოლოდ თარგმნიდა, მისი, როგორც პოეტის დისკვალიფიკაციაზე მეტყველებს და არა იმაზე, რომ უკეთეს ლექსებს ელოდებოდა და გამულმებით მუშაობდა, რათა მისი შესაძლებლობა მის გემოვნებას გათანაბრებოდა.

ლექსიც „მე ახლა დავდივარ რედაქციაში“ გამოქვეყნების მოლოდინს უფრო გამოხატავს, ვიდრე მწერლის უკრაში დარჩენისა:

მე ახლა დავდივარ რედაქციაში...
 ...სადაც რედაქტორი თავს ისე გრძნობს,
 როგორც საკუთარ ხალხში
 და ისე გელაპარაკება,
 როგორც ტრამვაის გაჩერებასთან,
 როდესაც ტრამვაი უკვე ახლოვდება.

მას ჰქონია შესაშური თვისება ადამიანებთან კონტაქტისა, მუდამ ხალხით ყოფილა გარშემორტყმული. მის ახლობლებს შორის კი ახალგაზრდები ჭარბობდნენ. ალბათ, ქვეშეცნეულად

იგი თავისი მომავალი მკითხველისთვის წერდა, იმათთვის, ვინც ოცი და ოცდაათი წლის შემდეგ წაიკითხავდა მის ადრე დაუბეჭდავ ლექსებს და სხვებსაც წააკითხებდა. იგი თითქოს უფრო მომავლისათვის წერდა, ვიდრე თავისი დროისათვის, რომელსაც ვერა და ვერ მოერგო.

შ. ჩანტლადის უახლოესი მეგობარი — მუხრან მაკუავარიანი იგონებს, რომ იგი იყო უკომპრომიზო, კეთილსინდისიერი, არა დიდთან დიდი და პატარასთან — პატარა, არამედ — ყველასთან ისეთი, როგორც იყო სინამდვილეში. ეს ლაკონური, მაგრამ მრავლისმთქმელი დახასიათება უკვე საკმარისია, რომ მისი პიროვნებისადმი სიმპათიით გაჩვენდეთ.

შ. ჩანტლაძე არ ყოფილა პოპულარული პოეტი და პიროვნება. ქართველი მკითხველი მას სულ ორი, სიკვდილის შემდეგ გამოცემული პოეტური კრებულით იცნობს. იგი 1968 წელს დაიღუპა, ორმოცი წლის ასაკში და ბევრი რამ დარჩა გასაყეთებელი. კითხულობ მის ლექსებს და გული სინანულით გვესება — მისი სახით ქართულ პოეზიას ერთი თავისებური ხმის ნიჭიერი პოეტი გამოაყლდა, პოეტი, რომელმაც თავისი დროის თბილისი შეუნახა მკითხველს ლექსებით — დამახასიათებელი კოლორიტი, პარკები, ქუჩები, უბნები, მშენებარე ადგილები, სიახლეები, სიძველენი... პოეტი, რომელიც ყოველ წუთს გრძნობს მშობლიური ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას და შეუძლია, მკითხველს ისე ეოცხლად, ემოციურად გადასცეს ეს სუნთქვა, ორმოცი და უფრო მეტი წლის შემდეგაც პირველადი ხიბლით აგრძნობინოს.

ამა თუ იმ პოეტის პოპულარობას ხშირად არა მხოლოდ მისი ლექსების მაღალი მხატვრული დონე და აქტუალურობა განაპირობებს, არამედ — მისი თანამედროვე საზოგადოების საერთო განწყობილება, ამ საზოგადოების ლიტერატურული გემოვნება, მისი დამოკიდებულება მხატვრულ ღირებულებათა მიმართ. მძიმე და გამოუცნობია შემოქმედის ბედი. ცნობილია არაერთი ბრწყინვალე დებიუტი, რომელსაც შესაბამისი გაგრძელება არ მოჰყოლია და ასევე — ცნობილია არაერთი ჩავარდნილი დებიუტი, რომელსაც ბრწყინვალე გაგრძელება მოჰყვა. შ. ჩანტლადის დებიუტი მისი სიკვდი-



ლის შემდეგ შედგა და გაგრძელდა უკვე ავტორზე აღარ არის დამოკიდებული. იგი არ ყოფილა ეფექტების და ემოციების მოყვარული, ხმაურთან და პრეტენზიული. ლექსები გამოხატული მისი არტიკული, იუმორით აღსავსე ხასიათი არ გვაძლევს ასეთი შეხედულების უფლებას. ჩუმად შევიდა მისი ორი პატარა წიგნი ჩვენს ბიბლიოთეკებში, მაგრამ ეს იმ მდინარის სიჩქმეა, რომელიც რაღაც დიდი და მნიშვნელოვანისათვის გუბდება. იმ „რაღაც დიდ და მნიშვნელოვანად“ კი შ. ჩანტლაძემ ველარ მიიღწია. თუმცა მან თავისი მაინც გააკეთა: პირველი და საკმაოდ რძმა კვალი გაიტანა ეპიკურზე. მონოტონური, ერთფეროვანი, ეპიკურული, პლაკატური და ხელოვნური პათეტიკი აღბეჭდილი ლექსების მიღმდეგ საკუთარი ხმა მოგაწვდინა, საკუთარი ხმა, რომელმაც გვიან მოიღწია ჩვენამდე, მაგრამ ამით ბევრი არაფერი დაკლებია.

სავსებით სამართლიანად წერს მის შესახებ ლ. ალიშინაიკი, რომ მისი ლექსების გამოცემა თავის დროზე აუცილებელი იყო. აუცილებელი იყო არა მხოლოდ პოეტისათვის, არამედ — ქართული პოეზიისთვისაც. შოთა ჩანტლაძემ ვერსიფიკაციული და ინტონაციური მეტყველების უხინჯო ფლობით სიახლე შემოიტანა ქართულ პოეზიაში. ამავე დროს, იგი ფორმალისტური ძიებებით არსიდან გართულა, რომ მას აქვს საკუთარი სტილი და პოეტური სამყარო, საკუთარი ხმა და სახე.

იმ დროისათვის შ. ჩანტლაძის ლექსები ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. მისი ნოვატორობა რითმის უარყოფასა და ახალი ფორმის ძიებაში კი არ გამოიხატება, არამედ იგაზიციავს მთელ პოეტურ სამყაროს — თემატიკას, სახეებს, განწყობილებებს, აზროვნების სისტემას, ლექსიკურ ქსოვილს, ხშირია ტრაფარეტული ანდა — „ლიტერატურული“ სახეებისა თუ განწყობილებების ახლებური გააზრება, ახალ კონტექსტში გამოყენება.

ვერლიბრის მიმართ შ. ჩანტლაძეს განსაკუთრებულ მიდრეკილებას ვერ დაწვამებთ. იგი წერს როგორც ვერლიბრით, ასევე — რითმიანი ლექსით და მისი რითმიანი ლექსი არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე — თავისუფალი. ვერლიბრის კი პოეტი მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც ამ ფორმას სათქმელი განაპირობებს. შ. ჩანტლაძესთან მთავარი სწორედ სათქმელის მკითხველამდე სწორად მიტანაა. უშუალოდის, პირველადი განცდების, ლექსის გულისცემის, სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაა, ვიდრე მისი პროკრუსტეს სარეცელზე დაწვენა და დამახინჯება. მასთან ფორმა სათქმელს ემსახურება და არა — პირიქით, როგორც ეს ხშირად ემართება რითმიან ლექსს: რითმა განაპირობებს აზრიდან გადახვევას.

მოსაზრებებს შ. ჩანტლაძის რითმისადმი უარ-

ყოფითი დამოკიდებულების შესახებ ჩვენ კერძო გავიზარებთ. პოეტი წინააღმდეგია არა რითმისა, არამედ — ლექსის ხელოვნურობისა, ლექსის უგულვოდ წერისას ანუ — „ხელოსნობისა“ (იხ. ლექსები: „როდესაც გული არ ტრის, თქვენ აატირებთ როგორ“ და „სიხარული ლექსით“). შ. ჩანტლაძე პოეზიის ფუნქციისა და პოეტის მოვალეობაზე მსჯელობს, რითმის საკითხს არ ეხება (პოეზია არც უნდა დაიყოს რითმიან და ურითმო ლექსად. ვერლიბრზე აქცენტის გაკეთება, მასზე ყურადღების გამახვილება რითმიან ლექსთან დაპირისპირების თუ გაჭიბრების მიზნით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ — მხოლოდ მისი შესწავლის მიზნით. ვერლიბრს არანაკლებ საინტერესო და თავისებური სტრუქტურა აქვს, რაც ქართულ ლიტერატურაში თითქმის არ არის შესწავლილი და ეს ხარვეზი ისევ ჩვენი ტრადიციების გამდიდრების მიზნით, პოეტის განვითარების მიზნით უნდა შეივსოს). რითმა მისთვის ისეთ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, რომ შევებრძოლოს, იგი რითმის მონა არ არის, პირიქით, მშვენივრად აყენებს მას საკუთარ სამსახურში, როცა ამას სათქმელი მოითხოვს.

შ. ჩანტლაძე იფხვსიან და ხანმოკლე პოპულარობას ანდა კეთილდღეობას არ გამოჰკიდებია. მას ძნელი გზა ჰქონდა და თან არც იცოდა, რა ელოდა გზის ბოლოს — მადლობა თუ — ჩაქოლვა. მას უბრალოდ არ შეეძლო, არ ეწერა და იმიტომ წერდა. ლექსი მისი შინაგანი მოთხოვნილება იყო და არა სახელის ან — ქონების მოხვეჭის საშუალება. მისი წერის მანერა ორიგინალურობის ძიებით არ უნდა იყოს განპირობებული, არც — ტრადიციულ ლექსწყობასთან დაპირისპირების სურვილით. ეს უფრო ეპიგონობისგან გათავისუფლების მცდელობაა.

„მე ვარ მეტყველი ყოვლის მაგიერ, რაც მღუმეარა“ — წერს ლექსში „მზე, ჩრდილი. პოეტი...“ და ჩვენ უნებლიედ გვაგონდება ლეგენდარული ხოგაის მინდია, რომელსაც ყველას ენა ესმოდა. იგი შესანიშნავად გვიკონკრეტებს პოეტის მოვალეობას: რომ პოეტი არის შუამავალი სამყაროსა და მკითხველს შორის და იგი მხოლოდ და მხოლოდ კეთილ ძალებს, კეთილი საწყისის განვითარებას ემსახურება. ყარვად აქვს შეგნებული ასევე პოეზიის აღმზრდელით და კათარზისული მნიშვნელობა:

დედამიწაზე იმისათვის არსებობს პოეტი
რათა ხე მრუდედ არ ამოიზარდოს აროდეს.
(„მანიფესტი“)

იგი გადაკრით უარყოფს შორიდან მაყურებლის — „მზის სათვალეების“ პოეზიას და გეტავაზობს „ნათელი თვალის“ — უშუალოდ თვლით მხილველის პოეზიას, ანუ ცხოვრებასთან მეტ სიახლოვეს, მეტ რეალიზმს. წინააღმდეგია უსაგნო პოეზიისა, რომელიც მხოლოდ მთავარი უმღერის და „პაეროვან კოშკებს აგებს.“



ლექსი „მხიფეხტი“ ჩვენთვის ძეტად მნიშვნელოვანია, მიუხედავად მისი ერთგვარი რიტორიკულიობისა, ოდნავ პათეტიკურობისა და პროზაიზმების სიკარბისა. აქ კარგად ჩანს შ. ჩანტლაძის პოეტური კრედი და მისი მრწამსი. პოეტები დეშენენ ოლიპოდან მიწაზე, ე. ი. პოეზია ხალხის სამსახურში ჩადგა და იგი უკვე აღარ არის ფუფუნების საგანი, როგორც ბურჟუაზიულ საშუაროში, არამედ — ადამიანის საინსტიტუტო მოთხოვნილება, მისი „პეტრი და წყალია“. პოეტი „კალატოზია სახლის მშენებელი... რომელიც კედელში ფართო კარებს და ფანჯარას კვეთს.“ წინაპრებისაგან (იგულისხმება ბურჟუაზიულ შეხედულებებს აყოლილი მიღის მიმდევარი პოეტები) განსხვავებით, იგი ურყევს მხოლოდ განსწავლულობაზე დამყარებულ, მოდურ, იაფფასიან პოპულარობას გადაყოლილ პოეზიას, რომელიც არა გულიდან მოდის, არამედ მხოლოდ ბაგეებიდან. იგი წინააღმდეგია ყველა იმათი ვინც —

..... აგებენ ჰაეროვან კოშკებს
და უმოწყალოდ ფლანგავენ სივრცესა და დროს.

უძღვნიან სონეტებს მოვარეს,
სიტყვებს აწყობენ ალაღმედზე,
იცივენ პარიზის უჩანასკნელ მოღას.

შ. ჩანტლაძე ამ ლექსში მკაცრად აკრიტიკებს წინაპრთა იმ წარმომადგენლებს, ვინც სიურეალიზმით და დეკადენტობით იყო გატაცებული და ნაპირზე გაირიყა ძველი ფიცარივით, ვინც სიტყვათა თამაშით იყო გატაცებული. მათ საპირისპიროდ, სიყვარულით იხსენიებს იმ ნაშედეგ პოეტებს, კეთილი და უახლოესი წინაპრებიდან, ვინც „აღწევდნენ ხალხის გულანდ და ცხოვრობენ ამ გულში“. დეკადენტური პოეზიის, ანუ „შეზინდებისა და ღამის პოეზიის“ საწინააღმდეგოდ იგი გამოიღის „განთადის ლექსების“ და „ციცკიის პოეზიის“ განმავითარებლად, მხარდასმკერად. იგი მოითხოვს, რომ ლექსი იწერებოდეს არა „ნახევარდუენი რჩეულების მოჯადობული წრისათვის“, როგორც ამას დეკადენტური მიმდინარეობის წარმომადგენლები ისახავდნენ მიზნად, არამედ — ყველასათვის. ეს ლექსი თავისი პროგრესული და ოპტიმისტური განწყობილებით დიდ ყურადღებას იქცევს შ. ჩანტლაძის შემოქმედებაში.

რთული და მრავალწახანავიანია შ. ჩანტლაძის ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი ღირიკული „მე“. ფიქრიანი, ღრმა განცდებით აღსავსე იუმორის უსახვლო ნიჭით დაჯილდოებული, კარგია და ავის გამრჩევი, მოუსყიდელი, მშობლური ქალაქისა და სოფელზე შევეყარებოლი, ინტელექტუალური და ამასთან — უშუალოდ და სისადავით აღბეჭდილი, ყოველგვარი უსამართლობისა და უნიკობის წინააღმდეგ ამბოხებული. მას აშკარად აკლია ის მოქნილობა, რაც ზოგს კარგად ეხმარება გზის გააფხვამი, შესა-

ბამისად — გამდებებით აწამებს სულიერი ტოობის, მიუსაფრობის გრძობა. ეს გრძობა პირობებული, რაც კარგად ჩანს მისივე ლექსებიდან. ჩანს, რომ მას ყოველ ნაბიჯზე უხდებოდა საკუთარი არსებობის გამართლებაზე ლაპარაკი, საკუთარი ღირსების დაცვა. სწორად წერს ე. კვიციანი, რომ „მისი ამპარტანობა უფრო ნიღაბს ჰკავდა. — რომელიმე აღზევებულ ბრუივის მოსაგრიებლად და საკუთარი ღირსების შესანარჩუნებლად სკირდებოდა.“ ეს კარგად ჩანს ლექსებში: „ვინ ვარ და რა ვარ“, „იციო თუ არა, ვინა ვარ მე?“, „მე მინდა სახელი, მე მინდა დღეობა“, „მიღის ცხოვრება“, „და მე ვარ ღმერთი“, „ო, მე არც თუ ისე ცუდად ვარ მოსილი“, „ჭეი, გამკანეთ ზეცის ტიტანებო!“. ხანდახან მძიმე განწყობილებასაც ნებდება, განსაკუთრებით — მზიან, მოზიემ დღეებში, ხალხმრავალ ადგილებში, როდესაც კონტრასტები უფრო მკვეთრია („ადამიანი, რომელიც მზეზე თბება“). საბედნიეროდ, ეს ზედმეტობის და თამაშვარე მდგომარეობაში ყოფნის შეგრძნება, დეპრესიული განწყობილებები, გამოწვეული წარუმატებლობით, დიდხანს არ გრძელდება, თუმცა თავის კვალს ტრავმებს პოეტის ფსიქოლოგიაში („მე არც თუ ისე ცუდად ვარ მოსილი“, „ნუ მიმატოვებ“ და სხვა). სანაცვლოდ — ადამიანთა მიმართ უდიდესი სიყვარული, სითბო, თანალობა და ინტერესი ისადგურებს მის ლექსებში.

დღეს ჩემი დაბადების დღეა.
მაგრამ დღეს ხომ სხვების დაბადების დღეა არის.

ვინ არიან ნეტა ისინი?

ამბობს შ. ჩანტლაძე და ჩანს, რომ იგი სულაც არ არის პენსიონრებს შორის ჩაძვდარი ადამიანი, რომელიც მზეზე თბება, რომელმაც დაივიწყა ყველა და თვითონაც არავის აღარ ახსოვს. სწორედ შემოთაღნიშნული მძიმე მდგომარეობით უნდა იყოს გამოწვეული მასში სიკვდილის განცდა, რომელიც მისი შემოქმედების არც ერთ თაყვანისმცემელს არ გამოჩენია მხედველობიდან. (იხ. ლექსები: „ჩემი თერთი გაღია“, „მე უკვე ვხედავ, საფლავს მითხრიან“, „მე ვმღერის, როგორც სამაგში სიყვდილი მღერის“, „არ გსურდა სიციცხლე და მაინც იციცხლე“ და სხვა).

კითხვობს ლექსებს — „დუმილი იყო ჩემი გზა და ჩემი წარსული“, „ჩემი ცხოვრება არის მოწყენა“, „გადავჩვიე საწერ მაგიდას“ — და გული მტკივა, რომ ახლა უკვე კვლარაფერს შეცვლი, მას ვერ გააცოცხლებ, ევლარაფერს დაეხმარები. არადა — თავის დროზე როგორ სკირდებოდა ხელის გამმართავი, პატრონი და მოამაგე, მიუხედავად ამისა, თვითონ რამხელა თანაგრძობითაა განმსკეპლული ყოველი სულიერის მიმართ („პატარა ძალი, კეთილი



ძალი უპატრონოდ დარბის ქალაქში და დამტყვევებს პატრონს“).

შუე. ირველივ ზე არ არის. არ არის ჩრდილიც.

ჩემს გვერდით დგას მაღალი კაცი და მე მისი სხეულის ჩრდილს შევფარე.

ექსპრესიონისტული მანერით, ხატონად და ამავე დროს — ფილოსოფიური სიღრმით არის აღწერილი აქ ადამიანის მიმართ ადამიანის თანადგომის სურათი. ცხოვრებაში კი არა და არ გამოჩნდა „მაღალი კაცი“. ვის ჩრდილსაც შევფარებოდა ამ სიტყვების ავტორი.

შ. ჩანტლაძეს არ ახასიათებს ე. წ. „პარადული ამბოხი“ აქტუალური თემების გადმოცემის დროს. მისთვის აქტუალურია ყველა თემა, რომელიც ადამიანის ღირსების დაცვას უკავშირდება. მისი ამბოხი ჩემია, როგორც თვითონ პიროვნება და მიმართულია არა მთელი სამყაროს, არამედ — ავკაცობის კონკრეტული გამოვლენის მიმართ. იგი არ არის გაბოროტებული ადამიანი, რომელსაც შავი თეთრად ეჩვენება და თეთრი — შავად. კარგად არჩევს მტერს და მოკეთებულ და სიკეთით ცდილობს ბოროტების ძლევას. თავის ლექსს ის ყვირილთ კი არ ამბობს, არამედ — მღერის. ყალბი პაექტია, გადაჭარბებული ემოციები უცხოა მისთვის. თითქმის მუდამ ინარჩუნებს ზომიერების გრძნობას. იგი მკითხველს კი არ უბრძანებს, არამედ — ესაუბრება. კი არ აძალებს, არამედ — უჩჩევს. მისი პროტესტი მიმართულია გულცივი, ქედმაღალი, ამავე დროს — უნიჭო და გაუნათლებელი ადამიანების მიმართ, იმთა მიმართ, ვინც მოხერხებულად მოკალათებულა და ფშუტე თავთავით ზემოდან დაჰყურებს მწიფე თავთავს. შ. ჩანტლაძეს ზუსტად შეურჩევია მთა დასახასიათებლად ტერმინი „ქონდრისკაცები“:

ჭეი, გამაქანეთ, ზეცის ტიჯანებო!
ჭეი, მომიტანეთ დიდების სადავე!
თორემ... თორემ მეთივრება
და ლექსი მიიღებს ცრემლიან სათაურს.
როს გულში ანთებულ მახვილს მიტარებენ
და მე მიწიერნი მდევნიან სადაურს.

„მიწიერნი“ ამ კონტექსტში დაბალი, უხეშ ძაღლების განსახიერებაა, დაპირისპირებაა ამაღლებულ კეთილ საწყისებთან. ლექსში „და მე ვარ ღმერთი“ ყურადღებას იქცევს პრომეთეს სახის არატრადიციული გააზრება, რომელიც სწორედ ზემოხსენებული სტრიქონების შემდეგ უფრო გასაგები ხდება. პრომეთე პოეტის მიხედვით არა გმირია, არამედ — ქურდია, რომელმაც აკრძალული ღვთაებრივი ცეცხლი მოიპარა და გაფლანგა, რომელმაც შემოქმედი გაქურდა, დაჩაგრა და შეურაცხყო. მითოლოგიური საფუძველი განზოგადების წარმატებულ საშუალებას იძლევა და სიღრმეს მატებს ლექსს, აქვე უნებლიედ გვახსენდება ჰეროსტრატეს და იუდას სახეები.

ვიცი დრო გავა, ვიდაც ინანებს,
არ მომიცოდება მაინც ნაღველი,
თუმცა დიდებით მომიხსენებენ
მე სახელით და მაშის სახელით.

წერს შ. ჩანტლაძე ლექსში „უფრო აღრევე“. ასევე რიგ ლექსებში: „ჭეი, გამაქანეთ!“, „მე მიწა და სახელი, მე მიწა დიდება“, „და მე ვარ ღმერთი“, „მიღის ცხოვრება“. იგი ხშირად ლაპარაკობს საკუთარ ღირსებებზე, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ პოეტს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე ანდა — განდიდების მანიით არის შეპყრობილი, არამედ — იძულებულია, შეახსენოს, დაანახოს ეს ღირსებები „ქონდრისკაცებს“. დარტყმას საპასუხო დარტყმით უპასუხობს. იგი არ ტრიაბახობს, იგი თავს იცავს. აქ მოქმედებს პრინციპი — „ქმედება იწვევს უკუქმედებას“. განსაკუთრებული სიმარჯვით იყენებს იგი ასეთ შემთხვევებში მისთვის დამახასიათებელ ირონიას: „მე, ქონდრისკაცებო! ო, თქვენმა გაზრდამა, სიტყვა მაქვს სათქმელი და ალბათ მომიმენთ!“ ირონია მხოლოდ ფარია მის მგრძნობიარე გულს აფარებული რომ ეს გული „ქონდრისკაცების“ ყოყლოჩინობამ, უგუნურებამ, უგულობამ არ გასრისოს.

შ. ჩანტლაძე არ არის ზედაპირული, გარეგნული ეფექტებით გატაცებული პოეტი. იგი უფრო მზერაჩაბურუნებული, დაფიქრებული და დამფიქრებელია, გასართობად და დასასვენებლად მომზადებული მკითხველი მას ვერ მიიღებს. მისი ლექსი იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც ერთი უფხევით თვალიში დასცემს, მაგრამ რაც უფრო დაუახლოვდება, უფრო და უფრო მეტ ღირსებას აღმოაჩენ მასში. უნდა დააკვირდე, რომ დინახო, უნდა მოუსმინო, რომ გაუგო. იგი გამველ-გამომველს ეკალივით არ ჩხვლავს, ოღონდ თავი დამახსოვროს, არამედ — მწიფე თავთავით მუდამ თავდაბრიალია და არა გართობის მოყვარულთა, არამედ — მომეკლის მომლოდინეა.

ღმერთო ჩემო, გარინდება მომეც,
ფიქრებისთვის მომეც მწვიდი დღენი,
რათა შევძლო შენთა ფიქრთა ვედომა
და ვიწვამო არსებობა შენი —

წერს იგი და მკითხველი გრძნობს, თუ რაოდენ საჭიროა ზოგჯერ პოეტისთვის ვარესამყაროსთან ჰარმონია, სულიერი წონასწორობა და განმარტობა, რათა მან შექმას ყველაზე უფრო მშფოთვარე და მებრძოლი განწყობილებების აღბეჭდილი ლექსები, ანდა — ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშები. ჩვენ აქ უნებლიედ გვაგონდება ძველი ინდოელი გურუ, გარინდებული და ამ გარინდებაში ჰეშმარიტებასთან მიახლებული.

დამახასიათებელია, რომ ღმერთისადმი მიმართვა შ. ჩანტლაძის ლექსებში სიმბოლურად ზნეობი და სამართლიანობის ნოსტალგიას გა-

მოხატავს — ეს არის პერსონიფიკირება იმი-
დინსა, რომ არსებობს უზენაესი მსაჯული, უზე-
ნაესი მოსამართლე, ვისაც ვერაფერს დაუმა-
ლავ. ის, ვინც მიუკერძოებლად განაჩნევს
ტყუელს და მართალს, ვინც ბოროტებას დას-
წის, სიკეთეს კი ვააზნარებს (იხ. ლექსები: „და
მე ვარ ღმერთი“, „რა ძლიერია“, უფრო ხმა-
მალა ღმერთი იტყვის თავის განაჩენს“, „მი-
წასა ზედა განწირული წვეს მიწიერი“, „ალ-
სარება“ და სხვა). თუმცა ეს რწმენა მყარ არ
არის, როგორც ყოველ სულიერდგომლს სჩვევია,
მასაც ხშირად ემუქრება იგი და უნდობლობა.
ლექსში: „მზე ჩრდილი. პოეტი. ადამიანი. ღმერ-
თი. ჭეშმარიტება“. — როდესაც ღმერთი მე-
ტყუვლებს: „მე ვარ...“ იქვე ჭეშმარიტება კი-
თხულობს: „შენ ხარ?“

შ. ჩანტლაძესთან არც თუ ისე იშვიათად
შეინიშნება შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის,
ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გ. ტაბი-
ძის, ტ. ტაბიძის და სხვა ქართველ პოეტთა-
თვის დამახასიათებელი ინტონაციები, განწყო-
ბილებები თუ ცალკეული სახეები, მაგრამ
ეს მისი ლექსების ღირსებას ოდნავადაც ვერ
ამცირებს, არამედ მხოლოდ პოეტის ერუდ-
ციასა და მის მიერ ქართული ლექსის ტრადი-
ციების ღრმა ცოდნაზე მეტყველებს. მისი ლექ-
სი მუდამ ინარჩუნებს საკუთარ სახეს და უშუა-
ლო გაეღწება არ ექვემდებარება. როგორც
ყოველ ნოვატორ შემოქმედს, შ. ჩანტლაძეს
შეუძლია, ახლებურად გაიაზროს, გაამდიდ-
როს, ახალ კონტექსტში მოაქციოს, უფრო მე-
ტი სიღრმე და დატვირთვა მისცეს მკითხველის-
თვის დაცნობი სახეს თუ განწყობილებას. მის-
თვის ქართული კლასიკური პოეზია არის ის
ფესკები, რომლითაც იგი ეროვნულ ნიადაგს
ჩასკიდებია და რომელთა მეოხებითაც ახალი
ნერგი გაუზრდია. მან ცოტა მოასწრო, მაგრამ
რაც მოასწრო, ისიც საკმარისია ზემოთქმულის
დასადასტურებლად. მისი ლექსი თავისუფალია
ყოველგვარი მოღურებისა და მიმბძველობი-
საგან, არის უაღრესად ქართული და ინტელი-
გენტური, ოპტიმისტური და ნათელი.

შ. ჩანტლაძის შემოქმედების შესახებ გამო-
ქვეყნებული წერილების ავტორები ერთხმად
აღნიშნავენ, რომ მისი ლექსების ერთ-ერთი და-
მახასიათებელი თვისებაა ურბანისტული მოტი-
ვების სიმრავლე, ურბანისტული სამყარო თავი-
სი ლექსიკით, სახეებით, განწყობილებებით.
მისი ურბანისტი განსხვავდება დასავლეთევრო-
პული პოეზიის ტყვეობაში მოქცეული ავტორე-
ბის ურბანისტიზმისაგან, რადგან მუდამ ეროვნულ ნი-
ადაგზეა აღმოცენებული. აზროვნების სისტემა
და მხატვრული ხერხები უაღრესად ქართულია
და ნაციონალური კოლორიტით აღსავსე.

ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან აღმავლმა
ურბანისტიკამ ქართულ პოეზიაშიც მოამძლავრა
ურბანისტული თემატიკა და სახეები, რაც აქ

ადრე შედარებით სუსტად იყო გამოხატული.
ძირითადად თბილისის აშუღურ-ყაფიზური
სამყაროს ან მის ისტორიულ წარსულს უკავ-
შირდებოდა და სახობრო ლირიკის ჩარჩოებს არ
სკოლდებოდა (მაგ. ი. გრიშაშვილი). შ. ჩანტლა-
ძის დამახასიათებელი იყო ის ფაქტი, რომ მას თბა-
ლისის სახე ტრადიციული სახობრო ლირიკის
დამხარებით არ დაუხატავს, არამედ — გვაჩვენ-
ნა მისი ყოველდღიური ცხოვრება, მისი მაჯის-
ცემა, რიგითი თბილისელების განწყობილება
და მდგომარეობა მათი სიხარულისა თუ მწუ-
ხარების მომენტებში. ქალაქური ცხოვრების
რიტმმა, მისმა არითმიულმა პულსაციამ გამოიწ-
ვია, ჩვენი აზრით, მისი ლექსების ერთი ნაწილის
მეტრიული თავისებურებანი. დისპარმონიას,
პროსოდონას, არითმიას, ურბანისტული სამყა-
რისათვის დამახასიათებელ ყოფით დეტალებს
კარგად მიესადაგა ვერლიბრი (თუმცა, ვერ-
ლიბრი სოფლის სურათების აღწერისასაც გა-
მოუყენებია პოეტს): „ღედამიწიდან ავარდა
წვიმა“, „მოვიდა ღამე“, „ღამე“, „გოგო იყო
პატარა, ობოლი“ და სხვა). შ. ჩანტლაძემ შეძ-
ლო ერთი შეხედვით „არაპოეტური“ საგნები
და მოვლენები პოეზიის საგნად ექცია, მკითხ-
ველისათვის დაენახებინა მყაცრი, ლაკონური,
უშინაარსო ღამაში სიტყვების უარმყოფელი
მხოლოდ უშუალო განცდას და მისივე სიტყვით
რომ ვთქვათ, „შიშველ ნერვებზე“ აგებული
ინტელექტუალური სამყარო.

მსჯელობის ფორმაში მოქცეული ემოციურ-
ინტელექტუალური ნაკადი მისი ამ ტიპის ლექ-
სების საყრდენს წარმოადგენს. სამყაროს აღქ-
მა აქ არა მხოლოდ ეგზოლტაციის მომენტს უკავ-
შირდება, არამედ — ანალიტიკურ-ემოციო-
რია. ასეთ ლექსებს მიეყოფენება „ტრამვაი“,
„ჩემი მაგიდის წიგნი“, „თოვლი და ქალაქი“,
„ერცელი პრისაქტი“ და სხვა.

დიდი ექსპრესიით ხატავს შ. ჩანტლაძე ძვე-
ლი და ახალი თბილისის სურათებს წვიმაში,
თოვლში, შივან თუ ქარიან ამინდში, რაც უფ-
რო დისპარმონიულია მისი ურთიერთობა ად-
მიანთა სამყაროსთან, მით უფრო ჰარმონიული
ხდება მისი კავშირი ბუნებასთან, ქალაქის ყო-
ველდღიური ალიაკოთით სავსე ქუჩებთან. იგი
ხშირად იყენებს გაპიროვნებას — წარმოებს,
სული შთაბერის უსულო საგნებს, უპრობოვდ-
გინოს ისინი არა განყენებულად, არამედ — ადა-
მიანებასა და გარემომცველ სამყაროსთან ცოც-
ხალ კავშირში.

თოვლიანი თბილისი, როდესაც თოვლის ფიფ-
ქები შლიან სახლებსა და აღამიანებს შორის
სიცივის გამოწვევ დისტანციას და აღამიანებს
ერთად ყოფნის საშუალებას აძლევენ, პენსა-
ონერებით სავსე კიროვის ბაღის სკამები, „კი-
როვოგაზი“ ახრჩოლებული ოთახი, ღამის ქა-
ლაქის სურათები, ვარაზის ხევის ამოვსების ამ-
სახველი მომენტები, ლალიძის წყლებთან მოხე-



ტილიუ ხალხი, ტრამვაი — ეს უკანასკნელი მო-
პიანი ძველი თბილისისა, აფიცივებული ბელუ-
რებით საცე ხეები მისი სულიერი ცხოვრების
განუყოფელი ნაწილია. მხოლოტყეები არა ჰგავს
შოკოლადს, რომელიც უკველად დნება, დიდ
სიამოვნებას ანიჭებს რა მას, ვინც მიირთმევს.
არა! მისი სიტყვები ზოგჯერ წამალივით მწარე-
ყია, გადაკვრით ნათქვამი ანდა — ირონიით
შემსუბუქებული. ზოგჯერ ძნელი მოსამენიცაა,
რადგან გვიბულებს, ვიფიქროთ იმ შეუსაბამო-
ბებზე, იმ ხარვეზებზე, იმ გაუგებრობაზე ადამი-
ანთა შორის, რაც ჩვენს გარშემო არსებობს.
გვიბულებს, ვიფიქროთ მათ გამოსწორებაზე
და იმათ გადარჩენაზე, ვინც შეიძლება, ჩვენი
საზოგადოების მანეთი მოვლენებს არ ემსხ-
ვერპლას. სწორედ ამითაა მისი ლექსები აქ-
ტუალური.

ბუნდოვანი და ქვეცნობიერი შ. ჩანტლადის
ლექსებში არ გვხვდება. საგნებისა და მოვლენე-
ბის აღქმა მასთან მუდამ გაცნობიერებულია,
დაკონკრეტებულია. ასევე არ არის მასთან რა-
იმე ისეთი, რაც განზოგადებას არ ექვემდებარე-
ბება და კრძოთ ხასიათი აქვს. მისი ყველა ტკი-
ვილი, მისი ყველა ლამაზი წუთი მკითხველისათ-
ვის ნაწილობა და გულზე მოსახვედრია. მისი-
განწყობილებები ყოველთვის გადმოდება, რად-
გან იგი წერს გულით და არა მხოლოდ გონებით.
ინტელექტუალური ნაკადი საკმაოდ მძლავრია
მასთან, მაგრამ იგი განცდათა პირველადობას
და უშუალობას არ აზიანებს.

შ. ჩანტლადის პოეტური სამყარო რეალისტუ-
რია. ცხოვრებისეულია მას არ ახასიათებს
მხოლოდ ცისკენ მზერა. ამასთან — იგი კარგად
განასხვავებს მედროვეობას და თანამედროვე-
ობას. ზატავს არა ზოგადად ქალაქს, არამედ —
თანამედროვე ქართულ ქალაქს თავისი მზით
და მთავარი, ჩრდილით და სიცილით, კონდუქ-
ტორიანი ტრამვაით, ღამის დარბაჯებით. ლექსში
„ჩემი მაგიდის წიგნი“ იგი წერს:

ქალაქი ჩემთვის მაგიდის წიგნია...
...ადამიანები — სტრაქონებია ამ წიგნის.
მახსოვს, დავდიოდი ამ ქალაქში პატარა
ბავშვი
და ვკითხულობდი თვალებით ქალაქს,
და დავატარებდი ფეხებს ამ ქალაქში
ნელა და შეჩერებით,
როგორც „დედაენის“ სტრაქონებზე ნელა
და შეჩერებით
დავატარებდი თითებს.

ასეთია პოეტის დამოკიდებულება მშობლა-
ური ქალაქისადმი ყრობისა და განსწავლის
ქამს, რომელიც მის ფიზიკურ ზრდასთან ერთად
ღრმავდება და რთულდება ლექსში გაიგივებუ-
ლია, შერწყმულია ქალაქისა და მისი ბინადრის
ბედი.

ურბანისტულ მოტივებში, მკაცრ. უყვავილო
პეოზაეებშიც კი ახერხებს შ. ჩანტლაძე ისეთი

ინახის გამოჩენას, თითქოს სულიერ არსებას
ფერებოდეს. ასეთია ლექსი „ტრამვაი“,
დაც ტრამვაი, რომელმაც უდროოდ დრო ამოშ-
ტარ მოქალაქეს ფეხი ვალაქურა, ცოცხალი ადა-
მიანივით იტანჯება სინდისის ქენჯნით, თუმცა
ღამწამავე არ არის.

შენ გინდა, რომ დამალო ნომერი შენი,
ისე, ვით ცაცმა გვარი საკუთარი,
რომელსაც იცნობენ, როგორც პატიოსანს
და დანაშაულზე წაასწრებს უცებ,
თანდათან იშლება ხალხი და ტრანსპორტი,
მოქალაქენი და მანქანები იცავენ წესებს.
შენ მიდიხარ ნელი და სვედიანი ზმარით
და ზოგადადებზე ტოვებ სისხლს, როგორც
საკუთარს.

დღეს ჩვენთვის ტრამვაით გადაკრილი ფეხი
აღარ არის პრობლემური ტრაგედია, შ. ჩანტ-
ლადის დროს კი ეს თემა არაერთგზის იქნა ლი-
ტერატურაში დამუშავებული (მაგ. გ. რჩეულიშ-
ვილის მოთხრობები). გაივის დრო, ჩვენ აღარ
გვემახსოვრება ტრამვაი, მისი კონდუქტორი,
პროგრესი შთანთქავს მას და მასთან დაკავშირე-
ბულ პრობლემებს. მკითხველს კი შ. ჩანტლა-
ძის ლექსით კიდევ ერთხელ წარმოუდგება
თვალწინ.

შენ შემოგზავდავენ კამეჩები,
როგორც შენ უყურებ ტროლიბუსს,
ტროლიბუსი — ავტობუსს,
ავტობუსი — ავტომობილს.
შენ ამ დროს წითლდები,
შენ ამ დროს გრცხვენია,
შენ დარცხვენილი განაგრძობ გზას.

(შდრ. გალაკტიონი — „ავტომობილი და ურე-
მი“).

ურბანისტულ თემებზე დაწერილ ლექსებში
ავტორი, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ყვე-
ლაზე ხშირად გაპიროვნებას და პარალელიზმს
ეყრდნობა. მასთან გასულიერებულია საგნები,
ქუჩები, ტრანსპორტი, სახლები და უხილავი
პარმონიაა მათ შორის დამყარებული, რომელ-
საც გრძნობს მკითხველი. ტრამვის ბედი სიმ-
ბოლურად ადამიანის ცხოვრების ფილოსოფიურ
გააზრებას წარმოადგენს, თითქოს ერთმანეთსაა
ჩაწნული ტრამვისა და მისი ვატმანის ცხოვრე-
ბა, რომელმაც იგი პირველად შეაყენა ლიან-
დაგებზე.

ლექსი — „ოთახში სიჩუმე თოვლისგან მოგ-
კრილი“ — მთლიანად გაპიროვნებაზეა აგებუ-
ლი. აქ გასულიერებულია ყველა საგანი: „მა-
გადა თითქოს რაღაცას გავალბებს“, „ფიქრში
გაივლებს დამფრთხალი პრიმუსი“, „კედელზე
რდილი აკრულა შპალერი“, „და პლაშჩი ჰქვიდა
დასაკიდებელზე, ირბევა, წრიალებს, მწარედ
იტანჯება, გათრე ვასასვლელად რაღაც მიზნს“

დალილა ბაღინიძე
„დაბავნიანბული ჰავილირი“

ქმებს, ასეთ კარგ ავდარში სახლში ვინ დარჩება.“

ასევე — თითქმის ყველა საგანი სუნთქავს, ცოცხლობს ლექსში „როდესაც ოთახიდან გარეთ გამოვდივარ“ აქ პოეტი წერს, რომ საგნებს უყვართ ღიმილი, რომ ისინი შენგან მალულად იღიმიებიან, როცა მათკენ ზურგიით დგახარ. მხოლოდ ნამდვილ პოეტს თუ შეუძლია, გაუგოს არა მარტო ადამიანებს და თავის ლექსებში ცოცხლად წარმოგვიდგინოს ისინი, არამედ — საგნებსაც.

ძეულის ნგრევის და ახლის შენების თემაა გატარებული ლექსში „იმ ქუჩაზე“ ეს თემა პოეტთან არ არის იშვიათი და მუდამ ახლის, პროგრესულის გამარჯვებას ეძღვნება (იხ. — „სახეზე მომეჩრდილა თამბაქოს ყვამლი“):

ვაარაზის ზევის ამოვსებას, როგორც იქნა,
ბოლო მოედო.

თბილისის მიემატა ახალი ქუჩა,
თბილისში მშენებლობას კარგი პირი უჩანს.
იქნებ დაანგრიონ ჩვენი სახლიც
და ახალი ბინები დაგვირიგონ,
სიხარულით თავს კედლებს ვახლი,
მასალას მივცემ სატირიკოსს.

შოთა ჩანტლაძე დიდი სითბოთი და სიყვარულით გვიხატავს თავის თანამედროვე თბილისს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს მას სოფელი არ აინტერესებდეს. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სოფლის თემის მოყვარული სხვა პოეტებისაგან, მასთან ქალაქის მიმართ სიძულვილი და სოფლად გაქცევის სურვილი არ იგრძნობა, პრაქტიკულად არ არის განწყობილი პოეტი. სოფელი და ქალაქი მის ლექსებში ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ — მშვიდობიან თანარსებობაში განაგრძობენ სიცოცხლეს. თუმცა, ერთ პატარა ლექსში კი ჩანს მისი სწრაფვა ერთი შეხედვით მარტივი, ზნეობრივად უმწიკველი გარემოსაკენ. მაგრამ ეს სწრაფვა დროებითია:

კარგია, მე ვფიქრობ დაღლილი —
სოფელი, პატარა სახლი.
ცოლი, ერთგული ძალივით,
ცოლივით ერთგული ძალი.

ამდევალ ტონებში, პოლიფონიურად ხატავს შ. ჩანტლაძე წვიმიანი ღამის გათენებას სოფლად. უეცრად მოვარდნილი წვიმის შთამბეჭდავ სურათს ზუსტად გადმოგვცემს ლექსის დასაწყისი:

დედამიწიდან ავარდა წვიმა,
წვიმამ აღმოხეთქა დედამიწიდან,
წვიმამ აღმოხეთქა ვეება მთებიდან,
აღვის ხეებიდან, ქადრის ხეებიდან...
წვიმამ აღმოხეთქა იასამინიდან,
აწვიმა ზეცას...

ღიას! „წვიმამ აღმოხეთქა დედამიწიდან“ და „ზეცას აწვიმა“. მიწის კი არა, ეს უკვე საკუთარი თვლით დანახული დედამიწია, რომელიც

ასე ხატოვნად დაანახა შიოშველს პოეტს ლექსს მუსიკალურობას ანიჭებს და აღმოცენდება ტონის გაძლიერებას ემსახურება სიტყვა „აღმოხეთქა“. რომელიც ლექსის შინაარსიდან გამომდინარეობს.

სოფლად თენდება, გაზაფხულის წვიმიანი ღამის შემდეგ ამოდის მზე, საზარელი, უკუნი, უსასრულო ღამე მთავრდება, სოფლის დილის მაკორული პოლიფონია, სურნელება, სიწმინდე ხელშეახლება, ცოცხლად, ზესტი მხატვრული სახეებით მოაქვს პოეტს ჩვენამდე:

უკუა ასტეხს ძალღებმა,
არ არის კაქანება კაცისა.
ვის უუყვენ ძაღლები ნეტავ!
ძაღლებმა დაჩემებს მაღლის საქმე,
ძაღლები აღვიძებენ ადამიანებს.
მამლები დადიან განაწვენებულნი,
გუგული იძახის: ეუ, გუ, გუ, გუ!
გუგული ზმას აქედებს ჰაერში,
როგორც დურისმასს.
სადღაც ძროხის უფლიდან
ამოიზარდა ბღავილი,
როგორც ნაწვიმარი ზალაბი.
ფრინველები ამტკუველდნენ,
როგორც წვიმა.
ჰაერში იგრძნობა, თუ როგორ
გაახილეს ადამიანებმა თვალები საზღებში,
მოკლედ, გათენდა...
სახლის სახურავიდან ამოძვრა ყვამლი,
როგორც ქურდი და შეეხამა ზეცას.

სრულიად განსხვავებულ ფერებში ხატავს შ. ჩანტლაძე სოფლის მეორე სურათს ლექსში „ღამე“. ეს გაღვიძების კი არა, მიძინების სურათია, აქ სიცოცხლის მაგიერ სიკვითლია მოქმედი პერსონაჟი, რომელსაც მარტოხელა მოხუცი ქალი მიჰყავს. დამეული ქოხი, მბეჭეტავი ნაკვერჩხლები, კრაქი (პატარა კრაქზე აღი ბარბაცებს, კრაქიდან გადმოსვლა უნდა — იგივე გაპიროვნება), ბუხართან შავი კატა, დაუწყნარებელი კრიკინობელი, აყმეულეებული ძალი, სიკვდილი, რომელმაც ცა გადმოიარა და ციდან მისი შიშით თუ მის ფეხქვეშ ჩაეარდნილი ვარსკვლავები, ქოხებიდან ამოსული ყვამლი, როგორც ღამის სუნთქვა ქმნის სოფლად დედამიწის სიკვითლის რეალისტურ და მხატვრულად მაღალ დონეზე შესრულებულ სურათს. ლექსი მდიდარია სახეებით, სიკვილიშაო, წერს შ. ჩანტლაძე, როგორც ლოთმა მამინაცვალმა, მაგრად შეანჯღრია ქოხის კარი „და მიაპყრო თვალები მოხუცის დახურულ თვალებს. და გაიღო მოხუციის თვალები, როგორც კარები. და სიკვილიშა შეაბიჯა შიგ. სიკვილიშა ჩააქრო ორი მბეჭეტავი კრაქი თვალების და გარეთ გამოვიდა და მაგრად მიიხურა თვალების კარები, სოფელში აღარ ყმოდნენ ძაღლები... ეძინა სიკვილის.“

რეალისტურ, მაკორულ, კოლორეტულ ფერებში აღწერს შ. ჩანტლაძე სოფლი. ყოველდღი-

ური ყოფიდან აღებულ მომენტებს (იხ. ლექსი „სოფელი“): გაზნეკილი ღიბე, უღლიანი ღორი, ქათმები, ქალი და ყველი, მთვარეზე შეყვარი ძაღლები, ქათმის ქერდ მელაიზე მომჩივანი გლხის ოჯახი, გაუჩულებელი კრჩინა, რომელიც ახლა დედაბრის ქოხის ძილისგან განსხვავებით, სოფლის მშვიდ ძილს უმღერის.

- გააბლებ თუთუნს,
- გაიხსენებ ქალაქს,
- გაიხსენებ უთოს,
- გაიხსენებ კარაქს,
- გაიხსენებ „პიპას“ —
- უკრაში რომ დაგრა.

ეს მოთხველთა უმრავლესობისათვის ნაცნობი სოფლის განცდა მშვიდი, იდილიური სოფლის საღამო და ზაფხულში დასასვენებლად ჩამოსული ქალაქელი კაცის ფიქრები მსუბუქი რიტმით, ლაკონურად არის ვადმოცემული.

იუმორით, დიდი სიბოთით, იმერული სოფლისთვის დამახასიათებელი ტონებით არის შექმნილი ლექსი „მყუდროება“, რომელშიც მეტი-ჩარა მამლის ბედია აღწერილი:

სოფელში მამალი ყვიდა უდროო დროს.
მამალი ბორბი იყო მტადა.
მამალი ყვილით არღვედა მყუდროებას
და თავს აწონებდა დედალს.
გაბრაზებულმა მამლის პატრონმა იგი დაკლა.
მისმა ცოლმა გააძაბა სადილისათვის:

ოჯახის წევრები ჩაპოსხდნენ კორკოებზე
და ღობიოსფერი დაიდგეს სუფრა,
თითები ამოქმედდნენ, ვითარცა კოვზები
და სუფრა სუფევდა უბრადა.
საწყალი მამლისგან ძვლებიც არ

დატოვებს

და სუფრა დატოვებს ბოლოს...
ოჯახის უფროსმა ჩიბუბი დატენა,
ჩიბუბი დატოვა ბოლმა.

კომიკური, დიდაქტიკური და ცოტა სევდიანია ლექსის ფინალი:

და გაქრა მამალი — მყვიანი უდროო დროს.
მამალი ბორბი მტადა.
სოფელში მშვიდად ეძინა მყუდროებას
და ადარ ეძინა დედალს.

სოფლის შესახებ დაწერილი შ. ჩანტლაძის ლექსები სავსეა კოლორიტული სახეებით და სურათებით, იდილით და სიმყუდროვით. იგრძნობა, რომ პოეტს ქალაქზე არანალებ უყვარს სოფელი, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო უფრო მჭიდრ ქალაქს უნაყვარდება, ვიდრე — სოფელს.

იუმორი, კეთილი, თბილი ირონია მუდამ ახასიათებს შ. ჩანტლაძეს (ამას თქოთონაც აღნიშნავს ლექსში „ვინ ვარ და რა ვარ“ — „ვარ საზღვარი ირონიის ზღირი ტარებით“), ირონიული უბრალო, ინტონაციით თუ ცალკეულ გამოთქმებით იგი ხშირად ახერხებს შეამსუბუქოს დრამატიზმი, მძიმე განწყობილება, შექმნას

მშვიდი, თბილი გარემო, იოლად გადაატანინოს ადამიანს სულის ტკივილი. რიგ ლექსებში კი სულ სხვა ფუნქცია აქისრია მისეულ ირონიულ — ესაა მებრძოლი ფუნქცია, იარაღის ფუნქცია, გამიზნული ყოვლიანია, ზედაპირული, კარგად შეინდებული შეშინაის ტიპის გასაშფარებლად, რომელსაც პოეზია მოწყენილობის ფაქს განართობდა თუ გაახსენდება. იგი ნათლად ხატავს კონტრასტს მეშინაურ და ამოღებულ საწყისებს შორის (იხ. ლექსი — „პეი, გამაქანეთ“). ლექსში „მე არ ვიციანი, მე დავციანი“ — შ. ჩანტლაძე მსჯელობს სიცილის ფუნქციის შესახებ, მისი მსჯელობად გასაგები ხდება, რომ თავის იუმორს იგი ნეგატიური მოვლენებისა და ნეგატიური პიროვნებებისაყენ მიმართავს, ანდა თავის დასაცავად იყენებს. მისი სიცილიდან გამომდინარე გვაგონდება პოპულარული სიტყვები — ვინ რა იცის, რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა. იგი არათუ სხვათა ნაკლოვანებების მიმართ არის დაუნდობელი და უკომპრომისო, არამედ — პირველ რიგში — საკუთარი თავის მიმართ:

სასაცილოში მე ათასჯერ ათასებს გავრე,
მაგრამ ჩემს თავზე მე სიცილი დამამიშვებია,
თუმცა მინდა, რომ გამოგატყდეთ, უკვლავზე
მწარედ.

მე მხოლოდ ჩემზე, მხოლოდ ჩემზე
გამციანებია.

შ. ჩანტლაძის იუმორი კეთილია, არასოდეს სარკაზმში, ბოროტ ირონიაში არ გადაიზრდება, ადამიანის ღირსებას არ შელახავს, არამედ — მისი ნაკლოვანების გამოსასწორებლად მისი გამიზნული, ადამიანს იგი არ დასციინის, არამედ — უსაზღვროდ უყვარს ის, ამ სიყვარულზე პოეტი არ ლაპარაკობს ღამაში სახობტო სიტყვებით, არამედ — გამოხატავს მას თავისი საქციელით და დამოკიდებულებით, იგი იმ შვილს ჰგავს, რომელიც მშობლებს ყოველ წამს სიყვარულს კი არ ეფიცება, არამედ ჩემად უდგას მხარში.

შ. ჩანტლაძის ლექსების ძირითადი ღირსება მათი თვითმყოფადობა და უშუალობაა. განსწავლულობა, გავლენები, ნასესხობები ალაგალაგ შეინიშნება; მაგრამ იმდენად მცირე დონით, რომ ლექსების ღირსებას ბევრს ვერაფერს აკლებს. მას აქვს საკუთარი სტილი, საკუთარი ხელწერა, რაც გაცილებით ძვირად ფასობს და უფრო პროგრესულია, ვიდრე ეპიგონობა და ერთი ადგილის ტყენა. სიახლეს მუდამ სიმძლე მოსდევს. ადამიანს, მოცემულ შემთხვევაში კი მკითხველს — უყვარს ყველაფერი შეჩვეული, სიახლეს ძნელად ეგუება. თუნდაც ეს სიახლე პროგრესული იყოს, ვინაიდან მისი გამოყენება ნაცნობი, ათასჯერ გადამღერებული ცნებების მიხედვით არის ჩამოყალიბებული. მისი ლექსები ერთ-ერთი მთავალი საკუთარი გზის ძიებისა, საკუთარი თავის ძიებისა.



შ. ჩანტლაძე კარგად ფლობს ლექსის ტექნიკას. ვერლობრში მუსიკალურობა ასონანსებით, რეფრენით, ალიტერაციებით, განწყობილებათა, ინტონაციათა, ცალკეულ ფრაზათა ლოგიკურა მონაცვლეობით აქვს მიღწეული, თუმცა ხარვეზებით შეინიშნება აქა-იქ და პროზაიზმებიც ხშირია. ემოციური მუხტი, კულმინაციები მის ლექსს არ აკლია. მისი სიტყვა ცოცხალი და შთამბეჭდავია, ფეთქავს ლექსის გულისცემის შესაბამის რიტმში. ზედმეტი სიტყვა ანდა ლექსის ქსოვილიდან ამოვარდნილი სახე თუ მოტივი შ. ჩანტლაძესთან არ გვხვდება.

საინტერესოა შ. ჩანტლაძის ლექსებში რიტმისა და განწყობილების ურთიერთმიმართება. ფილოსოფიური მოტივებით თუ თემატიკით დატვირთულ ლექსებში რიტმი მდორეა, პულსაცია შენელებულია, კულმინაციათა რაოდენობა ერთს არ აღემატება და მისი საყრდენი აზრია, ხოლო როდესაც ლექსში ემოცია მძლავრობს, რიტმი აჩქარებულია, სახეთა თუ განწყობილებათა მიმდევრობა მკირე ინტერვალებით მეორდება და კულმინაციათა რიცხვი მატულობს.

მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება შ. ჩანტლაძესთან ე. წ. სიუჟეტური ლექსები. მათი ტიპური ნიმუშია „მუქდროება“.

ენობრივი ქსოვილი მდიდარია, თუმცა პოეტრილია ლექტიზმებს არ მიმართავს. სიტყვა უაღრესად ქართული და დახვეწილია. იგი ფართედ იყენებს ყოველდღიურ სალაპარაკო ენას, რაც ლექსს სისადავეს და მოქნილობას ანიჭებს.

მხატვრული ხერხებიდან ხშირად გვხვდება შედარებები, ეპითეტები, გაპიროვნება, მეტაფორები.

აღამიანის ასაკი მისი წლოვანებით კი არ ნისაზღვრება, არამედ იმით, თუ როგორ ხოვრა მან, რა ნახა, რა მოასწრო. ზოგჯერ ჩვენი ცხოვრების ერთი წელიწადი ათს უდრის, ხოლო ათი — ერთს. ამავე დროს, ფიზიკური არსებობის გარდა არსებობს სულიერი ცხოვრებაც, რომელიც ზოგჯერ გაცილებით უფრო ღრმა და ხანგრძლივია, ვიდრე აღამიანის ფიზიკური არსებობა. ამ დროს, აღამიანის ბიოგრაფიულ მონაცემებზე უფრო მეტად მისი სულიერი ბიოგრაფიაა საინტერესო, რომელიც ძირითადად ისევ და ისევ მისი ცხოვრების წესით არის განპირობებული. შემოქმედი სწორედ ამ სულიერი ბიოგრაფიის აქტიურობით არის დანარჩენებისთვის საინტერესო.

პატარაა მისი ლექსების კრებული, მაგრამ მოგეხსენებათ, მთავარი ხარისხია და არა რაოდენობა. არიან პოეტები, რომელთა ლექსებიც ბევრს კარგავენ, თუ მათ ავტორს პირადად არ იცნობ. შ. ჩანტლაძის ლექსები არაფერს არ კარგავენ იმით, რომ ავტორს არ იცნობ. ასევე — ბევრი ლექსი მხოლოდ იმიტომ იბეჭდება, რომ ავტორი ცოცხალია. შოთა ჩანტლაძის ლექსები მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა. ეს კი უკვე მისი სიცოცხლის გაგრძელებაა.

იგი ცოცხლებდა, რამდენჯერაც წაიკითხავენ და რამდენჯერაც ვინმეს მოეწონება.

„მე ვარ მეტყველი ყოვლის მაგიერ, რაც მღუმარია“ — მაგონდება უნებლიედ, რამდენჯერაც მის წიგნს შევხედავ. ამჟერად უკვე ეს წიგნია მეტყველი მის მაგიერ. სამწუხაროდ.



ნაირა გელაშვილი

„...უნდა ანდოთ მებატონეს...“

(ანუ მართი უცნაური, დიდებული მთხრობელი)

ერთხელ, საუბარში ოტია პაქოვრიამ სახის, ხელებისა და მხრების (მისთვის ჩვეული) ენერგიული მოძრაობით წამოიძახა: — „ოცი წელიწადი მოვანდომე ოთარ ჩხეიძის წაკითხვას! ოცი წელიწადი დამჭირდა იმისთვის, რომ მისი სტილი გადამეღალა, შევჩვეოდი და ეს ბრწყინვალე მწერალი აღმოჩინაო!“ (რა ძვირფასი გულანდობაა, დოკუმენტის ღირებულებას რომ იძენს).

მე კი მაშინ ხსენებული „სტილის“ გადაღლების ამოცანაში ვიყავი. დავიწყებდი და პირველსავე გვერდზე ჩამეფუშებოდა ხოლმე მოწადინება-შემართება. გამოხდებოდა ხან, ისევ დავწვდებოდი უურნალსა თუ გაზეთს და გაღიზიანებულ-გაწიღებულ მალევე მივდებდი გვერდზე. ბოლოს, შევეგუე იმ აზრს, რომ ასე ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ (თუკი დამცალდებოდა) ჩემთვისაც გაიხსნებოდა ამ ჭერჭერობით მტკიცედ ჩარჩული საუფლოს კარი. საუფლოსი, აინუნშიაც რომ არ აგდებდა დროს და ნაკლებ ანაღვლებდა, ამ ხანმოკლე, სწრაფწარმოადი წუთისოფლის მავან სტუმარს ათი წელი დასჭირდებოდა თუ ოცი იქ შესაღწევად.

და მოულოდნელად გაიხსნა კარი: როდესაც ბატონ ოთარ ჩხეიძის სამტომეული აღმოჩნდა ჩემს ხელთ და ეს ამბავი, როგორც ჩანს, ჩემს შინაგან მზადყოფნას დაემთხვა (ხშირად ესა თუ ის წიგნი სწორად მაშინ მოიხსნება, როცა ავტორის მზადყოფნა და მკითხველის სულს შორის უკვე გაბმულია რაღაც უხილავი ძაფი). გაიხსნა კარი და დაიწყო საოცარი დღესასწაული: თხრობის ზეიმი, დიდებული ეპიური სანახაობა, ბრწყინვალე არტიტიზმით, უადრესად თანამედროვე მწერალური „თამაშითა“; და იუმორით აღბეჭდილი, სიღრმისეული, ტრავგიკული სერიოზულობა; მასხადამე: ისეთი დიდოსტატობა ეპიური აღქმისა, რომლის ცეც-

ხლშიც სხვიანობის ქეშმარიტი პროზის ოქრო — სიბრძნისა და უცვლადობის ქვა.

ამ შემოქმედების უოველი გახსენება ისეთი დაუოკებელი სიხარულით მავსებს, ისე საჩუქარივით ხვდება გულს, რომ ვერ მოვერიო სურვილს — სხვებისთვისაც გამეზიარებინა ეს სიხარული, ადრული ფიქრები, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ჭერ კიდევ ამაღლ ელენება მწერლის ენობრივ ზღუდე-გაღაფანს; სურვილს — მაღლიერება გამოუმხატა ბატონ ოთარ ჩხეიძისათვის ამ დღესასწაულისათვის, რომელიც ჩემთვის მხოლოდ ჩემს გამო გადაიღო (და რომელიც კიდევ იმეტომ იძენს ხოლმე განსაკუთრებულ ფასს, რომ ცხოვრება ხშირად უარს გვეუბნება ყველა სხვა დღესასწაულზე).

„... წინაშე მდებარე პი ფაქტს...“

სხვა რა არის მწერლის, როგორც მწერლის მოწამებობრივი გზა, გნებავთ, გმირობა, თუ არა ის, რომ გვერდით ედგეს ნიდაგ დევნილ (აშკარად ჩაწიხლულ თუ ოსტატურად მიჩქმალულ) სიმართლეს და არც შეკაშმული ცხენი ეგულეობდეს სადმე (ან გინდაც ეგულეობდეს. მღევართა შემძლავრ აღკურვილობას რომელი მერნით დააღწევს თავს), თუ არა ის, რომ არაუ ჩააგდოს იმ ეპიკის ცდუნებანი, მუქარანი და მოთხოვნილებანი, რომელიც არასულმეორ, სულაც მწერლობას დაპირისპირებულ სინამდვილედ ქცეულა და საყოველთაო ნიველირება-უნიფიკაციით აღბეჭდილი — ყველა სფეროში სწრაფად მოსახმარ, ამოკების ნიშნით დადღასმულ, მასიურ პროლეტკიას ამზადებს და ითხოვს; და ბოლოს, — თუ არა ის, რომ დაუპირისპირდეს იმ დროს, მარადისობას რომ დაპირისპირება.

და აქ მართოდენ ნათქვამის, სათქმელის სიმართლე როდი იგულისხმება, ანუ ე. წ. სოციალურ-მორალურ მანკირებათა მხილებანი



(რასაც მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, თუ მწერლისთვის ბუნებრივია, თუ უნაგაროდ, ღრმა პოზიციიდან სწვდება მის გულსა და კალამს), არამედ სიმართლეც ფორმისა, ანუ სტილისა. შინაარსობრივი სიმართლე ასე თუ ისე ადვილი შესამოწმებელია, რადგან მეტ-ნაკლებად ექვემდებარება ხილულ ლოგიკას, და სინამდვილესაც, რომელსაც ნაწარმოები ასახავს, შედეგის საბით მაინც უკვლავ ხედავს, — და როცა მწერალი ამბობს: „სოფელი გაპარტახდოა! — დაახლოებით ყველამ იცის, რომ ეს ასეა (თუმცა მიწვებასა და ძირებს შეიძლება ყველა ვერ სწვდებოდეს), მაგრამ ვის შეუძლია სტილის ნამდვილობის შემოწმება, როდესაც მწერალი ამ აზრს უადრესად უცნაური მანერით, — „ახირებული“ სტილით ასხამს ხორცს? ვის შეუძლია ჩასწვდეს სტილის მთელ საიდუმლოს — იგი ხომ მწერლის შინაგანი სამყაროდან, მთელი მისი სულიერი კანონზომიერებიდან აღმოცენდება და მისი ფსიქიურ-აზრობრივი აღნაგობის ენობრივი ასლია? და განა უსაადვროდ განსაცვიფრებელი არ არის ხოლმე იმ მწერალ-პოეტთა არნახული მდგარობა, სიჭაბუკე და შეუვალობა, ვისაც ამდენ ქოქოლას აურიდნენ უცნაურობის, ახირებულობის, მანერულობის გამო, რომელთაც ასე ურთულდებდა ცხოვრებას მათივე თ. წ. „სტილი“ და ისინი კი წარბეუბრებულად განაგრძობდნენ იმავე უაიდაზე თხზვასა და გალობას? განა ეს არ მოწმობს, რომ სტილი ბედისწერაა? და ასე ბედისწერულად უპირისპირდება ხელოვანი მარადისობას დაპირისპირებულ, ანუ წარმავალ ღირებულებებს აღმშენებელ დროს.

„ბრის მამითხველი...“

ხოლო ჩვენც, ამ დროის პირშონი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ზშირად სწორედ ასეთ ადვილად მოსახმარ: აზრობრივად ნაცნობ, ფორმით — პრიმიტიულ პროლეტკიას ვებთანებთ, ხელოვნების სუროვტებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევინ: მოვეშვათ. რადგან: ფატალურ ნაჩქარეობას შეუპყრია ჩვენი ყოფიერება (რასაც უკვე ჩვენი ფეხტიყუაღაცია; სახის მოძრაობაც, ლაპარაკიც, მოყოლის მანერაც და, საერთოდ, ქცევაც განუსაზღვრავს), ნერვებიც უადრესად დაგვეუსტებია და ცხოვრება რომ აგრე გავწავლებს, ცხადია, ლიტერატურაში ვიქმებ შევბახსა და დახვენებას. რა ექნათ, ჩვენც ადამიანები ვართ, ისედაც ბევრს რასმე ვუძლებთ და ის უკვე მტრისმეტად მიგაჩნია, თუ ქანცამწყვეტი დღის ბოლოს ბედში აღებული წიგნიც ვეძახავს, გვანერვიულებს ან მაშინვე არ გვენებდება. უცხოელ მწერლებს კიდევ ვაპატიებთ „სიძნელეს“, მაგრამ ჩვენებურთ — არამც და არამც და ზშირად უმალ უაზრობად ჩავთვლით მათ სტილურ-

აზრობრივ „მერმეტულობას“, ვიდრე რამე მხატვრულ თავისებურებად, ინდივიდუალურობად. თან ისიც კარგად გვახსოვს: ხელოვნება — ხალხს-ო რომ აღვკვიტოვებს, და და ჩვენს გაღიზიანებას „გაუგებარი“, „ძნელად შესაღწევი“ ხელოვნების მიმართ ამ დღევანდელად სრული უფლების განცდით ვაფუნებთ, მით განვამტკიცებთ და მოვიზოხოვთ: ზედაპირზე მოიშშიშე, ნერვიული ცხოვრების დროზე ჩამოკვეითდეს ხელოვნება ანუ მამინვე გასაგები იყოს თვით ყველაზე დუბიური ტინისთვისაც კი. ის, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩვენ გვევალება მის სიმაღლეზე ასვლა — ზშირად აზრადაც ადარ მოგვიდის.

და სწორედ ეს არის ჩვენი დროის ერთ-ერთი (გადასატრელი) დილემა: რა დადლილი და გადაქანცულიც არ უნდა იყოს ადამიანი, არასოდეს ექნება უფლება, გართობა მოითხოვოს ლიტერატურისაგან, იმ ჰამაკად აქციოს წიგნი, სადაც ნასადილევს ტანდამშიმბული ობიექტული ჩავსვენება, სასიამოვნო გაქანავ-გამოქანავება რომ სწადია ან რაღაც ინტრიგით ტინის აგზნება, რათა საბოლოოდ უდრემს ძილსა და ლეთარგიას მისცეს თავი. ხოლო აზრის მომადუნებელი დანანავება და გართობა-სანახობა გაცილებით (მაგრამ ფარულად) უფრო გამომფიტაკია, ვიდრე უმძიმესი ფიქსიური ჭაფა. და გამომფიტაკი ყოფისაგან დასვენება მხოლოდ სულიერი აქტივობით, სულიერი ინტენსივობით შეიძლება და არა — მოშვეულებლობით, არა გართობით, არა უსაქმურობით (რადგან ცხოვრება ხომ ძირითადად ინიტამ გვერტავს, რომ ზმას არ აღებინებს ჩვენს სულს) და ხომ უდიდესი სიამოვნებით, ესთეტიური ტკბობითაა დაჯილდოებული ის სულიერი ინტენსივობა, რასაც ნამდვილი ლიტერატურის კითხვა მოითხოვს. ხელისშემშლელი პირობების ოყენეში მიქცეული ადამიანი თუ ვერ მოახერხებს სიღრმისკენ მიქცევას, სიღრმისკენ სმენაქცევას — მისი გადარჩენა ვერანაირად ვერ მოხერხდება, რადგან ყველანაირი რეფორმა უძლურია, გადარჩინოს (რილკეს სიტყვებით რომ ვთქვათ) „ზედაპირული მოდგმა“.

და ნურც იმით მოვიტყუებთ თავს, უდიდესი ტირაუბიც კი რომ იყიდება. რადგან იუილება ყველანაირი წიგნი: მდარეც და კარგიც და იმ კარგსაც როგორ კითხულობს მკითხველი, რა და რატომ მოსწონს მასში — ესეც დმერთმა იცის. აქ შეგახსენებ ზურამ კაკაბაძის შესანიშნავ ესსეს — „არის მკითხველი...“ — სადაც ღრმად და ზუსტადაა დახასიათებული თანამედროვე მკითხველთა ერთი დიდი ნაწილის ფსიქოლოგიური მექანიზმი: ობიექტული მკითხველი ყველაფერს, ყველაზე სერიოზულ ლიტერატურასაც კი თავშექცევს.



გულის გადაყოლების მიზნით კითხულობს: აუწებლებს მას. თითქოს მას არ ეხება იქ აღწერილი ადამიანის გადაგვარება და ამ გადაგვარების შედეგად მოსალოდნელი კატასტროფები. თითქოს მას არ ევალებს საყოფარესო თანხის მიხლება, წვდომა, ანალიზი; კარგი მკითხველი — ანუ სიღრმისაყენ განაბული ხულიერი, ზუსტად გამარჩევი ყაბიზისა და ნამდვილისა (ვთქვათ: მაღალმხატვრულისა და უფრანლისტურ-პლაკატურისა) მუდამ მზადმყოფი. შინაგანი ზრდისათვის — ეს იმდენად მაღალსულიერ დონეს გულისხმობს, ზანდაზან იფიქრებ, რომ კარგი მწერალი უფრო ბევრია, ვიდრე კარგი მკითხველი.

დიდი ავსტრიელი მწერალი რობერტ მუზილი ამბობს, რომც ბერს უყვარს, მარამ მისი სულის მოქმედებას ვერსად ვხედავო და განა ჩვენც იგივე არ შეგვიძლია ვთქვათ? რუსთაველის, ვლიას, ვაჟას სული თუნდაც იმდენი ადამიანის ძალით რომ მოქმედებდეს პრაქტიკულად, რამდენსაც ისინი უყვარს (და ვის აღარ უყვარს!) — თუკი სიუყვარულში აქტიურ შინაგან დადარებას ვიგულისხმებთ და არა პასიურ ტკბობა-ადრეობას — მაშინ ხომ ასეც არ გადაგვარდებოდათ, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს ადამიანობის შენარჩუნება-დაბრუნება ვაგვიხდომია საქმედ. დიახ, „არის მკითხველი...“ — ჩვენ უკვლანი უფრო ხშირად ცუდი მკითხველები ვართ.

„პარჩაუდი და შინაწილი...“

და როცა ასეთი ზერელე ცნობისწადილით, გართობისა და პასიური ტკბობის სურვილით ნივდივიართ წინათან, როცა გონების შემართება კი არ გვინდა, არამედ — მოშვება-მოდუნება, როცა მხოლოდ ის გვოხიდავს, მოგვწონს, რაც ნაცნობია, დატკბენილი, შეჩვეული, რის აღქმასაც ტვინის რამდენიმე უკვე ათვისებული უჭრედის ამძრავებაც კი არა სჭირდება (აუთვისებელზე რომ აღარაფერი ვთქვათ), მაშინ მწერლებსა თუ პოეტებს ხშირად ასეთი სურვილი უჩნდებათ: მათ შემოქმედებასთან ასე ზერელე ინტერესით მიხეტებულ მკითხველს წინ ისეთი ბარიერი დაუხვედრებს, რომ ნერვულადვე დაუყაროს სურვილი იქ უაზრო ხეტილისა და მხოლოდ ის შეუშვან თავიანთი სულის კარმიდამოში, ვინც მართლა ღირსია, ვისაც მთელი გულისყური და მამიებელი აზრი მოუკრებია. ასე, მაგალითად, დიდმა პოეტმა შტუდენ გეორგიმ საგანგებო, წვრილზე წვრილი შრიფტით კი შექმნა და თავის ისედაც უადრესად რთულ ლექსებს იმ თვალისდამთხრელი შრიფტით ბეჭედავდა, რათა ამ გზით მოეშორებინა თავიდან ხსენებული კატეგორიის მკითხველი.

მაშასადამე, ასეთი „აზიერების“ ერთ-ერთი ამჟღავნებელი თავდაცვა ყოფილა — დაცვა საყოფარესო

სი სულისა და სიტუაციისკარალოტობისა. „ძნელი სტილიც“ (მხატვრული პერმეტივის ერთი მომენტი) ხშირად უკვლავ სათუთის, უკვლავ გასაფრთხილებლის ირგვლივ შემოვლებული ზღუდეა ხოლმე.

ამავე დროს, პრაქტიკული თავდაცვის იმპულსითაც უნდა იყოს ნასაზრდოები თბრობის ხსენებული, „აზიერებული“ მანერა — ვგულისხმობთ თავდაცვას იმ მოთვალთვალე ფუნქციონერთა კირკიტისაგან, რომელნიც მამულლებზე აზრებსა და უკომპრომისობას ჩასაფრებთან. ასეთი დამცველი ზღუდე კი (შტუდენ გეორგეს თუ არც ახსენებოდა) დიახაც, სჭირდებოდა ო. ჩხეიძეს, რომელიც იმ წლებში ღალადებდა მწარე სიმართლეს, როცა ამისაკენ არათუ არავინ მოუწოდებდა, არამედ პირიქით: როცა ირვვლივ პატიოსანი აზრის ჩასაქოლად (ვალდებულთა და მოხალისეთა) ქვაჩაბლუჭული ხელების ტუე ამმართულიყო. დავინ იცის, იმ ქვათა გატუორცნას თუ ვერ აცდენდა, დაგვიანებდა მაინც ო. ჩხეიძის „აზიერებული“ ძნელი სტილის გალავანი: რადგან, თავად განსაჯეთ, თუ შესანიშნავ ლიტერატორს ოცი წელი დასჭირდა მის გადასახლანად, იგი ფუნქციონერი (ლიტერატურის წვდომა-ტრფილით ნამდვილად რომ აც გამოიჩიგოდა) — სამას წელს ხომ არ იკოცლებდა! ისიც ხომ ადამიანი იყო, მაშასადამე, ნერვები იმასაც ექნებოდა და, ადვილი წარმოსადგენია, ამ ხვაერიული ენის ხვეულ ტუერებში ჩაყარულს როგორ უღრნებოდა გული, ვიდრე უამრავი სტილური განწეორება-დაწესტებებით, თემატური გადახვევ-გადმოხვევებით გზაანული „სათქმელამდე“ ჩააღწევდა და გასრუებული იმა სათქმელს თავს დაადგამდა. დიახ, ადვილი წარმოსადგენია, რა ქოქოლას აურიდა (გზის-აზნევაში აგრე დაოსტატებული) მწერლის ამ „არანაზრ-მალურ“ სტილს (ის, ვისაც თავად ევალდებოდა კონსპირაციოვი განსწავლულობა). რად უნდა ეტანჯა ამდენი, როცა ელემენტარული რამის დადგენა სჭირდებოდა: რა სახელი უნდა გამოსძებნოდა მწერალს: „გადიანაშთისა“ თუ „სოციალისტური რეალიზმის მგზნებარე, სასიქალოლო წარმომადგენლისა“. მით უფრო, რომ ო. ჩხეიძე ისტორიულ წარსულს არ მიმართავდა, არც რაიმე ანონიმურ გეოგრაფიას იყენებდა თავშესაფრად — და თავის თანამედროვე, ასე ძნელ, ეკლანი, გზიდან აცდენილ ცხოვრებაზე სწერდა.

მაგრამ ემ, უკან დაუბრუნება და წინ — ჯილდო ანდა სასჯელი — (ისევე ფუნქციონერებზე მოგახსენებთ) ეტუობა, ამ ორ ძახილის ნიშანში მოქცეულნი თავს უადრეს ძალას ატანდენ და მაინც ამოკერბდენ ხოლმე „სათქმელს“ — მწარე სიმართლეს, ან თავად სტილს როგორც არარეალისტურს, როგორც ფრიალ და ფრიალ მიუღებელს იღებდენ მი-

ზანზი, ან არადა. ისე ჰქონდათ ზედვა (თუ სინ-
დისი) გამართლებული, რომ ზნობად ყოველად
უწყინარ დეტალშიც კი საშობალოს ღალატით
ილანდებოდათ. (ან იგონებდნენ).

ილი, 1937 წელი:

„საბჭოთა ადამიანის გაღატაკებულად, დამ-
ცირებულად გამოხატვის საქმეში სერგო კლდია-
შვილს როდეს ჩამორჩება ახალგაზრდა მწერა-
ლი ოთ. ჩხეიძე... სავსებით შეუწყნარებელია,
რომ ახალგაზრდა მწერალი ანგარიშს არ უწყ-
ევს კრიტიკასა და საზოგადოებრივ აზრს და ჯი-
უტად განაგრძობს მცდარი გზით სიარულს“.

„სამწუხაროდ ოთარ ჩხეიძის უტრადედება სულ
სხვა მიმართულებით არის მიუყრბილი...“

„ასე დაამცირა და დაწერილმანა თავისი
გმირი, იდეა საბჭოთა მეცნიერი, როდესაც
მას, განახლებულ საბჭოთა სოფელში ჩასულს
არაფერი დაანახვა გარდა საკუთარი აკენისა“.

და აი, ნი-იანი წლები:

ოთარ ჩხეიძის რომანების დაბეჭდვისათვის
(„მეჩენი“, „ბურუსი“) ჭერ გააკრიტიკეს
და მერე მოხსნეს უტრნალ „მნაობის“ რე-
დაქტორი სიმონ ჩიქვანი. და თავად მწე-
რლის სიტყვებით რომ შევაჭაოთ, ეს ის
დრო გახლდათ, როცა „გემოვნებაც კლა-
სობრივი ფენომენი ეგრომე და გემოვნების
განსხვავებაც ვეღარ წარმოედგინათ, რასან
გამოცხადებულყო, რო კლასები აღარ არის
ჩვენიო“, როდესაც დაუშვებელი იყო ფრა-
ზა: „მასწავლებელი ჩაჭდა გახუნებულ სავარ-
ძელში“ — რადგან „საბჭოთა მასწავლებელი
და გახუნებული არ შეიძლებაო რო თქმუ-
ლიყო ერთადა“.

ძნელბედობა და სივალადე რომ სწორბაზ-
ობრივი ქმედებით ხსნათდებოდეს და არა დი-
ალექტიკურით, ყველა ჭირსა და უხედურე-
ბის მართო ჭირი და უხედურება რომ მოჰქონ-
დეს შედეგად, — რა გვეშველებოდა, ჩვენგან
ხომ აღარაფერი დარჩებოდა! მაგრამ ავი აღი-
არებს მეფისტოფელი: „მე ვარ ნაწილი იმ დი-
ად ძალის, ვისაც ავი სურს და კეთილს სჩად-
ის“-ო. აშკარა ბოროტების ნაყოფი ყოველთ-
ვის სახეზეა და (უფრო) ჩანს. ბოროტების თა-
ვისდაუნებურ კეთილი შედეგი კი საიდუმ-
ლოა (უპირატესია) და აღმოჩნა სჭირდება.
ეს საზოგადოდ. ო. ჩხეიძის შემთხვევაში კი
ამ ტრაგიკულმა იმპულსებმა (საერთოდ, ცენ.
ზურა, განსაკუთრებით ქვეცნობიერ სფეროში
გადასული, ყველანაირ შემოქმედებას ასვამს
დასს). თავიდან, ალბათ, იძულებითი, მაგრამ
სხვაგვარი დიდებული სტილი ჩამოყალიბა:
სტილი ორიგინალური, არტისტული მადალმბ-
ატურული, ეს მაშინ, როდესაც ფორმით მწი-
რი (ანუ უსახეო) და იდეურად — საბოტო
რენოშიმ ცქადდებოდა ზღოვანების უსუნაეს
ნიღუშად. მაგრამ სწორად — აი ამ უსახეო-
ბით, ამ ფსევდოლიტერატურით გამოწვეული უმ-

ძაფრები რეაქტია იყო ო. ჩხეიძის სტილი და
პოზიცია. ეს გახლდათ ღვთაებრივი სიჭაუტე
(ხომ უკეთინებდნენ კიდევ: „ჭაუტად განაგრ-
ძობს მცდარი გზით სიარულს“-ო), ბედისწე-
რული გაჭაუტება-გაეკრება, რომელშიც შედე-
დაბებული იყო მთელი აღმოსავლეთ საქართ-
ველოს სიჭაუტე, დაუთმობლობა, ის ქვადაქცე-
ვა — რამაც ამპარტახებელთა ოკეანეში მას
თავი, ანუ ერთგვარადობა შეანარჩუნებინა. ეს
იყო უმძაფრესი რეაქტია პიროვნებისა — აღ-
ძრული პიროვნულობის, ერთგვარდობის შე-
ნარჩუნების ჭაუტი წყურვილით: იმ ნაიდვარ-
ში, პიროვნების წაშლას რომ ისახავდა მიზ-
ნად.

და როგორ შეიძლება ისეც და ისეც არ გან-
ცვიფრდეს, მოწინებამ არ დაგამუნჯოს, როცა
გაიხსენებ, როდის იქმნებოდა ო. ჩხეიძის ნა-
წარმოებები! როცა გაიხსენებ, რომ ორმოცი-
ან წლებში იწერებოდა „ჩემი სოფლის ეტი-
ულები“ ანუ ივარქმნილი ქართლის სურათ-
ები. იმ დროს: როდესაც განახლებული სოფ-
ლის სოტბა-იდეება ევალებოდა მწერალს; რო-
დესაც ჭერ ისეც ჰაერში უღრიალებდა ცოტა
ხნის წინ ჩაგრიალბული აპოკალიპსური კვე-
რის (№.37) ექო, და კალოდან ჭერ არ ამშ-
რალიყო სისხლის რუბი, ჭერ არ გადაგვილი-
ყო! გაღეწილ სიცოცხლეთა ნაფლეთები, და-
გლეჯილი წიგნები, საქადალდეები, ფურცლები,
ფუნჯები, კალმები თუ წითელი მიხაკი...
როდესაც ზეცას სამუდამო ჩრდილად შერჩე-
ნოდა ქვეყნის თაფზე აღმართული უზარმაზარ-
ი ცელი, რომელიც კიდევ როდის და ვისკენ
დაიძვებოდა, არაფერ იცოდა, და ამ მოლოდინ-
ში გაქვავებულიყვენ სახეზე ხელბაფარბე-
ული (იქედან მოკიდებული — ჩვენი მუდმივი
შინაგანი პოზა — პოზა შიშისა) და ზნობად
თავდასაცავად ქვას ისროდნენ მეორისკენ,
მთასავით სახეზე ხელბაფარბეულისკენ; რო-
დესაც აქრძალულ ლტეფრისავით ჩურჩულდით
დადიოდა „ჩაყოს ხიზნების“ ჭვარცმული ავ-
ტორის უკანასკნელი სიტყვები, ჭაღთათა კით-
სვაზე მიგებული პასუხი, პასუხი განწირულე-
ბისა და გაუტებლულობის (ვიცნ არიან თქვენი
მოკავშირენი? — ჩემი მოკავშირენი არიან სე-
რვანტისი, ლოპე დე ვეგა...“) როდესაც ერთი
სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამართული ადა-
მიანთა სასაქლო რამდენიმე წლის შემდეგ ლა-
მის მთელ დედამიწაზე განივრცო... და ამ დროს
იჭდა ვოად და დაგუბებული ცრემლით და ოხვ-
რით, (რათა ხელი არ აუკანალებოდა) — მის-
ხალ-მისხალ აღუნსხავდა „რაც დღეს საქართ-
ველოსა ჭირნი მოადგეს...“

ო. ჩხეიძის შემოქმედება — ფორმა-შინა-
არსიანად — უპირისპირდება არა მხოლოდ
„იმ დროის“ ძალადობას (პიროვნებაზე), სუ-
ლიერობისაგან დაწრტილ იმის შებლონებასა
და ეტალონებს, არამედ გასაოცარი გამბედა-

ობით უპირატესობა უკველი დროს ნაჩა-
რე, უვეშორ, წულ-წყალა საქმიანობებში გა-
რთულ უფოს, ფხველო-მკითხველსა და ფხვე-
ლოცხოვრებას.

იგი გამოწვევაა — (დროის ნიაღვარში ამჩა-
ტებული სულსწრაფი მკითხველისა)

იგი სახინჯი ქვაა — (ჩვენი დასუსტებული
წერებლისა, ესთეტიკური ტკობის უნარისა)

და ბოლოს:

იგი რისია —

რადგან დიდი ხნით გადავიდა აღიარებას.
(ახე რომ არ იყო, განა საოცარი არ არის,
რომ აგრე უხვად წერილები რუსთაველის პრე-
მია არც ერთხელ არ შეჩერდა ჩვენი ლიტე-
რატურის ცოცხალ პატრიარქზე — 12 რომა-
ნისა და უამრავი მოთხრობა-ესხე ვეტორზე?)
თუმცა კი ეტე ლოგოკრა. აღბათ, ო. ჩხეიძის
დარი (სეთინახა და ოვაციებს გარიდებული)
პიროვნება თვით ამ პრემიის დაარსების წინა-
აღმდეგე იქნებოდა, სწორედ რუსთაველისა-
დმი მოწინააღმდეგე გამო. რადგან „სხვებს“ (ძირი-
თადად ცუდში რომ ვხაზავთ) ზომ არ მოსვ-
ლიდა აწრად, მაგალითად: მომეროსის, დანტეს,
შექსპირისა თუ გოეთეს პრემიების დაარსება?

„შამშის მამარეს მემდებელი ძნარქ,
არბორც მინდა...“

ო. ჩხეიძის სტილი ეს თამაშისეული, არ-
ტისტული სტილია, რომლის „თამაში“ იმით
ვლინდება, რომ ხასიათობრივად ცალკე გამო-
კვეთილი, უაღრესად ინდივიდუალური, თავი-
სებური, კოლორიტული მთხრობელი უველა
თავის უცნაურ პერსონაჟზე უფრო უცნაურად
იქცევა. იგი (როგორც მთხრობელი) ბავშვურ
სიანცე (თამაშ-შერჩენილი ბრძენი, ფხიზე-
ლი, მოუსყიდავი კაცია, ამავე დროს, უსაზ-
ღვროდ წრფელი და სათუთი, რომელსაც ჭერ
ერთი, ეს ქართლური დიდიქტი „აუჩემებია“
და ისე აუჩემებია, რომ მარტო თვითონ კი
არა, მისი უველა პერსონაჟიც ამ დიდიქტით
მეტყულებს: არა მარტო ქართველები ანდა
ქართლში დაბადებულები ან რადაცთე (ცალი
მშობლით მინც) ქართლს დაკავშირებულნი.
არა, არა, — ისინიც, სულ რომ არ ეხებიან სა-
ქართველოს ამ კუთხეს, ზოგი რომ თბილის-
ელია, ზოგი რომ მოსკოვში ბინადრობს, ზო-
გსაც კიდევ მთელი საფრანგეთი რომ მოუ-
ვლია. მინც ქართლურ კილო-კავზე დაპარა-
ობენ: დიდი და პატარა. ეს გახლავთ მწერ-
ური „თავნებობა“, „აზიარება“, გნებათ: სი-
ჩიუტე. საბოლოოდ კი — თამაში, იუმორი,
თავისუფლება, კლასიკურად „სწორი“ არტაბე-
ბის დაწვევა

ჰო, მაშასადამე, ჭერ ზომ ეს დიდიქტი „აუ-
ჩემებია“ და მერე კიდევ წარმარა გვიმეო-
რებს, გვიმეორებს ერთსა და იმავეს, დავიწუს-

ტებს და ათასჯერ განვიმარტავს (ძალიან შეუ-
სმენელ მსმენელს თუ გულისხმობს).

...და აღბათ თუ კულზე დაადგა ფეხი, სწო-
რედაც კულზედა, რო აღიმართა ისე შმაგადა,
დაისინია ისე მრისხანდა, და გაიწიქა, და
გაიგრიხა, კაცმა რომ თქვას, მოხდენილად,
ოღონდ მძინვარედა, ისე მძინვარედა და შე-
მზარავდა, მართლაც კულზე თუ დაადგა ფე-
ხი. კულზე არ დაადგა ფეხი გველსაო... კულ-
ზე არ დაადგა ფეხი, მოასწრებ თუ არა, მა-
შინვე თავი გაუქეპუო“ — (უხსენებელი)
ჭერ დალაზეებს წინადადებას, მერე დაშლის,
შეაბრუნ-შემობარუნებს, განავრცობს, და თვი-
თონვე „უჯირს“ — სათქმელს რომ აცდება:

„თუმცა რას ვყვები...“

აქ ჰო მთავარი ეს არც არის,
არა, ცხადია..“

თმას თითქოს თავიდანვე და პირდაპირ
შეუღებია ზოღმე, მერე შეწყვეტს, მიუვლ-
მოუვლის, ხანდახან თითქოს გლახა ჰრიაშვი-
ლსაც ეღარება, ვითომ ათადან-ბახადან იწყებ-
დეს, გადაუხვევ-გამოუხვევს, უკან დაბრუნ-
დება, დაუბრუნდება ვითომ შეწყვეტილი თემ-
სხ, საკუთარ ნათქვამს თვითონვე „შეწინააღ-
მდეგება“ ან უკან წაიღებს „წამოცდენილ“
სიტყვას, საკუთარ თავსაც „უსწორებს“ სტილს
და ა. შ. და ეს უველაფერი ქმნის საოცარი
იუმორით აღმედილი ეპიურ სანახობას
ფორმის ზეგის (დე-ფორმაციის, „რას“ მერე
„როგორ“-ის დაჩაგვრის მკაცრ უარყოფად
რომ წარმოჩნდება) მაგრამ არა მარტო ფორ-
მისას: ეს გადახვევ-გამოხვევანი და განმე-
ორებანი, მთხრობელის ეს „დაბნეულობა“ ეს-
თეტიკურ-ფორმალურის გარდა ძალზე ზუსტ
აზრობრივ მიზნებსაც ემსახურება და უაღრე-
სად ორგანული ნაწილია ნაწარმოების მთლიან-
ი სტრუქტურისა, ეპიური მატერიის ერთიანი
ორგანიზაციისა.

და მთელ ამ ზეგის ბრწყინვალე გირლიან-
დად ჩასწვინა დიდებული ქართული, რომე-
ლიც (როგორც დაგორებული ნამცეცი ზვავს
რომ მოიყოლებს, აი, ასე: ხშირად ერთსიტყ-
ვიანი წინადადებით დაწებული) ვეება ნაკა-
დად მიიწვირთება, იერებს რა გზადგაზა
მთელი ენის ზვეკსა და ბარაქას: რა ფრთხილ
თუ სხარტულა თქმებს, რა იდომებს, ანდა-
ზეებს და ობოლ მარგალიტებს რა სინტაქსუ-
რი და მორფოლოგიური თავისუფლებათა რა
სითამაშე: ჰო, აქ ენობრივ-სტილურ სივრცე-
ში ხდება არარსებული თავისუფლების კომ-
პენსაცია!

ეს მთხრობელი მკითხველსაც ხშირად ჩა-
რთავს ზოღმე თხრობის ძველ საქმეში, დემო-
კრატულად „თანხმებს“ მასთან, მაგალითად,
თუ სიადან დაიწყოს თხრობა ან როგორ და-
ამთავრონ, ამიტომ — „მე“-ს ხშირად ენაც-

ვლება „ჩვენ“ (ეპიური სჯარობა, და ჯერ კიდევ როდის).

„ახლა ეს დავიწყეთ და იქიდან დავიწყეთ, თუთას რომ შეეჩვია გიგოი...“

მიჩივია.

თუმცა არა, —

მანამდე სხვა ითქვას და ასე ითქვას...“

„ოღონდ აქ მაინც ისიც უნდა მეთქვა, თუ ერთ გარდაიქმნა“

ანთუ არც გარდაქმნილა, —

აღდგა, რაც იყო

დაუბრუნდა თავის თქვას...“

„და ისევ დავიწყო...“

თუმცა, სჯობიან თავიდან მოგვყევი“.

„აი, იმ სადამოდან, უკეთეს ერთი პატარა დავიდარაბის სადამოდან დავიწყეთ... დავიწყეთ და დავიწყეთ, ხარემ დავიწყეთ“

ესაც „ფიციტიკა“; საკუთარი „ხარვეჭების მხილება“.

—, მაინც გამოჩნდა, ამ გადარჩევნის ზედმეტობისა, აუცილებელიც გამოჩნდა — გამოჩნდა ორი სტუდენტი, რომ ვახსენებ და მიმოფიქრებ...“

და აქ კიდევ გაგულისება, გაფრთხილება და უიმედობა გამოსვების — მთხრობელისა შეთხვეულის მიმართ — ოღონდ იუმორით შემოსილი.

„...ხელი შეავლო და გადმოიქცია, — კაცმა ქალი, ანთუ იმან ისა, რაღა თქმა უნდა, მაინც შეგახსენებ, თუ არ შეგახსენო, ნურც გამიჩინებდი, არ უნდა ამდენი ნაცვალსახელო, ამდენი ქვემდებარე, არ ესაქირობე ქართულ ენასა, არც უნდა და ნურც გაზარმაცდები, ცოტა ვარაუდი მიაღვენე შენცა, აქაც ნუ დაგიტანს გავლენანი სხვათა და სხვათა, ნუ გაზარმაცდები, ნუ გაზარმაცდები...“

„...აჰა, ეს ერთი ამბავიც მომიხსენებია, გეტყუ სხვასაცა, გეტყვი ბერსა, თუ არაფერი წამომეწვია, თუ არ მიმუთხლა ბედმა, მე გეტყვი, შენ გაიგონებ, გაიგონებ და არას მომიგებ — ნუ მომიგებ, რა ბედენაა, მე ჩემი მოვალეობა დამკისრებია, ავდევენებოვარ ჩემს მოვალეობას, ავდევენებოვარ. ავულოვარ ერთგულად და როცა იქნება ვინმე გამიხდება მადლობელი, ირინე მაინც იქნება ჩემი მადლობელი, შვილების ამბავს რომ მივუტან მართლმთენილსა, კერასთან მართლმთენილსა, მიდარაქებულსა კერასთანა, ჰო, ირინე მაინც იქნება ჩემი მადლობელი და ილოცებს ჩემთვისა, ჩემთვისაც ილოცებს...“

ჰოდა, ვიწყებ ახალ ამბავსა...“

და ეს ირინე ზომ პერსონაჟია და ეს ზუმრობანარევი ნათქვამი ზომ არაპირდაპირ ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის სოფლის ტრაგიკულ

პერსპექტივაზე: რა თქმა უნდა, რომ შეილება სოფელს აღარ შერჩებიან და მათ ზუმრობას ასავალ-დასავალს მოხუცი დედების თვალთ ვეღარ მისწვდება — მხოლოდ მწერლის უკვლისმჩხრტყელი, უველგანსუფევი შერეა მოიძიებს და დაიმახსოვრებს.

ამ ტიპის მთხრობელს ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ გ. დოჩანაშვილის „ვატერპოლოს“ (ორმაგი მოთხრობის) — ორიოსტასიანი მთხრობელი ენათესავება — ოღონდ, ეს უკანასკნელი ქალაქელი, მანასადამე, უფრო ეგზალტირებულ-ექსტრემული მთხრობელია და მწერლური „თამაშის“ ერთი ასპექტი — შქითხველის ჩართვა წერის (თხრობის) პროცესში, მთხრობელის შერევა საკუთარ პერსონაჟებში, ერთი სიტყვით, ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟისა და მკითხველის დაახლოვება — ბოლომდე მიჰყავს.

ახლა კი მოვისმინოთ ერთი მშვენიერი მოთხრობის (გამოცდა“) ერთი ადგილი: სეტყვის დიოსტატური აღწერის შემდეგ (რითაც იგი ერთადერთ, განუმეორებელ სეტყვად, სეტყვების დედოფლად იქცევა) — მოთხრობილია უმცარევე გამოდარება: „მზე ავარვარდა ცაზე ისევე, ავარვარდა და დაჰკირა, დაჰკირა ისე ცხარელა, რომ ჩათუთქავდა, რაც რომ სეტყვამ რომ ვერ ჩარგვია, რომ ვერ წაღეკა რაც რომ სეტყვამა, შეტხრობდა, მაინც შეტხრობდა, გადაიტანდა ავდარასა უოველსა. გადაიტანდა ავდარასა უოველსა, რაღა თქმა უნდა, გადაუტანია როგორც რომ ბევრჯერა, ეს ისე ცხადია, ისე ნათელია, არც უნდა მეთქვა, ესეც ზედმეტია რაღა თქმა უნდა, მაგრამ დავფრთავ შიშითა იმისა, რომ არ დამწამონ გულგატეხილობა, უიმედობა რომ არ დამწამონ, თორემ ამბავი იქა თავდება: ცაზე ისევ რომ მზე ავარვარდა, — იქა თავდება“. ამ ნებიერი თამაშით ნათქვამ სიტყვებში, ამ ზუმრობაში ზომ მოპირებს „ის დრო“. პესიმიზმი მომაკვდინებელ ცოდვად რომ ითვლებოდა (ბოლო ოპტიმიზმი ზნითად ერთადერთ ღირსებად), ბურჟუაზიული ხრწნის სწრაფად ამოსაშანთ ბაცილად. როცა უოველი ნაწარმოების ფინალი, სცენაზე, ეკრანსა თუ წიგნში აფრიალებული დროშით (ურავის შემთხვევაში — თავმანდილოთ) ამ ამოშვალენ მშობი უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ როგორ დაძლეულია ის კომპარი იუმორით, როგორ დაქინებულ-გასალოდავებულია ამ შემმლაკრი ადამიანური სასუალებით და განა მართლ აქ, იმ ეპოქის პირველ დამეს (მაშინვე, იმ ეპოქაშივე), იუმორის გამაარავებელ პრიზმაში აქუცმაცება ო. ჩხეიძის ეპიური ჰოგარი, იუმორით უძლებდა მას, და მადლდებოდა მასზე, იუმო-



რით, სატივირის ზღვას რომ გადააჭარბოდა. (ეს გამაზნობელია სინამდვილისაგან — მისი მხატვრული ათვისების აუცილებელი წინამძღვარი — შეუძლებელი ხდებოდა ბევრი მწერლისთვის, რადგან ის სინამდვილე შეტისმეტად პიქტუში იყო, მეტიმეტად გაესრისა ადამიანის სული. ამიტომ იმ დროის შესახებ შექმნილ მამხილებელ ნაწარმოებთა დიდი უმეტესობა — მწერლისთვის შეუფერებელი ვალიზანებით, დვარლით, სუბიექტიზმითაა აღბეჭდილი, რაც მაუწყებელთა იმისა, რომ მწერალიც იმ დროის პროდუქტია, მხოლოდ მსხვერპლი და არა მასზე ამაღლებული, გამაზნობელი დამკვირვებელი არსება).

და ეპიური ნკადის მთელი ამ მიმოქცევა-მიმოხვრის მიზანი (მრავალი სხვა ესთეტიური მიზნის გარდა) ესეც უნდა იყოს; თან კარგად ამოკტიფროს, დაგვამახსოვროს ფორმის ბეულები, თანაც ნერვები შეგვიმოწმოს — აბა, გამოდგებით თუ არა მსმენელადო. და მერე, ვინც გემოს გაუგებს ამ დაგემოვნებულ, აუჩქარებულ, ლამის მარადისობას შერთულ თხრობას — თან გაიყოლებს კიდევ და მრავალ დაუვიწყარ სიხარულს მიაგებს.

აი, ამ მთხრობელის მოთხოვნა და ტემპი: „მაგრამ უკეთესია ნელ-ნელა გაჰყვეთ... ნელ-ნელა აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიო თუმცა — დახანებითაც სოფელი არავის მოუქამიო სოფელიც ეს არის და ეს გახლავთ სოფელი მინც ნელ-ნელა, ნელ-ნელა, გაჰყვეთ“.

ან: „არც არა საჩქაროა, არც არა საგვიანოა ამ დალოცვილ წუთისოფელში. არა. არ არის. დანარჩენი მონაგონია.“

და ჩვენც უნდა მიჰყვეთ მთხრობელის მცენებას; დავივიწყოთ ქალაქი (ფართიფურთის სიჩქარისა და დაბაბულოის ეპიკენტრი), ტელევიზორი, ტელეფონი, გასაკეცე-გამოსაკეცი უკველი საქმე, მედიტაციური ძალისხმევით გამოვითხოთ დროის ნიადვარს, უკველგვარ „ბორიასუ“, ძალიან მოვიკრიბოთ გულისსურვი, რათა შორიდან მოვლის, თემბითური (ძალიან ზუსტად გამიზნული) გადაბვეც-გადმოხვეცებისა და დაზუსტებების გავლით ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ, მაგალითად, თუ, „რად შეიჩვია ვიგოი თუთასა“.

საკმარისია, სიჩქარე შევიკადვს, რომ ვერაფერსაც ვერ გავიგებთ, რადგან იშვიათია ახეთი ჭიუტი ტექსტი, ტექსტი, რომელიც, საკმარისია ოდნავ აჩქარდეს, და არაფრით აღარ წაგაკითხებს თავს: უცებ დახვადება „ზედმეტი“ სიტუციები, და რაც უფრო იჩქარებ, მით უფრო ვეღარ წადგამ წინ ნაბიჯს: ტექსტი აიხურდ-დაიხურდება და თხრობის გულისშემადონებელ ხვიარებში გაიხლართები. მაგრამ თუ ნელა, გულისსურვიანად გაჰყვები, მიჰყვები, — სა-

მუდამოდ ამოკტიფრება შენს ხსოვნა-ცნობიერებაში ენის(თხრობის) ზურთომოქცევის სეტყვისა თუ გრივალის, გვალვისა თუ ვერბვის, დასაფლავებისა თუ გველის გასრიალების ჩუქურთმებიან-თაღებიანი, მონუმენტური სურათები, გაიგებ „ამბავსაც“ (იმას, თუ რა მოხდა), რომელიც ისეა ჩავვირისტებულ-განწავებული ფორმაში, რომ ერთი წამითაც არ რჩება შიშვლად.

დახა... და ქალაქის აწრიალებულ ყოფაში თითქოს სადღაც (სადღაც მთხრობელი და მსმენელი შეურიალან), ბუხარი ანთია, ზამთრის გრძელი საღამო ჩამოწოლილა, საღამო, განკუთვნილი თხრობა-სიმღერისათვის, (დრულიდებისა თუ ფილიდების თუ სხვა, უძველეს მთხრობელთა მარადიული საღამო). გარეთ ირგვლივ ქართლის სოფელ-მინდვრები განფენილა და, ღმერთო ჩემო, რა მკვიდრად, რა საგულდაგულოდ მოწყობილა გიზგაზა ცეცხლთან ჩვენი მთხრობელი, თვალეში ცეცხლის აღი და რაღაც ონავრული ნაპერწყლები რომ დაუბტის, ნაპერწყლები, რომელთაც ცრემლი მიუმალიათ, და ნება-ნება, სურათ-ხატოვნად, თამაშ-თამაშით გვიამბობს და გვიამბობს იგი ქართლის ჭირსა და ვარამს.

(გახსოვთ, როგორ უვებოდნენ ჩვენი პაქები და ბებიები? ჩვენი დარბაისელი, ტბილი, დინჯი მოხუცები? ჩვენი ბავშვობის ხმათა საცავში (უულაბაში თუ მუწუეშში) ხომ იმათი ხმაც, იმათი მბობაც გადაგვინახავს: ყვებოდნენ მხოლოდ მოცალეობის უამს: როცა საქმე გაკეთებული ეგულდებოდათ („ჩირი დაჩირული, თივა შეზიდული... შეშა დაჩენილი... ძროხა მოწველილი...“), ყვებოდნენ გულმოდგინდ და დინჯად: და მათი თხრობის გამადიდებელ შუშაში ხვდებოდა ამბის უველა წერილმანი, უველა დეტალი: უველაფერს მნიშვნელობა ჰქონდა; რადგან პატავს სცემდნენ სიტყვასაც, ნათქვამსაც, დროსაც (რომელსაც მბობაზე ხარკავდნენ) და ცხოვრების დეტალებსაც. ამიტომ იყო, რომ პატარა ამბავსაც დიდის ამბით, დიდ ამბად უვებოდნენ, და მე, მაგალითად, ისე მნიშვნელოვან, დაიდუმლოებით მოცულ, რეაგაზარ ამბად სამახსოვრად ჩემი ბებიის უველა ნამბობი, თუნდაც ის თუ: როგორ იყიდა ყმწვილქალობაში „წითელი მესტები და ქიშმირის თავშალი ბოდბისხვეის იარმურკაშე“ — და ის ნამბობი „ბოდბისხვეის იარმურკაც“ — ისეთი ფერიაული და საიდუმლოებით მოცული დარჩა ჩემთვის, — ვერარა ლაიციციგისა თუ სხვა მსოფლიო ბაზრობანი ვერ უწევენ მეტოქეობას: ჩემში. და რამდენი მართლა გრანდიოზული ინფორმაციის შეცეცევა ამბავი ჩნდება და ქრება, და მაშინვე აშრება ზოლად მეხსიერებდას—იმიტომ რომ პაიპარად მოგვაწოდებს. აი, იმ მოხუცების, მამა-პაპათა თხრობის ხმას მიცოცხლებს მე ეს მთხრობელი).

და ერთი თვისხეცა არ უნდა გამოგვეპაროს ამ საამბოხლად „მოცილილი“, მზობის წერას აუოლილი კაცისა: ქართლელი გლეხის სახეკი მიუღია ამ მთხრობელს (ენისა და თემის წყალობით) მაგრამ მასში დახვეწილი, ფილოსოფურად მოაზროვნე ინტელიგენტი ჩამალულა, ინტელიგენტი — ნაწიარები მსოფლიო კულტურას, პროფესიული მცოდნე ევროპული ლიტერატურისა, გაშინაურებულ-დაახლოებულ მსოფლიოს ძავენ და ძავენ დიდ-დიდ მწერლებთან — ჩამალულა, ცდილობს არსად გამოამყდვენს თავი, მაგრამ იგი იგრძნობა ყველგან, ყველა ფრაზაში, ყველა დეტალის აღწერაში: იგრძნობა თავისი გემოვნებით, მოაზროვნე ადამიანისათვის დამახასიათებელი დისტანციით, მრავალწანაგოვანი ხედვებით და სიღრმით. მხოლოდ ხანდახან ამუშავნებს თავს პირდაპირ, როცა მთხრობელთა საერთო სამშოს წევრებს, თავის ევროპულ კოლეგებს ვახსენებს ზოლმე, მაგალითად, საკუთარი თავის.

რეგორც მთხრობელის დასახასიათებლად. „... არ გეგონოს ჩემი შეთხზული, მე არასა ვთხზავ, არც არა შემთხზავს, არც არას შევთხზავ. ოსკარ უაილდს დამიკრება ეგონა ეს ხელგონისა, — ეგონა და ეგონოს თუ გგონებოდა, მაინც არა, მე არაფერს ვთხზავ...“

ან საკუთარი პოზიციის გამოსარკვევად: „დასაწყისი ამ ამბავისა ანტიდოქტორია: ბოკაჩოს რო ჩავარდნოდა ხელში, ანაფორიან მღვდელს გამოიყვანდა და უფრო სასიერო იქნებოდა, მაგრამ ჩვენში სასულიერო პირი უფრო ტრაგიკული გახლდა, ვიდრე კომიკური, ყოველთვის, და თვით სულხან-საბაძე მორიდებია მათთან გახუმრებასა!“ (რა უსტი, რა ძვირფასი უწრია! — რა ხშირად გამოდგება გაფრთხილებად, სხვათა მიზანძვის სენი, უცხოური სტერეოტიპები რომ ვრცელდებოდა ზოლმე).“

და ა. შ. და კიდევ უფრო საოცარი ის არის, რომ ჩვენი მწერალი იგივე მთხრობელად რჩება მაშინაც, როცა პროფესიონალ ლიტერატორად წარმოგვიდგება — იგივე ენით (ქართლური დიალექტით), იგივე ტემპით, იგივე ხატოვნებით, იუმორით და სიღარბისლით ჩხრეკს იგი ქართულ თუ ინგლისური ლიტერატურის პრობლემებს. და არსად გაისმის მის წერილებში დღეს ასე გახატონებული ე. წ. „მეცნიერული“, სინამდვილეში კი მშრალი და უსულგულო, პრეტენზიული და მკვდარდმოხილი მსჭელობა, რომლის არც ერთი სიტყვა სულს არ ხვდებოდა და გულის ძარღვს არ ეჩვიებოდა, რომელიც მთელი სტრუქტურალისტურ-ლინგვისტურ-მითოლოგიური კვლევისა და დახვეწებული ტერმინოლოგიის მიუხედავად, ვერ გაგრძნობინებს, თუ რა ადამიანი ფეჭელა მწერალში, რა სტანჭავდა და რისკენ იხსრავებოდა. ჩვენი მთხრობელი კი ისეთი ენით გვესაუბრება ჭო-

ისხა თუ სტაინბეგე — რომ წარმოიქმნება უაღრესად კოლორიტული, უაღრესად მხატვრულ-თხრობითი, უნიკალური ესეისტიკა. ცხადია, ახლა ამ უნარის რამდენიმე კუთხე-კუნჭულსაც კი ვერ მიმოვივლი, მაგრამ არ შეიძლება არ ვახსენოთ ბრწყინვალე ესეი „ღვინია გადაიჩნება“. ეს გახლავთ დიდებული პაროდია ნაწარმოების ინტერპრეტაციის ჩვენში მომძღვრებულ, ახირებულ ხერხებზე, როცა ელემენტარულ საგანში თუ პერსონაჟის საქციელში აუცილებლად არქიტეპები, მითები, მითოსური სქემები, ოიდიპოსისა თუ სხვათა და სხვათა კომპლექსები უნდათ ამოიკითხონ, რათა წაიფიქროს, გადაფურცლული თუ უფრო-კრული სქემები, აღმოჩენები, ცნებები რამენაირად მოარგონ ნაწარმოებს, ხშირად ისეთ უწყინარსა და უბრალოს, როგორცაა „ღვინია გადაიჩნება“ თუ „მაგდანას ლურჯა“. „...მართალია, ღვინია მოწითალო ხარია, მაგრამ არ უნდა დაგვევიწყდეს ტაბუშაციის ზემოთ აღნიშნული მითოლოგება და აგრეთვე ზემოთ აღნიშნული თეთრისა და წითლის იგივეობა, რაც აფრიკელი ნდემბუს ტომის კოსმოგონიაშია შენიშნული. ამასთან, ღვინია უსათუოდ ნიკორა იქნებოდა, მთვარის ნიშანი აქდებოდა შუბლზე. ამრგად, საქმე გვაქვს შთანთქმისა და განახლების სამშაგობლად, რაც საკრალურ სამებას უკავშირდება და უფრო ძველია, ვიდრე ქრისტიანული სამება და ერთარსება. უნიკალური ცეცხლია („ოკოლავებული შეშა“), ნაპრალი — ქურა, ღვინია ნიშა ხარია, ზოლო ვერის დაღმართი მთვარის დვთაების უშველესი სამსხვერპლო, სადაც უპირველესი ქურუმები აღავლენდნენ ლოცვა-ვედრებას მშველესი საბოლოო ჩამოყალიბებისა და ადამიანთათვის ხელსაყრელი სასიცოცხლო პირობების შესაქმნელად... ვერის დაღმართი კიდევ შეგვხვდება, ანთუ უფრო სწორედ, იქ აღმართი შეგვხვდება, ვერის აღმართი... და საშუალება მოგვეცემა გოლგოთასთან ასოცირებისა. ასეთი ძალღონა, ასეთი დემიურგია ასოციაციები...“

„ღვინია გადაიჩნება“ — უსუსტები დაკვირვებების, განწოგადებებისა და გაფრთხილებების შემცველი პარადიული ესეი — ქართული მხატვრული ესეისტიკის ბრწყინვალე ნიმუშია და, საერთოდ, ო. ჩხეიძის წერილების კრებული სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს ახალგაზრდა თუ უფროსი თაობის ლიტერატორთათვის.

„გზავნი ბავშვლი და გზავნი ბავშვლი გულნისტივილითი გავსე სველია შესწავლილი“.

ახლა კი მთხრობელის ამ უაღრესად მკვეთრი, იუმორითა და სილამაზით ადვსილი, ხვაკრიული ენის დინებაში გამოვარჩიოთ მზა (ტონი, რეგისტრი) გლოვისა, მოთქმისა, ამა დინების მდიდრულ გვირისტებში ოსტატურად

რომ გაჭირებულა. ქართლის მრავალ კირს დასტარის ეს ხმა, მრავალ უკეთურობასა და ბედწავსობას. რამდენიმეჯე შევჩერდეთ მხოლოდ.

აი, ქირთაგან უქირესი: ახალი დროის პრაქტიკას აბუჩად აუგდია ქართლის წარსული; წარსულის მთელი შემკვიდრება რუდიმენტად გამოუსხადებია, მისი სულიერი ფასილობანი გაუფასურებია და საქმე იმგვარად წასულა, რომ „ახალი ცხოვრების მშენებლობა“ უფრო მეტად აპარტახებს ქართლს, ვიდრე ძველი დროის დამპყრობელთა შემოსევანი. აი, რას ამბობს ქართლის ეკლესია-საყდრების მიმართ უახლესი „მშენებელი“, ტექნიკური-ბრძოლუვის ერთ-ერთი მებრძოლი, ლეონ ბადრაიამშვილი, რომელიც დიდ ქარხანას აგებს შუა-ქართლში. „წარსულის წარსულმა იცოდეს... ეგ დაფხავებული, ხვსიანი კედლებიც ჩამოიშლება და წარსულიც მოთავდება. რაც მალე მოთავდება, მით უკეთესი... ხელს ვვიშლის“ (წ. 1950).

აი, ასე ჩაისახა და გამოიჩეკა მტერთაგან ლამის უმტერესი, — ახალი დროის ბარბაროსი — სულიერებისაგან დაცლილი ტექნიკრატტი, ე. წ. „ტექნიკური პროგრესის“ სახიფათო წარმონაღვერელი — რომელსაც ყოველი ახალი ტექნიკური ნაგებობა „აღთქმული ქვეყნისაკენ“ წინგადადგმული ნაბიჯი ჰგონია, ხოლო საქართველოს მთელი წარსული — თავის ეკლესიაფრესებებიანად, ნაკალქარ-სამარხებიანად — სასწრაფოდ ჩამოსაშორებელი ძონძ-მანძი. ეს homo faber-ი ანგერის ყველაფერს (ბუნებისა და კულტურას), რათა „აშენოს“. მაგრამ თუ მაშინდელი ასეთი ტექნიკოს-მშენებელი სუბიექტურად სატიოსანი, უბრალოდ: შემცდარი აღმანიანი, რომელიც გულმტრუვილოდაა დარწმუნებული ტექნიკური ინდუსტრიალიზაციის უფლებობასა და ყოვლისშემძობობაში, — მისი თანდათანობითი ფერისცვალების (დეცემპაგამინფარების) შედეგად წარმოქმნილი შთამომავალი, დღევანდელ მშენებელთა ერთი დიდი ნაწილი ამ „წმინდა გულმტრუვილობისაგან“ უმეტესად დაცლილია: თუმცა უკვე წინა აქვს დახვავებული უამრავი საბედისწერო შეცდომა, თავის დროზე ყუენით აღმართული და მალევე გაუქმებული ნაგებობანი, ცოცხალი ბუნება რომ შეიწიროს და სხვაც საშიში პროცესები გამოიწვიოს წყლის, მიწის თუ ჰაერის შემადგენლობაში — ისე შეუპყროს გამდიდრებისა და გამორჩენის (სხვათა) დამალუველ სურვილს, რომ მხოლოდ ამ მიზნით ამოშავებს გიგანტურ პროექტებს, ფარისევლურად არწმუნებს საზოგადოებას (თუ საზოგადოებას ვინმემ რაიმე ჰკითხა) მის სასიცოცხლო აუცილებლობაში და თვალსაც არ დაახამამებს, ისე გადათხრგადაჭევავს საყდარ-სამარხებს, სასმელი წყლის საცავენსა და სავარგულებს თავისი „იღვაფიქსი“ განსახორციელებლად. ასე: ერთხელ

ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური ტიპი ბარბაროსი: შემგინებელ-მაოხრებელი მამაკაცი პაპათა სალოცავისა და ბუნების ადგილად აღარ ქრება, იგი უდიდესი ტრაქტიროით შლის ფრთებს და მისი ნაბარტია ის შემწარავი გულგრილობა თუ აგრესია სულიერ დირებულებათა მიმართ, რაც ზოგჯერ ახლგაზრდების მხრიდან შეგვეხვება ხოლმე. დიანადვილად რომ ქრებოდეს, განა სხვისი თქმა შევწინააღმდეგა უნდა სტირდებოდეს განერაღს, ოფიცირსა თუ ჯარისკაცს — უძველესი კულტურის ძეგლებს ყურის ძირში ნუ უფთქვით ქურვებს თუ ნაბუმებს, იმ ძეგლებს, რომელთაც სახელმწიფო იცავსო? განა სხვისი თქმა უნდა სტირდებოდეს მშენებელს, ჯვრის ეკლესიის ქვეშ გვირაბის გაყვანა ან კავკასიონის ქედის განგრევა ეშმაკიულს თუ მოუვა თავიო? ზო. დავუბრუნდეთ იმ ქარხანას, ლეონ ბადრაიამშვილი რომ აშენებს შუაგულ ქართლში. აი, რა გაფრთხილება აძლევდა მას მწერალი სხვა პერსონაჟის პირით, რომ ქარხანა დააცარილებდა სოფელს, მთელი ქართლის მოსახლეობაც კი ვერ აავსებდა ამ ქარხნებს, ხოლო უცხო მუშაბელის შემოსახლება დემოგრაფიული კრიზისის საწინდარი იქნებოდა:

„არ დაიჭერო. იმდენი არა ვართ, ყველაფერი რომ გავწვდეთ, ქარხნებს რომ მოამრავლებ, უცებ უნდა ამოავსო მუშაბელითა, უცებ რომ ვერ ამოავსებ, სხვები უნდა მოიწვიო, ან გამოვიგზავნიან, არ შეგაწუხებენ... მოვლენ ერთბაშად, მოვლენ სხვა წინთა, სხვა ენითა, გადაგვარებაც აქედან იწყება.“ (წელი 1950-51).

ხოლო საფეიქრო კომბინატის აგების შედეგმაც არ დაახანა: „იქით ნახირი ჩამოერეკათ ტინისხიდელებსა, რიყეზედა ჩამოერეკათ, მინდორი რომ საფეიქრო კომბინატს ჩაბეღუჯა, ფლატებზე კვრინსდა ებლოტბოდენ მწუხმსები, ბადი თუ ვენახიც რომ კომბინატს ამოედლო ფეხქვეშა და ზოლებში აღარ ამოდიოდა ბადი თუ ვენახი, აღარც მინდორი ამოდიოდა“

და რკინის ზრიალ-გრიალში თუ ავდარ-თავსხმაში ირყევინა და ყანალებენ ისედაც იავარქმნილი, დაუცველი თუ ფორმალურად დაცული ტაძრები და ეკლესიები, ჩვენი ერთვნილი რაობისა და თვითდგენის ღიბო-საძირკველნი, დღებულები ქმნილებანი ამაღლებული, სულიერი დრო-ჟამისა. და ყური მიუგადეთ სხვაფრცე კვიმატი მთხრობელის მოთქმის...ვეება ქალაქსა, უფლისციხესა-მეტეხს, ჰა, რა ეშველება უფლისციხესა, ამ ბუმბერაზ, საარაკო ქმნილებასა, რა დაიფარავს დაუდევარ სტიქიონთაგან, რა იხსნის უმოწყალო განადგურებისაგან, ნუთუ თუნუქის პატარა ნაჭიტი, რაწედაც, კი ბიჭობა გეტქმით თუ ამოკითხავთ — აღრიცხულია, დასცულია, გაფუქება აკრძალულიაო. ნუთუ ეს იხსნის, ნუთუ აღუესიათ ისეთი ძალითა, ქარსა და ნაშქრსა, წვიმასა და ნიაღვარს გადაეღობოს? ამდენი მო-



ვაღობა რად დაუცირებიათ ამ მოუწვეული თუნუქსათვის, გეგმ უზარალო თუნუქი კი არა ძლიერ ცხოველია?"

მიდიან, მიინაცრებიან ძეგლები: ქვაში ნაკვეთი თუ ქვაზე ნახატი სული ხალხისა; გამჭარალა, მიწავლულა ხალხური ხელოვნება-ხელოსნობაც...

აი, ძველი მემბრანე გვამცნობს, რომ ოდესღაც „აუკავებულ ქალაქ“ ჰალდეში თურმე მეჭურჭლეობა-მეთუნეობით სახელგანთქმული ხელოვანნი მოსახლეობდნენ. დღეს კი, უსმინეთ მთხრობელის ჩივილს:

„ჰალდეველები უკვე დიდი ხანია აღარ იყვნენ „საკურთველნი ხელოვანნი“. ჰალდე უკვე სოფელი იყო დიდი ხანია, მეურნეობითაც ცხოვრობდა, მეჭურჭლეობა შემორჩენილია როგორც ადრით, მოძველებული, თავიდან მოსაშორებელი მამა-პაპური ჩვეულებით. და შიშის შორეს კიდევაცა — ჰალდე სახელეთა დიდი მიმდევარი გახლდათ, „რიაადგილმრეწვი“ დღეს რო ბევრს ნიშნავდა, ვიდრე „ჰალდეური ქურები“. სიახლეს შო ნულარ იყისთავთ, სულმთლად ახალთ-ახალი იყო და უთხრეს თუ არა, მეჭურჭლეობას „რიაადგილმრეწვი“ მოუფლეს, სიქვენ მინდვრებს მიჰხედეთო, იმ ნაშოლარა მეჭურჭლეობამაც ჩარხები მიჰყარეს, ფესტამლები გაიძვრეს და მიწაღრში გალავდნენ. მერე გრეიდერმა მიმოსწორა ნაქურალები და აბა როგორღა ჰპოვებთ ნიშნავალსა „აუკავებულნი ქალაქისა“, უნდა ენდოთ მემბრანეს... უნდა ენდოთ, სად გავიწილა უნდობლობა, უარყოფა უველაფრისა...“

და „რიაადგილმრეწვის“ ხელში ჩავარდნილი მეჭურჭლეობა უფემოვან, უღაზათო, უფორმო მასიურ პროდუქციად ქცეულა. და იქ დასაქმებული ადამიანები — ხალხის-სიხარული-ინიციატივაქალაქი, რაღაც მექანიკურ არსებებად, ცხოვრების ახალი წესი თუ წესდება ჰკლავს და ახშობს ინდივიდუალურ იმპულსს, თავისუფლებას, ტალანტს. „საერთო შრომისა და საერთო საკუთრების“ სახელით სდევნის და სისხლს უშრობს მეჭურჭლეობა სახელგანთქმული გვარის უანასკენელ შთამომავალს — გიგო გუნდიაშვილს, რომელიც არც მამაპასიხეულ, მოჩუქურთმებულ დარბაზს აუქმებს და არც ხელობას. ძველ ოსტატთა რუდუნებით ძერწავს და ასახსნ თიხის ქურჭელს და მისი მკურნალი იჩრენს თავს. მაგრამ რაკი ამისთანა პატიოსანი შრომით ცხოვრება უპატიოსნებად, ღამის მავნებლობად გამოცხადებულა, გიგო გუნდიაშვილიც ბოლოს სასამართლოს კარზე აღმოჩნდება.

მომხდარა უველაზე შემზარავი: უკველგვარი ინიციატივის, თავისუფალი მოქმედების ჩაკვლას ადამიანში, ფაქტიურად გაუუქმებია მამაკაცის პიროვნება, წაუთრთვეია მისთვის არსებითი ფუნქცია, ბრმა, მექანიკურ აღმსრულებლად უქცევია იგი; ამას კი არასრულფასოვნების განცდით, გაღრწანებით, მერყეობით, უღლა-

ლობით აღუვხია მამაკაცი: ასე არიან გიგო გუნდიაშვილი, ნიკალა გუნდიაშვილები, დევნილი დილოტანი, ასეა რეზო. შემოქმედებითი ნიჭით აღდობული მშენებელი, რომლის ნიჭიც არავის სჭირდება, და შემოქმედებითი ხასიათისაგან დაცლილი, მექანიკური, პასიური, ბრმა შრომა ფიტავს, აბრუებს, „აოგუნებს“, შინაგან საყრდენსა და მორალურ საწომებს ურღვევს ახალგაზრდას კაცს — რომელმაც ომის საშინელებებს გაუძლო და არ დარღვეულა. აი, ამ ტრაგიკული აზრის შემცველია რომანის ბოლო ფრაზა: „მატარებელი მიჰქროდა, მიჰქროდა და მიჰყავდა გაოგნებული კაცი“.

ცრუ, უღმობელ კანონებს ცრუ, უღმობელ აღმსრულებელთა მთელი არმია ჩამოუყალიბებია: აი, ახალი დროის (ერო-ეროთ) იეზუიტი, ბიუროკრატიულ-უაზრო სისტემის ერთ-ერთი ქანქაი (ისეთივე კოლორიტულ-პაპულარული, როგორც ცრუ მღვდელი თუ ბერი შუასაუკუნეებისა და აღორძინების ლიტურატურაში):

„წელიწადი ერთი იყო და ფინაგენტი ათი, პო, ათი მიანიც, თუ მეტი არა, გიგოს სათვალავი აღარა ჰქონდა. რამდენი მიეჭრა, რამდენმა მიანგრა კარი და ბანი, ერთს ვააცილებდა, მეორე ჩაუხებტბოდა ეზოში, მეორეს დაემადებოდა, მესამის თვალთავან გადაიურებოდა ნაქურჭლეები და ასე წიდავ, გარჩევაც დაეკარგა გიგოსა, აღარ იცოდა, რომელი იყო, ვინ მიდიოდა, ვინ მოდიოდა... ან როგორც სცოდნოდა... საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს... ერთნაირნი გახლდნენ, ერთნაირნი, ერთნაირნი“, დაუკვირდეთ ამ განმეორებას: „ერთნაირნი გახლდნენ, ერთნაირნი, ერთნაირნი...“ ეს უკვე უილაქობა და სიმწარეა იმის გამო, რომ მოსახლენი უკვე მომხდარა: იქ, სადაც იშვობა პიროვნება — წარმოშობა ერთნაირობა, უფერულ-უღიმიანო მასიურობა: ცრუ, არასწორი კანონის გავლენით ადამიანებიც ისე დაუმსგავსნენ ერთმანეთს, როგორც „რიაადგილმრეწვის“ ნაწარმი. ეს სიტუცია უკვე სივალაღეა, ტონი და სტილი ვაიბისა.

საქმემან შენმან გამოგაჩინოსო და აი, უაზრო წეს-კანონთა შედეგი: „კოლმეურნეობის იმედი? — ჰალდეში არ იცოდნენ ეს იმედი არც მოუხავლიანობის, არც დიდი მოსავლიანობის წლებში“... „და საქმე იქამდე მისულიყო, უველამ გაქცევაზე რომ ეჭირა თვალთ, თვალთ ეჭირა და გარბოდა კიდევაც, გარბოდა, გარბოდა უკანმოუხედავად. ვეღარა სჭრიდა ვერაფერი, აკატსაუბრები და აკატსმწიარები ვეღარა სჭრიდა“.

შეუძლებელია ამ წერილში უველაფრის ჩამოთვლა, რაზედაც ჰგოდებს გოდებაზე ზემოთხსენილბაფარებული ჩვენი მთხრობელი, უველაფრის ჩამოთვლა, რაც მიდის, მიიწავლება და ნაფლეთ-ნაფლეთ მიჰქვს მისი — დამნაშავეისა და დამნაშავეობისა, აღმსრულებლისა და მომგონებლის გული: აი, თუნდაც მებოთ სიცოცხლენი მსწრაფებული ვერცხი, ერთადერთი ნამღვი-



ღობა მთელს იმ არემარემში — უყველას ეყოლე-
ბოდა თავისი გამხსენებელი, ყველასა, მხოლოდ
ვერხვს აღარა, იმა ტლუ ვერხვსა. მე გავისხე-
ნე და გაგახსენეთ... არა, არ გახსენდება? გა-
იხსენეთ, გონებას ძალა დატანეთ და გაიხსე-
ნეთ, თუ ჩაგივლიათ აგარის მინდორზე, თუ არ
ჩაგივლიათ, წარმოისახეთ. დე, იმ ვერხვის მო-
გონებაც იყოს...”

ამ შემოქმედების მთავარი პერსონაჟი თა-
ვად ქართლია: თავისი მდინარეებითა და მთა-
გორაკებით, ტყეებითა და ხოლმეუნიებით, ხე-
ხილ-ბაღებითა და ნათეს-ნათიბებით, ქართლი
— ისტორიის ფართო კონტექსტში დანახული
— უძველესი, უმდიდრესი, სიღრმულთი ალვ-
ისილი ცოცხალი არსება, რომელსაც როგორც
ხელისგულზე ისე შეიძლება უმკითხაო წარ-
სული და მომავალი — ტაძარ-საუღარათა და
ციხე-კოშკთა, ველ-მინდვრებისა და მდინარეთა
მიხედვით: ადამიანთა ბედისწერის ხაზები
ბუნების ხაზებს ჩაგვირისებება, ერთმანეთს
გადახლართვია, ერთმანეთი განუსაზღვრავთ,
დაუღამლიათ. და როცა მდინარე იწრისებება,
იალად-მინდვრები კლებულობს, რიყეები იმა-
ტებს, ბაღში ახალი, უცხო ჭია-მატლი ჩნდება,
ძველ ძეგლებს განუწყვეტლივ ხრავს დრო და
ადამიანი, — როცა ატენი „ზავოტად“ ქცეულა,
რუს-კვერნაქი — „ტექსტილად“ (თუ „ტექსი-
ლად“) — ეს ადამიანის ზნე და ფერისცვალება
არეკლილია ბუნების სახეზე, სულსა და გულ-
ზე, და იგი — დამღუპველი ანარქული თავის
მხრივ ადამიანთა განუხრელი, სულიერ-ფიზი-
კური ცვლილების მიზეზი ხდება. ასე ერთ
კორიანშიაღ ქცეული ქართლი და ქართლ-
ლები, ქვეყანა და ადამიანები გახლავთ ჩვენს
მთხრობელის უცვლელი თემა.

და, შეუძლებელია ყველაფრის ჩამოთვლა,
რასაც მთხრობელის ცრემლი, ისტყუა და გუ-
ლი გაჟყოლია. მაგრამ როგორ არ გავისხენით
„ნისლა?“ ან „ზღაპარი?“ — როგორ არ გავის-
ხენით უენო, უტყუი, ალალი არსება, ადამიანი-
ვით ისიც უღმობელ კანონთა მსხვერპლი რომ
გამხდარა? რაც კაცთა მოდგმს ცხოველის წი-
ნით აქვს ჩადენილი დანაშაული, მარტო ის
ეუფოა წარსაწყმედად. არადა — უცხოველოდ
ხომ არც მოიაზრება ადამიანური უოფიერება,
ხომ გარენის დღიდან დაიმეგობრა მეტყველმა,
გონიერმა არსებამ ცხენი თუ ხარი, გამოჰყო
ველურ, თავისუფალ ნადირთა ტრამს, მოიშინაუ-
რა და აავსო თავისი დარდით და სამძიმინოთ.
შინაური ცხოველი ხომ გაცილებით უფრო და-
რდინი, გამგები და საწყალია, ვიდრე გარეუ-
ლი. რადგან ვინ იცის, რამდენი საუკუნეა მო-
ჰყვება ადამიანის ტანჯულ უოფას, მისი უფროდ
და ამოუცნობლად გამზიარებელი. მათი უერთ-
მანეთობა უკვე შეუძლებელია — მეტისმეტად
ბევრი თაობის მანძილზე იტვირთებოდა გენე-
ტიკური გამოცდილება, გნებავთ კოდი — რომ
ახლა ცხოველს დაშორებული ადამიანი უსაშ-

ველო (უფრო ხშირად: ქვეცნობიერმა) ნოსტალ-
გამ არ შეაქირვოს. მხოლოდ პრაქტიკული
ჭიროება როდი განსაზღვრავდა ამ ურთიერთ-
კავშირს — არამედ უფრო პირველადი, უფრო
ამოუცნობი რალაც ერთიანობა (ვინ იცის, რა-
და აქვთ სული ჩველ ბავშვებსაც კი ესოდენ
მძაფრი რეაქცია ცხოველის დანახვაზე) — ისე,
რომ ადამიანი თავისი სულის კონტურს ვეღარც
კი შემოწერს, თავისი რაობის დადგენას ვეღარც
კი მოახერხებს — ცხოველთან მიმართების, ამ
ორიენტაციის გარეშე. არის რალაც არსიხული
და, ამდენად, სიღრმული, ვერშესაცნობი ურ-
თიერთსაჭიროება ადამიანსა და ცხოველს
შორის.

აი, ამდგავარი, მაგრამ გაცილებით უფრო
ღრმა, უფრო გამოუთქმელ ფაქრთა აღმძვრელია
ნოსტრობა კი არა — გაქვავებული ცრემლი —
ცხოველზე, ცხოველის წინაშე ჩადენილ დანა-
შაულზე შექმნილ ზღვა ლიტერატურაში ობო-
ლი მარგალიტით გამოჩენილი — „ნისლა“.
იგი დასტურის ძალით, ბარბაროსულად გათი-
შულ კაცსა და ცხენს, იმ კაცსა და იმ ცხენს
(უგონიერეს „ქართულ ცხენს“), რომელნიც თა-
ვანთი სიყვარულით ასახიერებენ ადამიანსა
და ცხოველის უღრმეს, ღვთის გასახარ კავშირს.
იგი წარმოგიდგენს კიდევ ერთ ასპექტს, ერთ
სურათს უარსა (ანუ უკანონო) კანონთა მოქ-
მედებისა: აქეთ ნაღვლით გასენილი კაცები,
ატირებულნი, ხელმეგაწვდილი ბავშვები და
ქალები, იქით — აზმუვლებული, საყვარელ პა-
ტრონს მოწყვეტილი, უცხოობასა და გაურჩე-
ველობაში ჩაყარული პარაუტყვები, თავიანთი
უენი დარდით და ვარაუთ:

„უღელი კამეჩი ხო ჩაგაბარეთო,
ჩაგვაბარეო,
ყევარი ხარი ჰო ჩაგაბარეთო,
ჩაგვაბარეო,
გუთანი ჰო ჩაგაბარეთო თავისივე ღვედ-
აკურითა

უღლითა და ტაბაკითო,
ჩაგვაბარეო,
ერთი სანძე და ერთი საბარე ურემი ჰო
ჩაგაბარეთო,

ჩაგვაბარეო,
ერთი ცხენიც ხო ჩაგაბარეთო, მაყე ცხენიო,
ჩაგვაბარეო.

ეს ერთი კვიცი დამიტკვია, შემარჩინეთო.“
არ შეარჩინეს. არა და არა. შეუჩნდნენ, გა-
დაეკიდნენ, სული გაუმწარეს მუქართ, შეგო-
ნებით, ქაღილით, დამუნათებით, მხილებით
(გაიხსენეთ ამ მოთხრობის დიდებული დასაწ-
უსი)... იმდენი ქენს, იმდენი ქენს, მაინც მო-
წერიენს პატრონს ხელი (ან ეს ხელის მოწერა
რალა ცინოზნია, ხო მაინც წაიყვანდნენ?) და
ნისლამ დაინახა რა ეს — გადაიქუზა ეწოდან.
გაჰკვეთა სივრცე, წავიდა, გადაიკარგა — გან-
წირული. ნალდატკვი, თავზარდაცემული. და
მადლიერება გიჩნდება მწერლის მიმართ, იმ

უსაშველობაში მინც ღირსეული სიკვდილი რომ არ გუნა ბუნების ამ დიდებულ ქმნილებას, უზაკველ, უზადო, სრულყოფილ არსებას და კოლექტივის დაბეჩაებულ საქონელში არ ამოხადა სული, — თავისუფალი სიკვდილი არ გუნა — სიკვდილი დარღთი ბოლომოდებული პატრონის საფლავზე: აქ ვერ გაძლო კაცმა ნისლას გარეშე; რადგან პატრონი იყო და ვერ უპატრონა რადგან ნისლა ერთადერთი სიღამაზე, ერთადერთი ლაღი, სრულყოფილი, თავისუფალი და დაუდრეკელი არსება იყო იმ ქვეყნარღი დადრეკილ ყოფაში და ასეთი უნდოდა ჰყოლოდა პატრონს: აქი ხელურეშში თვითონ შეება, ხოლო ნისლა წინ მიუძღოდა ან უკან მისდევდა, აქი აგრე სასაცილოდ გაიხადა თავი, მოდოდ კი მისი სულის ნუკუა და ნეტარება — ნისლა არ წვერთმიათ, რაც კოლექტივისთვის, კანონისთვის კერძო „გამწევი ძალა“ იყო და სხვა არაფერი. და ჩაინავლა, და ჩაიფრფლა კაცი, დარღმა შექამა: უზარმაზარი დარღია ამ მოთხრობაში, რადაც სხვანაირი ტანჯვა, რომელმაც ლამის წაღეკოს ამ პატარა მოთხრობის სივრცე, თემატიური ჭებირები — დარღი ადამიანისა ყველა იმ არსებისა და კავშირის გამო, რაც უკვე დაჰყარა, რასაც დაჰყარავს; იმ არსებებისა და იმ კავშირების გამო, ურომლისოდაც ის კარგავს საკუთარ თავს, ადვილს სამყაროში და აძლენად: კვდება.

— „ნისლააააააა ნისლააააა...“

მისძახოდა და მისძახოდა, ანთუ წახარა ქველი და შრომობდა; არ აბუყებოდა სოფლის ქოთქოსა, გამოსთიშავდა დარღი, იყო იმათში და არ იყო იმათში, იყო ზოფელში და არ იყო სოფელში, იყო მარტოდ, იყო თავისთვის თავისი დარღითა, ნადვლითა თავისითა და თუ უნდა რომ ყოფილიყო, დარღისთვის უნდოდა რომ ყოფილიყო...“

და იფრე აზრი და ტყვილი გრძელდება „ზღაპარში“. თუ რა ღრმად განიცდის მწერალი ადამიანისა და პირუტყვის ურთიერთკავშირს, ურთიერთისუყარულს — სოფლისა და სიცოცხლის ერთ-ერთ საყრდენ-სამორეკელს — ჩანს იქიდან, რომ წმინდა ბოროტება, თავად ბოროტი, „სიავედ“ რომ უხმობს მოხრობელ-მეზღარე (ადამიანის სახემიღეჭულ სიავედ), — ისეც კაცისა და პირუტყვის გამოიშველ ძალად დაუბატავს. აქ უკვე ნისლასვით მშვენიერი ხარები უმსხვერპლია იმ ბოროტებას.

„იყო და არა იყო რა, ღვთის უთქვით რა იქნებოდა, იყო ერთი კეთილი კაცი. ჰყავდა ერთი უღელი ხარი. ავის თვალთ არ ინახებოდა. ისეთი ღამაზე იყვნენ, ისეთი დაუზარელნი, გამგონენი ისეთნი, ყველა დახანტროდა იმათ პატრონსა. ისეც თავს ევლებოდა. თვითონ დარჩებოდა მშვიერი და იმათ არ მოაშვედა. თვითონ მოიწყვეტდა ქანცსა და იმათ არ მიიყვანდა ქანცის მიწყვეტამდისა... შიშობდა, ფრჩხილი არ წამოსტყვიებოდათ... დაუდიოდა

გაწერიალებულინი. ქედამართული დაუდიოდა...“
ეს პატრონი ისეთი კეთილი იყო, რომ დავარდნილს დაინახავდა — მიეშველებოდა. აუწყევდა, ჩაუბამდა ან შეენაცვლებოდა და აქი ხარებიც პატრონსა ჰგავდნენ: „ზუოდნენ, დადგებოდნენ, რომ წამოეწყოდნენ დავარდნილ ურემსა. ჩვენ შეგვაბითო. ადამიანითა ქეუა ჰქოდათ, კეთილი ადამიანითა, როგორც რომ პატრონი ჰყავდათ... რქები ჰქონდათ საწოლებივითა. მიღე ანათებდა რქები. გზას ნიწნათებდა და დიდიდა ურემი“ რა უბრალოა ყველაფერი, რა უბრალო და რა მშვენიერი: იყო კეთილი. გუავდეს შენი ხარები, ცხენი, ძროხა, შენი მიწა და სარჩო-საბადებელი. არავისგან არა გინდოდეს, გიყვარდეს ყველაფერი, რაც შენს ანბან-რასა ან წუთისოფელში, რაც შენი საპატრონი და მოსაველია: ადამიანი, მიწა, შენენარე, ცხოველი, თავს დახტრიალებდე. რა უბრალოა, და: უკვე რა ხანია, მხოლოდ ზღაპრად წარმოსადგენი. როდის, როდის იყო ეს საყვარელი ყოფაცხოვრება?

და დაეშვირდეთ: ყველაფერი რომ ადამიანს — ანუ პატრონს ბამავს? კაცი თუ ღვთის ხატად, ყველაფერი დანარჩენი კაცის ხატადა თითქოს შემქნილი: ხარებიც ისეთი კეთილები და სხვათა ქომავ-შემწენი იყვნენ, როგორც მათი პატრონი, განამბობს მოხრობელი. ყველაფერი ადამიანის ანაკელია: კეთილად და მეგობრულადა განწყობილი ადამიანი სამყაროს მიმართ, სამყაროც კეთილი და მეგობრულია, აგრესიულია ადამიანი, და — ცხოველიც, ამინდიც (სამყაროც) განსიყვარული ხდება მის მიმართ. ყველაფერი მას იმეორებს, ირეკლავს, სასუბოებს. აქ კი ამ ზღაპარში — სიკეთითა და სიყვარულით გასხვივოსნებულა სოფელი. ესეც ზღაპრულია, და ის ბოროტებაც მხოლოდ ზღაპრადა წარმოსადგენი — რაც იქა ხდება: მოვიდა თოფ-მომარტებელი „სიავე“ — მოვიდა მამინ, როცა პატრონს ჩაქინდა კოფოვე — ხარები წარსტაცა ჩაქინებულს და თავად ურემში დააგდო, რადგან: „ემეკამა ძილი არ იცის, სიღალემ კი სიხეიწროვი“. და ჩაირეგავა და გაპარტახდა ნათეს-ნარგავი და ზემუან მადლა ფერდობზე მუხანარე ჭაჭვით მიმბული, დამშვეული ხარები. სიავე კი თოფით დარაჯობს. აქეთ პატრონი იფრფლდება და ინავლება. იქით პირუტყვეს უწყდებათ ქანცი. ისეთი უაზრო, ისეთი თვით-მიწურია ის ბოროტება — ყველაზენაირ საზღაურზე უარს ეუბნება სოფელს. ვერ შეძლებთ, ვერ გამოისყიდითო, და ჩაინაცრნენ: იქით — ხარები, ჩვენი საყვარელი წიქარები თუ ნიკორები, აქეთ — პატრონი. და ის საწოლებივით რქებიდა დარჩა იმ მშვენიერი, სათნო პირუტყვისისგან. იმ რქებისგან დამწავებული წარმტაცი ყანწები დიდ აღფრთოვანებას იწვევს ქართულ სურფა-ტაბლებზე, ხელიდან-ხელში გადადის და საქართველოს სადღეგრძელო ისმება იმით. აი, ასე მოულოდნელად გასრულებულ



„ზღაპარზე“, მის აზრსა და ფინალზე ზღაპარშივე მსჯელობენ გერონტი ქიქოძე, ლეო ქიჩელი და თავად მწერალი. რაღაცას ბოლომდე არ ამბობო, ეუბნებიან მწერალს. მრავლისმეტყველი კომპოზიციაა.

ხოლო მოთხრობაში „უხსენებელი“ — ადამიანს და ქვეწარმავალს შორის ჩაბუდებული — არა ისტორიულ-ეპოქალური, არამედ თითქოს პრეისტორიულ-ონტოლოგიური მტრობაა წარმოდგენილი. წარმოდგენილია დიდებულიად, დიდოსტატურად. მაგრამ მთელ ამ მტრობას, ამ თავზარდაძემე შიშს რასაც ეწოდო მობინადრე გველის გამოჩენა იწვევს ხოლმე — „ავარდა, წამოავლო თავი, დაისისინა, შეანათა თვალბერძნისა... გადამწინა. გაიწმორა მწეხვდა. შემოიქნია, შემოიგრიბა. დაახვდა მიწასა. დაახვდა და გასლიყინდა, გაცურდა. მიეცა ბალახსა/ — თითქოს ისევ ადამიანისავე განწყობა, რაღაც ნაკლოვანება უდევს საფუძვლად. („უხსენებელი თვით-შეშია. წყეული თავსმოხვეული შეში ტერორი“) ეგებ შენ თუ არ შეიძულებ, შენ თუ არ ამოიჩემებ, ის წყეული თუ უხსენებელი არც არაფერს გერჩის? სულ პატარა ბავშვს არც ერთ ცხოველის არ ეშინია, რადგან უცოდველია. ერთი კია — რომ იმ ეწო-კარის ნამდვილ ბატონ-პატრონს გველი უფრო ჰგავს, ვიდრე შეშით დადამბლავებული ადამიანი: ერთი კია — რომ იმ გველზე ნამდვილი, იმ გველის გასრიალ-გამოსრიალებასზე ნამდვილი დიდებული და მნიშვნელოვანი, არც არაფერი უნდა ზღბოდეს იმ გმირის ცხოვრებაში: ისეთი ნამდვილი, რომ მთლად არუეცს და გადაფანებს ქალაქსა და სოფელს შორის გახირულ, ყველაფერში ცოტ-ცოტად და ნახევრად მოწაწილედ, ჩვენი მსგავსი პერსონაჟის მთელ ცხოვრებას. არადა, ციცილიზაციის პირშეო ალბათ, მყარად იყო დარწმუნებული თავისი პიროვნების ღირებულებასა და სიმტკიცეში: გველთან შეხვედრამდე; ალბათ, ცოდნა-განათლებითა და ბუნების დაძლევის მტკიცე რწმენით აღპურვილს — ფეხქვეშ ჩაეფშვნა საურდენი — ბუნების ელემენტარულ, პირველად ძალასთან პირისპირ რომ დარჩა. შეიძლება, აქ წარმოდგენილ უძველეს მტრობაში, კაცო და გველი რომ გაუთიშია თუ გადაუჭაჭვია — კაცის პირველადი, უძველესი რაღაც ნაკლოვანება, რაღაც დანაშაული იკითხება... მაგრამ განა არა სჭობს, ისევ მოთხრობა წავიკითხოთ?

და აი, უკვე მივალწი იმ კონდიციას, როცა უსაშუალოდ ზედმეტი მეჩვენება ჩემი ნათქ-

ვამი უოველი სიტუვა, უხერხულად ზედმეტი როცა მეძალება სურვილი, რაც შეიძლება ვრცელი ციტატები ამოვწერო ტექსტიდან, და ბოლოს: სულაც ერთგული გადამწერივით გადმოვწერო მთელი მოთხრობა, როცა მწერალმა მხოლოდ სიჩუმე, და მთხრობელისთვის ასე გარინდებით ყურის მიგდება... იგი კი ჰყვება — ნამდვილი მემბტანე უკანასკნელი დროის ქარდლისა, სოფლისა, დამთვლელ-აღმწეხველი მისი ქრილობებისა. რად არ უგდებენ ყურს ამგვარ მემბტანეთა წინათგარძნობას, წინასწარ-ცოდნას და წინასწარხედვას? რამდენი რამ იცოდა და თქვა ამ მემბტანემ ბევრად აღრე, ვიდრე ურეში გადამბრუნდებოდა? რად არ ენდობიან? ენდოთ და მწერა მიაპყრით აპოკალიპსურ სურათს, ო. ჩხეიძის რომანში („მთაგრეხილი“) რომ იშლება: რამდენა, იქცევა დიადი კავკასიონი. ნუთუ ასე ფუჭად ჩავლილა სინათლის მომბტანი გმირის წამება, რომ ზნელ ძალთა თარეშ ბუნების ეს გრანდიოზული პირშეო უმსხვერპლია? „უნდა ენდოთ მემბტანესა, სად გაგონილა უნდობლობა. უარყოფა ყველაფრისა“.

„...მე ბიჭპვი, შენ ბაიბრნება, ბაიბრნება და პარს მომიგება“.

გახსოვთ ეს სიტყვები, თავის მსმენელს რომ მიმართავდა ჩვენი მოხრობელი?

„... ნუ მომიგება, რა ბედენაა, მე ჩემი მოვლლობა დამკისრებია, ავდეგნებვიარ ჩემს მოვალეობასა, ავდეგნებვიარ, ავყოლივარ ერთგულდა და როცა იქნება, ვინმე მაინც გამიხდება მადლობელი... ირინე მაინც იქნება ჩემი მადლობელი და ილოცებს ჩემთვის...“ მხოლოდ თავისი პერსონაჟის ანბარა დარჩენილა მწერალი? პერსონაჟის მადლიერებისა და ლოცვის იმედად? — რა იშვიათი, უკიდურესი გამოხატულებაა შემოქმედის მარტოსულობისა! გან: „როცა იქნება“ შთამომავლობა კი არ გაუხდება მადლიერი, ვინც მის მატანეს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებად აღიქვამს, ალბათ, ახალ მატანედ საქართველოს სოფლისა, და, უარეს შემთხვევაში, იტყვის: თუ სული, ძეგლები და ბუნება ვერ გადაურჩენიათ, სიმართლე ხომ აღუბეჭდათ, სიმართლე, თუ როგორ დაიქცა ეს უკვლავურიო?

ო. ჩხეიძის უნიკალური სტილი ბედისწერულად აძლიერებს მისი როგორც მწერლის მარტოსულობას: ამავე დროს იგი დამცველი ზღუდე-გალვანია საკუთარი მარტოობისა და ჯარის, მაიი საკრალურობის ირგვლივ.

პაღლობა ვუთსრატი!..

ზაურ ბოლქვაძემსთან სიყმაწვილის სა-
უყუთესო წლები და, შეიძლება ითქვას, მთელი
ცხოვრება მკაცვრირებს. მუდამ სასიამოვნო მო-
საგონრად დამრჩება ის დრო, სტუდენტობაში
რომ მივაკითხავდი და საათობით ვლაპარაკობ-
დით ჩვენს საუვარულ პოეტებზე. თვითონაც
ჩვენი ოქახის მუდამ საუვარელი სტუმარი იყო.
არასოდეს დამავიწყდება ის კირისუფლობა
და მხარდაჭერა, უნივერსიტეტის მისაღებ გა-
მოცდებზე რომ მიწევდა: გამოცდაზე მიმავალს
უოველნაირად მამხნეებდა და გამოსულსაც
იმედიანი ღიმილით მხვდებოდა: არ შეშინდე,
უველაფერი კარგად დამთავრდება!

„იირველი სხივის“ მეზუთე წიგნს უველაზე
მეტი მზრუნველობით ზაური დასტრიალებდა
და მე და ჩემს მეგობრებსაც მთელი ძალით
გვბამდა ამ საქმიანობაში. ერთმანეთს ხალისით
უუკითხავდით ლექსებს და სათქმელსაც გულახ-
დილად ვეუბნებოდით. ვინმე ახლობელთან თუ
იყო დაპატიებულო, უსათუოდ თან წამიყვან-
და, ბევრ ვინმესთან დამახლოვდა.

ზაურის ნაწერს იმთავითვე დიდი უშუალობა
და მძაფრი ტემპერამენტი, ვაუკაცური იერი გა-
მოარჩევდა. არცთუ იშვიათად მის ხმაში ნაღ-
ვლიანი, კეთილი სხივით გამოთბარი ტონი ის-
მოდა.

ერთ გამოჩენილ ინგლისელ პოეტზე ამბობენ:
მისი პოემები და ლექსები ორი სრულიად სხვა-
დასხვა პოეტის დაწერადაც ჰგავსო. დაახლოებით
ასეთი განცდა დამუფლებია ზაურის მოზრდი-
ლი და მისივე პატარა ლექსების კითხვისას; მე
უფრო მცირე ზომის ლირიკულ ჩანახატებსა
და მინიატურებს ვამჩვენებ მის ნაწერებში,
თუმცა დიდი ლექსებიდანაც (განსაკუთრებით
— პატრიოტულ თემებზე რომ არის დაწერილი)
ხშირად გამოანათებს ხოლმე ქვეშარტი პოე-
ზიის დეთიური ცეცხლი.

პოეტის შივრას არ შორდება მშობელი კარ-
მიდამო, წამით გაკრთება ზელჯობანი წინაპარი
— ერთა დინებითა და ბედუკუდმართობით და-
უძლურებული ბერიკაცი, გარდუვალის მოლო-
დინში აკანკალებული რომ ეფიცება ადს. რა
დიდი ადამიანური სევდაა დატეული ამ შეფარ-
ვის ნათქვამში:

ბოლოს, დაღლილი ამდენი წოლით.
უკანასკნელად მიუჯდა ბუჩარს.

უკანასკნელად მოვიდა თოვლი,
მოვიდა თოვლი და შეგავწყუბა!..

გავიხსენოთ, შეილისთვის თავშენიერული დე-
დის რა ახლობელი და დაუვიწყარი სახე დახატა
ზაურ ბოლქვაძემ თავის საუცხოო ციკლში —
„დემბ, ზამთარი დბ შუაცეცხლი“. თითქოს
მთვარის შუქზე იმანდება აცრემლებული ქა-
ლარა ქალი, ხელის ცეცებით რომ ეხება შვი-
ლის ცარიელ საწოლს და მოლოდინით გული
გადაღვია. მას ახლა ძველი ამაგის მოგონე-
ბადა ასულდგმულებს:

შენ აღვებოდი შულამისას,
ჩემი ცრემლებით სახეზანანი!..
შენ აღვებოდი შულამისას.
რომ დაგვებუა მისთვის საბანი!..

სხვა ლექსში კალმის ერთი მოსმით არაჩვეუ-
ლებრივად შთაშებუდვი გარემოა გაცოცხლე-
ბული. ასე მოლოდ პოეტის დედა შეიძლება
დაიხსოს:

საქოს მოლოდინი ისევ აწვალებს.
ზიხარ ბუბართან და ველარ გათბი!..
ოდში სუნი-დგას ნიორწყალის
და მოწყუნაა დასაკლავ ქათმის..

რომელ ნამდვილ შემოქმედს არ გაუშართავს
ბრძოლა წარმავლობასთან. ვინ არ შეუძრავს
დაუძლეველ სურვილს — წერტილდაუსმელად
იარსებოს და იტრიალოს სიცოცხლის მარადი-
ულ წრეში. ამის გამო დასცდება ბაგეს დამბა-
დებლის გასაგონად წარმოთქმული მღელვარე
ლოცვა:

რომელ ბალახად ამომიყვან
მიწიდან, ნეტავ?
სანარადისოდ შემეართებ
რანაირ ფერთან? —
ცისა თუ მიწის?!
რომელ ბალახად ამომიყვან
მიწიდან, ნეტავ?!

მიწის სიუხვე და სუვარული აგრძობინებს
მას ქალის თავბრულდამხვევ ხილამაზებს; ამ დროს
იწყება შიარის ლალი ნავარდი, სუნთქვას ამო-
ყოლებული სიმღერა, რასაც ვერასოდეს შეეღე-
ვა ქართული ლექსი:

მკერდს მოგსკლომი კახეთის
შენ კენახ-ხილიანობა!..
აქამდე რად არ ამხელდა
მენახშირისა ქალობას?!



შველივით შემოფეთებულ ამავე არსებას კეთილმოხურნე ღიმილით შესთხოვს მისი ეშის მაქებაარ:

ღამწვი და ღამანახშირე,
ხელობით მამაშენისა!..

ბევრი ასეთი მოხდენილი და გულწრფელი ადგილის ნახვა შეიძლება მის წიგნებში. ეს მართალი ხმა და შთაგონების უღალატო ნიჭი ათქმევინებს პოეტს:

გარდა მზისა და გარდა სინათლისა,
მე კიდევ მინათებს რალაც!..

გარდა მიწიერი ხმისა,
კიდევ ჩამჩურჩულებს რალაც!..

პოეზიამ იცის შემთხვევები, როცა ოთხ სტრიქონს ადამიანის მთელი სიცოცხლე და მიწიერ ვენებათა უკიდურესი სიმძაფრე დაუტყვია. ერთი ასეთი ბედნიერი შემთხვევა ზაურ ბოლქვაძის მღელვარე შთაგონებამაც მოიხელთა და საშუღამოდ დაატყვევა — მკვრივ საღებულო ფორმად ჩამოახსხა. სხვადასხვა საკრებულოში ზშირად მომისმენია ეს ოთხი სტრიქონი და მის წარმომტქმელს ზოგჯერ ავტორის ვინაობა არც სცოდნია. ბედნიერებაა, როცა ხალხი ასე აიტაცებს და თითქმის გაითავისებს შენს ნათქვამს. პირადმა სატიკვარმა — ძვირფასი ადამიანის დაკარგვამ, მიწის პატარა ბორცვის აუტანელმა მღუმარებამ რომ დაგაცდენინა:

გადაუარა ბალახმა
საფლავს — სიცოცხლის წერტილს!..
შენ ჩემთვის როგორ არა ხარ? —
მე აღარა ვარ შენთვის!..

ხალხის წარმოდგენაში ახალახებული საფლავი მიუხაფრობისა და დავიწყების სიმბოლოა და პოეზიაც სხვა არაფერია თუ არა დავიწყებასთან მოუდრეკავი, შეტურიგებელი, ასფალტიდან ამოწვერილი ბალახისავე სიჭიუტესთან დასადარი ბრძოლა. ჩვენს მიერ მოხმობილი მინი-ატორიაც ამაშივე გვაჭერებს და მხნეობას გვმატებს. აქ ერთადერთი მეტაფორა ფიგურირებს: „საფლავი — სიცოცხლის წერტილი“ და უველოფერი ამ წერტილის გადაღახვა თუნდაც წამიერად გაცოცხლება ნათლით მოსილი პიროვ-

ნებისა, ვისაც ვერ გათოშვია პოეტის მწუხარე ფიქრი. მტანჯველია ეს ცალმხრივი კავშირი მუნჯი დიალოგი და ამიტომაც ასე მწარეა ბოლო ორ სტრიქონში ჩაგუბებული სინანული:

შენ ჩემთვის როგორ არა ხარ? —
მე აღარა ვარ შენთვის!

საოცარია ამ სევდიანად დანაჩივლების ორმაგობა, მისი ამორბუნებული სარჩული; საფლავში მწოლხაც რომ შესძლებოდა ენის დძვრა, მისი ბაგეებიც წუსტად ამასვე აღმოიკოდა. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით — გრძნობის უშუალობა და ხისდავე ღირიკაში უკველგვარ სამკაულს აღემატება.

იგი ლაღი სულის კაცია. ნამდვილი ბუნების შვილი; დროებით, წარმავალს არ ებღაუბება. ზოგჯერ ნერვების მოთოკვაც უჭირს, იოლად იღებს გადაწყვეტილებას, ორპოფობა არ უყვარს და ამიტომაც შეხდლო ასე სხარტად, ხელმარჯვედ ნატყორცნი ქამანდის მოქნილობით ეთქვა:

მე პოეტი ვარ — მიწა ვარ. ცა ვარ!..
მე პოეტი ვარ — სივრცე ვარ, ღრო ვარ!..
მომენატრება სიკვდილი — წავალ!..
მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!..

ცოტა მინახავს ჩემი ნაცნობების წრეში პიროვნებამ, სხვისი დაწერილით იხეთი გულწრფელი აღტაცება შეეძლოს, როგორც ზაურს შეუძლია შური და განურჩევლობა მის გულს არ ეკარება! აი, ერთი მაგალითი იმისა, თუ რა გუნებაზე დაუყენებია იგი ახლობელი ადამიანის სტრიქონებს:

გმადლობთ, მეგობრის ლექსო.
თვალი რომ ამიკრემლე,
გული რომ დავიწყნარე,
სული რომ დამისვენე!..
რომ გამახსენე ჩემი
სახლი, სოფელი, ეზო!..
რომ შემეყვარე თავი,
გმადლობთ, მეგობრის ლექსო!

ჩვენი მადლობა ვუთხრათ ზაურ ბოლქვაძეს თავისი კაცური კაცობის, უზომო სიკეთისა და მადლიანი ლექსის გამო!



„ასპინძას პრაქლა ვნახა...“

ასპინძა სასტუმროს ნიშნავდა. აქედან მივიდეთ მასპინძელი. ასპინძა არაერთი იყო საქართველოში, მაგრამ ადგილის სახელად შემოგვჩნა ერთგან. ასპინძა ისტორიული სახელია, იგი 888 წლის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება პირველად. მე-8 საუკუნის ბოლოსთვის სამცხე და, საერთოდ, სამხრეთ საქართველო დიდი ბრძოლების სარბიელია: „ხოლო აღარნასე მეფე, ძე დავით მოკლულისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიჰყვა მის თანა შეწყენად გურგენ კურაპალატი, რომელი უწინარეს ამის აღარნასე მეფისა. კურაპალატი იყო, და შვილნი მისნი, და მათ თანა სომეხნი და ყვეს ბრძოლა და ომი დიდძალი მტკუარსა ზედა, და შეეწია აღმერთი მცირეთა ამათ აღარნასეს ექრძთა და იძლივნეს ნასრი, და აფხაზნი, და ბაყთარი მთავარი ოვსი, და მეოტ იქმნეს; და შეიპურეს ნასრ და მოკლეს კეპსა შინა სამცხისასა, სოფელსა რომელსა მყოფებინ ასპინძა, მსოფინიკონსა რჴ და ბარ დაუშთა შვილი, და აღიკოცა საქინებელი მისი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 1955 წ., გვ. 262).

„ქართლის ცხოვრების“ ამ ადგილს გულისხმობდა ივ. ჯავახიშვილი, როდესაც წერდა, რომ ასპინძა სამცხეში უოფლოა (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1988 წ., გვ. 56).

ასპინძა, როგორც ჩანს, სამცხის ზევზე მდებარეობდა. რომელია ეს სამცხის ზევი? ასპინძა ოდითგანვე იქ იგულისხმება, სადაც ციხე დგას დღესაც. „ომი დიდძალი მტკუარსა ზედა“ უნდა გამართულიყო, ალბათ, ოქტე, სადაც დიდი ზნის შემდეგ ერეკლე გადაიხდის ბრძოლას. მტკვრის პირიდან გაქცეულ ნასრას დღევანდელი ოთის წულის ნაპირებში, რომელსაც ვახუშტი „ასპინძის ქვეს“ უწოდებს, მისწვდებიან და მოკლავენ. ასე შემოდიან ასპინძა ისტორიაში 888 წელს.

ასპინძა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. ზვირად გამხდარა ბრძოლის ასპირეში, რადგან აქ მტკვარი შედარებით მდორედ მოდის. ახრია-ვარძიდან მოყოლებული არტანუჯის მტკვარზე და ახალქალაქ-დღვივის წყლის ქვემოთ მთლად ვიწროვბია, დაქანებით მოდის მტკვარი. ასპინძასთან იშლება მთებით მოკული გარემო. მტკვრის მარცხენა ნაპირზე კავაველი, ხოლო მარჯვენა ნაპირზე — კოტორაულები, დღეს რომ ერკოტის უბანია და დიდი პა-

ლა მდინარის გაყოლებით, ბრძოლის გაშლის საშუალებას იძლევა. ამ ველს ასპინძის ციხე დასტკერის თავს აღმოსავლეთიდან, ხოლო დასავლეთიდან — ქვემო ვარნეთის ციხე. მტკვრის გაღმა-გამოღმა ველები ხილით იყო შეერთებული. ამ ხილსაც თავისებური სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. რა არ უნახავს ასპინძას, ვინ არ უნახავს!

ერთი ბრძოლა გიორგი სააკაძემაც მოიგო ასპინძასთან. უორჩიბაშმა გააგზავნა უიზილბაშები. „მისრულთა უიზილბაშთა გარემოიცვეს ასპინძა. მაშინ მოურავი იყო ნადირობასა და მუნიდამ იხილა ასპინძა მოცული უიზილბაშითა, მოეტევა მცირელითა კაცითა, ეყუთა და აოტნა უიზილბაშნი და მსწყუდელა იგინი...“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1978 წ., გვ. 433).

შაჰ თამაზმა მოაოხრა ასპინძა: „ხოლო ვითარცა ესმა შაჰ-თამაზს, განიხრა ფრიად და წარმოემართა სპითა ურიცხვთა სათაბაგოსა ზედა; მიესწრა ყუენი შაჰ-თამაზს... ვარძია თმოგვი, და ვანის ქუაბი, და აწყუერი, ასპინძა, ვარნეთი და სრულიად სამცხის ციხეები აღილო“ (ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ. გვ. 500).

მე-16 საუკუნის ბოლოს ოფიციალურად გაფორმდა ახალი, ოსმალური დარაიონება. „შეიქმნა გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლის მიხედვით ასპინძა ცალკე რაიონის ცენტრი იყო. იგი შედიოდა ახალციხის ლივანში. ასპინძის ციხეს ჰქონდა თავისი რაბათი, სადაც ცხოვრობდა კიდევაც ძირითადი მოსახლეობა. ე. ი. მოსახლეობა მთლიანად ციხის გარშემო ემკვიდრა. დანარჩენი ფართობი, რომელსაც დღევანდელი დასახლება მოიცავს, სავარაუდოებს ეკავა. დღევანდელი ტაშლის წულის (ვახუშტის მიხედვით — კობტის ზევი) ნაპირებს ხმების შანძობი ერქვა. სამამულლო ომში დაღუპულთა ობელისკის შემოგარენს შინდის მზიბულს ეძახდნენ. ზღვრებზე შენიღ ხარობდა, ვაკეზე კი უანები ეთესა.

ასპინძის თავში აგარის ზევი რომ ჩამოივსებოდა, ბაღები იწყებოდა, წყალიც ტბორდებოდა და შანშახმამი ერქვა. უანები იყო, აგრეთვე ოთის წულის მარჯვენა ნაპირზეც, ჰანჯახებს ვაღმა, იქ, სადაც დღეს მდორეობის ფერმაა, მიწა ირდევოდა ზვირად, ამიტომ ფრ-



ტორიების ეძახდნენ. პიტხში ერქვა დღევანდელი წიხვილის ზედა ტერიტორიებს, ვიდრე თანამედროვე სატყეოს ყორამდე. აქ ძირითადად ახალშენი ბალები უოფილა. ასევე შიდაირი იყო ასპინძა ვენახით.

ოსმალებმა ასპინძას შეაწირეს გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, მუხუნოზე, ოსპზე, სელზე, ფუტყარზე, ხილზე, იალაღზე, საქონელზე და წიხვილზე (ს. ჭიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, 1941 წ., გვ. 181).

სამწუხაროა, რომ მეურნეობის ბევრი დარგი დღეს უკვე გამქრალა ასპინძაში.

ცხოვრობდნენ მოქალაქეები რაბათში. ისინი ქართველები იყვნენ ოდითგანვე, ცხოვრობდნენ ადვრდონდენ არსებობისათვის. ებრძოდნენ მომხდურს, ამაგრებდნენ ციხეს, იხდიდნენ გადასახადს, მისტიროდნენ დეკარგულ თავისუფლებასა და ენას, მაშინ შეიქმნა ამონავენესი:

სადა ხარ ნეტა რუსთაველო შოთა,
ხელიდან მიღის ასპინძა, ოთა.

აი, მე-16 საუკუნის ასპინძელი მოქალაქენი, მხოლოდ ისინი, ვინც ოჯახის უფროსები იყვნენ: გურაზა, აბულა, მურადა, ზურაბ, არსლან, ლაშქარა, ვარძელ, ბადურა, ზარხოშ, მირიან, მამუკა, ამროსა, აბრამ, პავლია, მაწყურელი, ირება, იორდანი, ია, დოვლათიარ, ყუზანა, აბა, მირველ, ნურალი, უშიკა, რამაზა, გრიგოლ, უანდუ და სხვანი (ს. ჭიქია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 180-181).

დიდი ხნით მოსწყდა ასპინძა დედა-სამშობლოს. სულ იდგა მესხეთის დაბრუნების საკითხი. ქართველთა ბევრი მეფის ნატვრა მესხეთის გამოხსნა იყო. ერთი ასეთი ნატვრა კინდამ ახლა ერეკლეს დროს. რა იცოდა ერეკლემ, რომ მოუვრად მოსული ტოტლებენი იმდენ თავსატეხს გაუჩინდა, აწყურიდან გაბრუნდებოდა, ჩაიბრძოლებდა ქართლს და თბილისს, ერეკლეს ტახტს დაემუქრებოდა. ტოტლებენის ლაღატი რომ არა, 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებას შეიძლება დიდი შედეგები მოჰყოლოდა.

აწყურიდან მოკლე გზა, რომელიც ერეკლეს ქარმა გადაიარა ასპინძამდე, ხალხმა მარშალის ბზამ მონათლა და დღესაც ასე ჰქვია. ამ სახელის დაბადების თარიღი ვიცით. ასევე თარიღიანია მარშალის ნახშილბარი, მასაც 1770 წელი უწის თარიღად. ხიდი აქ, მტკვარზე, დიდი ხნით ადრე იყო, სხვას რომ თავი დავანებოთ, ვახუშტი წერდა: „ამის შესართავთან არს კიდი მტკუარსა ზედა“. ხალხმა მაინც ერეკლესი დაარქვა ხილს, თავისი საყვარელი გმირის სახელი.

ერეკლეს ვფაცოხა ასპინძის ბრძოლაში მესხებმა საღებქსოდ, სასიმიდროდ გაიხადეს. ერეკლესთან, ასპინძის ბრძოლასთან დაკავშირებული ლექსები და გადმოცემები თითქმის საუკუნის წინათ ჩაიწერა ალ. ხაბანაშვილმა (ალ.

ხაბანაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ცნობარი, შემდგენელი ვ. გურგენიძე, 1988 წ., გვ. 85).

შენ ერეკლე, ომიანო,
ცენ-ლამან უნაგრანო,
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ჰყრიანო,
ყვავი, ყორანი ლეშსა სჯამს,
კაკაკენი თვალბეს სთბრიანო“.¹

ერეკლე ვფაცოხასთან ერთად ლამაზიც უფილა:

ამ ერეკლემა არ დასთმო თავისი მუცლის ჩხვერაო,
აღვა, აყარა ლაშქარი, წამოვა ნელა-ნელაო,
ასრე ჩამოვა ხერთვისსა, თვარეც არ არის, ბნელაო.

ხანუმებმა გადმოხედეს, ტურფათ დაუწყეს ცქერაო.
დღეში სამჭერ ვილოცადით, ღმერთმა არ დაგვიჭერაო,
ვაიმე თუ დავგიმძვირდეს სარაუდიდან ცქერაო.

ფადიშას შემოუთვლია, ერეკლე რა კაციოა?!

რო მოგახსენო, ბატონო, პატარა ყმაველიაო.

გული უღვია სპილოსი, გარედან სალი კლდეთაო,

ასე დაანგრევს ციხესა, როგორც ფუტური ხეაო.

მესხეთში დღესაც ცოცხლად ჰყვებიან ლექთა ბელადისა და ერეკლეს ორთაბრძოლას: „ნიშნიდან რო გამოზრუნებულა თათარი სარდალი, წინ წამოსულა, ერეკლე უწინდან მოპქცევია. იმ ალაგს რო მოსულან, შუაზე მოსწევია ცხენი ცხენს, ამოლდა ხმალი ერეკლეს, შემოუცხვია წელზე და გადაუჭრია შუაზე, უთქვია: გაინძერიო! ფეხები დარჩენია უწანგში, წელზეთი გადავარდინლა, დედამიწაზე“ (ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჭავახური დიალექტი, 1984 წ. გვ. 112).

როგორც დამწვევებდა ერეკლეს ძეგლი ასპინძასი გიორგი სააკაძის ძეგლიც მოუხდებოდა ციხის შემოგარენს.

დღევანდელი ასპინძა ცენტრია ასპინძის რაიონისა, რომელიც ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. ასპინძის რაიონი მესხეთის რამდენიმე ისტორიული პროვინციის ნაწილთ აერთიანებს. კოდიანიდან მოყოლებული, კობტის ხევის გავლით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შეუოლებით — ნიჭგორ-ხერთვის-წუნდით, სათავემდე ჭავახეთითა. რაიონის ფარგლებშია ბარის ჭავახეთის

¹ საარქივო მასალა ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა საქ. სსრ ლიტ. და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა ვ. გურგენიძემ.



დღივი ნაწილი და მცირე ტერიტორია მთიანი ქავეხეიოსა: ხიზა, სარო, ხიზაბავრა, ვარგავი, თოკი.

ერუშეთის ნაწილიც — ნიალა, ქარზამეთი, ვანი, ბუზმარეთი ასპინძის რაიონში შემოდის. დანარჩენი უმეტესი ფართობი რაიონისა სამცხის ტერიტორიაა. შრავალფეროვანია რაიონის ბუნება ბარით, ტყით, ალპიური და სუბალპიური ზონით, ეს კი ხელს უწყობდა ისტორიულად საქართველოს ამ ნაწილში სოფლის მეურნეობის გარდა მესაქონლეობის განსაკუთრებულ განვითარებას.

თანამედროვე აღმინისტრაციული დაყოფით რაიონში სულ 20 დასახლებული პუნქტია, რასაც დაემატა განახლებული სოფლები: ოსკერია, გელსუნდა, ფია, ქვემო ერუშეთი. ბევრად უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული ეს ტერიტორია ისტორიულად. დღევანდელი ასპინძის რაიონი იუფოლდა ცალკე ასპინძის, ხერთვისის, ბუზმარეთის, თმოგვის და ნიალისყურის რაიონებად, სულ — 100-მდე სოფელი. ჩამოვთვლით ერთ ნაწილს ნასოფლარებისას: ქარზამეთი, ვარნეთი, კორისხევი, დუშეილა, გომი, ლეპისი, ფანაკეთი, ზედათმოგვი, ვაშლობი, გიორგიწმინდა, ზედა ვარძია, ელიასბანი, ავაზანა, გუნდი, ქართაშენი, მუკუზაშენი და მრავალი სხვა. ცხოვრობდნენ მესხები, არქმევდნენ ქართულ სახელს ადგილს. ზემოთ ჩამოვთვლილი თი-

თოეული ტოპონიმის ასაკი ათასწლებს ითვლის. ისტორია მოვიდა დღემდე სახელად მთიანეთად, პერანგშემოცლილ ნაეკლესიარად; ნაციხარად, სასაფლაოდ, ნასახლარად. გამოუყენებელი არ იყო არც ერთი გოჭი მიწა, რაც არ ითესებოდა, სამოვრად ვარჯოდა.

მეურნეობის გაერთმინებელიანებას მოჰყვა ის, რომ გაჩნდა ნაოსპარი, ნასელარი, ნაფეტვარი, ნადიკვარი, ნაყანარი, ნავენახარი, და სხვა.

ასპინძის რაიონი უმდიდრესია ისტორიული ძეგლებით. გაქვავებული წარსულით. აქ დაბადებულია რუსთველი და შოთაობას რუსთაველი ვწეიშობთ. კობტას თავის შეთქმულებაჲ კობტის ციხეში მომხდარა, სოფ. ტამალის თავზე. ცოტენ დადიანის ძეგლიც მოუხდებოდა ამ მიდამოებს. შოთას თანამედროვეს იჩქით გურგენის ძეს წუნდის ეკლესია უშენებია, ზღუდეც აუგია ერთი. აქაურ ეპიგრაფიკაში შეხვედებით ბაგრატებს, გიორგებს, თამარს და სხვათა.

გარდასულ დღეთა მეტყველ მოწმებებად დგანან ხერთვისი, შორეთი, ვარნეთი, ალანძია, თმოგვი, ვანის ქვაბები, 800 წლიანი ვარძია და ბევრი სხვაც.

1100 წელი სრულდება ისტორიაში ასპინძის პირველი ხსენებიდან. მართალია, ბევრი მასზე უფრო ასაკოვანი სახელია მესხეთში, მაგრამ მაინც სხვა არის ასპინძა, მისი როლი საქართველოს ისტორიაში...



ნინო თაბუაშვილი

მასზე არაპინე არაუფარი იძოდა

(ჩანახატი)

იმ ცივ, ღრუბლიან საღამოს ისევ შევიარე სამხატვრო გალერეაში. იქნებ უამინდობამ და-აფრთხო დამთვალეირებელი ან, უბრალოდ, გვიანი საღამო იყო, დარბაზში სიბნელე და სიჩუმე ჩამოწოლილიყო. შეკარე ქალი კართან თვლემდა.

შევედი თუ არა, მარცხნივ ავიღე გეზი. ჩაბნელებულ გალერეაში ჩემს მეთი ნამდვილად არავინ იყო. ისევ ფიროსმანის სანახავედ მივდიოდი, „ფიროსმანაშვილის სიკვდილი“ მელოდებოდა, თითქოს მიწვევდა სამძიმრისათვის. ჩემმა მარტობამ, ამ სიბნელემ და ფიროსმანაშვილის სიკვდილმა თავით ფეხამდე შემაძრწუნა. შევცქეროდი შეუცნობელი ვგრძნობით, თითქოს მეთათვის კი არა, პირველად ვხედავდი. ჩქამი არ ისმოდა მთელ გალერეაში; ვიყავით მე და ფიროსმანი. ჩემს თვალწინ ვიწრო ოთახში, მაგიდასთან, სკამებს შორის, კვდებოდა ნიკალა, კვდებოდა ადამიანი უკანასკნელი სურვილის შეუსრულებლად. მის სასოწარკვეთად სახეზე იგრძნობოდა შიში სიკვდილისა, უნუგეშობისა და მარტობისა. ვგრძნობდი მის დიდ სურვილს, ვინმეს ხელიდან დაეღია ერთი ჭიკა წყალი.

შევეურებდი ფიროსმანაშვილს. ამ სიჩუმეში და სიბნელეში მეც ვკვდებოდი ფიროსმანივით, ვგრძნობდი სიკვდილის აგონიას, მარტობას, უნუგეშობას და ამაოებას.

მარტო მე ვიყავი მომკვდავთან, დავტიროდი უცრემლო თვალით, მე ვუხდიდი პანაშვილს, რადგან მხოლოდ სამნი ვიყავით — მე, ნიკალა და სიკვდილი. საპანაშვილო მუსიკა დიდი ბეთჰოვენისეული რეკვიემი იყო, ბავშვობაში გაგონილი, სასულე ორკესტრი რომ უკრავდა მიცვალებულის გასვენების დროს. საბოლოოდ ვემშვიდობებოდი დიდ ადამიანს, დიდ ვგრძნობას, კვდებოდა ხელჩაქეული ბოიოქარი.

დიდმა ვგრძნობებმა დაწვა დიდი გული და

ჩემს თვალწინ იფერფლებოდა ადამიანი. კვლავ მესმოდა ჩემი უხმო კვითინი, რეკვიემიც მესმოდა, დროადროს ხხვა, შეუმჩნეველი ხმაურიც, — იქნებ მისი სული იყო, უკანასკნელად ამონასუნთქი.

კაცს გრძელ თმაში ჩაემალა სახე და დროადროს გმინავდა. ქონის სანთელი ხანგამოშვებით დედაკაცივით იცრემლებოდა, მისი ალი ბათქაშამოცვენილ კედელზე მთვრალი კაცივით ბარბაცებდა. ამ კაცივით აწოწილი ბოთლის ჩრდილი კედელზე იგრიბებოდა.

ფარფატებდნენ ჩრდილები, ოთახი ევიწროებოდათ და ბნელ კუთხეში იურიდნენ თავს. ნესტიან კედელზე ფუთფუთებდნენ შავი მწერები. მიმედ აღვა სიბნელე და სიჩუმე პატარა ოთახს.

სანთელი დაილია და პატარა კრატერს დაემსგავსა, საიდანაც ცეცხლი მისუსტებულ ენას უღონოდ ასავავებდა.

ზანტად წამოღდა. მისი თავი სიბნელეში ჩაქარგა. უსიცოცხლოდ დაკიდებულ მტევნებს გაცრიატებული სინათლე ელამუნებოდა.

ჩაიწვა სანთელი. კაცს შეაფრტოლა, მიბრუნდა კარისკენ, ხედის ცეცებით მონახა ურდული. კარმა უსიამოვნოდ დაიფრიალა. კაცს არ მიუხედავს უკან. ღიად დარჩენილი გამოსასვლელი დიდ შავ ლაქად მოჩანდა. მთვარე კუს ნაბიჯით მიიწვედა ყორნისფერ ცაზე.

ის გავიდა ვიწრო, კვით მოკირწყლულ ქუჩაში. მიმედ დაუყვა დამარტოს, მისი ფეხის ხმა საღდაც ქუჩის ბოლოში იბნეოდა. ქუჩაზე გადმოკიდებული აივნის ქვეშ უკუნი სიბნელე შეუუულებიყო. ზოგჯერ ამ სიბნელეში წყვილი ფოსფორული წერტილი გაიჩინებოდა, კაცის მიახლოებისას გაქრებოდნენ და შავად მზინავი ყატები უხმაუროდ გადარბოდნენ ქუჩიდან ქუჩაზე. ასე გრძელდებოდა, სანამ



საზარტმა ხმამ ღამის მგზავრი არ შეაკრთო კატები გადაიკარგნენ, ბოლო ადამიანი უნებურად შეჩერდა. წინ, შუა ქვაფენილზე, კაცისკენ ზურგმუცკევით, უკანა ფეხებზე ჩამდარ ძაღლს კისერი მთვარისაკენ წაგერძელებინა და გულშემწარავად უშოლდა.

მგზავრს შეჯარა

ძაღლის ჩრდილი ადამიანის ფეხებამდე გაწოლილიყო, კაცის ჩრდილი კი მოსახვევში იკარგებოდა. უშოლდა ძაღლი, მთვარის შარავანდეულმა ძიგძიგებდა ქუჭკუიანი და ჩამოქნაძილი.

კაცი იღვა და ელოდა, აღარაფერს და არავის უუერებდა. თვალები დაეხუჭა და იღვა... მერე ამოიგინა. ოდნავ ასწია დამძიმებული ქუთუთები და მთვარეს გახედა. ძაღლი სუსტმა ხმაურმა შეაკრთო, უნდოლად გახტა განზე, თავი ჩაღწია და ელოდა, რას იზამდა ადამიანი. ის კი მიიღწია, მიიღწია ნელა... ძაღლი ერთხანს შეჩერდა, ახედა მთვარეს, კაცის თავს ზევით გვირგვინად რომ მოჩანდა და სუნსულით აეკვინა. მიძუნძულებდა და გაბურძნნილ კუძს ქვაფენილზე მიათრებდა.

საიღანდაც ქარმა წამოუბერა. გამხმარი ფოთლები და ნაკავი მიაუარა ფეხებზე. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით სამიკიტნოს დახალ სარკმელთან შეჩერდა; იქიდან გამომკრთალი სუსტი სინათლე გრძელ კანჭებს უნათებდა. ცოტა ხანს შეყოვნდა, უცხად შეტრიალდა, ქვის კიბეს ჩაუყვა და დია კარში გაუჩინარდა, საიღანდაც ღვინის, ბოლის და ქონის თბილი ოხმით ვიწრო იჭრებოდა გარეთ.

მთლავებელი სამიკიტნო მძიმე თალი და გამოკრთო, ორთქლით გაუღწიოდა და ბოლით გაშვარტლულ გვირახს მიაგავდა. სამიკიტნოს სიღრმეში რამდენიმე ახალგაზრდა შემოქცდილი მოდა მავიდას. თაღის ქვეშ დაბალი, სქელი კედლები ნახატებით გავსილიყო, რომლებიც, კედლებივით, ქუჩუისაგან ჩაწვებულიყვენ და ოდნავ მოჩანდნენ მთვარის განათებული ცხოველები, მომღბენი ადამიანება. პურადვინით გაწუბილი ტახლა და ირმის და შვლის დიდი, წულიანი, შშვიდი თვალები.

კაცი ღანდვით აეკრა კედელს დაბნეულმა თვალი მოავლო ნახატებს. მას არ მოუთხოვია პური და მარილი, ღვინო და არაფერი იქნა, დათინებო აცქერდებოდა შავი კედლებიდან მოხრილი თვალებს. იდაუებო დაბნეულმა შაღლ, გამხდარ მუნღებზე და თავი ზედებში ჩარგო. გრძელი მოქნილი და მთრთოლვარე თითებით ისრესდა სახეს. დიდი თვალები უფრო გაუფართოვდა, მოგრძო სახე უფრო დაუგრძელდა და შუა საუკუნეების ფრესკას დაეშვებოდა.

ქარისაგან აბურძნნილი, აჯარული ქოფაკი გარეთ წყლიდა. ცოტა ხანს შეჩერდა, დააკვსა ბებერი თვალები და უკან აედგვნა. მიიღობდნენ დაბნეულნი, აჩქარებდნენ.

რთვეტ გავიდნენ. ზემოდან ნიავი მოსილინებდა და მტკვრის მოვერცხლილი ტალღებზე აჩქარებით მიგორავდა ქვენა ქარისკენ; მისი მხეფები ხმაურით ლოკავდა სიპებს. კაცი წულის ნაიარზე დიდ ლოდან შეჩერდა. მტკვრის მეორე ნაიარი სინელიში ქრებოდა, მანძილი იქამდე ადამიანს უსასრულო ეჩვენებოდა, ბოლო აღმოსავლეთით, კლდეზე აღმართული მეტები ჩრდილად ჩაწოლილიყო მტკვრის კრიალა ზედაპირზე, მის ტალღებზე ქანაობდა. სამხრეთით, მთვარეს დამით ჩაწვებული ნარიყაღას კოშკის წვერები გავნათებინა და ზოლად ეშვებოდა მტკვრისაკენ. კაცი გარინდებული იქდა ლოდზე. ძაღლს ვერ ეპოვა ჩასაქდომი ადგილი და მოუხვეწრობდა. ბოლოს შეტოვა წყალში, მშრალ კორმზე ჩაყუცქდა. მის ჩრდილს მტკვარი ტალღებზე ალივლივებდა, გრებდა და აწამებდა. მთვარე, მტკვარში ჩავარდნილი, აღმა მიცურავდა.

ისინი წინტილიანმა თოქმა ძაღლების ჩგრომაც ვერ შეაშფოთა. რამდენჯერმე შედრინეს მშვიდად მქდარ ნაგავს და ერთმანეთში ბლლარძონი გაშორდნენ მათ.

მტკვრის თბულ ადგილებში და მეჩქებზე აქა-იქ შეთევვეებს ცეცხლი დაენთოთ. ცეცხლის ანარელები მახათივით დასობოდა წყალს.

შენა ქარმა დუღუკის ხმა მოჭებრა. ხმა ძლიერდებოდა, ადამიანის ხმაც გარკვევით ისმოდა. კვნესოდ ვიდაცა ბაიოს და შეუბარალებლად ატირებდა დუღუკსაც.

ღამეში გამოისახა ტივი. მის კუთხეებში ანთებული კვარების ბოლი შულოსავით შავ დაშეს მულავებზე დაეხვია და მალლა სძაბავდა მოქიფივნი მულმორთბულინი შემოსხლომოდნენ ტივზე გაშლულ სურფას და ხანდახან წამოძახილით აშხნებდნენ მომღერალს. ანთებული კვარები ბოლავდნენ და ბრჩოლავდნენ.

აღმოსავლეთიდან შემოპარულმა ნათებამ მთვარე გააბუნა, იწყებებოდა დილის სუსხი. ძაღლი აიჭარა და წრიალი დაიწყო. რამდენიმე ხნებლა მეთევზემ ხვიშირი კვიშა აახშურა. მაწანწალა ძაღლებმაც გაიკვიყვეს. გარკვებული კაცი იქდა მანამ, სანამ გამოღვიძებულმა ქალაქის ხმაურმა მის სმენამდე არ მიაღწია.

ეროდლაბანილი წამოღდა; დაბუებულ ხელების ამოძრავებზე არც უფიქრია, ისე წალასლასდა იმ გზით, საიღანდაც მოვიდა.

... კიბის ქვეშ გამოჩნდა შავი, დიდი ლაქა. ღია კარი ისეც ელოდებოდა პატრონს. შევიდა. კარი უღრიალ-ჭრიალით მიჯახუნდა. მავიდაზე მღგარი არყის ბოთლი მოიყუდა და გადარეცილ ტახტზე პირქვე დაეცა. გაისმა ქვიინი, კაცის ქვიინი, რომელიც უსაზღვრო სედლის მომგვრელია და შემადრწუნებელი. იწვა დიდხანს. დროდადრო გაისმოდა კვენება კაცისა. მიუუტადა კვენსაც. ჩამობნელდა. კაცმა თვალი გაა-



მთლა და წამოღება. მომებნა ასანთი და სასთე-
ლი. მკრთალმა სინათლემ გაანათა მისი შეშუ-
პებული თვლები. კარგა ხანს იქდა გაუნძრე-
ვლად. მერე დიდხანს იბორიალა. კუთხეში.
დაბლა, აფათურა ხელები. შემდეგ გამოსწია
ტახტი და კედელზე დაიწყო ხატვა. ხატვდა
სულმოუთქმელად, დაუნიებით. მთელი კედელი
გაავსა ნახშირის მონახაზებით. დაიღალა და
დაეცო ტახტზე. იწვა დიდხანს. წამოღდა, ისევ
მიუბრუნდა დაცარიელებულ არსის ბოლს,
შიგ დარჩენილი ჩამოცალა და ხატვა განაგრ-
ძო. კედელზე თანდათან გაჩნდა ადამიანის
გამოსახულებები. თანდათან სრულყოფილი
ხდებოდა კედლის მხატვრობა. მარჯვენა მხარეს
მდებარებს ღმინი გაუმართავთ და არავის
აქცევენ უურადლებას, ცეკვავენ ზურნის ხმაზე.
მარჯვნივ, კოსტაპრუა ხალხს დაუტაცია ნა-
ხატები და უკან მობრეცილი თვლებით მიიპა-
რტბა, რომ არავინ წაართვას უპატრონო შე-
დევრები. ნახატის შუა ადგილზე კუბო უე-
სადაც მხატვარი ესვენა, უცრემლოდ, არავის-
გან დატირებული.

მხატვარი დაიღალა, ოფლი მოასკდა შუბლ-
ზე, დაწვიბრა წამოუწითლდა. სანთელი ჩაიწვა.
მეორე ადარ აუნთია. გაიშობა ტახტზე. ეცინა
მწფოთვარე ძილით, კრთებოდა და ბტოდა
ხანდახან.

მოულოდმელად წამოხტა. ცხრილივით გა-
რიდებული თვლები ნახატს მიაშტერა. დაიძ-
რა შავი მწერების მოღამა, შემოეხვივნენ
კუბოში მწოლარე მხატვარს. დაცოცავდნენ,
კბენდნენ და სძიბნიდნენ. აღშფოთდა დასიც-
ხული, მისწვდა მწერებს და მუშტებს ურტყამ-
და საშარის ჳიებს. მწერები არ იხოცებოდნენ,
მრავლდებოდნენ და ეხვეოდნენ მიცვალებულს.
ავადმყოფი ურტყამდა გაუთავებლად. აღშფო-
თებული და სიცხისგან გათანგული. დაიღალა,
ხელები ჩამოყარა, კუბო და მიცვალებული შავი
ლაქებით შეცვლილიყო. სანთლის მოხარბაცე
შუქზე ბტოდნენ და მღეროდნენ მდებორნი,
ხარბებს ისევ მიჰქონდათ ნახატები

შებრუნდა მხატვარი, ზურგი შეაქცია კე-
დელს. ანთებული თვლებით შორს, კედლის
იქით იხედებოდა.

იციონოდა მღვდელმთავარი კაიაფა; კვდებოდა
სიცილით, თხელი ტუჩები ეჭიმებოდა, ჩაუვი-
თლებულ ღოჭებს ჰყრიდა გარეთ.

კვართი ჩამოხეოდა მხარზე იესოს. მშვიდი სა-
ხით იტანდა სინედრიონის მსახურების ქიმუნ-
ჭებს.

სანთელს; გაიტაცუნა და კაცი შეერთა.
შმიშებულნი კუთხოვინი ასწია, მობრიალე
თელს თვა... მორიანი და ისევ მიაშტერა მზე-
რა კედლის იქითა სივრცეს.

პილატემ — რომის ხელისუფალმა, უვითელ
სახეზე ფუნრულა ხელი ჩამოიკურა და გაგა-
რვიით შავ წვერს დაუწყო წვალება, მერე მძი-
მელ წამოღდა და სარკმელთან აისვეტა.

გალავანთან ბრბო ღრიალებდა და ხორხო-
ცებდა. იმუქრებოდნენ, ვიდაცას გაქრობას
უპირებდნენ.

მხატვარს სიცხემ უმატა ფეხზე წამოღდა
ერთხანს იღდა, შემდეგ ქანაობა დაიწყო და მა-
გიდას გადაემხო. თვალმდებარეული აჩქარე-
ბით სუნთქავდა.

...პილატეს არ უნდოდა, დაესჯა ნაზარეტე-
ლი. სახლის იმედ ქონდა, იქნება ხალხს ეხსნა
შეადგენელი. პილატეს ხმა ბრბოს შემზარავმა
ღრიალმა დაფარა.

— ქვარს აცვიო! ქვარს აცვიო!

ამდენი ერთბაშად გადებული ხანიდან ამოფრ-
ქვეულმა მყარლმა და ცხელმა ოხშივარს სუ-
ლი შეუგუნა დასიცხულ ავადმყოფს. შემწუნ-
და, წამოღდა მაგიდადნენ, გაიქნა თავი, ენა
მიასვ-მიოსვ; გაფიცებულ ტუჩებზე. შეტრია-
ლდა ზურგისკენ კედელზე ისევ ცეკვავდნენ
მდებორნი და ხარბებს დატაცათ ნახატები. მი-
ცვალებული გამქრალიყო. შავი ღაქები ვიყო-
ბდნენ მის ადგილზე. გაუსაძლისი მართლომა
გამფედა ტახტის კედელე ჩამოშქდარმა ფრჩხი-
ლებით მოფხოვნა მაგიდა თითებში ნახშირის
ნატები გაუხარა. დიდხანს ატრიალა უაზროდ,
შემდეგ ერთი მოსმით შეკლავი გადაატარა მაგი-
დას და ხელის კანკალით ხატვა დაიწყო. ჩქა-
რობდა ქანცმეღული, ხატავდა ირმებს, უელ-
მოღერებულ ირმებს, დად, ოვალურ თვლებში
ცრემლჩამდგარნი მხატვარს მშვიდად რომ შე-
სცქეროდნენ.

ხატვით დაიღალა. ხელი ჩამოუვარდა და
უღლოდ მოიხარა წელში. მერე... რადაცას თვა-
ლი გაუშტერა. მარჯვენა ხელი სადაც წინ,
სივრცეში გაიწვდინა. წამოღდა, ცდილობდა რა-
დაცას მისწვდომოდა. ვადადგა ნახიჩი... და ჩაი-
კეცა მაგიდასა და სკამს შორის.

ქერაც ჩაუწავია სანთელი შიშინებდა და ტა-
ცუნობდა

გარეთ, უკან ფეხებზე ჩამქდარ ქაღალს მთვა-
რისკენ გაქამბა კისერი და დროდადრო უშოუდა

პროფანული სრულყოფის გზით

„ცის მონატრება“ — ასე ეწოდება მერი შალვაშვილის ლექსების პირველ კრებულს, რომელსაც წამდღვარებული აქვს რეზო ამაშუკელის მოკლე წინასიტყვაობა: „გზას გილოცავ და ამ გზის ღოცვას მარტოოდენ სადღეგრძელოდ ნუ მიიჩნევთ, იგი ცოტა მშობლის წყევლასაც მგავს, რადგან თუ ამ წიგნს ფრთის გაშლა და ნათლით შემოსვა უჭერია, იგი თანდათან ცრემლითა და სიხარულით გაიჟღინთება, რადგან მხოლოდ მელნით ნაწერი უღელურია და უფერული“.

ქუშმარიტად კარგი დალოცვა და კარგი დარიგებაა. თავის ერთ-ერთ შეხანიშნავ ლექსში „გზა დამილოცეთ“ პოეტი თვითონაც გძმობს არჩეული პროფესიისადმი დიდ პასუხისმგებლობას:

გზა, გზა დამილოცეთ მაღალ ტაძრისკენ,
სათნოების ტაძრისკენ, უფროსო ქმებო,
ლოცვა, კურთხევით გამაციოლეთ:
თვალი და გული არ მომაცილოთ,
რომ სადმე მუხლი არ ჩამეცეცოს,
სადმე სტრიჟონი არ ამიტირდეს
სიკეთე იმდენი გავაკეთო,
შეგზედო და თვითონვე გამიკვირდეს.

კრებული იხსენება ლექსით „საქართველო“, რომელშიც პოეტი უმღერის მშობლიურ საქართველოს:

ვერას დაგაკლებს
თვით სიკვდილის გარდუვალობა,
შენს ტაძარში
სანამ ქართული იხმის გალობა.

მერი შალვაშვილი წრფელი და სათუთი განცდის პოეტია.

ლექსებში „გარდუვალობა“, „დილა“, „გადარჩენა“, „მე უამრავი მარაგი მაქვს“, „უვითელ ფოთლებზე“, „ეს მე არა ვარ“, „ახალგაზრდობა“ და სხვ. ოპტიმისტური განცდები და ცხოველი განწყობილებებია წარმოსახული ბუნებრივი პოეტური ფერებით. გარდა ამისა, ამ ლექსებში თემატიკის სივრცე ფართოა და ნაირფერადი. ლექსში „მე უამრავი მარაგი მაქვს“ გამოხატულია ღრმა რწმენა ზვადინდელი დღისადმი, ბედნიერი მომავლისადმი. ავტორს არ აზინებს წინააღმდეგობები, სიძნელეები:

მე უამრავი მარაგი მაქვს
რწმენისა და სიკეთისა,
არ მეშინია ჭვეუნად ცრუ კაცის,
ბოროტისა და მოღალატის.

ლექსი „ახალგაზრდობა“, მეტაფორულად წარმოაჩენს ახალგაზრდულ მგზნებარებას, შემართულ სულიერ განწყობილებას. ამასთან, ლექსში პოეტის რეფლექსია ელემენტურად თვალსაჩინოვდება თავისთავადი პლასტიკური მხატვრული სახეებით.

გვიშვებს დედაშიწის შვისფერი ეკრანი,
მორთული რტობით თოვლის და ფიქალის,
დღეს — „ხვალის ლექსებით“ ნათლება
სამყარო.
დღეს უველას მეთი გვაქვს ალბათ
საფიქრალი.

მე ვჩქარობ, შენ ჩქარობ,
ჩვენ ვჩქარობთ სუყველა.
ვიყვარებთ, ვკამათობთ, ვიმტებთ, ვიოცებთ,
ახალი თაობა მოდის და მოღელავს, —
დღე მიაქვს შუგა და
შხისთვალა მიმოვებს.

კრებულში წარმოდგენილი ლექსების უმეტესობა შინაგანი განცდებისა და სენტენციების მხატვრული გააზრებითა და ესთეტიკური გარდასახვით ხასიათდება. მერი შალვაშვილი ჯმთავრესად ინტუიციური პოეტია და ეს ისეა მხატვრულად წარმოჩენილი, რომ შკითხველს სიამოვნებას ანიჭებს და მასზე შთამაგონებელ გავლენას ახდენს, მაგრამ არც ის ივარგებს, რომ პოეტს ბოლომდე სათქმელი არ ვუთხრაო. ახალგაზრდობით, გამოუცდლობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ შესანიშნავ გამჭვირვალე ლირიკულ ნაწარმოებებთან ერთად კრებულში ვკითხულობთ პოეტურ ღირსებას მოკლებულ ლექსებსაც, მათში ხშირად ვხვდებით აზრობრივ შეუსაბამობას, ბუნდოვან შედარებებს, სემანტიკურ ლაფსუსებს. ჩვენ ასეთ ლექსთა რიგს მივაკუთვნებდით ლექსებს: „წვიმის ტელეფონი“ (აქ სათაურსაც მივაქციოთ უურადდება), „სინაზე“, „თოვლის დღესასწაული“, „თოვლის მოსვლამდე“, „დღეები“, „თოლია“, „ცის მონატრება“, „მთვარის პოეზია“, „გაუაფხული“, „ერთიანობა“, „ერთი დღით აღრე“, „უვითელ“

ფოთლებზე“; „პოეტის დაბადება“, „ბავშვობის
ლაბირინთში“.

ჩვენი აზრით, ლექსის აკადრების შეფა-
სებისას სხვა კომპონენტებთან ერთად მთავა-
რია ნაწარმოების აზრობრივი მთლიანობა, გან-
განცდის ბუნებრივობა. ამ პოსციიდან გავარ-
ჩიოთ რამდენიმე მათგანი.

რემარკია ლექსში „თოლია“ პოეტი გამოა-
კვამს უკმაყოფილებას, უიმედობას და ამბობს:

...ვერასოდეს ვერ მივიღებ
მე თქვენგან სიბოძს,
მეშინია, რომ თვალები არ გაშეყინოს.
თქვენ არ გვირდებთ ჩემი ცრემლინი
ახე მართალი და ახე წმინდა,
სიმართლე თქვენთვის, —
დალუპვისაყენ მიმავალი ბილიკია...

სიუეტები გრძელდება და არ ჩანს, მიზეზი,
საფუძველი ასეთი უიღბრების სასოწარკვეთი-
ლებისა. ამავე ლექსში პოეტი ამბობს, აგრეთვე,
რომ მე კი მთუვარხართ და ამ სიუვარულს „თქ-
ვენ ვერასოდეს ვერ მიხვდებით“-ო. გაუგება-
რია, ვინ უყვარს და ვინ ვერ მიუხვდება ამ სიუ-
ვარულს. მართალია, ლექსს ამთავრებს შეგანიშ-
ნავი მხატვრული შედარებით „უკვდავება
ფრთებშია მხოლოდ“, მაგრამ ეს ლექსი ბუნ-
დოვანია, ღრმად სუბიექტურია. იგივე შეიძ-
ლება ითქვას, როგორც აღვნიშნეთ, ლექსებზე:
„გაზაფხული“, „თოვლის დღესასწაული“, „დღე-
ები“. ჭერ ისიც გაუგებარია, ლექსს რატომ
ეწოდა „გაზაფხული“, როცა მასში წილიწადის
ამ უღამაზის დროის არავითარი მხატვრული
გააზრება და გარდახატვა არ არის მოცემული.

დასახელებულ ლექსებში არ ჩანს მერი ზალ-
ვაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელი
იდეურ-მხატვრული ემოცია, ნათელი მეტაფო-
რული გარდასახვა.

ჩვენ დასაწყისშივე ეძაოფილებით ვილაპა-
რაკეთ მერი ზალვაშვილის მხატვრულ ნიჭზე
და გვჭერა, რომ ეს ნიჭი სათანადო გზით გან-
ვითარდება.

ნიკო რეხვიაშვილის პირველი ლექსების კრე-
ბულს „ცას და მუარს შუა“ წამძღვარებული
აქვს პოეტ ქანსულ ჩარკვიანის მოკლე, სულ
გვერდნახევრითი წინასიტყვაობა, რომლის სა-
თაურია „იმედის თვლით...“ ამ წინასიტყვაო-
ბაში ისე ძალიან ბეჭრი და ისე ძალიან კარგად
არის უველიაფერი ნათქვამი ახალგაზრდა პოე-
ტის ტალანტზე, მის მომავალზე, რომ იქნებ
საპიროც აღარ იყოს კრებულის ცალკე განხილ-
ვა, მაგრამ ჩვენ ვივარაუდებ, ამ განხილვამ თუ
არ შემატა, ხომ არავფერს დააკლებს კაცს.

დასახელებულ კრებულში შეტანილი ლექსე-
ბის უზრავდესობა ხასიათდება ლაღი ფანტა-
ზიითა და სიბაღის გრძნობით, ხოლო გამოშახ-
ველობით ფორმაში, ინტონაციაში უკვე შეიმჩ-
ნება პოეტური ენერგია, ახალგაზრდული შე-
მართება.

მართალია, ნიკო რეხვიაშვილს ჭერ კიდევ
ბევრი მუშაობა მოუწევს ქართული ეროვნულ-
ტრადიციული პოეზიის შემკვიდრედ კურობეზე
სათვის, მაგრამ მისი დღევანდელი პოეტური
სიტყვა მიანც იძლევა საფუძველს თქვას კაცში,
„სულით ხორცამდე პოეტიაო“ (ქანსულ ჩარ-
ვიანი).

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ნიკო
რეხვიაშვილი პოეზიაში საკუთარ თავს ეძებს,
რაც თავისთავად მის პოეტურ პერსპექტივაზე
მიგვანიშნებს:

დავეძებ, ვსოვებ, დროო, მომენდე,
მარად და მარად უნდა ვეძებო
უნდა ვიშვა და მოვკვდე ყოველდღე —
შეხებულ მიწას და ცას შევწევსო.
(„თვითონ ვარ ეამი“).

პოეტი ცდილობს, გვერდი აფაროს გატკე-
ნილ ბილიკებს, სტერეოტიპს და აღქმისა და
განცდის გამოსახვის ორიგინალურ მხატვრულ
საღებავებს იყენებს. ამის ერთ-ერთი მკაფიო
გამოხატულებაა ლექსი „ქართული დღესაღამე“.
პოეტი ქართველ დედაში ხედავს ღვთაებრივ
სინდისსა და პატოსსებას, ერის ძლიერებასა
და უკვდავებას. უოველივე ამას ავტორი რეტ-
როსპექტულ ასპექტში წარმოსახავს და, ამასთან,
ღრმა ემოცია და შინაგანი ექსპანსიით:

ღვთაებრივად ცა ნათელიო,
მოჭედილო ყანავ,
— შეაშველე საქართველოს
დღესაც შენი ნანა.

კოლხეთი და იბერია
შენს აკანთან დგანან,
იმღერე, ვით გიმღერია:
ნანა, ოი, ნანა.

ლექსებში „ქართული ანბანი“, „თვითონ ვარ
ეამი“, „წარწერა პეროდოტის წაგზე“ „ისტო-
რია“, „უოველდღე“, „მამის სისხლმა“, „ვარ
უფლისწული“ და სხვ. პოეტის სულიერი განც-
დები მეტაფორულად არის წარმოსახული. რთუ-
ლია ახალგაზრდა კაცის განწყობილების მხატვ-
რული პლასტიკა, მისი ინტიმური გრძნობის
პოეტოზაცია, მაგრამ პოეტი ამას ახერხებს
ბუნებრივად, ძალდაუტანებლად.

ცალკე უნდა ითქვას ლექსზე „გონებით ფრ-
თაგანაბასრი“. ამ ლექსში მალალ პოეტურ
ღონეზე აუვანილი ქვეყნისა და აღამაინის
ურთიერთმიმართებაში, მათ ბედნიერებაში
ინტელექტის ღირებულების მხატვრული გაღაწ-
ვევაა.

პოეტი ამბობს:
იუკვდავებ სულს სიკეთით,
შენს რწმენას რომ აწრთობს, მზეა,
შენი ბედი ქვეყნის ბედით
უხილავს სასწორზეა.

გონებით ფრთაგანაბასრი —

შენი უოფნის რაც მაცნოა,
თუ არ გაგაჩნია აზრი —
არც კვეყანა გაგაჩნია.

საანალიზო კრებულში მალმმხატვრულ ლექსებთან ერთად შეტანილია მხატვრულად სუსტი ნაწარმოებებიც. ასეთ ლექსებს მიეკუთვნება: „ბედისაგან რას გამოელი“, „სადაც წავედი“, „ლექსებს სისხლიანს“, „აზიის დამე“, „სულში, ხმაურში და სინაზეში“. „ჩემი საწყისი და დასასრული“.

სამწუხაროდ, ეს ლექსები ღრმად სუბიექტური და ამავე დროს სევდანარევი ნაწარმოებებია, რომლებიც თვითმზნური ტრადიციული ელემენტებისა და ფსევდოფილოსოფიური განწყობების შთაბეჭდილებებს სტოვებენ:

სადაც წავედი, ყველგან ტანჯვა და
ფათერაჟი,
— გველი არ ჩანდა, მზეზე ეგდო
გველის პერანგი,
საყვარელ ქალსაც გავეჭეცი, ვის
აღმერთებდა —

სიყვარულისთვის ჩემი წრფელი

გულგატეხილი
სევდისასავე

ამ ლექსში გაუცნობიერებელ თემატიკის მკაცრად შემოსაზღვრულ სივრცესთან და ერთფეროვნებასთან გვაქვს საქმე.

კრებულში ვხვდებით, აგრეთვე, სემანტიკურ ლაფსუსებს, ბუნდოვან შედარებებს, რაც პოეტისაგან სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია, აგრეთვე, კრებულში შეხული ერთ-ერთი ლექსის სათაური „ცას და მყარს შუა“, რითაც პოეტს კრებულის დაუსათუქრებია. დედამიწას მყარი რომ ვუწოდოთ, შეიძლება ფიზიკის კანონით სწორი იყოს, მაგრამ იგი პოეტური არ არის.

მიუხედავად ჩვენი გულწრფელი და კეთილსურვილებით გამოთქმული შენიშვნებისა, ნიკორეზიანის პოეტური შემოქმედება კემმარითად იმედის მომცემია და, „ახლა მთავრია იმედის თვალით ვუშვიროთ დაწეული გზის უსაზღვროებას“.

ილია ფეიქრიშვილი.

„მინიდან ცისკან“

ახლანან გამოცემულმა „სახბოთა აკარამ“ დაბეჭდა ახალგაზრდა ნიჭიერი ლირიკოსის ამირან ხაბაზის პოეტური კრებული „მინიდან ცისკან“ (რედაქტორი — კრიტიკოსი აკაკი შონია).

წიგნის ანოტაციაში სწორად არის შენიშნული: „აზრიანი და საკმაოდ ემოციური, მშობლიური მხარის ფერებით გაჭრებული ლექსებია ამ კრებულში“.

იქვე განსაკუთრებით ხაზი აქვს გასული კრებულში შესული პატრიოტული ლექსების ციკლის ღირსებას. „ამირან ხაბაზის პატრიოტული ლირიკა აღბეჭდილია ტრადიციული თემების ახლებური გაზრებით, თავისებური კოლორიტით, უშუალოდ და ხალხურობით“.

დიდი ილიას „ივერია“ 1892 წელს იუწყებოდა: აშუამად ტფილისში იბეჭდება მამაილიანი მელექის ხუსეინ ხაბაზ-ქაშაჩაძის ლექსთა კრებული.

„ივერიის“ ეს ცნობა უძღვის ემიგრაციადა და ხაბაზის ერთ ლექსს „რა გამღერებს, თქვი...“

ბალღებს წინდით ფეხი უჩანთ,
გარეთ თოვლი თრთის,
რა უთქმელი დაგმართია,
რა გამღერებს თქვი...

ინიჩარი ქობულეთში

მოაგელებს ცხენს,
და ქართულით, ბერიაცს,
რა გამღერებს შენ...

შენ იცი, რომ საფლავებში
ქართის ჯიში წვეს,
ქართის სისხლი უჩუხჩუხებს
შენს ასულს და ძეს.

და ბოლოს:

სიტყვა სუფთა ერბოსა ჰგავს,
ნუ გაურტვებს დოს,
ქართულ ლექსად დავარდნილო,
ბუსილელო, ჯო!

ა. ხაბაზი ქართველ პოეტთა იმ მცირერიცხოვან წრეს მიეკუთვნება, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და იქიდან ესათუებიან ქართულ ძარღვიან პოეტურ სიტყვას.

ეს სოფელი ქობულეთის რაიონის აკვეისთავია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მან წარმატებით დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

კრებულის ავტორი თავის პროფესიას უხვდის ხარკს. ამ მხრით საინტერესო ნაწარმოებია „ლექსები და კოდექსები“.

„ექვსი წელი“ შეხაროდა პოეტი-სტუდენტი „სამართლის ღმერთს თემიდას“. ამდენივე ხნის განმავლობაში უმწერდნენ მას „რომისა და ხეთის ღმერთები, უცხო ბილინები, ჰამურაბის კოდექსები“.

მოგვიანებით აღიქვა პოეტმა თემიდას „სამართლიანობის“ რაობა, „ღარიბს თვალებს რომ თხრიდა და ოქროს ხასწორს მდიდრისკენ ხრიდა“.

პოეტისათვის ძნელი ასატანია ეს, მისი სული სხვა სიმაღლეებსა და სისპეტაკეს ელტვის.

ქვეყნის გულმხურვალე შვილი მშობლიურ ჰანგს ეძებს.

სად არის ჩემი.

სად არის ჩემი

ქართული ჰანგი — კითხულობს პოეტი ლექსში „რადიო მიმღები“ და იქვე აგრძელებს:

ბორგავს ქვეყანა,

ათასი ენა, ათასი ხალხი...

მე ვეძებ თბილისს,

როგორც დედის რძეს

ძუძუთა ქბალი:

გარეთ თოვლია თეთრი

და ნაზი,

ჩემს კარადაში ანბანის ლეშხი.

მზე ფარნავაზის...

თანამედროვეობის მანკიერ მოვლენებზე პოეტი არაერთ ლექსში ამახვილებს ყურადღე-

ბას. მათ შორის გამორჩეულია „დათვის ტუპი“.

დათვის ტუპავს ერთ ქალაქელ ბობოლას უძღვნიან. ეს ჩვენი დროის გადაგვარებული თურქმენი ბრწყინვალეა აცისკროვნებს მის ბუნავს, სადაც „არაბული კარადები“ სავსეა ტომებით. ამით მას თავი უგანათლებულეს კაცად წარმოუდგენია. ზის სავარძელში და თავს ციცირონსაც „არ უუადრებს“. ახლა მის ჭაღს ან ნოხს არ იკითხავთ? ფეხზე კი „ჩინგიზ-ხანის წალი“ აცვია.

ლექსის კულმინაციაა შეგონება:

დათვი ყანას აობრებდა

რას იზამდა ისეთს,

შენ კი ქურდი ქობობოლა

დათვის ტუპაზე გიწვეს...

ასეთი ადამიანი ყოველთვის უაწრო მედიდურობას ავლენს და თავისივე მოგონილ სიმაღლეს ელაციცება.

პოეტს ძაგს ეს სიმახინჯე და ებრძვის მას. კრებული მთავრდება იმედიანი ლექსით „ალორძინება“.

რეკენ ზარები დიდგორის და შამქორის,

ეშვება დღეთა ნათელი ფარდა,

ვით მშობიარე და მომლოდინე,

წეეს საქართველო აზიის კართან.

მამია კომახიძე.

იზა ჭაჭვადის პუბლიცისტურ კრებულში: „მიუვარხარ მთაო, ტიალო“ თავმოყრილ ნარკვევების, წერილების და ჩანახატების უმრავლესობას ქართული პერიოდიკიდან ვიცნობთ. ბევრ მათგანს მკითხველი გაჭეთების: „კომუნისტის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, ურნალების: „დროშის“, „საქართველოს ქალის“, „ციცკრის“, „მნათობის“ ფურცლებზე გაეცნო. გაეცნო და დაამახსოვრდა. რა თქმა უნდა, საუურადღებოა თემის აქტუალობა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, როგორ წერს, განიცდის, გადმოსცემს ავტორი. უდავოა: იზა ჭაჭვადის აქვს მახვილი თვალი და ნარკვევების გმირთა მიმართ უშუალოდ გადებული გულის სიტბო. თუ დავუშატებთ იმა-საც, რომ უოველ მათგანს აშვენებს ხატოვანი, მოქნილი ფრაზები, მდიდარი ლექსიკა, კუთხეთა ფერუმარილით შეზავებული ლექსები, კაფები, გასაგები გახდება, რატომ დაგვამახსოვრდა იზა ჭაჭვადის პუბლიცისტური ნარკვევები თუშეთზე, ფშავ-ხევსურეთზე, კახეთზე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია წიგნის კომპოზიციური გამთლიანება, როგორ მივყავართ ავტორს თანდათან საინტერესო გადახვევებით თუშეთში, როგორ ვხვდებით და ვეპაექრებით მეცხვარეებს, მოლექსეებს და პოეტებს.

საქართველოს მთიანეთი დღეს დიდი მოლოდინით ცხოვრობს: როგორც იქნა, ირღვევა „საუდრული მუდროება“, ხელახლა ჩადდება კერის ცეცხლი, შიტოვებული სოფლების სახლებსა და ორღობეებს დაბრუნებულ ახალმოსახლეთა ხმები ავსებს. კითხულობთ იზა ჭაჭვადის წიგნს და თითქოს უურში ჩაგესმით აღორძინებულ სოფლებში დარწეული აკვნების ხმა, ახმეტის უნიკალური სახელმწიფო ნაქრძალის საუკუნოვან ხეთა შრიალი. გარდასულ დღეთა

უღრანებიდან მოჭროლავ ბედურთა ფლოკების თქარა-თქური, ომალოში, ხანზე ფეხმორთხმული ხელმადლიანი ბერდებების ღიღინი, მწეუმების, მეტყუევების, მეტურკლეების, ბეუკეთის ოსტატების, მქსოველების ომახიანი შეძახილი. არც ისე იშვიათად მთის კინკრიხოზე შემოჭდარი ციხე-კოშკები და საუდარ-ეკლესიებიც გაიღვებენ და რაც მთავარია, შევხვდებით იმ ადგილის დედის იშვიათი უოფის ამსახველ მომენტებს, რაც ავტორს განუცდა, სადაც ბავშვობა გაუტარებია...

სათქმელი, დიხაც ბევრია და უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი ძალზე თბილად, ხელშესახებად, ადამიანურად, გულშიჩამწედომად ამბობს კიდევ იმას, რაც აღლეებს, ახარებს, აწუხებს. ავტორი მოგვითხრობს იმ საშვილიშვილო ღვაწლზე, რაც ბოლო წლებში ჩვენი პარტიისა და მთავრობის ინიციატივით გაკეთდა მთის სოფელთა საღორძინებლად.

ამიტომაცაა, ასე ლაღად, კარგი ქართულით რომ იკითხება იზა ჭაჭვადის პუბლიცისტური კრებული „მიუვარხარ მთაო, ტიალო“. იგი ბევრ ადამიანს უღვივებს „მთით სუნთქვის“ დაუოკებელ სურვილს.

„ხომ არ დაიღაღე, ჩემო მკითხველო, ვინ იცის, როგორ მეგზურს ელოდი ამ გზაზე და ვაითუ, გაგიტრუე იმედი“, — თითქოს იბოღიშებსო ავტორი. დარწმუნებული ვართ, ამ მოქრძალეული სტრიქონების პასუხად იგი ქართული მკითხველის გულწრფელ მაღლობას მიიღებს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამომცემული ასეთი საინტერესო კრებულისათვის.

წიგნს უძღვის რევაზ მიშველაძის გულთბილი წინახატუვაობა.

„არ ვიცი, ინგლისს უფრო დიდი უფლება აქვს მისტერ ტრევორზე თუ ირლანდიას. მაგრამ თუ მკითხავთ, ამას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აშკარაა, რომ მისი ნიჭი — იმ ბედნიერი „ქორწინების“ პირ-მშობა, რომელმაც ორი ლიტერატურული ტრადიციის საუკეთესო თვისებები გაითავისა და გაამთლიანა. ასეთი ჭეშმარიტი, ასეთი მაღალი ხელოვნება არ შეიქმნებოდა, მას რომ არ აკავებდეს მკაცრად განსაზღვრული ეროვნული საზღვრები. ეს ინტერნაციონალური ხელოვნებაა ამ სიტუვის საუკეთესო ვაგებით“ — აი, როგორია ჯონ ფაულზის აზრი მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატსა და ირლანდიის აკადემიის წევრ უილიამ ტრევიორზე.

ტრევორი დაიბადა ირლანდიის ქალაქ შიტჩელსთაუნში, დაამთავრა წმინდა სამების კოლეჯი, კოლექჯი, სადაც სწავლობდნენ ჯ. ჯოსისი, ს. ბეკეტი და ბევრი სხვა ცნობილი მწერალი.

მომინდინა წლებიდან იგი ინგლისში ცხოვრობს, მაგრამ მისი წიგნები — მ რომანი, მ მოთხრობების კრებული, პიესები, ნაშრომები ლიტერატურისმცოდნეობაში — უველაფერი ეს ირლანდიას, მის ტრადიციულ ისტორიას, წარსულსა და აწმუოს ეძღვნება, თუმცა ზხირად მწერალი ამაზე „პირდაპირ“ არ ლაპარაკობს. უილიამ ტრევორის ბოლო კრებულში „განსხვავებული თემატიკის და სტილის 12 ნოველა შეტანილი. აქ ნახავთ დახვეწილ ფსიქოლოგიურ ნოველა-პორტრეტებს, მძაფრსიუეტებიან ჩანახატებს, თითქმის დეტექტიურ ქრონიკებს და ა. შ.

ტრევორი არც ერთი წუთით არ შორდება მშობლიურ მხარეს, მაშინაც კი, როცა მისი გმირები იტალიის ქუჩებში დახეტიალობენ, ან ლონდონის რესტორანში მავიდასთან უშფოთველ ახალგაზრდობას იხსენებენ.

სწორედ ამიტომ, ამ კრებულის პირველი ნოველა „ცნობები ირლანდიიდან“ მთელი წიგნის კამერტონად შეიძლება ჩაითვალოს. 1841-48 წლების ტრადიციული მოვლენების „საშინელი შიმშილის დროს“ ანარკული — კრებულის უველა ნოველას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

პულვერტაფტებმა შორეული ნათესავისგან მემკვიდრეობით მიიღეს მიწის ნაკეთი, ისინი ვალასხდლდნენ ირლანდიაში. პულვერტაფტები იწყებენ ზღის მშენებლობას, რომელსაც არა-ვითარი ფუნქცია არ აქვს, არც არსად მიიღის და არც არავის სჭირდება, სამაგიეროდ, ასობით ადამიანია დასაქმებული. ამავე მიზნით იწ-

მინდება გამოუსადეგარი ადგილები. იკავება ტუე. მისი მეუღლეს უკველდლიურად არიგებს საკვების ნარჩენებს.

თბრობა რამდენიმე პლანში მიღის, მაგრამ დომინირებს ორი ზაზი: მკითხველი სინამდვილეს იგებს პულვერტაფტის ვაიშვილის გუკერნანტი ქალის დღიური და საზრიალი მსახურთუფროსისგან, რომელიც ჭერ კიდეც მოხუც პულვერტაფტთან მსაჭურობდა.

მოთხრობაში „ცნობები ირლანდიიდან“ მოუვანილი თითოეული ფაქტი ძველთაძველი ირლანდიური პრობლემების სიმბოლოს წარმოადგენს.

აი, უკვე 140 წელი გავიდა, მაგრამ ჩრდილოეთ ირლანდიაში ძველებურად იღვრება სისხლი, პულვერტაფტების მემკვიდრენი იცავენ ოლსტერში თავიანთ „კანონიერ“ პრივილეგიებს. „ცნობები ირლანდიიდან“ ამხელს იმ წყარობებს, საიდანაც ადამიანთა შორის სძულვილი და უღმობლობა იღებს სათავეს.

„მე თავი მეცხრამეტე ს.-ის დიდი ინგლისელი მწერლების — დიკენსის, ჯ. ელიოტის, ჭინოსტინის მოწაფედ მიმაჩნია, მეც მათსავით მინტერესებს ადამიანთა ბედის დრამატისმი და უკუღმართობა. ღრმად ვაფასებ კლიტერატურულ ფორმას, მაგრამ მთავარი ჩემთვის მაინც „ადამიანია“ — ამბობს ტრევორი. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, მას აინტერესებს ადამიანთა სულში უოფითი სიტუაციების გარდატეხა. მისი გმირები ჩვეულებრივი, არცთუ ისე იღბლიანი ადამიანები არიან.

ტრევორის მხატვრული პალიტრა მდიდარი და მრავალფეროვანია. გმირებისადმი თანაგრძნობა რამდენადმე „შერბილებულია“ ირონიით, ხოლო ირონია კი — სიკეთით, გულწრფელობით და თანაგრძნობით იმთ მიმართ, ვისაც არ შესწევს ძალა უმართებულო ბედს წინ აღუდგეს.

ჯონ ფაულზის პირველი რომანი „ახალი ცენტურიონები“ 1970 წელს გამოვიდა. რომანი ეძღვნებოდა ლოს-ანჯელესის პოლიციის არცთუ ისე ადვილ საქმიანობას. ამ პერიოდში სწორედ პოლიციაში მსახურობდა იგი. რომანი ბესსელეერი ვახდა, მოგვიანებით იგი რიჩარდ ფლიშიერმა კინოფილმად გადაიღო.

ბოლოს და ბოლოს, ვემბო სტოკებს პოლიციას, სადაც 14 წელს მუშაობდა, აქვე მან დაწერა 14 რომანი. ამ რომანების სიუჟეტოპოლიციის საქმიანობას ეტებოდა.



1985 წელს გამოვიდა კოლექტივის მხარე
რომანი „მარი ბრაიტის საიდუმლოებანი“. ამ
რომანის მთავარი მოქმედი პირი სიღნეღი ბლექ-
ფული ლოს ანელესის პოლიციის თანამშ-
რომელია, მას მკვლელობები ეხება. ბლექფული
მილიონერ კექტორ უორტისგან იღებს დავაღე-
ბას, გამოიძიოს წელიწადნახევრის წინ მომხ-
დარი ამბავი. სწორედ მაშინ, უოტსონის 23
წლის ვაჟიშვილი ჩეი დამტკრეულ როლს როი-
სში ნახევრად დამწვარი იპოვეს. მომხდარი ამ-
ბავი შეიძლება უბედურ შემთხვევად ჩაეთვა-
ლათ, მაგრამ გარდაცვლილის თავის ქალაზე ნა-
ტყვიარი აღმოჩნდა. როგორ მოხვდა ჩეი იმ
უკაცრიელ ადგილას და ვინ მოჰქალა იგი?..
თავის დროზე პოლიციამ ეს საქმე ვერ გამოი-
ძია, ამიტომ მამა მიმართავს ბლექფულს. ეს
უკანასკნელი კი მეგობრის დახმარებით იძიებს
საქმეს...

რომანში „მარი ბრაიტის საიდუმლოებანი“
ვემბო იგივე პრინციპების ერთგული რჩება,
რამაც „ახალი ცენტურიონების“ წარმატება
განსაზღვრა.

ვემბოსთან პოლიციელები ისეთები არიან,
როგორც ცხოვრებაში. პოლიციური ეგზოტი-
კით გატაცებულმა მკითხველმა შეიძლება ვერც
შეამჩნიოს, რომ სინამდვილის ნაკადი იდეოლო-
გიური ფიქრების სისტემაშია გატარებული. პო-
ლიციის კერძო ნაკლოვანებებზე ავტორი ბეკრს
ლაპარაკობს, მაგრამ სისტემის ნაკლს არამც
თუ არ ახსენებს, არამედ უკვლავური იქით
არის მიმართული, რომ მკითხველი არც კი და-
ფიქრდეს ამაზე.

ტამპზ ბარბნი დიდი პოპულარობით სარგებ-
ლობს უნგრეთში. მისი რამდენიმე რომანი
ფილმად გადაიღეს, იგი წერს რადიო და ტე-
ლესპექტაკლებს.

ტამპზ ბარანის შემოქმედება ბოლო 50 წლის

უნგრეთის ცხოვრების ლიტერატურულ კრიტი-
კას წარმოადგენს. მისი ნოველების ბოლო
ბული 1980 წელს გამოვიდა. აქაც, ისევე, რო-
გორც მის სხვა ნაწარმოებებში, იგი არ თხზავს
რთულ, ჩახლართულ სიტუაციებს. ტამპზ ბარა-
ნი ირჩევს ისეთ გარემოებას, რომელიც ზოგ-
ჯერ შაბლონურიც კია, მაგრამ მიუხედავად
ამისა, იგი აიძულებს მკითხველს კიდევ ერთ-
ხელ ჩაუფიქრდეს ძველ, მათთვის კარგად ცნო-
ბილ მორალურ პრობლემებს.

ნოველაში „ნადირობა“ ავტორი აღწერს რამ-
დენიმე სცენას, ტუის მკველის სახლში. ტუის
მკველი მაღალ ჩინოვნიკებს იღებს სტუმრად...
ნოველაში იმართება არაფრისმთქმელი საუბარ-
ი ბარონ-მონადირესა და მარტეებს შორის.
ამ საუბრისას ერთი სიცივეთი კანკალდება, მე-
ორე კი გაუიზულ თანამოსაუბრეს დასცქერის
და ფიქრობს იმაზე თუ, როგორ შეიძლება
„გადაგვარდეს ადამიანი“.

ამ ნოველაშივე იგრძნობა ტამპზ ბარანის
ხელწერის თავისებურებანი. იგი ცდილობს
შეახვედროს ორი სამუარო (მდიდარი და და-
რბი) — ბურჟუაზიული მორალი უპირისპირ-
დება მკითხველის ჩანსად მორალს. ბარანის
სიუჟეტები სადა, მარტივი და ტრადიციულია
მისი ზოგიერთი ნოველა გამოცანასავითაა.
კონფლიქტი გარკვეულ მომენტამდე არ ჩანს.
მხოლოდ ბოლო ფრაზა ხსნის მწერლის ჩანა-
ფიქრს.

ტამპზ ბარანი ისე აგებს პატარა, მ-ნ გვერ-
დიან ნოველებს, რომ მკითხველი ავტორთან
ერთად ცდილობს გადაჭრას მრავალი პრობ-
ლემა. ეს კრებული დაფიქრებთ იმაზე, რაც
უკველდლიურ ცხოვრებაში გვხვდება.

ტ. ბარანთან თავშესაქცევი ერწუმის შეგნე-
ბულ დილაქტიკას, რომლის გარეშეც, როგორც
თავად მწერალი თვლის, ხელოვნებას აზრი არა
აქვს.

ჩვენის მისამართი: თბილისი, 250007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 90-85-81, შტ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-85.
პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-75, განყოფილებათა გამგებნი — 72-28-85
პარალელის — 72-26-80, „სიესის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-82.

გადაეცა ასწიობად 06 04 88 წ. ზედმოწერილი დასტებულად 9. 06. 88 წ. ქალაქის ზომ. 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 907. უკ 01393 ტრაჟი 70. 800

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ